They universe is made of stories, not atoms.
სამყარო შექმნილია ამბებისგან და არა ატომებისგან.

ვიკტორ პელევინი - 3 ცუკერბრინის სიყვარული
ნაწილი 1. კიკლოპი
თავიდან საჭიროა იმ წერტილის აღწერა, რომელშიც იკრიბება ყველა ეს ამბავი, ანდა, შესაძლოა – საიდანაც იყოფა. ალბათ, უფრო იყოფა, რადგან მხოლოდ ამ ცენტრალური მოვლენის გათვალისწინებით ხდება გასაგები ჩემგან ნათვალთვალებ ბედისწერათა ყოველი კლაკნილ-აბრუნდი. ეს მაგნიუმის აფეთქებას ჰგავდა, რამაც გმირები მოძრაობაში ჩაიწერა – და მომავალში გაგზავნა მათი ფოტოგრაფიული ანაბეჭდები. მე ვამბობ «მაგნიუმს», რადგან ცეცხლი და კვამლი ნამდვილი იყო. «აიფონი» ასე ვერ გაანათებს, თუნდაც NSA -დან უბრძანონ. თუმცა, ვინ იცის – სადღაც წავიკითხე, რომ ამერიკულ «სმარტფონებს» არა მხოლოდ მოსმენა, თვალთვალი და დაყნოსვა, არამედ ცენტრიდან მიღებულ სიგნალზე დეტონირებაც შეუძლიათ, რითაც ყურის აპკსა და ტვინს გლეჯენ აკუმულატორის მიზანმიმართული აფეთქებით. ეს ეტყობა, კონსპიროლოგიური იუმორია.
მაგრამ, მოდი, თავიდან მივყვეთ.
ვიცოდი, რომ კიკლოპად სამუდამოდ არ დავრჩებოდი. ეს სახიფათო, ნერვიული სამუშაოა, რომელსაც, ჩვეულებრივ, ერთ-ორ წელიწადზე მეტხანს არ ასრულებენ. მერე ფრინველები საკმაო სიზუსტით პოულობენ ჩვენი სამყაროს ქსოვილებში მათთვის ხელისშემშლელ კვანძებს, რათა მოაშორონ ისინი – თუკი საჭირო გახდა, ქსოვილიანად. ისინი იარაღად აღარ იყენებენ მათ სიახლოვეს შემთხვევით აღმოჩენილ ადამიანებს. ასე მხოლოდ მაშინ იქცევიან, როცა ბრმად მოქმედებენ და კიკლოპი კი მათი ყურადღების ველში რამდენიმე წამით შემთხვევით გამოჩნდება. თუკი მტკიცედ იციან, სად ეძებონ მტერი, სხვანაირად იქცევიან.
თუ როგორ, ახლავე მოვყვები.
ზუსტად ჩემ ქვემოთ მდებარეობდა კეშას სამუშაო ადგილი – ახალგაზრდა კაცისა, რომლის სხვადასხვა მდგომარეობასა და ფორმას მიეძღვნება ამ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ იმხანად ჩემთვის ყველაზე ახლობელი

არსება იყო – ყოველ შემთხვევაში, სივრცული თვალსაზრისით მაინც.
ზოგჯერ საკუთარ თავს, ალბათ, მოურიდებელი გართობის ნებას ვაძლევდი – გადავერთვებოდი მის გონებაზე და მისი თვალებით, და მისი ცნობიერების პრიზმითაც, ვაკვირდებოდი, თუ რა ხდებოდა გარემომცველ სივრცეში. მხოლოდ იმას კი არ აღვიქვამდი, რასაც ხედავდა, არამედ ხმებსაც, რომლებიც მის გონებაში გაისმოდა (აზრებს არ დავარქმევ, რადგან მათი ნახევარი თვითონ არ ესმოდა, ნახევარს კი დაუფიქრებლად ემორჩილებოდა).
ეს ხანდახან საინტერესო იყო, ხანდახან – არც ისე. თუკი, მაგალითად, თავის იაპონელ სკოლის მოწაფე გოგონებს ჩართავდა (ეგრე მაშინ ხდებოდა, როცა ოფისში ცოტა ხალხი რჩებოდა და კეშა დარწმუნებული იყო, რომ ზურგიდან არავინ წამოეპარებოდა), მისი შინაგანი სივრცე ივსებოდა უხეში კომენტარებით, ფეხბურთისას რომ ჰგავდა. კეშა, ახლა პენსიაზე გასული და ერთ დროს bondage
-ის დამსახურებული მუშაკი, ნანახს უხსნიდასავით მიუხვედრელ პროფანებს, რომლებიც პორნოს მასთან ერთად უყურებდნენ. იმ წუთებში პროფანი მხოლოდ მე ვიყავი, მაგრამ კეშა წარმოსახვაში გაცილებით დიდ აუდიტორიას გადასცემდა სიგნალს. გამაოგნებელია, როგორი საზოგადოებრივი არსებაა ადამიანი.
როცა ოფისში იმდენად ბევრი ხალხი შეიკრიბებოდა, რომ შეუძლებელი იყო პორნოს ყურება ან კომპიუტერით თამაში, კეშა ინტერნეტში თავგზააბნეული მოქალაქეების გატროლას იწყებდა – გეგონება, თავისუფალ ნადირობაზე გამოფრენილი მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ასი
იყო. ამ დროს სურათი ეკრანზე სავსებით ნორმალური და ფუნქციური ხდებოდა: დღეს მედიის ნებისმიერი თანამშრომელი ნახევარი დღე ბლოგოსფეროში ყურყუმელაობს.
ხანდახან კეშა სწყდებოდა კომპიუტერს, ოფისში თანამშრომლებს უყურებდა და მათთვის ბედისწერის განაჩენი გამოჰქონდა.
ნაკლებად სასტიკი იყო ნადიას მიმართ, რომელიც ბუფეტში და სივრცის გამწვანებაზე მუშაობდა – «თმა რომ კარგად შეიჭრას

და ადამიანების არ ეშინოდეს, მონახავდა თავისთვის ვინმე აზერბოტს»
. სხვებს უფრო მკაცრად განსჯიდა. საიტ Contra.ru-ს მთავარი რედაქტორი (ასე დასახელდა ადგილი, სადაც ის მუშაობდა) თავისთვის «შაბესგეიდ»
მონათლა (რაც ხელს არ უშლიდა, მასთან ყოველდღე ელაქუცა – ცხოვრება, როგორც ვიცით, არის კლოუნადა). ამასთან, კეშას გულითადად სჯეროდა, რომ ვირტუალური იაპონელი სკოლის მოსწავლე გოგონებით გატაცება ნორმა იყო, ხოლო მთავარი რედაქტორი – პერვერტი
შესაბამისად, მშობლიური საიტის საინფორმაციო პროდუქტს კეშა თავისთვის «შაბეს-გამოშვებას» (დედლაინებისას ოცნების მანტრასავით ბუტბუტებდა ხოლმე «შაბეს-გამოშვება, შაბეს-გამოშვება, სად ვიპოვო შვება, სად ვიპოვო შვება?») ეძახდა. კოლეგებს სამსახურში «ფულისმდევნელებად» და «დაღლილებად» ჰყოფდა (წლების განმავლობაში პირველნი უკანასკნელებად იქცეოდნენ, თავისას მოიჭამდნენ ხოლმე, ჩამქრალი ვარსკვლავებივით).
და ასე შემდეგ. სინამდვილეში კეშა არც ჰომოფობი იყო, არც ანტისემიტი, არც სნობი. უბრალოდ, სხვისი სულების ასემბლერი
ახლოდან განჩხრეკისას იშვიათად გამოიყურება მიმზიდველად. მაგრამ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით კეშას – ახლა ამას იმიტომ გიყვებით, გასაგები რომ იყოს, რას ვაკეთებდი მის თავში იმ დღეს, როცა საბედისწერო მოვლენა მოხდა. მე მასში ვისვენებდი, როგორც პერსონალურ კინოდარბაზში – იმ დღეს საკმაოდ საინტერესო კინოს ატრიალებდნენ.
«კანტორის» რედაქციაში მოდური პოეტი გუგინი მოვიდა, კასრივით მამაკაცი, მელოტი, სამკუთხა ჟღალი წვერით («აპოკალიფსის ბეჰემოთი», ასე მოიხსენიებდა საკუთარ თავს, მაგრამ მისი სახის მუქ-მეწამული ფერი უფრო აპოპლექსიაზე გვაფიქრებინებდა). მასთან ვრცელი ინტერვიუ გააკეთეს.
იყო ორი ტელეკამერა და სამი პროგრესული ჟურნალისტი, მოსული მრგვალი მაგიდის გადასაღებად. ისინი ნახევარწრედ დასხეს დიდი, თეთრი ფარის წინ, რომელზეც ეწერა Contra. ru, და გუგინი, ცოცხალი პროჟექტორის ფოკუსში მდგარი,

კითხულობდა ლექსებს («ლექსუნიებს», როგორც თავად ამბობდა) თავისი ახალი პროექტიდან «გოლემ ილელეემი». ეს იყო ამბიციური მცდელობა ლექსებში აესახა უახლოესი წარსულის შედარებით სამახსოვრო მოვლენები: შეედგინა, როგორც მაღალფარდოვნად გამოთქვა სამი ჟურნალისტიდან ერთ-ერთმა, «გუგლის ეპოქის «მეპი»
. გუგინი რომ იღლებოდა, ჟურნალისტებიდან რომელიმე იწყებდა ლაპარაკს და კამერები მისკენ მიტრიალდებოდნენ ხოლმე. მერე დაუმცხრალი გუგინი ისევ დეკლამირებას იწყებდა.
ნაწყვეტს, რომელსაც ფოტოაფეთქების წინ კითხულობდა, ერქვა «გმირებს – პაზოლინი!» და ეძღვნებოდა, როგორც ადვილი მისახვედრი იყო, კიევის ცნობილ მოვლენებს, რომლებსაც იმ დროისათვის უკვე მოესწრო მიმქრალიყო სახალხო მეხსიერებაში:
ტარტაროზია, სად სოდომია...
და ფერფლის ქარი უბერავს ოდეს,
ჩვენი არწივი კუსავით დგება,
რომ მომავალი ნათელი გვქონდეს.
ნათლად მახსოვს ის წამი და მისი თითოეული შემოქმედის გონების უცაბედი ჭრილი. გუგინი კითხვისას გაიაზრებს, ხომ არ გაბრაზდება რედაქტორი «სოდომიაზე» და სწრაფად ჩაინიშნავს შინაგან ბლოკნოტში, რომ საჭიროა დაკონკრეტება, როგორც გამოაშკარავება სატირისა ქაოსთან მებრძოლის ცნობიერებაში, ტარტაროსში რომ მიითრევს სულს, ფარზე ტარასით. ლექსუნია, მოკლედ, დასამთავრებელია.
პირველი ჟურნალისტი, პირქუში, გაკრეჭილი ქერა ქალი, მხრებამდე თმით, იმაზე ფიქრობს, შეიძლება თუ არა გუგინის კლასიფიკაცია, როგორც სრულფასოვანი ლიბერალისა, და ეჭვობს: ლექსში ყველა მარკერი ისე არ არის განლაგებული, როგორც საჭიროა, და, ეტყობა, ეს სავსებით გაცნობიერებულადაა გაკეთებული. გინდათ ომი? ჰოდა, მიიღებთ!
მეორე ჟურნალისტი, გასივებული ბაბუაწვერა, ცვლილებათა ქარტეხილისგან ნახევრად გაპუტული, გრძელ და რთულ აზრს ფიქრობს: გუგინს შეიძლება დავუძახოთ მრავალთაგან ერთ-ერთი კუპლეტისტი, რომელიც კულტურრეიდერობას

ეწევა. სინამდვილეში, თავის ლექსებს კი არა, სხვებისას კითხულობს, არეული ნომრებით, საჭირო ფერებად გადაღებილებს და პაროდიის იურიდიული მექანიზმით ხელახლა ყიდის მათ. ვიღაც სულელმა დედაკაცმა, ეტყობა, სიტყვა «გოლემზე» გაჭედა და გუგინის პროექტს «რუსული ლიბერალური იდეა, გრანატად ჩამოსხმული» დაარქვა და, როგორც ჩანს, თავად ვერ მიხვდა, რა თქვა. არადა, ზუსტად მოარტყა. პრივატიზაციაზე და გადაყიდვაზე შეიძლება რაღაცის შოვნა – მაგრამ, შესაძლოა, თავად გუგინზეც გამოიმუშაო რამე. მაგალითად, ამ თემაზე გააკეთო სტატია სათაურით «ყველგან შპენგლერია».
მესამე ჟურნალისტი, დამაქალი, იხსენებს სწორედ იმ სიტყვებს, გრანატად ჩამოსხმულ ლიბერალურ იდეაზე, რომელიც «ტარტაროსის» ფონზე წამოროშა და, საერთოდ, შეურაცხყო რევოლუცია. გუგინმა ვერ გაამართლა ავანსი. არა უშავს, ინვოისს გამოვუწერთ.
გოგონა, სახელად ნადია, იმპროვიზებული სცენიდან რამდენიმე მეტრში დაგვაჯული პალმის ქოთანს წმენდს (ქოთანში დგას ორი პატარა წითელი პლასტილინის ცხენი) და არ ფიქრობს არაფერზე – უბრალოდ, პალმას და ცხენებს უყურებს. დღეს, რატომღაც, მიწა განსაკუთრებულად შავი ეჩვენება.
«კონტრას» ოფისში სხვა გონებებს არ ვუთვალთვალებ.
კეშა უსმენს გუგინის ოდნავ ხრინწიან ხმას. სულში უწმაწურობს, ისევე, როგორც მთელ ამ ბოლო კვირას: ძალიან ცუდი სამსახურებრივი პერსპექტივებია. ზურგს უკან ამჩნევს ჩრდილის მოძრაობას, შემობრუნდება და ხედავს უცნობ ადამიანს, მაგიდებს შორის, გასასვლელში რომ მოაბიჯებს. ადამიანი კეშას თვალებში უყურებს. მთის პასიონარის გაუპარსავი სახე აქვს, ჭუჭყიანია, მხრებზე ზურგჩანთა მოუგდია. ჩახსნილი ქურთუკის ქვეშ მაისური მოუჩანს, მრგვალთვალა თეთრი ბატკნით, მხიარულად რომ ღეჭავს კანაფის ღერებს. თვალები შუშასავით უბრწყინავს: ან ნარკოტიკზეა, ან – ტრანსში. ტუჩები უცახცახებს ანდა სწრაფად ჩურჩულებს.
კეშა ხვდება, რომ უცნობი სწორედ მისკენ მოდის – მაგრამ არ იცის, რატომ (მე უკვე ვიცი: ადამიანი ზურგჩანთით

დარწმუნებულია, რომ ჩემკენ მოდის, მას ამოძრავებს ჩემი ყურადღება, კეშას თვალებიდან მისკენ მიმართული). კეშა წამოდგომას ასწრებს და წინ იშვერს ხელებს. ადამიანი კეშას გადაეხვევასავით და თავისკენ მოქაჩავს მთელი ძალით, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, შეხვდა საყვარელ არსებას, ვისაც მთელი ცხოვრება ეძებდა. კეშა ასწრებს, იგრძნოს მომენტის შეუსაბამო ეროტიზმი. კეშაზე გადახვეული ადამიანიც, ეტყობა, რაღაც მსგავსს გრძნობს – და ჩურჩულებს:
– მე მქვია ბატუ... ალლაჰუ აქბარ!
მერე საშინელი სიმძლავრის აფეთქებაა. ვინც კი ოთახშია, ყველას ნათურა მაშინვე ქრება.
გონს მოვდივარ. იატაკზე ვწევარ – აფეთქების ძალა ისეთი იყო, რომ ჩემი სკამიდან ერთი სართულით ზემოთ ამისროლა. ორიოდე წამი გადის და ვხვდები, რომ აღარასოდეს ვიქნები კიკლოპი.
ახლა კი აგიხსნით, როგორ გავხდი კიკლოპი – და რას ნიშნავს ეს სიტყვა.
ყუთი № 1
არ ვაპირებ, მეტისმეტად ბევრი გიამბოთ საკუთარ თავზე. ჩემი ნამდვილი სახელი დამალული უნდა იყოს – ასეთია ძველისძველი ტრადიცია და არ მსურს მისი დარღვევა. თუმცა ეს არც დაგვჭირდება: ჩემი თავისთვის ანბანის ბოლო ასოს დარქმევით მორჩილებას გამოვამჟღავნებ, რაც არასდროს მყოფნიდა წარსულში.
ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთი შორეული ნათესავი გარდამეცვალა – და მოსკოვში ერთოთახიანი ბინა დამიტოვა, სადოვოე კოლცოს მახლობლად. ამან ძალიან გააიოლა ჩემი ცხოვრება: ნაქირავებიდან იქ გადავედი. ახლა შემეძლო ნაკლები მემუშავა და გამომიჩნდა უამრავი თავისუფალი დრო, ძირითადად, სეირნობაში, კითხვასა და სპორტში გამყავდა. დროთა განმავლობაში «მწერლობას» ვაპირებდი – ეს ნიშნავდა, რომ ახალგაზრდული წლების გამფლანგველი, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, თითქოსდა აუცილებელ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვაგროვებდი.
ბინაში კარგი რემონტი იყო, ამიტომ იმით შემოვიფარგლე, რომ გავიტანე გარდაცვლილის ნივთები და საკუთარით შევცვალე. მხოლოდ ერთი ობიექტი დავიტოვე, რომელიც მემკვიდრეობით

მერგო – ფანერის დიდი ყუთი, სავსე ძველი წიგნებითა და ყვითელი ქსეროასლებით. იმიტომ შევინარჩუნე, რომ ზეთის საღებავით გაკეთებული წარწერა მომეწონა:
ყუთი № 1
ჩემი განსვენებული ნათესავი, რაღაც საშუალო ძიასა და პაპას შორის, ერთ-ერთი გვიანი საბჭოთა «შინაგანი ემიგრანტი» იყო. მთელი ცხოვრება აგროვებდა ამ სფეროსთვის დამახასიათებელ ლიტერატურას, ძირითადად, ეგრეთ წოდებულ ეზოთერიკას – და საწოლის ქვეშ შეცურებულ ყუთში ინახავდა, რათა თვალში არ მოხვედროდათ იშვიათ სტუმრებს. საბჭოთა დროში ყოველ დარაჯს ალალად სჯეროდა, რომ უთვალთვალებდნენ – და შესაძლოა, მართალიც იყო.
ვერ ვიტყვი, რომ ჩემში მოსკოვის ოლიმპიადის დროინდელი საიდუმლო ცოდნის მოულოდნელმა ინტერესმა გაიღვიძა, მაგრამ რატომღაც უგუნურებად მომეჩვენა, გადამეყარა მემკვიდრეობით დარჩენილი სულის ობლიგაციები და ვაუჩერები, და მათი განაღდება არც კი მეცადა.
ყუთში იდო ფანტასტიკური რომანები, რომელთაც საბჭოთა კატაკომბების მცხოვრებნი ზეციდან გამოგზავნილად თვლიდნენ. იყო კიდეც ზემოდან გზავნილები, შენიღბული ფანტასტიკური რომანებით. იყო ძველეგვიპტური ტექსტები, შმაკოვისა და ბლავატსკაიას თხზულებები – და სხვა არქეოლოგიური მასალა. იქვე ვიპოვე ინდოელი მასწავლებლების რამდენიმე წიგნი ინგლისურ ორიგინალში.
იმ ფანერის კიდობნიდან ჩემზე გადმოსხმულმა უცნაურმა ინფორმაციულმა კოქტეილმა დიდხანს მოაჯადოვა ჩემი სული. არის ერთი ეგეთი ანეკდოტიც ბრმებზე, სპილოს რომ სინჯავენ – ჰოდა, მეც, შეიძლება ითქვას, ვითვისებდი მსგავს მიდგომას ძველი ადამიანური სიბრძნის მიმართ.
რასაკვირველია, ახლა ბევრი იტყვის, რომ თავაზიანი ხორთუმი, ჩემს ტანჯულ ტუჩებს რომ ეხებოდა, სინამდვილეში იყო სველი კუდი დავიწყებისკენ წასული სამოციანი წლების დრაგკულტურისა
, მაგრამ თუნდაც გზა დამეკარგა, მაინც მიმართლებდა. გამართლება იყო თავად შეცდომის შესაძლებლობა – იმხანად შეცდომის დაშვება კიდევ შეიძლებოდა, და სწორედ მატრიცის მოშლას, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ჯადოსნურის

წინდაწინ გამოუცნობ ლაბირინთში შევყავდი.
ყვითელი ფურცლები ჩურჩულებდნენ: თუ გინდა, ზენაარი და საიდუმლო შენი «მეს» ბნელ კამარაში შემოვიდეს, მოწიწება უნდა გამოზარდო შენში და მდუმარე მადლიერებით მუხლი მოუყარო უცნობს. საქმე ის კი არაა, რომ ვიღაცას მუხლის მოყრა სჭირდება. აქ, ფიზიკურის მსგავსი, უბრალო ეფექტი მოქმედებს: ფილტვებმა რომ შეისრუტოს სუფთა ჰაერი, მათში ვაკუუმი უნდა წარმოიქმნას. არ შეიძლება გაავსო ფინჯანი, რომელიც პირთამდეა სავსე – ის ცარიელი უნდა იყოს. ჩვენ, ყველანი, ერთიანის ნაწილები ვართ, – საკუთარ თავს უმტკიცებდა ჩემი მუხლმოყრილი სიჩუმე, – და ადამიანის მთავარი დაბნეულობა არის რწმენა, რომ მის გარშემო არსებობს რაღაც «გარე» სამყარო, რომელთანაც ჰაერის ღრიჭო აშორებს. ადამიანი შედგება სწორედ სამყაროსგან, მასში შეზრდილი ათასობით მწვანე ტოტით. ის არის კიდეც ცხოვრების ტბიდან ამოზრდილი ტოტების გადახლართვა. ტოტები ტბის ზედაპირზე ირეკლებიან და სჯერათ თავისი ინდივიდუალობისა, როგორც ამას ირწმუნებოდა, მაგალითად, სარკული კარტის ვალეტი, რომელიც ვერ ხვდება, რომ მისით «დურაკას» თამაშობენ და დასტის გარეშე ის არაფერია. ჩვენი გონება – მათი გონების გაგრძელებაა, ვინც ადრე ცხოვრობდა, ჩვენი სხეული ძველი ვარსკვლავების ფერფლისგანაა, ხოლო ის ჯადოსნური ენა, რომლითაც ჩვენ ყველაფერ ამაზე ვფიქრობთ, ყველაზე ცენტრალური და ინტიმური ნაწილი ჩვენი არსებისა, ნებისმიერ ანბანშია, ყველას დასანახად... სამყაროს უმაღლესი «მე» ყოველ ჩვენგანშია, – ჩურჩულებდნენ ყვითელი ფურცლები, – შენ მხოლოდ შეძელი მათი პოვნა.
მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ იმ უმაღლეს «მეს» ძებნას დაუწყებდა სხვა, მდაბალი – რომელიც, საბოლოოდ, მე აღმოვჩნდები. კაცობრიობის მთელი იდუმალი სიბრძნე ტყის მწვანე ლაბირინთად წარმომედგინა. ბილიკები სულ უფრო მაახლოებდა მის თავზე ჩამოკიდებულ ჭეშმარიტების ვაშლს – და ისევ მაშორებდა. შეიქმნა, გახდე და აღმოჩნდე ის ერთადერთი, რაც ყოველთვის და სულ თავიდან იყო, მოკვდავი ადამიანისთვის შეუძლებელია. ერთი წარმოსახვა როგორც უნდა, ისე გარდაისახება სხვად, ღრუბლები მიიღებენ

სხვადასხვა ფორმას – მაგრამ ისინი ვერასოდეს იქცევიან ცად. «მიხვდე, რომ შენ ყოველთვის იყავი...»
ყვითელი ფურცლები, ეტყობა, ცოტას ცრუობდნენ კიდეც. ან ეშმაკობდნენ. ანდა ბოლომდე არ ამბობდნენ. მირაჟს შეუძლია, რადაც უნდა ჩათვალოს თავი, მაგრამ არასოდეს იქცევა მარადისობად – უკეთეს შემთხვევაში, მისი მირაჟი იქნება. მარადისობისკენ მიმავალი გზები არ არსებობდა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ გზებზე სიარულით შეუძლებელი იყო უფრო შორს წასვლა, ვიდრე მესრიდან საფლავამდე, თანაც იმ მოკლე მოგზაურობას იწყებდნენ და ამთავრებდნენ ათასნაირი არსებები. კომენტარები, წვრილი შრიფტით, იტყობინებოდა, რომ სწორედ გზის არარსებობაა მარადისობა. შეიძლებოდა, ამას დაემშვიდებინე, კიდევ ერთხელ გაიკვირვებდი ძველების სიბრძნეს – და ყველაფერს დაივიწყებდი.
მაგრამ არ მტოვებდა გრძნობა, რომ არის რაღაც ძალიან მარტივი მოქმედება – როგორც ჩემი წყაროები ამბობდნენ, «ტრანსცენდენტური ძალისხმევა», ეგრევე რომ მოასწორებს ყველაფერს და მოხსნის ყველა შეუსაბამობას. ვვარაუდობდი, რომ «გორდიას კვანძი» არც უნდა გამეჭრა – როგორც საცირკო ფოკუსში, მას თოკით დაბლა დავუშვებდი, სანამ არ ჩამოვარდებოდა.
საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტების მძებნელი უსასრულობად არ იქცევა, როგორც ყვითელი ფურცლები მღეროდნენ. ყველაფერი პირიქით იყო – თავად უსასრულობა ხდებოდა ჭეშმარიტების მძებნელი. აი, მას კი ნამდვილად შეეძლო ეს, რადგან ნებისმიერი ფორმის მიღება ეხერხებოდა, მათ შორის, უკვე არსებულისა. მე შემეძლო, თითებით კედელზე გამომესახა ნიანგის ჩრდილი. მაგრამ ნიანგის ჩრდილი, სულიერი ძალების უდიდესი დაძაბვითაც კი, ვერასოდეს გადაიქცეოდა ჩემს თითებად.
ოღონდ მარადისობა ამას მძებნელის არჩევანით არ აკეთებდა, არამედ საკუთარი მოსაზრებით. და მაშინ ყველაფერი სწორდებოდა, ყველა შეუსაბამობა ქრებოდა და გორდიას ყველა კვანძი თავისით ეცემოდა ბალახზე.
მაგრამ როგორ? როგორ? როგორ და არანაირად, – ხითხითებდნენ ყვითელი ფურცლები, – სწორედ ასეთია გზა. დიდხანს ვფიქრობდი – და, ეტყობა, ცოტ-ცოტას მივხვდი ამ

«არანაირს». ის სიჩუმეს გულისხმობდა, სიმშვიდეს და თითქოსდა ტალღების არარსებობას. ხოლო სიჩუმე შეუძლებელი იყო სუფთა სინდისის გარეშე. მაგრამ რას ნიშნავს «სუფთა სინდისი»?
მახსოვს, როგორ გამაოგნა სცენამ რომელიღაც რუსული რომანიდან: ბანდიტი მკერდზე ჩამოკიდებული ჯვრით, ხელსაყრელი მკვლელობის წინ, მის მორალურ შედეგებზე წამით დაფიქრდება – და ხელის ჩაქნევით წამოისვრის:
– აა! მოვინანიებ...
ეროვნული სულიერი ტრადიციის მიმართ მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ვგრძნობდი – მთავარი «მოვინანიებ» არ იყო. რასაც კაცობრიობა ცოდვებად მიიჩნევდა, მათგან ბევრი ბავშვურ ცელქობად მიმაჩნდა. თუმცა მათი ჩადენა მაინც არ ღირდა. რადგან მიწიერი, ზეციური – ან ასეთად წარმოდგენილი – წეს-განგების დარღვევა, როგორ უცნაურადაც უნდა ეჩვენებოდეს ნორმალურ ადამიანს, სულში აუცილებლად აჩენდა მღელვარებას.
გონებაში თითქოს უძველესი მრისხანე ხმები გაისმოდა, რასაც განაწყენებული, უფრო ახალგაზრდა, წვრილი ხმების ისეთივე სიმრავლე ეპასუხებოდა. ეს ცალკეული პიროვნების სულიერი ძალისგან და პირადული – «უფლება მაქვს»-ის მნიშვნელოვნებისგან დამოუკიდებლად ხდებოდა
– სულში შექმნილი კულტურული ორგანიზმის დისპუტი საკუთარ თავთან გარდაუვალი იყო (რაც კარგად ჩანდა, მაგალითად, როდიონ რასკოლნიკოვის ამბავში).
საქმე ის კი არ არის, იმ ხმებიდან რომელი იყო «მართალი», არამედ – თავად ამ (სულის აჩრდილობრივი მდგომარეობა, რომლის ინტენსივობა მერყეობდა შტორმიდან მცირე ღელვამდე – რაც სრულიად აცლიდა მის სულს, ასე ვთქვათ, არეკვლის უნარს და ადამიანს უმალავდა მარადიულობის ზეცასა და დიად ვარსკვლავებს. მე ვხვდებოდი, რომ სწორედ ამისთვის უჭერენ მხარს მსოფლიო ემისიური ბანკები და მათგან დაფინანსებული კულტურა ეგრეთ წოდებულ «პროგრესს», ამ მუდმივად ხრწნად კონფლიქტს თანაბრად აქოთებულ «ძველსა» და «ახალს» შორის. ამ დროს მარადიულობას მუდმივად აცახცახებულ სულში შესვლა კი არ ეზიზღებოდა, უბრალოდ, არ შეეძლო.

სულის სარკე სუფთა და ნათელი უნდა გქონოდა – და ყველაფერი გეღონა, რომ არ დაბინდულიყო. ამიტომ ვცდილობდი, სხვებისთვის ბოროტება არ გამეკეთებინა, სულელურ სოციალურ დადგენილებებსაც კი ვასრულებდი, თუკი მათი დარღვევისთვის შინაგანი შურისძიება იყო მოსალოდნელი. ვეხმარებოდი ადამიანებს, როგორც შემეძლო, სხვათა შორის, ამისგან ფეტიშს არ ვქმნიდი – და, საერთოდაც, ხათრიანი და კეთილი ვიყავი: ეს საშუალებას მაძლევდა, მალე დამევიწყებინა შემხვედრნი.
რასაკვირველია, მე არ ვბოროტდებოდი მათზე, ვინც ცუდად მომექცა, ამას ისე ვიღებდი, როგორც ცხოვრებისეულ უხერხულობას. არც იმათზე ვჯავრობდი, ვინც შეგნებულად ცდილობდა ჩემს წყენინებასა და დამცირებას, ამას ჩემს სანაცნობოში შემოტენვის საცოდავ მცდელობას ვარქმევდი. ნაწილობრივ ის გარემოება მეხმარებოდა, რომ ზუსტად ვიცოდი: რუსეთში «შელახული ღირსებისა და პატივის აღდგენა» უმოკლესი გზაა პატარა აყროლებული სათავსის ორსართულიან ნარებამდე, სადაც ღირსებით აღსავსე მრავალ ადამიანს მოუყრია თავი, რათა უკვე აუჩქარებლად გაეტოლონ ერთიმეორეს. არასოდეს მინდოდა, მათ შევერთებოდი იმ ქიმერის გამო, რომლის ინსტალირებასაც ისინი თავად ცდილობდნენ ჩემს გონებაში.
პირველივე შესაძლებლობისას ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა შორს დამეჭირა თავი იმ მოქალაქეებისგან, ამნაირ იმპერატივებს რომ იფურთხებოდნენ. მათ მიერ ჩემს ფსიქიკაში აწყობილი კონსტრუქციების გარჩევა ვისწავლე, ამიტომ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შემეძლო, შემენიშნა სულში სიძულვილის შემოტევები, ასეთი დამახასიათებელი ჩვენი საუკუნისთვის, და თითქმის არასოდეს ვუშვებდი, მათ რაციონალიზაციას, რაც ადამიანებს რუსოფობებად, ლიბერალებად, ნაციონალისტებად, პოლიტიკურ მებრძოლებად და სხვა პატიმრებად აქცევდა. არასოდეს მიგრძნია ცდუნება, თვალებში ამაყად შემეხედა გვერდით ჩავლილი დედაქალაქის სტუმრისთვის ანდა მოჭრილ კუდზე მეკბინა დობერმანისთვის. მე არც პოლიტიკური პროგრამა მქონდა, არც ტრავმატული პისტოლეტი. სამარცხვინოდ ვარიდებდი თავს რევოლუციურ სამუშაოს და

ჩემთვის ნაჩვენებ ვოდევილში ვერც ჩვენიანებს ვხედავდი, ვერც სხვებს და ვერც მსოფლიო კაგალის
ბალნიან ხელს. თითქმის დაშლილი ხორცის ნაჭრები, რომლებიც სატელევიზიო სოფიტების ფონზე, თავიანთი და ჩემი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, არც თანაგრძნობას იწვევდნენ ჩემში, არც სიძულვილს – ეს იყო მხოლოდ გულგრილი გაგება იმ მექანიზმებისა, მათ რომ მართავდნენ. თუმცა, სულ ვცდილობდი, გაგება თანაგრძნობასთან უფრო ახლოს მიმეწია – და არცთუ იშვიათად, გამომდიოდა კიდეც. მე არ ვუყურებდი ტელევიზორს და არც გაზეთებს ვკითხულობდი. ინტერნეტით ვსარგებლობდი, როგორც სადგურის ჩაოხრებული საპირფარეშოთი – სწრაფად და ზიზღით, საჭიროებისას, თითქმის არ ვათვალიერებდი წარწერებს კაბინის კედლებზე. და ოცდახუთი წლისთვის შემაშფოთებელი ღელვა ჩემს სულში ჩაცხრა.

სარკე

ყოველი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში არის მოწყენილობის ვრცელი მინდვრები. არაფერი ხდება, შეშდები, როგორც ხე ივლისის შუადღეს, და გეჩვენება, რომ «ახლა» არასოდეს დაიძვრება ადგილიდან. იმ წუთებში ვიღებთ კიდევაც ჩვენს მთავარ პოზას – მთავარს არა რაიმე დამახასიათებელი აზრის გამო, არამედ იმიტომ, რომ მარადიულობა სწორედ ასეთებს გვიღებს სამახსოვრო ფოტოებს. უფრო ხშირად ახალგაზრდებს გვიმახსოვრებს.

ჩემთვის ეს მარადიული ფოტოგრაფია ასე გამოიყურება: ბიჭი ნაცრისფერ კიმონოში (ძალიან დიდი მქონდა და საშინაო ხალათივით მადგებოდა) ფეხმორთხმული ზის ძველი, მუხისჩარჩოიანი სარკის წინ. სარკე იმ ზომისაა, რომ კუტიკარს ჰგავს. ძირი უკვე უჟანგდება, თუ რაც ემართება ხოლმე ძველ სარკეებს, და ზედ მარაოსავით იშლება შავი ლაქები. მაგრამ ეს არ მიშლის – იქ, სადაც მე ვიყურები, შუშა ჯერ კიდევ ვარგა.

მე ვაკეთებ ვარჯიშს «ციკლოპი», რომლის აღწერა #1 ყუთში ვიპოვე – სიძველისგან დაშლილ ბროშურაში (ცარცის ქაღალდი, ცისფერი შრიფტი იატებით
ვარჯიში იმაში მდგომარეობს, რომ იოგინი (საშინლად მაღელვებდა ეს სიტყვა) ჯდება სარკის წინ, ერთ მეტრზე ნაკლები დაშორებით (ზუსტი დისტანცია ექსპერიმენტულად

უნდა შეირჩეს) და თვალებს ისეთნაირად აელმებს, რომ დანახული ორდება – სანამ მარჯვენა თვალის გამოსახულება არ დაედება მარცხენისას, ზედ ცხვირის ფუძეზე. ამის გაკეთება იოლია, რთულია, დიდხანს შეინარჩუნო გამოსახულება ასეთ რაკურსში. მაგრამ ცნობილი პრაქტიკისას შეიძლება ისწავლო. ვარჯიშის შედეგი, – ირწმუნებოდა ბროშურა, – ნათელხილვის განვითარებაო.
ძალიან არ მჯეროდა ნათელხილვის, რასაკვირველია, მაგრამ მომხდარი მართობდა. სულ მალე სარკიდან ძალიან ღრმა, უცნაური და საკვირველად რეალური თვალი მოგაჩერდება, მთლად შენიც არ არის – თავისი გეომეტრიით რაღაც საშუალოს წარმოადგენს, მარჯვენასა და მარცხენას შორის. მერე კი, საერთოდ, ვეღარაფერს ხედავ მის გარდა, რადგან სხვანაირად იმ თვალს ვერ დაინახავ ფოკუსში. თუკი ვარჯიშს არ შეწყვეტ – მე კიდევ ზოგჯერ საათობით ვიჯექი სარკის წინ – თვალი ცოტცოტაობით გამოცოცხლებას იწყებს.
მასში რიგრიგობით გაივლის ყველა ადამიანური გამომეტყველება: ზიზღი, მძვინვარება, ინტერესი, სიცივე, გულგრილობა, დაცინვა... ვიცოდი, რომ საკუთარი გონების გამოსახულებას («ფსიქიკური შემადგენლობა», როგორც გამოთქვამდა ძველი რვეული, ცისფერი შრიფტით) ვხედავ. მაგრამ თანდათან ვხვდებოდი, რომ საქმე მხოლოდ ფსიქიკურ შემადგენლობაში არ იყო.
იმ ვარჯიშში ნამდვილად საიდუმლო იმალებოდა. სარკიდან მაცქერალი თვალი არ იყო ჩემი. ის არც არავისი იყო. მეჩვენებოდა, რომ კარის ჭუჭრუტანას უფრო ჰგავდა. ვზივარ კარის წინ, კარს უკან კი დროდადრო ჩაივლიან უცნობები და ცოტა ხნით ჩემზე აჩერებენ მზერას (როგორც პლატონის გამოქვაბულის პრივატიზაცია რომ ჩაეტარებინათ და ის ფოლადის კარით ჩაერაზათ ვიღაც ფილოსოფოსებს, ძალიან სერიოზული კავშირებით).
ზოგჯერ ეს უცნაური თვალი სიძულვილით მიყურებდა, ხან აბუჩად მიგდებდა, ხანაც ზიზღით შემომცქეროდა – და ყოველ ჯერზე ჩემი გული შიშით ეთანხმებოდა, რომ სწორედ ამას ვიმსახურებდი. მაგრამ ერთხელაც თვალმა სხვანაირად შემომხედა.
თანაგრძნობიან გაგებას ჰგავდა. თანაც ინჟინრის გაგებით:

წამით მომეჩვენა, რომ ამ მზერას ჩემი სული წარმოუდგება რაღაც პინბოლის მაგვარად – დახრილ დაფად, ჩასაგდები ორმოებით, რომლებზეც ზამბარით ნასროლი ბურთულა დარბის, ელექტრული ბერკეტებით რომ ხტება ხოლმე. თვალი, რომელიც ჩემს გულში იყურებოდა, ყურადღებით ათვალიერებდა ამ პინბოლს.
მერე ჩემი მზერა ფოკუსიდან გამოვიდა, და თვალი გაქრა. ამის შემდეგ მომხდარის გახსენება აქამდე შიშით შემახტუნებს ხოლმე.
მაგონდება სცენა ძველი ფილმი-კატასტროფიდან, სადაც ოკეანეში ჩავარდნილი «კონკორდი» შიგნიდან იყო ნაჩვენები – საქარე მინები წამის მეასედებში ელვარე წყლის შადრევნებად იქცევა, ყველაფერი რომ თან მიაქვს.
თითქოს ჩემ წინ მდგარი სარკე უცებ დიდი სიჩქარით ჩავარდა ოკეანეში – ანუ ოკეანის ზედაპირმა მინის მეორე მხრიდან საშინელი ძალით დაგვარტყა სარკესა და მე, აგვაფეთქა, დაგვფლითა და ატომებად დაგვფხრიწა...
გონს რომ მოვედი, იატაკზე ვეგდე, შუა ოთახში. უხერხულად გადაბრუნებული ფეხი მტკიოდა, მაგრამ მრთელი ვიყავი. სარკეც მრთელი ჩანდა – ალაგ-ალაგ მტვრიანი, ესე იგი, ჩემ წინ მომხდარი აფეთქება, უბრალოდ, ჰალუცინაცია იყო. ანდა, იქვე გაჩნდა ჩემს ცნობიერებაში საპირისპირო აზრი – აფეთქება ნამდვილი იყო, ხოლო ჰალუცინაცია – ის, რასაც ახლა ვხედავდი...
ავდექი და აივნის ღია კარში გავიხედე. მოპირდაპირე სახლი დავინახე, უცხო სამზარეულოს ფანჯარა. იქ, ქურასთან ფუსფუსებდა მკერდსავსე ქალი, აგრესიული სიწითლით მთელ სახეზე. თითში დანა იჩხვლიტა – და ტკივილისგან შეიჭმუხნა. მარია ლვოვნა ერქვა. ორმოცს გადაცილებული იყო, ჰყავდა ქმარი და ორი შვილი. ქმარი პატარა ხელფასისა და დიდი ასოს გამო სძულდა (ჰო, ასეც ხდება ხოლმე), ბავშვები უფრო უყვარდა – მაგრამ ის სიყვარულიც მჟღავნდებოდა, როგორც სიძულვილი, და ბავშვებს მისი ეშინოდათ. მარია ლვოვნა კოსტრომიდან იყო, ვოლგის ნაპირზე გაიზარდა, ბავშვობაში პლასტმასის ველოსიპედი აჩუქეს, სამი ლამაზი ბორბლით – და ერთხელ, როცა იმით სეირნობდა ტყის ბილიკზე, ხელზე დააჯდა საკვირველად ლამაზი კრაზანა, გრძელი უკანატანით, და ლამის

ადამიანური გააფთრებით პირდაპირ თითში აძგერა ნესტარი... ჩემი ყურადღება, რაღაც უცნაური, არჩევითი ტრაექტორიით, წამში ჩაიძირა ამ ქალის მეხსიერებაში – ზუსტად იმ წერტილში, სადაც წარმოიქმნა ემოციური რეფლექსი, მისი სახე რომ დაჯღანა. თავად არ იცოდა, რომ დიდი ხნის წინ მომხდარს ხელახლა განიცდის – მე კი ვიცოდი.
მე სხვაც ბევრი ვიცოდი. ცუდ განწყობაზე იყო ახლახან დამთავრებული სკანდალის გამო, რომელშიც მილიციაც ჩაერთო: მან დაადანაშაულა კედლის მიღმა მცხოვრები მეზობელი (მათემატიკოსი სტეკლოვის სახელობის ინსტიტუტიდან, ესეც საიდანღაც ვიცოდი) პედოფილიაში და რუსოფობიაში – კედლის იქიდან შემოღწეული ხმების საფუძველზე. გამოძახებით მოსულ ძალოვნებს ჯერ თავად ქალის წაყვანა უნდოდათ, მაგრამ მთლად უფროსმა, ეტყობა, დაუჯერა, რადგან ოპერატიული გამოცდილებით იცოდა, რომ თითქმის ყველა წვეროსანი მათემატიკოსი – პედოფილი და რუსოფობია.
აი, ქმარმა კი არ დაუჯერა. მეტიც, ქმარმა შესთავაზა დაეწერა განცხადება სხვა მეზობელზე – ნეკროფილიაში დაედანაშაულებინა კედლის მიღმა ხმების საერთოდ არარსებობის საფუძველზე: მთავარი ძალოვანი, თქვა მან, ალბათ, ისევ წამოეგება. ეს, შესაძლოა, სასაცილოც იყო. მაგრამ მარია ლვოვნა არ იცინოდა. ქმარს უნდოდა, ირონიული ყოფილიყო – არადა, ქალის შეხედულებით, ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა, რადგან სახლში ვერაფერი მოჰქონდა. და ვის რად უნდოდა მისი ტაკიმასხარაობა...
ეს აზრობრივი ზიგზაგები ჩემი მზერის წინ ჩნდებოდა, როგორც ავტოტრასის ნიშნულები მანქანის ფარების შუქზე. შემეძლო, წავსულიყავი ნებისმიერი მარშრუტით. მე ყველაფერი ვიცოდი მის ქმარზე (ისტორიის მასწავლებელი რომელიღაც დახურულ ინსტიტუტში). მე ყველაფერი ვიცოდი მთავარ ძალოვანზე (ის თავად იტანჯებოდა პედოფილიით, ამიტომ შეიძლებოდა, რომ დაგვეჯერებინა მისი ვერდიქტი მათემატიკოსებზე). მეტიც, შემეძლო წამში ჩავვარდნოდი (ანდა თავს დავტყდომოდი – ასე იგრძნობოდა) მათ ნებისმიერ განცდას, მათ რომ უკვე დავიწყებული ჰქონდათ; შემეძლო, მათი მეხსიერების გავლით გადამეხვია სხვა ადამიანებისკენ, რამდენჯერაც მომინდებოდა.

ეს იყო უსასრულო ლაბირინთი, რომლის ნებისმიერ წერტილში შემეძლო გადასვლა – ისე, თითქოს წინ გადაშლილი ყოფილიყო განათებული ქალაქი, მე კი მისი სინათლეების მკვებავ ელექტროდენად ვქცეულიყავი.
და ამ ყველაფერმა ცნობიერებაში გამიელვა, სანამ ქურასთან მდგარ ქალს ვუყურებდი მოპირდაპირე ფანჯარაში. როგორც კი თვალები მოვჭუტე, წყალდიდობა დასრულდა.
მე ისევ გავახილე თვალები.
ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. ჩემ წინ იდო ნამგლისებური ბალიში მედიტაციისთვის, ხალიჩა იოგასთვის და კედელთან მიდგმული სარკე...
ხალიჩა და ბალიში ადრე ინტერნეტით ვიყიდე. მაგრამ ახლა ვიცოდი, საიდან მოიტანა ისინი კურიერმა (მაღაზია უცნაური სახელწოდებით «ჩავეხუტოთ!» – თუკი საჭირო სიტყვები გეცოდინება, შეიძლება იყიდო მოსაწევი ნაერთები, მეპატრონე ერთ-ერთ გამყიდველს იყენებს პერსონალურ სტრაპონ-შაკტად). მე ვიცოდი, სად გაკეთდა ნამგლისმაგვარი ბალიში (სარდაფის სახელოსნო, სადაც კერავდნენ გადასაკრავებს ავეჯისა და ლეიბებისთვის – მათთვის ეს მცირე დანამატი იყო გამომუშავებაზე). ისიც კი შევძელი, რომ წიწიბურას მინდორი დამენახა, სადაც გაჩნდა ჩენჩო, რომლითაც გამოტენეს ბალიში...
ხალიჩაც იმავე მაღაზიიდან იყო, მაგრამ ჩემამდე მისი ორი დღით ხმარება მოასწრო ერთმა გოგონამ, დიდებულად რომ იცოდა ფეხების გაშლა – მან ხალიჩა მაღაზიაში დააბრუნა, რადგან მისთვის მეტისმეტად სქელი და რბილი აღმოჩნდა, ხოლო მაღაზიაში ხალიჩას ქალწულობა დაუბრუნეს, პლასტიკატში დარჩილეს.
სარკე... ამაზე ვერაფერს ვხედავდი. ძალიან ძველი იყო და ყველა, ვინც ის გააკეთა, დიდი ხნის წინ დაიხოცა. მე შევძელი, გამერჩია რაღაც ზოლიანი წინსაფარი, ჭუჭყში ამოსვრილი ხელები და კედელთან მდგარი ხის ჩარჩოები – ეტყობა, სახელოსნოში, მაგრამ ეს ხილვა მახსენებდა ძველი და ცუდად შემონახული ფოტოსურათის მონახევს.
პარკეტმაც კი სცადა, ხერხებისგან მომაკვდავი ტყე გამხდარიყო ისევ – და მოეყოლა თავის მკვლელებზე. ნებისყოფის დიდი დაძაბვით შევძელი მისი გაჩერება.

სამყარო შეიცვალა. და მერე როგორ!
ჩემი სიტყვებიდან შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ თავგადასავლები საინტერესო და მხიარული იყო. მაგრამ მე სხვანაირად განვიცდიდი მათ – თითქოს მყვინთავი ვიყავი, გარშემორტყმული აგრესიული თევზებით, რომლებადაც ირგვლივ მყოფი ყველა და ყველაფერი გადაქცეულა, გამონაკლისის გარეშე. თითოეულ თევზს უნდოდა შემოვარდნილიყო ჩემს გონებაში და გადაეყლაპა იგი. ამისთვის საკმარისი იყო, ყურადღება გარშემომყოფი ობიექტებიდან ნებისმიერზე შემეჩერებინა და ცოტათი დავმორჩილებოდი.
ფანჯარასთან მისულმა ეზოში გადავიხედე. იქ ხალხი დადიოდა – და მე რიგრიგობით შემოვუშვი ისინი ჩემში, ერთ წუთში იმდენი ემოცია განვიცადე (სხვათა შორის, საკმაოდ ერთგვაროვნები – ყველა ადამიანი ერთნაირი დაფებისგან არის შეკოწიწებული), რომ ამ მოკლე ტრიპის დასასრულს საერთოდ ვეღარ ვხვდებოდი, ვინ ვიყავი სინამდვილეში. ჩემი წარსული არაფრით განსხვავდებოდა მათი წარსულისგან – სხვაობა მხოლოდ ის იყო, თუ საით მქონდა მიმართული ყურადღება.
კიდევ რამდენიმე ცდა ჩავატარე უსულო საგნებსა (ეზოში მდგარი წითელი მანქანა, შორეული ეკლესიის გუმბათი, ნაგვის კონტეინერი, რის შემდეგაც, აღარ მომინდა ექსპერიმენტების ჩატარება) და ჩიტებზე (ჩემთვის ნათელი გახდა, ადრე ცხოველებს რატომ ეუბნებოდნენ უარს სულზე – ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ იმისგან, რაც მათ თავს ხდებოდა, მაშინ, როცა ადამიანები თავიანთ თავში ატარებდნენ განსაკუთრებულ, მოთუხთუხე სულს და არაფრით დაკავშირებულს გარემომცველ სამყაროსთან), მე საბოლოოდ მივხვდი, რომ სულაც არ მომწონს ეს ინფორმაციული ინიექციები.
ის კი არა, რომ ისინი ავადმყოფური იყო, არა, უბრალოდ, მეტისმეტად მომბეზრდა. ჩემში შემოჭრილი განცდები ყოველთვის ახალ-ახალი აღმოჩნდებოდა ხოლმე, ხმაურიანი და იმდენად ცხადი, რომ თითქოს თავში შუქხმოვანი გრანატა მიფეთქდებოდა.
საბედნიეროდ, შემეძლო წინააღმდეგობა გამეწია ამ

შემოჭრებისთვის, შემეკავებინა ჩემზე ყოველი მხრიდან მომართული უამრავი აზრის ალესილი პირი. შემეძლო, ამერჩია, რას გავყოლოდი და რას – არა. მაგრამ საკმარისი იყო, მოვდუნებულიყავი, თავდავიწყებას მივცემოდი – და წონასწორობა ირღვეოდა. მწვერვალებიდან ერთ-ერთი, თითქოსდა მთელი სამყაროს წნევის შემკრები, არღვევდა ჩემს დაცვას – და მე ვქრებოდი, ხან ხედ ვიქცეოდი, ადამიანის ძვლებში რომ იზრდებოდა, ხანაც ათასობით საბჭოთა ტრაკით ზედ ნაჯდომ ქვის სკამად, ზოგჯერ ნაგვის კონტეინერიდან თავამოყოფილ ჩექმად, რომელიც სავსე იყო თავისი მარტოხელა ქალბატონისა და მისი როტვეილერის საიდუმლოებებით.
უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, ვიდრე სამი საძილე აბის გაღეჭვა იყო – და მერე იმისი დალევა მაცივრის არყით («სმირნოვკა» აღმოჩნდა, გარუჯული პროდუქტი ოსი არყის ბარონებისგან, რომელთაგან ერთ-ერთმა თითქოსდა გაუპარსავი პირით მაკოცა სწორედ იმ მომენტში, როცა ჰაერს ვისუნთქავდი მოსმის შემდეგ). მერე საბანქვეშ შევძვერი, მოვიკუნტე და სამყაროს ნებისმიერ ცდას, შემოეღწია ჩემს თავის ქალაში მანამ უკუვაგდებდი, სანამ შავმა, სამედიცინო ძილმა არ ჩამითრია.
თავიდან ეს ძილი, უბრალოდ, ღრმა ორმო იყო, საფლავს ჰგავდა. მომწონდა შიგ წოლა, რადგან ჩემი გრძნობები გამოირთო და აღარ მაწუხებდა. მერე კი მესტუმრა ძალიან მკაფიო და ცხადი სიზმარი. მეტისმეტად მკაფიო – წამით არ მიეჭვია, რომ მომხდარს რეალობაში ვხედავდი.
დავინახე ნახევრად ბნელი ოთახი (რაღაც კლდეში გამოკვეთილი დარბაზივით), სადაც იდგა მაღალი ქვის ტახტი – მკაცრი ფორმისა, სამშვენისების გარეშე. ზედ იჯდა ადამიანის ცვილის ფიგურა. მასში იმწამს ვიცანი საკუთარი თავი – ცოტათი, სხვათა შორის, იდეალიზებული.
ცვილის თოჯინას მოპირდაპირედ, კედელზე, მინის სწორკუთხა მანათობელი იყო. მივხვდი, რომ ჩემ წინ სწორედ ის სარკეა, რომელთანაც ამდენი დრო დავყავი ნახევრად ლოტოსში, – მაგრამ მეორე მხრიდან მოჩანდა. იმ ნახევრად ჩაბნელებული სათავსიდან, საიდანაც ვიყურებოდი, მეჩვენებოდა, რომ მინის სწორკუთხედის მიღმა – თხევადი

სინათლის აუზია, ქვის დარბაზში რომ ისვრის მოცახცახე, გრილ ათინათს.
ჩემს ცვილის ორეულს აქეთ-იქიდან ორი ნიღბიანი კაცი ედგა. ნიღბები ვენეციურ ნახევარფაბრიკატებს ჰგავდა, საბოლოო შეღებვამდე – თეთრები იყო, უბრალო, სწორი სახეები რბილი ნაკვთებით, რაიმე განსაკუთრებული გამომეტყველების გარეშე. ამ უცნობებს გრძელი, ნაცრისფერი ქსოვილის მოსასხამები მოეხურათ, რომლებიც იდეალურად მოერგებოდა თანამედროვე ქირურგს, და ძველ ეგვიპტელსაც.
ისინი ჩემს ცვილის ასლს რაღაც უცნაურობას უკეთებდნენ. თავიდან, ერთმა თვალები ამიხვია ტილოს ფართო ლენტით. მანვე მიაწება ჩემი შუბლის ცენტრს დიდი, ღია თვალი. პროცედურის მეორე მონაწილემ ყელზე, ხვანჩის ქვემოთ, დამადო ცვილის სხვა ნახელავი – წითელი ნახევრად გახსნილი ტუჩები. მერე კი პირველმა ჩემს მზის წნულს ფერმკრთალი ცვილის ყური მიაწება. ყოველ ჯერზე, როცა მათი ხელები ეხებოდა ჩემს ორეულს, ვგრძნობდი შეხებას – შუბლზე, ყელზე და მკერდის არეში.
საქმეს რომ მორჩნენ, ორივე სარკისკენ მიბრუნდა, სინქრონულად თაყვანი სცა მას – და ასევე სინქრონულად თქვა:
–კიკლოპ!
მივხვდი – მე მომმართავდნენ, ხოლო სიტყვა «კიკლოპი» იმავეს ნიშნავს, რასაც «ციკლოპი». ეს, უბრალოდ, ძველებური წარმოთქმა იყო. მომეჩვენა, რომ ჩემს ყურამდე მოაღწია რაღაც უძველესმა ბგერამ, სამყაროში რომ მოდიოდა ტროას დროიდან – თუ უფრო შორიდან არა.
უკვე ვიცოდი, ვინ იყვნენ ადამიანები ნიღბებში, ეს იყო ამალა. მაგრამ ჯერ არ უნდა მეფიქრა მათზე, რათა ამაოდ არ შემეწუხებინა ჩემი აზრებით. ესეც ვიცოდი.
მერე იყო სიშავე.
რომ გამოვფხიზლდი (მეძინა მომდევნო დღის ლამის შუადღემდე), მივხვდი, რომ ჩემი პრობლემები არ დამთავრებულა.
რაზეა ლაპარაკი.
ზეწარზე, ჩემ წინ, ბალიშიდან გამოვარდნილი ბუმბული იდო. ჩვეულებრივი ბუმბული.
მისგან ასხლეტილმა ჩემმა გონებამ საძაგელსუნიან

მეფრინველეობის ფაბრიკაში ისკუპა და ამოყურყუმელავდა მის დირექციაში (სადაც არანაკლებ გაუსაძლისი სუნი იდგა, ოღონდ სხვანაირი) – და რამდენიმე უგუნური კულბიტის შემდეგ სხვათა გონებებში, გახსნა ერთი დავიწყებული, გახმაურებული მკვლელობა (და დაუსწრებლად – ამ მკვლელობის შემსრულებლის საიდუმლო: ძალიან წყნარად, გაგუდვით). ამის კვალდაკვალ ჩემს ცნობიერებაში კაკანითა და ყროლის სუნით შემოიჭრა რუსეთის ბიზნეს-თანამეგობრობის კორპორაციული საიდუმლოებების უმეტესობა, რომელთა ზურგშექცევა ნამდვილად ვეღარ მოვასწარი...
მაგრამ უკვე ვიცოდი, რა უნდა მექნა. ამ მხრივ მშვიდი და დარწმუნებული სიცხადე მქონდა, გამოტანილი სიზმრის სიღრმიდან. აღარ მახსოვდა, მომეჩვენა თუ ვინმემ ჩამაგონა ასეთი გადაწყვეტა – მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს ერთადერთი დარჩენილი გამოსავალი იყო.
ჩემთვის საჭირო იყო, სრულიად შემეწყვიტა წინააღმდეგობა და სამყაროსთვის საშუალება მიმეცა, აევსო ჩემი სული. აქედან გამომდინარე, არ უნდა უკუმეგდო ჩემს ცნობიერებაში შემოჭრილი აზრების მჭრელი პირები, არამედ შემომეშვა – ყველა ერთად. ვიცოდი, რა სახის ძალისხმევა დამჭირდებოდა. ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, როგორც ფარდულიდან წვიმაში გასვლა, ანდა ყინვის სუსხიდან შავად პირდაფჩენილ ყინულჭრილში გადახტომა.
სინამდვილეში არჩევანი არ მქონდა – სხვანაირად ჩემი სიცოცხლე აუტანელი გახდებოდა. ჩემი ხედვის არეში მოხვედრილ ნებისმიერ ბუმბულს შეეძლო ჩემთვის თავის ქალა აეხადა. მთელი ცხოვრება ყოველი მხრიდან მოპარულ გულახდილობებთან ვერ ვიფარიკავებდი – ისინი ქინძისთავების ბალიშად გადამაქცევდნენ.
უნდა გადამეწყვიტა. და მაინც დღის პირველი ნახევარი ეჭვებში გავატარე. მაცივარმა პანღური მითავაზა, სადაც საჭმლისთვის შევძვერი (არ ვიცოდი, რომ კორეული საამწყობო კონვეიერი ასე მიაგავს პროვინციული აეროპორტის საბარგო ლენტს, ხოლო აწყობაზე მომუშავე ადამიანები ფუნდამენტურად უბედურები არიან).
შხაპმა საშინელი სიმართლე დამადინა რაიონული წყალგამტარის მდგომარეობაზე (რის შემდეგაც გამიჩნდა

სურვილი, რომელიმე სხვა წყლით ხელახლა დამებანა). სააბაზანოს კარმაც კი მოასწრო ჩემთვის მოეყოლა, როგორ ლოთობენ ესპანური ავეჯის ფაბრიკების ულვაშა და წითელკანიანი ინჟინრები, რის გამოც არასწორად გამშრალი ლაქი წვრილ ბადეებად იბზარება.
ხაჭომ და ზეითუნის ზეთმა (არც მთლად ზეთისხილისამ და არც ძალიან იტალიურმა – ასი პროცენტით იტალიური იყო მხოლოდ მაფია, ტუნისიდან უსაბუთოდ რომ გადმოიყვანა ტანკერი კანოლათი
) ისეთი მტანჯველი და არცთუ ჰიგიენური გზა განვლეს ჩემს თეფშამდე, რომ არ ვიცოდი, როგორღა უნდა მეჭამა ისინი. ხოლო ჩაი... არა, ჯობდა არ მენახა, ვინ და როგორ აგროვებს გორებად.
საერთოდ, ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს სამყაროს აღარ რცხვენოდა ჩემი და საკუთარი თავის მოჭრა მაჩვენა. თავის მოჭრაც არა, უფრო – უსასრულო შერცხვენა: ჩემ წინ დადო სწორედ ის მრავალწევრი, რომელიც ასე აფრთხობდა, მახსოვს, მათემატიკით დაინტერესებულ წითელ კავალერისტებს. მაგრამ მათ ეს ანეკდოტში ემართებოდათ, მე კიდევ – რეალურად. უფრო მეტიც, მრავალწევრი მირტყამდა თავისი წამონაზარდებით ყოველი მხრიდან, საკმარისი იყო ოდნავ დამეკარგა სიფხიზლე.
ნათელხილვა ჯოჯოხეთი იყო. უნდა დავნებებულიყავი. ვხვდებოდი, უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იქნებოდა. ბოლო წამები ბრმა ნახტომის წინ ნამდვილად საშინელი იყო – ისინი ჰგავდა საფეხურებს, რომლებითაც ეშაფოტზე ავდიოდი. როგორც ნებისმიერ მოკვდავს, უკან მოხედვა მინდოდა – და აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი, რასაც ამ ქვეყნის დატოვებისას ვხედავდი, მაგიდის კუთხეში დადებული აიპედი იყო – ამერიკულ-ჩინური მწარე განწირულობით დატენილი, იმდენად, რომ საკუთარ თავზე დარდიც კი დამავიწყა.
და მე უკან მობრუნების ბოლო წერტილს გადავაბიჯე: გადავაგდე ჩემი უხილავი ფარი და სამყაროს საშუალება მივეცი, სრულიად ავევსე, ყოველი მხრიდან და ერთბაშად.
წინასწარმეტყველი
პოეტებიც ფლობენ ყოვლისცოდნისა და ნათელხილვის მაგვარ რაღაცას. მაგრამ ისინი არ უყურებენ სამყაროს თავიანთი

კოშკის ფანჯრიდან, წამოკოტრიალებული არიან პოეტურ ტახტზე, ჭერში იყურებიან, რომელსაც ეცემა მათთვის ესოდენ საყვარელი ჩამავალი მზის ანარეკლები. ამ მიზეზით ისინი ასახავენ ფანჯრის იქით მომხდარს ძალზე თავისებურად. მათ იციან, რომ ცაზე დაცურავენ ღრუბლები, მაგრამ მათი ფორმა და მოძრაობის მიმართულება არასრულად წარმოუდგენიათ. და უფრო მეტიც.
პუშკინს აქვს ლექსი «წინასწარმეტყველი».
გამოგიტყდებით, ბავშვობაში ამ ნაწარმოებს სერიოზულად არ ვეკიდებოდი, რაკი შეტანილი იყო სკოლის პროგრამაში – რომელშიც შედის, როგორც ყველასთვის ცნობილია, მხოლოდ თევზის ქონი, სასარგებლო, მაგრამ სრულიად უგემური. მაგრამ ამ ლექსთან მე მქონდა გამოკვეთილი კარმული კავშირი. მერვეკლასელმა, თემაში მისი ციტირებისას, დავწერე «ანგელოზების ფრენა გიჟური», ნაცვლად «ციური»-სა. ლიტერატურის მასწავლებელმა ეს ადგილი ახარხარებულ კლასს წაუკითხა და გესლიანად შენიშნა, რომ თემა იყო არა დოსტოევსკის შემოქმედებაზე, არამედ პუშკინზე – მაგრამ ცოტამ თუ გაიგო მისი სარკაზმი.
მე კიდევ სახლში ორიანი მინუსით მივიტანე და დედასგან სანუგეშო ამბავი მოვისმინე მისი ბავშვობიდან, როცა პუშკინიადის გამო შეიძლებოდა ტყის კაფვაზე მოხვედრილიყავი, თანაც დიდი ხნით: დედას თანაკლასელი, ებრაელი ბიჭი მიშა, ამ ლექსის დეკლამირებისას სკოლის «დილაზე», შეცდა და წარმოთქვა «და სერაფიმი ჯვარედინ გზასა ექვსქიმიანი გამომეცხადა» – ნაცვლად «ექვსფრთიანისა». ამის შემდეგ, საცოდავს, მთელი თვე კომკავშირის რაიკომებსა და ქალაქკომებში დაათრევდნენ და ფროიდული გამჭრიახობით იმ ხუთოსან წითურთმიან ბიჭში მომავალ რეფიუზისტსა
და სიონისტს ჭვრეტდნენ. შესაძლოა, სწორედ ამან გადააქცია მიშა დიდ ანტისაბჭოთა ელემენტად, გამარჯვებულ ემიგრანტად – და, ბოლოს, ტანკში გამომწვარ გვამად.
ჰოდა, ამ ლექსში არის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სტრიქონები. გმირი შემდეგნაირად აღწერს თავის ურთიერთობას ანგელოზთან:
თითებით მჩატით, ვითა სიზმარი,

ჩემსა თვალებსა შეეხო ისა,
გამეხსნეს წინამხედველნი თვალნი,ვით შეშინებულ დედა არწივსა.
მერედ ჩემთ ყურთ შეეხო ისა, –
ბგერით, გუგუნით აღმევსენ ყურნი
აქ ყოველი სიტყვა მართალია. თანაც საკვირველად ზუსტია განცდათა თანამიმდევრობაც, მათი შინაარსიც. გაუგებარიც კია, საიდან გაიგო ეს ყველაფერი პოეტმა.
როგორც კი წინააღმდეგობა შევწყვიტე, რაღაც შეეხო ჩემს თვალებს. თითქოს უმტკივნეულოდ მომაჭრეს ქუთუთოები – და მე აღარ შემეძლო თვალების დახუჭვა და არდანახვა. მაგრამ ის, რასაც ვხედავდი, ნორმალურ ადამიანურ გაგებაში არანაირად არ ჯდებოდა. ეს მიაგავდა ციმციმს, მხედველობის ნერვისგან რომ მოდის, თვალების დახუჭვისას, მაგრამ – ბევრად გაძლიერებულს.
ასე შეიძლება გამოიყურებოდეს აბსტრაქტული მულტიპლიკაცია დაჩქარებული გადახვევისას. მე არანაირ «საშინელებებს» არ ვხედავდი – საშინელება ის იყო, რომ ამ სანახაობას ვერსად გაექცეოდი. არ შემეძლო სიბნელეში მივცემოდი თავდავიწყებას. გეგონება, მომაგლიჯეს ბამბის სქელი საბანი, რომლის ქვეშ ოდესღაც ჩავისახე, დავიბადე და გავიზარდე – და სამუდამოდ გამომაღვიძეს.
მერე წნევამ ყურებში გადაინაცვლა. და აქ პუშკინმა იმდენად ზუსტად თქვა, რომ მის სიტყვებს თითქმის ვეღარაფერს დავამატებ. ხმაური და რეკვა, დიახ.
ხმაური გუგუნს ჰგავდა, ზღვის ნიჟარაში რომ გაისმის, როცა ყურთან მიიტანთ. ოღონდ ის გაცილებით ხმამაღალი იყო და ბასისმაგვარი, თითქოსდა ნიჟარაში მართლა ღელავდა ზღვა. ამ მსხვრევად, დაბალ ხმაში აღწევდა სხვა, ნაზი და მელოდიური: თითქოს ბრინჯაოს ნატიფი მექანიზმის, პატარა კბილანებისა და ბარბაცას წკარუნი – თანაც იმ სივრცეში მექანიზმები მრავლად იყო, და ერთიმეორეზე განსხვავებული: ყველა წიკწიკებდა სხვადასხვა სიჩქარით. წკარუნი საკვირველად აზრიანი ჩანდა – მე ის თითქმის მესმოდა, ძველ ენასავით.
მერე მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რასაც პუშკინი არ ახსენებს. ჩემი თვალებისა და ყურების წნევამ კეფაში გადაინაცვლა და თითქოს ჩატეხა იგი, რბილად ჩაჭყლიტა ჩემი თავის ქალა

ცენტრამდე – და ჩემი ტვინის დანაწევრებული (მანამდე არ ვიცოდი, რომ ისინი დანაწევრებული იყო) რაღაცები გამოიბურცა, ერთმანეთთან შეერთდა და თითქოს გაჩხაკუნდა კიდევაც, მკვიდრად ჩაეჭიდა ერთიმეორეს.
მესმის, რამდენად უცნაურად ჟღერს ეს, მაგრამ სწორედ ასე მოხდა. და ჩემთვის გასაგებია, რატომ დუმს პუშკინი: სცადე, აბა, და იპოვე ამისთანა შინაგანი ტკაცუნისთვის მარჯვე შედარება (მხოლოდ ინგლისური საკეტი მომდის გონებაში – მაგრამ მას ხომ ჩვენი რუსი წინასწარმეტყველის თავს ვერ შეადარებ, კონსპიროლოგები გაწვალდებიან). ასე რომ, პრეტენზიები პუშკინთან არა მაქვს. მაგრამ მაინც, ჩემი აზრით, არ ღირს ლექსების გამოყენება «ეპოქის სარკედ» – პოეტები ხშირად ბოლომდე არ ამბობენ სათქმელს.
და, აი, პუშკინის მიერ გასაიდუმლოებული ტკაცუნის შემდეგ მოხდა კიდეც ყველაზე საინტერესო. ის წარმოუდგენელი, მკვეთრი, სწრაფი და ჭრელი, რაც თვალში მეჩხირებოდა, უცებ შეუერთდა იმ ზარსა და გუგუნს, ყურებში რომ მედგა – და ერთი მთლიანი რომ გახდა, რამდენიმე წარმოუდგენელი პულსაცია განახორციელა, რომელთაგან თითოეულმა მაიძულა მოვმკვდარიყავი და აღვმდგარიყავი სინათლეში და გრუხუნში (არც ვცდილობ ამ ყველაფრის დაწვრილებით აღწერას, ჩვეულებრივი ადამიანი, სანამ ამის აღქმას შეძლებდეს, გაცილებით ადრე გაითიშება).
მერე კი, მილიარდი წლის შემდეგ, როცა უკვე მოვასწარი დამევიწყებინა, ვინ ვარ (უფრო სწორად, როცა მოვასწარი გამეხსენებინა, რომ ეს არც არასოდეს მცოდნია), ყველაფერი ისევ ერთ მთლიანობად იქცა.
პირველი, რაც ვიგრძენი, შვება იყო.
ჩემმა გეგმამ იმუშავა – იძულებითი ნათელხილვის მიერ გამოწვეული ტანჯვა გაქრა. შიგნით შევარდნილმა ყოვლისმცოდნეობამ საკუთარი თავი თითქმის ამოწურა, ჩემზე გარედან მომართული წნევა ისეთივე შიდა წნევით გააწონასწორა. ნავმა მიიღო ბალასტი და გადაბრუნების რისკი აღარ ჰქონდა. ახლა შემეძლო, მშვიდად მეცქირა აქეთ-იქით, არ შემშინებოდა დამიზნებული ისრების და სტილეტებისა.
მაგრამ ერთი პრობლემის ადგილას მეორე გაჩნდა.
არსებობს ასეთი ვიზუალური შარადები: ფურცელი

აჭრელებული ზიგზაგებით და ლაქებით, და მსგავსი მინაწერი: «მოძებნეთ ნახატზე ახალგაზრდა ქალი მარაოთი». როცა იმ ახალგაზრდა ქალს პოულობ, გაუგებარი ხდება, რატომ თავიდანვე არ ჩანდა – და უკვე შეუძლებელია, ვეღარ დაინახო. აი, მეც რაღაც ეგეთი დამემართა, ოღონდ მარაოიანი ქალის ნაცვლად, ჩემს გონებაში მთელი სამყარო შემოიჭრა – რამდენჯერმე შეირხა და გაირინდა.
ამასთან ის, რაღაცნაირად, მე მეყრდნობოდა. თითქოს მთელი სამყარო დახატული კერძი იყო, რომლის ფსკერი კონუსის წვერზე ბალანსირებდა – და ის კონუსი ჩემი გონება გახლდათ. მერე როგორ აქვს პუშკინს?
და მსწრაფლ მომესმა მე თრთოლა ცისა,
ანგელოზების ფრენა ციურნი,
აღმოცენება ველზე ვაზისა,
და ზღვის ქვემოძრომთა წყლის ქვეშე დენა.
კვლავ ყველაფერი სწორია.
ოღონდ უნდა გავშიფროთ, რა ჰქონდა პოეტს მხედველობაში. მე შევიგრძენი სამყარო, როგორც უშველებელი არამდგრადი წონასწორობა. მას ზედ ედო თითქოს ორი სხვადასხვა ნება, ორი განსხვავებული აზრობრივი ნიშანი – ედო ისეთი ძალისხმევითა და სიმძლავრით, რომ «ცა» ზანზარებდა სინამდვილეში. რეალურად, რასაკვირველია, სამყაროში არსებობდა წარმოუდგენელი რაოდენობის ნება, ყველანაირი მიმართულებისა და სახეობის. და თითოეულს არაფრის გაგონებაც არ უნდოდა დანარჩენებზე. თუმცა ერთად ისინი ერთიმეორის დამამსხვრეველ ორ ნაკადს ქმნიდნენ.
ერთ-ერთს სურდა, ყოფილიყო. მეორეს – არ უნდოდა ყოფნა. ანდა, შესაძლოა, უფრო სწორია, – უნდოდა, არ ყოფილიყო. ისინი ერთმანეთს სასიკვდილოდ ეომებოდნენ, ერეოდნენ, წვავდნენ და ყინავდნენ – და კვლავ ჩნდებოდნენ ერთიმეორისგან, საკმარისი იყო ერთ-ერთის შესქელება. მოკლედ, თუკი თქვენ დაინახეთ ჩინური ნიშანი «ინ-იანი», კოსმოსურ ლანგარზე სწორედ ის იყო დახაზული.
და ზემოდან კი ემატებოდა ზღვები და მთები, ცა ვარკვლავებით, ტყეები და მდინარეები – და მათში მცხოვრები მირიადი არსება. მერე კოსმოსი იწყებოდა, ის ვრცელდებოდა ყველა მიმართულებით და მოწყობილი იყო სწორედ ისე, როგორც

სკოლაში გვასწავლიან – მაგრამ მე მაშინვე ვიგრძენი მისი, როგორ ვთქვა, არასავალდებულობა.
სამყარო, რომელიც დამატყდა თავს, სინამდვილეში სრულიად ბიბლიური აღმოჩნდა. ის შედგებოდა წყლისგან და ხმელეთისგან, და მართალია, ისინი ეშმაკურად მოღუნულიყვნენ დედამიწის სფეროში, დედამიწა, საეკლესიო ბნელეთის მოციქულების სწავლების შესაბამისად, იყო ბრტყელი, რადგან ცნობიერება, დამყარებული ამ ხმელეთზე, მას სწორედ სიბრტყედ აღიქვამდა; ხოლო ბურთივით მრგვალი მხოლოდ მაშინ შეეძლო გამხდარიყო, როცა ფეხებქვეშ გამოგეცლებოდა და ცისფერ ათინათად გამოჩნდებოდა კოსმოსური სადგურის ილუმინატორში. მაგრამ ილუმინატორში ცისფრად მოჩანდა არა მყარი მიწა, არამედ მისი ვიზუალიზებური კონცეფცია.
სამყაროს ცენტრი მართლა დედამიწა აღმოჩნდა. ხოლო მზე, ვარსკვლავი, გალაქტიკა, კვაზარი და სხვა შავი ხვრელები მხოლოდ სამყაროში არსებული შესაძლებლობა იყო, და ჩემგან რაც უფრო შორს მდებარეობდა ეს შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებად რეალურად გამოიყურებოდა.
შესაძლოა, მთლად მეცნიერულად არ ვლაპარაკობ – ანუ სრულიად მეცნიერულად – მაგრამ მე, უბრალოდ, ვცდილობ, აღვწერო რეალობა ისე, როგორც ვიგრძენი, როცა კიკლოპი გავხდი. როგორც ჩანს, ასევე გრძნობდნენ მას წინანდელი კიკლოპები, რის გამოც ადამიანური ნათელხილვა არასოდეს შედიოდა კონფლიქტში სამყაროს ყველაზე ობსკურანტულ სურათთან.
ჩემი სამყარო საგნებისგან კი არა, მერყევი, მუდამ ცვალებადი ალბათობებისგან შედგებოდა. და თუკი იატაკის ალბათობა ჩემ ფეხებქვეშ იყო ასპროცენტიანი (მინუს რაღაც გაქრობადი სიდიდე, რომლის დავიწყებაც შეიძლება), მაშინ დაუსრულებელ კატასტროფათა ალბათობა სივრცეში, სასწაული ჩანჩქერებით რომ მიისწრაფოდა უკან, დროის საწყისისკენ (ასე ვიგრძენი ყველაზე ძველი და შორეული კოსმოსური ობიექტები), იყო ნულოვანი (პლუს რაღაც გაქრობადი მცირე სიდიდე, რომლის დავიწყებაც, ასევე, შესაძლებელია).
ალბათობა, რომელზეც მე აქ ვლაპარაკობ, – პირწმინდად ყოფითია, ცხოვრებისეული და პრაქტიკული. არ არსებობდა

ხერხი, რომ გეგრძნო ამ კოსმოსური ნატურებიდან ნებისმიერი, არა როგორც უზუსტესი მანათობელი ცაში და ღვთიური დიზაინის ელემენტი (თუნდაც გრძელი ტექპასპოტით), არამედ როგორც რაღაც სხვა. მსგავსი ობიექტი ჩემს სამყაროში კი არა, მის ჰიპოთეტურ წარსულში არსებობდა, იქიდან მოფრინავდა სინათლე – ესე იგი, ის იყო დინოზავრის ჩონჩხისმაგვარი, ცაზე მიდღაბნილი სილამაზისთვის.
სინამდვილეში, ეს ყველაფერი სრულიად არარეალური იყო – თუმცა არარეალურობის ელემენტები შეუმცდარად და ზუსტად შეესაბამებოდა ერთმანეთს, და იმ გაქვავებული ნათებების ამოსახსნელად მთელი ცხოვრება არ ეყოფოდა. ის, რაც კოსმოსზე გავიგე, შეიძლება დავაფორმულიროთ ასე: ნამარხი კოსმოსური ობიექტების რეალურობა უკუპროპორციულია ამ ობიექტებამდე მანძილის კუბისა.
შესაძლოა, კვადრატისა. უბრალოდ, კუბი უფრო მომწონს, რაკი მეტი სარგებელი მოაქვს ყოფაში. რამეთუ რეალობა, როგორც უწყის ნებისმიერმა ობივატელმა, ისაა, რასაც შეიძლება ოდესმე შეეჯახოთ.
მორჩა, აღარავითარი დათმობა მეცნიერულ მსოფლმხედველობას. უცებ მივხვდი: რელიგიური ბნელეთის მოციქულები მართლები იყვნენ, და თავიდან ღმერთმა თავის წინ დაინახა შავი სარკე თავისივე გამოსახულებით, მერე მასზე ჭავლმა გადაიარა და ის იქცა წყლად, მერე შეიქმნა ხმელეთი – და ამის მერეღა დახატა მან ამ სამყაროს თავზე მთელი ცის სფერო მისი კანონებით, ისტორიით, სინათლის სიჩქარით, წითელი მინარევით, ცისფერი გამოსხივებითა და ნობელის ლაურეატების მუმიებით, მარადიულად რომ მიფრინავენ ალცჰაიმერის ნისლეულში, ჩამქრალი გონების ამობრუნებულ სივრცეში. თანაც ისე დახატა, რომ დედამიწა უბრალო მტვრის ნამცეცი შეიქნა ამ ნაკადში.
ჩვენი ღმერთი (თუკი ის არის) ფიზიკოსი არაა.
ღმერთი უფრო მხატვარია – და დიდი ხუმარა. თუ არ ვიტყვით, რომ – ხულიგანია ჯგუფიდან «ვოინა»
, რომელმაც იმიტომ შექმნა სამყარო, რათა მისთვის უცენზურო სიტყვა მიეწერა.
ამასთან მისი ხუმრობებიდან თითოეული განუსაზღვრელად სერიოზული ხდება იმათთვის, ვისაც მისი შეცნობა უნდა

ფიზიკით – და ამაში, მე ვიტყოდი, ჩადებულია განსაკუთრებით დაუნდობელი სარკაზმი. იმიტომ, რომ მისკენ წასვლა შეიძლება ფიზიკის კარიდან. აი, ოღონდ იმ კარის სახელურამდე მისაფრენად თხუთმეტი მილიარდი წელიწადი იქნება საჭირო, და ისიც – თუკი შევძელით სინათლის სიჩქარით გაქანება. უფრო მეტიც, ღმერთი მხოლოდ ხუმარა კი არაა, თავად არის ხუმრობა. რამეთუ რეალობაში – იმაში არა, ამ შავ პლანეტარიუმში რომ ანათებს ჩვენს თავებზე, არამედ ნამდვილში, რასთან დამოკიდებულებაშიც მთელი ხილული სამყარო მხოლოდ მერყევი ჩრდილია, იბუშტება აღმოცენებული და გამქრალი სამყაროების უამრავი რაოდენობა, და ყველას თავისი ღმერთი ჰყავს, თითოეულზე აღმართულია შავი ბალდახინი საკუთარი კოსმოსისა, საკვირველად ძველი ნაკერით, და ამ ნაკერებში არ არის ორი ერთნაირი.
და საქმე ის კი არ არის, როგორაა მოწყობილი კოსმოსი და ჩასმულია თუ არა ღმერთი, არამედ ის, რომ ნებისმიერი ამისთანა ყოვლადძლიერი და ყოვლისშემძლე ღმერთი – ეს, თუკი საკუთარ თავს უფლებას მივცემ, პოეტურად ვისარგებლო თანამედროვე სამეცნიერო ჟარგონით, უბრალოდ, მეფუკაა მიკროსკოპიული ალბათური ბუშტისა, საიდუმლოდ რომაა გაბერილი სამყაროს სამგანზომილებიან ზომებამდე, რომლის საერთო ენერგია-მასა ნულს უტოლდება. ასეთი ღმერთების უსასრულო რიცხვი და მათგან შექმნილი სამყაროები ჩნდება და ქრება თითოეულ კუბურ სანტიმეტრში ყოველწამიერი შანსით, და ნებისმიერ ბუშტში დამალულია თავისი არალეგალური მარადიულობა. იეჰოვათა და მათგან გაჩენილი კოსმოსების უსასრულო მწკრივი, და ყოველი იეჰოვა ერთადერთია, და ყველა გამაყრუებლად ხარხარებს. მაგრამ საკმარისია, ცოტა მოვუჭუტოთ თვალი, და მათგან არც ერთი აღარ არის.
ყველა მარადიულობა და მათი მფლობელები მიდიან ერთი, მიუღწეველი გზით – მაგრამ მე უფლება არა მაქვს, ჩემი მხედველობის ფოკუსში მოვაქციო იგი, და ცნობიერების პერიფერიაზე სუსტად განათებული ვარაუდი ამ გზის არსებობაზე არის კიდევაც ის ერთადერთი ხერხი, რომლითაც ის შეიძლება იქნეს შეცნობილი.

მაგრამ ეს, უბრალოდ, დახატულია – ცაში, ხოლოთუ სამყაროში მნიშვნელოვანია ის, რაც ახლა და აქ ხდება. დანარჩენი – დეკორაციაა.
სამყარო არსებობს ჩვენში, და მხოლოდ ჩვენში.
ყველა გალაქტიკა და კვაზარი, შერევა და ხვრელები, ანგელოზები და ღმერთები სადღაც იქ კი არა, – არამედ სადღაც აქ არიან.
თუ ადამიანი აღარ იქნება, აღარც მისი სამყარო იარსებებს. შეიძლება, იყოს სხვები, მაგრამ უკვე ჩვენთან აღარ და არა ჩვენთვის.
ამ ყველაფერმა წამის მეასედში გაიარა ჩემს შერყეულ გონებაში – და მე გავიცინე, მერე ავტირდი, შემდეგ ისევ სიცილი დავიწყე. სწორედ ეს იყო კიდევაც ცის შებარბაცება.
ანგელოზების ფრენა ციურნი,
აღმოცენება ველზე ვაზისა,
და ზღვის ქვემოძრომთა წყლის ქვეშე დენა.
დიახ, დიახ. სრულიად რეალურ, მაგრამ დეკორატიული კოსმოსის ქვემოთ განისვენებდა სამყაროს ლანგარი – დიდი ინ-იანი, რომელზეც მე უკვე ვილაპარაკე. მისი ერთმანეთთან მებრძოლი ძალები ცოცხალი იყო: ისინი შედგებოდა ერთმანეთზე დაყრდნობილი ნებებისგან, უსაზღვროდ ძლიერებისა და ძლივს საგრძნობისა – დაწყებული ღმერთებიდან და დამთავრებული ერთმანეთის მჭამელი ინფუზორიებით, და ამ ნებებიდან ყოველი, როგორი პატარაც უნდა მოგვჩვენებოდა, შეიცავდა საკუთარ თავში შებარბაცებულ ცას.
ყველაზე გამაოგნებელი სწორედ ამაში იყო. იმაში, რომ ნებისმიერი «აღმოცენება ველზე ვაზისა», რაზეც ჭიანჭველაც კი არ დაფიქრდება, შეიცავდა საკუთარ თავში წარმოუდგენელ ბრძოლას სამყაროს დიდებული ანგელოზებისა და ასეთივე დემონებისა. ის იყო თითქოს გამორიცხვა ქვედა უფსკრულისა ზედასგან – და სულ მცირე სხვაობა მათ შორის და ამით ხდებოდა «აღმოცენებული». იგივე ეხებოდა ყველაფერ ცოცხალს.
და როცა რომელიღაცა მარტოხელა, ღარიბი და ყველასგან დავიწყებული დედაბერი ტირის თავის ბუდრუგანაში, მოწიწებით მივხვდი, მთელი ის ვრცელი უსასრულობა კრთება

და ტირის მასთან ერთად, და ამაშია ყველაზე საოცარი და ჭეშმარიტად ღვთიურად საშიში.
მე ვერ ვიგებდი, რატომ შემოვიდა ეს ძალა ჩემს სულში, მაჩვენა ის, რაც, ალბათ, არ უნდა იცოდეს ადამიანმა. მერე კი სამყაროს ბალანსი, რომელიც მე მქონდა ჩემი გონების ლურსმანზე, ცოტ-ცოტა გადანაცვლდა, და მე მივხვდი.

დარტყმა ქოლგით

დიდ კოსმოსურ ლანგარზე ხშირად ხდებოდა – ან, უფრო სწორად, იბერებოდა, იმუქრებოდა, რომ მოხდებოდა (თავიდან ვერც კი ვიგებდი, რომ მომავალს ვხედავდი) – რაღაც მოვლენა, სამყაროს აგებულების საერთო წესრიგს რომ არღვევდა. თავდაპირველად ეს შემთხვევა გამაოგნებელი მეჩვენებოდა, მაგრამ, რომ დავფიქრდი, აღარ გავუოცებივარ. ნებისმიერი წონასწორობა ხომ, დარღვევისას, ერთ კონკრეტულ მხარეს გადაინაცვლებს, ერთ მხარეს – და არა ერთდროულად ყველა მიმართულებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც უცნაურად გამოიყურებოდა.
წონასწორობა, რომელზეც მე ვლაპარაკობ, ფიზიკური არაა, სწორედ იმ უამრავი ცოცხალი ნების ბალანსია, ადამიანური სამყაროს მთელ მრავალფეროვნებას რომ ქმნის (საბედნიეროდ, რეალობის სხვა სფეროებზე პასუხს არ ვაგებდი).
ადამიანური სამყარო ჯერ კიდევ არსებობს იმიტომ, რომ საკუთარ მიზნებს გამოდევნებულ ადამიანთა ეგოისტური და უგუნური ქმედებანი, გასაოცრად და, ერთი შეხედვით, ანეკდოტურად ანეიტრალებს და აკომპენსირებს ერთიმეორეს. ჩვენი ისტორიის ნაკადი თავისი მიზნებისკენ მოძრავი «სუბიექტების» გააზრებული ქმედებებისგან კი არ შედგება, არამედ მირიადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გადახლართვისგან, დაუსრულებლად დღიური, სრულიად უაზრო თავისი სიჭრელით – მაგრამ მართული ცხოვრების დინებით. და ამ კავშირებში (ინდუსები კარმას ეძახიან), მიუხედავად მთელი მათი უაზრობისა, უმცირესი შემთხვევითობაც კი არაა, რადგან ისინი ავითარებენ და აგრძელებენ იმ იმპულსს, რამაც ოდესღაც დასაბამი მისცა სამყაროს.
მაგრამ ყოველი რთული სისტემა ხანდახან ურევს და ირღვევა.

საბედნიეროდ, გამოსწორება ყოველთვის შეიძლება – ისევე, როგორც ველოსიპედით ან ციგურებით სეირნობისას რომ ვინარჩუნებთ წონასწორობას.
მე ვგრძნობდი ადამიანური სამყაროს ნატიფ ბალანსს დაახლოებით ისე, როგორც ცირკში, გაჭიმულ თოკზე მავალი ჯამბაზი, ცხვირით რომ ტროსტი უკავია და კეგლებით ჟონგლიორობს – ოღონდ ჩემს ცხვირზე მთელი ცირკი იდგა და მაყურებელი კი არ მიცქეროდა (ისინი ჩემს არსებობას არც კი ვარაუდობდნენ), არამედ მე ვუყურებდი მათ. როცა წონასწორობა ოდნავ დაირღვეოდა (ასე თითქმის ყოველდღე ხდებოდა), ჩემი ყურადღება მაშინვე მიემართებოდა დარბაზის იმ ადგილისკენ, სადაც ეს მოხდა, ხოლო დანარჩენ მაყურებელს ჩრდილი ფარავდა. ვხედავდი, რა უნდა გამეკეთებინა, თუნდაც მოვლენის არსში არ გავრკვეულიყავი. შევეცდები აგიხსნათ, რას ვგულისხმობ, პირობითად, თუმცა ყველასთვის გასაგებ მაგალითზე (ჩემი ჩარევის რეალურ შემთხვევებზე, სამწუხაროდ, არ შემიძლია ლაპარაკი სამსახურებრივი კოდექსის მიხედვით).
არსებობს კინოკომედიები (და საშინელებათა ფილმებიც), რომლებშიც ძალიან გრძელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იკვეთება. მაგალითად, კიევური აივნიდან გადაგდებული ნამწვი საყელოზე ეცემა სოტნიკ
გავრილოს, რომელიც ქუჩაზე გადადის. ამ შემთხვევაში სახელიც პირობითია: ილფთან და პეტროვთან, მახსოვს, რომელიღაც გმირი წერდა «გავრილიადას» – პოემას პირველი მსოფლიო ომის უსასრულო მრავალფეროვნებაზე. ჰოდა, აი, მეც მანდ ვარ.
გავრილო ჩერდება და იწყებს კამუფლიაჟის გაწმენდას. მას ეჯახება ქუჩის კუთხიდან გამოვარდნილი სატვირთო მანქანა, ბორბლებით, გავრილო იმ საღამოს ვეღარ გამოდის მაიდნის ტრიბუნაზე, იანუკოვიჩი კიდევ ერთი წლით ინარჩუნებს თავის «ოქროს ბატონს»
, ყირიმი უკრაინას რჩება, ობამა არ უწოდებს რუსეთს რეაქციის რეგიონულ ბასტიონს, და ისტორიის ყველა დარჩენილი ბორბალი, დიდიც და პატარაც, არ მოდის მოძრაობაში. თუ საით გადაინაცვლებს მსოფლიოს წონასწორობა, დამოკიდებულია იმაზე, ნამწვი საჭირო მომენტში დაეცემა თუ არა სოტნიკს.

წარმოვიდგინოთ, რომ მსოფლიოში შექმნილი დისბალანსის გამო, აივანზე მდგომ მწეველს, რომელსაც თებერვლის ქარში სიგარეტი თითქმის ფილტრამდე დაუყვანია, რევოლუციურ საქმეებზე წასულმა ცოლმა უნდა დაურეკოს, რის გამოც მწეველი სიგარეტს აღარ ჩაწვავს ბოლომდე და საკმაოდ ადრე გადააგდებს აივნიდან.
მწეველის ცოლი, რომელიც მზად არის საბედისწერო ზარისთვის, სინამდვილეში, ნათლის მეომრებისთვის ღვეზლების გამოსაცხობად კი არ წასულა, როგორც ქმარს მოატყუა, – სხვა სართულზე დაეშვა და ახლა ტერნოპოლიდან ჩამოსული აქტივისტი ჟიმავს. ამ აქტივისტს ჯერ კიდევ შეუძლია გადაარჩინოს სლავი ხალხების ძმობა, თუკი პროცედურას ნახევარი წუთით გვიან დაასრულებს და ზარი დაიგვიანებს...
მაგრამ ამისათვის მწეველის ცოლი ნაკლებად მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს – თვალის ქვეშ უნდა ჰქონდეს ტონალურით შეგლესილი ჩალურჯება... რომელიც სამი დღის წინ დაასვა მავნე მოქალაქე ქალმა, უკრაინის ისტორიაში სიმონ პეტლიურას როლზე კამათისას, მეტროში... მაგრამ ამისთვის მავნე ქალს თან უნდა ჰქონდეს მძიმე ქოლგა, ლურჯი სახელურით, სულაც რომ არ სჭირდება ნორმალურ ადამიანს თებერვალში.
და ასე შემდეგ, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე – მსგავსი კავშირები დაუსრულებლად შორს მიდის წარსულსა და მომავალში.
როცა ვგრძნობდი, რომ სამყაროს მყიფე ბალანსი მზად იყო დასანგრევად, აუცილებლად მიმაჩნდა, რაც შეიძლება ადრე აღმომეჩინა და შემესწორებინა ხარვეზი. მაგალითად, იმ მომენტში, როცა ქუჩაში გასასვლელად მომზადებული მავნე ქალი ქოლგას უყურებს და ფიქრობს: «წავიღო თუ არა?»
არ მჭირდებოდა იმის ცოდნა, თუ რად უნდოდა ქოლგა თებერვალში. არ უნდა გავრკვეულიყავი სოტნიკის პოლიტიკურ შეხედულებებში ანდა ჩავწვდომოდი აივანზე მდგარი მწეველის დამოკიდებულებას ცოლთან. არაფერში მჭირდებოდა, გამერკვია, როგორი ქალები მოსწონს ტერნოპოლელ აქტივისტს. უცაბედი ინსტინქტის დონეზე დაპრესილი არსის ცნობა მიმითითებდა: მავნე ქალი ქალაქ კიევში ფიქრობს,

წაიღოს თუ არა ქოლგა – და ამის გამო მომავალში შეიძლება ბევრი მოულოდნელობა მოხდეს. თუკი ქოლგას ხელჩანთაში ჩაიდებს, სამყარო ასეთი იქნება, თუ არა და – სულ სხვანაირი. შეიძლება, სისტემა აირიოს სწორედ ამ მომენტში. ხოლო მისი შესწორება შესაძლო იყოს მერეც, ათასნაირი სხვადასხვა მეთოდით: ტერნოპოლელი აქტივისტის მიმართულებით, მწეველის მიმართულებით, სატვირთოს მძღოლის მიმართულებით და ამ ამბავში გადახლართული მრავალი ტრაექტორიითა და მარშრუტებით, თავად სოტნიკ გავრილოს ჩათვლით. შესაძლებლობების მთელი კუნძულები ჩნდებოდა მომავალზე მომართულ ჩემს გონებაში. მათ ფენებად და ფრაქციებად ვხედავდი – ისინი იყოფოდნენ მძიმეებად და მსუბუქებად. მსუბუქები მათ შემდეგ პატარა ტალღებსაც არ ტოვებდნენ – ხოლო მძიმეები და უხეშები ქმნიდნენ ახალ პრობლემებს, რომლებიც კვლავაც გადასაწყვეტი იყო – «ტალღის ჩაქრობა», როგორც შევარქვი.
მე არაფერი ვიცოდი ქოლგის კავშირზე ყირიმთან – თუმცა, სურვილის შემთხვევაში, შემეძლო თვალყური მედევნებინა ყველა მიზეზშედეგობრივი გადასვლისათვის. მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ. მე მხოლოდ ვგრძნობდი ინსტინქტით, რომ ყველაზე იოლი იყო სამყაროს წონასწორობის გაფრთხილება, ცოტას თუ წავიმუშავებდი ჩემთვის ამ სრულიად უცნობ ქალთან და მის ქოლგასთან. საჭიროების გარეშე არ ვიყურებოდი მომავალში, რამეთუ ყველაფრის ცოდნა მტანჯველი იყო. სადამდე, ამისი გაგება მხოლოდ სხვა კიკლოპს შეუძლია. საყოველთაოდ ცნობილი მეტაფორებიდან, რომლებიც ამაზე გვაძლევს წარმოდგენას, მახსენდება ძველი საშინელების გმირი «აჯანყებულნი ჯოჯოხეთიდან» – დემონი, რომლის თავი და სახე დაფარული იყო პატარა, წვეტიანი ლურსმნებით, კანიდან რომ გამოდიოდა. ისინი, ალბათ, დაუჯერებელ ტკივილს იწვევდა ყოველ შეხებაზე. თუკი ეს ლურსმნები კანიდან კი არა, გაშიშვლებული ტვინიდან იქნებოდა გამოჩრილი და ელექტრულ სადენებზე მიერთებული, უფრო ზუსტად გამოვიდოდა.
ჩემი ნიჭი მოჭარბებული იყო. მე შემეძლო ჩავმძვრალიყავი სატვირთოს მძღოლში, მწეველში, მის ცოლში, მავნე ქალში – მაგრამ ეს იგივე იქნებოდა, რაც უშველებელ თივის ზვინში,

ქინძისთავის პოვნის შემდეგ, თითოეული ღერის გადარჩევა, თანაც, მაშინ, როცა ჩემი რადარი თივაში ახალ-ახალ ნემსებს პოულობდა, რომლებიც უნდა ამომეღო.
ამიტომ ჩემს ყოვლისმხედველ თვალებში მაშინვე თავისებური კოჟრები ამომივიდა. ადამიანის თვალს აქვს «ბრმა ლაქა» – მხედველობითი ნერვის მოპირდაპირე ზონა, რომელიც თვალით არ აღიქმება. მე ამ ლაქებივით მსგავსი განმივითარდა. ის მთელ შესაძლებელ მხარეს ფარავდა – გარდა იმ ნაწილისა, სადაც მსოფლიოს წონასწორობა დარღვევით იმუქრებოდა. შემეძლო, ყურადღება არ მიმექცია დანარჩენისთვის. და რომ არა ეს საბედნიერო გარემოება, ჭკუიდან გადავიდოდი.
მე ვგრძნობდი მომავალ დისბალანსს, როგორც მსოფლიო ლანგარზე გაჯირჯვებულ მღიერ-მუწუკს და ჩანასახშივე ვსპობდი, მაგრამ მღიერი ცოტას მოიცდიდა და ახალ ადგილზე გამოხეთქავდა ხოლმე.
შეიძლებოდა ჩაგეთვალა, რომ ყოველი მღიერი სხვადასხვაა, მაგრამ რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ეს ერთი და იგივე მოხეტიალე რღვევა იყო და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილის სიმყარეს უმოწმებდა.
ამიტომ, მიუხედავად ჩემ მიერ განცდილი ხილვების მთელი გრანდიოზულობისა, პრაქტიკულად, საკმაოდ მოკრძალებული ფუნქცია მქონდა. მეტიც, პასუხს ვაგებდი არა მთელ სამყაროზე, და თუნდაც მთელ ადამიანურ სამყაროზე, არამედ მხოლოდ მის მცირე უბანზე, გეოგრაფიულად რუსულენოვან ტერიტორიებს რომ ემთხვეოდა («სიტყვა», რომელზეც ახლა გიამბობთ, როგორღაც დაკავშირებული იყო ენასთან – აქ ჩემი კეთილი შეგონებანი უკეთ ესმოდათ).
მაგრამ ზოგჯერ მიხდებოდა იმ დამახინჯებების გამოსწორებაც, რაც ამ საზღვრების მიღმა წარმოიქმნებოდა, რის გამოც დავასკვენი, რომ მსოფლიოში, როგორც მინიმუმ, კიკლოპი რამდენიმეა, და ხანდახან ერთმანეთის დუბლიორებიც არიან. მე ვერ შევძელი სხვების ნახვა, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ჩემს ნათელხილვას აქვს საზღვრები.
მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ საზღვრები მართლაც არსებობს – და ისინი უკვე იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ვვარაუდობდი.

სიტყვა

პუშკინის «წინასწარმეტყველი» ასე მთავრდება:

ჩემის ნებითა აღივსებოდე
და, მოივლიდე რა ხმელთ და ზღვათა,
სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა!..
ნება, რომლითაც აღვივსე, ძალიან უბრალო იყო – ადამიანურ სამყაროს წონასწორობაში დარჩენა მოუწევდა, ანუ უნდა განვითარებულიყო თავისი წინასწარი გეგმით. როცა ამ გეგმის კვალდაკვალ წარმოიქმნებოდა წინააღმდეგობები, მათ მაშინვე ვგრძნობდი – მე გზა უნდა გამეწმინდა.
მაგრამ უკვე საკმაოდ გიამბეთ პრობლემაზე და არაფერი მითქვამს იმაზე, როგორ გადაიჭრებოდა ხოლმე იგი.
რა თქმა უნდა, როგორც უბნის ზედამხედველს, არ მომეთხოვებოდა ზღვებისა და მიწების შემოვლა. საკმარისი იყო, შინაგანი მზერა მომეტარებინა ირგვლივ, ადგილიდან დაუძვრევლად. მაგრამ რაც შეეხება «ანთებას» და ასევე «გულებს» – აქ პუშკინმა ოდნავ გააზვიადა.
როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი პასუხისმგებლობის ზონა იყო ადამიანურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები. ინსტრუმენტად, რომლითაც ზემოქმედებას ვახდენდი ადამიანებზე, მემსახურებოდა რაღაც «სიტყვის» მსგავსი – და სხვა ტერმინის ძიებას არც კი დავიწყებ.
ჩვეულებრივი ადამიანის თავში მრავალი ხმა გაისმის, რომელსაც ის თავად არ აცნობიერებს. შეიძლება ითქვას, ადამიანური გონების სარდაფში გამუდმებით მიმდინარეობს ქურდული შეკრება, სადაც, კერძოდ, წყდება კიდევაც მთელი სახლის ბედი. ის ხმები სულ კამათობენ ერთიმეორეში. სანამ სხვადასხვას ლაპარაკობენ, სახურავზე არაფერი ისმის – ადამიანი მხოლოდ მსუბუქ ნერვოზულობას გრძნობს. მერე რამდენიმე ასეთი ხმა შეთანხმდება ერთმანეთთან და უნისონში ლაპარაკს იწყებს. მაშინ მათი საერთო ხმა საკმარისად მაღლდება, რათა იგი ზემოთ გაიგონონ – და ისინი გუნდად გადაიქცევიან.
ჩვეულებრივ ადამიანს მარტო ხმები კი არ ესმის, – იმათ ემორჩილება კიდევაც.
უფრო ზუსტად, ადამიანი სწორედ ეს ხმებია, რადგან სანამ ბრძანებების შესრულება დაიწყება, არანაირი ადამიანი არ არსებობს: პიროვნება ჩნდება ცხოვრებაში ბრძანებების აღსრულებით.

თუკი ადამიანს რაღაც მიზეზით ეს ხმები გამუდმებით ესმის, მას ან შიზოფრენიით დაავადებულად აცხადებენ და ნორმალური ადამიანებისგან იზოლაციაში ჰყავთ, ანდა წინასწარმეტყველად ნიშნავენ და ოქროს ეტლში სვამენ. თუმცა ეს ისედაც ცნობილია.
შეიძლება დიდხანს ვიდაოთ ამნაირი ხმების ბუნებაზე. ადრე თვლიდნენ, რომ ისინი ღმერთებს, ანგელოზებს, სულებსა და ეშმაკებს ეკუთვნოდა. მერე მათ ეძახდნენ ინტერიორიზებულ სოციალურ კოდებს, ადამიანისგან მართული პროგრამების ფრაგმენტებს, იერარქიულად განპიროობებული ქცევის მატრიცის ინვარიანტებს და ა.შ. – მაგრამ თავად ხმები ამ ყველაფრისგან ოდნავადაც არ შეცვლილა.
თუმცა საქმე ის არაა, რას დავარქმევ ამ ხმებს.
საქმე ისაა, რომ მე შემეძლო შევსულიყავი ნებისმიერი ადამიანის ამ სარდაფში – და, მისგან სრულიად შეუმჩნევლად, იმის ქურდულ შეკრებაზე მელაპარაკა განსაკუთრებული მაღალი, მაგრამ ძალიან დამაჯერებელი ისეთი ხმის ტემბრით, რომ ყველა დანარჩენი მონაწილე მაშინვე მეთანხმებოდა, ხმას მიწყობდა, მაყოლებდა და მბაძავდა. ამის შედეგად, ადამიანი – ის კი არა, რომ მე მიგდებდა ყურს – საკუთარ თავს უსმენდა.
ის სულაც არ ემორჩილებოდა ჩემს ბრძანებას, ძალიან ბუნებრივად ჩქარობდა, შეესრულებინა უძლიერესი სურვილი, უცებ წარმოქმნილი მისი არსების შუაგულში. რაკიღა ეს მისი კერძო სურვილი იყო, აზრადაც არ მოსდიოდა, მომხდარის ეჭვქვეშ დაყენება. ეჭვი მხოლოდ ზოგიერთ განმჭვრეტს უჩნდება – მაგრამ მათთან, საბედნიეროდ, პრაქტიკულად საქმე არა მქონდა, რამეთუ მათი გულები ამ სამყაროს გზებიდან მოშორებით იმყოფებოდა.
ასე რომ, თუკი ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით – დავუშვათ, მომეთხოვებოდა, რომ მავნე ქალს ქოლგა აეღო. მაშინ «სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა...» მდგომარეობდა ბანალურ «ქალო, აიღე!»-ში. ძალიან ზუსტად რომ გითხრათ, «ქალი» იქ არ იყო. სხვის გულში შესული, პირველ პირში ყოველთვის ამას ვამბობდი: «მე მაინც მჭირდება ქოლგა» – და კვალდაკვალ ჩნდებოდა ის მერყევი გოლემი, რომელსაც ქოლგა სჭირდებოდა. და სულ ეს იყო.
არავითარი ბოლი, არანაირი კარდიოლოგიური დამწვრობა.

ქალი იხსენებს, რომ მისი მძიმე ქოლგა, ლურჯი სახელურით – სინამდვილეში, შენიღბული ხელკეტი, სკოტჩით შეკრული არმატურის სამი ნაჭერი: ნივთი, უკიდურესად საჭირო საბედისწერო დროებაში. ის რაღაცას უღიმის, ქოლგას ჩანთაში დებს, გამოდის სახლიდან – ყინვიან ნისლში და შიგ გახსნილი რევოლუციური იმედით მიემართება მომავალში. მაგრამ მე უკვე აღარ ვუთვალთვალებ.
მე, ალბათ, შემეძლო, დიდი ფული მეშოვა ბირჟაზე თამაშით. მაგრამ ამალასთან ჩემი ურთიერთობის პირველსავე სეანსებზე ამიხსნეს, რომ «სიტყვა» შეიძლება გამოყენებულიყო მხოლოდ ერთი დანიშნულებით – მსოფლიო დისბალანსების მოსაშორებლად. ამ კანონის დარღვევისათვის შურისძიება სიკვდილი იყო (მე მაჩვენეს გრძელი ოქროს ნემსი, მერე კი თავი დაუკანტურეს ჩემს ცვილის ორეულს).
უფრო მეტიც, მე არ შემეძლო, ჩავრეულიყავი ყველაზე გაუგონარ უსამართლობაში, ჩემ თვალწინ რომ ხდებოდა. უფლება არა მქონდა, აღმეკვეთა დანაშაული, შემეჩერებინა ტერაქტები, წინ აღვდგომოდი სისხლიან რევოლუციებს, მეხსნა ადამიანები უბედური შემთხვევებისგან – ამისთანა რამეები არც კი განიხილებოდა. ჩემი მუშაობისას, სამყაროზე რეალურად დამუქრებული დისბალანსები იქ არ წარმოიქმნებოდა, სადაც ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მეც, ჩემი ადამიანური იპოსტასით, ვხედავდით. ეს ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო გეგმის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ვითარდება სამყარო. მე უნდა დამეცვა არა ჩემი ადამიანური წარმოდგენები მოვალეობაზე, არამედ საგანთა არსებული წესრიგი – უფრო სწორად, არა თავად ეს წესრიგი, არამედ, ეგრეთ წოდებული, დროთა კავშირი (მოგვიანებით ავხსნი, ეს რაც არის). მოკლედ, შემეძლო – ან მიმეღო წესები, ანდა წამოვსულიყავი. მე მივიღე.
ესეც ყველაფერი, რაც კიკლოპს შეეხება.
თუკი მკითხველი ელოდება მოთხრობას, თუ როგორ გადავარჩენდი კაცობრიობას ბოროტებასთან შთამბეჭდავ ბრძოლებში, გაწბილებული დარჩება – ჩემს ყოველდღიურ სამუშაოზე სიტყვას აღარ დავძრავ, ამაზე გაგაფრთხილეთ კიდეც წინათქმაში. და სულაც არა მოკრძალების გამო.
ჯერ ერთი, ჩემი მოქმედების კონკრეტული შინაარსისა და მისი

ტექნიკური ასპექტების შესახებ იმაზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი, ვიდრე ეს გავაკეთე, არ შემიძლია – ეს წესების ნაწილია. ვფიქრობ, გასაგებია. ჩვენს სამყაროში საიდუმლოებები იმ კომპანიასაც კი აქვს, რომელიც კოშენილის ჭიების ექსტრაქტით შეფერილი ფსიქოტრონული შაქრიანი წყლით ვაჭრობს.
მეორეც, ჩემს თხრობას ეს არაფრით დააზარალებს. მართალია, ჩემი სამუშაო უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მაინც ძნელია, საინტერესო ვუწოდოთ, რადგან წარმოქმნილ პრობლემებს ყველაზე ეკონომიური და ნაკლებად თვალში საცემი ხერხებით ვწყვეტდი, ხშირად არც კი ვიცოდი, რომელ დისბალანსს ვშველი – როგორც ქოლგის მაგალითზე გამოჩნდა.
თხრობა იმაზე, როგორ ვავსებდი სამყაროს ბზარებს, ვეხმარებოდი ნაკლებად ნაცნობ ადამიანებს თასმების შეკვრაში, ლიფტს საჭირო სართულზე ვუშვებდი ან კარებში ჩარჩენილი გასაღებისთვის მეორე სართულის კარნიზით ვბრუნდებოდი სახლში (ყველაზე გმირული, რაც შემიძლია გავიხსენო), – ცოტა მოსაწყენია. ამისგან ჰოლივუდის საბრძოლო ფილმს ვერ გამოადნობ – რაიონის სანტექნიკოსის თავგადასავლებია და ისიც მხიარული.
და კიდევ, ხანდახან თითქმის ყველა ადამიანი არის ხოლმე სამყაროს ტექნიკური მხსნელი. ვერ ვიტყვით, რომ იმ წუთებში ის გრძნობს თავის დიად როლს. ის თავის საქმეს აკეთებს ყოველდღიურად (იატაკიდან იღებს მონეტას, ზურგში უჯიკებს ფიქრებში წასულ ფეხით მოსიარულეს, «მოსტოვაიაზე» მზესუმზირის ზეთის ბოთლი უტყდება
და უკან, გაურკვეველი სახეების ზღვაში ბრუნდება, თითოეული ჩვენგანი – ამ სამყაროს ლორდი-მფარველია. მე მხოლოდ დაზღვევისთვის ვიყავი საჭირო.
ამიტომ ის კი არაა საინტერესო, მე რას ვაკეთებდი კიკლოპის სახით. არც ის, რომ სხვების გულებსა და სულებში ვიყურებოდი – ყველგან ერთნაირი ნაგავი ლპება, მხოლოდ გროვებია სხვადასხვანაირი.
საინტერესო ისაა, რაც მე დავინახე და გავიგე, როცა ჩემი სამსახურებრივი მზერა ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე მივმართე – და მომავალზეც. აქ ბევრი საინტერესო, საშინელი და მოულოდნელი რამ დავინახე. სწორედ ამიტომ

ყველა დარჩენილ ფურცელს სიტყვით დავწვავ – ჩემი სუსტი ძალების კვალობაზე.

ამალა

მე ვიცოდი, რომ ერთადერთი კიკლოპი არ ვარ ამქვეყნად – და, რასაკვირველია, არც პირველი. მრავალი ათასი წელი ისინი დადიოდნენ ამ სამყაროს ლანგარზე, ეკავათ იგი თავიანთი გადმოკარკლული თვალით. ეს იყო, შეიძლება, ერთ-ერთი უძველესი დედამიწური ინსტიტუტი და არსებობდა მკაცრი წესები, რომელიც მე უნდა შემესრულებინა. წესები არ განისჯებოდა. და თანაც ისინი საკმაოდ უცნაური იყო.

უკვე ვთქვი, რომ არ შემეძლო ჩემი ძალების გამოყენება პირადი მიზნებით (ანდა თუნდაც შესაბამისობაში ბოროტებისა და სიკეთის ჩემეულ გაგებასთან). მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი.

ის უნიკალური და შეუდარებელი როლი, რომელსაც მე ვთამაშობდი სამყაროში, გულისხმობდა, როგორც ჩანს, შეღავათებსა და პრეფერენციებს. თუკი ნებისმიერი გაზენფიურერი
, ბანკირი ანდა რომის პაპი (არადა, ეს ადამიანები სამყაროში წარმოქმნილ პრობლემებს სულაც არ წყვეტენ, ქმნიან მათ) ცხოვრობენ საკუთარ სასახლეში, პირადი გვარდიელების, სასახლის პოეტებისა და ყველაფრისთვის მზადმყოფი მოცეკვავე გოგონების გარემოცვაში, მაშინ შემეძლო, როგორც მეჩვენება, უფრო მეტზე გამეთვალა.

საკუთარი კუნძული, მეწამული მანტია, მკაცრი და იდუმალი განაწესით მოქმედი სასახლე, კაცობრიობის საუკეთესო შვილები და, განსაკუთრებით, ქალიშვილები, მომლოდინენი, როდის მივაპყრობ ჩემს ჩაფიქრებულ მზერას... მოქანდაკეები, ერთმანეთს გაჯიბრებულები მარმარილოში ჩემი პორტრეტის გამოკვეთისთვის... კანტატები ჩემ პატივსაცემად... გალიებიდან გაშვებული თეთრი მტრედები ჩემს დაბადების დღეზე... და უსასრულო შეთქმულებები.

სწორედ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი არ მომხდარიყო, კიკლოპს უნდა დაემალა თავისი მისია და ეცხოვრა ერთ-ერთ მსხვილ ქალაქში, ადამიანებს შორის ჩაკარგულს. საშუალო სტატისტიკური ცხოვრების წესს უნდა მიჰყოლოდა. შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი

დამკვირვებლისთვის, სკრუპულოზურად და ეჭვით რომ შეისწავლის ჩვენს ცხოვრებას (ასეთი დამკვირვებლები იყვნენ – მათზე დაწვრილებით მოვყვები მოგვიანებით). მარტოობაში იდილიური ცხოვრება მომცრო კუნძულზეც კი მეტად დიდი რისკი იყო – მსგავსი ცდები ადრე ტარდებოდა, და ცნობილია, როგორც დამთავრდა: შეხვედრებით ითაკის საზრიან მეფესთან და პროგრესის სხვა აქტივისტებთან.
სხვათა შორის, პოლიფემეს შემთხვევა გამონაკლისია. მისი უბედურება იმას უკავშირდება, რომ ერთადერთი ციკლოპი იყო, უარი რომ თქვა ამალაზე. სწორედ იმ ნიღბიან ხალხზე, რომლებიც მე ვნახე ჩემს სიზმრისმაგვარ ხილვაში. არ ვაპირებდი იმ შეცდომის გამეორებას – თანაც, ამის საშუალებას არც არავინ მომცემდა.
რაკიღა პოლიფემე ვახსენე, დავსძენ, რომ კიკლოპი იყო წარსულის კიდევ ერთი პერსონაჟი – ჯუანგ ძი და სწორედ იმ პოსტზე შეიძინა შესანიშნავი ცოდნა. გადადგომის შემდეგ მისი ცხოვრება საკმაოდ წარმატებულად აეწყო. ზოგიერთი წინასწარმეტყველიც კიკლოპი იყო – მაგრამ მათ არ დავასახელებ, მკრეხელობაში რომ არ დამადანაშაულონ. საყოველთაოდ ცნობილი თანამედროვეებიდან კი მათ რიცხვში შედიოდა, მაგალითად, საუკუნის დასაწყისში გარდაცვლილი სწავლული ჯონ ლილი (მასზე კიდევ ვილაპარაკებთ ამ წიგნში). სწორედ ძველი კიკლოპებისგან მოდის კაცობრიობის მომავლის განჭვრეტა – და თუ რატომ აღმოჩნდა ეს განჭვრეტები ასეთი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი, ამას ავხსნი.
ამალა ძალიან პატივცემული ინსტიტუტი იყო. შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საიდუმლო ორდენი, რომელზეც გამუდმებით წერენ საერთაშორისო ირონიული დეტექტივის ოსტატები, არცთუ მაღალი მასონური გრადუსით. ოღონდ ეს ორდენი იცავდა იესოს საფლავსა და პლატონის წიგნს კი არა, – მე.
ამალაზე კიკლოპს უნდა სცოდნოდა მხოლოდ ის, რომ ამალა არსებობს. ასეთი იყო უძველესი წესი, აუცილებელი როგორც ჩემი პირადი, ისე ამალის უსაფრთხოებისთვის. ჩემი ყოვლისმცოდნე სხივი დიდხანს არ უნდა შემეჩერებინა ამალაზე. ზუსტად არ ვიცოდი, სად იყო განლაგებული მათი

ოთახები და დარბაზები, და არც ვცდილობდი ამის გაგებას. ჩვენი ურთიერთობა გარე სამყაროსთვის შეუმჩნეველი იყო. არავის ვურეკავდი ტელეფონზე, შეხვედრებს არ ვნიშნავდი. მე მხოლოდ თვალს ვადევნებდი რამდენიმე, ერთიმეორის შემცვლელი მსახურის აზრთა მდინარებას – თითქოს ხელისგულზე მიდებდნენ თავიანთ გონებებს (ხელოვნება, რაღაც განსაკუთრებული პატივისცემით თაყვანი სცე კიკლოპის აზრობრივ მზერას – ასე რომ, მე ნამდვილად ვგრძნობდი სხვის ცნობიერებას, როგორც გადაშლილ წიგნს, – როგორც ჩანს, ეს საუკუნიდან საუკუნეზე გადაეცემოდა).
ამალა გადაჭრიდა ხოლმე ჩემ წინაშე გაჩენილ ყველა პრობლემას. თანაც ისეთი ეფექტურობით, რომ თითქმის ვერ ვგრძნობდი ყოფიერებასთან შეხლას. მე არავისთვის არაფრის თხოვნა არ მჭირდებოდა.
ეს კეთილმსახური გონებები თითქოსდა ახვევდნენ ჩემ წინაშე სხვადასხვა მოხერხებულობებს, სიახლეებსა და ცხოვრებისეულ გარემოებებს (ყველაფერი საკმაოდ მოკრძალებული იყო), საიდანაც მე შემეძლო ამომერჩია, გამომეყენებინა სწორედ ის სიტყვა, რომლითაც დანარჩენ დროს ვანთებდი სამოქალაქო პირთა გულებს.
შემდეგ ზუსტად ასევე ვირჩევდი ჩვენი კომუნიკაციის მეთოდს შესაძლებლობების მარაოდან, მათ აზრებში რომ წარმოიქმნებოდა.
მე ვიცოდი, როგორ ხედავდნენ ამალის წევრები ჩვენს ურთიერთობას – მდუმარე სიბნელეში მედიტაციური გარინდებისას ისინი ვარიანტს ვარიანტზე მთავაზობდნენ, და სიბნელე, ადრე თუ გვიან, აკეთებდა არჩევანს. უფრო სწორად, თვითონ ისინი ირჩევდნენ – მაგრამ განსხვავებით მთელი დანარჩენი კაცობრიობისგან, მათ იცოდნენ, ამის მიღმა რა იდგა.
ნებისმიერი გარედან დამკვირვებლისთვის ჩემი ურთიერთქმედება ამალასთან, უბრალოდ, არ არსებობდა. მაგრამ სარკესთან მომხდარი შემთხვევიდან სულ ერთ კვირაში ჩანთაში ჩავალაგე, რაც აუცილებელი იყო – გეგონება ცოტა ხნით აგარაკზე მივდიოდი – და სახლიდან გავედი. ქუჩაში მანქანა მელოდა, ჩვეულებრივი ტაქსი. უკანა სავარძელზე დავჯექი და, არც კი ჩამიხედავს სარკეში, სადაც მძღოლის

თვალები დაცურავდა, ვთქვი:
– წავედით.
და მანქანამ ახალ ცხოვრებაში წამიყვანა.
მძღოლს ურთიერთობა არ ჰქონია ამალასთან. ის ტაქსის მძღოლი იყო, ჩვეულებრივ გამოძახებაზე მოვიდა. მე კიდევ – ჩვეულებრივი მგზავრი.
ჩემი მომლოდინე ახალი სახლი მცირედით განსხვავდებოდა ძველისგან, ოღონდ ბინა ამჯერად სულ ბოლო სართულზე იყო, და იქიდან ტყეზე იშლებოდა ხედი, რომლის ერთი დანახვაც საკმარისი იყო, ჩემს ცნობიერებაში გამუდმებით მოთუხთუხე დაღლილობა რომ მომეხსნა. ეს იყო უბრალო ქალაქური ბინა – წყნარი, მოხერხებული და დიდი. იმ სართულზე კიდევ ერთი ბინა იყო. მაგრამ იქ არავინ ცხოვრობდა, და მე გავთავისუფლდი მოვალეობისგან, განმესაჯა პოლიტიკა და ამინდი ლიფტის მოლოდინში – ანდა კარი გამეღო მეზობლის ბავშვისთვის, რომელსაც სასწრაფოდ დასჭირდა აცეტონი, ძმარი და კალიუმის მანგანატის ხსნარი.
მომდევნო დღეებში სახლიდან გამოვდიოდი დაახლოებით ათი საათისთვის, როცა სამსახურში მოჩქარე მოქალაქეთა ტალღა უკვე ასწრებდა ჩადინებას მიწისქვეშა მილებში. მივდიოდი ჩემს მეტროსადგურთან, ჩავდიოდი ქვემოთ და ორი გადაჯდომით უკვე ქალაქის მეორე ბოლოში ვიყავი – მარშრუტით, რომლის ხაზი მაგონებდა ჩამქრალი ვულკანის აბრისს, კოლცევოს ღრმა კრატერით.
დანიშნულების სადგურამდე მისული ზედაპირზე ავდიოდი და სამსახურისკენ მივაბიჯებდი. მე სამსახური მქონდა, დიახ, როგორც დანარჩენ ადამიანებს, დილაობით რომ მიიჩქაროდნენ ქალაქში. და გარედან თუ შეხედავდი, ყველაფერი უკიდურესად სარწმუნოდ გამოიყურებოდა.
კამერით რომ გადავეღე ვინმეს სამუშაო დღის ნებისმიერ დროს, დაინახავდა ჩვეულებრივ ოფისის ჭიას, დაკავებულს რაღაც დაუჯერებელი და, ალბათ, უფრო, დაბალანაზღაურებადი საქმით.
კადრში მოხვდებოდა საოფისე ტექნიკა, ყავის ფინჯანი, მაგიდა სწრაფჩამკერებით, ბრტყელი მონიტორი და კლავიატურა – და თავად მე, ტვიდის პიჯაკში, მონიტორს მიჩერებული (ანდა, მაგალითად, მორწყული ფიკუსი ფანჯრის რაფაზე). კადრში

შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, ასევე, კედლის სამშვენისი რეტროკალენდარი (ყვითელი სკოტჩით პირაკრული მძვინვარე ლამაზმანები – ან პოლიტიკაა, ან ფემინისტური უარი მინეტზე, ანდა ყველაფერი ერთად: ჯერ მათ უკრძალავენ, საპასუხოდ კი ისინი ეუბნებიან უარს სხვებს), რაღაც გეგმა-ბადე, კალმით შევსებული მრავალი გრაფით და პლანტატორის როლში ლეონარდო დი კაპრიოს პორტრეტი, თითქოსდა გაოცნებებული თანამშრომელი ქალის ჩამოკიდებული. სინამდვილეში ჩემი სამუშაო იყო ეშმაკური სიმულიაკრი – არ არსებობდა. მესმის, რომ ამისთანა რამის თქმა კრეატიული კლასის ლამის ყველა წარმომადგენელს შეუძლია, მაგრამ ჩემი სიტყვები გადატანით კი არა, პირდაპირ უნდა გავიგოთ. ჩემი სამუშაო მოწყობილი იყო თავიდანვე, როგორც სიმულაცია – არავითარი კავშირი არ ჰქონდა გარე სამყაროსთან.
ჩემი შენიღბვის ოფისი მდებარეობდა ყოფილ სტალინურ სამინისტროში – ომისშემდგომი პერიოდის ფართო შენობაში, სადაც უამრავი სულ სხვადასხვა კანტორა არსებობდა. ჩაოხრებულპარკეტიანი (ეტყობა, საბჭოთა ხანის), გრძელი დერეფნიდან ჩემს ოთახში შევყავდი ცალკე კარს.
ჩემი კაბინეტიდან ორთავ მხარეს განლაგებული იყო ამღვრეული მოსკოვური კანტორები, სადაც ადამიანები უაზროდ იტანჯებოდნენ დილიდან საღამომდე, აცხობდნენ შემავალ და გამავალ დოკუმენტებს, უსაფრდებოდნენ, უშვებდნენ და ძირავდნენ ერთმანეთს – ხოლო საიდუმლო ჭიაყელასებურ წამონაზარდად, ამ ბაბილონის ღუმელების შუაში, დეკორატიული საქაღალდეებით სავსე მაგიდასთან, კარგად მომუშავე, მაგრამ ასეთივე დეკორატიული საოფისე ტექნიკის გარემოცვაში ვიჯექი მე. მანძილი ჩემგან უახლოეს ოფისის პროლეტარამდე, ჩვეულებრივ, არ აჭარბებდა ხუთ-ათ მეტრს (ყველაზე ახლოს ჩემ ქვემოთ, სართულით დაბლა ვინც იჯდა, – იმას კეშა ერქვა).
ჩემი სამალავის გარე კარზე, ორივე მხრიდან ხმის ჩამხშობით, შენობის საერთო სტილში შესრულებული მოწითალო დაფა ეკიდა, ყვითელი ასოებით:
ოგიპროს უფროსი ინსპექტორი
კიკლოპი ო. კ.
მიღება მხოლოდ ჩაწერით

ქვემოთ, სკოტჩით მიწებებული იყო რაღაც სია: «ჩააბარეს» – და ქვეშ გვარების გრძელი ჩამონათვალი. იმ სიას ხანდახან ცვლიდა ჩემი მდივანი, ძველის ადგილზე ახალს ჰკიდებდა. სიტყვა «ოგიპროს» არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, საერთოდ. ხოლო გვარი «კიკლოპი» გენიალურად შეარჩიეს – «სიდოროვი» ან «რაბინოვიჩი» გასაგებ ეჭვებს იწვევენ, ასეთი კი მხოლოდ ნამდვილი შეიძლება იყოს.
შესასვლელი კარიდან იწყებოდა მომცრო გასახდელი მდივნის მაგიდით – მაგიდა ყოველთვის ცარიელი იყო. მდივანი იმ საათებში და დღეებში მოდიოდა, როცა მე არ ვიყავი სამსახურში, და არასოდეს მინახავს. მას აუხსნეს, რომ დაქირავებულია «მეორე ინსპექტორის განაკვეთის» შენარჩუნების მიზნით (ვინ არ დაიჯერებს, ამას რომ მოისმენს), სინამდვილეში მხოლოდ უნდა დაალაგოს ოფისი და აქტიურობის სიმულაცია მოაწყოს, კარზე სხვადასხვა სია ჩამოკიდოს. და კიდევ, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მიექცია ჩემი ყავისმკეთებელი მანქანისთვის.
ჩემი ოფისი უბრალო და მკაცრი იყო – მაგიდა შავი ტყავის სავარძლით, ვიწრო დივანი, ტელევიზორი, კონდიციონერი, პირადი ტუალეტი (შეუმჩნეველ კარს მიღმა დამალული – როგორც ნიკოლაი მეორის იალტურ კაბინეტში), სტელაჟი საქაღალდეებით, ყვავილი ქოთანში. სწრაფჩამკერები, სხვათა შორის, შიგ ნამდვილად ეწყო დოკუმენტები ბეჭდებითა და ხელმოწერებით, რაღაც ოქმები და ნებართვები – ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ხელმოწერით. მდივანი ყველაფრისგან დამაჯერებელ სამუშაო უწესრიგობას ქმნიდა იმ დღეებში, როცა მე არ ვიყავი. მისი უხილავი ხელები ავსებდა პატარა მაცივარს ყოველგვარი გემრიელობით.
ჩემთან სადილი ტევადი ჩანთით მოჰქონდა კაცს, DHL-ის კურიერის ფორმაში. თავისი გასაღები ჰქონდა. შემოსასვლელშივე ტოვებდა თავის ტევად ჩანთას საჭმლით – და მიჰქონდა ისეთივე, წინადღეს მოტანილი. სართულის მეზობლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ჩემი კარის მიღმა მუშაობა დუღდა და სულ ქაფქაფით გადაედინებოდა საერთაშორისო სივრცეში.
ჩემს მაგიდაზე მდგარი მასიური ებონიტის ტელეფონი ხაზზეც კი არ იყო მიერთებული – და მე რატომღაც ეს განსაკუთრებულ

და უმაღლეს პრივილეგიად მიმაჩნდა. ამისთანა ტელეფონით ვერ დაიტრაბახებდა ვერც ერთი დიქტატორი, ნაცრისფერი კარდინალი ანდა მასონების მეთაური. ეს ზუსტად ვიცოდი. კიკლოპის სამუშაო სულ რამდენიმე წუთს მართმევდა დღეში. მაგრამ მე არ ვაპირებდი უსაქმურობას ჩემს პატარა ბუდეში. უკვე ვილაპარაკე მწერლობის სურვილზე – და ახლა, ბოლოს და ბოლოს, მქონდა ამისთვის მოცალეობა. უფრო მეტიც, მე გამიჩნდა ნამდვილად უნიკალური ზეადამიანური გამოცდილება. და განა კიდევ რა არის საჭირო, რეიტინგებსა და გონებებში შეჭრისთვის?
ვხუმრობ, რასაკვირველია.
მე მართლა ვთხზავდი ჩემს სამუშაო მაგიდაზე, დაახლოებით ერთი საათი დღეში – და არცთუ ისე ცოტა მოვასწარი: სამი ვრცელი მოთხრობა, შესული ამ წიგნში (ტექსტი, რომელსაც ახლა კითხულობთ, მაშინ დაიწერა, როცა კიკლოპობას თავი დავანებე).
შესაძლოა, ამისთანა გრძელ წინასიტყვაობაში არის ნერონიანობის ელემენტი: როცა სხვადასხვა ქრთამითა და დაპირებით შეიტყუებენ ხოლმე მოქალაქეებს სასახლეში, მერე კარს ჩაკეტავენ და აიძულებენ, ლირაზე დაკვრას მოუსმინონ. სხვათა შორის, ჩემს მცდელობებს საღად ვაფასებ: ჩემი ნაღდი პროზის მთავარი ღირსება ისაა, რომ ის... ის... მოკლედ, მე მინდოდა, გამომევლინა განმაიარაღებელი მოკრძალება, თქვენ ეს გაიგეთ და ყველაფერი მაპატიეთ.
მაგრამ სანამ მხატვრულ ცდებზე გადავიდოდე, ფრინველებზე უნდა მოგიყვეთ – უამისოდ შემდეგი არცთუ ნათელი იქნება.

ფრინველები

ჩემგან აღწერილი შენიღბვის ფორმები შესაძლოა, უცნაურად და ზედმეტად მოგეჩვენოთ – თითქოს მე, ყოვლისმცოდნეობითა და სხვებზე ზემოქმედების ნიჭით, იოლად შევძლებდი მოახლოებული უბედურების აღკვეთას. ასეც იყო – ყველაფერში, რაც შეეხებოდა ჩვეულებრივი ადამიანების ბოროტ ნებას ანდა ამ სამყაროს იოლად გამოსაცნობ მექანიკას.
მაგრამ სამყაროში არსებობდა მეორე ნებაც, რომელსაც მე ვერ ვხედავდი, და ის ადამიანებისგან არ მოდიოდა. ხანდახან მათი საშუალებით მოქმედებდა. მაგრამ არც ამ შემთხვევაში იყო

ჩემთვის გასაგები, რადგან მას დამორჩილებული ადამიანები, რაღაცნაირად, ჩემი აღქმის ზონიდან ქრებოდნენ. ისინი, კერძოდ, ადამიანობას თავს ანებებდნენ და მეტეორებს ემსგავსებოდნენ, ჩემთვის და ისეთებისთვის, როგორიც მე ვარ, უბედურებები რომ დაეტეხათ თავს (ერთხელ მოვახერხე ამგვარი მეტეორის ცნობიერებაში ჩამეხედა – ამიტომ ვიცი, რომ მარჯვე შედარებაა).
უცნაურია, მაგრამ მტრული ნება არ ქმნიდა იმ დისბალანსებს, რომელთა გასაწონასწორებლად მივიჩქაროდი ხოლმე. შეიძლება, მტერს არ ჰქონდა სამყაროს წონასწორობის იგივე ხედვა, რაც მე, და არ ესმოდა, რომელ სუსტ წერტილებში უნდა დასწოლოდა, რომ დაერღვია. მტერი მხოლოდ იმას ცდილობდა, ჩემთვის ფეხი ამოეკვეთა ამ ქვეყნიდან. მაგრამ მე არ ვიყავი მთავარი მიზანი: მისი სტრატეგია ჩვენს სამყაროსთან მიმართებით გაცილებით ფუნდამენტური აღმოჩნდა. მტერი ფრთხილი იყო, ჭკვიანი – და ჩემზე გაცილებით უკეთ იმალებოდა.
ამალა ამ საფრთხეზე იმთავითვე მაფრთხილებდა. ჩემი აზრობრივი მზერით, ცარიელი ქვის ოთახის კედლებზე, ხშირად ვხედავდი ერთ-ერთ თანაშემწეს, ძველეგვიპტურ პაპირუსზე დახრილს. ჩემ წინაშე გახსნილი მისი გონება შეიცავდა ერთ სიტყვას, რომელსაც დაუსრულებლად იმეორებდა:
საფრთხე საფრთხე საფრთხე
მსახურმა თავადაც არ იცოდა, რაში მდგომარეობდა საფრთხე. მან მხოლოდ ერთი უწყოდა – პაპირუსი იყო საფრთხის მოახლოების ერთადერთი ნიშანი, რომლის ჩვენებაც შეეძლო. დანარჩენი კიკლოპს თავად უნდა დაენახა და გაეგო. ეს რიტუალი იმდენ წელს ითვლიდა, რამდენსაც პაპირუსი. მაგრამ მე ჯერ არაფერი მენახა, გორგალზე ნახატის გარდა.
ნახატი ნაკლებად ინფორმაციული იყო. ის გამოსახავდა ღმერთ ჯიჰაუტის
– ადამიანს ფრინველის თავით პროფილში. მისი თავი არაპროპორციულად პატარა იყო, გრძელი და მოხრილი ნისკარტით, თავზე ედგა რთული და მყიფე თავსარქველი, აწეულ აფრას რომ ჰგავდა. ჯიჰაუტის თითო ხელში თითო პატარა ადამიანი ეჭირა, მორჩილად რომ დაეფარათ სახე ხელებით – ერთი სასროლად ჰქონდა გაქნეული, მეორე

მკერდის წინ ეკავა, თითქოს გასაწონასწორებლად.
ნახატის ქვეშ წარწერა იყო, რომელიც, ჩემთვის მოულოდნელად, შევძელი გამეგო (ერთადერთხელ, როცა ძველეგვიპტურად წაკითხვა მოვახერხე – ის ენა კომიქსის მაგვარი მომეჩვენა, დატვირთული ათასწლოვანი სამეურნეო აზრებით). წარწერის აზრი დაახლოებით ასეთი იყო:
«მოვა მძლავრი მტერი, ღონიერი და ძლიერი, რომლის იარაღი ადამიანები იქნებიან. ფრთხილად იყავი განმარტოებულ ადგილზე! აღაპყარ ხელები, მტერს დაინახავ».
შესაძლოა, ეგვიპტოლოგს ეს ტექსტი სხვანაირად ეთარგმნა – მაგრამ მე პირდაპირ ვხედავდი აზრს, მის ავტორებს რომ ჩაედო შიგ. ის, რაც მე «იარაღად» ვთარგმნე, ორიგინალში «შურდულის კენჭს» ნიშნავდა, მაგრამ როგორც გავიგე, იყენებდნენ მეტაფიზიკურად. ხოლო «ხელები აღაპყარ»-ში, შესაძლოა, იგულისხმებოდეს «დაიკრიფე, ასწიე, გამოიყენე» – საერთოდ, ხელებით რაიმეს გაკეთება. «განმარტოებული ადგილი», პირველ რიგში, უდაბნოს ნიშნავდა. იქ სეირნობისას სიფრთხილე იყო საჭირო.
ჯიჰაუტი, ანუ თოთი. სწორედ ის, მაგიის, წერისა და, საერთოდ, ყოველგვარი ეზოთერიკის ღმერთი. მისი სახელის ორ სხვადასხვანაირ დაწერილობაში იყო ფრინველი.
წარწერა შიფრს მიაგავდა – ნამდვილად ცდილობდა, განდობილების გვერდის ავლით, რაღაც ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ერთადერთი საიდუმლო ცოდნა, რომელიც იმ რიტუალის შემდეგ შევიძინე, იმაში მდგომარეობდა, რომ ფრინველების უნდა მშინებოდა. ვცადე, მიმეხვედრებინა მსახური, რომელიც გრაგნილის წინ მუხლმოყრილი გაქვავებულიყო, რომ იმავე შედეგს უფრო იოლად მიაღწევდა – მაგალითად, სიმაღლიდან ჩამომსკლინტებელი მტრედის პერგამენტზე გამოსახვით. მისმა სხეულმა ჩუმი სიცილის შემოტევისგან უმალ დაპატარავება იწყო. კიკლოპმა მარჯვედ იხუმრა...
თუმცა, ხუმრობის გუნებაზე არ ვიყავი. საფრთხე მელოდა, მე კიდევ არ მესმოდა მისი ბუნება და ვერ ვხედავდი წყაროს. მაგრამ გაფრთხილებამ მიშველა: სწორედ ამან – უფრო სწორად, მისგან გამოწვეულმა ყოველდღიურმა სიფრთხილემ, თუკი მშიშრობას არ დავარქმევთ, თავდასხმისას ჩემი სიცოცხლე იხსნა.

იყო საღამო. მეტროსკენ მივდიოდი, გზად სამსახურიდან შინისაკენ. ზაფხულის ის მშვენიერი საღამო იდგა, რომლის ქალაქში გატარებაც დასანანია, თუმცა, თუ დავუფიქრდებით, სხვაგანაც სწრაფად და უაზროდ ჩაქრება. მაგრამ მე მაინც სევდიანი ვიყავი.
მახსოვს, იმაზე ვფიქრობდი, რომ სილამაზის დანიშნულებაა, გაწვალოს და გტანჯოს, რადგან მისი ბუნება შეუძლებლის დაპირებაა, და არავითარი სხვა არსი მას არ აქვს. მაგრამ თუკი კიდევ შეიძლება შეურიგდე ამ სიცხადეს ადამიანურ სილამაზესთან მიმართებით, იგივე უბრალო აზრი დაუკავშირო, მაგალითად, მზის ჩასვლას (ცა ანათებდა მეწამული საიმპერატორო ნათებით) – უკვე რთულია.
გამრავლების ამბავში ყველაფერი გასაგებია, ვფიქრობდი მე, მაგრამ რატომ უნდა გვტანჯოს და მოგვატყუოს მატერიალურმა სამყარომ იმის იმედით, რაც მასში არ არსებობს? ჰო, ისევ აქ რომ დავრჩეთ – და რაღაც ამისთანის იმედი გვქონდეს... სამწუხაროდ, ბევრ სიბრძნეში დიდი სევდაა, და იმან, ვინც შიგნიდან დაინახა იმდენი გული, რამდენიც მე...
ტროტუარზე მივაბიჯებდი, ვტკბებოდი ამ დაისური ფიქრებით და იმავდროულად ვგრძნობდი, როგორ მატულობს გულში უცნაური განგაში. ამას ვერანაირი მიზეზით ვერ ვხსნიდი – რეალობის შედედებებსა და კვანძებში ჩემკენ მომართულ ეკლებს ვერ ვხედავდი.
ირგვლივ ყველაფერი საკმაოდ ორდინარულად იყო: გზის გადაღმა, კოშკში, გადამდგარი მოსამართლე აბაზანაში ანაწევრებდა ხნიერ ნათესავ ქალს, მის სოფლის სახლზე ზრახვებისათვის; ბავშვები იმ ეზოში, რომელსაც ჩავუარე, კლავდნენ ბედს დამორჩილებულ წითურ კატას; და კიდევ შორიახლოს, ხუთსართულიანში, სამი რიაზანელი ბანდიტი, ღამით განზრახული თავდასხმის წინ, იარაღს ამოწმებდა (უკანასკნელი რუსი პასიონარიები
, გენეტიკური თვალსაზრისით უძვირფასესები – არადა, ციხეში ჩალპებიან). ჩვეულებრივი ქალაქური ნოქტიურნი, სხვა დღეებში მეტი სიბნელეც ყოფილა ირგვლივ. თანატოსის არც ერთი ეს ყოფითი გამოხდომა არ ემუქრებოდა სამყაროს სტაბილურობას, არც პირადად მე.
ამის მიუხედავად, ჩემი შფოთი უფრო ძლიერდებოდა, და ვერ

ვიგებდი მის მიზეზებს. ისევ დავინახე მსახური, საიდუმლო ოთახში თოთის პაპირუსის წინაშე გართხმული – აზრობრივი თხოვნა გამომიგზავნა, ფრთხილად ვყოფილიყავი. და უცებ ჩემში ამუშავდა სრულიად არაადამიანური, უბრალოდ, მხეცური ინსტინქტი. შევჩერდი – და უკან გადავხტი.
და იმწამს ზუსტად ჩემ წინ, ასფალტს ადამიანი დაასკდა.
მე მოვასწარი ცოცხალი დამენახა, გაფაციცებული და მიზანმიმართული (სწორედ ასეთი გრძნობა მომგვარა ჩემ წინ გამკრთალმა სახემ, თავზე შთამაგონებლად ზეაღმართული თმით – თითქოს ძალიან ჩქარობდა სადღაც, ანდა, შესაძლოა, უჩინარ ცხენს მიაჭენებდა) – მერე კი, საძაგლად მძიმე დარტყმის შემდეგ, რომლის ხმისგან შიგნით ყველაფერი ჩამწყდა, მან ჩემკენ მოაბრუნა სახე, ახრიალდა, რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა თვალები.
კაცის დაცემა ასფალტზე საშინელი იყო თავისი ფანტასმაგორიულობით – ეს საცოდავი თითქოს ეცადა, კედელში გაევლო, და ლამის გამოუვიდა კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ვერა და ჯადოქრობის ის მცდელობა ძვირად დაუჯდა…
ყველაზე უცნაური ის იყო, რომ დარტყმამდე წამით ადრე მე არ დამინახავს მოახლოებული კატასტროფა. ჩემ თვალწინ დამტვრეული ადამიანის (ის უკვე კვდებოდა, უეჭველად) გონება ჩემგან სრულიად დაფარული იყო. ყველაზე პირდაპირი გაგებით, ჩემს თავზე დაკიდებულმა საფრთხის შეგრძნებამ, სიკვდილის ადგილიდან ერთ მეტრში შემაჩერა – უკან რომ არ გადავმხტარიყავი, ის უბედური თავისი სხეულით მომკლავდა. იმავე ინსტინქტს დამორჩილებულმა, რომელმაც ახლახან უკან გადამახტუნა, მომაკვდავისკენ გადავდგი ნაბიჯი, ჩავიცუცქე და მისი ხელი ავიღე. იმ წამში დახმარებაზე ვფიქრობდი. მაგრამ როცა ჩემი თითები მის ხელისგულებს შეეხო, მე ვიგრძენი კონტაქტი მის უკვე დაგრეხილ და გაქრობად ცნობიერებასთან, ეს დენის დარტყმასავით იყო.
მისი გონება თითქოს ჭას მივამსგავსე, რომლის ფსკერზე მე ვიდექი. ხოლო მაღლა, შორიდან, ორი თუ სამი სახე ჩამომყურებდა, ჭის კიდეზე რომ დახრილიყვნენ...
ანდა. უფრო სწორად, სახეები არა.
იქ იყო ფრინველების თავები – თითოეული ცალი თვალით

მიყურებდა, პროფილში მიბრუნებული და მიჩვენებდა მოკაუჭებულ ნისკარტს.
ხილვა ჩემი აზრობრივი მზერის ქვეშ ძალიან ცოტა ხნით, ორი თუ სამი წამით შეჩერდა, მაგრამ იმ დროში გონებამ მოასწრო დაენახა მტერი – და გაეგო მისთვის, შეეღწია მის ყველა მზაკვრულ საიდუმლოში, როგორც წყალი შედის მიწისქვეშა კაპილარების ქსელში. უკვე ვიცოდი, როგორ მხედავენ ფრინველები და რად მთვლიან...
იმასაც მივხვდი, რატომ ვერ შევნიშნე ადამიანი, ჩემ წინ რომ ჩამოვარდა გზაზე. მას შემდეგ, რაც ფრინველებმა შეიპყრეს და იარაღად აქციეს, მან თითქოს დაიძინა და სიზმარს ხედავდა. მისი სხეული ისევ სახლის ბოლო სართულზე დარჩა (იქ ცხოვრობდა), ხოლო ცნობიერება გაქრა ჩვენი სამყაროდან, ოპტიკურ სამიზნესავით იქცა, რომლის მეშვეობით ფრინველები ჩემს პოვნას ცდილობდნენ. მე, უბრალოდ, შევძელი იმ სამიზნეში მეორე მხრიდან გამეხედა და ისინი დამენახა. ამისთვის მომაკვდავის ხელი უნდა ამეღო – ზუსტად ისე, როგორც მირჩევდა ძველი პაპირუსი. დარწმუნებული არ ვარ, რომ რჩევას ცნობიერად მივყვებოდი. ეს უფრო დამთხვევა აღმოჩნდა.
ვინ იყვნენ ფრინველები?
შევეცდები ავხსნა – მაგრამ აქ ჩემ წინაშე სერიოზული პრობლემა ჩნდება. საქმე ისაა, რომ ხერხი, რომლითაც მე დავინახე და გავუგე მათ, ძალზე განსხვავდება ადამიანების სულში შეღწევის პირდაპირი და თითქმის ძალისხმევის გარეშე სიტყვებში გადმოცემული გამოცდილებისგან. ეს უფრო ჩამოჰგავდა ღამის კოშმარის სახელდახელო გადაღებას, რეალურ დროში ერთ-ორ წამს რომ გრძელდებოდა, თუმცა საკუთარ განზომილებაში საკმაოდ გაჭიანურებული იყო. და აი, მე ნელ-ნელა ვიხსენებდი და ვამჟღავნებდი დანახულს, გაოგნებული ვიყავი მისი მოქნილი, საშინელი ლოგიკით და ზუსტი, ზოგჯერ საზიზღრად არეული შესაბამისობებით ჩემთვის ცნობილ ძველ რეალობასთან.
მე უკვე ვილაპარაკე ინ-იანზე – ჩვენი სამყაროს გიგანტურ ლანგარზე გამოსახულ მთავარ ნახატზე. მისი ერთი ნახევარი წარმოადგენდა ყველაფერ ცოცხალს, შლეგივით რომ მიიწევს მიწისგან ზეცისკენ – ძალა, რომელსაც ყოფნა სურდა. ხოლო აი,

იმ ძალას, რომელსაც სურდა არყოფნა... სხვადასხვა გაელვებისას ადამიანთა სამყაროში (და ცხოველებთანაც) არსებობს ძალიან ბევრი შესაკრებელი, რომელიც მოქმედებს მისი ვექტორის გასწვრივ. ზოგადად, ისინი ცნობილები არიან – მათ ეძღვნებათ ახალი ამბების ყველა გამოშვების პირველი წუთები. მაგრამ ამ ძალის გულისგული, მისი წყარო, მისი მთავარი შედეგება – აქ არ მდებარეობს.
მეც ეს ძალა ვნახე. სწორედ მას უნდა გავქცეოდი, ადამიანებში უნდა დავმალულიყავი, ბრბოს შევრწყმოდი – იმიტომ, რომ შემნიშნავდა მარტოობაში დარჩენილს. ის მძლავრი იყო, ყოვლადძლიერი საკუთარ განზომილებაში, მაგრამ ადამიანებს შორის ისევე ბუნდოვნად და ბეცად მხედავდა, როგორც მე მას. ის ერთგვარი ალტერნატიული ქმნილება იყო, ჩვენი ნანობუშტუკას გამაცოცხლებელი – შემოქმედის პირველი ნაყოფი, რომელსაც სურდა, სამუდამოდ შეეწყვიტა ყველანაირი სხვა ცხოვრება ან მაქსიმალური ზიანი მიეყენებინა მისთვის. ფრინველები სხვა განზომილებაში ცხოვრობდნენ, და მათ კოსმოსში ძებნას აზრი არ ჰქონდა. მათ ჰქონდათ საკუთარი კოსმოსი, სადაც სხვა კანონები მოქმედებდა. მაგრამ შეეძლოთ თავიანთი ნების პროვოცირება სხვა სამყაროებში.
ფრინველებს ჩემი მოკვლა უნდოდათ, ვინაიდან ღმერთად მივაჩნდი – უფრო ზუსტად, ერთ-ერთ ღმერთად (მათ სწამდათ, რომ ქმნილებას შემქმნელების მთელი არმია უჭერს მხარს). მათ არ ესმოდათ, რომ მე პატარა ფუნქციონერი ვარ, ნიღაბი, რომლის მიღმა იმალება ჩემთვისაც გაუგებარი ძალა.
ერთ წამში ჩავწვდი, ვინ იყვნენ ფრინველები, რა უნდოდათ და რა ემართებოდათ მათი ნების მარწუხებში შეპყრობილ ადამიანებს. ყველაზე მთავარია, რომ დავინახე მათი მთავარი და არსებითად შეუჩერებელი გეგმა «ადამიანური საკითხის» საბოლოო გადაწყვეტისა.
მაგრამ აქ აღარ დავახვავებ ამ გრამატიკულ სიტყვათშეთანხმებებს. ვიდრე შეხვედრის შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ახალი იყო, უფროსმა ინსპექტორმა კიკლოპმა ო. კ.-მ დაწერა თავისი პირველი ვრცელი მოთხრობა – მას ჰქვია «კეთილი ადამიანები». იქ ჩემთვის ხელმისაწვდომი ხერხით გადმოვეცი ის, რაც დავინახე ფრინველებთან ჩემი შეჯახებისას (მათთან რამდენიმე სხვა შეხვედრაზე ამ წიგნში არ მოვყვები –

არც იმათ მოუყენებიათ ჩემთვის ზიანი).
თხოვნა მექნება, ჩემი მოთხრობა არ მიიღოთ ძალიან პირდაპირ. როგორც უკვე ავხსენი, ფრინველის ბუნება ისეთია, რომ შეუძლებელია მათთან შეხვედრა ოქმად აქციო. ეს სწორედ «მხატვრული ნაწარმოებია» – მეტაფორა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავმალოთ სიზმრისეული აცდენები და გაუგებარი აზრები გასაგებ სახეებად ვაქციოთ.
მოთხრობის გმირი – პირობითია, მას არა აქვს კავშირი რეალურ ადამიანებთან. მხოლოდ მინდოდა მეჩვენებინა, რა ემართებოდათ იძულებით მძინარე იმ უბედურ ადამიანებს, ფრინველებმა რომ თავიანთ იარაღად აქციეს. გამონაკლისია ბოლო თავის გმირი: მას ცოტა ჩვენც ვიცნობთ – და ჩვენთან დარჩება ბოლო ფურცლებამდე.
ვცადე, ძალიან უბრალო და კარიკატურული ფორმითაც კი დამეხატა მთელი ბნელი მეტაფიზიკა ფრინველების ბრძოლისა მასთან, რაც მათ ღმერთად მიაჩნდათ. უფრო რთული ფორმულირებით, თეოლოგიური ტრაქტატი გამოვა. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივაა კარიკატურა. ერთი შეხედვით ანეკდოტური ამბავი კარმულ კომპენსატორზე – სუფთა სიმართლეა: სწორედ ამისთანა ანეკდოტებისგან არის მოქსოვილი ჩვენი გარემომცველი სინამდვილე.
ყველაზე მართებული იქნებოდა, ამ ვრცელი მოთხრობისთვის რეკონსტრუქცია დამერქმია (ანდა, თუკი უფრო მოგწონთ, გამონაგონი) მასში ჩაკერებული სიმართლის ნაჭრებით. ხანდახან თიხის სფეროზე რომ განალაგებენ ხოლმე ძველი ვაზის შემორჩენილ ფრაგმენტებს, ასევე აქაც ჩემი ზუსტი ნაწარმოებები დაწებებულია საერთო (და ყველასთვის ნაცნობ) სიუჟეტზე, რაც იმისთვისაა საჭირო, რომ ისინი ერთობლიობაში შევინარჩუნოთ.

ნაწილი 2. კეთილი ადამიანები

კაცობრიობის მიზანია – იპოვოს შემქმნელი, გაიმარჯვოს მასზე, გამოსძალოს ჩვენი დანიშნულების საშინელი საიდუმლო და მერე, შესაძლოა, მოკლას კიდეც.

ლიმონოვი

კლიტე გაჩხაკუნდა, კარი გაიღო, და სიკვდილის ეტლში

გამყინავი ქარი შევარდა. ნიკოლაი შემოტრიალდა, დაინახა პირქუში, ნაცრისფერი ცა, ყინვაში გამოსული ბრბო, ეშაფოტი – და ფრინველები..

ნიკოლაი

ყველაზე საშიში, რასაკვირველია, ფრინველები იყვნენ. ისინი, კერძოდ, ძალიანაც არა ჰგავდნენ ფრინველებს – ესენი დიდი, ადამიანისმაგვარი ფიგურები იყვნენ, ნისკარტიანი ნიღბებით. თუმცა ნიკოლაიმ უკვე გაიგო, რომ ეს ნიღბები კი არა, ნამდვილი ფრინველების თავებია. ნიღბებს ასე დამაჯერებლად ვერ გააცოცხლებდი. ფრინველების პატარა და მძვინვარე თვალები ცურავდა ყვითელ ბუდეებში, რომელთა მიღმა იწყებოდა წვრილი ბუმბულის ფოჩები. ნისკარტებიც ნამდვილი იყო – როცა ისინი იღებოდა, მკრთალი ვარდისფერი ხორცი ჩანდა, ცოცხალი და სველი, წვეტიან და შავ ძვლებზე მიზრდილი. თუკი ეს ყველაფერი ყალბი იყო, მაშინ ძალიან მაღალი ხარისხისა იქნებოდა.

ფრინველები ჰგავდნენ ძველ მეომარ-დამპყრობლებს, დამორჩილებული ხალხის ბრბოზე ამაღლებულებს.

ორი ფრინველი, ეტლის კართან რომ ელოდა, სამფეროვანი მეტალის ქერცლით ანათებდა – ფოლადით, ოქროთი და ბრინჯაოთი. ხელებში ჩაავლეს ნიკოლაის და გაათრიეს მაღალ ფიცარნაგზე, რომელზეც უთავოთა ჯვარი აღმართულიყო, დიდი და შავი «Y»-ის მსგავსი.

ბრბო, რომელიც ახლახან ყაყანებდა და ყიჟინებდა, ჩაცხრა – და ყურადღებით უყურებდა მსხვერპლს, ცოცხალ დერეფანში მიმავალს. ადამიანებმა ორივე მხრიდან მჭიდროდ შეკრეს გასასვლელი, მაგრამ შიში სჯაბნიდათ: ფეხიც არ გადმოსცდენიათ სასაზღვრო ლენტის მიღმა. ნიკოლაიმ საიდანღაც იცოდა, რომ ბრბო შედგება მძინარეებისგან, შუა ძილში რომ მოურეკიათ აქ ფრინველებს. მან იცოდა, რომ ეძინა თავადაც, მაგრამ არ ახსოვდა, როგორ დაიძინა და მანამდე რა იყო.

ეშაფოტზე მდგარ ფრინველებს სხვანაირი თავები ჰქონდათ. მათი ნისკარტები ელვარებდა ღია ყვითელი განაკიდეებით, ხოლო თვალების გარშემო შავად მოჩანდა არშიები, რის გამოც გეჩვენებოდა, რომ თითქოს ისინი სათვალეებით იყვნენ. ერთ-ერთ ფრინველს ბრჭყალებიან თითებში ეკავა გამჭვირვალე

ცხრილები სუსტად განათებული წარწერებით.
შესაძლოა, ეშაფოტზე მყოფი ფრინველები რანგით უფრო მაღლა იდგნენ და ოფიცრების ფუნქციებს ითავსებდნენ – იერიც უფრო მშვიდობიანი ჰქონდათ, და მათში რაღაც მოშვებული თავისუფლებაც იყო. ეცვათ გრძელი, მკვრივი მასალის ხალათები, ჩამოსხმული ჰოლოგრაფიული სიღრმით. ეს ქსოვილი ხანდახან უცნაურად და მოღრუბლული დღისთვის შეუფერებლად ელვარებდა – თითქოს უხილავი მზისგან. ფრინველებს კეფიდან მოკლე ნაწნავები ეკიდათ, ქარზე მოფრიალე – ან რაღაც ძალიან მსგავსი.
თუმცა მათი მშვიდობიანი შესახედაობა მატყუარა იყო. როცა ნიკოლაიმ მიაღწია თავისი მწუხარე გზის დაახლოებით შუამდე, მისგან მარცხნივ მდგომმა ბრბომ მიწოლა დაიწყო და რამდენიმე პალო, ზედ დამაგრებული ლენტით, წააქცია. მაშინვე ცას შეერია ფიცარნაგზე მდგარი ერთი ფრინველი. ზიგზაგურად მიიწევდა ზევით, გეგონებოდა უხილავ კიბეზე ადისო. ეს საძაგლად და საშიშად გამოიყუებოდა, თითქოს მოტყუებით დაფრინავდა, რომლის შედეგების გამო იქვე უწევდა შემობრუნება სხვა ტყუილის მეოხებით, და ასე დაუსრულებლად – მაგრამ საბოლოო ჯამში, სულ მაღლა და მაღლა ადიოდა.
მოედანი გაისუსა, – შიშისგან და დარდისგან.
იმ ფრენაში ამოქმედდა რაღაც დაუნდობელი პრინციპი, ადამიანისთვის მიუწვდომელი, მაგრამ, უეჭველად, იმდენად მძლავრი, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდი. ეს ყველამ იგრძნო.
ბრბო გაბმული «ვაი-ვაით» მოშორდა გასასვლელს.
ძნელია თქმა, სახელდობრ, სად მიფრინავდა ფრინველი და რამდენად დიდხანს – ცის სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ სექტორში გაკრთა, მერე დაეშვა ეშაფოტზე, და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა დრო თავის კალაპოტს. ნიკოლაი ფიქრობდა, რომ იმ ფრინველს მოედანზე კიდევ ერთი წრე რომ გაეკეთებინა, ყველა მაყურებელი ძილშივე დაიხოცებოდა.
მაგრამ ის უკვე ზემოთ აჰყავდათ, საფეხურებით.
როცა ნიკოლაი ეშაფოტზე ავიდა, უფროსმა ფრინველებმა ნისკარტები მისკენ მიაბრუნეს ძალიან ადამიანური

მოძრაობით, და უცებ მოეჩვენა, რომ ისინი გადაცმული მსახიობები იყვნენ, იმათი მსგავსი, სარეკლამო ფურცლებს რომ არიგებენ სავაჭრო ცენტრების წინ, მხიარულ ცხოველებად გამოწყობილები, რათა გამვლელებს სინამდვილის კრიტიკული აღქმა და ადამიანური უსინდისობისგან დამცავი ინსტინქტები გაუთიშონ.
მაგრამ უცებ ერთი ფრინველი უკან გადაიხარა და ეშაფოტის ზედაპირზე, როგორც ყინულზე, ისე გასრიალდა მისკენ – გეგონებოდა ფეხებქვეშ ხმელეთის დახრის კუთხე შეეცვალა. ანდა, დახრაც კი არა, – თავად სიმძიმის ძალის მიმართულება. ეს საშიში იყო – და მაშინვე გააცამტვერა ყოველგვარი მსგავსება ადამიანთან. ნიკოლაის მოუნდა მუხლებზე დაცემულიყო, და თავი შეიკავა მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა, ეს ფრინველებს მოეწონებოდათ თუ არა.
ერთმა ფრინველმა ჭოგრიტზე მიუთითა, ეშაფოტის კიდეზე რომ ეყენა. ნიკოლაიმ ყურადღება მიაქცია მას, როცა ფიცარნაგზე ავიდა – ჭოგრიტი მიაგავდა მსხვილ სადგამზე დამაგრებულ, კომერციულ ტელესკოპს, რომელშიც შეიძლება გაიხედო და რამდენიმე წუთს უყურო შემოგარენს, თუკი ჭრილში მონეტას ჩააგდებ. ტელესკოპი ადამიანის ნახელავი არ იყო – მაგრამ ნიკოლაი მიხვდა, რომ ფრინველებმა სწორედ ადამიანებისთვის გააკეთეს იგი. ეტყობა, ჭოგრიტში უნდა გაეხედა.
ნიკოლაიმ თვალი მიუახლოვა ოკულარს. მის წინ გაკრთა წითელი ლაქა მტვრის მკვეთრი ინფუზორიებით. მოეჩვენა, რომ ჭოგრიტი სადღაც მიაქვს. ორივე ხელით ჩაეჭიდა და იგრძნო, როგორ ბალანსირებდა იგი ძნელად მოსახელთებელი წონასწორობის ცენტრის ირგვლივ. როცა, ბოლოს და ბოლოს, მისი სწორად დაჭერა მოახერხა, გაისმა ნატიფი წრიპინი. სურათი ოკულარში გამკვეთრდა და გაშეშდა.
ნიკოლაიმ დაინახა უდაბნო, მიწიდან ამოსული მოწითალო კლდეებით. მისი მხედველობის ცენტრში მოექცა ქვის ამაღლება, სადაც მოეწყოთ რაღაც ფიცარნაგი პიუპიტრით, დირიჟორის სამუშაო ადგილის მსგავსი. ოღონდ პიუპიტრზე ნოტები კი არა, გამჭვირვალე ფურცლების დასტა ეწყო მანათობელი ნიშნებით – ნიკოლაის უკვე ენახა მსგავსი ცხრილები ერთ-ერთ ფრინველთან.

პიუპიტრის წინ იდგა დაბალი, მომრგვალებული ფიგურა – ვიღაც მსუქანი, გახვეული უცნაურად მოელვარე მანტიაში, სწორედ ისეთში, როგორიც ფრინველებს ჰქონდათ. თავზე ეხურა იმავე მასალისგან გაკეთებული შლაპა, გრძელი ფარფლებით, დაფერდებულ მხრებზე რომ ეფინა. მსუქანი თითქმის შეუმჩნეველი იყო გარემომცველ ქვებში – მისი მანტია და ქუდი იმეორებდა მათ ფერს. მღვდელს მოგაგონებდათ ანალოღიის
წინ – და მსგავსი საქმისთვისაც მიეყო ხელი: იმ თავისი მანათობელი ფურცლებიდან კითხულობდა ან ლოცვას, ან ქადაგებას, რომლის ბგერები შემოიჭრა ნიკოლაის ცნობიერებაში სწორედ იმ მომენტში, როცა მან მკითხველი გამოარჩია ქვის შვერილებისგან. ისმოდა მსუქნისთვის დამახასიათებელი, სასაცილო რომ არა ვთქვათ, ხმა – ხრინწიანი ბუტბუტი, ხანდახან გადაზრდილი წყნარ და მღელვარე წკმუტუნში.
ნიკოლაი მიხვდა, რომ მიზანს ხედავს.
ერთ-ერთი ფრინველის ბრჭყალებიანმა თითმა ნიკოლაი ტელესკოპს მოჰგლიჯა. მაშინვე გადააცვეს ხალათისმაგვარი (ან რომელიღაც სამოსელი) იმავე უცნაურად მოციმციმე მასალისგან, რაც ფრინველებს ეცვათ. ქსოვილი მიაგავდა ფარჩას გარდამავალ ფერებში – ნიკოლაის რომ შეეხო, გაყვითლდა და პატარა, შავი სამკუთხედებით დაიფარა. ნიკოლაის უნდოდა, მხრებზე გადმოფენილი, ფართო ლენტები შეესწორებინა, მაგრამ უცებ ქსოვილმა მოძრაობა დაიწყო. შემზარავი იყო. ნიკოლაის მოეჩვენა, თითქოს უშველებელი პითონი ახრჩობს. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, და ისიც მაშინვე დანებდა. თუმცა ცუდი არაფერი მომხდარა. ქსოვილის ზოლები შემოერტყნენ მის ფეხებს, მკერდი და ზურგი მუხლებთან მიიმწყვდიეს და აიძულეს, უხერხული პოზა მიეღო: ჩაცუცქულიყო და მჭიდროდ მიებჯინა მკერდი მუხლებზე, თავი კი უკან გადაეწია. გამოვიდა ჩანასახის პოზისმაგვარი, პაპის ვიზიტს რომ უყურებდა. მაგრამ ამ აზრმა ოდნავადაც არ გაამხიარულა ნიკოლაი.
ახლა მისი მზერის გასწვრივ უთავოთა ჯვრის ორკაპი იყო, სამად გაჭრილი ცა დიდი, შავი «Y»-თი. ნიკოლაიმ იგრძნო, როგორ ვიბრირებს მისი სხეული, და მიხვდა, რომ ჯვრის

დაბოლოებებსა და მის დამატყვევებელ ყვითელ ქსოვილს შორის რაღაც დაძაბულობა წარმოიქმნა. ჯვარზე გაიარა მოგუგუნე ზანზარის ტალღამ – მერე გადაულახავმა ძალამ აიყვანა ნიკოლაი და მძვინვარე მოქნევით ისროლა რქებს შორის განათებულში. გაისმა ელექტრული ტკაცუნი, და მან გონება დაკარგა გადატვირთვისგან. შოკმა რომ გაიარა, ცა უკვე ზემოთ კი არა, გარშემო იყო – ნაცრისფრიდან მუქი წითელი გახდა.
ქვემოთ გაჭიმულიყო უსასრულო წითელი უდაბნო, ნიკოლაის მიერ ტელესკოპში ნანახი. ცხადი იყო – დიდი ხანია, ისე დაბერდა, რომ მისი სიძველის შესაფერისი სიტყვაც არ მოიძებნება. ქარი უბერავდა, უდაბნოზე წითელ შლეიფს მიიყოლებდა, ისიც დაღლილი და ბებერი. მტვრიანი სიბნელიდან აქა-იქ გამოშვერილიყვნენ კლდეები, გაქვავებული ხეების ზროებს ჰგავდნენ – ანდა ქარით ალესილ, გამქრალი ტაძრების კოლონადებს.
ნიკოლაიმ უდაბნოში შენიშნა რაღაც წრე, ცენტრში შავი წერტილით. წრე ძალიან შორს იყო – მაგრამ, როცა ნიკოლაიმ ყურადღება მიაქცია, თითქოს მის ცნობიერებასთან მიერთებული დამიზნების სისტემა ამუშავდაო. წრემ გაფართოება დაიწყო და მალე მრგვალი კოლონადის ნანგრევებად გადაიქცა, რომლისგანაც მხოლოდ კოლონებზე ამოსული წითელი ქერელები დარჩენილიყო.
რაღაც გაუგებარი მიზეზით, ეს ყველაფერი უმცირეს დეტალებში ჩანდა – თითქოს ნიკოლაის თვალში სწორედ ის ჭოგრიტი ჩაუნერგეს, რომლიდანაც ფიცარნაგიდან ზეცას უყურებდა. იმავდროულად ისევ გაიგონა წყნარი ბუტბუტი და იგივე მსუქანი გაარჩია პიუპიტრთან. მსუქანი შემოტრიალდა, მაღლა აიხედა – და ნიკოლაიმ მისი სახე დაინახა.
ეს სახე კი არა, ღორის მწვანე სიფათი იყო.
ნიკოლაის ცნობიერებაში ფრინველების გამოგზავნილმა აზრების ტალღამ გაიარა, და მიხვდა, ვინ იდგა მის წინ. ბებერი ტახი. როგორც ფრინველები ეძახდნენ და გამოსახავდნენ ადამიანთა გონებაში შემოქმედს.
ყველაზე გამაოგნებელი ის იყო, როგორ შეიჭრა გაგება ნიკოლაის ტვინში: დამიზნების სისტემას, რომლიდანაც ფრინველები მართავდნენ მის ფრენას, არა მარტო

გამოსახულებების ტრანსლირება შეეძლო, არამედ აზრებისაც, სამეტყველო ინტერფეისის გვერდის ავლით.
ნიკოლაი მაშინვე მიხვდა, რომ მის წინაშე ნამდვილი შემოქმედი კი არა, მულიაჟია. კოსმოსის შემქმნელი, რასაკვირველია, ასეთი არ იყო. მას ღორის დინგი არ ჰქონდა, რადგან არ სჭირდებოდა მიწის თხრა, ფესვები რომ ეჭამა. და სამყაროს, რომელშიც ის მყოფობდა, საერთო არაფერი ჰქონდა წითელ უდაბნოსთან. ეს ყველაფერი მულტფილმი იყო, რომლის საშუალებით, მიუწვდომელი ადამიანისთვის გასაგებ სახეს იღებდა – და ნიკოლაის მიზანთან აახლოებდა.
ნიკოლაიმ იფიქრა, რომ მსგავსი ბუნება ჰქონდა ადამიანთა ხატებსაც – ისინიც აბსტრაქტულსა და უხორცოს აზრების ენაზე გადმოსცემდა, რაც გასაგები იყო სხეულებრივი გონებისთვის... მაგრამ ადამიანებს შემოქმედი თავის მსგავსად წარმოედგინათ. ფრინველებმა კი მათგან და ასევე, ადამიანებისგან, სრულიად განსხვავებული სახით დაინახეს: მათ შემოქმედს ულვაშიანი მწვანე ღორის სახე მისცეს, ცხვირის მაგივრად ფართო, სველი დინგით.
ნიკოლაი მიხვდა, რომ ფრინველების თვალში, ბებერი ტახი ყოვლადძლიერების ღრუბელზე განცხრომით წამოწოლილი კეთილი და ყოვლისმხედველი სული არ იყო. შემოქმედი მათ უფრო ცირკის ექსცენტრიკოსს მოაგონებდა, ცალთვლიან ველოსიპედს ბაგირზე რომ ატარებს და თეფშებით ჟონგლიორობს. იმ წუთიდან, რაც ის ბაგირზე ავიდა და პირველი თეფში ააგდო, თავისუფალი არჩევანი უკვე აღარ ჰქონდა. უფრო სწორად, არჩევანი ერთი იყო: ხმაურით ჩავარდნილიყო ჯანდაბაში მთელი თავისი ავლა-დიდებით – ანდა წონასწორობა დაეცვა და გაეგრძელებინა.
კოსმოსში არ არსებობდა უფრო ბედკრული და ტვირთმძიმე არსება. შემოქმედს არ შეეძლო ვინმეს დახმარებოდა, საკუთარ თავსაც კი: ის საკუთარ ქმნილებაზე იყო მიჯაჭვული, როგორც საჯარიმო ბატალიონის განწირული ჯარისკაცი სროლისგან გახურებულ «მაქსიმკაზე».
ის, რომ ფრინველების საბრძოლო გრაფიკა რეალობას ასახავდა, ბევრ რამეს ხსნიდა – არა იმდენად შემოქმედზე, რამდენადაც თავად მათზე. მათ სძულდათ შემოქმედი, მიხვდა ნიკოლაი. ეჯავრებოდათ, რადგან ის იყო მათი მიზეზი. და ისინი

ერთზე ოცნებობენ: აღარავითარი მიზეზი არ არსებობდეს და თავად გახდნენ ღმერთები – რათა ქმნილება დასრულდეს. და ამისთვის გეგმაზომიერად ანადგურებენ განზომილებებს ერთიმეორის მიყოლებით...
ფრინველების ოპტიკა საშუალებას აძლევდა ნიკოლაის, თვალწინ მუდამ ჰყოლოდა ბებერი ტახი.
ფრინველებს, რაღა დასამალია და, შავბნელი იუმორი ჰქონდათ. შემოქმედის დინგზე შეშფოთებული თვალები შავ მძივებად ბრწყინავდა. იმის სქელ, ხორბლისებურ ულვაშებში ილანდებოდა რაღაც სტალინური. შემოქმედის პირი სწრაფად მოძრაობდა. ნიკოლაი მიხვდა, რომ შემოქმედი შეუჩერებლად იმეორებს ისეთ შელოცვებს, სამყაროს რომ განაახლებს. იმ თავისი კაბალის კითხვით გამუდმებით არემონტებდა რყევად სამყაროს. ნიკოლაის არ ესმოდა ცალკეული სიტყვის აზრი, მაგრამ რაღაცნაირად ზოგადად აღიქვამდა რეჩიტატივს, – და ის შემაშფოთებელი იყო.
ტახის ღრუტუნ-ბუტბუტი ქმნიდა სივრცეს, დროს და მატერიას. ის ქმნიდა კანონებს სიცარიელეში აალებული სხეულებისთვის – უმცირესიდან უდიდესამდე. და კიდევ – მიკროკოსმოსს ფიზიკური სხეულების შიგნით, გარეგნული კოსმოსის მსგავსად. თუმცა ეს კანონები არ იყო მარადიული: ისინი მოქმედებდა ერთხანს სიმძლავრის ბგერა-მარცვლების წარმოთქმის შემდეგ, მაგრამ თანდათან მათი ვიბრაცია სუსტდებოდა, ძალა აღარ რჩებოდა, და შელოცვების გამეორება იყო საჭირო.
ნიკოლაისა და ბებერი ტახის თვალები ერთმანეთს შეხვდა. ნიკოლაი მიხვდა, რომ ტახმა იცის ფრინველების გეგმა, მაგრამ ვერაფერს – ანდა არაფერს – შეცვლის. ტახი განწირული იყო, მაგრამ მაინც ძველებურად ასრულებდა სამუშაოს.
ყველა ეს აზრი განლაგებული იყო თითქოსდა ფრინველებისგან მოსული ინფორმაციული შენადედის პერიფერიებზე. ფრინველები არ აპირებდნენ თავიანთი მეტაფიზიკის წვრილმანები აეხსნათ – ნაგებობა, რომელიც ნიკოლაიმდე დაჰყავდათ, მკაცრად ფუნქციური იყო. ერთადერთი დასახელება ჰქონდა: ეჩვენებინა სამიზნის მოწყვლადობა.
ნიკოლაიმ გაიგო, რომ ტახის მიერ ნაკითხი შელოცვები აღმართავენ მის გარშემო კედელს, რომელშიც არათუ ვინმე

შეეტევა, ყურადღების სხივიც კი ვერ შეაღწევს. ბებერი ტახი უხილავი და უგრძნობი ფრინველებისთვის იყო. მიუხედავად სიმძლავრისა, ისინი ვერ აღმოჩნდებოდნენ იქ, სადაც ნიკოლაი იყო – ეს სამყაროებს ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურებდა და შეაღწევდა იქ, მისი მობინადრეების საშუალებით.
შემოქმედთან მიახლოების უნარი მინიჭებული ჰქონდა ერთადერთ იარაღს სამყაროში – თავად მას, ნიკოლაის... მას შეეძლო, ვიწრო სტილეტის მსგავსად, აბჯრის ღრეჩოებში რომ გადიოდა, სამყაროს გულამდე მიეღწია... და ტახისთვის თვალებში ჩაეხედა დარტყმის წინ... როგორც შეტევის ინსტრუმენტი, ნიკოლაი სრულყოფილი იყო.
საბოლოო ნახტომისათვის მომენტის შერჩევისას ფრინველები ნიკოლაის იჭერდნენ მაღლა, წითელ ცაში. ის ველის ზემოთ ლივლივებდა, თვალს არ აშორებდა მიზანს, და თავისთვის კრეფდა სულ ახალ-ახალ აზრებს. მერე კი გაიგო, რომ ელაპარაკებიან არა მხოლოდ ფრინველები – არამედ თავად ბებერი ტახიც.
უფრო სწორად, კი არ ელაპარაკება. აჩვენებს.
მის მწვანე პირისახეს, მაინც დიდებული რომ იყო ფრინველების შექმნილი სამასხარაო ნიღბის მიღმა, მრავალი ნაიარევი ფარავდა – თავდასხმების კვალი, რომლითაც დაბადებიდან თავს ირთობდნენ მისი შვილები – მათი შექმნილი არსით. იმ თავდასხმებიდან ერთმაც ვერ მიაღწია სამიზნეს. მაგრამ თითოეულმა ტკივილი მიაყენა ტახს. ნიკოლაიმ შეხედა კარიკატურულად შეფერილ შემოქმედის თვალს, და მის მკერდში გაირბინა თანაგრძნობის მტკივნეულმა ტალღამ.
ტახი კეთილი იყო, უსასრულოდ კეთილი, და სივრცეში მოლივლივე ყოველი ბალახის ღერისადმი სიყვარულით სავსე. მან შექმნა სამყარო, რათა ჰყვარებოდა იგი, რათა ყველა ქმნილებას ჰყვარებოდა ერთიმეორე და შემოქმედი და ეცხოვრათ ერთ დიდ მეგობრულ ოჯახად. მაგრამ სამყარო იყო არასრულყოფილი, იმიტომ კი არა, რომ ბებერი ტახი ბოროტი ანდა სულელი იყო; იმიტომ, რომ სხვანაირად სამყარო ვერ იარსებებდა. სრულყოფილების შეთანხმება ყოფიერებასთან შეუძლებელი იყო. ნიკოლაი შეეცადა გაეგო, რატომ – და ტახის თვალებში პასუხი აციმციმდა.

ეს ძალიან იოლი იყო.
სამყარო არსებობდა დროში. დრო გულისხმობდა ცვლილებებს. ხოლო ცვლილებები გულისხმობდნენ «უკეთესს» და «უარესს». ასე გაჩნდა კარგი და ცუდი, და რაც უფრო რთული ხდებოდა სამყარო, მით უფრო რთულდებოდა მათი მონაცვლეობის წინასწარმეტყველება. მაგრამ არავის უნდოდა ამის გაგება. და ტახის ყველა ქმნილება – უმაღლესი ანგელოზებიდან უბრალო ცხოველებამდე – სამაგიეროს უხდიდა შემოქმედს ამ არასრულყოფილებისთვის. მათ არ ესმოდათ, რომ არასრულყოფილების გარეშე თვითონაც არ იქნებოდნენ.
არასრულყოფილ სამყაროშიც კი შეიძლებოდა თითქმის ბედნიერად გეცხოვრა, რამდენიმე უბრალო წესი უნდა დაგეცვა, რომელთაც ტახმა დაუმორჩილა სამყაროს ნაგებობა. მაგრამ წესებს ცოცხალი არსებები თავად უნდა მიჰყოლოდნენ. ტახი იმათ მაგივრად ვერ იზამდა ამას.
ბებერი ტახის თვალებში უსასრულო სიყვარული გაიყინა – და უსასრულო სევდა. ნიკოლაის მოეჩვენა, რომ ის მიაგავს მოხუც და კეთილ მეწაღეს, მრავალი უმადური შვილის პატრონს, რომელსაც ყოველდღიურად საყვედურობენ თავიანთ სიღარიბესა და მოუწყობლობას – ხოლო მეწაღე თავს ჩარგავს ხოლმე მხრებში, იწმენდს მიფურთხებულს და ცდილობს, უფრო მარდად იმუშაოს, იცის, ბავშვები ვერასოდეს გაიგებენ, რა ჯვარს ატარებს მათი მამა, რამეთუ სწორედ ისინი არიან ჯვარი... უთავოთა ჯვარი, ჩაიცინა ნიკოლაიმ.
ახლა მომხდარი საბოლოოდ გაირკვა.
ფრინველები იყვნენ ტახის ყველაზე სრულყოფილი ქმნილებები. მათში შეეცადა მიახლოებოდა აბსოლუტურ იდეალს – რამდენადაც ეს შეიძლებოდა. სცადა, ისინი საკუთარ თავზე უკეთესი შეექმნა. ფრინველებმა კი თავიანთი სრულყოფილება და შემქმნელის ნაკლულევანება იგრძნეს. მათ შერცხვათ ტახისა და გადაწყვიტეს, მოეკლათ, რათა მიზეზებს აღარ ეარსება. სცადეს, ტახის ყველა ქმნილების განადგურება, საკუთარი თავის გარდა.
ბებერი ტახი, შიშით მიხვდა ნიკოლაი, ძალიანაც არ იყო წინააღმდეგი – ის დაიღალა და მეტისმეტად ბევრი უსამართლობა იწვნია. მხოლოდ ის ასევდიანებდა, რომ

ფრინველებსა და სხვა ქმნილებებს გაქრობა მოუწევდათ. ფრინველებს არ ესმოდათ მთავარი – ისინიც ტახი იყვნენ. შემქმნელის მოკვლით თავსაც იკლავდნენ. ანდა, ეგებ, ეს ესმოდა კიდეც ზოგიერთს, ყველაზე მაღლებს, მაგრამ სრულყოფილების მწვერვალად არყოფნას თვლიდნენ.
ტახი საკურთხეველზე აიყვანეს. ხოლოთუ ნიკოლაი სამსხვერპლო ხანჯალი იყო – და ახლა ტახი თავისი ბრძენი ბებერი თვალით ალმაცერად უყურებდა, კარგად იცოდა, რატომ უახლოვდებოდა ეს დამფრთხალი ვიზიტორი.
ცაში ფრენისას ნიკოლაი სულ უფრო გარკვევით ხედავდა ადრინდელი დარტყმების კვალს შემოქმედის საყდარზე – ნაკბილარებს სივრცე-დროის იდუმალ სუბსტანციაზე. მან არ იცოდა, ეს ყველაფერი რა იყო სინამდვილეში: მისი ცნობიერება ნანახს ადამიანისთვის ჩვეულ ფორმებში შიფრავდა.
ის არ იყო პირველი ცოცხალი ბომბი, ფრინველების მიერ ტახთან გაგზავნილი. იმის გარშემო, რაც ნიკოლაის მრგვალი კოლონადის ნანგრევებად წარმოუდგა, წითელი მტვრით დაფარული მრავალი გვამი ეყარა – ადრე ოღროჩოღრო ნიადაგად რომ ჩათვალა.
ეს მახინჯების, ჰარპიებისა და ქიმერების ინფერნალური სანაგვე იყო. აპკები, ფრთები, ბრჭყალებიანი კუდები, მრავალკბილიანი ყბები, ნემსები, ნესტრები... გეგონება, ვიღაცის ბოროტმა ნებამ ფორმა ფორმაზე გამოსცადა, ბოლო კარიბჭისთვის გასაღებს არჩევდა, ანგელოზებს ღორებთან აჯვარებდა... ყველაზე საძაგელი, რასაკვირველია, დეტალები იყო – შეღებილი მატყლის ბღუჯები, საყურეები ორმაგ ყურებში, ძვირფასი ბეჭდები ქუთუთოებსა და ტუჩებში... ტანსაცმელი და სამშვენისები ზოგიერთ მახინჯზე გულისხმობდა, რომ ფრინველებმა დაღუპეს მთელი ცივილიზაციები და კულტურები, რათა თავიანთი შუბებისთვის ახალი პირები ჩამოეცვათ – ეს ცოცხალი დაბოლოებები კი, ალბათ, უძველესი ვარსკვლავების შუქზე ოცნებობდნენ, რომელი ძალა უხმობდა მათ ყოფიერებაში და რა მიზნით...
მაგრამ ყველაზე თანამედროვე იარაღი იყო ნიკოლაი – და მილიონი ისეთი, როგორიც თვითონაა, უკვე რომ მოაბიჯებდნენ რევოლუციისა და მსოფლიო ომების მორევში... ნიკოლაის

გაახსენდა თავისი დიადი სეხნიის, გუმილიოვის სტრიქონები:
ვყვირი, და ჩემი ხმა ველური –
სპილენძი სპილენძზე მიხლილი,
დიადი აზრით ვარ შეძრული,
არ მინდა, არ მინდა სიკვდილი...
«რაში მდგომარეობს, კერძოდ, დიადი აზრი? – იფიქრა მან, – ალბათ, როგორც ყველა დიადი აზრი, თავის თავში. იმაში, რომ მე, როგორც დიადი აზრით შეძრულს, არ მინდა სიკვდილი. და სანამ ამას ვფიქრობ, ყველაფერი არის ოკეი. და თუკი ხუთი წუთით შევწყვეტ? მაშინ, გამოდის, რომ უკვე შემიძლია მოვკვდე? რაღაც უსიხარულოდ გამოდის... თუმცა კარგად კია ნათქვამი – შეძრული. ფრინველები იყენებენ ადამიანს, რათა რაღაც ძალიან საძაგელი დააგდონ მწვანე ღორთან. და მერე ჩვენ რა მოვგივა, მათთვის სულერთია...»
ნიკოლაიმ ეს ისე ცხადად გაიგო, რომ ეჭვი აღარ დარჩენია. მას შეეძლო ზუსტად დამიზნებულიყო შემოქმედზე, ეპოვა და დაენახა იგი საკუთარ თავში. უგრძეს ევოლუციას, რომლის გვირგვინი თავად იყო, ფრინველების ხედვით, ერთადერთი აზრი ჰქონდა: დაემზადებინა სარკე, რომელიც საიმედოდ აირეკლავდა და თავისთან დაიტოვებდა მხსნელის სახეს. ყველა ადამიანური რელიგია ერთღმერთიანობის პირველი ვერსიების ხანიდან, – იყო ამ ლოკატორის გრძელი და საკირკიტებელი მომართვა, რომელიც შეძლებდა ბებერი ტახის მოძებნას მის დამმალავ სიცარიელეში... და ახლა ეს სრულყოფილი იარაღი, ბოლოს და ბოლოს, გადმოისროლეს ბრძოლაში.
უხილავ კედელში, ტახს რომ ერტყა, გამოჩნდა გამომტვრეული ადგილები, შეტევისთვის საკმარისი. შესაძლებლობის ფანჯარა იყო ძალიან ვიწრო, მაგრამ ის არსებობდა. და მაშინვე სივრცეში, ნიკოლაის გვერდით, გაჩნდა ერთ-ერთი ფრინველი. ის მხოლოდ შუაწელამდე ჩანდა: სიცარიელიდან გადმოკიდებული, როგორც ხავერდის ფარდით დაფარული თეატრალური ლოჟიდან. იმწამსვე ყველა მხრიდან სინათლის კაშკაშა სხივები დაეცა, და მისი მოციმციმე ჰოლოგრაფიული სამოსი შეიჭმუჭნა აუტანელი სიცხისგან. გაუშავდა და აუბოლდა ნისკარტი, თეთრ ერბოკვერცხად შეიწვა ზეციურ ცეცხლზე მისი თვალები, და ნიკოლაის მოეჩვენა, რომ გრძნობს დამწვარი

ბუმბულის სუნს. მაგრამ ფრინველმა მოასწრო შეხებოდა მის ზურგს მოკლე, წითელ-ოქროსფერი კვერთხით – და გაქრა. კვერთხის შეხება ძალიან მსუბუქი იყო, თუმცა მან წარმოუდგენელი ძალით ისროლა ნიკოლაი მიზნისკენ იმ სივრცის გავლით, უცებ მრავლფენოვანი და მკვრივი რომ გახდა. მისი გარემომცველი ქსოვილი ამოძრავდა, სხეულს ახალი პოზა მისცა – მისი ტანი გაიჭიმა, ფეხები უფრო მეტად მოიხარა მუხლებში. ნიკოლაის მოეჩვენა, რომ ფოლადის ჰარპუნად გადაიქცა.
მაგრამ ბებერ ტახამდე მიფრენა არც ისე ადვილი იყო. ნიკოლაი მიფრინავდა წითელი კოლონადისკენ წარმოუდგენელი სიჩქარით, მაგრამ ტახი, თუმცა კი ნათლად ჩანდა, არ ახლოვდებოდა – თითქოს ნიკოლაის ერთ-ერთი იმ სიზმართაგანი ესიზმრებოდა, რომელშიც მთელი ძალით გარბიხარ, მაგრამ ადგილიდან მაინც ვერ იძვრი.
ნიკოლაი მიხვდა, რა ხდებოდა. ფრინველებმა დააგვიანეს. შესაძლებლობის ფანჯარა დაიხურა: ტახმა სამყარო წონასწორობაში მოიყვანა. ახლა უკვე შეეძლო საკუთარი თავის დაცვა. კარიკატურული ხორბლის წარბები შეეკრა, შელოცვებს კითხულობდა, რასაც ნიკოლაი შორს უნდა მოესროლა.
ნიკოლაის ზურგს უკან (ამას ვერ ხედავდა, მაგრამ ცხადად გრძნობდა) გაისმა ფრინველთა ქოროს მრავალხმოვანება, იმავე შელოცვებს წარმოთქვამდნენ: ფრინველები მთელი ძალით მიმართავდნენ ცოცხალ ბომბს ბებერი ტახისკენ – ტახისვე ნებით. რამეთუ მას ისე უყვარდა ფრინველები, რომ აღჭურვა თითქმის ყველა ძალით, რასაც თავად ფლობდა.
ეს იყო თანაბარი შეტაკება.
არა, თითქმის თანაბარი. გაიმარჯვეს ფრინველებმა, რადგან მათ არ უყვარდათ ტახი. ხოლო ტახს უყვარდა ფრინველები, და ამაში იყო მისი სისუსტე.
ორი მძლავრი ნება, რომელთაგან თითოეულს შეეძლო, ვერც კი შეემჩნია, ისე დაეხერხა ნიკოლაი ატომებად, შეეხნენ და გაანეიტრალეს ერთიმეორე – მაგრამ მათი მცირე თანაბარქმედება საკმარისი აღმოჩნდა, ცოცხალი ნაღმის ასამოქმედებლად.
ნიკოლაი ცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა თავისი ვარდნა. მაგრამ მისი ძალისხმევა არაფერს ნიშნავდა ამ კოსმოსურ

წონადობაში. კოლონადამ მოახლოება დაიწყო. მერე კი გაიგო, რომ ფრინველებმა ააცდინეს. სულ პატარაზე.
ტახმა უკან გადააბიჯა და მაშინვე გაქრა, ხოლო მისი ცარიელი სამოსი ქვის ამაღლებაზე დაცვივდა, კოლონადის ცენტრში. პიუპიტრი მანათობელი კაბალისტური ფურცლებით მტვერში ჩაინთქა. ხოლო ნიკოლაი მიწას შეასკდა.
ტკივილი საშინელი იყო. ნიკოლაიმ უხმოდ დაიყვირა – და თითქოს იმ ყვირილად იქცა, საკუთარ მინელებულ ექოდ, ცნობიერების გამკრთალ ნაპერწკლად.
ის მიხვდა, რომ ფრინველების იარაღი სწორედ ეს ტანჯვა იყო, რომლის გადატანას აიძულებდნენ არა მხოლოდ მას, არამედ შემოქმედსაც. მხსნელი ვერ მიეხმარებოდა ნიკოლაის, თუ არ დაარღვევდა საკუთარ კანონებს. მას შეეძლო მხოლოდ გამქრალიყო, მასზე ამხედრებული სამყარო დაეტოვებინა – რაც გააკეთა კიდევაც.
ნიკოლაი მიხვდა, რა მოხდა ფრინველების რასასა და ტახს შორის, როცა ფრინველებმა პირველად აღმართეს ხელი შემოქმედის მოსაკლავად. ეს სამყაროს მითებს შორის უძველესს მიაგავდა.
თავად თავდასხმა ნიკოლაის არ დაუნახავს. მან მხოლოდ წარმატებაში დარწმუნებულ ფრინველთა ცივი სიხარული იგრძნო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ფრინველებმა დაინახეს, რომ შემოქმედი ცოცხალია, და მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. იმედი ჰქონდათ, რომ აჯობებდნენ, რადგან მან თავად დაუტოვა ამის შესაძლებლობა – მაგრამ ეს მხოლოდ ცდუნება იყო, სასტიკი გამოცდა, რომლისთვისაც შემოქმედმა გაიმეტა მათი სულები.
ფრინველებმა გამოცდა ვერ ჩააბარეს.
ნიკოლაის გონებამ, სანამ ჩაქრებოდა, ფრინველების უცნაური, ცივი და ნახევრად ველური ყოფა დაინახა – ისინი ცხოვრობდნენ პირქუშ სამყაროში, მაღალ კლდეებს შორის, ბნელ, ყინულიან ზღვას რომ დაჰყურებდა, უძველეს ნაპრალებში, მიუწვდომელი ტექნოლოგიებით აქა-იქ რომ შეცვლილიყო. მათი კვერცხები – ნატიფი ნაყშით მოხატული მოყვითალო სფეროები – განისვენებდნენ დიდ მანათობელ ბუდეებში. მათი მოფრთხილება ფრინველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა: ამ თესლის დათესვას

აპირებდნენ სამყაროში, ტახის ჩამოგდების შემდეგ.
და ტახმა მათ თესლი წაართვა.
მოულოდნელად გამოჩნდა საიდუმლო სამალავიდან – და გაჩნდა თავისი დიდების დამაბრმავებელ გვირგვინში მრავალ ალაგას. ფრინველებმა ვერც კი მოასწრეს რამის გააზრება, და ბებერმა ტახმა უკვე მომავლის გარეშე დატოვა მათი ამაყი რასა. თითქოს როგორც მბრძანებელმა მწვანე მხეცმა, თავზე ოქროს გვირგვინით, ერთდროულად ათასობით ბუდეს ჩაუქროლა, და ისინი დაცარიელდა სამუდამოდ.
ნიკოლაიმ იგრძნო ფრინველების მძვინვარება და მათ თავს დატეხილი მწუხარება. მაგრამ მან იცოდა, რომ ფრინველები არ დანებებულან.
ისინი მხოლოდ გააფთრდნენ – და დაიფიცეს, რომ მარად შურს იძიებდნენ ხელმისაწვდომი სამყაროების განადგურებით.
ნიკოლაი გრძნობდა, რომ ფრინველები არ გაუშვებენ სიკვდილში, რომ მომკვდარიყო. მათ სჭირდებოდათ მისი მეხსიერება.
ერთ-ერთმა ფრინველმა არყოფნიდან წამოიყვანა – და ის მიხვდა, რომ ახალი შეტევა სხვანაირი იქნებოდა.
ახლა ფრინველებს ქალი სჭირდებოდათ. უკვე იპოვეს კიდეც ის, და ნიკოლაი, როგორც მორჩილი თიხა, დაწნეხილი ბრჭყალიან თათში, მისი ცნობიერების ნაწილი გახდა.
იმ ქალის წინაშე გაიხსნა ეტლის კარი. ის დაიძრა დაბინდული მოედნისკენ, მოგუგუნე ბრბოში – და მის თავზე წამომართული ეშაფოტისკენ.
დაშა
ფრინველები დაშასთან დელიკატურები და დარცხვენილებიც კი ჩანდნენ. მას ეჩვენებოდა, თითქოს ისინი თვალს არიდებდნენ – თუმცა ესმოდა, რომ ეს არაფერს ცვლიდა, რაკი ისინი 360-გრადუსიან ზონაში ყველაფერს ცხადად ხედავდნენ.
ფიცარნაგის ირგვლივ თავმოყრილ დიდ ბრბოში თითქმის არ ისმოდა სიძულვილის შეძახილი. მხოლოდ გაუგებარი ბუბუნი აღწევდა, ზღვის ღრიალის ანდა მიწისქვეშა გუგუნის მსგავსი.
დაშამ ჩვეულებრივი ქალური სიამაყით გაიფიქრა, რომ შეკრებილები შეძრა მისმა ახალგაზრდობამ და სისუფთავემ.
და იქვე მიხვდა: ფრინველებმა გაიგონეს მისი აზრი.
ისინი ორნი იყვნენ ეშაფოტზე – ფერებგადამდინარე

ხალათებში, უკან გრძელი ნაწნავებით (დაშამ საიდანღაც იცოდა, როგორ გამოიყურებიან მაღალი რანგის ფრინველები). ფრინველები გაისუსნენ, თითქოს გაითიშნენ – მაგრამ მაშინვე გონს მოეგნენ და საქმე განაგრძეს.
უთავოთა ჯვრის დაყენებით იყვნენ გართულები. მანათობელ ცხრილებს ამოწმებდნენ, დროდადრო რომ აკაშკაშდებოდა ხოლმე დამაბრმავებლად, ისინი ატრიალებდნენ სპილენძის რგოლებს, წარწერებით მის საყრდენ ძელზე. ეს წარწერები დაშას ფრინველთა ბრჭყალების ნაკვალევს აგონებდა.
ჯვრის უკნიდან მოულოდნელად გამოვიდა მესამე ფრინველი, რომელიც ადრე არ ყოფილა ფიცარნაგზე. ის ვერ დაიმალებოდა ჯვრის უკან, იქ არასაკმარისი ფართობის გამო – და ამის მიუხედავად, მისი გამოჩენა სწორედ ასე გამოიყურებოდა.
თან მოჰქონდა იმავე უცნაური ჰოლოგრაფიული ქსოვილის ელვარე კომბინეზონი, რაც დანარჩენ ფრინველებსაც ეცვათ. ქსოვილი ნაცრისფერი ჩანდა, მაგრამ აქა-იქ თრთოდა და წითელში გადადიოდა – თითქოს ფრინველს ეცვა უხილავი ლაბადა, რომელიც კომბინეზონთან შეხების ადგილებს აფერადებდა. ფრინველის მკერდზე იყო ნიშანი, ვარსკვლავის მსგავსი, დახრილი სხივებით, თავს კი მოკლე, წითელი პლუმაჟი უგვირგვინებდა. დიდებულად გამოიყურებდა, მაგრამ აფუჭებდა საშინელი დამწვრობა: თითქოს ნისკარტი და ბუმბული წარმოუდგენლად კაშკაშა სინათლისგან დანახშირებოდა, ხოლო ცალი თვალი საზარლად შებრაწოდა დაბინდულ, ოღონდ თეთრ გუგაში.
ცალთვალა ფრინველს ეჭირა ელვარე ლითონის დაფა. მან ის დაფა დაშასკენ მიაბრუნა – მაგრამ დაშამ ვერ მოასწრო თავისი ანარეკლის დანახვა. ფრინველის ბრჭყალებში დაფა შეტრიალდა, ლითონის ყვავილად გადაიქცა. ფრინველმა დაშასკენ გადმოაბიჯა, ის ყვავილი მკერდზე მიაბნია (ყვავილი თავისით ჩაეჭიდა – როგორც ხვლიკი ბრჭყალებიანი თათებით), მერე კი ისევე იოლად გაქრა უთავოთა ჯვრის მიღმა, როგორც გამოჩნდა, გეგონება, იმისი ძელი სახლის კუთხე ყოფილიყო. დაშამ გადაწყვიტა, რომ მეტალის ყვავილი – რაღაც ანტენაა. მანიპულაციას მბრუნავი რგოლებით, უთავოთა ჯვართან რომ მიმართავდნენ ფრინველები, დაშა მუცელში გრძნობდა,

ყველაზე ინტიმურ და საიდუმლო სიღრმეებში. რგოლის თითოეული შემობრუნება რაღაცას ცვლიდა მის შიგნით – და, თუმცა დაშამ არ იცოდა, სახელდობრ, რა ხდებოდა, მუცელი მასთან მისულ ინსტრუქციებს უსიტყვოდ იგებდა. დაშას არ ეშინოდა. შესაძლოა, ძველი ცხოველის გონება, რომელსაც მიმართავდნენ ფრინველები, ჯერ კიდევ არ იცნობდა შიშს. ფრინველებმა დაამთავრეს აწყობა. დაშა მიხვდა, რომ ეს ოპერაცია კარგს არაფერს მოასწავებდა. მოუნდა, ყველაფერი მალე დასრულებულიყო. და – უცნაური კია – იქვე მოეჩვენა, თითქოს დრო ნამდვილად აჩქარდა.
ის მიიყვანეს ჭოგრიტთან, და მან ოკულარში წითელი ქვიშა და მათ შორის მდგარი მრგვალი კოლონადა დაინახა. კოლონადის შუაში მიწიდან პირდაფჩენილი ხვრელი მოჩანდა, იქვე ადამიანი იწვა. უფრო სწორად, ადამიანის ნარჩენები – დალეწილი იყო საშინელი დარტყმისგან. თუმცა, მისი სახე, დახუჭული თვალებით, მრთელი და მშვიდი დარჩენილიყო, თითქოს სიკვდილის წინ რაღაც გაიგო, რამაც ფიზიკური ტანჯვა უმნიშვნელო გახადა...
დაშამ იცოდა ეს სახე. ბევრჯერ უნახავს... მაგრამ სად? გაახსენდა – სარკეში! თავად იყო ეს ადამიანი, კინაღამ განგმირა ბებერი ტახი, ხოლო ის გაქრა? ჰაერს შეერია? მაგრამ საიდან არის აქ ხვრელი? ადრე არ იყო.
ჭოგრიტმა თითქოს გაიგონა შეკითხვა. ხვრელი მიწაზე მხედველობის არის ცენტრში აღმოჩნდა – და დაშამ რაღაცნაირად ჩაიხედა უფსკრულში.
გვირაბი დაინახა, ამოჭრილი დაუჯერებელი ძალის სხივით. გვირაბი იდეალურად მრგვალი და უსასრულოდ გრძელი იყო – ყურადღება სულ უფრო და უფრო ღრმად ეშვებოდა, მაგრამ გვირაბი არ იცვლებოდა. მერე კი დაშამ დაინახა ჩრდილი, რომელმაც მის წინ გაიელვა. მწვანე ლაქა ოქროს ნაპერწკლით. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბებერი ტახი.
დაშამ გაიხსენა ადრინდელი ფრენისას ნიკოლაისთან ერთად გადატანილი – და მიხვდა, რომ ფრინველების სანავიგაციო სისტემა მას უჩვენებდა შესასვლელს სივრცეში, სადაც წარუმატებელი შეტევის შემდეგ ტახი დაიმალა.
მომდევნო ცოცხალი ნაღმი თავად იყო.
უცნაურია, მაგრამ დაშა არ მიატოვა მხიარულმა

ახალგაზრდულმა უშიშრობამ. მას ესმოდა, რომ ფრინველებმა ამ გაფრენისათვის საგანგებოდ შეარჩიეს და ბედს ვეღარ შეცვლიდა. მის ცხოვრებაში სხვა მიზანი არ ყოფილა. ჰოდა, აბა, ღირდა, რომ შეშინებოდა თავისი დანიშნულების? ეს იგივეა, ლურსმანს ეშინოდეს ჩაქუჩისა...
დაშამ ჭოგრიტი დაუშვა.
ჩააცვეს უღიმღამო აკაზმულობა, რომელმაც მიწისკენ დაქაჩა – და მას მოუწია ჩანასახის პოზაში მოკუნტვამ, როგორც წინა ჯერზე. როცა თავი ასწია, მის წინ უთავოთა ჯვრის ორკაპში ზეცა მოჩანდა.
ნახტომის მერე გონს მოსულმა, ირგვლივ იგივე მოწითალო ლიმბო
დაინახა, რომელშიც მანამდე ნიკოლაი ტრიალებდა.
დაშამ გადაწყვიტა, რომ მოუწევს, გახდეს რაღაც მორტირის ბირთვივით – ვერტიკალურად აიჭრას ზევით და ციცაბო პარაბოლით ჩაფრინდეს შავ ჭაში, სადაც იმალება ბებერი ტახი. თუმცა, ფრინველები, ეტყობა, არ აპირებდნენ მის გადაქცევას ნაღმმტყორცნის ნაღმად. მათ რაღაც სხვა ჩაიფიქრეს: დაშას ფრენა აუჩქარებელი და დამრეცი იყო. ის ნელ-ნელა ადიოდა ცაში, თავს ქაღალდის ფრანად გრძნობდა.
ცხადი იყო, რომ ფრინველებმა ისე, უბრალოდ როდი გაანდეს ნიკოლაის, მერე კი მასაც კოსმოსის მრისხანე საიდუმლოებები. ცოცხალი იარაღი იძენდა ძალას, როგორც კი გააცნობიერებდა თავის დანიშნულებას – და დაშა უკვე მიხვდა, რატომაც. სხვანაირად ფრინველების გაშვებული ნაღმი დაკარგავდა თავის მთავარ თვისებას – განსულიერებას. ის გადაიქცეოდა შემოქმედისთვის ნასროლ თიხად. გონდახშული ხორცის ნაჭერი ძალიან ზუსტად ვერ მიფრინდებოდა ტრანსცენდენტულ სასახლემდე, სადაც იმყოფებოდა ბებერი ტახი. ხოლო ცოცხალი სული, რომელსაც ესმოდა ამოცანა – შეძლებდა იქამდე მიღწევას...
დაშამ შენიშნა, რომ მრგვალი კოლონადის ნანგრევები შორს აღარაა – და მალე გადაუფრენს შავ ხვრელს, მის ცენტრთან მიფრინდება. რაღაც უნდა მომხდარიყო. რაღაც მზადდებოდა... უცებ მისი მუცელი ძლიერმა ტკივილმა გამსჭვალა, და მოეჩვენა, თითქოს ფრინველების ბრჭყალებიან თათებს ხედავს, მათ უთავოთა ჯვარზე რგოლები შემოატრიალეს,

მანათობელი ნიშნებით. ფრინველები ხელახლა აბამდნენ მასთან კავშირს. მერე კი მოულოდნელი რამ მოხდა. შეუმცდარი ქალური ინსტინქტით მან იგრძნო, რომ მის მუცელში ახალი სიცოცხლის მარყუჟი გამოინასკვა. ეს ამაღელვებელი იყო – მისი არსების ყველა ბიოლოგიური მექანიზმი ერთბაშად ამოძრავდა – და შემზარავად, იმიტომ, რომ დაშას ესმოდა: ამ იდუმალების მიზანი სიცოცხლე კი არა, სიკვდილი იყო.
მის შუაგულში იზრდებოდა რაღაც ახალი, მრგვალი და მძიმე. დიდდებოდა ძალიან ჩქარა, თითქოს ცივ ვერცხლისწყალს უქაჩავდნენ სხეულში რეზინის მილით. ყველაზე საზარელი იყო სწორედ სიცივე. მასში მზარდი კვერცხი ბომბად ეჩვენებოდა, რომელსაც ფრინველები ასხამდნენ, თხევადი მეტალით ავსებდნენ.
დაშა იხსენებდა, რომ ნიკოლაი ცხოვრების ბოლო გაელვებისას დაინახა – ბებერი ტახი ძალისა და დიდების გვირგვინში, დამალული საიდუმლო სივრცეში... სინამდვილეში, მიხვდა დაშა, ეს განზომილება მიუწვდომელი მხოლოდ ნიკოლაისთვის იყო, და არა მისთვის: არსებობდა მიზღვის კანონი, იმდენად უნივერსალური, რომ მას ემორჩილებოდა თავად ბებერი ტახი – საკუთარი არჩევანითა და ნებით.
დიახ, ტახი ფრინველების ცოცხალი იარაღისთვის გაუმტარ განზომილებაში მიიმალა. მაგრამ იმის გამო, რომ ტახმა ფრინველების კვერცხები მოიტაცა, მათ შეეძლოთ კიდევ ერთი კვერცხი გაეგზავნათ მისთვის – თითქოს ტახისგან დატოვებული კარმის კვალის გასწვრივ უტევდნენ... სწორედ ამიტომ შეძლო დაშამ, დაენახა ტახის საიდუმლო სასახლე, რომელიც მიწის სიღრმეში გამდნარი შავი გვირაბით წარმოუდგა. მასში უკვე იყო კვერცხის ციცქნა ჩანასახი, რაც შესაძლებელს გახდიდა ამას...
დაშა მიხვდა, რომ ვერ შეძლებს საიდუმლოს დატევას მთელი სისრულით. მაგრამ მთავარი ნათელი იყო, და მოვლენათა შემდგომი თანამიმდევრობა – ცხადი და უბრალო.
უცხო სხეული მასში უფრო და უფრო სწრაფად იბერებოდა. ნაღმი მიაგავდა დიდ მეტალის ჩანასახს, მუცელს რომ უზრდიდა, გეგონება მეცხრე თვეში ყოფილიყოს. ფრინველების იარაღი ფლობდა წარმოუდგენელ გამანადგურებელ ძალას –

დიდ აფეთქებას შეეძლო გადაეფორმატებინა მთელი სამყარო, გაეძვრინა იგი სინგულარობის ნემსის ყუნწში. სასიკვდილო კვერცხი არაბუნებრივად ჩქარა მომწიფდა მასში, ბიოლოგიისა და ფიზიკის ყველა კანონი დაარღვია – მაგრამ ცხადი იყო, რომ ფრინველები ამ ფორმალობებთან კავშირს არ გრძნობდნენ. დაშა მიზნისკენ მიფრინავდა. უნდა ემოქმედა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეშორებინა სასიკვდილო სიმძიმე და ქვევით გაეშვა. ფრენისგან დაკრუნჩხულ, გაშეშებულ კუნთებს ეს არ შეეძლო. მაგრამ, როგორც კი მან გადაწყვიტა, რომ ჩაუფრენს მიზანს და ვერ შეასრულებს დანიშნულებას, – ფოლადის ყვავილი მის მკერდზე გაცოცხლდა. როგორც ელვაშესაკრავი, ქვემოთ ჩაცოცდა და ელვის უმალ გააპო მისი სხეული, მზის წნულიდან კუდუსუნამდე.
– პუა! – უნებურად იკივლა დაშამ.
გადახსნილ მუცელში მწვავე ტკივილი მორალურ ზეიმს ერთ გამჭოლ გრძნობად შეერწყა, რაც ყველა მიწიერ შემოქმედთაგან მხოლოდ იაპონელმა მწერალმა მისიმამ შეძლო, ადეკვატურად გამოეხატა. დაშამ მოასწრო დაენახა სისხლიანი მეტალური ოვოიდი როცა მისი სხეულიდან ამოდიოდა. მართლა უფერული კვერცხივით იყო, ზედ რამდენიმე მოძრავი სპილენძის რგოლი ანათებდა, გამოუცნობი დაწერილობით. მათზე, როგორც დაშა მიხვდა, იყო იგივე ნიშნები, რაც უთავოთა ჯვარზე.
კვერცხი ცელქად შექანავდა, ქვემოთ ჩავარდა – თითქოს ბურთი იყო და სულ უფრო პატარავდებოდა. დაშა დაცარიელდა და შემსუბუქიდა – და პირდაპირ ზენიტში გაფრინდა. ის მიხვდა, რომ ასევე მიავიწყდებათ აღმავალ ფრენაში, და ეს სავსებით ხელს აძლევდა...
მაგრამ აქ საშინელება მოხდა.
დაშა ძლიერად დაქაჩეს დაბლა – მეტალური კვერცხი, ქვემოდან შეუძვრა, მის სხეულში დაბრუნდა, ხოლო ფოლადის ყვავილმა უცაბედად ამოკერა, ყოველგვარი ძაფის გარეშე. გრძლად და ირიბად წაათრიეს ცაში უკან, და ის ეშაფოტზე დაეცა, კვლავ დაინახა წინ უთავოთა ჯვარი.
დაშა მიხვდა, რაც ხდებოდა. ის არასწორად გამოეყო კვერცხს, და ახლა ფრინველები დროს უკან ითვლიდნენ. ფრენა უნდა განმეორებულიყო...

იმაზე საშინელი არასოდეს არაფერი გამოუცდია, როგორიც დროში ნახტომი იყო. სირბილი წამების რევერსულ სრბოლაში იმავე ტკივილს იწვევდა – მაგრამ საკუთარი ემოციის ხელახლა განცდა უკან გადახვევაზე გაცილებით რთული აღმოჩნდა. ამ დროს არსებობა რაღაც ისეთ უცნაურობად წარმოუდგა, რომ ერთიღა უნდოდა – მალე აღარ ყოფილიყო, მაგრამ ყველაზე საოცარი და შავბნელი იყო ხილვა, რომელიც მაშინ წამოეწია, როცა მოუწია, ყველა ფიქრი უკუმიმდევრობით გაეფიქრებინა (არც კი იცოდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა). დროის უკუსვლაში მან მომავალი დაინახა.
ფრინველები მხოლოდ იწყებდნენ თავიანთ სამუშაოს დედამიწაზე.
მის ბედისწერაში განსაკუთრებული არაფერი იყო – მომავალში ყოველი ადამიანის ცხოვრება შემოქმედის ასეთ გასროლად იქცევა, მიხვდა დაშა. დადგება დღე, როცა ფრინველები რეალობას თავიანთ კვანტურ გამომთვლელებში გადაიტანენ: ისინი შეამტვრევენ ბოლო ზეციურ კარიბჭეს, შეურჩევენ შიფრის ვარიანტებს, ხოლო შიფრის ვარიანტები ამას თავის არსებობად მიიღებენ – და ირწმუნებენ, რომ ირგვლივ სახეები, სიცილი, ყვავილები და ხეებია, აისები და დაისები, გალაქტიკები და ნისლეულებია. და თუმცა მოგეჩვენება, თითქოს ადამიანები უსასრულოდ ბევრი იყვნენ, მაგრამ მათი ბედი ძალიან განსხვავებულია, სინამდვილეში ყველაფერი ტიტანური პროგრამის მუშაობამდე მიდის, ღვთიური საკეტისთვის ცოცხალი კოდის შერჩევამდე. და თითოეული ვერსია, როცა იფიქრებს, რომ იფურჩქნება მასზე დაჩერებულ მზის შუქზე... ისიც მართალია, რომ იქ მზეები, რატომღაც, სამი იქნება... სამი ყალბი მზე. და ეს ფრინველების მთავარი, ყველაზე საშიში და საბოლოო იარაღია. ადამიანები დაინახავენ და ეყვარებათ სამი მზე – მაგრამ სინამდვილეში მათ მიღმა ჰოლოგრაფიულ ჯავშანში ჩაჭედილი ფრინველები და მათი თვალების ცივი სხივები დარჩებიან…
ასე გამოიყურებოდა მომავლებიდან ერთ-ერთი – ის, რომელსაც გზავნიდნენ ფრინველის სამყაროში (მომავლის ვერსია ძალიან ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ამნაირი რამ როგორ შეიძლებოდა, დაშამ გაგება ვერ მოასწრო – დროის გადახვევა დასრულდა). მიღწევებმა მეტად სწრაფად გაიელვა მის ცნობიერებაში,

ხოლო ტკივილი მეტისმეტად ძლიერი იყო და როცა უთავოთა ჯვარმა იგი ისევ გაისროლა წითელ ცაში, მანამდე რაც გაიგო, ყველაფერი დაივიწყა. მხოლოდ ერთი იცოდა – ახალი აცდენა არ უნდა მომხდარიყო.
უკვე ცხადი იყო, რაში ცდებოდა. როცა წინაზე ბომბ-კვერცხად და სხეულად გაიყო, ცნობიერება დარჩა სხეულთან – არადა, კვერცხში უნდა გადანაცვლებულიყო.
მიწაში არსებული შავი ხვრელი ახლოვდებოდა, და დაშას მუცელი რამდენიმე წამში ისევ გაიბერა. შიშისაგან ტუჩი მოიკვნიტა. ჯერ კიდევ არ ესმოდა, როგორ გადაეტანა ცნობიერება კვერცხში – ფრინველებიც, როგორც ჩანს, მიხმარებას არ აპირებდნენ. დაშას არ ეშინოდა არყოფნის, მაგრამ დროის ახალი გადახვევა აღარ უნდა მომხდარიყო. რაც გინდა, ოღონდ ეს არა...
მერე უცებ დამშვიდდა – ისევე მოულოდნელად, როგორც ამის წინ აფორიაქდა. გაახსენდა ძველი ფილმი ატომურ ომზე. სულ აღარ ახსოვდა, სად და როდის ნახა (ეგებ, იქვე, სადაც მისიმას კითხულობდა, ვისზეც პირველი გაშვებისას გაიფიქრა). მის მეხსიერებაში გაკრთა ერთი გადღაბნილი ფრაგმენტი: მფრინავი კოვბოის შლაპით კაბინიდან ეშვება ბომბდამშენის შიდა ჭრილში, გაივლის ვიწრო დერეფანს და აღმოჩნდება პატარა ოთახში, სადაც ორი სიგარისმაგვარი ბომბი კიდია. იმავე ნაწყვეტმა კიდევ ერთხელ გაურბინა მეხსიერებაში, უკვე ცხადად – და დაშა მიხვდა, რომ ფრინველები ელაპარაკებიან. მათ აუხსნეს ამოცანა, ისეთ შედარებებსა და მიმსგავსებებს იყენებდნენ, გასაგები რომ ყოფილიყო სუსტი ადამიანური გონებისთვის.
მან სცადა მიჰყოლოდა მათ რჩევებს ყველაზე იოლი გზით – თავისთვის წარმოიდგინა, რომ მისი სხეული თვითმფრინავად გადაიქცა, თავი – პილოტის კაბინად, თავად კი – პატარა ადამიანად იმ კაბინეტში. მერე ადამიანი გამოძვრა ტვინიდან, მხიარულად გააბიჯა ყელის რაღაც მილებში, ცოტა იფათურა წითელ-ლურჯ მთრთოლარე შიგნეულობაში და თამამად შეძვრა კვერცხის კაფსულაში. ასეთი კარგი და დამჯერე იყო პატარა მხიარული ადამიანი, უნდა ეცხოვრა და ეცხოვრა...
დაშა მაშინვე სხვანაირი გახდა – დამრგვალდა და დამძიმდა. მიხვდა, რომ აღარ ხედავდა ადამიანური თვალებით. ახლა ის

სამყაროს ახლებურად აღიქვამდა. გრძნობდა მიწაში ხვრელის მოახლოებას და დამალულ ყოფნას მასში.
ერთი მანევრიც და ხვრელი მის წინ აღმოჩნდა. დაშა შეშინდა, რომ საჭირო მომენტს ხელიდან გაუშვებდა – და დაშამდე მოაღწია მოგუდულმა ძახილმა: «პუა!».
მან იგრძნო უწონადობა და მიხვდა, რომ მიფრინავს. წარმოდგენილი არ ჰქონდა თავისი ფრენის მიმართულება. ორიენტირები, საერთოდ, აღარ დარჩა – ვეღარ გრძნობდა თავის სიჩქარეს და არ იცოდა, რა სიმაღლეზეა.
მაგრამ ფრინველები კიდევ ერთხელ მოვიდნენ დასახმარებლად. რამდენიმე იეროგლიფური რგოლი მოატრიალეს უთავოთა ჯვარზე, და დაშას უცებ მოეჩვენა დიდი მწვანე ღორი, მოპარული კვერცხების ტომრით. როცა კარიკატურა გაქრა, დაშამ წინ და დაბლა იგრძნო გამდნარი შახტი – და იგრძნო საკუთარი ტრაექტორია, შეუმცდარად რომ მიჰყავდა შავი უფსკრულისკენ, მიწაში.
ამჯერად შეცდომა არ უნდა დაეშვა.
«საქმე კვერცხებშია, – იფიქრა მან, – ფრინველებს შეუძლიათ ტახის პოვნა, იმიტომ, რომ მათ ცუდად მოექცა და სიმეტრიული შურისძიების უფლება აქვთ. ბებერი ტახი ვერაფერს შეცვლის – ასე შექმნა სამყარო... მაგრამ მეორეა გაუგებარი... რატომ შეუძლიათ ფრინველებს, რომ დაუსჯელად გვტანჯონ ჩვენ, ადამიანები? თუკი იმისთვის გვიყენებენ, რომ ჩვენი თავი ზეციური ციხესიმაგრის კედელს ესროლონ ხოლმე, – ჩვენც ხომ გვაქვს შურისძიების უფლება? ესე იგი, უნდა არსებობდეს კოსმოსური კომპენსაციის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავხოცოთ ისინი ისეთივე ტკივილით... უნდა იყოს! ჩვენ კიდევ ვიძიებთ შურს! გუმილიოვისთვისაც და სულ-სულ ყველასთვის! ჩვენ დავინახავთ მათ ტანჯვას, მოვისმენთ სიკვდილისწინა კვნესას, და ისინი ვერაფერს, სულ ვერაფერს გახდებიან. ისინი უძლური იქნებიან, როგორი უძლურიც ახლა ბებერი ტახია...»
ხოლო მომდევნო წამში კვერცხი, რომლადაც დაშა გადაიქცა, შეფრინდა მიწის ხვრელში და გვირაბში წავიდა. სულ უფრო და უფრო ღრმად ვარდებოდა, სამყაროს ცენტრისკენ, სულ უფრო სწრაფად მიქროდა. ბებერი ტახი ახლა ყველგან იყო – ის უხორცოდ ერტყმოდა გარს სიცარიელეში მქროლ ლითონის

ნაკადს, რომლადაც დაშა გადაიქცეულიყო. მერე კი ქალმა იგრძნო, მის გვერდებად გადაქცეული რგოლები მანათობელი ნიშნებით ამოძრავდა, და ის ნიშნები უკანასკნელ, საბოლოო და დამაბრმავებელ შიფრად გადაიქცა.
მაგრამ წამით ადრე, სანამ წარმოუდგენელი სიმძლავრის აფეთქებით ყველაფერი გაქრებოდა, დაშამ მოასწრო მიმხვდარიყო, რომ ბებერი ტახი ამჯერადაც ფრინველებზე უფრო ეშმაკი და ძლიერი აღმოჩნდა. დამალული ქვეყნიერების განადგურება, რომელსაც ახლახან გაუსწორდნენ, არაფერს ნიშნავდა ტახისთვის.
მას არ შეუქმნია უსასრულო გვირაბი, რათა იქ ფრინველებს დამალოდა. ეს ფრინველებმა დაახატეს პირობითობები თავიანთ საბრძოლო სამიზნეებს, რათა როგორმე დაენახათ ტახი. იმის მერეც კი, რაც ყველა დეკორაცია ელემენტარული ნაწილაკების ნაკადად გადაიქცა, ტახი ადრინდელივით ცოცხალი იყო.
და დაშამ უკვე იცოდა, სადაც იყო იგი.
ის ყველაზე მიუწვდომელ განზომილებაში – პლატონის კოსმოსში, სუფთა იდეების სივრცეში იყო. უფრო სწორად, მან იმ კოსმოსს კი არ შეაფრა თავი, უბრალოდ, დარჩა მასში თავისი იმ ნაწილით, რომელიც არც არასოდეს მიდიოდა იქიდან. ხოლო მისი ყველა დანარჩენი ასპექტი, ფრინველების ულმობელი ნებით დახატული, მირაჟი იყო. მისთვის შეიძლებოდა, როგორიც გსურდა, ისეთი ბომბი ჩაგეგდო... მაგრამ ფრინველები უკან დახევას არ აპირებდნენ.
მათი სიკვდილის ინჟინრები, ბრძენნი და საშინელნი, ზეციური ცეცხლით ნახევრად დამწვრები, წინდაწინ ხედავდნენ მოვლენათა ასეთ შემობრუნებას. მათი შექმნილი იარაღი უნივერსალური იყო – შეეძლო შემოქმედამდე მიეღწია თუნდაც პლატონის სივრცეში. უბრალოდ, მისი ადამიანური მახვილი სხვანაირი უნდა გამხდარიყო, სრულიად სხვანაირი…
რუდოლფი
წითელი საბურველი თვალწინ თანდათან იფანტებოდა. რუდოლფ სერგეევიჩი ისევ ხედავდა თავის ოთახს: წიგნების კარადები ფილოსოფიური ტომების მკაცრი, შავ-ოქროსფერი რიგით, საწერი მაგიდა შოპენჰაუერის და კანტის ბიუსტებით, მასიური, ძველი კომპიუტერი და დაუმთავრებელი ნაწერი მის

მოციმციმე ეკრანზე.
შეტევამ გაიარა.
რუდოლფ სერგეევიჩს ახსოვდა მხოლოდ საშინლად ძლიერი ბიძგი, კინაღამ რომ გადმოაგდო სკამიდან. და კიდევ მას ჰქონდა რაღაც საძაგელი ჰალუცინაციები. ეგვიპტელი ღმერთები? არა... მათი მსგავსი ფრინველები. ბევრი ფრინველი. და იმათ რაღაც უნდოდათ მისგან. სრულიად აშკარად.
«ექიმთან უნდა მივიდე, – იფიქრა შეწუხებულმა რუდოლფ სერგეევიჩმა, – ერთხელაც ასე დავეცემი იატაკზე, და მორჩა...»
მან მაგიდაზე დაუშვა მზერა. დამშვიდება უფრო ადვილი იქნებოდა, თუკი გააგრძელებდა მუშაობას «პროლეგომენებზე სივრცისა და დროის კრიტიკისათვის». ამ შრომას ოქროს ასოებით უნდა ჩაეწერა მისი სახელი მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში, ამიტომ რუდოლფ სერგეევიჩი ყოველ სიტყვას რანდავდა.
თვალები ეკრანზე ასწია, გადაიკითხა შეტევის წინ დაწერილი.
«საიდუმლო ჩვენი დანიშნულებისა, შესაძლოა, ასეთია – ჩვენ ვჭირდებით შემოქმედს და შემქმნელს, რომ შეეძლოს ყოფნა, იმიტომ, რომ ის არსებობს მხოლოდ ჩვენთან, თავის ქმნილებებთან მიმართებაში. როგორც ფარნის სხივი მხოლოდ განათებულ საგანზე მოხვედრისასაა ხილული, ჩემი ცნობიერებაც, ანუ თავად მე, მხოლოდ გაცნობიერებულ ობიექტებთან წარმოიქმნება – და უკანასკნელ მათგანთან ერთად ქრება (რაც იცის ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ესიზმრება სიზმარი უსიზმროდ). ასეთივე ხომ არაა შექმნის უმაღლესი პრინციპიც?
რუდოლფი
წითელი საბურველი თვალწინ თანდათან იფანტებოდა.
რუდოლფ სერგეევიჩი ისევ ხედავდა თავის ოთახს: წიგნების კარადები ფილოსოფიური ტომების მკაცრი, შავ-ოქროსფერი რიგით, საწერი მაგიდა შოპენჰაუერის და კანტის ბიუსტებით, მასიური, ძველი კომპიუტერი და დაუმთავრებელი ნაწერი მის
მოციმციმე ეკრანზე.
შეტევამ გაიარა.
რუდოლფ სერგეევიჩს ახსოვდა მხოლოდ საშინლად ძლიერი ბიძგი, კინაღამ რომ გადმოაგდო სკამიდან. და კიდევ მას ჰქონდა რაღაც საძაგელი ჰალუცინაციები. ეგვიპტელი

ღმერთები? არა... მათი მსგავსი ფრინველები. ბევრი ფრინველი. და იმათ რაღაც უნდოდათ მისგან. სრულიად აშკარად.
«ექიმთან უნდა მივიდე, – იფიქრა შეწუხებულმა რუდოლფ სერგეევიჩმა, – ერთხელაც ასე დავეცემი იატაკზე, და მორჩა...»
მან მაგიდაზე დაუშვა მზერა. დამშვიდება უფრო ადვილი იქნებოდა, თუკი გააგრძელებდა მუშაობას «პროლეგომენებზე სივრცისა და დროის კრიტიკისათვის». ამ შრომას ოქროს ასოებით უნდა ჩაეწერა მისი სახელი მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში, ამიტომ რუდოლფ სერგეევიჩი ყოველ სიტყვას რანდავდა.
თვალები ეკრანზე ასწია, გადაიკითხა შეტევის წინ დაწერილი.
«საიდუმლო ჩვენი დანიშნულებისა, შესაძლოა, ასეთია – ჩვენ ვჭირდებით შემოქმედს და შემქმნელს, რომ შეეძლოს ყოფნა, იმიტომ, რომ ის არსებობს მხოლოდ ჩვენთან, თავის ქმნილებებთან მიმართებაში. როგორც ფარნის სხივი მხოლოდ განათებულ საგანზე მოხვედრისასაა ხილული, ჩემი ცნობიერებაც, ანუ თავად მე, მხოლოდ გაცნობიერებულ ობიექტებთან წარმოიქმნება – და უკანასკნელ მათგანთან ერთად ქრება (რაც იცის ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ესიზმრება სიზმარი უსიზმროდ). ასეთივე ხომ არაა შექმნის უმაღლესი პრინციპიც?
ჩვენ ვართ შემოქმედის ხილვა, რეალობად ვაქცევთ მხედველს. ასეა ნათქვამი ჰერმეს ტრისმეგისტრის (იგივე ეგვიპტური ღმერთი თოთი) «ზურმუხტის დაფაში» – «არის ყველაფერი, რომელსაც სძინავს, და ხედავს სიზმარს – და ეს სიზმარი ყველაფერია...»
რუდოლფ სერგეევიჩი ჩაფიქრდა. გაგრძელება არ იბადებოდა სულში.
აზრის მდინარება, ახლახან ასეთი ნათელი და პირდაპირი, უიმედოდ იყო დარღვეული შემოტევისგან.
გაოგნებულ ცნობიერებაში აქამომდე ვრცელდებოდა შიშის ტალღები. რამდენი რამ მოელანდა ორიოდე მახრჩობელა წამში...
ყველაზე საშინელი იყო არა საზიზღრად დანახული ფრინველები, არამედ უცნაური რწმენა, რომ არსებობის არსი თავისი სახით ახლაღა გამოჩნდა, ადრე კი მხოლოდ ეჩვენებოდა, თითქოს ცხოვრებას ჰქონდა რაღაც სხვა

შინაარსი, მორთული ყალბი რეტროსპექტივების ხვეულებით... არადა, ლოგიკურად ამისთანას ვერ უარყოფ... შესაძლო იქნება, მოგვიანებით ჩავსვათ სადმე პროლეგომენებში. მაგრამ ჯერ გონზე უნდა მოვიდეს.
რუდოლფ სერგეევიჩმა ხელში აიღო მწვანე მაუდზე დადებული ტელეფონი და ჩართო Angry Birds – თამაში, რომელიც ყოველთვის შველოდა დამშვიდებასა და აზრების მოკრებაში. ამ დონეზე უნდა დაენგრია ხის დიდი პირამიდა, თეთრი – ღრუბლების ან ბამბის – აგურის ფუნდამენტზე მდგარი. ეგვიპტის ციკლი, ყველაზე ბოლო. მწვანეულვაშიანი ტახი, ოქროს მაღალ ტიარაში, ხელში ჩაბღუჯული ფარაონის რეგალიებით, პირამიდის საიდუმლო ცენტრში იჯდა – ეტყობა, განსასვენებელ კამერაში – და მწუხარე თვალებით უყურებდა რუდოლფ სერგეევიჩს სულში.
რუდოლფ სერგეევიჩმა დაუმიზნა და ესროლა პირველი ფრინველი, დიდი და მძიმე ყავისფერი სფეროს მსგავსი. ფრინველმა გატეხა რამდენიმე ზედა დაფა, დაეშვა ქვემოთ და ღირსეული კრიახით მოკვდა მტვერში... რუდოლფ სერგეევიჩი დაელოდა მის გაქრობას – რაღაც გამორჩეული სიფრთხილით არასოდეს უშვებდა მომდევნო ფრინველს, სანამ წინა არ დაიფლითებოდა.
«და როგორი სასტიკი თამაშია – ფიქრობდა ის, შურდულში დებდა პატარა ცისფერ ჩიტს, – მისი არსი იმაშია, რომ ჩვენ ვხოცავთ ფრინველებს და ვუყურებთ, როგორ კვდებიან ისინი. დახატული მკვლელობის ჭვრეტა კი არაფრით განირჩევა ნამდვილის ცქერისგან. როგორც აღმოსავლეთში ამბობენ, კარმას ვიფუჭებთ. არადა, არაფრისთვის და არაფერზე!»
ცისფერი ფრინველი განსაკუთრებით საცოდავი იყო. ალბათ, გაბარიტების გამო სულ ციცქნაა. «ეს თამაში, – ფიქრობდა რუდოლფ სერგეევიჩი, თანაც დამიზნების კუთხეს ცვლიდა, – უეჭველია, ადამიანის ქვეცნობიერში მცხოვრებ ყველაზე მდაბიო და სასტიკი ინსტინქტების აპელირებას ახდენს. და ამასთან ფუნდამენტურად პირმოთნეა, როგორც მთელი დასავლური დისკურსი. ის ნებას გვაძლევს, დავხოცოთ ცოცხალი არსებები, ამასთან, შევინარჩუნოთ ცივილიზებული სახე. თუმცა, საშინელებაა, რომ ჩვენს შვილებსაც კი, რომელთაც ჩვენ ვთვლით აი, ასეთ თეთრკულულიან

ანგელოზებად, მკვლელობის ინსტინქტი უკვე ჩადებული აქვთ დაბადებიდანვე... თუნდაც, როგორ ჭამენ ხორცს... ანგელოზებია, ჰო... პროლეგომენაში უნდა ჩავსვა».
მან გაუშვა ფრინველი ცაში და ეკრანზე თითი დაჭკრა. ცისფერი ფრინველი სამად გაიყო. სამი ცისფერი და ცოცხალი ბურთულა თავდადებულად და უიმედოდ შეეჯახა დახრილ კედელს, რამდენიმე თამასა დააზიანა და ძირს ჩამოგორდა – სასიკვდილოდ.
მწვანე სვინტუს-ფარაონი
შუბლს ქვემოდან უყურებდა რუდოლფ სერგეევიჩს მოღუშული ფატალიზმით. მისი პირი ქერა ულვაშის ფუნჯებს ქვემოთ ძლივს შესამჩნევად მოძრაობდა, თითქოს გაუგებარ კაბალას კითხულობდა. რუდოლფ სერგეევიჩს გაუელვა კონსპიროლოგიურმა მიხვედრამ, რომ ამ მწვანე ღორმა, ფარაონმა, თავად მოაწყო ფრინველების თავდასხმა საკუთარ თავზე, რათა იქვე სამაგალითოდ დაესაჯა დამნაშავეები...
«ალბათ, – იფიქრა რუდოლფ სერგეევიჩმა, – ფრინველები იმიტომ მომეჩვენა, რომ გამუდმებით ვთამაშობ ამ სისულელეს. მეტისმეტად ხშირად... როგორც ბავშვი, ნამდვილად. უხერხულიც კია...»
შემოტევით დანგრეული აზრი, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდა შემოქმედებით კალაპოტს: ნათელი გახდა, როგორ უნდა განვითარებულიყო ფილოსოფემა შემდეგში.
რუდოლფ სერგეევიჩმა ტელეფონი მაგიდაზე დადო და კლავიშებზე კაკუნი დაიწყო:
«მაშ, ასე, არის ყველაფერი, რასაც სძინავს და ხედავს სიზმარს – და ეს სიზმარი ყველაფერია... მაშინ ფილოსოფიისა და თეოგონიის ძირითადი შეკითხვა ასე გაიჟღერებს: Lucid Dream or Nightmare
? აცნობიერებს თუ არა ყველაფერი, რომ მას სიზმარი ესიზმრება? თუ ეს მხოლოდ კოშმარია, რომელზეც ისეთივე ძალაუფლება აქვს, როგორიც ჩვენ საკუთარ ცუდ სიზმრებზე? გარშემომყოფებს თუ დავაკვირდებით, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი შემოქმედი ხედავს კოშმარს, მაგრამ მასში ვერ ერევა – ვინაიდან იცის, რომ სძინავს...
და ხედავს კოშმარს. შესაძლოა, ის მაინც კარგია, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ვნებს სამყაროს – რამეთუ, უბრალოდ,

სძინავს და ესიზმრება. ბოროტება აღარ არის მისი არჩევანი და წინასწარგანზრახვა. და, last but not least
, ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ძველი პარადოქსის ამოხსნა, ჯერ კიდევ ნიცშესა და ბორხესს რომ აჯადოებდა – ღმერთის თვითმკვლელობა, მრავალი ლეგენდისა და რელიგიის საფუძველი...»
რუდოლფ სერგეევიჩმა ბეჭებს შორის მოწიწების ჟრუანტელი იგრძნო, სულის უტკბესი მუნივით, იმაზე მიმანიშნებელი, რომ ფრთები გამოსდის. ყოველთვის ასე იყო მანამდე, სანამ შეძლებდა რამდენიმე წამით ჩაეხედა იდეების ბრწყინვალე სამყაროში – პლატონის კოსმოსში.
მან ცხადად დაინახა ის სულიერი მექანიზმი, რომლის აღწერას ამაოდ ცდილობდა, და მიხვდა, რომ თითქმის გაუგო სანუკვარ მოწყობილობას.
მის წინ გაჩნდა ორი თვალწარმტაცი სფერო, შეერთებული ზუსტად მათ შუა მდებარე ფოკუსში გამავალი ხაზებით. უსასრულობის მოცულობით ნიშანს ჰგავდა – მოციმციმესა და ცისარტყელას ყველა ფერად მბრწყინავ, სამგანზომილებიან რვიანს.
ამ ობიექტის პლატონური ბუნება მჟღავნდებოდა იმაში, რომ მისი ფორმა იმავდროულად წარმოადგენდა აზრსაც, რომელიც ნათელი ხდებოდა პირველივე დანახვისას. ეს ორი სულიერი მზე დაკავშირებული იყო უსაიდუმლოესი ურთიერთქმედებით. პირველი სფერო სხივებით ქმნიდა მეორეს. ხოლო მეორე – სხივებით ქმნიდა პირველს. ისინი თითქოს ერთმანეთს წარმოშობდნენ. აქ არ იყო შემქმნელი და შექმნილი – სფეროებს არ შეეძლოთ ეარსებათ ცალ-ცალკე. აზრი არ ჰქონდა შეკითხვას, რომელია მათგან პირველი და მთავარი. ეს იყო ორი პროექტორი, რომელთაგან თითოეული ჩნდებოდა მეორის სხივიდან. ორი ხელი, ფანქრებით რომ ხატავს ერთმანეთს ქაღალდზე.
რუდოლფ სერგეევიჩი მიხვდა, რომ ხედავს კოსმოსურ ინ-იანს – უფლის სახეებიდან ყველაზე უბრალოს.
«ჰო, – იფიქრა მან, – ეს ვერ მოვისაზრე. ჩვენ – კოშმარი ვართ, ღმერთს რომ ესიზმრება. მაგრამ ღმერთი – კოშმარია, ჩვენ რომ გვესიზმრება. უნდა ჩავიწერო...»
არადა, სამებაც ხომ იყო კიდევ... რუდოლფ სერგეევიჩი უკვე

აპირებდა, მისთვის მიეპყრო სულიერი თვალი, რომ უცებ უკმაყოფილოდ შენიშნა, გრძნობათა სიწმინდე პროფანური სამყაროს უსაძაგლესმა ანაბეჭდმა დაურღვია.
მანათობელმა რვიანმა დაკარგა ცისარტყელას ელვარება, და რუდოლფ სერგეევიჩმა მის ერთ ნახევარში დაინახა ღორის მწვანე დინგი, ოქროს გვირგვინით. ეს, უეჭველად, იყო ღორი Angry Birds-იდან – ისევ კარიკატურას ჰგავდა. სამაგიეროდ, მეორე სფეროში...
მასში გამოჩნდა ფრინველის საძაგელი თავი, თითქოს არამიწიერი ცეცხლით ნახევრად დამწვარი. და აღარაფერი ჰქონდა კარიკატურული.
რუდოლფ სერგეევიჩს ადრე ნანახი ჰყავდა ეს საშინელი დამწვარი ფრინველი... გაიხსენა თავისი გულყრა და მისი თანამდევი ჰალუცინაციები... ჰალუცინაციები?
სამწუხაროდ, – შეკრთა, როცა მიხვდა, – არა. ჰალუცინაცია იყო სხვა დანარჩენი.
ნათლად გააცნობიერა, რომ იგი, ნიკოლაის, დაშას და ღმერთმა უწყის, კიდევ ვისი შემცვლელი – უბრალოდ, უდაბნოში მიმფრინავი ფრინველების იარაღია. ფორმაცვალებადი გასაღები, რომელიც სამყაროს იდუმალ კარიბჭესთან არასდროს ასე ახლოს არ ყოფილა.
ბებერი ტახი შეპყრობილი იყო და ვერსად წავიდოდა იმ მახისგან, რომელშიც ფრინველებმა გააბეს. იმ მახედ იქცა რუდოლფ სერგეევიჩის გონება. ის მისწვდა ტახს, პლატონის კოსმოსში რომ იმალებოდა, და უმწიკვლო სილოგიზმების ბადე გადააცვა.
რუდოლფ სერგეევიჩმა ძრწოლა და სიამაყე იგრძნო. და მაინც, მის პროლეგომენებში იდო აზრი – და მერე როგორი! მართლია, ის არა, რომელზეც ფიქრობდა, რა თქმა უნდა... გაუელვა აზრმა, რომ სამების დანახვა რომ მოესწრო, მასში საკუთარ თავსაც იპოვიდა – შექმნილს და შემქმნელს, შემმეცნებელს და შემცნობს – მაგრამ დრო ამ ექსერსისებისთვის აღარ რჩებოდა.
კვლავ დაინახა მოცულობითი რვიანი მასში გამომწყვდეული ტახითა და ფრინველით. დამწვარი ფრინველი თავისი ნახევრიდან გამოიწია და რუდოლფ სერგეევიჩს მარშლის მოკლე კვერთხის მსგავსი შეახო.
რუდოლფ სერგეევიჩს მოეჩვენა, რომ კიდურები მჭიდროდ

გაუკოჭეს უხილავი ლენტებით. იმ ლენტებმა ასწია და წითელი ლაქის გავლით, ადრე რომ მისი ოთახი იყო, წაიყვანა გასასვლელის ნათელი ჭრილისკენ – აივნის კარისკენ.
აივნის მოაჯირზე გადაკიდებისას, რუდოლფ სერგეევიჩი მიხვდა, ბოლოს და ბოლოს, ფრინველების ულმობლად მარტივ გეგმას. რაკი ბებერი ტახი იდეების პლატონურ კოსმოსში მყარად დააფიქსირეს, ახლა მთელი ეს კოსმოსი იმ ცნობიერებასთან ერთად უნდა გაენადგურებინათ, რომელშიც ის ჩნდებოდა. მის ცნობიერებასთან ერთად.
მაგრამ მერე, რა მოუვა დამწვარ ფრინველს?
რუდოლფ სერგეევიჩმა ვერც მოასწრო საკუთარი თავისთვის ამ შეკითხვის დასმა, რომ რეალობიდან მოვიდა პასუხი.
დამწვარმა ფრინველმა შეუძლებელი გააკეთა. ეგვიპტური ფრესკის გულსაფარს მიმსგავსებული წითელი ჰოლოგრაფიული ქვედაბოლოთი გაიელვა, და რაღაც გაუგებარი ხერხით რვიანიდან გამოყო თავი, გამოძვრა იქიდან – და ყველა შესაბამისობისა და მასშტაბის დარღვევით, ნისკარტის ერთი მოძრაობით აიტაცა რუდოლფ სერგეევიჩი და თავის ადგილზე ისროლა.
რუდოლფ სერგეევიჩი სამყაროს ერთ-ერთი პოლუსი გახდა. ბებერ ტახს ის ფრინველების მოტანილი ნახაზებით ქმნიდა – კარიკატურული მწვანე ღორის სახით. ტახსაც, ეტყობა, უწევდა რუდოლფ სერგეევიჩის შექმნა, რათა მას ტახის შექმნა გაეგრძელებინა. ახლა მათთვის ეს ერთადერთი ხერხი იყო, გაგრძელებულიყვნენ წამიდან წამამდე – და ტახის წაბლისფერ და დაბინდულ თვალებში ჩადგა მორჩილი სევდა...
მაგრამ გაქრობა გარდაუვალი გახდა, რამეთუ მათი ორპოლუსიანი ეიდოსი
ჭუჭყიანი ასფალტის იდეისკენ მიიწევდა, მიექანებოდა, და შეჯახების ადგილას გარდაუვლად უნდა გამოვლენილიყო იდეა საშინელი დარტყმისა.
რუდოლფ სერგეევიჩი გაირინდა მსტვინავ უწონადობაში, წარბები შეკრა, თვალები დახუჭა – და მიხვდა, რომ ფრინველებმა ისევ ააცილეს.
ისინი ვერ გაანადგურებენ პლატონის კოსმოსს მასთან ერთად, მიხვდა ის. უფრო სწორად, გაანადგურებენ, მაგრამ კოსმოსი სამყაროში იმდენია, რამდენი ჭკუაცაა მასში, აბსტრაქტული

ცნებებით რომ ოპერირებს. და თითოეულ მათგანში – თითოეულში! – დარჩება ბებერი ტახის თავშესაფარი, თუკი ეს ჭკუა იშვიათად მაინც იფიქრებს იმაზე, როგორია მისი სათავე, და ამა თუ იმ ფორმაში გაიხსენებს შემოქმედს...
მისი სიკვდილი იქნება არა ღმერთის თვითმკვლელობა, არამედ, უბრალოდ, ფრინველების მიერ მათივე შექმნილი, დამცინავი ფრესკის შებღალვა. ბებერი ტახის გამოჭერა შეუძლებელი იყო მის უკანასკნელ და უმაღლეს თავშესაფარში. ანდა…
ვარდნა უცებ შენელდა – თითქოს ფრინველებს მისწვდა მისი აზრი და იმდენად მნიშვნელოვანი მოეჩვენათ, რომ დრო შეანელეს.
ტახის დამარცხების ერთადერთი ხერხი – საერთოდ, უარი ეთქვას არსებობაზე, მიხვდა რუდოლფ სერგეევიჩი. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ცნობიერებაში არ დარჩეს შემოქმედის იდეა. ამისათვის საჭიროა, ადამიანებს ჩამოერთვათ ზედმეტი ენერგია, რაც ადრე საშუალებას აძლევდა მათ, ღმერთი დაეჯერებინათ. როცა არც ერთ ღვთაებრივ ორებაში და სამებაში, რომელსაც ადამიანი ჭვრეტდა, აღარ მოიძებნება ადგილი შემოქმედისთვის, მაშინ ის აღარ იქნება... ღმერთი მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება მოკლა – მთლიანად დაივიწყო იგი... ეს იქნება გრძელი და რთული ბრძოლა. მაგრამ გამარჯვება შესაძლებელია. ოღონდ ფრინველების სრულყოფილი და საბოლოო მახვილი, მიხვდა რუდოლფ სერგეევიჩი, თავად არ იქნება.
რუდოლფ სერგეევიჩი მისთვის გახსნილი საიდუმლოს მასშტაბით შიშსა და აღტაცებას ერთდროულად განიცდიდა. დრო შენელდა, თითქმის გაჩერდა, ირგვლივ ყველაფერი გაშავდა, და როცა ასფალტამდე ერთი მილიმეტრიღა დარჩა, ის მიხვდა, რომ ფრინველებმა იპოვეს საჭირო კოდი. სწორედ ამგვარად რეპროგრამირდება მათი მძლავრი კვანტური გამომთვლელები.
ფრინველების მიერ ტახისკენ მიმართული ყველა ხანჯალი გამოიჭედება ერთსა და იმავე თარგზე.
წვრილმანებით არა, რასაკვირველია.
მთავარ და ყველაზე საშიშ თარგზე.
ამას რომ მიხვდა, რუდოლფ სერგეევიჩმა გადაიხარხარა – და

ვერცხლისფერ ნაპერწკლებად განიბნა უდაბნოში.

30

სიზმარი სულ უფრო შორს მიცურავდა, და საბოლოო გამოღვიძების წინ კეშას უკვე დაავიწყდა, რა ესიზმრებოდა: ახსოვდა მხოლოდ ვერცხლის ნაპერწკლების გრიგალი, ბენგალური ცეცხლის მსგავსი. და კიდევ, ეტყობა, სიზმარში რუდოლფს ეძახდნენ. ალბათ, რაღაც მასკარადი ესიზმრებოდა...

კეშამ ფეხები ფლოსტებში წაყო და სააბაზანოში წავიდა შარდის ბუშტის დასაცლელად. შაბათი. მაგრამ სულში, გუშინდლის მერე, საძაგლობა იყო, დიდი საძაგლობა. განა სწორად არ წერენ ქუჩის პლაკატებზე, რომ პარასკევი – შაბათის მტერია. მაგრამ რატომღაც არ წერენ, რომ ორშაბათი – კვირის მტერია. მაშინ ხომ ადამიანი მიხვდებოდა, რა ცოტა მეგობარი და ბევრი მტერი ჰყავს...

კეშამ დააბოყინა და გულისრევის სპაზმი იგრძნო, მუცლის სიღრმიდან ამომავალი.

კარგია, რომ მიაღწია უნიტაზამდე – და შიგ აირია გული. ყველაფერი არც ისე საშიში იყო. მაცივარში «გინესი» ეგულებოდა, ბევრი. ხოლო კარადაში «ბლეკ ლეიბლის» საავარიო ბოთლი ედგა.

შვებამიცემული კეშა სამზარეულოში შევიდა, რამდენიმე «გინესი» ერთდროულად გახსნა და კლასიკური ფორმის ერთპინტიან

კოლბაში ჩაასხა მუქი სითხე. პირველ კოლბას რომ უტრიალებდა, არაფერზეც არ ფიქრობდა. ის თითქოს ჭედავდა შავ, მწოველ ხვრელს მზის წნულში.

მეორე კოლბა უკვე კოსმეტიკური იყო: გოზავდა და ლაქს უსვამდა ხვრელზე დადებულ საკერებელს. შედეგად გაჩნდა რაღაც ფუნდამენტივით, რომელზეც შეიძლებოდა დაშენებულიყო ახალი დღე – და კეშამ საკუთარ თავს ორიოდე ფრთხილი აზრის უფლება მისცა.

კვლავ გაიხსენა «ბლეკ ლეიბლის» ბოთლი, და ტვინში დაუყოვნებელი ბედნიერების დაპირება შემოფრთხიალდა. მაგრამ კეშას დილიდან ვისკი არ გაუხსნია – იცოდა, რამდენად მერყევი და მატყუარა იყო ეს დაპირება. და თანაც, ის ხომ ლოთი არაა. მთელი თვის განმავლობაში პირველად გატიალდა

ეგრე. სულ მშობლიური «კონტრას» ბრალია.
სხვათა შორის, იფიქრა მან, რატომ ეძახიან ჩვენს საიტს Contra.ru-ს? შეფი ამბობდა, რომ სიტყვიდან «კონტრასტი», და კიდევ თეთრი მოძრაობის პატივსაცემად. წინააღმდეგობას ვუწევთ ბნელი მეინსტრიმის ნაკადს. ვეწინააღმდეგებით, კი. მაგრამ სასმელსაც ვურტყამთ... ანტიკორპორატივია, როგორც ამბობენ კოლეგები. მაშინ, იდეის ამბავში, უკნიდან უნდა მიგვეღო – ოყნით.
მეორე კოლბის შემდეგ კეშამ სუსტ მადასავით იგრძნო. «დოშირაკი» რომ შეჭამა გუშინდელ კატლეტთან ერთად, ბოლო გახსნილი «გინესი» აიღო და კომპიუტერს მიუჯდა.
ჯერ ფრენდლენტს გადახედა. იქ ისევ მხოლოდ პოლიტიკა იყო. სიაბანდები გესლიანად აფარჩაკებდნენ ქაჯ-ნახირს, ხოლო ქაჯ-ნახირი ზედდაუხედავად თელავდა სიაბანდებს. მონახეს ერთიმეორე. ჰოდა, კარგი, ჩავატაროთ მასტერკლასი...
კეშა ფარულ ნიკზე გადამისამართდა, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორ გადაიქცევა ბალნითა და ნიჟარებით დაფარულ ქვის დიდ ტროლად. ეს ვიზუალიზაცია ყოველთვის მაგრად გამოსდიოდა – თითქოს მრავალი წელი ტიბეტური მედიტაციისმაგვარ სახეობებში ვარჯიშობდა.
თვალები გაახილა, ხელისგულები კლავიატურაზე დააწყო. იწყება ნავარდი.
ჯერ, რა თქმა უნდა, უკრაინა.
შევიდა განყოფილებაში სახელწოდებით «რაგულსკო-კაცაპსკის მეგობრობის საზოგადოება», სადაც პერმანენტული დატაკება მიდიოდა ბანდერლოგებთან და კეშამ ბრძოლის ველს გადახედა.
მესამე მსოფლიო ომი უკვე გახურებული იყო. მაღალშუბლა ფილოლოგები და ინტელექტუალები აქამდე თავს იკატუნებდნენ, რომ მზად არიან, ხელი ხელს ჩაჰკიდონ და საერთო სიგიჟის ფონზე თავაზიანი და გაწონასწორებული კულტურათშორისი დიალოგი წაიყვანონ, თანაც მომავალი შერიგების საგზაო რუკაც ცოტ-ცოტა დაამუშაონ:
– ახ, ტენერიფე... გახსოვთ, როგორ აქვს იაროსლავ მორგუნინს?
ჯერ მე მ*******
მე...
– ფუი, თქვენი, ყველაფერს აბანძებთ. იქ «რაგული» კი არა,

«რაულია»...
მაგრამ მეომარი ჭიანჭველები და ფუტკრები ორივე მხრიდან სასტიკები იყვნენ, დაუნდობლები და ნაკლებად სენტიმენტალურები – ინსტინქტი მიერეკებოდა მათ ბრძოლაში. რაგულების ლაშქარმა ახალთახალი პოსტერი გამოფინა: იანუკოვიჩი, მონომახის ქუდის სიმძიმისგან მოხრილი და პუტინი, ქუდის მოგლეჯით გაოცებული. ყველაზე უკეთ უცნობ მხატვარს გამოუვიდა იანუკოვიჩის სახეზე გრიმასა, რომელშიც ერთმანეთს შერწყმია ზეიმი, შიში და ტანჯვა იმის გამო, რომ ძველ ვნებას ვერ ეწინააღმდეგება – მოკლედ, დოსტოევსკისებური წვრილმანები და სიღრმეები. უსაყვედურო ოთხიანი, გაიფიქრა კეშამ, ქუდების თემა გახსნილია.
დღეს ბანდერლოგების წინააღმდეგ იბრძოდა. ჯერ გამოსაჩენად ორი უღიმღამო რეპლიკა ისროლა, დისკუსიის სათანადო შემობრუნებას დაელოდა და გასულ კვირაში მომზადებული პროდუქტი გამოდო. ეს იყო ფოტოშოპი შიშველი ძმები კლიჩკოებით – ამბობდნენ, რომელიღაც გეიჟურნალიდან. მოკრივეები პოლიტიკურად პერსპექტიულები დიდად არ იყვნენ, მაგრამ უკრების
სხვა ბელადები კიდევ უფრო ვერ შთაგაგონებდნენ.
მონტაჟი მაგრად გამოიყურებოდა: გარუჯული ძმების ზემოთ – სიტყვა «დარტყმა», ქვემოთ – შემოთავაზებული სათანადო სლოგანი:
ЯКЩО ТОБІ БОЛЯЧЕ
შენ
გაქვს
ჰემოროი
მათთვის, ვინც თემაში არაა, კეშამ ფოტოკოლაჟის ქვეშ დატოვა კრიპტოპორნოს ბმული, რომელიც გადაღებული იყო წინანდელი უკრაინული უშიშროების მიერ, სადაც პროგრესული ჟურნალისტი იმასვე ეუბნეოდა თავის პარტნიორს, ოღონდ რუსულად. კეშამ, თავისი მხრიდან, მოკლე კომენტარი დაამატა ,– გაუგებარია, რომაელი მხედართმთავრისთვის შესაფერი სექსუალური მოქმედება, უკრაინაში კომპრომატად რატომ ითვლებაო. ანდა საქმე ის ხომ არაა, რომ ჟურნალისტი, რომელიც უკანიდან ირტყამს, რუსულად ლაპარკობსო.
მტერი რომ ღრმა განსჯებში გაუშვა, კეშა თავადაც დაფიქრდა –

საინტერესოა, რატომაა, რომ ნებისმიერი ხახლო-დისკურსი რაღაც მომენტიდან ჰომო-ნაგვად გადაიქცევა ხოლმე? აი, პირიქით კი იშვიათად ხდება. რას ამბობს ფსიქოანალიზი? ფსიქოანალიზი ამნაირ შემთხვევებში დუმს, შიშობს, რომ მეომრები უდროოდ გაიხსენებენ მის ებრაულ წარმომავლობას... მოკლედ, კეშას გამზადებული ჰქონდა კიდევ ერთი პროდუქტი, არაფრით დაკავშირებული ერთსქესიან სიყვარულთან: ჯანსაღი ნაერთი ტრადიციული ეროსისა არანაკლებ ტრადიციულ თანატოსთან.
კიდევ ერთხელ სულ სხვა სახელით შესულმა კეშამ იმავე განყოფილებაში გადმოაფურთხა მეორე გამზადებული ფოტომონტაჟი – შამპანურ «კლიჩკოს ქვრივის» რეკლამა. ამაში, მართლია, უკვე იყო რაღაც ნეკრომანტია.
კეშამ ალმაცერად გახედა კორპის დაფას კომპიუტერის თავზე. მის ზედა ნაწილში გადიოდა მხიარული წარწერა სხვადასხვაფერის ასოებით:
FUCK THE SYSTEM!
ქვემოთ ქინძისთავებით მიმაგრებული იყო სხვადასხვა სურათი – «ხოხმები» პირდაპირი გაგებით: ახალგაზრდა იაპონელების წყვილი სასკოლო-მეზღვაურულ ფორმებში, გულაგის პლაკატი «კანალოარმეეცით»
(ამისთანა სიფათზე თავად შარიკოვიც კი შეხტებოდა), მარკ ცუკერბერგის პორტრეტი რვაფეხას სახით, უცენზურო სურათი სახელწოდებით «კუპრიანოვი და ნატაშა» (30-იანი წლები, ეტყობა, დაკავშირებული «ობერიუ»-სთან
, ბათუ-ყაენი, ცოცხალ ზაზუნას რომ ჭამს ელჩების შესაშინებლად, მწერალი ბორხესი წიგნის თაროების ფონზე და ასე შემდეგ.
საპატიო ადგილზე, დაფის ცენტრში ეკიდა ელცინის ხანის პროპაგანდისტული ბროშურის ყდა, ზედ – გაბერილი პრეზიდენტის ფოტო და ამაყი წარწერა:
მე პასუხს ვაგებ ყველაფერზე!
ამბობენ, ჭკვიანმა ხალხმა შენიშნა და მაშინვე ამოიღეს გაყიდვიდან. მაგრამ როგორც იტყვიან, წიგნი მტრედი არ არის. კეშასთვის ეს ყდა ყველა წარმოქმნილი ეჭვისა და შიშის საიმედო მორალური საპირწონე იყო: ყოველთვის, როცა უჩნდებოდა კვაზირელიგიური გრძნობა, რომ რაღაც

კარმისმაგვარს ქმნის, ამ სურათს ახედავდა ხოლმე – და მშვიდდებოდა.
Contra. ru, რასაკვირველია, ამნაირ ხუმრობებს არ გაამართლებდა. მაგრამ დღეს დასვენება იყო. მთელი კვირა ჩეხურ ბრენდ Kozel-ზე მუშაობის შემდეგ, დასვენების დღეებში სრული უფლებით ვსვამთ «გინესს». ანდა პირიქით. მხოლოდ წონასწორობისათვის. ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის. ხელები აღარ ექავებოდა.
კეშა ისევ სხვისი სახელით შევიდა, სხვა განყოფილებაში გადავიდა და სიამოვნებით გატროლა ჯერ ბამბაქულები («დღეს ვინც «ადიდასით» დადის, ხვალ სამშობლოს გაყიდის»... «მაიდანზე ქუჩის ფილაქანი ჭურვებად გაუშვეს – ინფორმაცია განსჯისათვის: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ხომ არაა სობიანინის ცოლი?»), მერე ვაზელინიანი ქლესები (დღეს სიტყვა «ვაზელინიანი» ნიშნავს, რომ თქვენს მისამართზე უკვე გამოვიდა ქვის სტუმარი»), მერე კი თავგანწირულად გადაეშვა უცენზურო ჩხუბში ცნობილ ბლოგერთან, გასაღიზიანებლად სულ «მედიაჰოლდინგ «ტრ2»-ის ვარსკვლავი ეძახა:
მივესალმები რევოლუციურ თეთრეულს!.. მე მაიმუნი არა ვარ, სამსახურებრივ უჩინმაჩინის ქუდში ვარ!.. ეხა, გაგეცნობი. რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ბლოგერი, ქსელური სპეცბატალიონის მაიორი, შემქმნელი მემეებისა
და «ფეისბუკელებო, წადით თქვენი...» მოვითხოვთ დაიხუროს ჰოლდინგი ///2!
ბანი აიკიდა. საწყენია, ამასწინებზე ბიძიასთან ანუსი საკაიფოდ მიაბომბა. მაშინ კეშამ აუხსნა, რომ სექსი თეთრეულთან – ეს ერთადერთი ფორმაა pledge of obedience
ამერიკული დროშისადმი, გასაგები საზოგადო ინტელექტუალისთვის თავისუფალი სიტყვის დევნის ეპოქაში... და აი, ისიც, დევნა…
კეშამ კიდევ ერთხელ დახედა ახლახან შედგენილ იეროგლიფს «///2». ზოლები, ზოლები... გამოდის, რომ ესენიც «ადიდასს» ატარებენ? აი, მესმის პროდაკტ-პლეისმენტ
, რასაც ჰქვია 360-გრადუსიანი მარკეტინგი.
კეშამ ამოიოხრა და მეორე ფორუმზე გადაძვრა, მონაწილეობა მიიღო პუშკინის მუხასავით ძველ დისკუსიაში თემაზე:

«რამდენი გადაუხადეს პიდარასტებმა ოხლაბისტინს
და მერამდენედ» – და გადაუარა რამდენიმე ტოპიკს
, აღმოჩნდა ლგბტ მინდორზე (ხალხური სიბრძნე – თუკი დღე დაიწყო ხახოლების
იქ იყო სანავარდო – ტყეები, ნადირი სრულად, და კაი ნადირობისთვის საჭირო ყველაფერი. კეშა შეერია ერთ დისკუსიას და დიდხანს ავითარებდა აზრს, რომ რუსული ციხის მორალი თავის ფერებში ღებავს ლგბტ-ს სიწმინდეებსაც: ყოველდღიურად აცხადებენ გეიაქტივისტებზე, რომლებიც გამოდიან ფიცარნაგებზე და ეყრდნობიან კარის წირთხლს, ხოლო გეიპასივისტები, რომლებიც რუსულ ციხეებში ითვლებიან უუფლებო პარიებად, ჩუმად არიან თავიანთ კლოზეტებში, როგორც კრავები. და პირველ ტრაკში საჭიროა სწორედ ამასთან ბრძოლა.
იმ ფორუმზე იყო ამერიკელების წყვილი, რომლებმაც ვერაფერი გაიგეს – მაგრამ კეშას არც დაუწყია ახსნა, ამის მაგიერ საყვედურებით დააცხრა, რომ თავისუფალი სამყაროს ლიდერები სინამდვილეში არაფერს აკეთებენ gay&pussy rights in Russia, მხოლოდ პირმოთნეობენ. მაგალითად, შეიძლებოდა გვეიძულებინა ამერიკის პრეზიდენტი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, თუნდაც კვირაში ერთხელ ეტარებინათ ვარდისფერი პიჯაკები. და უფრო უკეთესი იქნებოდა, ერთხელ კი არა, შვიდჯერ...
ისევ ხელახლა შევიდა და თავისი გამოსვლა დააგვირგვინა მოკლედ:
გეისექსუალიზმი იკურნება!
და საწყალი გეისექსუალები სიმშვიდეში დატოვა. ირგვლივ მრავალი ახალი სამიზნე იყო. განყოფილება განყოფილებაზე. და თითოეულს – ქოქოსი სიტუტუცეში.
კეშა არ განიცდიდა ბოროტ გრძნობებს არც ერთი გატროლილის მიმართ – უბრალოდ, იყენებდა საზოგადოებრივი აღტყინების ენერგიას, როგორც სერფინგისტი ტალღას. გეისექსუალებისა და ლიბერალური ბლოგერების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მაგრამ უყვარდა იმ მოქალაქეებთან დატაკება, რომლებიც შინაგანი ელექტრობისგან იბზარებოდნენ საპირისპირო ნიშნით დამუხტული სიტყვებით – და ატმოსფერული ეფექტების

დაკვირვება.
თუმცა, პოლიტიკა უკვე მოსწყინდა – რაღაც ნათელი და პოზიტიური უნდოდა, კეშა პორნოზე გადაერთო.
ერთი წუთის შემდეგ ეკრანზე მაგარი იაპონელი ქალი, სასკოლო მატროსულას ფორმაში უკვე მულტიკულტურულ მინეტს უკეთებდა მთლიანად გადაპარსულ ზანგს (ერქვა, როგორც ხდება ხოლმე, «შემთხვევა გაკვეთილზე» – ხოლო პოლიტიზებულ რუსულ ინტერნეტში ამგვარ კლიპს აუცილებლად დაარქმევდნენ «ტოლერანტობის გაკვეთილს»). ზანგი მეტად საშინელი იყო, მკერდზე დიდი ოქროს ჯაჭვით. ჯანგო გადაიღო, ეს ჯერ ვერა. ეტყობა, ჯერ ვერ შეხვდა თავის ტარანტინოს... და ძალიან ლამაზი იაპონელი ქალი, ძალიან. ესეთს მოსკოვში ვერ მოძებნი. აქ შეიძლება შეტრიალდე თავად ჯანგოს ხაზით – გამოიძახო ბიუჯეტიანი ზანგის ქალი, ოთხი ათასი ღირს საათი. მაგრამ საშიშია. მეზობლები მოთირავენ კარის ჭუჭრუტანებიდან, მერე დედას ეტყვიან. ეგეთები არიან. ზანგის ქალთან წასვლა ტეხავს. ჭუჭყი იქნება, სიცივე და არარომანტიკული.
კეშამ იფიქრა, რომ შეიძლებოდა მაშკასთან დარეკვა და შერიგების ცდა. მაგრამ დღეს არაფერი გამოვა. და ეტყობა, ვერც ხვალ... თან არც განსაკუთრებული ენთუზიაზმი ჰქონდა – გინდაც ყველაფერი გამოსვლოდა, მოხვეოდა სრულ და არცთუ ლამაზ მაშას, კეშას მის ადგილზე მაინც წარმოდგენილი ჰყავდა ნაზი იაპონელი გეტრებში. ხოლო იაპონელი აგერაა, ეკრანზე. და კონკრეტულად დღეს მაშკამ უკვე წააგო ტენდერი...
ამ შურისმაძიებლური აზრით კეშამ ამოიღო, დაიწყო – და გაათავა ვიდეორგოლის დამთავრებამდე ორი წამით ადრე. იმდენად იაპონელ მოსწავლე გოგოზე არა, რამდენადაც სამ გადღაბნილ ცეცხლზე, უცებ რომ გამოხტა ეკრანზე. ალბათ, პორნოსტუდიის სოფიტებია. პორნობიზნესში ხომ ყველა დიადი რეჟისორია, თავისი ქვეტექსტებითა და მეტაფორებით… კეშამ ამოისუნთქა. და მაშინვე გაახსენდა მაზალო რამე «ბაშორგიდან»
– როგორ შეიხედა მასტმა თავისი კომპიუტერული მაგიდის ქვეშ ულტრაიისფერი ნათურის შუქზე და მიხვდა, რომ დროა, გოგო გაიჩინოს. მაგარია. ოღონდ ცხოვრებაში ყველაფერი უფრო რთულადაა – და თითქოს გოგონაც არის, ყოველ შემთხვევაში...

თეორიულად, ჯობს ულტრაიისფერი ნათურა არ ჩართო... ახლა კინოს ყურებაც შეიძლებოდა. რამე ძველის, მარაგში გადატვირთულის. აი, მაგალითად, «ობლივიონის»... დაჩქარებულზე შევუბეროთ...
რას ნიშნავს ეს «ობლივიონი»? თითქოს ვიღაცამ შეჭამა სალათი ოლივიე და მერე იმ თეფშზევე წამოაზიდა. კინო, სხვათა შორის, თითქმის ეგეთია, დაჩქარებულზე სიმართლეს ვერ დამალავ. ყველაფერი სადღაც უკვე იყო, თანაც ბევრჯერ. პინდოსები ყველაფრიდან იპარავენ ცოტ-ცოტას. მაგრამ ჭკვიანურად, ადვოკატით. ვერაფერს მოუხერხებ.
მაგრამ როგორ უყურებენ ეგეთ ფილმებს? რაო, შეიძლება, წუთითაც კი დაივიწყო, რომ ეს ტომ კრუზია? არ შეიძლება. ჰოდა, აი, მთელი ფილმი ფიქროშ ხან საიენტოლოგიაზე
და ხან პლასტიკურ ქირურგიაზე. ხანაც ნაშაზე, რომელსაც გაუმართლა და მაყუთიანი ბურატინოს გვერდით იჩითება. ტიპაჟის მიხედვით ეგეთი მილიონ სამასი ათასია საათში. მაინც მადლობა, რომ სლავური სული აიყვანეთ ბიზნესში. არადა, თავიანთ კინოში ჩვენები სულ რაღაც იდიოტებად გამოჰყავთ. სილვესტერ სტალონე ვერ იცნეს, რუსების ბანაკში რომ მივიდა, ტყვიამფრქვევის ზეთწასმული. კიდევ მივიდა, საგანგებოდ გაშიშვლდა ტრუსებამდე, კიდევ ვერ იცნეს. და მოკვლაც კი უნდოდათ.
ჯანდაბას ეს «ობლივიონი». ჯობს, ვითამაშოთ. ტყუილად ხომ არა გვაქვს კონსოლი
. შეუძლიათ ამ პინდოსებს, თუ მოინდომეს, მაგრადაც შეუძლიათ... მეხუთე GTA
– მაგარი რამეა... ამისთვის, შეიძლება, ერაყიც ვაპატიოთ, და პრინციპში – ლიბიაც. მაგრამ არა უკრაინა.
კეშამ ჩატვირთა ბოლო სეივი – და გავიდა წვერიანი და გაჩეჩილი (როგორიც შექმნა თავისი საყვარელი ბანდიტი ტრევორი) ლეღვის ფოთლით ოდნავ დაფარულ ლოს-ანჯელესის ქუჩაში. ვიღაც შემხვედრი ანიმაციური ზანგი, რომელსაც კეშამ ხელი ჰკრა, ჟესტიკულაციით აბლატავდა. ტიტრების ყურებაში კეშა სიამოვნებით იმუხტებოდა მულტიკულტურიზმით რჩეული ზანგური უცენზურო გინების ნაკადში.
არა მგონია, შემქმნელებს ეს ჰქონოდათ მხედველობაში,

ფიქრობდა კეშა, მაგრამ ტრევორს რომ საპარიკმახეროში გრძელი წვერი მივაწებოთ, გრძელი თმა გავუკეთოთ, მერე კიდევ შავი სათვალეც, გამოცხადებული რადუევი იქნება, გაფურჩქვნის ასაკში. ჩეჩენი შაჰიდების დივერსიულ-მოიერიშე ბატალიონი პინდოსტანის გველურ გულში. აი, შეიძლება ნორმალურად დავისვენოთ, სტრესი მოვიხსნათ.
– შენ როგორ ელაპარაკები პოლკოვნიკ რადუევს, პინდოსების ძაღლიშვილო? – მრისხანედ ჰკითხა კეშამ, LB-ს დააწვა, რათა იარაღის საწყობი გამოჩენილიყო, და ამოირჩია თავისი საყვარელი ავტომატური «შოტგან»-ი ჩამხშობითა და დისკური სავაზნე კოლოფით.
ზანგი მაშინვე ჩაიფუშა და უკან წავიდა. სამაგიეროდ, დედის გინება დაიწყო სხვამ, მასიური ოქროთი მკერდზე – და «რკინა» გააძრო.
ბახ, ბახ. ჩვენს იაპონჩიკებს ვეღარ იხმარ, ძაღლიშვილო. აი, რითია ეს «შოტგანი» კარგი, ერთი გასროლით მოგაშორებს მძღნერს. ისე, საწყენია, რომ ეგრე ჩქარა. ძაან მაგრად იგინებიან ეს შავი პინდოსები.
მაგათში მხოლოდ ზანგებს შეუძლიათ ეგრე ლაპარაკი, თეთრებს – არა. მაგრამ ზანგები ისე ჩქარა მიაყრიან – ტიტრებითაც კი ვერ გაარჩევ. საინტერესოა, ობამას თუ შეეძლო ახალგაზრდობაში? Fuck you, nigga, don’t be such a phoney fucking fuck, dog. შეიძლება, თავის მრჩევლებს ეგრეც მიმართავს... თუმცა, არა, ეგ ხომ მუსლიმია, მაგათ კი გინება ეკრძალებათ... თანაბარი შესაძლებლობების საზოგადოება, აბა, რა. წარმოგიდგენია, ზანგი პრეზიდენტი. აი, როცა ზანგებს დააყენებენ ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე... სისტემა... ირგვლივ ხო სუ ეგეთი იდიოტები არიან. ისინი ვარაუდობენ, რომ სისტემა – ეს პუტინია. ანდა ობამა. თუ ძაან ჭკვიანები არიან, დარწმუნებულები, რო თითქოს სისტემა – ესაა ფედერალური სარეზერვო სისტემა და იელენ-ბიელენი არადა, სისტემა – ესაა განათებული ეკრანი თვალიდან სამოც სანტიმეტრზე. რომელთანაც ჩვენ ვქინძაობთ, ვმსჯელობთ და ვინტერესდებით, დღეისათვის რა სიახლეებია ჩვენთვის. პუტინი, ობამა, იელენი – ეს სხვადასხვა სურათია, ეკრანი კი ერთი და იგივეა... გვგონია, რომ ეკრანს ვმართავთ სანახევროდ ჩვენ, სანახევროდ სპეცსამსახურები, მაგრამ სინამდვილეში

თავად ეკრანი რა ხანია გვმართავს ჩვენც და სპეცსამსახურებსაც. აი, რა არის სისტემა.
და საკითხავია, როგორ უნდა ვებრძოლოთ, თუკი მასთან ბრძოლის შესახებ იმავე ეკრანიდან ვკითხულობთ? კეშასკენ ყველა მხრიდან მოდიოდა პოლიცია – ეტყობა, დაიჭირეს აზრების მტრული მსვლელობა.
მაგრამ კეშა ამისთვის სრულიად მზად იყო.
პოლკოვნიკი რადუევი ბარიკადას ამოეფარა ეზოს კუთხეში – მცირელიტრაჟიანი მანქანის კაპოტის უკან დაიმალა, და ახლა ვეღარ მიუახლოვდებოდი ვერც გვერდიდან, ვერც უკნიდან.
მოდით, ნაგვებო, ამიყვანეთ... აბა, მოდით!
ჯერ ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა. იმიტომ, რომ ერთი ყუმბარით შეიძლება მოშორება ნაგავმზიდის, და ყველა ნაგავისაც. და ასე ოცჯერ... აჰა... აჰა...
ახლა, ვერტმფრენები. ამათ ყუმბარით ვეღარ მისწვდები. სამაგიეროდ, ტყვიამფრქვევიდან – ნაღდად. ჯერ მსროლელი გადმოვარდება, მერე პილოტი... და ვერტმფრენი სადღაც სახლის იქით...
ახლა მეორე ვერტმფრენი...
მესამე...
Fuck. Fucking fuck. გააგორეს. მაგათ, ეტყობა, ალგორითმი აქვთ, არ შეიძლება ზედიზედ ხუთ ვერტმფრენზე მეტი ჩამოაგდო. მთელი თამაშიც ისეთივე სიაბანდია, როგორიც ეს მაგათი დემოკრატიის ბაზარი. შემოწმებულია.
თუკი ვერტმფრენს გაიტაცებ, ცათამბჯენზე დაჯდები, სადაც ნაგვები ვერ ამოძვრებიან, და მძიმე სნაიპერიდან დაუშენ მანქანებს, მაშინ სად იქნება მთელი მაგათი ნაქები რეალიზმი?
ერთ მძღოლს გააგორებ, მეორეს გააგორებ – ორი მანქანა გაჩერდა გზაზე, როგორც მოსულა. მერე ვერტმფრენი მოფრინდება, ხუთი წამით გაერთობი ქვემოთ ყურებაში – და რა იქნა ის მანქანები? ჰაერს შეერია. გეგონება, არც კი ყოფილანო.
ჰოდა, ამის მერე, როგორ უნდა დაუჯერო დოლარს?
სხვათა შორის, ფანჯრის მიღმა უკვე ბნელა. შეიძლება «ბლეკ ლეიბლი» დავურტყათ.
კეშა სამზარეულოში გავიდა და ბოთლი ამოიღო. მარტოს რომ არ დაელია, ფანჯრის მინაში თავის ანარეკლს მიუჭახუნა ჭიქა, და წამით მოეჩვენა, რომ მასთან ერთად სვამს მოსკოვის

ცისფერი ქარი.
თავიდან არაფრით ამოსდიოდა გამქრალი მანქანები მეხუთე GTA-დან. იყო ამაში რაღაც ეგზისტენციურად შემაშფოთებელი, საშიში. ტყვიებისგან ნახვრეტებიც კი – თითქოსდა, რაღა უნდა იყოს ამაზე საიმედო – ქრება, თუკი შეტრიალდები.
ცხოვრებაშიც ხომ ყველაფერი ეგრეა. ოღონდ ოდნავ მეტხანს ძლებს. ახლა სადაა ბაბილონი? ალექსანდრია? მე თქვენ გეკითხებით, სადაა მემფისი? უბრალოდ, რეალობაში დამატებითი ქვეპროგრამებია, რომლებიც თვალს ადევნებენ, მაგალითად, ხომ არ თხრი ალექსანდრიას – და თუკი რწმუნდებიან, რომ – კი, გიხატავენ რაიმე თიხის აგურს ალექსანდრე მაკედონელის პროფილით...
რა მოხდა მერე, სრულიად დასაშვებია. შესაძლოა, თავად ჩვენც – ისეთივე კომპიუტერული სიმულაცია ვართ, რომელიც მხოლოდ მანამდეა, ვიდრე რომელიმე კომპიუტერულ ხულიგანს კადრში ვყავართ.
ხოლო როცა კადრს გადაანაცვლებს, ჩვენ გავქრებით, როგორც მანქანები GTA-დან ანდა ალექსანდრე მაკედონელი. რა დასკვნაა ? რა და, სასწრაფოდ უნდა დავლიო, სანამ ბოთლი ამ ძაღლიშვილებს ფოკუსში აქვთ...
მაგიდაზე აიფონმა დაიზრიალა. ვიღაცამ SMS გამოგზავნა. საინტერესოა, რა უნდა უთხრას კაცობრიობამ კეშას ამ რთული შინაგანი შფოთისას? მაშ, ასე…
კულიზარ, დარჩა ოთხი დღე სუპერაქციისთვის 2X2. იყიდეთ ორი სათამაშო და ორს საჩუქრად მიიღებთ! ჩვენ აქციას დავამატეთ...
გასაგებია. ეჭვიც არ უნდა შეგპაროდა, კულიზარ. რას უცდიდი, კულიზარ, ხომ არ დაგავიწყდა, სად ცხოვრობ? საინტერესოა, შეიძლება ეს ძაღლიშვილები გაასამართლო, მთელი დღეები რომ მობილში ქაქავენ? ამერიკაში, ალბათ, შეიძლება. ჩვენთან კიდევ მხოლოდ გრიპს აიკიდებ მისაღებებში...
რაკი აიფონს მოვკიდეთ ხელი. კიდევ ასი გრამი შავი დავურტყათ და წავითამაშოთ Candy Crush... არა, ფრინველებთან ჯობს... მაშ, ასე, აქ რა გვაქვს? Space. სილამაზე... პლანეტა კრატერებში... ცისფერი კოსმოსური ღრუბლები... ფრინველები, ავები-ავები, შავ მკვდარ ასტეროიდზე. საზაფხულო სათვალეებში, ჩხავიან. მეორე პლანეტაზე – ხვრინავს მწვანე

ღორი. ბოროტია თუ კეთილი, ჩვენთვის ეს არ გამოუცხადებიათ. მხოლოდ თქვეს, რომ ომი გვაქვს. აჰა... აცდა... აცდა... არის. ნეტავი, ეგრე რას ჩხავიან, მიზანში რომ ხვდებიან. ალბათ, მტკივნეულია სიკვდილი, ჰა? რომ დავუფიქრდეთ, ოცდამეერთე საუკუნეში რომაელებსაც კი გავასწარით სისასტიკეში. იმათ კოლიზეუმი ერთი ჰქონდათ ყველასთვის, და იქ კვირაში ერთხელ იარებოდნენ. ჩვენ კიდევ კოლიზეუმი ყოველ სახლში გვაქვს, მუშაობს ოცდაოთხი საათი, და ყველაფერი სუფთაა, ძაღლიშვილო. არავითარი პასუხისმგებლობა, არავითარი მორალური დანაშაული.
და ფრინველები, კრიამ-კრიამ, მიდიან ბოლო ბრძოლაში ჩვენი ელექტრონული ბედნიერებისათვის. რეჟიმის ერთგული ტამაგოჩები
. როგორც დაწერდნენ ტვიტერასტები, #ვდებიანნებით.
კეშამ უცებ იგრძნო რაღაც მწვავე სპაზმი მუცელში. სუნთქვა შეეკრა. ასე მოსდიოდა, მაგარ ალკოჰოლს თუ დალევდა, უჭმელზე. ცოტა სუფთა ჰაერი უნდა ესუნთქა.
კეშამ მომდევნო სიკვდილით აწრიპინებული აიფონი დადო, ადგა და ფანჯარა გამოაღო.
სამზარეულოში შემოიჭრა უცნაურად ცივი ჰაერი. მას ჰქონდა სიცინცხალე, გაუგებარი ბუნების იდუმალი არომატი – თითქოს სახლების მინებზე სიბნელეში მართლა ყვაოდა თეთრი ყინულის ყვავილები, თავიანთი მტვრით ავსებდნენ გაყინულ ჰაერს. ანდა, ეგებ, სურნელი მოფრინდა შორეული ჰიპერბორეადან, საიდანაც ძველი ჩვეულებით, ხანდახან უბერავდა ქარი…
ყინულის ძლივს საგრძნობი არომატი ახსენებდა რაღაც ძველს, მაღალს, მკაცრს და უბრალოს. კეშადან წამში ჩამოიფერთხა მთელი კაიფი. მოეჩვენა ზღაპრული – და საშინელი. თითქოს ფანჯარა კი არა, სიკვდილის ეტლის კარი გაიღო, და მასში შემოვარდა ყინულიანი ჰაერი.
ქვემოთ გადაიხედა.
ფარნის შუქზე მიწაზე იწვა რაღაც მრგვალი და მუქი, მწვანე გამონადენით, ცუდად რომ გაირჩეოდა მეთორმეტე სართულიდან: ან შავი პაკეტი ნაგვით, ანდა მოკუნტული ძაღლი... და კიდევ იმ მრგვალ სიროობაზე იყო ორი გამოშვერილი, თითქოს სახელურები ანდა... ჰო, აბა რა.

ყურები.
როგორც ღორს Angry Birds-იდან.
კეშას თავბრუ დაესხა, და თითებით ფანჯრის რაფასაც ჩაეჭიდა. წამით მოეჩვენა, რომ შორეული ფარანი ქვემოთ კი არა, წინ ანათებს, და საცაა გადმოაბიჯებს სიკვდილის ეტლიდან, და გავარდება ღორის თავთან შესახვედრად, ძლივს რომ გაირჩევა ცისფერ ბინდში – როგორც უფრენია შავ მარადიულობაში არაერთხელ და ორჯერ. გაფრინდებოდა თავისი ერთადერთი დანიშნულების შესასრულებლად. ხოლო უკან, მის ზურგს უკან, დარჩებიან უთავოთა ჯვარი და რაღაც ძალიან საშინელი, ძალიან ჭკვიანი ფრინველები, დაუნდობელნი თავიანთ კოსმოსურ სინამდვილეში – რომლებიც წარმართავენ მის ფრენას...
მაგრამ წამის მერე თავბრუსხვევამ გაიარა.
კეშამ რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა, დახურა ფანჯარა და მაგიდას მიუჯდა. აი, ადამიანები ფანჯრებიდან როგორ ცვივიან... ეს როგორ უნდა მოიფიქრო. სიკვდილის ეტლი. უთავოთა ჯვარი. ნეტავ, ეს რა იყო?
სუფთა ჰაერი? «ბლეიკ ლეიბლი»? თუ ყველაფერი ერთად?
თუ სასმელია დამწვარი? შეიძლება, დამწვარი კი არა, რამე ფსიქოტრონული, ახალი საიდუმლო პროგრამით... ვინ იცის, შიგ რას ურევენ. აგე, მაიდანზე სპეცნამცხვარი დაარიგეს, ხალხს დღემდე ფსიქოზი აქვს...
ჰოდა, რაკი ვისკი ფსიქოტრონულია, ესე იგი, სრულად უნდა განადგურდეს. როგორც ქიმიარაღი სირიაში. სირია, სირია, ყლისთავი კი მშვიდია. ეხა ბოლომდე ჩავარტყამთ, ფეისბუკზე გავიგულავებთ და დავიძინებთ. ხვალ, დიდება შენდა ღმერთო, ისევ დასვენებაა.
ოღონდ აიფონის დატენა არ დამავიწყდეს.
ნაწილი 3 - კიკლოპი
მინდა აღვნიშნო, ჩემს ხასიათზე გამოძერწილი და შეურაცხმყოფელი რიგი დეტალების გამოკლებით (გული მიმიწევს, მას სამხედრო პროპაგანდა დავარქვა), ფრინველები მომხდარს საკმაოდ ზუსტად იღებდნენ. მაგრამ მათ, როგორც ჩანს, მართლა ეგონათ, რომ მე ვეხმარები სამყაროს შექმნაში, ვმუშაობ ღვთიურ რეტლანსლატორად, ან შემოქმედთა არმიიდან ერთ-ერთი ვარ. დანარჩენი ყველაფერი სწორი იყო:

ჯადოქრული მანტრების კითხვით სამყაროს მართლა ვუნარჩუნებდი წონასწორობას – და ფრინველები იწყებდნენ ჩემს ხედვას, როცა მე ერთხანს აღმოვჩნდებოდი მარტოობაში, რასაც ისინი (ძალიან ზუსტად) გამოსახავდნენ, როგორც ჩემს ირგვლივ წითელ უდაბნოს.
იმასაც ვიტყვი, რომ ფრინველებისთვის ადამიანი – ძველ შენობასავითაა. მის მაღალ სარკმელებში ჩანს ცა, და ფრინველები ცდილობენ, ან იმ მაღალი ფანჯრებიდან გაისროლონ ზეცაში, ანდა დახურონ მაინც ისინი ადამიანში. ეს მათთვის ისევე ბუნებრივია, როგორც ჩვეულებრივი ფრინველებისთვის ფრენა.
დაბოლოს – იმაზე, თუ როგორ გამოიყურებიან. მე უკვე ვთქვი, რომ პოეტები ხშირად წინდაწინ ჭვრეტენ მომავალს გასაკვირი, შემაშინებელი სიზუსტით. აი, ერთი მაგალითიც. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო რუსული ლექსი, ვედენსკის «ელეგია» შეიცავს ამისთანა – უცნაურ, ალბათ, პოეტის თანამედროვეებისთვის – სტრიქონებს:

ფრინველები ფრენენ უფლის,
ნაწნავებში ქარი უვლით,
ხალათებზე ელვა უკრთით,
ზეცაში აქვთ ძალა სულთქმის –
ფრენაში არ არის დანდობა.
ფრინველები დროს ითვლიან,
ცრემლებივით ჟამს ჰკიდიან,
უზანგები არ იციან,
ვერ მიხვდები, სად მიდიან –
ფრენაში ყოველთვის მარტო ხარ.
კომენტარს ვერ გავუკეთებ ამ სიტყვებს. როგორც იტყვიან, sapienti sat-ი
კეშამ, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ სწორედ ისაა ფრინველების მთავარი იარაღი. არც უნდა სცოდნოდა. ეს იარაღი რაღაცნაირად თავადვე ემიზნებოდა – და სწორედ ამიტომ იყო დაუმარცხებელი. კეშა თავად იყო ისარიცა და სამიზნეც.
მალე ის დიდი ხნით გახდება ჩვენი მთავარი გმირი, და საჭიროა, ცოტა დაწვრილებით მოვყვეთ სამყაროში არსებობის

მისეულ ხერხებზე.
როგორც უკვე ცხადია ჩემი მონაყოლიდან, პირდაპირ ჩემი კაბინეტის ქვეშ განლაგებული იყო ერთი საშუალოდ მოთხოვნადი (რომ არა ვთქვათ, მცირებიუჯეტიანი) ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის ოფისი, სახელწოდებით Contra. ru.
«კონტრას» ფული არ მოჰქონდა, გონებებზე არცთუ ძალიან ზემოქმედებდა – და არსებობდა მხოლოდ ინერციით. ვიღაც დაუდგენელ პირებს (მეზარებოდა მენახა, ვინ იყვნენ) ადრე ეს საიტი ჰქონდათ ტაქტიკური ჯავშანმატარებლის ამბავში, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევისას შეიძლებოდა დასჭირვებოდათ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის შესანიღბად. მაგრამ ახალ ეპოქაში მასში დიდი აღარაფერი აზრი არ იდო. საიტის შტაბბინად გამოიყენებოდა დიდი, სტილიზებული ოთახი ათეულობით კომპიუტერით, რომლებსაც უსხდნენ... ძალიან, ძალიან ძნელია, ფონს გახვიდე სიტყვა «ჰიპსტერის» გარეშე.
კეშაც აგრეთვე, იმათგან იყო (თუმცა იმ დღეებში, როცა ბევრს სვამდა, მეწყებოდა შიში, რომ სამარცხვინოდ ჩამოაგდებენ ტახტიდან პირველივე ფეისკონტროლზე).
Contra. ru, ძირითადად, იმით იყო დაკავებული, რომ ასკანერებდა მსოფლიო სააგენტოების გამოხდომებს, იქიდან გამოწურავდა ცნობებთან დამთხვეულ მოვლენებს და თავის ელექტრონულ ლენტაზე აწებებდა, როგორც საკუთარ გამოცხობილს.
ამ ყველაფერს ხანდახან, მეზობლურად, ჩავიკითხავდი ხოლმე. «კონტრას» ხასიათი ყველაფერში მოსაწონი არ იყო. როგორც კომენტარებში დაწერა ერთმა აღშფოთებულმა «შრომის, ომისა და ისევ შრომის ვეტერანმა» (სინამდვილეში, უბრალოდ, ტროლმა, და უფრო კონკრეტულად – თავის ჭკუაზე მოჩერჩეტე კეშამ), «საწყენია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მასობრივი სტატუსის პრეტენზიის მქონე მსოფლიო სიახლეებში გვთავაზობენ მასალას რომელიმე ჰოლივუდელი ძუკნას პლასტიკურ ოპერაციაზე ანდა ბრილიანტებით დაფარული რომელიმე ზანგის მომდევნო ალბომზე, კრიმინალურ პინდოსო-შანსონს რომ ასრულებს (ანდა, როგორც ზოგჯერ ამბობენ, რეპს). რა არის ეს, თუ არა შეგნებული შეთქმულება, მიმართული რუსეთის კულტურულ

დებილიზაციისა და კოლონიზაციისკენ? საჭირო არაა ჩვენგან ტუპაკის ტყავიანების გაკეთება!»
კეშას მხედველობაში ჰქონდა ტუპაკ შაკური, რომელზეც ამის დაწერამდე ორი სააათით ადრე შეიტყო მშობლიური «კონტრადან» (ახალი თაობაა, რას იზამ). გასაგებია, რომ კეშა ცელქობდა, მაგრამ ბევრი ფიქრობს ასე სერიოზულად. კონსპიროლოგია – განსაკუთრებულად წყნარი სოროა გონებისთვის.
მაგრამ როცა მომეცა შესაძლებლობა, ჩამეხედა სხვათა გონებებში, აღმოჩნდა, რომ რეალობას სულაც არ სჭირდება შეთქმულებები და შელოცვები, რათა ისე გამოიყურებოდეს, როგორც გამოიყურება.
საშუალო რუსი ჰიპსტერი – ეს უპატრონო ბლუთუს-ვაიფაის გოლემია
მეტად შეზღუდული გონებრივი რესურსებით. ბევრი ვერ იტანს, არადა, ღირდა შებრალებოდათ: უფრო ხშირად ისაა ბამბის მკრეფავი, მთელი ძალით რომ ცდილობს, დაემსგავსოს ოქროს მილიარდის «ანფან ტერიბლს»
. და არც იმდენს გეგმავს, რამდენსაც ოცნებობს, რომ ირგვლივ ყველაფერი დაინგრეს – და ის ბუღადენილ ნანგრევებზე სარბენად გაუშვან, როგორც ეს დაემართა მამების თაობას. მაგრამ მისი გულისთვის არავინ დაიწყებს მაგმის თავზე ახალი ქერქის მტვრევას. კომუნიზმის დაუშინებელი მშენებლები დიდი ხანია შესანსლეს, და მათგან დარჩენილი მთელი რკინა უკვე მაგმაში მცხოვრები ეშმაკებისაა. ჰიპსტერისთვის ძნელი იქნება მათი დარწმუნება, რომ გაუნაწილონ – ეშმაკებს არ ეშნიათ ფოტომონტაჟის.
ჰიპსტერებს, ძირითადად, მართავს ინფორმაციული სურნელი და ქარები. გოლემი იქით ტრიალდება, საიდანაც მოფრინავს ყველაზე მაცდუნებელი სუნი. ჩვენი მკაცრი სამშობლო, სამწუხაროდ, აქ არაკონკურენტუნარიანია – არ აწარმოებს არც ლამაზ ორაზროვნებას, არც მწკლარტე არომატებს. სახელმწიფო საინფორმაციო საწარმოში ამისთანას ვერ გამოჩარხავ. არადა, გოლემი ცხვირით ფიქრობს.
გოლემი ისეა მოწყობილი, რომ არ ესმის ტუპაკ შაკურისა და მიხაილ კრუგის (კეშას, სხვათა შორის, ეს უკანასკნელი უნახავს) ზეიმურობა. ამიტომ რუსი ჰიპსტერის ენერგიის წყარო – ესაა

შეურიგებელი კონფლიქტი hip-სა და «ჰოპ!»-ს შორის, სადაც ვერ არჩევს მასში ჩადგმული ბატარეის პოლუსებს. რუსისთვის ამ ბატარეის პოლუსია ნიშანი «მინუსი». მაგრამ სისულელე იქნებოდა, ამაში გოლემი დაგვედანაშაულებინა. დამნაშავენი ეროვნული ჯადოქრები არიან, ისეთი სახეები რომ აქვთ (და ხანდახან თავადაც სჯერათ), თითქოს შეუძლიათ ჯადოსნური ნიშნები დაახატონ გოლემებს შუბლზე. სინამდვილეში, ყველა შელოცვას მათ მაგივრად ქარი წერს.
მაგრამ მე გავერთე...
კეშა თაყვანს სცემდა კომპიუტერულ თამაშებს. მისი საყვარელი თამაში იყო არა GTA, როგორც შესაძლოა მოგეჩვენოთ ჩემი ანგარიშიდან, არამედ World of Tanks. პროხოროვკასთან, ის ჩვეულებრივ დიდხანს ელოდა სტუმრებს, საგანგებოდ შექმნილ სავარჯიშო ოთახში, «ოქროს» ნაღმებით სავსე «პანტერაში». ხანდახან მასთან სტუმრად შეივლიდა ერთი ცნობილი რუსი ინტერნეტფილოსოფოსი პატარა, მეცხრე დონის ცქვიტი ტანკით. კეშამ არ იცოდა, ვის შთააგონებს თავისი მაღალი და ცუდად დაცული კიჩოთი – სხვანაირად, ალბათ, სიამაყისგან დაიხრჩობოდა.
კეშა «კონტრაში» სისტემური ადმინისტრატორის მსგავს თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ ჟურნალისტობითაც შოულობდა ფულს. მისი ვიწრო სპეციალიზაცია იყო გაჯეტები. ის აკეთებდა სიახლეების ვრცელ და დაწვრილებით მიმოხილვას, ტექნიკურ ანალიზში თამაშის ჩვევებს ურევდა, რადგან სწორედ ამ მომცრო ელექტრონული კოლოფებიდან ურტყამს პროგრესის ცისფერი ისრები, რომლებიც ანგრევს გამძლე ტოტალიტარული სიბნელის წითელ-ყავისფერ ბასტილიას: გაჯეტი + ინტერნეტი = თავისუფლება (არჩევანისა). ამას რედაქციაში პირდაპირ არავინ სთხოვდა – როგორც მენტალური მომსახურების ყველა ნაკლებად ანაზღაურებადი პროვაიდერი, კეშაც თავად გრძნობდა, როგორი ტონი უნდა აეღო, რათა სარგებელი ენახა.
ფორმალურად კეშას მოეთხოვებოდა მხოლოდ ტექნიკური ცოდნა და მსუბუქი გამჭვირვალობა გადმოცემისას, დანარჩენი მართებულად გაგებული სოციალური შეკვეთა იყო – და ვერავინ, რასაკვირველია, ვერ ამოიცნობდა თავშეკავებულ, კორექტულ, ირონიულ და პროგრესულ ავტორ-იაპში

საშინელ ურჩხულს, რომელიც ერთი საათის წინ კომენტარებში ყმუოდა, რუსეთის მთავრობისგან მოითხოვდა ლიბერალური ინტელიგენციისთვის დაფინანსება მოეხსნა, ხოლო გამოთავისუფლებული თანხით იუპიტერის თანამგზავრებზე მოეწყო ექსპედიცია.
გაჯეტების გარდა, კეშას ხანდახან ჩართავდნენ ხოლმე ტერორის თემაში: სიამოვნებით დაძებნიდა ქსელში ყველაზე საძაგელ, ხელმისაწვდომ სურათებს და მათგან ვრცელ ნაკრებს ამზადებდა. მერე მკაცრად არედაქტირებდნენ შემსუბუქების მიზნით.
კეშა იყო საშუალო-ტექნიკური ჟურნალისტი, მაგრამ ნიჭიერი ტროლი. მისი «ტრო-ლო-ლო»-ებიდან (მგონი, ასე ეძახიან ამ კლასით გამოცემულ არსებებს, ტრელებს) ზოგი ღრმა იყო და იძულებულს გხდიდა, მარადიულზე დაფიქრებულიყავი. მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ერთ-ერთი კომენტარი უკრაინულ განყოფილებაში, სადაც კეშა ზოგჯერ დღეები იჯდა: «კიევში შეამჩნიეს უცნობები უკრაინელი მილიციელების ფორმაში, რომლებიც რუბლს ცვლიდნენ გრივნაზე. ჭეშმარიტად, აი, ესა ხარ, შენ, ადამიანო, და შენი ყველა საქმეც მზისქვეშეთში...».
დაუნდობელი, მაგრამ ზუსტი სიტყვებია.
მაგრამ კეშას კარმული ტრამპლინის მთავარი ნაღუნი იყო სულ სხვა, ერთი შეხედვით საკმაოდ მოულოდნელი გარემოება.
დიადი HAMSTER-ი
კეშა იყო მაღალი და უკვე შემელოტებული (მიუხედავად ახალგაზრდობისა) ქერა. გამხდარი, ცოტა ცხვირპაჭუა, და ჰქონდა უნიკალური და სასაცილო თავისებურება – შუბლზე მუქად უჩანდა ვარსკვლავის მსგავსი ხალი, რის გამოც ურჩევდნენ სამხედრო სამსახურს (კოკარდაზე ეკონომიას გასწევო). კეშა არ ბრაზდებოდა.
ლამაზს ვერ დაუძახებდი, მაგრამ – ვერც მახინჯს. შეიძლება ვინმე გოგონას ძალიანაც კი შეჰყვარებოდა. თუმცა პირად ცხოვრებაში ძალზე მოუწყობელი ახალგაზრდა კაცი იყო. უფრო ხშირად მეგობარი გოგონები არ ჰყავდა და ის სცოდავდა მარტოობაში, მონიტორის წინ (რაშიც მარტო არ იყო – დღევანდელ სამყაროში ეს წესი უფროა, ვიდრე გამონაკლისი). ყველაზე მეტად მოსწონდა პორნო იაპონელ სკოლის მოსწავლე

გოგონებზე მეზღვაურის მაისურში – ამას თავისთვის ეძახდა «ნახიმოვის ბუკაკეს». ნახიმოვის სასწავლებელი აქ არაფერ შუაში იყო: კულტურულად და ეროტიკულად დაწინაურებულ იაპონელებს მართლა აქვთ ამნაირი სკოლის ფორმა, რომელსაც იმთავითვე მოიხმარენ ეროვნულ სექსფეტიშად.
კეშას ჰქონდა ნახიმოვის ფილმების სერიოზული კოლექცია. და მის მოკრძალებულ საშინაო სიხარულებს რომ ვათვალიერებდი, ერთი უცნაური რამ შევნიშნე.
ადრე არასოდეს დავფიქრებულვარ, კერძოდ, ვისთან ამყარებს სასიყვარულო კავშირს ინტერნეტპორნოგრაფიის მომხმარებელი.
შორეულ მსახიობთან? ალბათ, არა, ის წარსულში დარჩა.
თავის წარმოსახვასთან? ალბათ, არც მასთან – მომხმარებელი ეკრანს უყურებს, სადაც ყველაფერი უკვე დახატულია.
ეკრანის სურათთან? მაგრამ იმ საწყლის ცნობიერებაში ძალიან ნამდვილი თანაყოფა ხდება, და ის, ასე ვთქვათ, ზეიმობს ნანახით, ხანდახან სამჯერ-ოთხჯერ დღეში.
თავიდან აზრად არც კი მომდიოდა ამ მიმართულებით წარმემართა სამსახურებრივი ხედვა – მაგრამ ერთხელ, მარტოობაში მოვარჯიშე ინოკენტის, იმავე კეშას რომ ვუყურებდი, რომლის წინაშეც, მონიტორზე, დახოხავდა სირით დაკავშირებული მომდევნო წიწკვი, მის გარშემო რაღაც ჩრდილი შევნიშნე.
ის კი არა, რომ კეშას მახლობლად შავი მოჩვენება დაფარფატებდა, არა. ის, რაზეც მე ვლაპარაკობ, ჯერ უფრო შეგრძნება იყო.
ინოკენტის გარშემო დედდებოდა შემწოვი სიბნელე, რომელიც მით უფრო სქელი და ცივი ხდებოდა, რაც მეტად უახლოვდებოდა თავისი ყოფილი მენჯის მომენტს (ძალიან მართებული გარდათქმა სიტყვა «ექსტაზისა», ჩავლილ სიყვარულზე ფოტოგრაფიული ანგარიშების მომხმარებლებთან მიმართებით).
მერე ისე შეერწყა სიბნელეს, როგორც ქალს. თითქოს მონიტორიდან გამოძვრა შავი, ბანჯგვლიანი ყვავილი, განლაგდა აძაგძაგებული კეშას გარშემო, შემოიერთა მისი სიხარულის ალი, წამში შეკუმშა, თითქოს წონიდა – და, რაკი მეტად მსუბუქი ეჩვენა, უკანვე შეძვრა, მონიტორში, ადგილზე

დატოვა ცოტა გამხდარი და დაბერებული, ბედკრული კეშა.
და ერთბაშად დავინახე ათასი, მილიონი, ასეულობით მილიონი სხვა მონიტორი – და იგივე შემწოვი სიბნელე, ბეტონში გამომწყვდეული ადამიანების პატარ-პატარა ქალაქური სიხარულებით რომ იკვებებოდა.
შევეცადე, გამეგო, რა არის ეს სიბნელე, და დავინახე დიდი, შავი პოლიპის მსგავსი, სამყაროზე მიწებებული რაღაც პიატუსი. მასში მიფრინავდა გაუზიარებელი ადამიანური ვნება, ცრუ მიზნებს რომ ურტყამდა.
მეცნიერულად რომ ვთქვათ, ეს იყო უშველებელი მსოფლიო პარაზიტი, რომელიც ეყრდნობოდა კაჟისმაგვარ საინფორმაციო ინფრასტრუქტურას.
და მე შევნიშნე, რომ ის ითრევს რეგულარულ პარტნიორებს, მათ შორის კეშასაც, ძალიან უსიამოვნო და ერთგვაროვანი მომავლის ფორმებში.
მენდეთ სიტყვაზე, შეუძლებელია გაუგო ახალ თაობას, ყველა ამ კრეაკლებს, ჰიპსტერებსა და სხვა მერჩანდაიზერებს, თუ მხედველობაში არ მიიღებ იმას, რომ ყველანი ადრეული ყრმობიდან – ეკრანის მიღმიერი სიბნელის ქმრები არიან (გამოთქმა «ეკრანის მნძრეველი», უფრო ზუსტად რომ გადმოსცემს საგანთა არსს, მეტისმეტად ვულგარული მეჩვენება).
არაფერი უფრო შემძვრელი არ არის, ვიდრე ხნიერი ლიტერატურათმცოდნეების ვარაუდი, რომ ერთხელაც ვიღაც ჩვენი თანამედროვეებიდან ამ უბედურებაზე დაწერს «ეშმაკნი 2»-ს.
აქ სულ სხვა სათაური უნდა.
მაგალითად, «დიადი Hamster-ი» (განზრახ ინგლისურად, რათა ხაზი გავუსვათ ძვრას ჩვენს კულტურულ პარადიგმაში «ეშმაკნი 1»-ისა და «დიადი უტიფრის» დროიდან).
გამუდმებული თანაცხოვრება ეკრანის ილუზიასთან, წამახულ ანკესზე წამოაგებს სუსტ ჰიპსტერულ ჭკუას და მიათრევს მომავალში, ძალიან უცნაური მარშრუტებით. ესაა მთავარი.
ხოლო ის, რომ რუს ჰიპსტერს არცთუ იშვიათად ახასიათებს წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია – არის პირწმინდად ესთეტიკური ეპიფენომენი, არანაირი კავშირი რომ არ აქვს საკითხის არსთან.

რომ გავიგოთ, რატომ არსებობს ინტერნეტი, იმას უნდა შევხედოთ, რითია დაკავებული. ის კი, ძირითადად, დაკავებულია იმით, თავის თავში ტვირთავს პორნოს – და შეადგენს, სულ ცოტა, ტრაფიკის მესამედს.
ეს პულსირებადი შავი პოლიპი, ამოზრდილი კაჟისმაგვარ ინფრასტრუქტურაზე, იყო კიდევაც ფრინველების მთავარი იარაღი. ის ჰგავდა მძიმე ტვირთს, რომელიც თანდათან ეკვრებოდა სამყაროს ლანგარს – და შეუქცევლად გამოჰყავდა იგი ბალანსიდან, ძველ წონასწორობებს ურღვევდა.
ის ითრევდა კეშასა და მის უთვალავ ამხანაგს სიბედკრულეში – ნელ-ნელა და დაუძლევლად.
ასე რომ, მომავალი კატასტროფის აცილება უკვე აღარანაირი ძალისხმევით აღარ შეეძლოთ მომავალ კიკლოპებს.
გონებით ძმებს ადამიანი შეხვდა ძველისძველად – უფრო სწორად, ისინი შეხვდნენ ადამიანს. მაგრამ არჩიეს, მეტისმეტად არ შეჩხეროდნენ თვალში. ჯერ მორიდებულად ეჭირათ თავი, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა.
კაჟის რევოლუციისას ჩვენს სამყაროში ჯერ დესანტი შემოვიდა პლაცდარმის ნახაზებით, მერე კი მოიერიშე ძალები. სხვათა შორის, ამაზე კიდევ მოჰყვება ჩემი თხრობის ერთ-ერთი გმირი. მაგრამ შავი, კაჟისებური პოლიპი არ იყო დედამიწის ერთადერთი ჭირი.
მე მაშინვე დავინახე სხვა პარაზიტებიც, რომლებიც შეეწებნენ მრავალტანჯულ კაცობრიობას, რომელიც იმ მომენტში მივამსგავსე დიდ ლაბორატორიულ თეფშს, რომელზეც წამოზრდილი იყო არანაკლებ ასი სახეობის სხვადასხვა სიდამპლე. იქ დაძვრებოდნენ ვირთხები, ტარაკნები – და ფრენდნენ ღამურები.
ეს ჰგავდა ბოსხის გაცოცხლებულ სურათს, სადაც თითოეული ელემენტი იყო ადამიანში მყოფი ერთ-ერთი პარაზიტი არსება. როგორც იდეალურ საკონცენტრაციო ბანაკში, გამოიყენებოდა ყოველგვარი ადამიანური ხველება, წვინტლი და თმა.
მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან, რათა გაიგოთ, რაზე ვლაპარაკობ. ალბათ, ყველამ იცის ადამიანური ფსიქიკის ერთი ასეთი უსიამოვნო თავისებურება – ჩვენ უცებ გვეუფლება ზიზღის გრძნობა რაღაც პატარა გამაღიზიანებლის მიმართ, რეგულარულად რომ იჭრება ჩვენი ყურადღების ზონაში.

მაგალითად, რაიმე ხმის, რომელსაც ჩვენ ვნიშნავთ უსიამოვნოდ – ჭურჭლის წკარუნს, ხველას კედლის მიღმა და ასე შემდეგ.
ეს ხმა შეიძლება იყოს ძალიან ჩუმი, ძნელად გასარჩევი ყველა დანარჩენისგან, რაც გვესმის. და ამის მიუხედავად, ჩვენ სნაიპერული სიზუსტით გამოვარჩევთ ამ ხმას საერთო ფონიდან – და მაშინვე უსიამოვნოდ გვაჟრიალებს.
ხმის გარდა, ეს შეიძლება იყოს სუნი (მაგალითად, სამი სართულით დაბლა მოთუხთუხე ბორშჩი), მშობლიური სადარბაზოს ხედი, აკვიატებული აზრი უფროსზე, რაც გნებავთ.
ასე ავლენენ თავს განსაკუთრებული ფსიქიკური მწერები, ერთგვარი მენტალური ტილები, მხოლოდ ადამიანში რომ პარაზიტობენ. ისინი ჩვენს ცნობიერებაში ქმნიან ზიზღის კვანძებს სამყაროს შემთხვევითი გამოვლინებების მიმართ – მერე კი, როცა ვიწყებთ ზიზღის ცხელი პროტუბერანცების სამყაროში გამოსროლას, მოგვაფრინდებიან ხოლმე, როგორც მშიერი ბუზები
ბევრი ჩვენი თანამედროვე, დღე-ღამეში ოცი საათი რომ თამაშობს წინ წასულ, ბედნიერ და წარმატებულ ადამიანს, სინამდვილეში ისეა დაბინძურებული ამ უსიამოვნო არსებებით, რომ ძლივს პოულობს ძალებს, თავისი მოვალეობებისთვის უფრო მაღალი კლასის პარაზიტებთან. აყროლებული გათახსირებული კაცები, იტყოდა წარსულის მემამულე – და ტექნიკურად მართალიც იქნებოდა.
საინტერესოა, რომ კაცობრიობის უმაღლესი მუქთამჭამელების გამოკლებით, ჩვენი გონებით გამოკვებილი მცირე არსებების უმეტესობა მგავს რამეს ვერ ფლობს. ამის მიუხედავად, მათ შეუძლიათ, ყველაზე უცნაური ხერხით ზემოქმედება.
ჩვენი ცხოვრების ბევრი უცნაურობა, რომელსაც ადამიანები თავიანთი კულტურის თავისებურებებით ხსნიან, სწორედ იმიტომ იქცა წესად, რომ საკვები ბაზა მისცემოდა პრიმიტიული ფსიქიკური არსებების რომელიმე სპეციალურ კლასს.
ასეთებია, მაგალითად, წინადათცვეთა და პირსინგი.
მოკლედ, როგორც ყოველთვის: არის კარგი და ცუდი სიახლე.
კარგი ისაა, რომ ადამიანი მსოფლიოს სულიერ ბალანსში თამაშობს მნიშვნელოვან და ცენტრალურ როლს.
ცუდი ისაა, რომ ეს როლი – დაახლოებით ისეთია, მონგოლურ

კავალერიაში ფაშატს რომ აქვს: ახალგაზრდობაში მეომრებს ემსახურება პატარძლად, მერე იძლევა კვიცებს და რძეს, შემდეგ დიდხანს დააჭენებენ საქმეებზე, ბოლოს შეჭამენ და მისი ტყავისგან იურტას აკეთებენ.
აი, ოღონდ ცხენი თავისი საშინელი გზის განმავლობაში არ ფიქრობს, რომ ცივი სტეპებიდან ევროპაში გამგზავრებული, ეშმაკურად და ცოტა უპატიოსნოდ მოაწყობს თავის ცხოვრებას – ადამიანი კიდევ სრული სერიოზულობით ასე თვლის. და კიდევ ის, რომ ცხენი არ ლოცულობს ჩინგისხანზე.
მაგრამ მსოფლიო ენერგეტიკული იმპერიის საბაზისო მექანიკა უკვე საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი სათანადო ლიტერატურაში. დაინტერესებულებს იქით ვგზავნი.
დედამიწაზე მომხდარ ყველა საშინელებაზე ერთადერთ წიგნში მოყოლა, ალბათ, შეუძლებელია, ამიტომ კეშას დავუბრუნდეთ. უფრო სწორად, მის შორეულ მომავალს – სწორედ ამაზე ვილაპარაკებთ.
ალალად რომ ვთქვა, ვშიშობ, პიროვნების გაშავებას მისაყვედურებენ. ამიტომ, გაუგებრობებისა და უფრო კანონიკური გამოცხადების სხვადასხვა წაკითხვის თავიდან ასარიდებლად, მომიწევს რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმაზე, როგორ ვხედავდი მომავალს – და, საერთოდ, ეს რა არის.

ბედის მატარებელი

არის ცნობილი ანეკდოტი მოლა ნასრედინზე, ნათელმხილველ-შარლატანს რომ გამოააშკარავებს. ის თაღლითი იოლად ჰყვება ზღვის ფსკერზე, მეშვიდე ცაზე, ინდოეთის ფადიშაჰის ჰარამხანაზე და ასე შემდეგ. მაგრამ როცა მოლა უბრალო შეკითხვას დაუსვამს – «აბა, რას ვმალავ მუშტში ზურგს უკან?» – პირდაღებული თაღლითი ხმას გაიქანქავს და ვერაფერს ამბობს.
ანეკდოტის ლოგიკა გასაგებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ეს შარლატანი შეიძლება სულაც არ იყოს შარლატანი, არამედ, უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც სთხოვეს ტელესკოპში დაინახოს თავისივე ჭიპი. ნათელხილვა ისეა მოწყობილი, რომ განსაზღვრული სიმკვეთრის ფოკუსი გააჩნია. ესაა ნახვრეტი კედელში, და შიგ ყველაფერი კი არ ჩანს, არამედ მხოლოდ ის, რაც მასში მოჩანს.
და პირველ რიგში, ჩემი სიტყვები განეკუთვნება მომავლის

მომწიფების ხერხებს – ყოველ შემთხვევაში, იმას, რაც მე მქონდა.
სამწუხაროდ, საკუთარი მომავლის დანახვა თითქმის ვერასდროს შევძელი – ეტყობა, მისი ცოდნა შეუთავსებელია ნების თავისუფლებასთან. ეს, საერთოდ, გასაგებია: შენი ხვალინდელის არცოდნა თავის არსში ნიშნავს, რომ დღეს თავისუფალი ხარ, ისე მოიქცე, როგორც გინდა. შემეძლო, თვალი მედევნებინა ჩემი საქციელის შედარებით სარწმუნო შედეგებისთვის, და ისიც ყოველთვის ვერა.
სხვისი მომავლის მიმართ ჩემი ნათელხილვა ტელესკოპს ჰგავდა, მიმართულს ღრუბლიანი ცისკენ – უფრო ხშირად იგი აჩვენებდა ღრუბლების ნაცრისფერ ფირს. მაგრამ ზოგჯერ ოკულარში ციმციმებდა რაღაც ცისფერი, და ანათებდა მზე, ანდა შეიძლებოდა, დაგენახა მთვარე და ვარსკვლავები. უფრო მართებული იქნება, ვთქვა, მე კი არ ვხედავდი მომავალს, თავად მეჩვენებოდა დროდადრო – თითქოს დაბინდულ ზეწარზე ჩნდებოდა გამოხეული ადგილი. მაგრამ ჩემს ხილვებში ბევრი იყო უცნაური და ურთიერთგამომრიცხავი.
და – როგორ ველურადაც უნდა ჟღერდეს ასეთი სიტყვები კიკლოპის ბაგიდან – დიდი ხნის დაკვირვების შედეგად მივხვდი, რომ ადამიანებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გარემომცველ სამყაროზე. ამ კუთხით მე გამონაკლისი ვიყავი, რადგან ვხედავდი მოწყვლადობის იმ იშვიათ წერტილებს, სადაც ზეგავლენა შესაძლებელი იყო.
რეი ბრედბერის აქვს მოთხრობა დინოზავრებზე ნადირობაზე: მონადირეები წარსულში მიემგზავრებიან დროის მანქანით, ესვრიან განწირულ ხვლიკს, სანამ ჭაობში ან ლავის ნაკადში ჩაიძირება – და უკან ბრუნდებიან, პრაქტიკულად, არ არღვევენ მსოფლიო ბალანსს. მაგრამ მერე მონადირეებიდან ერთ-ერთი, შემთხვევით, ჯუნგლებზე დაკიდებულ გზაზე გაივლის და პეპელას დაადგამს ფეხს. როცა მოგზაურები თავიანთ ეპოქაში მოდიან, აღმოჩნდება, რომ ფეხსაცმლის ძირზე მისრესილმა მკვდარმა პეპელამ ისე დაარღვია მსოფლიო მოვლენების ურთიერთკავშირი, რომ შეიცვალა ენის კანონებიც კი, რომელზეც ლაპარაკობენ ამერიკელები, და პრეზიდენტიც სულ სხვა ჰყავთ.
იდეა ძალიან ლამაზი და გასაგებია. ინტუიციურად მაშინვე

სწორი გეჩვენება. მაგრამ ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როცა ინტუიცია გატყუებს.
ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ მომავალში ვგზავნით ჩვენი საქციელის შედეგების ტალღებს.
სამყაროში ყველაფერი გადაჯაჭვულია, და თითქოს ხვალინდელზე შეგვიძლია ვიმოქმედოთ იმით, რასაც დღეს ვაკეთებთ. იმიტომ, რომ აბა, სხვანაირად როგორ?
თუმცა ჩემი პირდაპირი ცოდნა სამყაროზე განსხვავდებოდა ამ დოგმისგან.
მე ვხედავდი, რომ ადამიანები აუარება შემთხვევაში ვერ ცვლიან სამყაროს.
ცდებს, რეალობაზე გვემოქმედა რეი ბრედბერის მეთოდით, ვერ მივყავდით მომავალში სერიოზულ ცვლილებებამდე.
სამყარო ელასტიკური იყო – რამდენიმე შერხევის შემდეგ ის თავის გენერალურ ნახაზს უბრუნდებოდა. ჭრილობები შუშდებოდა, შენაჭყლეტები სწორდებოდა, შეცდომები გვეპატიებოდა.
ეს, შეიძლება, უცნაური მოგვეჩვენოს, მაგრამ ადამიანის მოქმედებისა და ძალისხმევის უმეტესობა ზემოქმედებს მხოლოდ თეთრი ხმაურის ხასიათზე, ყოფიერების განაკიდებზე რომ ციმციმებს – და არანაირად, სრულიად არანაირად არ ცვლის მასზე გაჩენილ სურათს. ამ ყველაფერზე, როგორც გამოთქვა ქრისტიანმა მისტიკოსმა, მამალი არ იყივლებს.
ყველაზე იოლია, თავისუფალი ნებისა და წინაგანსაზღვრულობის მშვიდობიანი თანაარსებობა კონსოლური
თამაშის მაგალითზე ავხსნათ: მთელი მისი სიუჟეტი, მთელი კატსცენები და საბოლოო ანიმაცია უკვე ჩაწერილია დასაყენებელ დისკზე. მაგრამ კეშას შეუძლია, როგორც მოესურვება, ისე ივარჯიშოს არაპოლიტკორექტულ ძალადობაში ერთი ჩემპოინატიდან მეორემდე – აქ მას ნების სრული თავისუფლება აქვს. როგორც იტყვიან, არც მწვადია დამწვარი და არც შამფური.
მაგრამ როგორ უნდა იყო იმ ფრინველის შთამომავალი, რომელიც შიმშილით მოკვდა, რაკი პეპელა არ შეჭამა...
და ა.შ. და ა.შ.?
არც არანაირად. სამყარო ისეა მოწყობილი, რომ მცირე

ფლუკტუაციები
ძალიან იშვიათად შეძლებს საგანთა საერთო მსვლელობაზე ზემოქმედებას.
საქმე ისაა, რომ ისტორია, კოსმოსურიც და პირადიც – ეს არა იმდენად ერთხელ მომართული და შეცდომების დამგროვებელი ქრონომეტრის წიკწიკია, რომლის მსვლელობა დამოკიდებულია მის კბილანებში მოხვედრილ პეპლებსა და ჭიანჭველებზე, რამდენადაც მატარებლის გრიალი, შემჩნეული ჯერ A პუნქტში, მერე კი B-ში, გამრავლებული დამკვირვებლის რწმენაზე, რომ ეს ერთი და იგივე მატარებელია, დანახული ერთი და იმავე დამკვირვებლის მიერ.
ყოფით ენაზე რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი სიცოცხლეები შედგება ერთიმეორეზე ჩაჭიდებული სიტუაციებისა და მდგომარეობებისგან.
იყო ასეთი სიმღერა ერთ მულტფილმში: თითოეულს, თითოეულს უკეთესის სჯერა, მიგორავს, მიგორავს ცისფერი ვაგონი…
სამყარო შექმნილია ჩვენგან, ჩვენ კი (მხედველობაში მაქვს ჩვენი დროში გაწელილი ბედისწერები) შექმნილი ვართ ამნაირი ვაგონებისგან.
მგზავრი – ეს თითქოსდა მომენტალური ყურადღებაა, ვაგონიდან ვაგონში რომ დაცურავს (და მთლად ზუსტად თუ გვინდა, მგზავრი არსადაც არ მიცურავს – მატარებელი გადაუვლის ვაგონ-ვაგონ).
მგზავრებმა რომ დანიშნულების პუნქტს განრიგით მიაღწიონ, უნდა შენარჩუნდეს დროთა კავშირი. საჭიროა დავიცვათ განსაზღვრული ჩვევები – სამყაროში არ უნდა ხდებოდეს კრიტიკული მოვლენები, განრიგს რომ არღვევს. სამყარო ერთი ჩეკპოინტიდან მეორისკენ უნდა მოძრაობდეს.
განრიგი წინდაწინ არის ცნობილი და მისი შეცვლა აგრე ადვილი არ არის. ისტორიაში ძალიან ბევრია შემთხვევითი და არასაინტერესო, უმნიშვნელო – და განუსაზღვრელიც კი, რასაც, საერთოდ, ვერავინ ვერასდროს გაიგებს. ასე რომ, აზრი არა აქვს განხილვას, იყო თუ არა. სალუტი ტრაექტორიები, პლანქტონის მარშრუტი ოკეანეში, კოლმეურნეობის მინდორში კულაკებისგან გადამწვარი თავთავების ზუსტი რაოდენობა – ხშირად არავითარ როლს არ თამაშობს სამყაროში. ამათ გამო

არავითარი საშინელებები არ მოხდება მომავალში.
უბრალოდ, იმიტომ, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერასოდეს გაიგებს.
პეპლების უმეტესობა, და ადამიანებისაც, სამყაროს სასწორზე იმაზე მეტს არ იწონის, ვიდრე უცენზურო სიტყვა, მატარებლის ტამბურში ამოჩხაპნილი და თანაც ისეთ ადგილას, სადაც ვერავინ ვერასდროს დაინახავს.
სწორედ ეს «ვერავინ დაინახავს» არის კიდევაც საკვანძო მომენტი ყველა საკითხში, რაც დაკავშირებულია პეპლებთან და დროში მათ ნაკვალევთან.
სამყაროს გეგმიდან გადახვევები და მათი შედეგები უფრო ხშირად მიდის იმ ზონაში, სადაც მათ დამკვირვებელი არა ჰყავთ – თვითლიკვიდირდებიან.
ეს, ალბათ, დაკავშირებულია ფიზიკის იმ დახვეწილ მხარესთან, სადაც მხედველობაში მიიღება დამკვირვებელი ცნობიერების როლი.
მაგრამ მე ამის სპეციალისტი არ ვარ.
სამყარო ვალდებული არაა, განაგრძოს მასში დაწყებული ყველა ისტორია. მთავარია, რომ დამკვირვებლებისგან ვერავინ შენიშნოს აცდენები. ამისთვის ზრუნვა, ჩვეულებრივ, არაა საჭირო. ძალიან უნდა მოინდომო, რომ ვინმემ რამე შენიშნოს.
ბევრი ვიქექე წიგნებში, რათა ამისთვის რამენაირი ახსნა მომეძებნა, და აღმოვაჩინე აი, ამისთანა საინტერესო ციტატა ფიზიკოს დევიდ დოიჩთან (მან ჩემი გული იმით შეძრა, რომ ისიც პეპელაზე ალაპარაკდა):
„...ამბობენ, რომ, პრინციპში, პეპელას, რომელიც იმყოფება ერთ ნახევარსფეროში, ფრთების ერთი აქნევით შეუძლია ქარიშხალი გამოიწვიოს მეორე ნახევარსფეროში. ამინდის პროგნოზის გაკეთების შეუძლებლობას და მსგავს რამეებს მიაწერენ პეპლების აღურიცხაობას პლანეტაზე. თუმცა, რეალური ქარიშხლები და რეალური პეპლები ემორჩილებიან არა კლასიკურ მექანიკას, არამედ კვანტურ თეორიას. ცვალებადობა, სწრაფად გაზრდილი მცირე უზუსტობები... უბრალოდ, არ წარმოადგენს კვანტურ-მექანიკური სისტემის ნიშანს. კვანტურ მექანიკაში ზუსტად განსაზღვრული საწყისი მდგომარეობიდან მცირეოდენი გადახრები იქით მიისწრაფვის, რომ გამოიწვიოს მცირე აცდენები ნაწინასწარმეტველევი

საბოლოო მდგომარეობისგან...»
იმედი მაქვს, ეს იმაზეა, რაზეც მე ვლაპარაკობ.
თავიდან არ მესმოდა, რა საჭიროა ასეთ თვითაღდგენად სამყაროში წესრიგის დამცველი კიკლოპების კასტა.
მერე მივხვდი.
სამყაროსთვის საშიშროებას წარმოადგენდა მხოლოდ განსაკუთრებით კრიტიკული მოვლენები – ფიგურალურად რომ ვთქვათ, ის სიტუაციები, რომელთა თაობაზეც თავის დროზე ჰამლეტმა თქვა: The time is out of joint.
ამას, ჩვეულებრივ, თარგმნიან, როგორც: «დროთა კავშირი დაირღვა», თუმცაღა დასაშვებია რასტაფარული გარდათქმები. უკვე ვთქვი, როგორ ზუსტად გამოიცნობენ ხოლმე საგანთა არსს – აი, კიდევ ერთი ამისთანა შემთხვევა. მე საჭირო ვიყავი მსგავსი განსაკუთრებული მოვლენების (სულაც არ არის აუცილებელი, ისინი გამოიყურებოდეს რაღაც გრანდიოზულად – დროთა კავშირი შეიძლება სახლში დარჩენილმა ქოლგამაც დაარღვიოს) აღსაკვეთად.
მაგრამ ასეთი კატაკლიზმები საკმაოდ იშვიათია.
სამყარო – ძალიან სეისმომედეგი ნაგებობაა, და დროთა კავშირი მყარია. ვერავითარი პეპელა, გარდა საგანგებოდ გაშვებული საბრძოლო დრონისა, ვერ შეძლებს, საბაზისო რეალობას ისე ავნოს, რომ მატარებლების განრიგი გახდეს შესაცვლელი (უფრო სწორად, მგზავრების განრიგი – განსხვავებას ავხსნი).
მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს რეალობის შემთხვევითი მოშლით.
თუკი დავინახავთ ამისთანა აცდენებს, რეალობა შეიძლება იოლად ამოვკემსოთ – სწორედ ამაშია კიკლოპის ნაკლებად რომანტიკული სამუშაო.
არა, მეტა- და სხვა ფიზიკით თავს არ ვიტვირთავდი, რადგან მესმოდა მთელი მისი პრაქტიკული უსარგებლობა. ეგ ფრინველებს ეგონათ, რომ ერთ-ერთი შემოქმედი ვარ, არადა უბადლო კინომექანიკოსად ვმუშაობდი და პასუხს მხოლოდ იმაზე ვაგებდი, რომ კინოფირი არ გაწყვეტილიყო. ჩემ მიერ აცილებული მსოფლიო აღშფოთებები და დისბალანსები იყო სწორედ მუქარები ამ ჰამლეტისეულ დროთა კავშირზე – ერთი რეგიონის, როგორ საწყენადაც უნდა ჟღერდეს, საპროექციო

ბუდრუგანის მასშტაბში.
… o cursed spite
That ever I was born to set it right!
«ოხ, შენ დედასაც გავკარი რა, ისევ წესრიგია დასამყარებელი!» – ჰამლეტის სიტყვების ჩემეული თავისუფალი თარგმანი გამსჭვალულია პირადი გრძნობით.
ჩვენი აღქმის თავისებურებები გვაიძულებს, დავინახოთ საკუთარი ცხოვრების მატარებელი, როგორც ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებული განცდებისა და მოვლენების ჯაჭვი.
სინამდვილეში ყველა ვაგონი არის ერთბაშად – ამიტომ ხანდახან შეგვიძლია მომავლის დანახვა.
თავიანთი არსით, ვაგონები – უკვე გადაღებული ფილმის სხვადასხვა კადრია, რომელთა შორის გადაბმის შავი ხაზები კრთება.
მაგრამ ჩვენ ყოველთვის როდი გადავდივართ ვაგონიდან ვაგონში.
ზოგჯერ მატარებლიდან მატარებელში გადავდივართ.
მულტიმატარებელი
ის, რასაც რამდენიმე მომდევნო გვერდს მივუძღვნი, შეიძლება ვიღაცას საერთო ადგილად მოეჩვენოს. ის მეორდებოდა სხვადასხვა ფორმით მრავალი ფიზიკოსის, ლირიკოსისა და მისტიკოსის მიერ, უძველესი დროიდან დღემდე – ყველას ჩამოთვლას გვერდები არ ეყოფა (პირველი, თუ არ ვცდები, ჯუანგ ძი იყო).
მაგრამ ზოგიერთი დახლართული მომენტის ახსნა ხელს არ შეგვიშლიდა – ჩემს მოთხრობას კიდევ რაღაც თეორიული ბაზა მაინც გაუჩნდება.
დღევანდელ ფიზიკოსებს (ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთს მაინც) სჯერათ უსასრულო პარალელური სამყაროების არსებობა. ყველა ერთად ქმნის «მულტივერსს».
ეს, უბრალოდ, რწმენა არაა.
მულტივერსის არსებობა დამტკიცებულია ცდებით, მაგალითად – ჩრდილოვანი ფოტონებით (მსურველი იოლად იპოვის მათ აღწერილობას ინტერნეტში).
პარალელური სამყაროები პრაქტიკულად არ ზემოქმედებს ერთმანეთზე ჩვეულებრივი აზრით. ისინი უსასრულოდ ბევრია,

რადგან ყოველი მათგანი გარშემორტყმულია პარალელური სამყაროებით, და ასე დაუსრულებლად.
ამ სიმრავლიდან გამომდინარეობს, რომ სამყაროებს შორის იქნება ჩვენისგან ცოტა განსხვავებული – და სულაც რომ არ გვგავს, ისეთებიც.
ბედის მატარებლის თითოეული ვაგონი შეერთებულია არა მარტო წინა და უკანასთან. ის დაკავშირებულია სხვა მატარებლების უსასრულო ჩრდილოვან ვაგონებთან, სხვა სამყაროებში რომ გადადიან.
ყველა ის ვაგონი და მატარებელი არც ჩვენზეა დამოკიდებული, არც ერთიმეორეზე. დასაბამიდანვე არიან. ისინი უსასრულოდ ბევრია, და ერთიმეორეს არ უშლიან – სამყაროს, რომელშიც მოგზაურობს ჯუანგ ძი, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პეპლებთან, რეი ბრედბერის თავში რომ დაფრინავენ.
შესაძლებლის სივრცე თითქოს სავსეა განსხვავებულ მისამართებზე მუდმივად მიმავალი სხვადასხვა მატარებლით.
მე არ ვლაპარაკობ კოსმოსური ნაწილაკების, სხივებისა და სხვა ფიზიკური აბსტრაქციების მარშრუტებზე, არამედ იმის შესაძლო ტრაექტორიებზე, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საკუთარ თავს.
აზრი არა აქვს, ვიკამათოთ, რეალურია თუ არა ისინი.
ჩვენთვის ბედის ყველა მატარებელი არარეალურია – სანამ პირადად არ გავემგზავრებით ერთ-ერთი მათგანით, რადგან რეალობა ჩვენ თავად ვართ.
სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ მგზავრებს არათუ ბედის მატარებლის ვაგონიდან ვაგონში გადასვლა შეუძლიათ, არამედ მატარებლიდან მატარებელში გადასხდომაც. მათ არ სჭირდებათ, ამისათვის კასკადიორობა – უბრალოდ, ყველაზე ჩვეულებრივი ტამბურის გავლისას, ისინი მიდიან ერთი სამყაროდან და აღმოჩნდებიან სხვაში.
ძნელია ამგვარი მოგზაურობის მექანიზმის ახსნა – რადგან არავითარი მექანიზმი აქ არ არსებობს.
ჩვენ არ შეგვიძლია რაკეტით გადავინაცვლოთ ერთი სამყაროდან მეორეში.
მაგრამ შეგვიძლია... იმად ვიქცეთ.
ეს იოლად მიიღწევა – ჩვენ აღარ აღვიქვამთ წარსულ სამყაროს და აღვიქვამთ ახალს, ჩვეულებრივ, ძალიან მიმსგავსებულს

ჩვენსასთან.
როგორ ხდება ეს?
აქ შემიძლია გამოვთქვა ერთი მეცნიერულისმაგვარი ვარაუდი – და ფიზიკოსებს ვთხოვ, ნუ გაბრაზდებიან.
ცნობილია, რომ კვანტური სისტემები დამოკიდებულია დამკვირვებელზე. რომ დავსაჯოთ ან შევიწყალოთ კატა, რომლის შესახებ ცნობილია, რომ ის ცოცხალია ორმოცდაათპროცენტიანი ალბათობით, უნდა გავაღოთ ყუთი, რომელშიც ის ჩააგდო სადისტმა შრედინგერმა იმასაც ამბობენ, რომ თვისება, აღმოჩენილი გაზომვისას, შეიძლება, არც არსებულიყო ადრე.
თუკი გავიხსენებთ, რომ ყველა საგნის საზომი – და, ესე იგი, მთავარი გამზომი მოწყობილობა – თავად ადამიანია, შეიძლება ბუნდოვნად მივხვდეთ, გამზომი ხაზებიდან თითოეული როგორ პოულობს საწყისი ორსულობისას თავისთვის შესაფერის ჭრილს.
სახაზავი ზომავს სამყაროს საკუთარ თავში – და იღებს შესაბამის სამყაროს.
შეიცვლება სახაზავი – შეიცვლება სამყაროც.
არ ვიცი, აქ როგორაა თეორიული საფუძვლის ამბავი, მაგრამ ინტუიციურ დონეზე ამას კარგად ვგრძნობთ ყველანი.
მკაცრად რომ ვთქვათ, ეს თავგადასავლები ჩვენი არ არის. ისინი სამყაროსა და ცნობიერების თავგადასავლებია.
მაგრამ სიმარტივისთვის შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ცნობიერება, მცხოვრები სამყარო ნომერ ერთში, წყდება, მის მაგივრად კი ჩნდება ცნობიერება, მცხოვრები სამყარო ნომერ ორში – როგორც ერთ მაშხალას ანთებენ მეორისგან, რომელიც ქრება. ამ ახალ ცნობიერებას ახსოვს არა თავისი წარსული სამყარო ნომერ ერთში, არამედ თავისი წარსული სამყარო ნომერ ორში, რომელიც სულ ოდნავ განსხვავდებოდა, ამიტომ არავის შეუმჩნევია იქ გადასვლა.
არსობრივად ის არ არსებობს – იმიტომ, რომ არავითარი მატერია, ენერგია და ინფორმაციაც კი სამყარო ნომერ ორში არ გამოვლენილა (თუ არ ჩავთვლით ჩვენს სიზმრებს, მაგრამ ისინი არ ირიცხება სამყაროს არც ერთ საბუღალტრო ბალანსში – უფრო პირიქით, წარმოადგენს ბუფერებს სამყაროებს შორის). საერთოდ, არაფერი შეცვლილა.

გარდა ყველაზე მთავრისა.
გუშინ ჩვენ ვიყავით ლილისფერი ზანგი, დღეს კი დამა გავხდით, ვისაც მანტოს აწვდიან. ამასთან, დამას არ ახსოვს თავისი ზანგური წარსული. ის ყოველთვის დამა იყო.
როცა პეპელა გადაიქცა ბრძენ ჯუანგ ძი, მან გაიღვიძა რწმენით, რომ ადრეც ჩინელი ბრძენი იყო – რომელსაც, უბრალოდ, დაესიზმრა, რომ დროებით გახდა ყვავილებს შორის მოფარფატე პეპელა. ამის მერე ჯუანგ ძიმ განვლო გრძელი და ბედნიერი ცხოვრება.
აი, უძველესი და უმოკლესი გადმოცემა პრინციპისა, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ «კრიტიკულ სოლიპსიზმს». აქ მოცემულია ყველაფერი ყველაზე მნიშვნელოვანი, იმის ჩათვლითაც კი, რომ ერთადერთი საინფორმაციო რეგისტრი, მულტივერსის სხვადასხვა წერტილის დამაკავშირებელი – ესაა სიზმრები. ყოველთვის, როცა ჩვენ სხვა მატარებელში ვიღვიძებთ, თავი ადრინდელი კი არ გვახსოვს, არამედ ახალი.
ამიტომ, ჩვენი ახლანდელი სიცოცხლე – ის არის, რადაც ვთვლით. ზოგიერთ ჩვენგანს ზურგს უკან დარჩა ბევრი წარმოუდგენელი, ხშირად ძალიან შემაძრწუნებელი მარშრუტი – მათზე წარმოდგენას კი ჩვენი კოშმარები იძლევა.
როცა შევცქერით გარემომცველ სამყაროს, თავისი კოსმოსითა და ისტორიით, როცა ვიხსენებთ ჩვენს ცხოვრებას, ვხედავთ არა საკუთარ წარსულს, არამედ მხოლოდ იმ საფეხურის გეომეტრიას, რომელზეც ახლა ფეხი გვიდგას. ხვალ სულ სხვა წარსული გვემახსოვრება, რადგან სხვა საფეხურზე ვიდგებით. კიბე დაუსრულებელია.
ნუ მკითხავთ, როგორ შეესაბამება კიკლოპის სამუშაო სამყაროს მრავალგანზომილებიანობას – და რას აკეთებენ კიკლოპები პარალელურ სამყაროებში.
ჩემს ნათელხილვას აქვს საზღვრები.
მაგრამ ვვარაუდობ, რომ კიკლოპი – ეს უბრალოდ, სადგურის ზედამხედველია, იმას ადევნებს თვალყურს, რომ მგზავრებმა, სამყაროებს შორის რომ დადიან, მშვიდად იმოგზაურონ და საჭირო გადასხდომები თავის ტკივილის გარეშე შეძლონ.
ვინ რჩება წარსულ სამყაროში ჩვენ მაგივრად?
ვფიქრობ, რომ ამაზე სწორი პასუხი ასე ჟღერს – წარსული სამყარო ჩვენთვის ჩრდილოვანი ხდება. და იქ რაც ხდება –

ვიღაც სხვას გადახდება, ჰოდა, იმან გაარკვიოს, როდის მისცემენ ამისთვის გრანტს.
ასეთ მოგზაურობაში არ არის მოგზაური, არის მხოლოდ მარშრუტი. თითოეული ნაბიჯის რეალობა თითქოსდა ეყრდნობა ახალ ყარიბს, და თითოეული მათგანი გარემოცულია თავისი კოსმოსით, შორეული პლანეტებით, რომელთა მტვრიან ბილიკებზე უკვე მოასწრეს გავლა ადგილობრივმა პოეტ-მომღერლებმა.
ამიტომ შეკითხვას «რა იქნება მოსკოვში ორას ორმოცი წლის შემდეგ» აზრი აქვს ცალკეულ მომავალ მოსკოველთან მიმართებით: ამ დასახელების ქალაქები იმდენივე იქნება, რამდენიც გონება, რომელიც რიკოშეტით დაბრუნებას აპირებს ორი ასწლეულის შემდეგ.
ისინი კი, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, განსაკუთრებით ბევრია მათ შორის, ვისაც არ უყვარს ეს ქალაქი.
მე, საერთოდ, შევნიშნე – «რაშკას»
მოთუხთუხე სიძულვილი – უტყუარი მტკიცებულებაა, რომ ადამიანს წინ უამრავზე უამრავი ბედკრული და მოუწყობელი რუსული ცხოვრება აქვს, ჩვეულებრივ, სოციალურ ფსკერზე, ვერც ციტრუსებიანი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ვერც მხურვალე ესტონელ ბიჭებში, ამას ვერ გაექცევი: ყველაფერი ახდება ზუსტად ისე, როგორც ვაგზლის იმ ანეკდოტშია, სხვა ქალაქში რაღაცას გამოდებულ აჭიმზე.
ვერსიები მოსალოდნელზე აურაცხელია – და ყველა არსებობს დამოუკიდებლად, თუმცა ზოგიერთი პარალელური სამყარო ძალიან ჰგავს ერთმანეთს (სამოთხე და ჯოჯოხეთიც კი, სადაც მიემართებიან ადამიანები – ეს უფრო ხშირად ტიუნინგია და მათთვის უკვე ცნობილი საბაზისო რეალობის დასრულება).
ჩვენი თავისუფალი ნება შედგება იმისგან, რომ ჩვენ არ გვაქვს წინდაწინ განსაზღვრული და საბოლოო მარშრუტი.
მაგრამ ნებისმიერ მატარებელს, რომლითაც ახლა მივემგზავრებით, ამისთანა მარშრუტი გააჩნია. და რკინისებურად ცხადიცაა.
მატარებელი «მასკვა-პეტუშკი» ვერასოდეს მიაკივლებს ლონდონს, იქ შეიძლება ჩავიდეს მხოლოდ კეთილი ხსოვნა ვენეჩკაზე
თითოეულ მარშრუტზე მიქრის რეალობის საკუთარი

მატარებელი, ჩვენი ერთ-ერთი ჩრდილოვანი პროექცია რომ მიჰყავს.
საკითხი იმაში მდგომარეობს, მატარებლებიდან ჩვენ თვითონ რომელზე აღმოვჩნდებით.
ამას იმიტომ ვამბობ, რომ ავხსნა, რატომ არა აქვს აზრი შეკითხვას: «როგორი იქნება სამყარო ასი, ორასი ანდა სამასი წლის შემდეგ?»
ყოველთვის უნდა ჩაეკითხო: «სახელდობრ, ვისთვის?»
«მისი განვითარების ურიცხვი ხაზიდან, სხვადასხვა გონებაზე რომ გადის, მაინცდამაინც რომელზე?»
კეშას მიმართულებით
ჰოდა, სახელდობრ, რას ვხედავდი მომავალში ყურებისას? ვფიქრობ, ჩემი უკანდახევით გასაგებია, როგორი ძნელია ამის განსაზღვრა – მოყოლა უფრო ადვილია.
ის საერთო და მდგრადი რეალობა, რომელშიც აღმოვაჩინე კეშას კვალი (ანდა მისი ახალი ინკარნაცია, თუმცა დიდად არ მომწონს ეს სიტყვა), იყო, როგორც ჩანს, ერთი შორეული სადგურიდან, რომლისკენაც მიქროდა მისი ბედისწერის წამღები მატარებელი.
მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ კეშა მოვალე იყო, ჩემ მიერ დანახულ მომავალში ჩასულიყო. უბრალოდ, იმ მომენტში იქით მიდიოდა.
მე არ შემეძლო დამეთვალიერებინა მისი მომავალი ცხოვრებებიდან რომელიმე. ეს უფრო რადიომიმღების მომართვას მაგონებდა: კოჭას ატრიალებ – და გესმის დაბრკოლებების ტკაცატკუცი, მერე უცებ დინამიკში შიშინი იცვლება ხმით ანდა მუსიკით.
კვანძები, სადაც შეიძლებოდა, რაღაც აზრიანის დანახვა, მეორდებოდა დროის დიდი ინტერვალებით. მათი უმეტესობის ყურება იოლი არ იყო – ეს გამუდმებულ დაძაბვას მოითხოვდა, რადგან ჩემი ყურადღება ფოკუსიდან გამოდიოდა. თუმცა ერთი ასეთი კვანძი სხვებზე გაცილებით უკეთ დავინახე. მზერა გამექცა იქით, და შემეძლო თვალი დიდხანს მედევნებინა იქ განვითარებული მოვლენებისთვის.
უფრო ხშირად ეს მომავლის სადგური ჩემთვის დასანახი ხდებოდა, როცა მე მოწყენილი ვიყავი ჩემს ყალბ ოფისში. იყო დღეები, კვირებიც, როცა სამყარო დიდი ხნით მოდიოდა

წონასწორობაში და იქ ისეთი არაფერი ხდებოდა, ჩემი ჩარევა რომ გამხდარიყო საჭირო. მაშინ შემეძლო, დამემშვიდებინა ჩემი გონება, მერე კი სათანადო ხერხით გადამენაცვლებინა ყურადღების ფოკუსი.
თითქოს ვაკვირდებოდი ჰორიზონტზე მყოფადის ციმციმს და ვარჩევდი სურათებს, სულ რომ არა ჰგავდა იმას, რაც სინამდვილეში მერტყა გარს – მაგრამ ამასთანავე გააზრებულსა და ერთმანეთთან დაკავშირებულს. ისინი მწკრივდებოდნენ გრძელ ისტორიად, რომელსაც ცოტ-ცოტას ვიწერდი. შესაძლოა, მეადვილებოდა კეშასთვის მედევნებინა თვალი იმიტომ, რომ მისი სამუშაო ადგილი პირდაპირ ჩემ ქვემოთ იყო. მე კარგად ვგრძნობდი მას.
იმთავითვე ვიტყვი, კეშას სიკვდილი აფეთქებისას მე არ მინახავს ისევე, როგორც თითქმის არ მინახავს არანაირი დეტალი მისი მომავლიდან ამ ცხოვრებაში – შესაძლოა, იმის გამო, რომ ჩვენი ბედისწერები დაკავშირებული იყო. ისევე, როგორც მოლა ნასრედინის მიერ გამოაშკარავებული ყალთაბანდი, გაცილებით უკეთ ვამჩნევდი შორეულს, ვიდრე მახლობელს. მაგრამ მე უკვე გავარჩიე კეშას სიკვდილის ექო – თუმცა არ მესმოდა ეს.
კეშას «ინკარნაცია», რომელსაც აღვწერ ყოველი დეტალით, შედგა, არსებითად, მისი გონებრივი ჩვევების დამახინჯებული და გაბერილი გამეორებებით. ხანდახან ისინი აისახებოდა მომავლის გამრუდებულ სარკეებში საკმაოდ სასაცილო ხერხით. მაგრამ ხშირად მეშინოდა. როცა პირველად გავარჩიე ის მოსკოვი, საითაც მიდის კეშას ექო, მომეჩვენა, რომ ჩემ წინ დიდ სანაგვეს ვხედავ. ეს იყო რაღაც გაბოლილი ნანგრევები, ნაგვის მთებით – გეგონება, მრავალი ასწლეული აქ გამოჰქონდა ნაგავი მსოფლიო ოკეანეს. ნაგვის ზედაპირზე დაცოცავდა სხვადასხვა ნარეცხის ფაუნა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ აქ ადამიანები ცხოვრობენ.
მე ისინი ვერ აღმოვაჩინე. მერე კი შევნიშნე რაღაც მძლავრი კონსტრუქციები, მსგავსი ციკლოპური ხიდის დასაყრდენებისა – ისინი მაღლდებოდნენ ქარისგან აფრიალებულ ნაგავზე, და მათგან ზემოთ მიიწევდნენ სქელი, შავი ბაგირები. ძალიან მაღლა, ცაში – და ღრუბლებში უჩინარდებოდნენ. ერთ ბაგირზე მიცოცავდა ლიფტის ჟანგიანი მარცვალი.

ჩემს ყურადღებას საშუალება მივეცი, აცოცებულიყო ზემოთ, მის კვალდაკვალ – და სიმაღლეზე ვიპოვე ახალი კეშა.
ჩემი დაწვრილებითი ანგარიში მისი გონების შემდგომ ბედზე წარმოდგენილია ვრცელ მოთხრობაში FUCK THE SYSTEM, რომელიც ქვემოთ მოდის. ყველაფერი იქ – ალალი სიმართლეა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოსკოვი ასი, ორასი ანდა სამასი წლის შემდეგ იქნება სწორედ ასეთი. მე უკვე ავხსენი, რატომაა ეს პირადული მომავალი მხოლოდ კეშასი, ისიც შესაძლო და არა იძულებითი. სიკვდილებითა და დაბადებებით მრავალჯერ დაქსეროქსებული სხვა ადამიანის გონება მაინცდამაინც გარდაუვალად არ აღმოჩნდება მოწყობის მიხედვით მახლობელ სივრცეში.
მაგრამ ალბათობა, გულახდილად რომ ვთქვა, ძალიან დიდია.
აი, ამ მიზეზის გამო მივუძღვენი ამდენი გვერდი კეშას ბედს: სწორედ ისაა, რასაც რეპრეზენტატიული ჰქვია. ერთი მხრივ, მისკენ თავიანთი მატარებლებით მოფრინავს ძალიან ბევრი მოქალაქე – შექუჩებული, როგორც ტყვიების ჯერი ტყვიამფრქვევიდან. და მე მეჩვენება, რომ სასარგებლო იქნება, აღვწერო ის სადგური, სადაც ერთხელაც ჩასვლა მოუწევთ.

ნაწილი 4. Fuck the system

კლასტერი 23444-2ჟ

კეშა მიხვდა, რომ სძინავს, როცა დაინახა კლასტერი 23444-2ჟ. ანდა (თუკი ანონიმუსი მართალია) ყველაფერი ზუსტად საპირისპიროდ იყო – მან დაინახა კლასტერი 23444-2ჟ, როცა მიხვდა, რომ სძინავს.
სხვაობა შეიძლებოდა უმნიშვნელო აღმოჩენილიყო, მაგრამ ანონიმუსი ამტკიცებდა, რომ საქმე სწორედ ამაშია. მისი სიტყვებით, ეს პანორამა წამოეწეოდა ხოლმე ყველას, ვინც გაცნობიერებულ სიზმარში გამოდიოდა ველურ ტურისტად. ღრუბლებს შორის დაკიდებული კლასტერის ხედი იყო იძულებითი რგოლი, რომლითაც სისტემა ბლოკავდა თვითნებური მოგზაურობის შესაძლებლობას ფაზაში LUCID. რაღაც მსგავსი გრანდიოზული წარწერისა ციხის მესერზე. თანაც ფრესკა არაფერ სხვას არ გამოსახავდა, თუ არა თავად ციხეს.
დახვეწილად.
და ეკონომიურად.

ანონიმუსი, რასაკვირველია, პროფესიონალი კონსპიროლოგია და შეუძლია იქ დაინახოს მაკაბრი
, სადაც ის არაა – მაგრამ მსგავსი გადაწყვეტა გამოიყურებოდა ისე დახვეწილად და პოეტურად, რომ შეიძლებოდა, სავსებით მართალი ყოფილიყო.
ოღონდ კლასტერი 23444-2ჟ ციხე არაა. არამედ, უბრალოდ, საცხოვრებელი ბლოკი, სადაც ველფერზე
. უნდა ვაღიაროთ, საშუალოდ ცხოვრობენ. მაგრამ ამერიკელი, ევროპელი, ბრაზილიელი და ჩინელი ლუმპენ-კონსუმერები თავის დღეებს მიათრევენ ასეთივე პირობებში.
ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ ველფერული რუსი მომხმარებელი საკუთარ თავს უწოდებს «კრეაკლს» – და ძალიან სწყინს, როცა ასე მოიხსენიებს ვინმე სხვა. როგორც სიტყვა «ნიგერი» შავებში, იფიქრა კეშამ.
კლასტერი 23444-2ჟ ულამაზო იყო. ის მიაგავდა უშველებელ, მრავალსართულიან ინსტალაციას, შექმნილს ლუდის დაჭეჭყილი ქილებისგან, ჭუჭყიანი საჰაერო ბურთებისგან, შეკეთებული საშოშიეებისგან და დროისგან განაცრისფრებული რძის პაკეტებისგან: ასე გამოიყურებოდა ინდივიდუალური საცხოვრებელი ბლოკები, გაკეთებული სხვადასხვა დროს და მიწებებული საერთო ანტიგრავიტაციულ ბაზასთან.
თავად ბაზა დიდი ხანი იყო, აღარ გამოირჩეოდა ცოცხალი მოდულების ხშირ წამონაზარდებში – ჩანდა მხოლოდ ლიფტების მსხვილი ბაგირები, მაღლა, ღრუბლებში რომ მიდიოდა.
მოლაპარაკე თავები ფეისტოპიდან – ცხადია, რადიკალურ-მემარცხენე შეხედულებებით, სხვებს კეშა არ უსმენდა, – ველფერ-კლასტერებს ბაბილონის კოშკის უკან ამობრუნებულ ჭიპს ადარებდნენ. კიდევ ადარებდნენ კეთრს, წამოზრდილს კაცობრიობის სხეულზე – და უცხო თვალისგან დამალულს ღრუბლების მიღმა. სიდამპლეში შესულ ყურძნის ამობრუნებულ მტევნებს (კეშას შეხედულებით, ვიზუალურად ეს ძალიან ზუსტი იყო).
კიდევ ადარებდნენ ბერი კამპანელას კოშმარს, რომელმაც ოდესღაც «მზის ქალაქი» გამოიგონა. და სიტყვა «კოშმარი» აქ ერთბაშად მრავალი აზრით ერგებოდა.

თუნდაც იმიტომ, რომ კლასტერ 23444-2ჟ-ს დანახვა, როგორც ახლაა, კეშამ მხოლოდ სიზმარში შეძლო: რეალობაში მას არ შეეძლო დაკიდებული ყოფილიყო ზეციურ სიმაღლეზე და მშობლიური სახლისთვის ეცქირა.
სასტიკად გაიყინებოდა. და გონებას დაკარგავდა ჟანგბადის უკმარისობით.
ამიტომ, თავად ის ფაქტი, რომ კეშა ცოცხალი იყო, ამტკიცებდა: მას ეძინა.
კლასტერი კიდევ ჰგავდა ღრუბლების მიღმა გეტოს. ფანტასტიკურ სანარცხეს ღრუბლებს შორის, რომლის დახატვაც, ალბათ, შეეძლო ბოსხისა და დალის გენეტიკურ ჰიბრიდს.
და კლასტერი, კერძოდ, იყო კიდევაც სანარცხე – სანაგვე ადამიანური ცხოვრებისეული ნარჩენებისა, რომლის ყველაზე ტოქსიკური ნაწილი იყვნენ თავად ადამიანები.
ჩვენ ცაში გვისროლეს, როგორც ნაგავი, ფიქრობდა კეშა. ხუთ კილომეტრზე მაღლა მიწის არენდა აღარ არის გადასახდელი – არამედ მხოლოდ ბაგირების გამაგრების, რომლითაც ლიფტები მაღლა სწევს კარბოპროტეინურ ნაერთებს და ძირს უშვებს ნამუშევარ მოწყობილობას («ჟ» – კიდევ არის ადგილის მარკირება, სადაც მიმაგრებულია ბაგირები, რაღაც «ჟულებინო»). წყალს პირდაპირ აქვე ფილტრავენ. ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები კი...
აი, ამათზე საკმაოდ ძნელია თქმა, სად და ვინ აწარმოებს. თუკი ტვინში შემოდის მხოლოდ ელექტრონული იმპულსები, ეს ნიშნავს, რომ შთაბეჭდილებებს აწარმოებს თვითონ ტვინი. ასეც იყო მთელი ისტორია – უბრალოდ, ახლა ცოტა შეიცვალა ინტერფეისი.
ღრუბელთა მიღმიერი ჩვენი გეტო კაცობრიობას არაფერი უღირს, ფიქრობდა კეშა. და, რაც მთავარია, ჩვენ აქ ნებაყოფილობით ვცხოვრობთ. თავისუფლად. რამდენი საუკუნე იბრძოდნენ ადამიანები თავიანთი თავისუფლებისა და ღირსებისათვის – და, ამბობენ, გაიმარჯვეს. ესე იგი, სწორედ ამ ღრუბელთმიღმიერ სამოთხეში ამოდიოდნენ ბოლო ათი ათასი წელი?
როცა კეშას თავისუფლებაზე აზრები ეწვეოდა, ყოველთვის თავის სახელს იხსენებდა – ერთადერთი მემკვიდრეობა უცნობი

დედიკოსგან. მან დაარქვა Che, ვიღაც თქვენთვის და ჩვენთვის მებრძოლის, მეოცე საუკუნეში სახელგანთქმულის სახელი. ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ეს იყო ახალგაზრდა ბიჭი ვარსკვლავიან ბერეტში, რომლის ქვემოთ ვარდებოდა გრძელი, ფსიქოდელიური სიფათი.
თუ რის წინააღმდეგ იბრძოდა ეს Che, კეშამ მაინც ვერ გაიგო, თუმცა იმაზე ორი ისტორიული ფილმი ნახა. მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, რათა ამჟავებული სიკეთე ამონასუნთქი ბოროტებისგან გაერჩია.
კეშამ მხოლოდ ერთი რამ გაიგო – მისი ოფიციალური სახელი სინამდვილეში იკითხებოდა, როგორც «ჩე». მაგრამ დაბადების სერტიფიკატის ლოკაციისას სისტემამ გადააქცია იგი «კე»-დ. სამაგიეროდ, ამ «კე»-ს რუსულ ენაში გამოეძებნა მოფერებითი და კნინობითი «კეშა», იეზუიტური სახელისგან «ინოკენტი».
აი, როგორ გვიჭერს სისტემა რევოლუციური სიფათისთვის და გვაბრუნებს მშობლიური კულტურის წიაღში, ზრუნავს ჩვენი იდენტურობის დაცვისთვის ხუთი კილომეტრის სიმაღლეზეც...
კლასტერის ნაწილი გაიწელა ნაცრისფერი, ცივი ღრუბელით. ის ბოლს ჰგავდა – თითქოს სადღაც ზეციური სანაგვის წიაღში ხანძარი დაიწყო.
როგორც კი კეშამ ეს გაიფიქრა, მაშინვე შეამჩნია დამწვარი მოდულები, ტეროვირუსს რომ გაენადგურებინა. ისინი ბევრი იყო. უფრო მეტი, ვიდრე წინაზე, როცა კეშა ტკბებოდა მშობლიური კლასტერის პანორამით. და ყველაზე მეტად – ორადგილიანებით, ოჯახურებით, იმის მაგვარით, რომელშიც თავადაც ცხოვრობდა: ვირუსი, რომელიც დააავადებდა ერთ-ერთ პარტნიორს, მეორესაც არასოდეს დატოვებდა ცოცხალს.
საინტერესოა, სხვათა შორის – კომპიუტერულმა ვირუსებმა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო საკუთარი სახელის გამართლება. ისინი დღეს კლავენ, როგორც HIV და ებოლა წარსულში...
მოდული დაიწვა, რა თქმა უნდა, თავად ვირუსი არა – ტერაქტის შემდეგ ისინი თერმულად დაამუშავეს, რათა მკვდრებიც კრემირებული ყოფილიყვნენ დაუსწრებლად, დაავადებული ელექტრონული შიგთავსით.
თავისებური ცეცხლოვანი დაკრძალვა სახლში – ჩემი სახლი დღეს არა მარტო ჩემი ციხესიმაგრეა, არამედ ჩემი კრემატორიუმი.

უფრო იაფია, ვიდრე გვამების ტრანსპორტირება ქვემოთ.
იგულისხმებოდა, მოდულები შეერთებიდან უნდა მოეხსნათ და ძირს დაეშვათ რეციკლირებისთვის, მაგრამ უტილიზაცია, როგორც წესი, იგვიანებდა ერთი-ორი თვე, რის გამოც დამწვარი ბოქსებით მოფენილი კლასტერი დაჭმუჭნილ ზეციურ დრედნოუტად
გეჩვენებოდა, სიბნელის ძალებთან ბრძოლიდან რომ დაბრუნებულა.
ანდა, პირიქით.
აი, რატომ აკეთებენ ამას, ფიქრობდა კეშა. რატომ წერენ ჩვენს მკვლელ ვირუსებს? განა ისედაც არ დავიხოცებით, გამონაკლისის გარეშე? ეგენი თუ ალაჰს სცემენ პატივს, მაშინ რატომ აჩქარებენ მის სკრიპტებს?
ამბობენ, რომ ვირუსულ ტერაქტზე უფრო საშინელი არაფერია. ადამიანს ესტუმრებიან უსაძაგლესი ხილვები. იმას კიდევ არც კი ესმის, რომ თავდასხმის მსხვერპლი გახდა.
ტეროვირუსი ყველაზე დაუცველ ადგილებში ურტყამს. ფეისტოპში. ეს კიდევ, ფაქტობრივად, ღია ტვინია...
კეშამ დაინახა რამდენიმე სიშავემდე დამწვარი ორადგილიანი მოდული, შეერთებული ერთმანეთთან. დაიწვა, შეიძლება ითქვას, მთელი ქუჩა. თუ გზაჯვარედინი?
მოდულები ორადგილიანები იყო – ჭრილში ოვალურები, სათვალეების ძველებურ ფუტლარებს ჰგავდა.
სწორედ ასეთივე მოდულში კეშა ცოლთან ერთად ცხოვრობდა თავადაც.
მაგრამ სახელდობრ, სადაა მისი მოდული, წარმოდგენა არ ჰქონდა სრულებით. ასეთ ინფორმაციას სისტემა არ იძლეოდა. მისი სახლი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, აი, ის ჩამოგლეჯილი ცილინდრი კიდეში – უკვე მეხუთედ რომ იყო სასაფლაო და კრემატორიუმი. და შეიძლება, აი, ისიც იყოს, უფრო ახალი...
ერთი ორადგილიანი მოდულის მახლობლად სერვობოტები შეყრილიყო – მას სატრანსპორტო პენალს უერთებდნენ. ან ვიღაცა ცოლს ეყრება, ანდა პირიქით, ცოლი მოყავს...
შესაძლოა, ერთიც და მეორეც, ერთდროულად.
ეგება, სამედიცინო ოპერაციაა ანდა მშობიაროობა...
ალბათ, უფრო, მშობიაროობა.

ორადგილიან სარეპროდუქციო მოდულში იმათ ათავსებენ, ვინც თანახმაა შვილების გაჩენაზე...
ხალხი ახლა გაეშმაკებულია, ფიქრობდა კეშა. მე და მერილინი თითქოსდა თანახმა ვართ შვილებზე, ორადგილიან ოჯახურში ვცხოვრობთ. სრული ველფერი, არავითარი გადასახადი. შვილები – არა. და არც შეკითხვები აგრეთვე. მერილინი, უბრალოდ, საგანძურია…
სხვათა შორის, პანორამა რეალურ დროში მაინც არის? ცოცხალი გარე კამერით? თუ ისეთივე სიმულაციაა, როგორიც სხვა ყველაფერი?
შეიძლება, კლასტერი როგორღაც სხვანაირად გამოიყურება... მოკლედ, ამაზე ანონიმუსთან უნდა მივიდე. ის მომიყვება.
კეშამ წარბები შეკრა და დაიწყო გახსენება, რატომ შემოვარდა ფაზა LUCID-ში დროზე ადრე. მგონი, ამის წინ რომელიღაც REM-სერიალს უყურებდა. ჰო, ნამდვილად, «რევოლუციას». და იქ კიდევ აჩვენებდნენ ისეთ აბდაუბდას, რომ შეუძლებელი იყო, არ გაგღვიძებოდა. რა იყო იქ, ნეტავ...
როგორც ყოველთვის, საბოლოო ბრძოლა ბოროტებასთან. ცეცხლწაკიდებული საბურავები (MICHELIN! The Smell of Freedom!). დიქტატორი, დამალული საკუთარი ძეგლის შიგნით – ბრინჯაოს კოლოსში, წინ გაშვერილი ხელით. სტატუეტის თავში, რასაკვირველია, საიდუმლო ოთახი, სადაც დიქტატორი ხვდება საყვარლებს და დაცვასაც ბრძანებებს აძლევს. ძეგლს გადააყირავებს აჯანყებული ხალხი, და ტირანის შიშველი ხასები უტყუარი სიკვდილის შესახვედრად ბრინჯაოს ყურიდან გადახტებიან...
მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო. მერე პირდაპირ ცაში გამოჰკიდეს პოპ-აპ-იან
გუზკას რეკლამით: წარწერა «ის, მეამბოხე, ეძებს ფურრიებს...» და ფილოსოფოსის პროფილი.
აი, აქ კეშამ (ის ამ დროს სხვებთან ერთად ექაჩებოდა თოკს) ვეღარ გაუძლო და ისკუპა.
და მრავალი რუსულენოვანი მაყურებელი გადმოხტა, ალბათ, მასთან ერთად, ასე რომ, 23444-2ჟ კლასტერში ზეციურ სიცარიელეს მხოლოდ ის არ მისჩერებოდა.
დიქტატორი დიქტატორის თავში.
აჰა, გმადლობ.

დრამატიზმი, რომ იცოდეთ, მხოლოდ მაშინ მუშაობს, როცა მაყურებელს ავიწყდება, რომ დრამას უყურებს. როცა ეს ახსენდება, გულისრევაღა რჩება. რა უნიჭოები წერენ სკრიპტებს დრიმ-მუვისთვის... და მთელი რეალობისთვისაც. თუმცა, ცხოვრებაში რაღაც სასიამოვნოც არის, რაზეა ბურტყუნი.
ძილის ამ ფაზაში შეიძლებოდა, რაზეც უნდოდა, იმაზე ეფიქრა, არ შეშინებოდა შემთხვევით არ გაეშეარებინა
თავისი აზრები, და კეშა მთლიანად სარგებლობდა საიდუმლო თავისუფლების ბოლო წუთებით, უსირცხვილოდ ასწორებდა და ფარჩხავდა თავისი ბნელი საიდუმლოებებით დაწნეხილ გონებას – ისე, როგორც არასოდეს გაუკეთებია ღვიძილისას. მერე კი კლასტერის პანორამა გაქრა. დაბნელდა და სიბნელეში კეშას წინ აენთო ნარინჯისფერი ვარსკვლავი.
რეალობა, ბოლოს და ბოლოს, დაეწია.
იწყებოდა საერთო ფაზა LUCID-ი – სიახლეები, შეხვედრები, სოციალური ცხოვრება. მაგრამ კეშას დღეს არავისთან უნდოდა ურთიერთობა. მან ცოტა დაძაბა ქუთუთოები და სიზმრიდან სინამდვილეში წავიდა. შინ, ფეისტოპში.

ფეისტოპი

გაღვიძებიდან რამდენიმე წამში, როცა ღამის ორიენტირები უკვე დაკარგული იყო, დღისა კი ჯერ არ ეპოვა, კეშას რაღაც ბრტყლად და ცისფრად წარმოედგინა ტვინი, თითქოს ჰორიზონტალურ დისკად, უცნობ გარემოში რომ ეკიდა.
ეს რა გარემო იყო – თხევადი, გაზობრივი თუ, საერთოდ, არანაირი, – ამაზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა: წაერთვა აღქმის, გარემოს შემჩნევის და მასზე აზრის შექმნის უნარი.
ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა სისტემური ფსიქოთერაპევტი, რომელსაც კეშა ბევრ რამეს უზიარებდა (მაგრამ ყველაფერს – არა).
და გარეგნულის ეს გაუგებრობა სასწაულად და საიდუმლოდ ეჩვენებოდა.
სხვათა შორის, იყო აზრის მეორე სკოლა, რომელიც კიდევ უფრო დიდ სასწაულად და საიდუმლოდ თვლიდა შინაგანის გაუგებრობას – ადამიანის ლიტრიანი ტვინის უნარი, თავის თავში დაეტრიალებინა უსასრულო სივრცე, ვარსკვლავებიანად და გალაქტიკებიანად, თითქოსდა დიდ მატრიოშკას

მალავდა უფრო პატარაში (ასე ამბობდა იგივე ფსიქოთერაპევტი, ვიღაც დიადს ციტირებდა).
მაგრამ კეშას მატრიოშკების საიდუმლოსი არ სჯეროდა, თუმცა ეს შედარება ხშირად მოსდიოდა თავში სხვა მიზეზებით. მასში გრძნობების შულერულ მოტყუებას და რაღაც უმაღლესი ხარისხის ცოდვიანობას ეჭვობდა. ამ ბოლო დასკვნისთვის პირადი მიზეზები გააჩნდა.
პრინციპში, კეშას შეეძლო, ერთხელ და სამუდამოდ ამოეხსნა ეს ამოცანები და მეტაფორები, თუკი ბორხესის ბიბლიოთეკაში გაატარებდა რამდენიმე საათს. მაგრამ როგორც კი ფეისტოპი შემოტრიალდებოდა მისკენ მთელი სისრულით, სასწაულისა და საიდუმლოს შეგრძნება გაივლიდა ხოლმე და არანაირი შეკითხვები აღარ რჩებოდა. ამიტომ ბორხესთან წასასვლელი არაფერი იყო. ასე მოხდა დღესაც.
ტვინის ცისფერმა დისკმა შეისუნთქა რეალობის ჰაერი და გამჭვირვალე ლინზად გადაიქცა. ლინზა გახდა დიდი, როგორც ზეცა. ხოლო ცის ქვეშ, როგორც მიღებულია, გამოჩნდა მიწა. კეშამ დაინახა ქვაფენილიანი მოედანი ძველ იტალიურ ქალაქში. მისკენ ადიოდა რამდენიმე ირიბი ქუჩა. კეშა ვერ იგებდა, რა ერქვა ამ ქალაქს – და არც გახსენებას ცდილობდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ყველაფერი აღდგენილია აბსოლუტური დამაჯერებლობით. აგურის სახლები შადრევნის მახლობლად, ამურებით; აშენებული, ალბათ, მეთხუთმეტე საუკუნეში, ხოლო ერთ გზაჯვარედინზე ქვის თაღი ანტიკურობიდანაც კი არის.
თაღთან, სახლის სახურავში, ჩაშენებული იყო კიდევ უფრო ძველი ქვის სტელა – ბარელიეფით, რომელიც გამოსახავდა ღმერთს ფრინველის თავით. ალბათ, რომის იმპერიის დროს ჩამოიტანეს ეგვიპტიდან. შეიძლება, ადრე ამ სახლში მასონები იყვნენ ჩამსხდარი – ანონიმუსი ამბობდა, რომ მათ უყვართ ყველაფერი ძველი და იდუმალი. ფრინველისთავიანი ღმერთი მეფობდა ქალაქზე: გათენება იმით იწყებოდა, რომ მის ნისკარტზე ჩნდებოდა ვარდისფერი მზის ზოლი.
ხმელთაშუაზღვისპირული ეკლექტიკა მოედანს მხოლოდ მომაჯადოებლობას მატებდა. მასში ილანდებოდა რაღაც კნინობით-მოფერებითი: მისი ცენტრი მდებარეობდა ზუსტად გორაკის მწვერვალზე, და ისე იყო გამობურცული, როგორც

პატარა დედამიწის სფეროს პოლუსი. ერთ-ერთი ადგილი, სადაც კინოკომედიებს იღებდნენ მაფიასა და სიყვარულზე... ფეისტოპის სახეები, აიკონები და ღუზები უკვე გამოდიოდნენ მიმდებარე ქუჩებიდან და თავ-თავის ადგილს იკავებდნენ მოედანზე – ბებრუხანა კსიუ, ბორხესი თავისი ფოლიანტით, მუტაბორი ფუნჯით, ანონიმუსი, მოთამაშე და სხვები. ამათგან არავინ ელაპარაკებოდა ერთმანეთს – ყველანი ყურადღებით და მომლოდინედაც უყურებდნენ პატრონს, ბრძანებას ელოდნენ. უცნაურად ჩაცმულები, ერთიმეორის არამსგავსები, იტალიური კარნავალის სამზადისში მოედანზე გაქვავებულებს მიაგავდნენ, რომელზეც თავად დუჩემ ინება მობრძანება. მაგრამ დუჩე ჯერ დუმდა.
იტალიური მოედანი შედიოდა სტანდარტული ყდების ნაკრებში. კეშას ფეისტოპი საკმაოდ საშუალო-სტატისტიკური იყო – ამისთანები, ერთიმეორისგან თითქმის რომ ვერ გაარჩევდი, ძალიან ბევრი არსებობდა. სხვათა შორის, ბებრუხანა კსიუ ბოლო ტრანსმისიაში ამბობდა, რომ ყოველი ფეისტოპი უნიკალურია, რაკი მისი სახეებიდან მთავარია თავად მომხმარებელი: თუმცა კეშა საკუთარ თავს ვერც ხედავს, არსებითად, ისეთივე ანიმირებული აიკონია, ოღონდ ერთადერთი მსოფლიოში – მეორე მსგავსი არსად არის. კეშას ლამის ესმოდა მისი სიტყვები.
ფეისტოპი – ეს იგივე იყო, რაც ჭკუა. ჭკუა – იგივე, რაც ფეისტოპი. იტალიური მოედანი იყო გარეკანი ჭკუა-ფეისტოპისა, ხოლო თავად კეშა – მისი პატრონი, მცხოვრები და ნახატი ყდებზე (თუ ტარაკანა არა, ფიქრობდა ხანდახან კეშა). და ახლა ის ეფლობოდა, დანართებთან ერთად, საკუთარ თავში, თანდათან უშვებდა რეალობას და იმად იქცეოდა.
ბოლოს ჩატვირთული დანართები, სამუშაოზე დაგვიანებული კლერკებივით, ჩქარა გამორბოდნენ გზაჯვარედინებიდან და თავ-თავის ადგილებზე დგებოდნენ შადრევნის ირგვლივ. მაგრამ ფეისტოპის ყველა სახიდან მთავარის შექმნა კეშას თავად მოუწევდა. ამას ყოველდღე თავიდან აკეთებდა. თავად არა, რა თქმა უნდა, სისტემასთან ერთად.
მოედნის ზემოთ, ცაში გადაიფრინა მხიარულმა ცისფერმა თვითმფრინავმა. თან მიიყოლებდა გრძელ თეგს:
BE WHAT YOU TRULY ARE!

LITTLE SISTER NOW ON THE WATCH TO HELP!
ოდნავ ქვემოთ აენთო წითელი შრიფტი:
ENTER SETUP MODE
კეშამ თავი დაუქნია წითელ სტრიქონს. ვერ იტანდა ამ ანიმაციას, რადგან ყოველდღიურად წუთი მიჰქონდა. მაგრამ ვერაფერს იზამდა – დაიკოს გაშვება ხელის რეჟიმით მისი პირადი არჩევანი იყო. ამიტომაც უწევდა, ყოველ ჯერზე ენახა ეს სულელური რგოლი. კეშამ იცოდა, რომ ფიზიკურ სივრცეში მის თავზე არავითარი თვითმფრინავი არ იყო – ეს, უბრალოდ, მენტალური მულტფილმი გახლდათ, ტრანსლირებული ტვინში ჩანერგილი ელექტროდებისგან, მისი სინაპსები და კოსინუსები, თუ როგორც არის. მაგრამ ყველაფერი იმდენად რეალურად გამოიყურებოდა, რამდენადაც, საერთოდ, რეალურია ნებისმიერი რამ. ჰო, ასევე მომცროც. თვითმფრინავი ძველებური სახურავების იქით მიიმალა, მაგრამ მანამდე წამით ადრე კაბინიდან გადმოხტა პაწია ფიგურა, რომელმაც კეშას პიკირებადი ხასები მოაგონა დრიმ-მუვიდან. თუმცა, ფიგურას უფრო მეტად გაუმართლა – მის თავზე პარაშუტი გაიხსნა. იგი სწრაფად წამოიღო ნაკადმა კეშას მხარეს. სანამ Little Sister-ი ახლოვდებოდა, კეშა იხსენებდა, როგორი იქნება ის დღეს. ეს, შესაძლოა, მთლად მართებულად არა ჟღერდა, მაგრამ ზუსტად ასახავდა რეალობას.
ჯერ ჩრდილად ჩანდა – მაგრამ აღდგებოდა კეშას მეხსიერებაში და ისე აღდგებოდა, თითქოს ის იყო ღმერთი-შემოქმედი. ის იზიდავდა ქალს თავისი წარმოსახვით, წინდაწინ გრძნობდა მის კოჭებს, იხსენებდა მუხლებს და წარმოიდგენდა ლოყებს... როცა დაიკო, ბოლოს და ბოლოს, დაეშვა შადრევანთან, მოიხსნა თავისი პარაშუტი და ქარს გაატანა, კეშამ უკვე დაასრულა თავისი დემიურგული აქტი.
იაპონელს სკოლის მოსწავლის ფორმა ეცვა – თეთრი მეზღვაურული ხალათი, ცისფერი ქვედაბოლო და ტრადიციული თეთრი წინდები, გავსებული ფლეიბოის კურდღლებით. თმა მის თავზე, შეკრული წითელი რეზინებით, ორ მოლურჯო-შავ კუდად გადაშლილიყო. დახვეწილი იყო, ახალგაზრდა და უგონოდ ლამაზი – იმ აუტანელი სილამაზით, რომელიც, როგორც აღნიშნავდა არაერთი რუსი კლასიკოსი, იშვიათად მიიღწევა ლეგალურად.

კეშამ საიდანღაც იცოდა, რომ ძველად იაპონელი სკოლის გოგონები იცვამდნენ სწორედ ასე. მისი წარმოსახვა სიამოვნებით გადავიდა ამ ორაზროვან კულტურულ გარემოში – და სარგებლობდა ისტორიული მემკვიდრეობის სრული მოცულობით. თავისი ფეტიშის ასაკი, ყოველი შემთხვევისთვის, არ დაუზუსტებია.
მაგრამ მერე მეტაფორა დატრიალდა კიდევ, საერთოდ, უმართავი გახდა.
Little Sister-ში ყოველთვის რაღაც მიანიშნებდა ახლახან ჩადენილ ძალადობაზე და abuse
-ზე. ის მუქი წრეები თვალების ქვემოთ, ის ნაკაწრი ლოყაზე, ეს ჩალურჯებები მაჯებზე – ბევრი არა, მაგრამ სრულიად საკმარისი, რათა კეშასთვის გაეგზავნოს დამატებითი სატყუარა, რომელსაც ის, თავისდა გულის გასახეთქად, მორჩილად ყლაპავდა (უკვე დიდი ხანია, რაც თავი დაანება დაიკოზე ფიქრს, როგორც საკუთარ პროექციაზე, რეალური არსების ყველა თვისებით აღჭურვა).
დაიკომ ჯერ შავი თვალები გააელვა კეშას მხარეს, მერე ჩამოჯდა შადრევნის მოაჯირზე და მიაჩერდა პიცერიის აბრას. დაიკო იბერებოდა. და ამისთვის მას, რასაკვირველია, ყველა საფუძველი ჰქონდა. ერთი თეთრი წინდა კოჭამდე ჩამოეჩაჩა, ისე, რომ «ფლეიბოის» კურდღელი შავ ნადღაბნად გადაიქცა. კოჭზე წითლად მოჩანდა ახალი და გრძელი ნაკაწრი. რამდენიმე წამი კეშა ტკბებოდა თავისი უხორცო ქმნილებით. არასოდეს ცდებოდა არც ერთ დეტალში, ამჟღავნებდა ვიზუალიზაციური სიზუსტის საოცრებებს – როგორც ძველები ჭვრეტდნენ, ყოველწამიერად რომ ხატავდნენ თავის ღმერთს გონებაში მანამდე, სანამ მათთვის ისეთივე რეალური არ გახდებოდა, როგორიც ჭურჭელი და ავეჯი. დაიკო, სხვათა შორის, საკმარისი იყო დილიდან ერთხელ შეექმნა, და მთელი დღე ჰყოფნიდა. კეშა ერთხელ გადაეყარა ოთხტაეპედს, სადაც აღწერილი იყო მთელი მისი საგანძურისეული ტექნოლოგია:
იმ დღეს მთლიანად, სარჭიდან ფეხებამდე,
როგორც ტრაგიკოსი დრამაში შექსპირის,
დაგატარებდი და გსწავლობდი შეხებამდე,
რეპეტიციისას ვხედავდი შენს ღიმილს...
გაუგებარიც კია, ამ პასტერნაკმა როგორ შეძლო ამისთანა

რამის შეთხზვა ტექნოლოგიურამდე ეპოქაში...
წინასწარმჭვრეტი.
Little Sister-ი იყო კეშას წყევლა და საიდუმლო. თითქოს ის ამბობდა ყოველდილა – «შენ პირქუში საიდუმლო გაქვს, კე. საიდუმლო, რომელზეც გეშინია, შემთხვევით არ გააშეარო. მე კიდევ იმაზე ვიცი...».
სინამდვილეში, რასაკვირველია, Little Sister-მა არაფერი იცოდა – თუმცა კი თავად იყო ეს საიდუმლო. მას არც შეეძლო რამე სცოდნოდა, რადგან (ყოველ შემთხვევაში, ტექნიკური კუთხით – კეშამ დაწვრილებით შეისწავლა საკითხი) წარმოადგენდა უბრალო საქაღალდეს, სადაც თავმოყრილი იყო კეშას თაყვანისცემები გატაცების სფეროში.
ფუნქციურად ის მსახურობდა ეგრეთ წოდებულ «თანაშემწედ» – ფეისტოპის სტანდარტულ დამატებად, «მომხმარებლის დამხმარედ სხვა დამატებებით». ამას გარდა, ის კითხულობდა შეტყობინებებს და განცხადებებს, რომელიც სისტემას (ცუკერბრინები, ოპერაციული სფერო და სხვები) უნდოდა, რომ მომხმარებლამდე მიეტანა (ასე ხდებოდა, შესაძლოა, კვირაში ერთხელ – და ყოველთვის, როცა დაიკო იღებდა საკუთარ თავზე ხელისუფლების რუპორის ორაზროვან როლს, კეშა ჟრჟოლას განიცდიდა).
მაცნეს ამ ფუნქციის გამო სამყაროს კონსპიროლოგიური ხედვისკენ მიდრეკილი მომხმარებლები თავიანთ თანაშემწეებად აფორმებდნენ დემონისსახიანებს, გრიფონებს წითელი თვალებით ანდა გახრწნილ ზომბებს. სისტემა წინააღმდეგი არ იყო. სისტემა წინააღმდეგი არ იყო მაშინაც კი, როცა დაიკოს გადააქცევდნენ ბუნდოვან, სამმაგ ცეცხლად, თითქოს ცუკერბრინების ნათებად, რომელიც მომხმარებლის ყოველ შეხედვაზე ქლესურად განერთხმებოდა იატაკს და კითხულობდა «რას ინებებთ?» კეშას ვარიანტი ამ ფონზე ძალიანაც რიგიანი ჩანდა.
კეშას სრულად წარმოედგინა თავისთვის Little Sister-ის წარმომავლობა და ევოლუცია. სულ რაღაც ორასი თუ სამასი წლის წინათ ის დახატული იყო სამაგრითა და სევდიანი, ბრძენი სემიტური თვალებით. ანდა ყვითელი ძაღლით, სასაცილოდ რომ აქიცინებდა კუდს. ისტორიამდელი მზით გამთბარი Microsoft Windows-ის ჭაობებში, სადაც ოდესღაც ჩაისახა ეს

ცხოვრების ნაირსახეობა, მეფობდა სასაცილო და კეთილი ფორმების მრავალფეროვნება...
ითვლებოდა, რომ თანაშემწის გარეგნობა ასახავს ფეისტოპის პატრონის ინდივიდუალობას. და ეს, რა თქმა უნდა, ასეც იყო. Little Sister-ს, სულისა და გონების უსაყვედურო სარკეს, შეეძლო ყურადღებიანი დამკვირვებლისათვის კეშას საიდუმლო ცოდვაზე მიენიშნებინა. სწორედ ამიტომ ინახავდა მას კეშა მხოლოდ ოპერატიულ მეხსიერებაში – და არ აშეარებდა მის გარეგნობას არავისთან.
ეს ძნელი არ იყო. კონკურსების «საუკეთესო თანაშემწე» მოდა ჩავლილი იყო, ფეისტოპზე ერთმანეთთან სიარულსაც თითქმის მოეშვნენ. მართალია, ყოველ დილას კეშას ფეისტოპზე მოდიოდა მისი მეუღლე მერილინი. მაგრამ ის ცნობისმოყვარეობით არ გამოირჩეოდა: მისი ავატარი ფუნქციურად ბრმა იყო. კეშა აფასებდა ამ დელიკატურობას და ცოლსაც იმავეთი პასუხობდა.
მერილინი, სწორედ ასეთი მერილინი.
მერილინი
ის იდგა თავის ჩვეულებრივ ადგილზე, პირველ რიგში, მუტაბორსა და ბებრუხანა კსიუს შორის. ეცვა ჩვეულებრივი თეთრი კაბა, რომელსაც ყოველთვის დილდილაობით ხელისგულებით მუხლებზე იქაჩავდა, უსირცხვილოდ შემომძვრალ ვირტუალურ გამჭოლ ქარს ებრძოდა. მის სახეზე გაიყინა ცივი გრიმასა – თუმცა ჰაერში, მის თავს ზემოთ გამომწვევად ენთო ლალისფერი გული, რომლის გარშემო ფრინავდა ორი მტრედი.
«ოღონდ ეს მერილინთან, – იფიქრა კეშამ, – ახლა ყოველ დილას...»
სოციალურ პარტნიორს სურდა – ანდა, ყოველ შემთხვევაში, არცთუ მთლად წინააღმდეგი იქნებოდა, – კეშას შეესრულებინა თავისი სამეუღლეო მოვალეობა. ქალის ცეცხლი არ ქრებოდა, აგერ უკვე ხუთი წელი გადიოდა. პირიქით, უფრო ხურდებოდა ყოველდღიურად, მაგრამ კეშა წინააღმდეგი არ იყო.
როცა მერილინის თავს ზემოთ გამოჩნდებოდა ლალის გული და ირგვლივ მოფარფატე ორი მტრედი, დანარჩენი დანართები პატივისცემით უთმობდნენ პირველობას, თითქოს ცოტას იღუშებოდნენ კიდეც და მიცოცავდნენ მომწვანო ღრუბელში,

რომლითაც რამდენიმე წამით იფარებოდა მოედანი. ლალის ცეცხლი კონტინენტის მთელ ფენებს ისე გამჭოლად ანათებდა, რომ შეუძლებელი იყო, არ შეგემჩნია, სადაც უნდა ებორიალა ამ დროს ყურადღებას – თუნდაც ზიგფრიდის ხაზზე, თუნდ შორეულ ეგზოპლანეტებზე, თუნდაც დარიოსთან საომრად მიმავალი მაკედონური ფალანგის პირველ რიგზე.
გული პასუხს ითხოვდა. თანაც მაშინვე უნდა დაგექნია თავი, არადა წყენას დაიმახსოვრებდა.
ვიდრე სიყვარულის ძახილზე გამოეპასუხებოდა, კეშა მზერით გადაეყარა დაიკოს – და ორივემ ერთდროულად სხვაგან გადაიტანა მზერა. დაიკო ცოტა გაწითლდა. კეშა ვერ ხედავდა საკუთარ სახეს, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თავადაც გაწითლდა.
საერთოდ, რომ დავუკვირდეთ, ორივეჯერ თვითონ გაწითლდა – ქალის მაგივრადაც და თავის მაგივრადაც. მაგრამ ამისთანა დეტალებს, დაე, სასამართლოს აღმასრულებელმა უკირკიტოს. თუკი, ცუკერბრინებმა არ ქნან და, აქამდე მივა...
კეშამ მტკიცედ დაუქნია თავი ცოლს.
მერილინის ირგვლივ მოედანი დაიმტვერა. გადღაბნილი ვარსკვლავებისგან წამით წარმოიქმნა რაღაც გვირაბის მსგავსი, თითქოს კეშა სინათლის სიჩქარით მიფრინავდა თავისი მეორე ნახევრისკენ სამყაროს გავლით (სწორედ რომ მოდის წრუწუნი – რეტროანიმაციები Star Wars-ი და Time Tunnel-იდან, ისე, რომ გამოჩენილიყო მონტაჟის ნაკემსები და ნაფხაჭნები ფირზე), და წამის შემდეგ უკვე ხელებში ეჭირა თავისი გულის ვარდი. ირგვლივ გაჩნდა მათი ძვირფასი საძინებელი, ფეისტოპის მოედანი ფანჯრის მიღმა დარჩა. დამატებების ფიგურები საძინებლიდან გამოიყურებოდა ბუნდოვნად და მქრქალად, რათა ხელი არ შეეშალათ ოჯახური განმარტოებისათვის, მაგრამ საკმარისი იყო წამიერი ყურადღება, რათა ფეისტოპი მკვეთრად გასარჩევი გამხდარიყო. ორადგილიანი საწოლი, მუხისორნამენტიანი საზურგით, ორი ტუმბო ტორშერებით – კეშამ იცოდა, რომ მერილინი ხედავს იმავეს. მათ ერთად მოაწყვეს საძინებელი. მაგრამ აი, მერილინი რას ხედავდა საძინებლის ფანჯრიდან, კეშას უკვე ვერ წარმოედგინა – იქ მისი ფეისტოპი იწყებოდა, ტერრა ინკოგნიტა

).
მერილინი ახლოს იყო, ძალიან ახლოს. კარგად ჩანდა პუდრის კვალი მის სახეზე და კარმინის სქელი ფენა ტუჩებზე. და განგებ მიწებებული ხალი ლოყაზე. კეშამ ხელი დაადო მხარზე.
– ა-ააა, – გაისმა მის ყურებში ნაზი და იმავდროულად ღრმა ქალური ხმა, – ვუ-ვუ-ვუუუუ.
–ეჰ-ჰ, – ამოიოხრა კეშამ ჩაგრული მაჩოს დამცინავი შემწყნარებლობით.
საქორწილო კონტრაქტის მიხედვით, ის და მერილინი არასოდეს ლაპარაკობდნენ. მაგრამ მერილინს ღუღუნისა და კვნესის სრული უფლება ჰქონდა. ვაი, იმ მამაკაცს, რომელიც ვერ გაიგებს იმედისა და ბედნიერების ამ დამთრგუნავ წამს – და არ ჩაეჭიდება მას კბილებითა და ფრჩხილებით. ყოველ შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებულების სწორედ ასეთ შაბლონს გვინერგავენ ეს ურცხვი ქალები კანქვეშ, იფიქრა კეშამ. და როგორც კი თავად მოისურვებ, იმათ თავი სტკივათ. სხვათა შორის, მერილინს თითქმის არასოდეს სტკიოდა თავი. მისი მზადყოფნა, ყოველთვის ჩუმად ყოფილიყო, მნიშვნელოვან ღირსებას სძენდა, რაც გამოარჩევდა კეშას ადრინდელი სოციალური პარტნიორებისგან. ამას გარდა, მისმა ფორმალურმა თანხმობამ ორსულობაზე დაზოგა მრავალი გადასახადი და მათი ორადგილიანი მოდული ლამის უფასო გახადა – მაგრამ მთელი ეს დრო ერთხელაც არ შემოუფრენია. ესე იგი, როგორღაც გადაწყვიტა საკითხი. ამნაირი ღირსებების მეუღლის დაკარგვა კეშას არ უნდოდა. ამიტომ საჭირო იყო, შესატყვისი ყოფილიყო.
– ოკეი, პინის, რაიზ ენდ შაინ, – თქვა კეშამ.
ეტყობა, ნეგატიური განწყობის გამო ყურადღება ვერ მოიკრიბა, და რუსულმა აქცენტმა უღალატა – Google Dick-მა ვერ გაიგო.
ამ ჩერჩეტებმა, მართვის ხმოვან სკრიპტებს რომ ადგენდნენ, ეტყობა, სიტყვების ყველაზე იდიოტური კომბინაცია შეარჩიეს. რატომაა, რომ თანამედროვე სამყაროში მარკეტინგი თითქმის ყოველთვის გათვლილია დებილებზე? ნუთუ, ასე ბევრი ფული აქვთ? თუმცა არა, ვიღაცა «მეცნიერების სიახლეებში» ამბობდა, რომ ხმოვან ბრძანებებს არჩევენ აზრობრივი პრინციპით კი არა – მათ უნდა ჰქონდეთ უნიკალური და იოლად ამოსაცნობი ხმოვანი სიგნატურა. მაგრამ სულერთია – rise and shine… მაინც

მოიფიქრებენ. გაუგებარია, ეს ასოა თუ ნათურა ამწე-კოშკურაზე.
მერილინმა ხულიგნურად ჩაუკრა თვალი – მაგრამ იმის მაგიერ, რომ კეშა გამხნევებულიყო, საბოლოოდ მოცელა. უპუდრო ლოყა და მისი შესატყვისი ემოცია განეკუთვნებოდნენ კატეგორიას high executive vibes («თავდადება, მკიდიაობა, ახალგაზრდული მგზნებარება, უმაღლესი სოციალური სტრატა , ფასის კატეგორია *******), და ეგეთი პონტები კეშას ჯიბისთვის მიუწვდომელი იყო. დაახლოებით სამასი იყიდა შესანიღბად – რათა დამკვირვებელი, მის მეტათარიღს რომ გააანალიზებდა, მისულიყო დასკვნამდე, რომ ის სერიოზულად ატიუნინგებს მერილინს. მერილინმა კიდევ მთელი თავისი პონტები გაანიავა ორ თვეში. მოკლედ, კიდევ ერთი პატარა ნასვრეტი ბიუჯეტში…
– ოკეი, პინის, რაიზ ენდ შაინ, – გაიმეორა კეშამ.
Google Dick-ი ისევ არ ჩაირთო. ამ ფაშატმა მერილინმა კიდევ, ჯახნაბა მაგას, აიღო და მეორედ ჩაუკრა თვალი ხულიგნურად. სხვათა შორის, უხდებოდა. სოციალური კიბის ზედა საფეხურებზე შეუპუდრავი კინოვარსკვლავის მანჭვა ცხოვრების მანათობელ მზის სხივებად გეჩვენებოდა. მაგრამ კეშას ინდივიდუალურ სივრცეში ეს მანჭვა-გრეხა გადაიქცა საწყენ საცოდავ ნემსებად, რომლებიც ახსენებდა, რომ ასეთი კონტენტი მისთვის სოციალურად მიუწვდომელია – ანდა, უფრო სწორად, მისაღწევია მხოლოდ მობილიზირებადი გამოსაჯავრებლები («ზემოთ, ფარჩაკო! ზემოთ, როგორც ყოველთვის!»).
კეშამ ჩაახველა, აზრობრივად გაავსო საკუთარი თავი პოზიტიური ვიბრაციებით და გაიმეორა, მონდომებული არტიკულაციით:
– Okay penis, rise and shine!
ამჯერად Google Dick-მა გაიგონა.
დაიწკაპუნა, მერე აზრიალდა, და კეშამ სითბო იგრძნო საზარდულში – თითქოსდა სასიამოვნოდ ბერავდნენ მილით. მერე იგრძნო ჰორმონალური ფონის შეცვლა (გასაგებია, რომ არავითარი ინიექციები – უბრალოდ, ტვინის ელექტრული ღიტინი). მტკივნეულ-ტკბილი ცეცხლით აუალდა გული, და მერილინმა თავი დაანება მსუქან და უღიმღამო აკარაკად თავის მოჩვენებას. ის იყო... სრულიადაც არა უშავდა.

მერილინი, რასაკვირველია, მოსწონდა კეშას – როგორც სოლიდური სასტატუსე ობიექტი. მაგრამ მასში ქალის დანახვას მხოლოდ Google Dick-ის გაშვების შემდეგ იწყებდა. და ისიც, რაღა დასამალია და, წვალებით.
– Can I kiss you? – იკითხა მან.
მერილინი დუმდა. მაგრამ კეშამ იცოდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეს აუცილებელი თანხმობის ნიშანი არ არის.
– Can I kiss you? – გაიმეორა მან.
მერილინმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ღუღუნით ამოიკვნესა. მაგრამ ლალის გული მის თავს ზემოთ ისევ ენთო – ხოლო კანონით ეს აღნიშნავდა «ჰო»-ს. თუკი, რასაკვირველია, პარტნიორი ქალი არ იტყვის «არა» მესამე თხოვნის შემდეგ.
– Are you sure? – წარმოთქვა კეშამ, იურიდიულად აუცილებელი მანტრა დაასრულა.
მერილინი, როგორც ჩანს, გაისუსა ეჭვებში. ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს კეშამ თავისი განმეორებადი შეკითხვებით, ბოლოს და ბოლოს, უბედურება გამოილოცა, და ის დარწმუნებული არაა, რომ ქალის კოცნა შეიძლება – ისევე როგორც არც ერთ ქალს არ სჯერა ბოლომდე ამის, გარდა სექსმუშაკებისა, რომლებიც მკაფიოდ წერენ ამნაირ მომსახურებას პრეისკურანტში. მაგრამ გული ფეისტოპზე ძველებურად ენთო. მერილინს სურდა, რომ მას უხეშად და ძლიერად აეყვანა ის, მდუმარე.
ახლავე, ფისო, ახლავე. ოღონდ, აი, ლავბუკი ჩაიტვირთოს... კეშას მხედველობის მარჯვენა არეში აინთო დიდი, ცისფერი L, ხოლო მის ქვეშ, უკვე წითლად, აციმციმდა რუსული სიტყვები – ЛАВБУК ИУВКЩЩЬ.
Lovebook bedroom
კეშამ მაინც ვერ გამოიმუშავა განსაზღვრული აზრი, რომ ეს – უხეირო რუსიფიკაციაა, საზღვარს გადასული ირონია თუ ავმეხსიერი ცივილიზაციის მორიგი გადაფურთხება წარსულში, რომელზეც დღეს შეახსენა ერთ-ერთმა ლოკალიზაციურმა ენამ. სინამდვილეში, ასეთ აცდენებს ვერავინ იგებდა. აი, რატომ იყო, რომ სიტყვათშეთანხმება LOVEBOOK BEDROOM – მართალია მახინჯად – ლოკალიზებული იყო, ხოლო Little Sister-ი – არა? ერთი რამ ნათელი იყო – რუსულად მოლაპარაკე მომხმარებლების განაწყენება, ნამდვილად, არავის უნდოდა.

მსგავსი ძალები მსოფლიოში აღარ დარჩა – უფრო სწორად, ძალები, ეგება, არსებობდა, მაგრამ უბიუჯეტოდ. ანუ, უკვე ძალები კი აღარ, არამედ ისე.
ყველაზე უწინ, ლოკალიზაცია იყო რეზულტატი მანქანური თარგმანისა. სისტემამ ჩაატარა ავტომატური ლინგვო-ექსპერტიზა და ამოირჩია სიტყვათშეთანხმება ნახშირწყალბადის საუკუნის ქსელური სლენგის სტილში. თითქოსდა პატივისცემით გადაუსვა ხელი ნაციონალური კულტურის ჭაღარას, ჩუმად თვალი ჩაუკრა ახალგაზრდა აუდიტორიას, რომელსაც უყვარს უხეში, ველური და გაუგებარი. მაინც ვერავის შესჩივლებ...
თუმცა, კეშასგან განცდილი ნეგატიური ემოცია აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი. უფრო მეტიც, იმდენად მოეშვა, რომ სიტყვების «ვერავის შესჩივლებ» არტიკულაცია მოახდინა – და ისინი სისტემამ დაიჭირა.
მან მაშინვე გადმოაფურთხა კეშასკენ მცირე შრიფტის ბლოკი, პირდაპირ თვალებთან რომ დაეკიდა. ეს ისეთი თავსმოხვეული არ იყო, როგორიც ყურებში დაგუგუნებული ხმა. ტექსტი შეგეძლო, არ წაგეკითხა, მაგრამ სულაც რომ დაგეიგნორებინა მისი სვეტი, არ ღირდა – სისტემა, კორექტირებას რომ უკეთებდა ასოციალურ აზრებს, თვალების მოძრაობას უთვალთვალებდა. არა უშავს, მსუბუქად და ლამის უსიტყვოდ გაიფიქრა კეშამ, სისტემაზე ჩვენ შურს ვიძიებთ – და მალე...
უკვე მერილინის მკვრივი მხრების მასაჟს იწყებდა, კეშამ სასწრაფოდ ჩაიარა გზავნილი დიაგონალზე, ცდილობდა, რომ ტვინში რაც შეიძლება ნაკლები სიტყვა შერჭობოდა.
აზრი ასეთი იყო: თუმცა ჩივილი შეიძლება – მისწერე ელექტრონული წერილების დამმუშავებელ რობოტს. ამ დანართის რუსულ დასახელებასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი არსებობდა: თავდაპირველად მას დაარქვეს «ებლოკნოტი
ვახშობთ ყურს». და სახელი გადაარქვეს აღშფოთებული ჩივილების შემდეგ, რომ სამი განათებული სიტყვა ფეისტოპზე ძალიან დიდ ადგილს იკავებს.
კეშას გაეცინა. გადარქმევის ამბავი შეიძლებოდა გამონაგონი ყოფილიყო, მოწოდებული ხაზგასასმელად, რომ მენეჯმენტისთვის ჰუმანიზმი სულაც არაა უცხო ხილი. კიდევ

ერთი ნეგატიური ემოცია... თავი უნდა ვაკონტროლო.
საძინებლის ფანჯარაში გამოჩნდა Little Sister-ი.
მან წყენით გადაიქნია თავი, როგორც ყოველთვის ხდებოდა, როცა კეშას ემოციური ფონი ცინიზმისკენ იწყებდა ჩამოცოცებას, მაგრამ აუცილებლად წასაკითხი ტექსტის სვეტი მაინც ჩაქრა, და მინა ისევ დაიბინდა, დაიკო საძინებლიდან ჩამოიჭრა. გმადლობთ ზრუნვისათვის. და დაიცადე, ძვირფასო, დაიცადე...
კეშას მხედველობის არე აავსო სხვადასხვა ფერის განათებულმა სწორკუთხედებმა. თითოეული გამოსახავდა ვიღაცის საძინებლის სარკმელს. ფანჯრები მორყეული ხის ჩარჩოებითა და ოდნავ მოელვარე მინებით იყო, რასაკვირველია, უბრალოდ სპეცეფექტი – მათ მიღმა მწოლიარე წყვილები კი უკვე აღარ. უფრო სწორად, წყვილებიც – მაგრამ ბოლომდე არა. იმ აზრით, რომ იქ ნამდვილად ვიღაც ჟიმაობდა. ანუ, რა თქმა უნდა, იქ არა, არამედ სრულიად სხვა ადგილზე. მაგრამ ჟიმაობით სრულიად ნამდვილად ჟიმაობდა.
ЛАВБУК ИУВКЩЩЬ აჩვენებდა განაკიდის ყველა ადამიანს, ამ მომენტში სასიყვარულო სიამტკბილობას რომ მისცემოდა (და ხელმოწერილს გვერდაუვლელ sharing-ზე). გარეუბნად, ამ შემთხვევაში, ხდებოდა ნებისმიერი უფრო მცირე ფიზიკური რადიუსი, რომელიც საშუალებას იძლეოდა, გვერდი სრულად შევსებულიყო სურათებით, ამიტომ lovebook-ი არასოდეს ცარიელდებოდა, თუმცა, სად იყვნენ წყვილები ფიზიკურ სამყაროში, ძნელი განსასაზღვრი იყო.
მინებზე ენთო რეიტინგის ციფრები – თავსმოუხვევლად, თითქოს უჩინარი მთვარის ათინათი. მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა ნათლად და უციფრებოდ, უბრალოდ, ფანჯრების მდგომარეობით. უმაღლესი ქულა ჰქონდა მარცხენა ფანჯარას ზედა რიგში, სადაც გველებშემოხვეული კლეოპატრა თანაეყოფოდა მარკუს ანტონიუსს, ყოველი ფრიქციისას დამაჯერებლად რომ აწკარუნებდა ჯავშანზე მახვილის ოქროს სახელურს. მომდევნო იყო მარკიზ დე სადი, შტოშის პარიკით, თმის მაშებით რომ ტანჯავდა ხნიერ ზანგის ქალს. მესამე – ბარონი როტშილდი დალაქავებულ ყვითელ ბუდიონურაში და «თავისუფლება» ტოპლესი
დელაკრუას ნახატიდან, პირდაპირ პარიზულ ბარიკადაზე

დასვენება რომ გადაეწყვიტა. პარტნიორს რომ ზემოდან ახტებოდა, «თავისუფლება» აქეთ-იქით ისროდა ორი პისტოლეტიდან და ბავშვური ხმით მღეროდა ძველებურ სიმღერას:
– Bang-bang! My baby shot me down...
კეშამ ეკრანს მოატარა თვალები – თავადაც აქ ხომ არ არის, შემთხვევით?
და უცებ იპოვა!
თანაც დაბლა კი არა, – საითკენაც დაკომპლექსებულად დაიხედა მისმა მზერამ, არამედ მეორე რიგში, ზემოთ. მეორე რიგი! აი, ეგრე.
სხვათა შორის, მაშინვე სევდიანად გაიფიქრა, თავად კი არა აქვს ყველაფერი კარგად. ეს სხვებს აქვთ ყველაფერი ეგრე ცუდად.
თავიდან საკუთარი თავი კი არა, მერილინი დაინახა. და როგორც კი იცნო მისი ზარმაცი, გაპუდრული სახე, ყალბი ხალით ლოყაზე, მის საპირისპიროდ საკუთარი თავი აღმოაჩინა. როგორც ყოველთვის, ის იყო იური გაგარინი – მერილინის გემოვნება ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. მოკლედ, რაღა დასამალია და, კეშას მთელი ეს ხუთი წელი სულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, რომ «ლავბუკი» დააფარებდა იკებანას. მერილინი და იური – წყვილია, როგორიც საჭიროა... წმ. იური კანონიკურად იყო გამოწყობილი – შავ ანაფორაში, მაიმუნების მიერ ჩამომტვრეული კბილებით, რომელთა გალიითაც ოპრიჩნიკებმა გაუშვეს კიდეც კოსმოსში. მის მკერდზე ელვარებდა ოქროს ჯვარი, ხოლო წვერი დაუნანებლად იყო გაპოხილი სელაპის ქონით. მსოფლიოს უყვარს ეგზოტიკა.
თუმცა, დანარჩენი «ლავბუკელები» უკვე სრულიად მიეცნენ ვნებებს, ხოლო წმინდა იური სულ აყოვნებდა, გეგონება ბოლომდე ეშინოდა ცდუნებისა, როგორც მოითხოვდა დიდმოწამის რანგი. კეშამ გაიფიქრა, რომ შეიძლება, ერთი რიგით მაღლა აინაცვლოს ანდა კიდევ – ეშმაკი რით აღარ ხუმრობს ხოლმე – ადგეს და აფრინდეს ტოპ-ში... თუნდაც ერთხელ. ესაა sharing points. და ბევრია.
მაგრამ გარისკვა არ უნდოდა.
თავისი ნომინალური სექსგამოცდილების გაშეარება კეშას

რცხვენოდა, იმიტომ, რომ შიგ სულს არ დებდა. უფრო სწორად, სდებდა, მაგრამ ეშმაკურად, როგორც შიგნეულს – ღვეზელში. ისე, რომ ეს სული არავის ენახა, იმათ გარდა, ვინც ყველაფერს ხედავს – ცუკერბრინებისა. მაგრამ კეშა ეჭვობდა, რომ მათ განსაკუთრებულად არ სჭირდებათ: ეგეთი ღვეზლები მძღნერით, – უთვალავი მილიონი ჰქონდათ.
თვალის კუნთების უმსუბუქესი ძალისხმევით, კეშამ მზერა «ლავბუკის» ფანჯრებიდან მერილინზე გადაიტანა. მისი თეთრი კაბა აქამდე ზარივით იყო გაბერილი გამჭოლი ქარისგან. ახლა ეს ზარი, რასაკვირველია, ბაგად
გადაიქცა – მერილინს არ შეეძლო, მის გვერდით ლოგინზე ასეთი გარეგნობით წოლა. მაგრამ ЛАВБУК ИУВКЩЩЬ კულტურული კანონის ერთგულებას ფორმალური სინამდვილის მსგავსებაზე მეტად აფასებდა – კლასიკურ გადაღებაში მერილინს ხელს არ ახლებენ იმისთვის, რომ ფიზიკის რომელიღაც კანონები დაიცვან.
კეშამ მერილინის კაბას მოჰკიდა ხელი. იმას უარობა არ დაუწყია – გული მის თავზე ისევ ენთო. მერილინს ის უნდოდა ლეგალურად, უცილობელი ხერხით.
რას ვიზამთ, იფიქრა კეშამ, გრძნობდა, როგორ მღელვარედ უტრიალდება მზის წნულში შიშისა და განცხრომის სპირალი, ახლა კი ცოდვის ჩადენის დრო დადგა.

ცოდვა

კეშა ამ ცოდვას უკვე მეიმდენედ სჩადიოდა, რომ მისი ყველა მოქმედება გახდა ჩქარი, ზუსტი და შეუმცდარი – თითქოს ადამიანიდან ავტომატის საკეტად იქცა, შეუფერხებლად რომ გადაამუშავებდა ვაზნებს კვამლად და სიკვდილად. ის, რომ თითქმის ლავბუკის ტოპში იმყოფებოდა, ამ სახიფათო ავანტიურას კიდევ უფრო მათრობელას ხდიდა.
დრო ჩაირთო.
მერილინიდან შემობრუნებულმა თვალები დახარა – და, თითქოს ძალისხმევით კიდევ ერთი წყვილი ქუთუთო გახსნა, ფანჯრის მიღმა დაინახა ცოლქმრული საძინებლები თავის ფეისტოპზე.
მისი დესკტოპის ყველა აიკონი შორს – და იმავდროულად იქვე იყო. დაიკო შადრევნის კიდეზე იჯდა და ჩვეულებისამებრ ისეთ სახეს იღებდა, რომ მოწყენილია ამ გადაკარგულში. ხოლო

შორიახლოს მდგომი უჯრედოვანი კლოუნი, დიდი და წითელი ცხვირითა და ხელში ფუნჯით, კეშას უყურებდა მოლოდინითა და მზადყოფნით.
ანდა კეშას ასე მოეჩვენა.
კლოუნის თავზე ეკიდა წითელი სამკუთხედი, ძახილის სამი ნიშნით. კეშასთვის ეს ნიშანი იყო ცოდვის ალმოდებული დამღა. მაგრამ, საერთოდ, აღნიშნავდა, რომ დამატება დიდი ხანია, არ განახლებულა, საიმისო განახლებები არ არის, და მისი კორექტული მუშაობა გარანტირებული არაა. დიდი ხანია, კლოუნი მოძველდა. ვერც კი არჩევდა თანამედროვე 3D და 5S ფორმატებს.
სწორედ ამიტომაც გვიყვარხარ, ძვირფასო მეგობარო, ფუნჯით.
კეშამ თვალი ჩაუკრა კლოუნს.
ფეისტოპზე ფერების ცვალებადობით გაირბინა ცისარტყელასებურმა სიტყვამ:
MUTABOR
სწრაფად დატრიალდა უბრალო, ძველმოდური ჩანართი ნაცნობი საგნების შეუძლებელი ვარიაციებით – ანანასის როიალი, ჟირაფის მანქანა, ბაყაყი-თვითმფრინავი და კიდევ რამდენიმე მსგავსი ჰიბრიდი.
კლოუნმა სულელური კნიქსენი გააკეთა და თავისი ფუნჯი ასწია.
– აირჩიე source object, კე, – თქვა მან ხრინწიანი ხმით.
კეშამ უსირცხვილოდ შეხედა დაიკოს და თავი დაუქნია. დაიკომ ტუჩები მოკუმა და გაფითრდა. კეშამ აქამდე არ იცოდა, რატომ რეაგირებდა ეგრე. შეიძლება, მის ჰორმონალურ ფონზე? ანდა იმაზე, რომ მის მხარეს იყურება ასეთი აღგზნებული? წესიერმა, სოციალურად პასუხისმგებელმა ადამიანმა მსგავს წუთებში უნდა უყუროს მხოლოდ სოციალურ პარტნიორს ანდა პარტნიორ ქალს.
– აირჩიე target object, კე, – თქვა კლოუნმა.
კემ მერილინს შეხედა და თავი დაუქნია. მერილინმა პასუხად გაუღიმა და თავიც დაუქნია. მსუქანი ბრიყვი, გასაგებია, ვერ ხედავდა კეშას ფეისტოპს – და ფიქრობდა, რომ კეშა მას უქნევდა თავს.
– პარამეტრები? – იკითხა მხიარულმა და კეთილმა კლოუნმა.
კეშამ მზერით უტკუცა ღილაკს repeat last morph, მოედნის თავზე რომ გაჩნდა (მედიანა 100/0, ინტერვალი თხუთმეტი წუთი, don’t

save object).
უცაბედად გაზრდილმა კლოუნმა თავისი ფუნჯი გაიქნია... მერე კი ახტა და ხელები გაშალა.
– ოპ, – თქვა მან, – ოპერაცია გადადებულია. ფორმატები შეუთავსებელია.
კეშას ეს უკვე ბევრჯერ მოუსმენია. თავადაც იცოდა ეს.
მერე ბაგი ამუშავდა.
სწორედ ის, რომლისთვისაც ასე უყვარდა უტილებში დიდი ხნის ჩამოწერილი და სხვათათვის არასაჭირო ბიჭი, კარტოფილის ცხვირით.
მერილინზე ჭავლმა გაიარა – და კეშამ დაინახა სულ სხვა სახე. დაიკოსგან ალუბლისა და ბავშვობის სურნელი მოდიოდა. განზე იყურებოდა. მისი სახე იჭმუხნებოდა ბოროტი გრიმასით – თითქოს კეშა კბილის ექიმად ეჩვენებოდა, რომელიც აპირებდა ბურღით ჩაძვრომოდა აკრძალულ ადგილში, ხოლო შესაჩივლად არავინ იყო...
იმ მომენტიდან, როცა კეშა მერილინის კაბის კალთას ჩაეჭიდა, წუთზე ნაკლები გავიდა. მაგრამ ახლა მის ხელებში იყო არა თეთრი ნაჭერი, არამედ ცისფერი, გოფრირებული ქვედაბოლოს კიდე. კეშამ კი რამდენჯერმე დაიქნია თავი. სასარგებლოა, მეგობრებში გყავდეს ბებერი მუტაბორი, ორი-სამი საიდუმლო თუ იცი...
კეშამ საკონტროლო მზერა ისროლა ლავბუკზე. სურათზე კვლავაც გაგარინი და მერილინი იყვნენ. ეს პატარა საიდუმლო მხოლოდ თავად იცოდა – და დაიკომ. ანუ, თუკი გავერკვევით, ორჯერ იცოდა თვითონვე. და განათუ ორი კეთილშობილი დონი ვერ მოილაპარაკებს ერთიმეორეში?
– წავედით! – წარმოთქვა მან მერილინის საყვარელი ფრაზა – და ცისფერი კალთა ასწია. დაიკომ ნერვიულად დაატრიალა ფეხები – ამას ყოველთვის ჭკუიდან გადაჰყავდა კეშა – მაგრამ დაიკოს არაფერი უთქვამს.
ცხოვრებამ დროებით მოიპოვა სრულყოფილება.
თუმცა, მართალია, გაუგებარი იყო, ეს ან მისი საკუთარი ენთუზიაზმია, ანთუ ჰორმონალური მხარდაჭერა, ჩართული დამატების Google Dick-ის მიერ, მაგრამ რეზულტატი სახეზე იყო.
მოკლე ბიოკომუნიკაციური შეჩერების შემდეგ, კეშა შევიდა დაიკოში – სწრაფად და ძლიერად, როგორც მერილინს

უყვარდა (ყოველ შემთხვევაში, გაეცინა კეშას, გიგებს კიდეც საკითხის ასე დაყენებას). მას უყვარს დუმილი, ფიქრობდა კეშა, თან ენთებოდა, მას მოსწონს, იყოს დაპყრობილი და მუნჯი მონა; მას მოსწონს, თავისი სუსტი სხეულით იგრძნოს ბატონის გამანადგურებელი სიმძლავრე... კეშას სხეულის დარტყმებზე საპასუხოდ მერილინი უკვე აღარ კვნესოდა, არამედ იღრინებოდა:

– უ-ვუ-ვუ-ვუ... უ-ვუ-ვუ-ვუ...

ასეთი კვნესა შეეძლო მხოლოდ სრულიად ბედნიერ ქალს, არავითარ სიმორცხვეს რომ არ გრძნობდა პარტნიორის წინაშე. კეშამ სიამაყე იგრძნო თავისი მამაკაცური ძალის გამო, თავისი უნარისთვის, სხვისთვის სიხარული მოეტანა, იმისთვის, რომ შეუძლია, სხვის ახირებას სდიოს – და იგი გადააქციოს ნეტარების სალუტად.

Little Sister-ი, როგორც ჩვეულებრივ, ეგეთ წუთებში, თავს ატრიალებდა, თითქოს ცდილობდა, ისეთი ხედვის კუთხე ამოერჩია, რომ შიგ არ მოხვედროდა მის თავზე დაკიდებული კეშა. მერე კი ყველაზე შემძვრელი რამ მოხდა – ის, რასაც ყოველ ჯერზე გაშმაგებამდე მიჰყავდა.

უცებ დაიკომ ხელისგულებით დაიფარა თვალები.

ასე უნდა მოქცეულიყვნენ ფეისტოპის ყველა სხვა დამატებებიც, როცა მათ იძახებდნენ ცოლქმრული საძინებლიდან (კეშამ ასეთი ოპცია სიცილისთვის აარჩია, არ უეჭვია, როგორი გულის სატანჯველად შემოუბრუნდებოდა). დაიკო ყოველთვის არ იფარებდა ხელებს – რეჟიმი არაკორექტული იყო, და ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ შეკავშირდებიან პროგრამული ბაგ-ები. ამიტომ ძვირფას, ნახევრად ბავშვურ მოძრაობებს ჰქონდა ამოუცნობლობის დამატებითი მომხიბვლელობა. კეშა თავს ვეღარ იკავებდა. მასში მხოლოდ შუშხუნა ბედნიერება დარჩა, რომელმაც ისე აავსო, როგორც ქაფმა ახლად გახსნილი შამპანურის ბოთლი...

ოჰ, აჯობებდა ამაზე არ ეფიქრა. ანდა, უფრო სწორად, აზრის არტიკულაცია არ მოეხდინა (ვერც კი შეამჩნია, ეს როგორ მოხდა).

დაიკოს სახე სამგანზომილებიანმა პოპ-აპ-მა დაფარა. ატყლაშუნდა ზღვა, რომელშიც მიცურავდა თეთრი, სწრაფი

იახტა. უკანა გემბანზე, შეზლონგებზე ისხდნენ მხიარული, გარუჯული ადამიანები – და შამპანურს სვამდნენ. იახტამ ახლოს ჩაიარა, ზღვამ ციმციმი დაიწყო და კეშას წინ გაჩნდა წარწერა:
LA VEUVE CLICOT!
ბედნიერებამდე შორი არ არის!
აი, ძაღლიშვილები, იფიქრა გამწარებულმა კეშამ. ასეთი ორგაზმის გაფუჭება... და მერე, ისევ ლოკალიზაციაში ჩაისვარეს.
პოპ-აპ-მა, ბოლოს და ბოლოს, გაქრობა დაიწყო – მასზე დარჩა მხოლოდ სიტყვები La Veuve Clicot და პრაის-თეგი ფასებით: «ერთჯერადი ადმინისტრირება» და «ერთკვირიანი ციკლი» ფასდაკლებით. ახლა მთავარი იყო, შემთხვევით თავი არ დაექნია, და კეშა ისე გაინაბა, როგორც პითონი ჯუნგლებში. ამბობდნენ, გამყიდველებთან შეთანხმებით, ტექნიკური სამსახური საგანგებოდ ასე მომართავს კისრის დაწკაპუნების ხელსაწყოებს, რომ მათ ამოიცნონ კისრის უმცირესი მოძრაობა, როგორც საყიდლად საკმარისი თავის დაქნევა. ის მაინც კარგია, ბევრ sharing point-ს ერთ თავის დაქნევაში ვერ დახარჯავ. ყველაფერი იაფი და ხელმისაწვდომია. იმიტომ, რომ ნამდვილი არაა.
ცისფერი გოფრირებული ქვედაბოლოს თეთრ კაბად ტრანსფორმაციისას, კეშა მიხვდა, რომ პოპ-აპ-ით დაფარული დაიკო კვალავაც გადაიქცა მერილინად. ცოლქმრული ვალი აღსრულებული იყო. საძინებლის კედლები წამში გაქრა, ვარსკვლავებიან ჭად გადაიქცა – და კეშამაც თავის ფეისტოპზე სცვითა თავი.
მერილინი წინანდელ ადგილზე იდგა. და გული მის თავზე ადრინდელივით ენთო: ბებრუხანა მეტისთვის იყო მზად. თუმცა ასეთი დაუკმაყოფილებელი...
კეშამ შადრევანს შეხედა. დაიკო უკვე იჯდა მის განაკიდეზე და, როგორც ყოველთვის, იბერებოდა. ეტყობა, მის თვალებს ცრემლებიც მოსწოლოდა. ეგ არაფერი, ისლუკუნე ბედნიერებისგან. Don’t try to break my heart, young miss. The more you cry the less you piss
კეშას ქვეცნობიერი უცნაური ხერხით ავლენდა თავს – დაიკოზე ყოველთვის რჩებოდა დალურჯებულები, დაბეჟილობები და

ნაკაწრები. აუცილებლად იხეოდა მისი მატროსულას რაიმე დეტალი – ან ქვედაბოლო, ან ბლუზი მოსახსნელი საყელოთი. მაგრამ მომდევნო დღისთვის კოსტიუმი წესრიგში მოდიოდა, თითქოს დაიკოს სადღაც ჰყავდა გაჭირვებული, მაგრამ წესიერებაზე წარმოდგენების შემნარჩუნებელი იაპონელი ოჯახი, ყოველ საღამოს გულის შემძვრელად რომ ამზადებდა ახალი გამოსვლისთვის დიდ, გაბოროტებულ სამყაროში. სადაც კეშა ელოდა.
თუმცა კეშა აღარ იყო ფეისტოპზე, ახლა უკვე სრულიად გამჭირვალე შამპანურის რეკლამა ისევ ეკიდა მის თვალწინ. და ისევ – სიტყვასიტყვითი და საწყენად ურიგო თარგმანი. ნეტავ, ვის უნდება, რომ შამპანურს «აადმინისტრირებდნენ»? ბოკალში უნდა დაასხა. ანდა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ასხამენ... სხვათა შორის, ცალკე გადახდისას მოაწყობენ. მაგრამ ეს იქნება ზუსტად ასეთივე სიცრუე. დღეს შამპანური – ჰიპნოპროდუქტია, მომჟავო-მოტკბო ბუშტულებიანი ღიტინი ყელში, ორი-სამი წამი რომ გრძელდება და ისევ ტოვებს მომხმარებელს მარტოს საკუთარ კოშმართან. და თუმცა ეს გარანტირებული სწორედ ის სიტკბოებაა, რომელიც ადრე ოფიციანტებს დაჰქონდათ გაბერილი ბოთლებით, რაღაც მთავარი განცდა მაინც აკლია. თუნდაც, მაგალითად, შესაძლებლობა, აიღო ბოთლი ყელიდან და ვიღაცას გაუქანო თავში.
არადა, ასეთი ორგაზმი წაახდინო...
კეშამ მწუხარედ მოიქექა კეფა, და მაშინვე ყელი ტკბილი ბუშტულებით აევსო. ეტყობა, ტაბლო შამპანურის ფასებით ბოლომდე არ ჩამქრალიყო – და, ესე იგი, კანონით, შეეძლო, რეაგირება მოეხდინა კისრის დაქნევაზე. საბედნიეროდ, ამ დაქნევით მხოლოდ ერთი დოზა იყიდა. საშიში არაფერია. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება საკუთარ თავს უფლება მისცე – ასეთი ბედნიერების შემდეგ. ანდა ასეთი დამტვრევისა. ერთხელ ვცოცხლობთ. მთავარია, ახლა სხვა რამე არ ვიფიქრო, თორემ სისტემა, საერთოდ, გამომიწერს anger managment-ს. როგორც ყოველთვის, აზრითდანაშაულის შემდეგ.
კეშას დაატყდა შიშის ყინულოვანი ტალღა. მაგრამ კეშა გამოცდილ მოცურავედ თვლიდა თავს და მიეჩვია, ეყვინთა ასეთი ტალღების ქვეშ. მას ესმოდა, რომ რისკავდა. მაგრამ,

მათემატიკური ხედვის კუთხით, რისკი არც ისე დიდი იყო. წამითაც არ ავიწყდებოდა, რომ მთელ მის შინაგან ცხოვრებას დამატებების მთელი დასტიდან უთვალთვალებენ. ის გარე დაკვირვებისთვის სრულად და სამუდამოდ ღია იყო. მაგრამ შეეძლო დამალულიყო საკუთარ ჩრდილში. იცოდა, როგორი აზრები შეარდება და როგორები – არა.
მენტალურ კონსტრუქციებს რომ ფორმა, ზომა და წონა ჰქონოდა, შეიძლებოდა, გვეთქვა, რომ შეარდება მხოლოდ მძიმე, გრძელი, მყარი და ზანტი. მოკლე, ნახევრად გამჭვირვალე და სწრაფი – არა. ამიტომ ყველა მისი აზრი და განცდა, ცოდვის ბეჭედდასმული, იყო უწონად-ზუსტი, გამჭვირვალე-მსუბუქი და შეუმცდარი-სწრაფი – როგორც კილერებად მომუშავე ანგელოზები. ისინი მიაგავდნენ უხილავ გამანადგურებლებს, ცოტა ხნით რომ შეფრინდებოდნენ მტრის რადარულ ზონაში, რათა დაუსჯელად გამოსულიყვნენ იქიდან, უდაბლესი პილოტაჟის რამდენიმე ფიგურის შესრულების შემდეგ.
მაგრამ თუმცა ეს მსუბუქი და სისტემისთვის მოუხელთებელი აზრები არ შეარდებოდა სტანდარტული დამატებებით, არ არსებობდა გარანტია, რომ სისტემას არ აქვს განსაკუთრებული საიდუმლო პროგრამები, შეუმჩნევლად რომ ითვლიდა ყველაფერს, კეშაზე აწარმოებდა დოსიეს. ამ რისკით უწევდა ცხოვრება – და არა მარტო კეშას, არამედ ყველას, ვინც აზრითდანაშაულს გადაწყვეტდა.
სხვა რისკი იყო მერილინი. მაგრამ აქ შეიძლებოდა არ შინებოდა. მათ მხოლოდ ერთი სოციალური პარამეტრი ჰქონდათ საერთო – ორივეს უნდოდა მდუმარე პარტნიორი, რომელიც სხვის ცხოვრებასა და სულში არ მიძვრება და ლაპარაკით ტვინს არ წაიღებს. მერილინი ამ მოთხოვნას ასი პროცენტით პასუხობდა.
ის პრაქტიკულად ყრუ-მუნჯი იყო.
კეშა არ თვლიდა, რომ ბედმა რაიმე არ მისცა, პირიქით. ის დარწმუნებული იყო – ოჯახური არეულობები ყველაზე ხშირად დაკავშირებულია იმასთან, რომ მომავალ ცოლებს და დედებს ბავშვობაში ზედმეტი ინფორმაციით გადატვირთავენ ხოლმე. ადამიანი დედალი, მისი შეხედულებით, იყო რაღაც 3D პრინტერის მსგავსი, რომელზეც ახალ ადამიანებს ბეჭდავდნენ.

ამიტომ, თუმცა მისი თავი გარეგნულად კაცისას მიაგავდა, მასში იდგა სრულიად განსაკუთრებული საოპერაციო სისტემა და სოფტი, და სხვა არაფრისთვის იქ ადგილი არ რჩებოდა. ალბათ, თავისი სულის საიდუმლო სიღრმეებში კეშა შოვინისტი იყო – ის ქალების მიმართ განიცდიდა კლასობრივ სიძულვილს, რომელიც მონაცვლეობდა ავხორცობის მწვავე შემოტევებთან. სხვათა შორის, სიძულვილის დამალვა ისწავლა. მაგრამ ცოლს ვერ დაუმალავდა თუნდაც რამდენადმე გრძელ ლაპარაკში, ამიტომ ყრუ-მუნჯი მერილინი მისთვის დიდად ფასეული აღმოჩენა იყო.
მერილინი ჩააგდეს მეზობელ ბოქსში ხუთი წლის წინათ, გენეტიკური შესაბამისობის თანახმად – და ერთადერთი თანმხვედრი პარამეტრით, დუმილის თხოვნაზე: მერილინსაც არ უნდოდა პარტნიორის შეჭრა მის მარტოობაში. დანარჩენში ხასიათების და ინტერესების მსგავსება ნულოვანი იყო, ამიტომ საქორწილო კონტრაქტი არ ითვალისწინებდა ურთიერთობის არანაირ ფორმებს, გარდა წმინდად სქესობრივისა. თანაცხოვრების მთელი დროის განმავლობაში ისინი აზრებს ცვლიდნენ მხოლოდ ხუთჯერ თუ ექვსჯერ – და ისიც ფეისტოპ-ფოსტალიონით.
კეშა, სხვათა შორის, ვარაუდობდა, რომ მერილინი მათ უფრთხილდება. ამის საფუძველი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ ახალგაზრდაც არ იყო. რომ არა კანონი «ადამიანის ღირსებაზე», რომელიც კრძალავდა ევგენიკას
და, საერთოდ, კვლავწარმოების ციკლში ჩარევას, მერილინი, ალბათ, ვერ იპოვიდა ასეთ ახალგაზრდა თანამგზავრს. და იმ სიხშირით თუ ვიმსჯელებთ, რომლითაც ფეისტოპზე ლალის გული იფეთქებდა ხოლმე, კეშა, როგორც სექსუალური პარტნიორი, სავსებით შეესაბამებოდა მას.
კანონი თანამცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა, ერთიმეორისგან დაემალათ რეალური გარეგნული სახე – რაც ხელს აძლევდა მეოცნებეობისკენ მიდრეკილ კეშასაც, და მერილინსაც. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მერილინს ჰქონდა საქაღალდე ძველთუძველესი დანართებით, რომელიც ფეისტოპის საერთო ზონაში იდო.
კლოუნი იქიდან მოვიდა. მისი კოპირება შეუძლებელი იყო, რადგან მას მხარს არ უჭერდა პროგრამული გარსი, თუმცა კეშამ

შეძლო შეუმჩნევლად გადაეტანა თავისთან, ფეისტოპზე, მიგრაციულ კოკონში
. კლოუნი მშვენივრად გადმოცხოვრდა. მერილინმა, ეტყობა, ვერაფერიც ვერ შეამჩნია.
საერთოდ, მერილინთან ჰარმონია სრული იყო. მსუქანი ჩერჩეტი სერიოზულად ფიქრობდა, რომ კეშას მოსწონდა ვინტაჟური
ამერიკული მსახიობური რამეები – და შორიდანაც კი ვერ წარმოედგინა, როგორ იყო საქმე. მას შეეძლო ეს სცოდნოდა, თუკი სიახლოვისას მოითხოვდა კეშას ჭკუის მთელი შემადგენლობის გაშეარებას, როგორც აკეთებდნენ უფრო ოდიოზური ფემინისტი ქალები, მემკვიდრეები იმ სკანდალური ფურიებისა, რომლებიც ოდესღაც მამაკაცებს აიძულებდნენ, შარდის გამოშვებისას ჩამსხდარიყვნენ მორჩილების პოზაში.
მაგრამ ეს მრისხანე და მშვენიერი ვალკირიები
, საბედნიეროდ, პრაქტიკულად, ყველა ლესბოსელი იყო – და ამ სიმწარემ გვერდი აუარა.
შეიძლებოდა, არ შეშინებოდა.
მით უმეტეს, რომ კეშამ იცოდა – მარტო არ არის. მას მხოლოდ მემკვიდრეობით ერგო ძველი ადამიანური ჩვეულება, პარტნიორი აზრობრივად გადაექცია სურვილის საიდუმლო ობიექტად. იმაზე, თუ ეს ჩვევა რამდენად იყო ფესვგადგმული საუკუნეებში, მოწმობდა ნახშირწყალბადის ეპოქის ანეკდოტი, ოდესღაც ბორხესმა რომ მიამბო: თვალებმოჭუტული ორი ხანში შესული საყვარელი, დიდხანს ეხუტება ერთმანეთს, მაგრამ დაწყებულს ვერ ამთავრებს – სანამ, ბოლოს და ბოლოს, ერთი არ ეტყვის მეორეს: «რა იყო, შენც ვერავის იხსენებ?»
ეს სიტყვები აღწერდა ადამიანური ვნების მთელ საიდუმლო ტექნოლოგიას. კეშა ხვდებოდა, რომ სწორედ ეგრე სცოდავენ სხვები, რომლებიც არ იცნობენ მხიარულ კლოუნ მუტაბორს. მათი გატაცების ობიექტები იყო უხორცო ხასიათები, რომლებითაც ისინი აზრობრივად ჩაანაცვლებდნენ თავის პარტნიორ კაცებს თუ ქალებს, მათ სხეულებს რომ ეფერებოდნენ შეუგრძნობელი ჰიგიენური მემბრანის მეშვეობით. და ეს ხასიათები იყო, რასაკვირველია, არალეგალური – სხვანაირად მათ შეარჩევდნენ დაყენებების მენიუში. სწორედ ამ სამარცხვინო და მძიმედ დასჯად გონების

მოძრაობას ეწოდებოდა სქესობრივი აზრითდანაშაული. ცოდვის ჩადენა, საერთოდ, შესაძლებელი იყო. ერთადერთი მცნება, რომლის შესრულებასაც მოითხოვდა ცივილიზაცია, უბრალო გახლდათ: Thou shalt not get caught. Sin smart მთავარია, ყოველთვის შეგენარჩუნებინა სიმშვიდე და აზრებისთვის საშუალება არ მიგეცა, თავის ჭკუაზე გაჭენებულიყვნენ. ბებრუხანა კსიუ, მგონი, ამბობდა ამაზე წინა ქადაგებისას. სხვათა შორის, კარგი იქნებოდა, მომესმინა…
ანდა არა, წავიდეს მაგისიც. ანონიმუსის მოსმენა აჯობებს

ანონიმუსი

ანონიმუსი იყო წელში მოხრილი მამაკაცი, ნაცრისფერი რიზათი
(კეშას დაფერფლილ ტარაკანას რომ აგონებდა – ალბათ, მისი ფერის გამო). მის სახეს – თუკი, საერთოდ, გააჩნდა – ფარავდა ნიღაბი წვრილი ულვაშითა და წვერით. ამბობდნენ, რომ ესაა გაი ფოქსის სახე, ძველი ინგლისელი კონსპიროლოგისა, ღალატის გამო სიკვდილით დასჯილის.
გაი ფოქსს შუბლზე ტატუ ჰქონდა – ფრინველების ბრჭყალების კვალი, ორ მობრეცილ ასო F-ს რომ ჰგავდა. ერთი ვერსიით, ეს ნიშნავდა Fuck Freedom-ს, ხოლო მეორით – Facebook Free-ს (ფეისბუკი ერქვა ძველისძველ სოციალურ ქსელს, სადაც გაი ფოქსი უარს იყო ჩაწერაზე – რისთვისაც, მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ, თავი მოჰკვეთეს მეფის ბრძანებით, რათა აღმდგარიყო აიკონად და «ანონიმუსის კონსპიროლოგიური არხის» წამყვანად). ქოჩორი იმის თავს ზემოთ პოლიტპატიმრების სტანდარტული ატრიბუტი იყო – რათა ჯალათისთვის მოხერხებული ყოფილიყო, აეღო მოკვეთილი თავი და ბრბოსთვის ეჩვენებინა.
ანონიმუსი, უბრალოდ, კონსპირაციულად კი არ იქცეოდა, არამედ სახელდობრ, კონსპიროლოგიურად. ჩვეულებრივ, ცდილობდა სადმე მოშორებით დამდგარიყო ფეისტოპზე, შადრევნის იქით – მაგრამ არც ისე, რომ მართლა დამალულიყო, არამედ ისე, თან ისიც გამოჩენილიყო, რომ თითქოსდა იმალებოდა. კეშას ეს ანერვიულებდა, რადგან ანონიმუსს შეეძლო იქიდან დაენახა არა მარტო თავად კეშა, არამედ დაიკოც... და თუმცა კეშას ესმოდა, რომ, სინამდვილეში, ანონიმუსი ვერაფერს ხედავს, რადგან ცოტა რამით თუ

განირჩევა ყდებზე ლაქისგან, ეს მაინც აბრაზებდა.
კეშას არ უყვარდა ბებერი ვნებათდამთმენი. მაგრამ დღეს შესაფერისი მომენტი ჰქონდა, რაიმე პირქუში სიმართლე მოესმინა – და თავი დაუქნია ულვაშიან ნიღაბს.
რეალობა განიბნა სხვადასხვა ფერის ბუნდოვან ზოლებად, და კეშა აღმოჩნდა ქვის კაზემატში
– ფანჯარაზე ცხაურით და თივის ბულულებით იატაკზე.
ჯაჭვებით მიბმული ანონიმუსი კედელთან იდგა. ახლა კეშა ჯორკოზე იჯდა, მის საპირისპიროდ – თითქოს დაკითხვას აწარმოებდა. უსიამოვნო სუნი მოდიოდა, შარდისა და თაგვის. მაგრამ, ალბათ, ეგრეც უნდა ყოფილიყო კაზემატში, არა? თანაც, საბოლოო კონსპიროლოგიური ჭეშმარიტება, ეტყობა, ასევე არის აქოთებული... როგორც ყოველთვის ხდებოდა ანონიმუსთან სტუმრობისას, კეშას აზრები რაღაც გაუკეთურდა.
«მოედანზე ხომ ისვენებს, – იფიქრა კეშამ, მარჯვედ მოეწყო ჯორკოზე, – ჩემი ფეისტოპი მისთვის სანატორიუმივით არის...»
ანონიმუსი კეთილსინდისიერად ეკიდებოდა სამუშაოს. რამდენჯერმე გააჟღრიალა ჯაჭვები – ისე, რომ ქსილოფონზე რაღაც მოკლე მელოდიის მსგავსი გამოვიდა, მერე შეშფოთებით მიმოიხედა და ალაპარაკდა:
– ანონიმუსი – «კონსპიროლოგიური არხი» არაა, როგორც იტყუება მენიუ თქვენს რეტინაზე
. სიტყვა «კონსპიროლოგია» მოგონილია მედიის მენეჯმენტის ბოზანდარების მიერ, რომლებიც დღითი დღე გირეცხავენ ტვინს ღორების საჭმლით, თქვენ კი დაღლილ და მორჩილ მონებად გაქცევენ. ანონიმუსი – ჭეშმარიტების ერთადერთი წყაროა სიცრუის მღვრიე ნაკადში, სადაც თქვენ დაიბადეთ და მოკვდებით! ანონიმუსი. სიმართლის ხუთი წუთი!
ამ ხუთი წუთის მეტწილს, იფიქრა კეშამ, თვითპრეზენტაცია იკავებს.
– ადამიანები, ისევე, როგორც ვირთხები, მურტლად გრძნობენ მომავალს, – განაგრძო ანონიმუსმა, – კაცობრიობის საუკეთესი ფანტასტები ხშირად გამოიცნობენ ხოლმე ახალი საუკუნის ცალკეულ ხაზებს, მაგრამ სასაცილოდ ცდებიან სხვებში... ორუელმა გვაჩუქა სიტყვა «აზრითდანაშაული», მაგრამ სრულიადაც ვერ წარმოიდგინა, თუ რას აღნიშნავდა სინამდვილეში, რადგან მის დროში სექსი მხოლოდ ფიზიკური

კუთხით ჰქონდათ. ანდა გავიხსენოთ, როგორ წარმოედგინათ მომავლის რეალობა მატრიცის ლეგენდის შემქმნელებს. ადამიანი ჩამონტაჟებული იყო საგანგებო კაფსულაში, ხოლო თავს უერთდებოდა ჩამრთველ-ამომრთველი, სწორედ ეს აერთებდა ერთიან საინფორმაციო ქსელთან, რომელიც, სხვათა შორის, იმ წლებში უკვე არსებობდა. გამაოგნებელი წინასწარგანჭვრეტაა! თუმცა, მეორე მხრივ, ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ადამიანს პირადი სივრცე დარჩება სულ უფრო ცოტა, ხოლო კომპიუტერულ ინტერფეისს, ადრე თუ გვიან, კანქვეშ შეუყვანენ. მაგრამ სულერთია – «მატრიცა» იყო გამჭრიახი და ბოროტი სატირა ჩვენს დროზე... ფიზიკური კუთხით განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სითხის მაგივრად ჩვენ დავცურავთ ანტიგრავიტაციული ველისგან შექმნილ უწონადობაში.
ანონიმუსმა ნიღბის კუთხე გაწელა თავის საფირმო, ცინიკურ დაცინვად – რის გამოც კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ იმ ნიღბის მიღმა არანაირი სახე არ იმალებოდა.
– მაგრამ, აი, სადაც ფილმის ავტორებმა განავითარეს ყველაზე ნამდვილი, გამოთქმაზე ბოდიში მომითხოვია და, კონსპიროლოგია – ესაა ორი რეალობის თანაფარდობის საკითხი. ფილმში ადამიანებმა არ იციან, რა ემართებათ სინამდვილეში. ისინი საკუთარ თავს და სხვებს ხედავენ ყალბ რეალობაში, საერთო რომ არაფერი აქვს მათი ფიზიკური სხეულების მდგომარეობასთან, ჩანასახებივით რომ დაცურავენ თავიანთ ბუშტებში. სწორედ ეს გრანდიოზული სიცრუე ქმნის გათავისუფლების შესაძლებლობას... იმიტომ, რომ შეიძლება სიზმრიდან გამოვიღვიძოთ სინამდვილეში, ტყუილიდან – გავიქცეთ რეალობაში... შეიძლება, განვიცადოთ გაღვიძების საშინელება და გავხდეთ რჩეული – ეს მათთვის, ვინც ყველაფერი გაიგო...
ანონიმუსმა ერთ-ერთი თავისი საფირმო გრიმასა გააკეთა – ჯერ ნამდვილი მადლიერება გამოსახა, მერე კი სახის ნაკვთების მცირე მოძრაობით იგი ისეთი მაღალი გრადუსის ცინიზმად გადააქცია, რომ კეშამ თავი ვერ შეიკავა სიცილისგან.
– იმ წლებში ცივილიზაცია გაფართოებული ფინანსური სექტორის უღელქვეშ იჩაგრებოდა. მაშინდელ საზოგადოებაში უთანასწორობის ხარისხი ძნელად წარმოსადგენია

თანამედროვე ადამიანისთვის. მედია იყო ცრუ და პირმოთნე, სოციუმი – იერარქიული. ამიტომ მაშინდელ ფანტასტებს წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ მომავალში ყველანი ისეთივე რჩეულები გახდებოდნენ, უგამონაკლისოდ, როგორიც ნეოა. აი, ოღონდ იატაკქვეშელები მათ შორის, ჰე-ჰე, ცოტა იქნებოდა. დიახ, მეგობრებო, შეიძლება ასეც ითქვას, – ჩვენ მიერთებული ვართ მატრიცაზე. მაგრამ ეს ბრწყინვალედ ვიცით. უფრო მეტიც, ამ მიერთებაში ფულს ვიხდით. და ჩვენ პროფესიონალი იუმორისტებიც კი გვყავს, რომლებიც ამის თაობაზე პურის ფულს შოულობენ – თანაც მათ უღიმღამო და თვითკმაყოფილ სიბრიყვეზე ჩვენ, დიდი ხანია, გულს გვაზიდებს…
ანონიმუსმა ჯერ საკუთარ ხუმრობას გაუცინა – მერე კი, თითქოს შეშინებული, რომ ისიც ერთ-ერთ ასეთ იუმორისტად არ მიიღონ, მოიღუშა.
– ჩვენ, უბრალოდ, აღარ ვფიქრობთ ამ თემაზე, – განაგრძო მან, – და ამიტომ, ნეოსა და მანგუსისგან განსხვავებით, არ შეგვიძლია გაქცევა. გასაქცევი არსადაა. რეალობა დამალული არ არის ჩვენგან სამყაროს ტყუილით. რატომ? ეს საკმაოდ არაეკონომიურია. რეალობა აკრძალული არაა. ის, უბრალოდ, არ ჩანს. ის მოსაწყენია, და მას ფეისტოპის გარეკანის უკან მალავთ. ფიზიკური სამყარო დამალულია ელექტრონული სიმულაციებისა და პოპ-აპების გროვის მიღმა. ჩვენ აღარ უნდა შეგვიყვანო იძულებით ტრანსში ნარკოტიკის კეთებით ანდა ტვინის რიტმზე დასმული აფეთქებებით. ჩვენ თავადვე ვაზომბირებთ საკუთარ თავს – და ყველაზე მეტად გვეშინია, რომ ეს შეჩერდება. ჩვენ შეგვიძლია, ნებისმიერ მომენტში დავინახოთ რეალობა, უგულებელვყოთ მასზე დაფარებული ტყუილი, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ. რატომ? არც არაფერი ვიცით ამ მოსაწყენ და ყოველთვის ერთგვაროვან ბეგრაუნდზე... რე-ალ-ობ-ა. მერედა, რა? რატომ ნეო? საინტერესო არაა...
კეშამ იფიქრა, რომ ანონიმუსი – დაახლოებით ისეთივე მტერია სისტემის, როგორიც Little Sister-ი. «ოპაზიშნ სტაილ», როგორც მღეროდნენ ძველად. უბრალოდ, მისი ამოცანა ისეთივეა, სხვა ნათელ მებრძოლებს რომ აქვთ – თავი მოუყაროს ყველა პრეტენზიას «მენეჯმენტის» მიმართ და გამოძერწოს მათგან მრისხანედ მქუხარე, მაგრამ უვნებელი სიტყვების კომბინაციები, რომლებიც კი არ დაანგრევენ არსებულ

წესრიგს, არამედ ძალზე დამაჯერებლად დაამტკიცებენ – საპირისპიროდან – მის მყარ უალტერნატივობას.
არც არის საკვირველი. სხვანაირად, ფეისტოპზე არავითარი ანონიმუსი არ იქნებოდა. ქაქია ეს ანონიმუსი. ნამდვილი ქაქი. და იმ კუთხით კი არა, რომ არ უხდიან – ნიღბის მიღმა არავინაა – არამედ იმით, რომ კეშას აიძულებენ ანონიმუსისთვის გადახდას. Sharing point-ს ჩამოაწერენ ხოლმე.
კეშამ ოდნავ შესამჩნევად დახარა თავი და ნიღაბი გაჩუმდა. კეშამ უფრო მეტად დახარა თავი და, ანონიმუსი წამში ვარსკვლავურ წვიმად იქცა, მერე კი დაპტარავდა თავის ფეისტოპის ფიგურამდე. სიმართლის ხუთი წუთი დასრულდა. დაიკო პატარა ხომალდებს უშვებდა შადრევანში. დაინახა, კეშა რომ უყურებდა და შებრუნდა. გული მერილინის თავზე ისევ ენთო, მაგრამ კეშას აზრები სულ სხვა მხარეს გაეჩქარნენ. ანონიმუსმა რაღაც საინტერესო თქვა. უფრო სწორად, აზრისკენ უბიძგა.
მართლაც, როდის ნახა ფეისტოპის გადამკიდე კეშამ ფიზიკური რეალობა ბოლოჯერ? გახსენებაც უძნელდებოდა. ანდა, რისთვის? საკითხავია, რა შეიძლებოდა იქ შეცვლილიყო?
და თუკი საგანგებოდ შეეცდება დანახვას – თანაც ახლავე? მაშინვე შეძლებს თუ ვერა? ადრე კეშას შეეძლო ყურადღების გადართვა ძალიან სწრაფად. ეს ერთდროულად ადვილიც იყო და საჩალიჩოც – განსაკუთრებული ხერხით ფოკუსიდან უნდა გამოეყვანა მზერა, თითქოსდა იტალიური მოედნის ქვეშ დამალულიკიდევ ერთი ფონი გამოიცნოო. და მაშინ...
კეშამ თვალები და ნებისყოფა დაძაბა. ეგრე... ეგრე... ფეისტოპი დაიბინდა. მერე თვალების წინ გაცურდა მწვანე ზეწარი, თითქოს იძინებდა. კეშას რამდენიმე წამი ეჩვენებოდა, რომ მწვანე ღრუბლებში მიფრინავს სადღაც. მერე კი...
აბა, რა. აი, ისიც, ისეთივე, როგორიც ყოველთვის.
იქ, სადაც ახლახან იყო შადრევანი და იქვე დაიკო, გამოჩნდა ჰიგიენური ტრეკპედ-მემბრანა
, სოციალური პარტნიორი ქალისგან რომ გამოაცალკევებდა. სწორედ ამაზე ფათურობდა ხოლმე მისი ხელები, როცა კეშა ქვეშ უცხო სხეულს გრძნობდა. მაგრამ დიდი ხნის ვარჯიშით გამოწვრთნილი ნერვების მემბრანასთან შეხება, უკვე დიდი ხანია, გადაიქცა კონტაქტის უინტიმურეს ფორმად.

თავის გაშიშვლებულ ბუნებაში მემბრანა უცნაურად გამოიყურებოდა. ეს იყო მოოქრული, დრეკადი ზედაპირი რაღაც საშუალოსი, გაწელვად ქსოვილსა და ელასტიკურ პლასტმასს შორის – იმისთანა ნაყშით, რომ ფუტკრის პატარა ფიჭებს ჰგავდა. ასე გამოიყურებოდნენ თანრიგოსანთა ფიჭები, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ მემბრანულ მატრიცას, შეექმნა შეხების შეგრძნებები შიდატვინის სტიმულაციების დამატებებში.
მემბრანაზე ჩანდა შავი ზოლები, დატოვებული მისი ხელებითა და ფეხებით, რომლებიც ეხებოდა, ეხვეოდა და მოიცავდა იმას, რაც მის უკან იმალებოდა. თითქოს დივნის დალაქავებული საზურგე იყო ძველებურ love-ოტელში, როგორებსაც ხანდახან კინოში აჩვენებენ. აი, როგორი ხარ, დაიკო, – პირქუშად გაიფიქრა კეშამ, – და ისე აღფრთოვანდა საკუთარი ირონიით, რომ კინაღამ არტიკულირება დაუწყო ამ აზრს...
მერე ხელებზე დაიხედა.
ფრჩხილები მის თითებზე – პატარა რბილი ბალთები იყო, ვერაფერს ჩაეჭიდებოდა – მათი ზომა პატარაობიდან კუპირდებოდა. ხელისგულები და თითები დაფარული იყო რთული ნარინჯისფერი ტატუთი – კანში ჩანერგილი მიკროსენსორები, მემბრანასთან ერთად რომ მუშაობდნენ. მემბრანა იმდენად დამყოლი იყო, რომ ნებისმიერი აკრობატიკისა და კამასუტრის საშუალებას იძლეოდა. იგი მიაგავდა უშველებელ – კეშამ თავი ვერ შეიკავა ამისთანა შედარებისგან – პრეზერვატივს.
თანაც გახვრეტილს. სოციალურ თანამცხოვრებლებს შორის არავითარი პირდაპირი კონტაქტი არ იყო – გარდა «საზოგადოებრივ თვითკვლავწარმოებაზე» კანონით გათვალისწინებული უნივერსალური კოპულატიური ღიობისა AC/DC, რომელიც გათვლილი იყო სტრეიტ და გეიწყვილებზე (როგორ გამოდიოდნენ ამ რთული მდგომარეობიდან ლესბოსელები, კეშამ არც კი იცოდა – ალბათ, არსებობდა რაიმე არატრივიალური მექანიზმი).
კეშა არ იყო ინჟინერ-ნანოტექნოლოგი და, საერთოდ, არ ესმოდა, როგორ დადიოდა აი, ეს, ამჟამად გასაწევით დაფარული ხვრელი მემბრანაზე. მართალია, ხვრელს ჰქონდა წვრილი, შავი რგოლი, და, სახელდობრ, ეს რგოლი

გადაადგილდებოდა კიდეც – როგორც ელვაშესაკრავი, ნებისმიერი მიმართულებით რომ მიდის... თავად ღიობი, ტექნიკურად რომ ვთქვათ, იყო არა მემბრანაში, არამედ შავ დისკში, უბრალოდ, მთელ მის ფართობს იკავებდა, მისგან მხოლოდ კიდეებს ტოვებდა. მაგრამ მომხდარის ფიზიკა მაინც გაუგებარი რჩებოდა.
კეშა მემბრანისგან შემოტრიალდა, ქვემოთ დაიხარა – და დაინახა თავისი სხეული. უწონადოდ ფრენდა სიცარიელის მცირე მოცულობაში – ხან უახლოვდებოდა რბილ, ვერცხლისფერ კედლებს, ხანაც შორდებოდა. ანტიგრავიტაცია. სიმძიმის ძალა პაწუკა მოდულს მაშინვე გადააქცევდა კუბოდ, სადაც ის ცოცხლად გამოამწყვდიეს. ისე კიდევ – უბრალოდ, თავისთვის დაფრინავს სივრცეში...
ეცვა ნარინჯისფერი ჰიგიენური პიჟამა, რაღაც მსუბუქ სკაფანდრსა და ხელ-ფეხზე მოხვეულ, დალიანდაგებულ ხალათს შორის. პიჟამა მუცელზე გახსნილი იყო და აჩენდა ხორცისფერ სქელ, პლასტიკურ საცურაო ტრუსებს. მასზე გამოირჩეოდა შესაკრავის რთული, დაკბილული ჭრილი სიტყვით GooD!® – Google Dick-ის ტრეიდმარკით. თუ დააკვირდებოდით, შეიძლებოდა, გაგერჩიათ პატარა ასოებიც It eels reel GooD, man!
ზუსტად იმ ადგილზე, სადაც დანართის გაშვებისას იხსნებოდა მოლიპული კოპულატიური პორტი.
დიდი ხანი იყო, კეშას არ ენახა თავისი რეკრეაციული ორგანო სამუშაო მდგომარეობაში: რომ გაშვებულიყო Google Dick-ი და ჩართულიყო მიკროჰიდრავლიკა, დამაგრებული კოჭურ-ზამბარული მექანიზმით, ამისათვის ყურადღება უნდა ყოფილიყო ფეისტოპზე. საჭირო იყო გეცქირა პარტნიორისა თუ პარტნიორი ქალისთვის, იდეალში რომ ჩაგერთვებოდა ან ЛАВБУК ИУВКЩЩЬ-დან ან რომელიმე სხვა სოციალურ-ეროტიკული დამატებიდან.
ანონიმუსი მართალია, არავითარი მსოფლიო შეთქმულება. არავინ არაფერს მალავს, ძმაო. შეიძლება დაიძაბო – როგორც ახლა – და ყველაფერი დაინახო.
რად გინდა, რო? განათუ, როგორც ბებრუხანა კსიუ ლაპარაკობდა, ყვავილი თავის ფესვებს უყურებს? ის მზეს ადევნებს თვალს. ჩვენი მზე, ცხადია, რომ ესაა სამი

ცუკერბრინი... მაგრამ მთავარში, რაღა დასამალია და, კსიუ მართალია.
შედარება ზუსტი იყო – მცენარის ფესვი დიდებულად გრძნობდა თავს მიწისქვეშა სიბნელეში, კეშას ბიოლოგიურ სხეულსაც ასევე არ სჭირდებოდა ყურადღება. ცხოვრების დაბალ ფიზიკურ საფუძველს ჩვენს დროში შეუძლია არსებობა, ისე, რომ თავს თითქმის არასდროს შეგვახსენებს – ახლა კეშა, არსობრივად, იყურებოდა რეალობის კანქვეშ.
სქელი, პლასტიკური პამპერსი, კედელთან მიერთებული რამდენიმე სხვადასხვა ფერის შლანგით, მხოლოდ გამონაყოფს კი არ იწოვდა, არამედ ინარჩუნებდა სხეულის ღიობების სისუფთავეს, კანს კვებავდა წყლითა და ჟანგბადით. პლასტიკური შესქელებები იღლიების ქვეშ ოფლს შეიწოვდა და გარდაქმნიდა მათ ნაძვის წიწვების ძლივს შესამჩნევ არომატად – კეშას რომ ამოერჩია კატალოგის მრავალი ათასი სურნელიდან. კაპილარული ბიოდოლბანდი, ხელებსა და ფეხებს რომ ეხვეოდა, ყოველთვის ავარჯიშებდა კუნთებს, ელექტრული მუხტებით მათ აიძულებდა, შეკუმშულიყვნენ. არავითარი ნაწოლი, არავითარი ჭუჭყი. მარადიული სინორჩე. აი, როგორ აღსრულდა ყველა უსაქმურის ძველისძველი ოცნება – მოდუნდე და სიზმრები ნახო მთელი ცხოვრება, ჯანმრთელობისთვის უვნებლად.
კეშა წამით შეყოვნდა, მერე კი თვალები ასწია – და თავგადაგდებული მიაჩერდა მაღლა დაკიდებულ მრგვალ სარკეს.
საერთოდ, რომანტიკულადაც კი გამოიყურებოდა.
ლოყებსა და თავის ქალაზე სამდღიანი ჯაგარი მოსდებოდა – ეპილაციური მოდული მუშაობის მინისიხშირეზე იყო მომართული. პირსა და ცხვირს უფარავდა მფრინავის ნიღბის მსგავსი სისტემა LifeBEat, ორგანიზმამდე რომ მოჰყავდა უსუფთავესი ჰაერი, წყალი და მილები საჭმლით (BEat – იშიფრებოდა, როგორც breath&eat, ზედაც ზმნა, როგორღაც რომ იჭერდა გულის რიტმს, და კიდევ, გასაგებია, BE – what you truly are, პატარა დაიკო ტყუილის უფლებას არ მოგცემს). საკვები ერთნაირია ყველასთვის – ნახევრად თხევადი საჭმელი: უჯრედისი, ცილები, პროტეინები, ნახშირწყლები, ვიტამინები და მინერალები. გემო კიდევ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად

მზად ხარ შერინგ პოინტსების დასახარჯად. კუს სუპის უფლებას ყველა ვერ მისცემს საკუთარ თავს.
საპირეს ყველაზე საინტერესო ნაწილი, რასაკვირველია, არც სამედიცინო რეცეპტორებია და არც სტომატოლოგიური მოდული – არამედ კოცნების სტიმულატორი and more… ეს როგორ მუშაობდა, კეშას ბუნდოვნადაც ვერ წარმოედგინა. სამაგიეროდ, ინფორმაციული რეალობის მთავარი დასაყრდენი, ფეისტოპის «რკინა», ძალზე შეუხედავად გამოიყურებოდა. უბრალოდ, არც როგორ. ნაცრისფერი პლასტიკის ვიწრო ზოლი თმის ქვეშ. ღრმად, ტვინში მიმავალი ელექტროდის მიმღები, დახვეული იმავე ბიოპლასტმასზე, რომლისგანაც გაკეთებულია პამპერსი დუნდულებზე. ოღონდ პამპერსიდან გამოდის სადენები და შლანგები, ხოლო ფეისტოპზე არაფერიც არაა... არა, რაღაც-რაღაცები არის. პატარა ღიობი წვრილი წარწერით for professional use. მერამდენედ აპირებდა კეშა, გაეგო, რისთვის იყო ეს ღიობი – და სულ ავიწყდებოდა.
არავითარი სადენები და შლანგები ფეისტოპიდან არ გამოდის. იმიტომ, რომ ტვინი არ ქაქავს. მასში ქაქავენ... ეს კი დიდი ხანია ისწავლეს, უსადენებოდ. კეშა რომ მდიდარი ადამიანი ყოფილიყო, შეიძლებოდა ტვინში ჩანერგილი ელექტროდის გარეშეც იოლას გასულიყო, მაგრამ არაინვაზიური ტექნოლოგიები ძვირი ღირს, თანაც მაშინ აქ კი არ იცხოვრებდა. ხოლო საბაზისო ფეისტოპი შეიძლება დაიდგა საზოგადოებრივ ანგარიშზე. უფრო სწორად, კი არ დაიდგა, არამედ გაზარდო. აი, როგორც ხე. თესლს დათესენ შუბლზე. და ის დელიკატურად ჩაიზრდება ტვინში, თავადვე მოძებნის ცენტრებს, რომლებშიც უნდა ჩაერთოს. ყველაფერი მეცნიერულადაა და უსაფრთხოდ, კეშას უფლებები რვაჯერადად არის დაცული.
მთლად გასაგები არ იყო, რატომ ეძახდნენ ფეისტოპს ასე – უკეთესად მოერგებოდა headtop-ი. ყოველ მხრივ. ჯერ ერთი, სისტემა იტვირთება სწორედ თავში, და არა სახეში. მეორეც, სახელ facetop-ს უფრო მეტად LifeBEat-ის სისტემის საპირე იმსახურებს, ვიდრე ეს ნაცრისფერი ზოლი შუბლზე. ეტყობა, უბრალოდ, მემკვიდრეობით მიიღეს ტერმინოლოგია მორდორისგან და მისი მორდო-წიგნისგან.

კანი, რაღაცნაირად, სულ ფერმკრთალია... მაგრამ, როგორც ამბობენ, ასე ჯობს – ულტრაიისფერი აბერებს. თუმცა, მეორე მხრივ, ვისთვის უნდა ვიპრანჭოთ?
შუბლშეკრულმა კეშამ გადაათვალიერა თავისი პატარა ბოქსი. «კუბოა, – იფიქრა მან, – რბილით გამოკრული. თავი რომ არ გაიტეხო...»
ეს, რა თქმა უნდა, გაზვიადება იყო. პირადი სივრცის მოცულობა მართლა ვერ ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას. მაგრამ, სამაგიეროდ, კეშას წინაშე იყო მემბრანა, რომლის იქით მერილინს ეძინა. ასე რომ, მაინც არაა კუბო. სოციალური თანამცხოვრებლები კუბოში არ არიან. თუკი არ ჩავთვლით, რასაკვირველია, ბულვარულ ლიტერატურას.
კეშამ წვალებით მოაბრუნა თავი.
მაგიდის ბადეში ეწყო მისი პერსონალური აითემები. ეგეთებიც არ არის კუბოში. თუ ადრე, ოდესღაც დადებდნენ ხოლმე? თაგვი. პატარა პლუშის თაგვი. მასთან დაკავშირებულია რაღაც თბილი ინკუბაციური ბავშვობიდან – მაგრამ ვეღარ გაიხსენებ. ეგეთი აქვს ყველა რუს კრეკლს (კეშამ არ იცოდა, რას ნიშნავს სიტყვა «კრეკლი» – ეტყობა, ეს სიტყვა მიუთითებდა მათზე, ვისაც პერსონალურ აითემებში აქვს ამისთანა თაგვი, თუმცა ჟღერადობით, რასაკვირველია, უფრო შეეფერებოდა, სიტყვა იხვი). პლასტმასის მეზღვაური ზოლიან მაისურში. ეს, მგონი, თაგვის მერე იყო – თუმცა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ აღარ ახსოვდა. და მანქანა. ცისფერ-ყვითელი სპორტული ბოლიდი, ისიც მსუბუქი პლასტმასისგან.
მახსოვს, ვიღაც – ეტყობა, ფილოსოფოსი იან გუზკა, – ამბობდა, რომ პერსონალური აითემები საჭიროა საფუძვლიანი იდენტურობისთვის პოლისექსუალური მულტიკულტურალიზმის პირობებში. რათა ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი გამხდარიყო, მოსწყვეტოდი ამაოებას და ფესვებს დაჰბრუნებოდი. ამიტომ ყველა რუსს – თაგვი, ხოლო ყველა ფრანგს – მამალი. აბა, სხვანაირად როგორ გვახსოვდეს, ვინ ვართ სინამდვილეში?
– და ვინ ვართ სინამდვილეში? – იკითხა კეშამ.
და მაშინვე გაიგონა საკუთარი ხმა. ტუჩები და ენა უმოძრაოდ რჩებოდა – ფეისტოპს თავად გადაჰყავდა არტიკულირებული სალაპარაკო ინტენცია ბგერათა რიგად და დაყოვნების შემდეგ

გზავნიდა ტვინის სასმენ ზონაში. მაგრამ კეშას ეს მხოლოდ იმ წუთებში აგონდებოდა, როცა სახეზე გაკეთებულ სიცოცხლის უზრუნველყოფის საპირეს ხედავდა. ეს კი მეტად იშვიათად ხდებოდა.
და კარგია, რომ ეგრეა. რეალობის უდაბნომ უკვე გადაღალა – იგი აგონებდა ციხის საწოლის რკინის ბადეს ფილმებიდან ადამიანების ტოტალიტარულ წარსულზე. საბედნიეროდ, არაფერი უნდოდა მის დაფარვას უმაცდურესი ზეწრით.
კეშამ ყურადღება ფეისტოპზე გადაიტანა, რომელიც პირადი მოდულის დათვალიერების დროს გადაიქცა თვალწინ ბუნდოვნად მოციმციმე ლაქებად. თავიდან ლაქებს არაფრით უნდოდათ გაცოცხლება და აზრით შევსება. მერე კი მასში რაღაც დამორჩილდა, და ისევ დაინახა მოედანი, შადრევანი და მისკენ საყვედურით გამომზირალი Little Sister-ი. ის ყოველთვის იღუშებოდა, როცა ფეისტოპს უყურადღებოდ ტოვებდნენ.
კეშამ დახედა დამატებების ავატარებს. ისინი ჭადრაკის დაუმთავრებელი პარტიის ფიგურებს ჰგავდნენ. კეშას მზერა დაეცა ბებრუხანა კსიუს.
შეიძლებოდა ბებრუხანას მონახულება. იმიტომ კი არა, რომ უსაზღვრო სიბრძნე მოენატრა – უბრალოდ, არასოდეს იყო ზედმეტი საინფორმაციო კოსმოსში რამდენიმე კურდღლის მარყუჟი გაეკეთებინა, რათა რაც შეიძლებოდა, აერია კვალი მეტათარიღისთვის – ყველა ეს «ვინ, როდის და ვისთან», ყოველწამიერად რომ აფიქსირებდა სისტემა.

მეტათარიღი

ბებრუხანა კსიუ პატარა იყო. ფეისტოპზე რომ იდგა, გასაშლელ ქოლგას ჰგავდა: მისი ძირს დაშვებული ყვითელი ქლამინდი მოგაგონებდა გადასაკრავს, ხოლო მაღალი, ოქროს ტიარა, ბრტყელი სახურავით – სახელურს.
ეს ქოლგა საკმაოდ ჩახლართულად იხსნებოდა.
როგორც კი კეშამ თავი დაუქნია ბებრუხანა კსიუს, ფეისტოპი სიბნელეში გაქრა, ბებრუხანას ადგილას გაჩნდა ოქროსგან ჩამოსხმული, მაგიური სიმბოლო – როგორც ჩანს, მარცვალი «ომ» (კეშა დარწმუნებული არ იყო). სიმბოლომ თვალისმომჭრელად გაანათა – როცა, ბოლოს და ბოლოს, სინათლემ დაიკლო, კეშამ დაინახა დიდი დარბაზი, მოზაიკური იატაკით. შემაღლებულზე იდგა ცისფერი ტახტი, ოქროს

ვარსკვლავებში. ტახტზე კი იჯდა ბებრუხანა კსიუ – ჭაღარათმიანი, სუფთა და დაუჯერებლად, ლამის გამჭვირვალობამდე ძველი (არც არავინ იცოდა, როდის იყო გადაღებული ეს ინფორმაციული ნაძერწი).
ახლა მისი ქლამინდი ეფინა ტახტზე და გადადიოდა სხვადასხვა ფერის იეროგლიფებში, ხოლო თავზე ტიარა ციმციმებდა, როგორც Google Dick-ი აღმავლობის შემდეგ – ყოველ შემთხვევაში, თუკი დავუჯერებდით ხმოვან ბრძანებას ინიციალიზაციაზე.
«აი, ფეისტოპზე ეგრე ვერ გაიფოფრები, – იფიქრა კეშამ გაუგებარი ავისმოსურნეობით, – იქ ხომ სიკაშკაშესაც არეგულირებენ და ზომასაც... რომ ვინმე მეტისმეტად არ ამოვარდეს ჩვეულებრიობიდან...» იქვე გაიხსენა, რომ სულიერ მასწავლებელთან ნაყოფიერი კონტაქტისათვის აუცილებელია, განიცდიდე ნდობას და სიყვარულს – და შეეცადა, სულში ეს გრძნობები გაეჩინა.
ბებრუხანა კსიუ სულიერი ლამპარი იყო – და არ შეეძლო საკუთარი თავის რეკლამირება ანონიმუსივით. მაგრამ მის დასახმარებლად მოვიდა ანონიმური მამაკაცური ბასი, საზეიმოდ რომ გაისმა ტახტის იქიდან (თითქოს იქ იმალებოდა ბებრუხანას ერთგული მამლუქი):
– ბებრუხანა კსიუ, ათასწლეულის თანატოლი – იცხოვრა დაუჯერებლად გრძელი და საოცრად სავსე ცხოვრებით. გამოიწვა კოოპერატივებისა და რევოლუციების ქურაში, გაწბილდა მიწიერი გზებით, მერე, მრავალი წელი მიმართავდა მედიტაციას ჰიმალაისა და ტიბეტის საუკეთესო გამოქვაბულებში, სადაც მოიპოვა ზღვარსმიღმიერი სიბრძნე, რომელსაც ახლა გაუზიარებს მაყურებელს. საათში თითო სიბრძნე!
ბებრუხანა კსიუმ მორცხვად დააკანტურა თავი, თითქოს რცხვენოდა ასეთი რეკომენდაციისა. მერე განაწება მშრალი ტუჩები და თქვა:
– ადამიანი საკუთარი შინაგანით მიაგავს კინოფილმს, რომელსაც არავინ უყურებს. ეს ბევრმა იცის. მაგრამ რა ხდება, როცა შთაბეჭდილებების ნაკადში, განსაკუთრებული სულიერი პრაქტიკების მეოხებით, ჩნდება «ტრანსცენდენტური დამკვირვებელი»? არც არაფერი! მხოლოდ და მხოლოდ –

იწყება კინოფილმი ამ ტრანსცენდენტურ დამკვირვებელზე, რომელიც უცქერს შთაბეჭდილებების ნაკადს. სამწუხაროა, მაგრამ მეორე კინოსაც ზუსტად ისევე არავინ უყურებს, როგორც პირველს. ოღონდ ეს იცის ძალიან, ძალიან ცოტამ. რომელზედაც კინოს, სხვათა შორის, ასევე არავინ უყურებს... ჰოდა, არის თუ არა გამოსავალი?
ბებრუხანა კსიუ გაჩუმდა – და რამდენიმე წამი ელოდა, კეშა ხელს ხომ არ მოუწერდა ფასიან გაგრძელებაზე.
მაგრამ კეშამ სხვა მხარეს დახარა თავი.
– გმადლობ, კსიუ, – თქვა მან, – დღეისათვის საფიქრალი მასალა უკვე არის. და მე, რაღა დასამალია და, ისევ ვერ შემოვედი... მაგრამ სულერთია, ჩვენ მაინც გვიყვარხარ.
ბებრუხანა კსიუმ ტიარა დაიქნია.
– ეს იყო ქადაგება თხუთმეტი და ნულ-ნულიდან, ჯი-ემ-ტი, – თქვა მან, – ომმ!
ოქროსვარსკვლავებიანი ცისფერი ტახტი სინათლის ოკეანეში ჩაიძირა. უფასო სიბრძნე მოკლე იყო და, აქ რანაირად უნდა ითქვას, ვერ აკმაყოფილებდა ბოლომდე. შესაძლოა, განგებ მოაწყვეს ასე, რათა კლიენტი ჩაეთრიათ ფასიან კონსულტაციაში. ოღონდ, ზუსტად ასევე, ვერც სრული ფასიანი სიბრძნე აკმაყოფილებდა. ეს კეშამ გამოცდილებით იცოდა.
– ბებრუხანა კსიუ! – გაიმეორა ხალისიანმა მამაკაცურმა ბასმა, – ერთი საზღვრის მიღმიერი სიბრძნე ერთ საათში!
მარადიულამდელი სინათლის ნაკადებიდან ამოყვინთულმა კეშამ ისევ დაინახა ფეისტოპი, თავისი ფიგურებით.
კიდევ უნდა გაეკეთებინა ორი-სამი შესანიღბი მარყუჟი. მეტი არც ღირდა – მეტათარიღში მეტისმეტად უჩვეულო პატერნების გამო, სისტემა შეიძლებოდა მიმხვდარიყო, რომ კეშა ასულელებდა. უნდა ემოქმედა ერთგვაროვნად, რათა დღევანდელი დღე ჰგვანებოდა გუშინდელს – რაც არ ესმით ხოლმე მავან დამწყებ კონსპირატორებს.
ცოტა ფიქრის მერე კეშამ თავი დაუქნია ბიბლიოთეკარ ბორხესს – მოხუცს ცისფერ აკადემიურ მანტიაში, ტყავის დიდი ფოლიანტით იღლიაში.
მოედანი ამტვერდა, გაიდღაბნა სხვადასხვა ფერის ღრუბლებად, და მოხუცი, პირდაპირ კეშას წინ რომ აღმოჩნდა, რამდენიმე წამში შეეზარდა ჩრდილებიან სათავსს, ალქიმიურ

ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკას შორის რაღაც საშუალოს – კედელზე ჩამოკიდებული ხვლიკების ჩონჩხებითა და ტყავის წიგნებით სავსე მტვრიანი კარადებით.
მოხუცი სავარძელში ჩაჯდა და მოსულსაც იქვე მდგომისკენ მიანიშნა. კეშა მის საპირისპიროდ მოეწყო, და მოხუცის თავზე აენთო ოპცია:
ARTICULATION / SILENT MODE
კეშამ მარჯვნივ დაიქნია თავი. SILENT MODE უფრო უსაფრთხო იყო. ამას გარდა, მოსწონდა, ბიბლიოთეკარის მუნჯი პასუხები როგორ შედიოდა მის ცნობიერებაში – მომხდარი მიაგავდა ტელეპათიას, და რომ არა სადენები თავში, კეშას შეეძლო დაესკვნა, რომ სწორედ ესაა ტელეპათია.
კითხვის დასმის დრო იყო. კეშამ ფიქრიანად გადაატრიალა თვალები ზემოთ და ჭერში დაინახა ფრესკა ანგელოზებით. ანგელოზებს რატომღაც ორმაგი ფრთები ჰქონდათ, როგორც ჭრიჭინებს – ზედა წყვილი მწვანე, ხოლო ქვედა – წითელი. ისინი საღამოს ცაში ტრიალებდნენ სამი მზის ირგვლივ.
«ცუკერბრინები», – მიხვდა კეშა.
ბიბლიოთეკარმა ეს აზრი შეკითხვად მიიღო. კეშა წინააღმდეგი არ იყო. ბიბლიოთეკარმა სთხოვა, დაეზუსტებინა, რა აინტერესებს კეშას – ტერმინის ისტორია, მისი სხვადასხვა გაგება თუ ახლანდელი მნიშვნელობა. კეშამ, ბუნებრივია, იცოდა, რას ნიშნავდა ტერმინი დღეისთვის – მაგრამ გონებაში მხრები აიჩეჩა, ანუ, – ყველაფერი მაინტერესებსო.
«სურათებით?» – ჰკითხა ბიბლიოთეკარმა. «მაშ, როგორ...», – მიუგო კეშამ.
სანამ ბიბლიოთეკარი ტვინს იფხანს, შეიძლება ჩავთვლიმოთ კიდეც: მომსახურება უფასოა. კეშამ თვალები დახუჭა და მოდუნდა, და მის ტვინში ჭავლებად წამოვიდა ინფორმაციის ღიტინა ნაკადი.
ცუკერბრინები, გაიგო კეშამ, ესაა ტერმინი, რომელიც გამოჩნდა ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში. იგი შეიქმნა მაშინდელი ინტერნეტის ორი ტიტანის – ცუკერბერგის და ბრინისგან, და ნიშნავდა რაღაც მეტაფორულ მაყურებელს – თითქოსდა ეკრანისმიღმიერ მეთვალყურეს, მომხმარებელს რომ უყურებდა საიდუმლოდ ჩართული პლანშეტის ანდა კომპიუტერის კამერიდან...

ერთიმეორეზე მიწებებით, როგორც აფიშებმა ტუმბოზე, კეშას მხედველობის არეში ადრეული ციფრული საუკუნის გიგანტების ფერადმა ფოტოებმა დაიწყო გამოჩენა. თითოეული მათგანის ქვეშ ხელმოწერა იყო.
სერგეი ბრინი, პოდიუმზე მოსეირნე GOOGLE-ის ციფრული სათვალით. მარკ ცუკერბერგი რომაულ ტოგაში (იმპერატორ ავგუსტუსს ჰგავს). ევგენი კასპერსკი, საბლით რომ მოჰყავს ახალგაზრდა ლეოპარდი. ანტონ ნოსიკი თავისი მომაჯადოებელი დოლბათი და ოთხი მშვენიერი ბავშვით.
კეშა ვარაუდობდა, რომ სიას ადგენენ პოლიტკორექტული მოსაზრებებით, ცდილობენ მასში ჩასვან ძველი რუსული კულტურის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი – ასე რომ, შეუძლებელია მივხვდეთ, ვინაა თანამემამულეებს შორის ნამდვილი ტიტანი და ვინ – პატარა კაპო
მსოფლიო ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკში. მეტ-ნაკლებად ცნობილი პერსონაჟი, მგონი, ეს ნოსიკი იყო – კეშამ სადღაც მოისმინა ანდაზა: «ყოველ ეშმაკ ნოსიკს თავისი ვან გოგოლი ჰყავს სამართებლით». ასე იყო თუ ისე, უსათუოდ, სხვა ლოკალიზაციურ ენაზე სია სხვანაირი იქნებოდა – და კეშა მაინც ვერავის იცნობდა.
მერე, უხმოდ აგრძელებდა ბიბლიოთეკარი, სიტყვას «ცუკერბრინი» გაუჩნდა სხვა, უფრო პირქუში მნიშვნელობა. იმ წლებში უკიდურესად გავრცელებული იყო ქსელური პორნოგრაფია, კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს სექსუალური ცხოვრების იაფ სუროგატად რომ ემსახურებოდა. ცუკერბრინები შეარქვეს ბოროტ სულებს – სუკუბებს, რომლებიც იტაცებენ ადამიანურ სასიცოცხლო ძალას, დახარჯულს ინტერნეტ-მასტურბაციის დროს. ივარაუდება, რომ ეს ცნება შემოიღო ეკლესიამ, რომელმაც შემოგვთავაზა მომსახურების ფართო სპექტრი გაჯეტების გასანათლად და კონკრეტული ქსელური მისამართის მძერწავი ცუკერბრინების წინააღმდეგ IP-ეგზორციზმების ჩასატარებლად.
ამჯერად ცოტა უცნაური სურათები გამოხტა – ახალგაზრდა მღვდელი თეთრ თავსარქველში, რომელიც კითხულობდა ლოცვას ცისფერ ეკრანთან რაღაც წვრილი, თეთრი ტექსტით (წარწერა: «ფაიარვოლი
ეშმაკისთვის დაბრკოლება არაა»), მერე კი – იატაკი სისხლის

ლაქებითა და გასრესილი GOOGLE-სათვალით (წარწერა: «ვოლგოგრადის ღამის კლუბის «მეექვსე არმიის» სტუმრებმა ჩამოადგეს აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს კიდევ ერთი სადაზვერვო დრონი»). მერე კეშამ დაინახა უშველებელი ყურბელა, მორიელის საცეცებით – მართლმადიდებელი მღვდლის აზრით, ასეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ცუკერბრინები.
თუმცა, განაგრძობდა ბორხესი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე კულტურულ ისტორიაში, წლების განმავლობაში ამ სიტყვამ დაკარგა საწყისი მნიშვნელობა და ნეგატიური კონოტაციები. იგი გადაიქცა ახალი ფილოსოფიის ტერმინად, სხვას რომ აღნიშნავს (არ ავურიოთ «მეორეს, მეორეში»). გაჩვენოთ ფილოსოფ. მნიშვნ.?
საჭირო არაა, მიუგო კეშამ.
კეთილი. ხელისუფლება შეიძლება გადავიდეს ერთი ცუკერბრინიდან მეორეზე ანდა მესამეზე წამში შვიდასჯერ – და თითოეულ ჯერზე მიაღწიოს ურთულეს კომპრომისს სამივე პოლიტიკურ პლატფორმას შორის, რაც საშუალებას გვაძლევს, შედარებით სრულად გავითვალისწინოთ რეალურ დროში მოქალაქეთა განწყობა. დიდი ხანია, არც ერთ ყველაზე ჭკვიან და სწრაფ პოლიტიკურ მიმომხილველს აღარ შეუძლია თვალი ადევნოს ამ პროცესებს იმ სიჩქარით, როგორითაც ისინი მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში, ადამიანის გონებისათვის პოლიტიკა მხოლოდ იმ სფეროშია მისაწვდომი, რომელშიც მიმდინარეობს ახალი ალგორითმების განხილვა. თავად პოლიტიკური პროცესი კი... გადაახვიე... შეადარა ცუკერბრინები სამ მუდამ ცვალებად ბუღის თავს, რომლებიც ყოველწამიერად ღრღნიან რეალობას, რათა გამოაღვიძონ სინათლისკენ მიმავალი... გადააახვიე... ამიტომ, ცუკერბრინებს ყოველთვის ერთად გამოსახავენ: ზუსტად არასოდეს არაა ცხადი, ამ ალგორითმებიდან რომელი წარმოადგენს მოცემულ წამში უმაღლეს ხელისუფლებას. დასასრული.
კეშამ ორჯერ დახარა თავი მარცხნივ. ბიბლიოთეკარმა დახურა ფოლიანტი, ბიბლიოთეკა უკან წავიდა, შევიწროვდა და ჩაქრა, და კეშა ისევ ფეისტოპზე აღმოჩნდა.
მომდევნო არჩევანი უბრალო იყო.
ბებრუხანა კსიუს შორიახლოს, ფეისტოპზე იდგა წვერიანი

ბატონი ტროსტით, სმოკინგსა და ბაბთა-ჰალსტუხში, მის ქვეშ ეკიდა მძიმე ჯვარი, რომელიც ჰალსტუხთან ერთად სპილენძის ნემსიყლაპიას ჰგავდა. უცნობი მხატვრის აზრით, ასე უნდა გამოიყურებოდეს მოთამაშე (ლოკალიზაცია, დოსტოევსკი, ლოკალიზაცია), მაგრამ კეშას ეს პერსონაჟი უფრო მეტად ღვთისმოსავ ვამპირს აგონებდა. კეშამ თავი დაუქნია მოთამაშეს – და იმანაც ტროსტი გაიქნია და თავის საქაღალდეში წაიყვანა.
ეს იყო თითქოსდა ფეისტოპი ფეისტოპის შიგნით: ბაბილონის თამაშთეკა, ბნელი სიცარიელე, რომელშიც თანაბარ რიგებად ეკიდა სხვადასხვა ფერის სათამაშო სფეროები. მათი გამოძახებით შესაძლო იყო სხვადასხვა სივრცეში ჩახედვა. მოთამაშის სამყაროში ბევრი საინტერესო ხდებოდა. ტანკოსფეროში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი ბრძოლა ბრანდერბურგის კარიბჭესთან, სადაც ათეულობით ჩაჭყლეტილი ИС-6 სიკვდილის ფურთხებს ესროდა სამ ნაცრისფერ «მაუსს». ამერიკული და იაპონური ფლოტები ერთიმეორეს გადაყროდნენ უცნობ ატოლთან ბრძოლის შედეგი ცხადი არ იყო, რადგან იაპონელების გუნდი ამას წინათ დააგრეიდა ქულებით, და ახლა იმპერიას ჰქონდა ატომური ბომბი. მჟავის ლორწოთი გამოძერწილი «ალენები» შეტევაზე მიდიოდნენ ჯვაროსნებისკენ – როგორც წესი, «ალენების» უკან ყველა სლოტი დაკავებული იყო, თავისუფალი რჩებოდა მხოლოდ ჯვაროსნების უკან
მოკლედ, შეიძლებოდა გეპოვა შენთვის უამრავი სხვადასხვა ხერხი. დაშვებული იყო, რომ, უბრალოდ, დაჰკვირვებოდი მომხდარს ვისიმე თვალებით – ადამიანთა ჯგუფი უფასოდ აშეარებდა თავის სათამაშო გამოცდილებას. კეშა აპირებდა ტანკოსფეროში შემძვრალიყო, მაგრამ უცებ შემაშფოთებელი ზუმერი გაიგონა.
საერთო-სისტემური შეტყობინება (ანუ, როგორც პადიტები ამბობენ, ბრაჰმინი სწავლულები ინდოეთში, «ცუკერბრინის სიტყვა»). ჩვეულებრივ, ეს შეტყობინებები ეხებოდა ხოლმე ყოველგვარ ახალ უხერხულობებსა და უსიამოვნებებს. როგორც ადრე ამბობდნენ, განგაში. ყველა უნდა შეიკრიბოს. კეშამ გინებ-გინებით გასწია უკან, ფეისტოპზე. თუმცა სამთავრობო შეტყობინების თემა მანამდე წამოეწია, ვიდრე

ნაცნობ იტალიურ მოედანზე გამოვარდებოდა:
WAR ON WAR
როგორც ყოველთვის, ლოკალიზაციაში ჩაისვარეს. WAR ON WAR – უბრალოდ, სიახლეების ანტიტერორისტული გამოშვებაა. ეგრე არ უნდა ეჩქარა.
სხვათა შორის, გამოშვებებს ჰქონდა ერთი სასიამოვნო შტრიხი. სიახლეებს დეფოლტით კითხულობდა ფეისტოპის თანაშემწე – ანუ, მის შემთხვევაში, Little Sister-ი. რაღაც ბოლომდე ამოუცნობი მიზეზით ეს ყოველთვის რამდენიმე საათით შეარიგებდა ხოლმე დაიკოს კეშასთან.
დაიკო უკვე იდგა შადრევანთან, ხელში ბუკით. კეშა რომ დაინახა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეამჩნია (სინამდვილეში, რასაკვირველია, ყველაფერი პირიქით იყო – კეშას, საერთოდ, ვერ ხედავდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დაინახა, მაგრამ თავს იკატუნებდა, რომ ვერ ხედავდა – ოღონდ, სჭირდება კი ადამიანს, ყვინთოს ასეთ სიღრმეებში?), ასწია ბუკი, გრაციოზულად გადაიხარა და მჟღერად, მხნედ გაახმამყივარა.
ბუკის ხმაში იყო რაღაც მოწეწკილ-საწყენი. თუკი გულბოროტი ფსიქოლოგებისა და ასეთივე ჰიპნოზიორების რომელიმე კომპანია შეეცდებოდა, საგანგებოდ დაესინთეზირებინა ბგერა, რომელიც შეახსენებდა კეშას, რომ ახალგაზრდობა, უდარდელობა და სილამაზე – თვითონ აღარ არის, – ალბათ, ასეთ ხმას მიიღებდნენ. თუმცა, მეორე მხრივ, გაუგებარი იყო, მაშ, ეს ვისი ახალგაზრდობა და სილამაზეა, თუკი დაიკო მთლიანად შექმნილია მისი აზრებისგან, და არავითარი სხვა მატერიალურობა არ გააჩნია... ალბათ, ბებრუხანა კსიუ შეძლებდა ამის ახსნას. ოღონდ გაიგებდა თუ ვერა, კიდევ საკითხავია.
დაიკომ დაუშვა ბუკი და დაელოდა, სანამ მოედანზე მდგარი დამატებები შემობრუნდებოდნენ მისკენ, მერე თქვა:
– განსაკუთრებული განცხადება! საზოგადოებრივი უშიშროების კომისია აცნობებს მოქალაქეებს, რომ ბატუ კარაევის ახალი ტერაქტის ალბათობა უახლოესი ხუთი დღეღამის განმავლობაში გაიზარდა ოცდახუთ პროცენტამდე! საფრთხის ფაქტორი ყვითლიდან ნარინჯისფრამდეა აწეული! თუ თქვენ გინდათ, რამე იკითხოთ ტერორისტ ბატუ კარაევზე და

საფრთხეზე, რომელსაც ის წარმოადგენს საზოგადოებისთვის, მე აქ ვარ, რათა მოგეხმაროთ...
დაიკო განცხადებას რომ აკეთებდა, კეშას არ უყურებდა, არამედ თითქოსდა ელაპარაკებოდა დამატებებს, ყურადღებით და მღელვარედ ათვალიერებდა მათ სახეებს – რის გამოც კეშამ რამდენიმე წამით მოედანზე ერთ-ერთ მდგომად იგრძნო თავი. ეს საშიში იყო, რადგან ძალიან აქვეითებდა პირად სტატუსს. მაგრამ შიშმა მალევე გაიარა. კეშამ იფიქრა, შესაძლებელია განმარტოება დაიკოსთან ერთად სადმე ნესტიან, ცივ ადგილას და კარაევზე მოსმენა. თუმცა მოთხრობა, რასაკვირველია, მოსაწყენი იქნება. მთელი ეს ცუკერბრინ-განცხადებები – ჩვეულებრივი პროპაგანდაა და ტვინების გამორეცხვა.
ხელი დაუქნია დაიკოს.
– მინდა, კითხვა დაგისვა, – თქვა მან, – ოღონდ აქ არა. წამო, კინოდარბაზში წავიდეთ, გოგონი. იქ მომიყვები.
მოედანი აფეთქდა ყვავილების ზიგზაგებად, და კეშა დაიკოსთან ერთად აღმოჩნდა კეშას საკუთარ კინოდარბაზში – სადაც ის მიდიოდა ხოლმე ძველი, ორგანზომილებიანი ფილმების სანახავად. ეს იყო დიდი ოთახი, ტყავის რბილი დივნებით და სავარძლებით. გადმოღებული ვიღაც ძველი რუსი ოლიგარქის იახტის კინოდარბაზიდან. სავარძელი ბევრი იყო, იმ შემთხვევისთვის, თუკი კეშა მეგობრებთან ერთად მოინდომებდა კინოს ნახვას, მაგრამ მთელი ეს დრო კეშამ მხოლოდ ერთი-ორჯერ მოიყვანა აქ მერილინი – საოჯახო საძინებლის ბმულიდან. და ორივეჯერ მერილინმა შუა ფილმზე დაიძინა.
დღეს დაიკო განსაკუთრებით საყვარელი ეჩვენებოდა კეშას. ის, უეჭველად, ყველაფერს გრძნობდა (რასაკვირველია, სინამდვილეში ის თავად იყო... და ა. შ. და ა. შ. მაგრამ განა დასაშვებია, ეს ცოტა ხნით დაივიწყო?) და კეკლუცობდა: ისე იქცეოდა, თითქოს მისი ერთადერთი ამოცანა იყო, კლიენტამდე მიეტანა მოთხოვნილი ინფორმაცია.
საქმე, რასაკვირველია, სწორედ ასე იყო. კეკლუცობა გახლდათ ამის ჩვენება ეგრე დაჟინებით.
კეშა რბილ და დაბალ დივანზე დაჯდა, ეკრანის წინ. ადგილი, ზუსტად, ორისთვისაა... დაიკომ გადააბიჯა ეკრანისკენ და მის განაკიდეზე დადგა, კეშასთვის რომ არ დაეფარა

გამოსახულება.
სინათლე ჩაქრა და დარბაზში თითქმის დაბნელდა. სიბნელე და Little Sister-ის სიახლოვე აფორიაქებდა – მაგრამ მერილინის გარეშე დაიკო ფიზიკურად მიუღწეველი რჩებოდა. მასთან მიახლოება მხოლოდ ერთი-ორ მეტრზე შეიძლებოდა, შემდგომ ნაბიჯებს თითქოს სივრცესთან მოჭიდება აღარ ჰქონდა და სრულიადაც ვერ ამცირებდა დისტანციას...
ის, რაც კეშამ მერე გააკეთა, რასაკვირველია, უგუნური გაუფრთხილებლობა იყო. მაგრამ ნახევრად სიბნელეში დაიკოს სილუეტმა ისე აანთო, რომ წინასწარ არც კი განსაზღვრა თავისი მოქმედებების თანამიმდევრობა.
პაუზა.
ფეისტოპი.
გაპუდრული მერილინი, თავს ზემოთ ანთებული ლალის გულით (ვინმე ეჭვობდა, რომ?!).
საძინებელი. არავითარი ახსნა, არავითარი ხვეწნა-მუდარა. ჩავჭიდებთ ხელს და მივათრევთ.
– ძვირფასო, დიდი ხანია, არსად ვყოფილვართ ერთად, ფეისტოპზე ჭორები აგორდება, ჰე-ჰე... ნუ მედავები. ახლა ჩვენ მივდივართ ტერორზე გადაცემის საყურებლად. ჩემთან. ქმარი ვარ, უფლება მაქვს...
მერილინი არ მედავებოდა.
უკან, კინოდარბაზში შევარდნა – ფეისტოპის გვერდის ავლით. მანევრი, ღირსი სექსუალურად აღგზნებული ნაპოლეონის.
და საბოლოოდ: თავი დავუკრათ კარის ნათელში კეთილ მღებავს, მუტაბორს. მასაც შეუძლია, წუთით შემოიხედოს – რატომაც არა. შეუძლია. ჩვენ კინოდარბაზში კედლებს ვღებავთ... ხომ აქვს ხოლმე ხალხს რემონტი.
მხოლოდ მაშინ, როცა მის გვერდით, დივანზე მჯდარი მერილინი (დღეს უიშვიათესად უხეიროდ გამოიყურებოდა) დაიკო გახდა, ხოლო ეკრანის მახლობლად მდგარი ორიგინალი სიბნელეში გაქრა, კეშა მიხვდა, როგორ რისკავდა.
დაიკო ხომ გადაცემას ახმოვანებდა.
ახლა ილაპარაკებს... ადრე არასოდეს უცდია, რომ, ასე ვთქვათ, მუშაობისას შეეცდინა. ნუთუ ეს ბაგი მაინც იმუშავებს? მაშინ ვინღა იტყვის – დაიკოა თუ მერილინი? თუ ეს შეკითხვა აზრს კარგავს?

დაიკომ კეშასკენ მიაბრუნა სახე და თავაზიანად გაუღიმა. ასეც ეკუთვნის ფეისტოპ-თანაშემწეს სამსახურებრივი ფუნქციის აღსრულებისას.
– აი, ახლა, – თქვა მან, – ჩვენ გაჩვენებთ ბატუ კარაევს.
მისი პირი ისე ახლოს ენთო, რომ კეშამ ცხელი ჰაერის ტალღა იგრძნო – და მარწყვის სუსტი არომატი.
ეკრანზე გამოჩნდა საშუალო ასაკის კაცის თავი. ჰქონდა კეხიანი, ფართო ცხვირი, თითქოს ჩატეხილი რამდენიმე ადგილას, სხვადასხვა ფორმის წაბლისფერი თვალები და ჭაღარაშერეული მოკლე წვერი, ლოყებს რომ უფარავდა.
– ის, რასაც ხედავთ, – თქვა დაიკომ, – რეალური გადაღება კი არა, რეკონსტრუქციაა. ახლა ასე შეიძლება გამოიყურებოდეს ბატუ კარაევი, თანამედროვეობის ყველაზე საშიში ტერორისტი, უფრო ცნობილი კაცობრიობისთვის, როგორც Dream bomber-ი.
კეშამ მუხლზე ხელი დაადო დაიკოს. ცისფერი, გოფრირებული კაბის კიდეზე.
დაიკოს წარბები ცოტა ზეაიწია – და მორჩა.
– ბატუ კარაევს უწოდებენ Dream bomber-ს, – თქვა მან, – იმიტომ, რომ თავის ტერაქტებს სჩადის კოლექტიურ სიზმრებში. გინდათ, მიიღოთ ისტორიული ცნობა კოლექტიურ სიზმრებზე?
– უჰუ, – მიუგო კეშამ.
– მოკლე თუ სრული?
– რასაკვირველია, სრული.
არ სჭირდებოდა ცნობა კოლექტიურ სიზმრებზე – მაგრამ სურდა, დაიკოს ბევრი ეყბედა. სიტუაციის ორაზროვნება აჯადოებდა პირდაპირ.
– რეაქციული სიზმრისხილვის ტექნოლოგიები, – დაიწყო დაიკომ, – დამუშავებული იქნა მალევე მას შემდეგ, რაც კლიმატურმა კატასტროფებმა, ომებმა და დიდმა სამეცნიერო აღმოჩენებმა მიგვიყვანა ცივილიზებული კაცობრიობის გადასახლებამდე ოფგლობურ სტრუქტურებში, რომლებიც თავისუფალია გრავიტაციისგან...
«თავისუფალია გრავიტაციისგან, – თავისთვის გაეცინა კეშას, – რასაკვირველია, თავისუფალი, როცა ვერაფერს გადაუხდი. რომ ყოფილიყო შერინგ პოინტს-ები, იცხოვრებდა ევრაიხში... სიმძიმის ძალაც იქნებოდა, და პირადი სივრცე ორი ოთახისგან. ტუალეტით და აბაზანით. პირადად გამოიხოცავდა ტრაკს

ხელით. ხოლო დაიკო კიდევ ბიოპლასტიკისგან იქნებოდა გაკეთებული. ვივლიდით ერთად იატაკზე, ქაქის შემსრუტავი ყოველგვარი პამპერსების გარეშე... და თავში უსადენებოდ... არა, მთავარია, ყოველ წამს ტვინს გვირეცხავენ – თავისუფლები... თავისუფლება...»
– ეს რადიკალურად შეცვლიდა ადამიანის ცხოვრების წესს და მოთხოვნილებებს, – განაგრძობდა დაიკო, – ცხოვრების ახალი წყობა გვაიძულებდა, უარი გვეთქვა გაზრდის მოდელზე, რომელიც იზომება GDP-ებში – ანუ შერწყმულ საზოგადოებრივ პროდუქტში...
– რა ჭკვიანი მყავხარ, – დაიჩურჩულა კეშამ.
მისი ხელისგული ნელ-ნელა აცოცდა ზემოთ. რატომ უნდა დაინდოს სახელმწიფო აგიტატორი.
– იგულისხმება, რომ, – განაგრძობდა დაიკო, – პროგრესის მაცოცხლებელი წყარო – ყოველწლიური ზრდა – არსადაც არ გაქრება. მაგრამ ადამიანებმა უარი თქვეს მის მატერიალურ-ხარჯვით ნაწილზე და GDP-თან ერთად, მისი გაზომვა დაიწყეს SSP – Sensate Shared Product-ით, რომელიც, ასე თუ ისე, შეესაბამება კოლექტიური ხორციელ-ემოციური გამოცდილების საერთო მოცულობას. ეს იყო უდიდესი ყველა ტექნოლოგიურ რევოლუციას შორის, რადგან ჩამოიშორა მრეწველობის მეტი წილი, კაცობრიობა გაათავისუფლდა მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილისგან. მოხდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ძვრა...
კეშას ხელი ცოტცოტაობით ითვისებდა გარემოს ცისფერი გოფრირებული კაბის ქვეშ. დაიკოს სახეზე თხოვნის გრიმასა გაჩნდა – აი, როგორ პირობებში მიწევს მუშაობაო, – მაგრამ აგრძელებდა:
–კაცობრიობის კულტურა საგნობრივია – მისი ობიექტები ადამიანისგან განიცდება გრძნობათა ორგანოების მიერ. კაცობრიობამ ისწავლა ამ გრძნობების კვლავწარმოება მათი შესაბამისი მატერიალური საფუძვლის გარეშე, მან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და თავისი უღარიბესი ფენები ასწია მოხმარების იმ დონემდე, ადრე რომ მხოლოდ საშუალო კლასისთვის იყო მისაღწევი... მომდევნო ნაბიჯი იყო საზოგადოებრივი კომუნიკაციების უმეტესობის გადატანა LUCID ღამის სიზმრის კოლექტიურ ფაზაში. ადამიანის

ცხოვრება ხელახლა შეიქმნა სრულფასოვანი, გახსნილი სოციალური შემოქმედებისა და ზრდისთვის…
დაიკოს ტანგა ეცვა.
«ჰოდა, აი, ეს ვინ ჩააცვა? – იფიქრა კეშამ, – თეორიულად მე. და პრაქტიკულადაც მე, რასაკვირველია. მაგრამ როდის? ზუსტად ახლა, როცა ხელით შევეხე? თუ მანამდე, გაუცნობიერებლად? ასეა თუ ისე, ცუდად დადის ესეთში, სისხლძარღვები დაეჭიმება... უნდა ვუთხრა...»
კეშა რომ განსაკუთრებით ახირებულ მოძრაობას გააკეთებდა თითებით, დაიკო ხშირ-ხშირად ააფახულებდა ხოლმე თვალებს, თითქოს ცდილობდა თვალში ჩავარდნილი წამწამის ამოღებას – მაგრამ ლაპარაკს აგრძელებდა:
– Sharenomics-ი, რომელმაც შეცვალა Economics-ი, კაცობრიობა დააყენა უსასრულო ზრდის რელსებზე. ამ ეპოქის პირველი ათწლეულები ადამიანის აზრის მაღლა-მაღლა ნავარდისა, ოპტიმიზმისა – და უზრუნველობისა იყო. მაშინ ბევრს ეჩვენებოდა, რომ წარსულის ყველა საშინელება უკან დარჩა, და მათ შორის, – ტერორიც. ტერორისტს ოფგლობალურ სტრუქტურაში მოუწევდა დაეტოვებინა პერსონალური მოდული და, იარაღისა და თანამოაზრეების ძებნას შესდგომოდა იმ სამყაროში, რომელიც განსაკუთრებულად ვერ იყო მარჯვე მსგავსი ოპერაციებისთვის... ის, რომ ავისმზრახველებს შეუძლიათ გამოიყენონ პროგრესის მიღწევები თავიანთი მიზნებისთვის, არავის მოსდიოდა თავში. თუმცა სწორედ რომ კოლექტიური სიზმრის სივრცე აღმოჩნდა ყველაზე დაუცველი ტერორიზმისგან...
ამასობაში კეშა სულ გათავხედდა. მაგრამ დაიკოს მეტი არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ელაპარაკა და საცოდავად გაეღიმა. ვერაფერს იზამდა: კეშამ სრული ინფორმაცია შეუკვეთა.
– ჯგუფური სიზმრისხილვის დაწყებითი ტექნოლოგიები პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ჩვენს დროში გამოყენებულისგან – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას შემდეგ არ შეცვლილა ადამიანის ტვინი. მაგრამ იმ წლებში მსგავს ტექნოლოგიებზე, საერთოდ, არ იყო არანაირი კონტროლი. ყოველ მომხმარებელს შეეძლო, თავის ნებაზე დაეპროგრამებინა სიზმრები და მიეწვია თავის საავტორო

სიზმრებში სხვები. უფრო მეტიც, გამოცდილ პროფესიონალს, განსაკუთრებული წვალების გარეშე შეეძლო, ჩართვოდა ნებისმიერ კომერციულ სკრიპტს და მისი მოდიფიცირება მოეხდინა ისე, როგორც სურდა. კოლექტიური სიზმრები იმ წლებში დაცული არ იყო ჩარევებისგან – ამაში საფრთხეს ვერავინ ხედავდა…
კეშამ, ბოლოს და ბოლოს, თითი შეყო ტანგას ქვემოთ. ჯერ ერთი. მერე მეორეც. მერე მესამე – თითქოს ეს იყო ცინიკური და შეკრული ნაცუმცირესობა, ორგანიზებულად რომ გადასახლდებოდა თბილ ადგილზე.
–კოლექტიური სიზმრისხილვა ითვლებოდა გართობებიდან ყველაზე უსაფრთხოდ, – აგრძელებდა დაიკო, თან იჭმუხნებოდა, – იმიტომ, რომ ნებისმიერი კოშმარიდან შეიძლებოდა ამოგეყვინთა სიცხადეში. როგორც სულ სხვა მიზეზით ამბობდა ეპიკურე, სიზმრისხილვის ტკივილს არ შეეძლო, ძალიან ძლიერი ყოფილიყო – ანდა ძალიან გრძელი. ჯერ არავინ იცნობდა იმ შესაძლებლობას, ადამიანი სიზმარში რომ დაემწყვდია. ეს აღმოაჩინა ახალგაზრდა პროგრამისტმა ბატუ კარაევმა...
კეშამ ვერ აიტანა. დივანიდან ჩამოცურდა, მუხლებზე დადგა დაიკოს წინაშე და მტკიცედ დააწყო ხელისგულები მუხლებზე – როგორც დიდი, რბილი მოტოციკლის საჭეზე, რომელიც ბედნიერებისკენ მიდიოდა. მაშინვე გასაგები გახდა, რატომ ეცვა დაიკოს ტანგა – მისი გახდაც კი არ იყო საჭირო, საკმარისი აღმოჩნდა გვერდზე გაწევა.
დაიკო აღარ იჭმუხნებოდა. ახლა გამოუცნობად მოციმციმე თვალებით ჩამოჰყურებდა ნახევრად სიბნელიდან და ლაპარაკობდა, თუმცა ხანდახან ბორძიკობდა ხოლმე მისი მიძალებების რიტმზე:
– ახლა უკვე შეუძლებელია დავადგინოთ, როგორ მივიდა კარაევი თავის შეხედულებებამდე, ვინ მოახდინა ზემოქმედება მასზე და ვინ იყო მისი სულიერი მასწავლებელი. მხოლოდ ერთი რამეა ნათელი. კარაევს არავისთვის მოუყოლია თავის შემთხვევით აღმოჩენაზე. იმ წლებში ჯერ კიდევ არ იყო ტერორისტი. პროგრამისტად მუშაობდა კიბერ-სეკურიტიში. თუმცა სულში თავს მხატვრად თვლიდა. არა, არა, არ მოგჩვენებიათ, – მხატვრად, ზუსტად ისე, როგორც ჰიტლერი. აი,

ნაწყვეტი მისი დღიურიდან – ჩანაწერი ოცდახუთი წლის ასაკში…
ის, რასაც დაიკო მთელი ეს დრო ლაპარაკობდა, აღაგზნებდა კეშას, მაგრამ ხელს უშლიდა, პროცესზე ყოფილიყო ორიენტირებული – მისი ყურადღება გამუდმებით დაიპარებოდა ფიზიოლოგიური განცდებიდან დაიკოს მონაყოლზე. მაგრამ იგივე გარემოება საშუალებას აძლევდა, გაეწელა ეს ვარჯიში. კეშა ეკრანისკენ მობრუნდა.
ეკრანიდან უყურებდა გამხდარი, ახალგაზრდა კაცი, მჭიდროდ წამოზრდილი ჯაგრით. CyberSec-ის შავი მუნდირი ეცვა, ხოლო ოთახი მის ზურგს უკან მიაგავდა კუნსტკამერას, ყოველგვარი საინტერესო სისაძაგლით – დასპირტული სიმახინჯეები, შუშები ორთავიანი ცხოველებით, საწამებელი საყელურებითა და მათრახებით, დიდი სადათვე ხაფანგებითა და სხვადასხვა კალიბრის მონიკელებული ჩანგალ-კაუჭებით. თავისი ფეისტოპის ეგრე გაფორმება მხოლოდ გიჟს თუ შეეძლო. თანაც გიჟს სუფთა – ჯერჯერობით – სინდისით, არ ეშინოდა, რომ პატიმრის ჩაჩს დაახურავდნენ.
ახალგაზრდა კარაევმა ჩაიხედა ობიექტივში და თქვა:
– აი, რა არის მნიშვნელოვანი. მთელი თანამედროვე ინსტრუმენტული ხელოვნება საშინლად მოძველდა. ჰომეროსის ხანაში შეიძლებოდა სრულიად მოგენადირებინა ადამიანი სიტყვის მაგიით... სამასი წლის წინათ მაყურებელს ჯერ კიდევ ცხადში შეეძლო, მთლიანად გაეიგივებინა თავი ფილმისთვის და – არა სიზმარში. მაგრამ დღეს სულის მშფოთვარების აღწერა სიტყვებით ანდა მაყურებლისთვის მოძრავი სურათების ჩვენება, ფიზიკური სხეულის მარშრუტს რომ გამოსახავს სხვა მატერიალურ ობიექტებში, უკვე უსარგებლოა. ცხოვრება აღარ ემორჩილება სარწმუნო სიმულაციებს ასეთი მეთოდებით. ახალი ხელოვნება ჩნდება სადღაც, გაცნობიერებული სიზმრის ტექნოლოგიისა და ჰიპნოზის შესაყარზე. მომავლის მხატვარი დაწერს ადამიანების ცხოვრებებს. მერე კი შესთავაზებს – ანდა აიძულებს სხვებს, სიზმარში განიცადონ მის მიერ შექმნილი სკრიპტი, რაც მას გადააქცევს სრულფასოვან და მგრძნობიარე გამოცდილებად. საზღვარი ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის გაქრება. უფრო მეტიც, მხატვარი იქნება ღმერთის მსგავსი. მას

შეეძლება გადაწყვიტოს, რა, როგორ და როდის მოუხდება მაყურებელს, ამ იძულებით ნახატში იმასაც კი შეფუთავს, რაც ინდივიდუუმს ეჩვენება საკუთარ თავისუფალ ნებად…
კეშამ ზურგი შეაქცია ეკრანს. მოხარული იყო, დაიკომ აიძულა, სამუშაოს მოსწყვეტოდა – უკვე გასცდა უკან მოუბრუნებლობის წერტილს, და ახლა შეეძლო თავიდან გაემეორებინა თავისი სენტიმენტალური მოგზაურობა.
– უმაღლესი დონის პროგრამისტი კარაევი მუდმივი კონსულტანტი იყო სპეცსამსახურებისა, – განაგრძობდა დაიკო, – მან ძირისძირობამდე იცოდა, როგორ ფუნქციონირებს ურთულესი ელექტრონული სამყარო ჩვენ ირგვლივ. ამის გამო მისთვის ძნელი არ ყოფილა, გვერდი აევლო იმ დამცავი კედლებისთვის, რომლებითაც კაცობრიობა ცდილობს, ბოროტებას გაემიჯნოს. თავდაპირველად ბატუ კარაევი მუშაობდა სიმბოლური ბავშვობის დაცვის კომიტეტში, სექსუალური აზრითდანაშაულობისგან დაცვის განყოფილებაში. ის იჭერდა გაიძვერებს, რომლებიც, თავიანთ სოციალურ პარტნიორთან სექსის დროს, თავიანთთვის წარმოიდგენდნენ ხოლმე მეწყვილის მაგივრად პატარა ბიჭს ანდა გოგონას...
კეშა შეკრთა.
მოსმენილმა ისე დააფრთხო, რომ ენა მოიკვნიტა – მაგრამ თეძოების მოძრაობა არ შეუწყვეტია, მიხვდა, რომ სისტემა შეამჩნევდა უწესრიგობას მის ბიომონაცემებში, სწორედ ამ ფაზაზე რომ მოდის. აი, ეგრე იჭერენ აზრითდამნაშავეებს. გავაგრძელოთ, უშუალოდ გავაგრძელოთ... ვხარობთ სიცოცხლით... ხოლოთუ პულსი შესაძლოა დანაწევრდეს უბრალოდ, ხორცის ზეიმში ჩართულობით... დაიკო შურისმაძიებლურად იცინოდა მთელი სიფათით – მაგრამ კეშა არაფრით ამჟღავნებდა თავის შიშს.
დაიკო განაგრძობდა:
– კარაევმა შემთხვევით აღმოაჩინა, თავის დაწერილ LUCID-სკრიპტებზე ექსპერიმენტებს რომ ატარებდა. პროგრამული შეცდომის გამო ჩაიკეტა თავის დამუშავებულ ერთ-ერთ სიზმარში – და კინაღამ მოკვდა ტკივილისა და სიცივისგან, რადგან მოუხდა ზედიზედ გადმოვარდნილიყო სნოუბორდიდან ნამქერში. მხოლოდ იმიტომ შეძლო გამოღვიძება, რომ მისი

შინაური ქსელი გამორთეს გადაუხდელობის გამო – და გაწყვიტეს კავშირი კომპიუტერთან, რომელთანაც მიერთებული იყო მისი ტვინი. ბატუ კარაევის ანგარიშზე რომ საკმაო sharing points-ები აღმოჩენილიყო, საზოგადოება, შეიძლება, გათავისუფლებულიყო ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი კოშმარისგან. მაგრამ კარაევმა გამოიღვიძა. და მიხვდა, როგორ აეძულებინა სხვები, მისი საშინელი სიზმარი ენახათ. უფრო მეტიც, ისიც გაიგო, როგორ მოეხერხებინა, რომ თუნდაც კომპიუტერიდან გამორთვასაც კი ვეღარ გამოეღვიძებინა მძინარე…
კეშა უკვე გონს მოვიდა.
არავისაც არ წარმოიდგენდა ხოლმე მერილინის ადგილზე. ამიტომ აზრითდამნაშავე არ იყო იმ აზრით, როგორითაც დაიკო ლაპარაკობდა. ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც. კანონთან პრობლემები კლოუნ მუტაბორს შეიძლებოდა ჰქონოდა. კეშა აზრითდამნაშავე იყო სხვა მხრივ – და სხვა მუხლით წავიდოდა. რასაკვირველია, ეს დამამშვიდებელი სულაც არ იყო.
– კარაევს არ ეძნელებოდა, შემთხვევით აღმოჩენილი პრინციპი ვირუსის ტიპის პროგრამაში განეხორციელებინა, – აგრძელებდა დაიკო, თანაც კეშა დაიფიცებდა, რომ სახეზე ისევ დაურბოდა დაცინვა, – იცოდა, როგორ დაესნებოვნებინა სერვერები, კოლექტიურ სიზმრის ხილვას რომ განაპირობებდა. მისი პირველი ტერაქტი საშინელი იყო თავისი ცინიზმით. კარაევმა შეუტია ადამიანებს, შეკრებილი რომ იყვნენ საზეიმო საახალწლო სიზმარში, ერთ-ერთი ჰიპნოზური ნაძვის გარშემო. ამასთან, გამოავლინა დიდი გამომგონებლობა, მაშინვე რომ იქცა ამ ტერორისტის სავიზიტო ბარათად. რაღა გამომგონებლობა – მხატვრული ტალანტი. ჩვენ არ შეგვიძლია, მის მსხვერპლთა მიერ გადატანილის სრულად აღდგენა – ბატუ კარაევის ტერო-ვირუსები ისეა დაწერილი, რომ თვითგანადგურდება ხოლმე. უფრო მეტიც, დამკვირვებელსაც სიკვდილი მოუწევდა, ბოლომდე რომ ენახა სკრიპტი. მაგრამ ჩვენ შეგვძლია სუსტი ანარეკლი გაჩვენოთ ამ საშინელებისა. თქვენ ნახავთ ტერაქტს – უფრო სწორად, ტერო-სკრიპტის ასრულების დასაწყისს, – ერთ-ერთი გადარჩენილის თვალებით. დამკვირვებელმა შეძლო გამოღვიძება, რათა

ჩვენთვის გაეშეარებინა თავისი საზარელი გამოცდილება…
დაიკომ კეშას ზურგს უკან გაიხედა – ასე იქცევიან, როცა უნდათ, თანამოსაუბრე შებრუნდეს. კეშა თავიდან არ წამოეგო ანკესს – მაგრამ ზურგს უკან მუსიკა ჩაირთო, მოისმა ადამიანების ხმები, და დაიკოს სახეზე გამოისახა ისეთი ცხოველი ინტერესი, რომ ვეღარ მოითმინა და უკან შეტრიალდა – როგორც ამას წინათ, აზრითდანაშაული არ შეუწყვეტია ბოლომდე, არამედ ჩორთით ჭენებიდან გადავიდა ნელ, ოჯახურ ალურზე.
ეკრანზე გაჩნდა დიდი მოედანი, გარშემორტყმული ზღაპრული ციხეებისა და სასახლეების სილუეტებით – საიმისოდ ძალიან შორეულებისა და გრანდიოზულებისა, რომ ნამდვილები ყოფილიყო. ისე ჩანდა, რომ ესაა განსაკუთრებულად დაჭრილი და შეფერადებული ღრუბლები. სხვადასხვა ფერის დამაბრმავებელ შუქში ციგურებზე სრიალებდნენ, ცეკვავდნენ და უბრალოდ, სეირნობდნენ ყოვლად წარმოუდგენლად ჩაცმული ადამიანები. მათ ზემოთ დაფრინავდნენ დიდი, ფუმფულა პეპლები და ცელულიტის სასაცილო ანგელოზები, საყვირებს გაახმამყივარებდნენ ფრთიანი ელფები, ნაპერწკლებს ყრიდნენ ცეცხლოვანი ნემსიყლაპიები. და ამ დიდებულების ცენტრში აღმართულიყო საშობაო ნაძვი – უცხოდ მაღალი, ცისფერ-მწვანე, სულ ცისარტყელას ბუშტებში, ვარსკვლავებსა და ლენტებში, კენწეროში კიდევ ბრილიანტ-ყინულოვანი შპილით.
მოულოდნელად ბრბოში ყვირილი გაისმა. უცნობ მაყურებელთან ერთად კეშამ ხმებისკენ შეაბრუნა თავი – მაგრამ ვერაფერი დაინახა. მერე იქვე რაღაცამ გაიკაშკაშა და იფეთქა.
კეშამ ნაძვს ააყოლა თვალები.
დიდი, მანათობელი ბურთულები ერთიმეორის მიყოლებით სწყდებოდა ტოტებს, ბრბოში მიფრინავდა და ცეცხლოვან ბუშტულებად სკდებოდა. ადამიანები, რომლებსაც ხვდებოდათ ნამსხვრევების კვამლიანი ისრები, არ ქრებოდნენ, როგორც ხდება ხოლმე ჯგუფური სიზმრიდან გამოფხიზლებისას, არამედ მიწაზე ცვიოდნენ, სისხლში ცურავდნენ. კეშამ დაინახა მოგლეჯილი თავი. მერე ხელი.
ბრბო გაიწელა ნაცრისფერ ბოლში. დაიწყო სრულიად გროტესკული საშინელება: ნაძვის ტოტებმა გრძელ, მწვანე

შოლტებად იწყეს გადაქცევა, ადამიანებს რომ უჟაპუნებდნენ. ჯერ მათ სწვდებოდნენ, ვინც ნაძვთან ახლოს იდგა – მაგრამ სულ უფრო გრძელდებოდნენ და უფრო ჩქარდებოდნენ. მათი ბოლოები თითქოს ფოლადისა გახდა – დარტყმისას ადამიანს ორად კვეთდნენ.
მერე კეშას მახლობლად აფეთქდა ნაძვის მომდევნო ბურთი, და აფეთქების ტალღამ წააქცია. ზემოდან კიდევ რამდენიმე გვამი დაეცა, და დაბნელდა.
– გიმეორებთ, ასე გამოიყურებოდა ყველაფერი მათთვის, ვინც გადარჩა. რით დამთავრდა ეს საშინელი გამოცდილება მკვდრებისთვის, დღეს არავინ იცის. განცდა ზედმიწევნით რეალური იყო – კეშამ ვერც კი შეამჩნია, რომელი მომენტიდან გახდა ეკრანზე მიმდინარე დრამის მონაწილე. მაგრამ სიბნელემ გაუშვა, და უკან გამოვარდა – პირდაპირ დაიკოსკენ. კონტრასტი გამაოგნებელი იყო. კეშა დაუბრუნდა ჰიპნო-რგოლით გაწყვეტილ საქმიანობას, გარკვეული ძალისხმევით.
– დრიმდამბომბავის პირველივე დანაშაულებში, – გეგონება არც არაფერი მომხდარაო, განაგრძობდა დაიკო, – ჩანს მისი სისხლიანი ხელწერის მთელი თავისებურებები. უპირველეს ყოვლისა – ესაა სწრაფვა, გადააქციოს ტერაქტი პირქუშ პერფორმანსად, აქციონიზმის შედევრად. როგორც გვახსოვს, თავის მხატვრულ ამბიციებზე ბატუ კარაევმა გამოაცხადა საკუთარი სისხლიანი კარიერის დასაწყისშივე. ბოროტმოქმედის სწორედ ამ თავისებურებამ აიძულა ბევრი, ევარაუდა, რომ ის არის ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანი. რასაკვირველია, ასეც აღმოჩნდა. ოღონდ არაადეკვატურობა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, კარაევთან მეზობლობდა უზუსტეს დანაშაულებრივ გათვლასთან, რომელსაც მთელი მისი კარიერის მანძილზე ერთხელაც არ უმტყუნია...
დაიკო ისევ მის ზურგს უკან იყურებოდა. კეშა კვლავ მიტრიალდა ეკრანისკენ და დაინახა რაღაც უშველებელი, სამაცივრო დარბაზი, სადაც დახვავებული იყო ნახევრად შიშველი ადამიანების სხეულები. ისინი სულ ორ წამამდე აჩვენეს, მაგრამ ეს საკმარისი იყო, რათა გვამებზე გამორჩეულიყო პლასტიკური პამპერსები და LifeBEat-ის სისტემის ნიღბები.
მკვდარი თანამედროვეები მეტისმეტად სქელებად მოჩანდნენ

– და იმავდროულად, ძალიან დისტროფიულებად. ვირტუალური გრიმის გარეშე მათ თეთრ, მომჩვარულ კანს შეეძლო აღეგზნო მხოლოდ დამშეული წურბელა. და კიდევ კეშას მოეჩვენა, რომ რამდენიმე მახლობელი გვამის თვალებში საზარლობა გაიყინა. თუკი ეს, რასაკვირველია, არ იყო ყინულად გადაქცეული ცილების ელვარება.
– ყველა, ვისაც ხედავთ, მოკლულია კარაევის მიერ, – განაგრძო Little Sister-მა, – მათი სიკვდილის სამედიცინო მიზეზი იყო ტვინის კრუნჩხვითი რეზონანსი, ანუ SBR. ეს სასამართლო-სამედიცინო ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში გამოჩნდა ტერორისტის საქმიანობის შედეგად. კარაევის გარდა, არავინ იცის, რა განიცადეს და გამოსცადეს ამ უბედურებმა თავიანთ ბოლო სიზმარში. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცოტაოდენი მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია, მხოლოდ ჰიპოთეზები ავაგოთ. მაგალითად, თავისი დღიურის ერთ ჩანაწერში კარაევი ტრაბახობს, რომ იპოვა თითოეულ მსხვერპლთან ბოლო სიზმარში პირადად მისვლის ხერხი... ხოლო მეორეში ამტკიცებდა, ის, რაც სამყაროზე გაიგო, ინდულგენციას აძლევს ნებისმიერს მხეცობის ჩასადენად... კეშამ იგრძნო, რომ მისი სასიყვარულო მხურვალება თითქმის ჩაქრა. დაიკოსკენ მიტრიალდა და საბოლოო ძალისხმევით განაახლა ბედნიერების დევნა. აღარ უსმენდა მის სიტყვებს და ეკრანისკენ აღარ ტრიალდებოდა – მანამდე, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერებას არ წამოეწია. მართალია, ის ბედნიერება სწორედ იმ მომენტში გაუსხლტა, როცა მისი ბიოლოგიური ასპექტი ძლივს დაიჭირა, მაგრამ კეშა არ ბრაზდებოდა. დიდი ხანია, იცოდა, რომ სამყაროში არც არსებობს სხვანაირად. რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კეთილგონიერი მოქალაქე, უკვე იწვა საოჯახო საძინებელში, მხვრინავი მერილინის გვერდით, რომლის თავს ზემოთ ენთო გაუმაძღარი წითელი გული.
კეშასაც მოუნდა დაძინება. მაგრამ დღეს ძილშიც მოუწევდა ეშმაკობა – ახსოვდა, რომ მეტათარიღში მისთვის სასურველი დაღრუბლულობისთვის LUCID-ის ფაზაში ჩახედვა მოუწევდა.

ფაზა LUCID-ი

ამჯერად კეშა არ ჩაჭრილა დროზე ადრე, სწორედ იმდენი ეძინა, რამდენიც ეკუთვნის სოციალურად პასუხისმგებელ

მოქალაქეს – ფაზა REM1-ის ბოლომდე. პატიოსნად უყურა «რევოლუციის» ახალ სერიას, სადაც მოსტოვაიადან ამოყრილ რიყის ქვებს უშენდა პოლიციის ფალანგას, რომელსაც დიქტატორის ვენზელებიანი ფარები მოემარჯვებინა. ფრჩხილიც კი მოიტეხა (ეგეთი რამე მხოლოდ სიზმარში თუ მოხდებოდა).
ეტყობა, უშტატო გაღვიძებისთვის არ ეყო ის მცონარება, რაც საშუალებას აძლევდა ცოტა ხნით დაეკარგა ბრძოლის ინტერესი – და გაეხსენებინა, რომ მის წინაშე მხოლოდ და მხოლოდ სერიალია. ამჯერად ყველაფერი სერიოზულად იყო – ცრემლსადენი გაზი მტკივნეულად პწკენდა ცხვირსა და ყელში, და საკმარისი იყო რამდენიმე წამით შეეჩერებინა რევოლუციური მოღვაწეობა, ხელები და ფეხები უშეშდებოდა ნესტიანი ყინვისგან. «მაყურებელთა თხოვნით» აჯანყების ახალი სეზონი ჩრდილოეთში გადაიტანეს. კეშა ვარაუდობდა, რომ აქ თხოვნები არაფერ შუაშია – ეტყობა, ვადაზე ადრე გამოღვიძების პრობლემა მარტო თავად არ ჰქონდა ადრე. რაც უფრო მაგარია სკრიპტი, მით უფრო ძნელია გამოღვიძება. ფაზა LUCID-ის ნარინჯისფერი ვარსკვლავი ზედ ცხვირწინ აენთო – და რბილად მიაცილა კეშა გაცნობიერებულ სიზმრამდე. კოლექტიური სიზმრების სივრცეში ვიზიტს მისი კავშირი უნდა განემტკიცებინა კაცობრიობასთან – და ეს აესახა მეტათარიღში. მაგრამ კეშა გრძნობდა მსუბუქ ნერვოზულობას ძილშიც. ამ გრძნობას «ქეციანი ცხვრის სინდრომს» ეძახდა. ციმციმი შეწყდა და ნარინჯისფერი შუქი ჩაქრა. გაიარა დადგენილმა სამწამიანმა შეყოვნებამ, და კეშას თვალების წინ სიბნელე განიხვნა, როგორც სამართებლით ჩაჭრილი ფარდა. ის იდგა სიბნელეში გამოკიდებული ორი სარკის შუაში, ერთმანეთს რომ ირეკლავდა. ეს სარკეები იყო სუსტი, ყვითელი შუქის წყაროები.
ეგრე გამოიყურებოდა საკონტროლო ჩარჩო, რომელიც კეშას ანერვიულებდა. შიშს სძლია და გაიხედა უსასრულო სარკულ დერეფანში. და საკუთარი თავი დაინახა.
თავისი ოცდაშვიდისთვის კარგად გამოიყურებოდა – სიმელოტეც კი პატარა, კულულების ნათელ შარავანდში რუდუნებით იყო გადმოტანილი რეალობიდან (რომელშიც, სხვათა შორის, თავად კულულები არ იყო, არამედ იყო

სიმელოტე – და ირგვლივ კიდევ მოკლე ჯაგარი). ეცვა დეფოლტური გამოსასვლელი ფორმა – წითელი ქლამიდი ყვითელ ნამგლებსა და ურიოებში, ბოლოდროინდელი ნაყოფი რუსული იდენტურობისა და დამატებითი გარანტია, რომ უსაქმური კაცობრიობა თავს დაანებებდა.
ასეთივე წითელი, ნამგალ-ურიოებიანი გამელოტებული ქერათმიანების უსასრულო მწკრივი მიაბიჯებდა სარკეებში, ორივე მხარეს. რიგი უსასრულობასთან, როგორც წაუმახვილგონივრა ერთმა პოეტმა.
აი, ამ სარკეებიანი ტამბურის გამო იყო, რომ კეშას არ უყვარდა გასეირნებები LUCID-ის სივრცეში. ხვდებოდა, რომ უფრო მეტ ეჭვებს გამოიწვევდა, აქ თუ არ ივლიდა – მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ჩარჩოს შეუძლია, მისტიკური შუქით გააშუქოს მისი გონება და მასზე ყველაფერი დაწვრილებით შეიტყოს. ამიტომ უკიდურესად ეშმაკურად ინიღბებოდა. სიზმარში კეშას შეეძლო, ვინც უნდოდა, იმად ქცეულიყო. მაგრამ ის ყოველთვის შედიოდა ფაზა LUCID-ში raw-სტანდარტით – ანუ ისე, როგორც გამოიყურებოდა მისი ფიზიკური სხეული სინამდვილეში. ეს ყველაზე ჭკვიანური იყო: ყველა გაშეარებული პირადი რჩეულები სისტემაში სამუდამოდ ინახებოდა, და სიმბოლური ბავშვობის დაცვის კომიტეტის ანალიტიკოსებს შეეძლოთ, სურვილის შემთხვევაში, მასზე ბევრი რამ გაეგოთ ისეთი წვრილმანებიდან, რომლებსაც თავად არც კი მიანიჭებდა მნიშვნელობას.
მოკლედ, კეშამ იცოდა, რომ მისი შიში ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით უნიადაგო იყო. სარკეებიანი ჩარჩო საჭირო იყო ბატუ კარაევის მაგვარი ტერორისტებისგან დასაცავად. მაგრამ ამის შუაში კიდევ ერთხელ გავლა არ სურდა მაინც. ყოველთვის, როცა სარკეები, ბოლოს და ბოლოს, შეერეოდა უდაბნოს, კეშა შვებით ამოისუნთქებდა ხოლმე.
აი, როგორც ახლა.
უთანხმოების მოედნის დიდი წრე, მის წინაშე რომ გამოჩნდა, ხალხით იყო სავსე. მოედანი მიაგავდა დამრეც ამფითეატრს, რომელიც ეშვებოდა ქანდაკება-ტრანსფორმერთან, მის ცენტრში რომ ლივლივებდა – პირდაპირ ჭეშმარიტების ჭის თავზე. სინამდვილეში, ეგეთი ფორმისა და ზომის მოედანს, რა თქმა უნდა, პირველივე წვიმა დატბორავდა, – მაგრამ სიზმარში

მსგავსი პრობლემები არ ჩნდებოდა.
დღეს ქანდაკება ჭეშმარიტების ჭის თავზე გამოსახავდა გრძელთმიან ყრმას (ანდა გოგონას, სილუეტი უნისექსუალური იყო) ბრინჯაოს ტუნიკაში, რაღაც მოციმციმე ლამპით ხელაწეულს. კეშა შეიჭმუხნა, ცდილობდა გაეხსენებინა, ეს რომელი კაცია თუ ქალი – და იქვე დაინახა განმარტებითი დაფა ტექსტით, სიცარიელეში რომ გამოჩნდა მისი თვალების გასწვრივ.
ეს იყო რუსული სიძველის ლეგენდარული გმირი – პირველი სლავი ტრანსსექსუალი დანკო, თავს ზემოთ რომ აეწია თავისი «ძირფესვიანად ამოგლეჯილი სექსიზმი, პატრიარქალური ღამის სიბნელეს რომ ფლეთდა ოსცილირებული სექსუალური იდენტურობის იდუმალი ვარდისფერი სინათლით».
ინფორმაცია, რასაკვირველია, შესაძლო იყო, პირდაპირ ინდუცირებულიყო კეშას ტვინში, მაგრამ დაფამ არჩევანი მისცა – წაეკითხა თუ არა. მასზე უამრავი ასო ეწერა, და თვალების თითოეული მოძრაობა ამრავლებდა იმ რიცხვს: სურვილის შემთხვევაში, კეშას შეეძლო ჩაფლულიყო საკითხის ისტორიაში და შეეტყო, რა პატრიარქალური ღამე იყო ეს და როგორ უკავშირდებოდა პატრიარქის შემოდგომას, რომელზეც ამას წინათ გაიგო საიდანღაც, და, საერთოდ, დანკოს რატომ უნდა ამოეგლიჯა სექსიზმი ძირფესვიანად, თუკი ნარკოზით მოჭრაც შეიძლებოდა. მაგრამ მან დაფა მოიშორა ქუთუთოების ზიზღიანი მოძრაობით და ისიც უდაბნოში განქარდა.
როგორც ჩანს, დანკოს სტატუეტი ეგრე გამოიყურებოდა მხოლოდ რუსული ლოკაციის მაყურებლისთვის, და შეუძლებელი იყო გაგება, რას ხედავდნენ მის ადგილზე სხვები, თუკი საუბარს არ დაიწყებდი. ალბათ, სივრცეს უსასრულო თავისუფლებისა და ცვალებადობისა. მაგრამ კეშამ იცოდა, რომ აქ ფოკუსები, რომლებსაც ის სიცხადეში აკეთებდა, არ გაუვიდოდა – კოლექტიური სიზმრისხილვა გაცილებით ფხიზლად გიცავდა დევიანტებისგან
და გადაგვარებულებისგან. სიზმარში უნდა ყოფილყავი დისციპლინირებული მოქალაქე – და ფხიზლად გედევნებინა თვალი ლაპარაკისთვის, რათა გაუფრთხილებელი სიტყვით ანდა აუწონლად ნასროლი აზრით შეურაცხყოფა არ მიგეყენებინა სხვებისთვის.

კეშა მოედანზე წალასლასდა, თავაზიანად უღიმოდა გამვლელებს. ხალხი იდგა ორ-ორად, ხანაც სამ-სამად – ტოგებში, ტრიკოებში, ბუმბულებიან მოსასხამებში, შავი ლატექსის რეპრესიულ უნიფორმებში, წინდახედულად გადახაზული სვასტიკებით და შიშველ სხეულზე ჩაცმულ, გაფშეკილ საბალეტო ქვედაბოლოებით – აქ იმდენივე სხვადასხვა identities-ი იყო, რამდენიც შეკრებილიყო. როგორც ყოველთვის, ამ საოცარ ადამიანურ ყვავილნარს რომ გადიოდა, კეშას აოცებდა ერთიმეორის არამგვანი ფორმების რიცხვი, მიღებული რომ იყო თავისუფალი სულით, და ჩუმად ამაყობდა, რომ ისიც ამ ჯადოსნური ბაღის ნაწილია (სამწუხაროდ, სამწუხაროდ, შავი ვარდი შხამიანი ეკლებით – მაგრამ ჩურჩულით ვიკითხავთ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ეგეთი ყვავილიც ხელს აძლევს ცუკერბრინებს?).
იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ჭეშმარიტების ჭის თავზე დანკოს ქანდაკება წამომართეს, საზოგადოებრივი დისკუსია მოედანზე შეეხებოდა ადამიანის სექსუალურ ემანსიპაციას – და, როგორც ყოველთვის, ასეთ შემთხვევებში, ძალიან ცხელ-ცხელი იქნებოდა. კეშამ ქანდაკების მახლობლად ფიცარნაგი დაინახა, მსგავსი საშობაო ზღაპრის ეშაფოტისა. საჯალათო კუნძის მაგივრად ზედ პრეზიდიუმის მაგიდა იდგა. როგორც ყოველთვის LUCID-სიზმარში, საკმარისი იყო ობიექტისადმი ყურადღება დაგეფიქსირებინა, რომ ის მაშინვე შენს გვერდით აღმოჩნდებოდა. მაყურებელს არაფერში სჭირდებოდა ინტერესის საგნისკენ ევლო სივრცის ილუზიაში, და უთანხმოების მოედანზე არასოდეს იქმნებოდა ჭყლეტა. თითოეული მშვენივრად ხედავდა ყველაფერს იქიდან, სადაც იდგა – და კეშაც აგრეთვე.
პრეზიდიუმში იჯდა ასეთი საღამოებისთვის ჩვეულებრივი სამეული, ოფიციალურად წოდებული Trigasm Superior-ად. ესენი იყვნენ სამი ბებერი გამოჯეკილი ფემინისტი ქალი – რუხები, გარუჯულები, წელს ზემოთ შიშვლები, მომჩვარულ დამშრალ მკერდებზე ჰოლოგრაფიული, მრავალფეროვანი ტატუებით, კერტებში გაყრილი პატარა გირების სიმძიმით დაქაჩული ძუძუებით (კეშას ტეხა დაეწყო საზარდულში – მაგრამ აღგზნებისგან კი არა, უბრალოდ, გაიხსენა, რომ ხვალ ანდა ხვალზევით სამუშაოზე უნდა გავიდეს).

დააინტერესა ტატუებმა, და ბებრუხანების სარძევე ჯირკვლებმა დაიკავეს მისი მხედველობის არის მთელი ცენტრი. აღმოჩნდა, რომ ამ დროისგან მოსაწყენ პერგამენტებზე განთავსებულია მთელი გამოფენა – თანაც გადატანითი კი არა, პირდაპირი გაგებით.
მოწვევის ნიშანს თავი დაუკრა და კეშამ ჩაყვინთა მშრალი, დროისაგან გაქვავებული კანის ნაკრებებში. რეალობამ რამდენჯერმე თვალი ჩაუკრა (გამოფენა, როგორც ეტყობოდა, თავად ლაგდებოდა დამთვალიერებლის ეროვნულ-კულტურულ პარამეტრებზე) – და კეშას ყურებში დაარტყა ბალალაიკებისა და დომრების სევდიანმა ბღავილმა.
ის აღმოჩნდა მარადიული ხსოვნისა და მწუხარების სივრცეში, იმ სამგლოვიარო მემორიალებიდან ერთ-ერთში, გათავისუფლებულ კაცობრიობას რომ მოაგონებდა განუზომელ ტკივილს, რომლითაც ადამიანები ათასწლეულებით მოჩანჩალებდნენ თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ. ექსპოზიცია ეძღვნებოდა რუსი ქალის ტანჯვას პატრიარქატის ეპოქაში – და ასახავდა რუსულ სოფელში გენდერული ინიციაციის ტრადიციულ რიტუალებს.
მხატვრული გადაწყვეტა შთამბეჭდავი იყო. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქალის სხეულზე ტატუების მეტი წილი შემოსაზღვრეს ასანთის ღერების ოთხკუთხედებით, მერე კი შედეგი გაადიდეს მრავალჯერ და გალერეის კედლად აქციეს. ანდა კეშას რომ ეყურებინა ტატუირებული ალბინოსი-სპილოსთვის ერთი მხრიდან. ეპითელიუმის მოჩარჩოებული უბნები თითქოსდა კედელზე დაკიდებულ სურათებს დაემგვანა. გამოვიდა ახლებურად, თამამად – მაგრამ მაღალი ტრაგიკული პათოსი ოდნავადაც არ დაწეულა.
ბალალაიკის crescendo-სგან შემხტარი კეშა კანის დერეფანში წაეხეტა.
პირველ ტატუზე შიშველი, სქელი წიწკვი, უსიამოვნოდ რომ მოაგონებდა მერილინს, ცეცხლმოდებულ ქოხში შედიოდა. მეორეზე – იგივე წიწკვი ლამობდა უკანა ფეხებით დაეჭირა ცხენი, რომელსაც ორი მონგოლი ამათრახებდა. მესამეზე – ტკივილისგან ყვიროდა და სწევდა მძიმე, სამი-ოთხი წლის პატარას მკერდზე შემორტყმული რაღაც სლინგის მსგავსიდან... კეშამ ისევ გაიხსენა სამუშაო და შეიჭმუხნა.

სხვათა შორის, სხვისი ტკივილი აღელვებდა, მიუხედავად უსიამოვნო ასოციაციებისა. ანდა იქნებ, სწორედ მათ გამო. ამასთან, ბოლო ტატუზე გენდერული შოვინიზმის მსხვერპლი ახალგაზრდულად და წარმტაცად გამოიყურებოდა.
კეშამ თავადაც ვერ შეამჩნია, როგორ დატკბა სხვისი ტანჯვით. ბალალაიკის სუიტის გამჭოლად მოისმა მკითხველის ხმა, თითქოს რომ უცხადებდა წარსულს საშინელ გადაუხდელ ანგარიშს:
– ჭენებისას ცხენის გაჩერება... ცეცხლმოდებულ ქოხში შემოვა...
კეშას უცებ შეამცივნა. მიხვდა, რომ ბებრუხანების სინკლიტს სავსებით შეეძლო ჩართვოდა მის ბიოთარიღს – ვიღაც ამბობდა, რომ ეს შესაძლებელია, როცა ფაზა LUCID-ში ხვდები, ეგრეთ წოდებულ მარყუჟში, რომელიც ისე გამოიყურება, როგორც გრძელი, გამრუდებული კორიდორი. მემორიალური სივრცე სწორედ ამგვარად იყო ორგანიზებული. და ახლა ამ სამ წაულას შეეძლო დაენახა მთელი მისი ფიზიოლოგიური მახასიათებლები – წნევა, ოფლის გამოყოფა, ტემპერატურა, პულსი, ერექცია.
და ამათ, რასაკვირველია, ჰქონდათ დანართები, რომლებსაც შეეძლოთ დაეხატათ მისი რეაქციული სიგნატურები გატაცების სფეროში.
ეს იყო ფემინისტური გათამაშება, ხელისუფლებასთან შეკრული ცოფიანი ლესბოსელების ჩასაფრება, სხვების ცხოვრებისეულ რიტმებს რომ ასკანერებდნენ, რათა საკმაო საბრალდებო მასალა მოეგროვებინათ იმ საზიზღარი პროცესებიდან ერთ-ერთისთვის, რომელთა მოწუწვნა ეგრე ძალიან უყვართ სიახლეებში. ამისთანა რამ სულ ხდება. და, მთავარი ისაა, რომ თავადვე შეაბიჯა მახეში. ყოჩაღ რა... თუმცა, გრძელვადიანი კონსპიროლოგიური გამოცდილება დაეხმარა. კეშამ იცოდა, როგორ გასცლოდა საფრთხეს. სწრაფად წარმოიდგინა თავისთვის ქაქის გროვა მცირე, არააუცილებელი წვრილმანებით – და მანამ უყურა, სანამ ზიზღი არ იგრძნო. მერე კი ისევე ცხადად შეუთავსა თავისი ვიზუალიზაცია ჯერ ცეცხლმოდებულ ქოხს, მერე ჭენებისას შეჩერებულ ცხენს, შემდეგ ქალის მკერდქვეშ შემოკრულ სლინგს – და გააშეარა ზიზღი ნანახისადმი, მისცა მას აუცილებელი ხანგრძლივობა და სიმჭიდროვე. გულისრევის

სპაზმის მსუბუქი მსგავსება იგრძნო, ისიც გააშეარა და სწრაფად წავიდა კორიდორში, წინ.
ირგვლივ, ტატუებზე ბევრი საინტერესო რამე-რუმე იყო – ნაჯახებით კლიტორის მოკვეთა, პირის გაკერვა ლაფანით და ძირეული რუსული საშინელების სხვა ზიგზაგები. მაგრამ კეშა ამ სურათებზე არ შეჩერებულა მზერით. როცა რომელიმე მათგანი მისი მხედველობის არეში ხვდებოდა, კვლავაც იძახებდა საკუთარ თავში ზიზღს. თავისი შიშიც კი გამოსადეგი იყო – მისი ინტერპრეტაცია შეიძლებოდა, როგორც ჯანსაღი რეაქცია დანახულზე... თუკი, რასაკვირველია, ვინმე მართლა უთვალთვალებდა მის მონაცემებს.
მემორიალიდან გამოსასვლელში კეშამ გულდასმითა და მწარედ, – ისე, რომ, ალბათ, გაშეარებულიყო, – შეინანა, რომ რუსია – და კეთილ კაცობრიობას პატიება სთხოვა ყველა იმ ბოროტებისთვის, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა მოუტანეს პატრიარქალური სოფლის ქალს.
ეგეთი რამე არასოდეს იყო ზედმეტი.
ბოლოს, ყურადღება გადაიტანა ქურუმების მომჩვარული ძუძუებიდან (ეტყობა, ჩაიარა – არადა, ეგრე უბრალოდ არ გამოუშვებდნენ), კეშამ ღირსებით მიმოიხედა, ღრმად ამოისუნთქა (რაო, ვერ ამიყვანეთ, ბებერო ქათმებო) – და ყურადღება გადაიტანა საზოგადო დისპუტზე, რომელსაც მოედანი უსმენდა.
პირდაპირ ტრიბუნალის მაგიდის ქვეშ იდგა ორი დისპუტანტი. უფრო სწორად, მარტო ერთი იდგა – მაღალი ფური, ძაღლის სიფათით, წამოზრდილი შავი ბანჯგვლიანი ბალნით. ტრიბუნალის ოპონენტი, წვერიანი კაცი ტყავის საყელურით, ჩაცუცქული იყო, და ფური ხანდახან მოუთმენლად იწყებდა კუდის ქნევას და საყელურს აწვალებდა. კეშამ მჯდომარეში ფილოსოფოსი იან გუზკა ამოიცნო. მთელი დისპუტის მოსმენის ძალა აღარ იყო, და ანიშნა მის წინ გაჩენილ ღილაკს abridge. კამათის არსი ეხებოდა ფურიებთან ნიშნობებს. ეს საქმე დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო ხანებში ფურიებს შეუტიეს ფემინისტებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სიბნელისა და ბალნის საფარში ბოროტმოქმედები ცდილობენ, ლეგალურ სივრცეში შემოიტანონ პედოფილიის ელემენტები. მრავალი ფური, მათი აზრით, გამოიყურებოდა ძალიან

ახალგაზრდულად, მათი კანი მეტისმეტად ვარდისფრად ანათებდა ბალნიდან, ხოლო სუნთქვა ისეთი მხურვალე და სუფთა იყო, როგორიც ბავშვისა. ამიტომ საზოგადოებრივი მორალის დარაჯები მოითხოვდნენ, ადამიანებთან შეუღლებული ფურიების გარეგნობას დამატებოდა მოწიფულობის აუცილებელი ელემენტები – კანის ერთგვარი მომჩვარულობა, ბალნის ცვენადობა, მყრალი სუნი ხახიდან და კუდის ქვეშიდან, ჯიქნის დაკიდება, ბრჭყალებისა და ჩლიქების გადაყვლეფა. ესეც გადაწყვეტილი ამბავი იყო – დისპუტი შეეხებოდა მხოლოდ კონკრეტულ საკანონმდებლო მოთხოვნებს ასაკობრივი ცვეთა-დაშლის ზომების თაობაზე. იან გუზკას ბანჯგვლიან საპირწონე მხარეს გადაეგდო თავისი უშიშარი ინტელექტის მთელი სიმძლავრე და ფემინისტურ სინკლიტს უმტკიცებდა, რომ სექსუალური აქტივობის ფაზა ცხოველებს სოციალურ სიმწიფეზე გაცილებით ადრე მოუდით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ცხოველებს, საერთოდ, არც გააჩნიათ. ამიტომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის უახლოეს ანალოგად უნდა ჩაითვალოს სიცოცხლის ფაზა, როცა ცხოველს შეუძლია დამოუკიდებლად ინადიროს და საჭმელი მოიპოვოს თავისთვის. და მხოლოდ ასე უნდა განისაზღვროს კანონით დადგენილი ასაკობრივი ცენზი.
– და, აბა, მაშინ როგორღა ვიყოთ კუები და ცხვრები? – შეეკითხა ფემინისტებიდან ყველაზე გამოჯეკილი, – ისინი ხომ არ ნადირობენ. ბალახს კიდევ დაბადებიდანვე ჭამენ. მაგათ ყველანაირად ქაჩავთ! თქვენ გამუდმებით თრგუნავთ საკუთარ პედოფილურ ცნობიერებას!
იან გუზკა განაზრებებში ჩაეფლო.
ფურიმ მოუთმენლად მოქაჩა საყელოზე, და აწკარუნდა ფილოსოფოსის კისერზე მიბმული ზანზალაკი, რომლის ვიბრაცია გუზკამ მაშინვე გააქრო წვერის მსუბუქი მოძრაობით – რათა წკარუნს ფიქრში არ შეეშალა ხელი.
კეშა აუცილებლად შეყოვნდებოდა მოედანზე, რათა სახელგანთქმული ჭკუისკოლოფისა და ოქროპირისთვის მოესმინა. მაგრამ თავისი საყვარელი ხულიგნობის ჩასადენად მიუწევდა გული.
შემობრუნდა და ნელა წავიდა ბრბოში, მზერა ჩინურ თაღზე დაურბოდა, რომლის მიღმა ნდობის კედელი იწყებოდა. მას ჯერ

ეშაფოტი ფარავდა, სამი მედლებიანი მუმია – მაგრამ, როგორც კი კეშამ დაინახა შორეული შავი სილუეტი, П-ს მსგავსი ორმაგი ზედა გადაბმით, თაღი მაშინვე მის წინაშე აღმოჩნდა – და მან გაიარა მათემატიკური თანასწორობის მონუმენტური ნიშნის ქვეშ, ორ კოლონაზე რომ განისვენებდა. თაღის ქვეშ რომ ყვინთავდა, რატომღაც, ყოველთვის წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ გადაიქცევა ქვის დიდ ტროლად, ბუსუსები და ბალახი რომ ამოსვლია – თუმცა კარგად არ იცოდა, ეს რა ტროლი იყო და საიდან გაჩნდა მის თავში. ალბათ, რაიმე მულტფილმი აეკვიატა ინკუბატორიდან.
ახლა წინ ედო გრძელი ქუჩა – ცარიელი, ვიწრო და უკმეხი. ქუჩაც კი არა, არამედ უცნაური გასასვლელი ბრმა სახლით, შეღებილი ცერცვისფრად, და მუქწითელი კედლით, მჭიდროდ დაფარული განსხვავებული ფერის წარწერებითა და ასევე სხვადასხვა შესახედაობისა და ზომის ფურცლებით. რაღაც გრძელზე გრძელი ჩიხის მსგავსი, სადაც არც ერთი ფანჯარა არ გამოდიოდა.
ამ ადგილზე კეშას არასოდეს შეხვედრია ვინმე. არც შეეძლო აქ ვინმეს შეხვედროდა. ნებისმიერი, ვინც თაღის ქვეშ გაივლიდა, გარანტირებულად აღმოჩნდებოდა მარტოობაში – ინდივიდუალური თვითგამოხატვის სივრცეში, რომლის თვალთვალი აკრძალული იყო კანონით. კედელზე კიდევ, შეგეძლო, რაც გინდოდა, ის დაგეწერა. და ამ საქციელისგან არავითარი კვალი საინფორმაციო სივრცეში არ რჩებოდა. უფრო სწორად, ავტორობის კვალი არ რჩებოდა – ხოლო კედელზე წარწერები ახალი ვიზიტორებისთვის ისე ხდებოდა დასანახი, როგორც ვისიმე ანონიმური თვითგამოხატვა.
კეშა სხვის წარწერებს არ კითხულობდა. მათგან უმეტესობა იყო, უბრალოდ, დაჩაგრული ფსიქიკის უცენზურო გამოხდომა, რამდენიმე წამით გათავისუფლებული სოციალური ნორმის მარწუხებისგან. კეშას ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ეს სიტყვათა ამონთხევები არ სკანირდებოდა და არ იწერებოდა – ეჭვობდა, რომ ისინი ხვდებოდა მის პირად ფაილში ზუსტად ისევე, როგორც სხვა დანარჩენი. ამიტომ ეშმაკურად ტროლავდა სისტემას – და ეს ეშმაკობა თავადვე აღაფრთოვანებდა.
თავის საყვარელ ადგილას კედელთან მიახლოებულმა აიღო

ფუნჯი შავსაღებავიანი სათლიდან, თავაზიანად რომ გაჩნდა ქვემოთ, და მსხვილი ასოებით დაწერა:
FUCK THE SYSTEM, BRO!
I DO IT EVERY DAY
წარწერით რომ ისიამოვნა, ჩაიხითხითა. გვერდითაც ეგეთივე იყო. ორი კვირის წინ დატოვებული. კიდევ ერთი – უკვე ძლივს რომ მოჩანდა სხვების ასოებში – უფრო მარცხნივ. ეგ ერთი თვისაა. კეშა სულ ერთსა და იმავეს წერდა. სუფთა და გულახდილ სიმართლეს ყველაზე მთავარზე. სრულიად შეუძლებელი იყო ამის გაშიფვრა.
მისი დაუინტერესებლობის ჯავშანში მაინც მოასწრო შემოღწევა რამდენიმე უცხო წარწერამ – დაწყებული ღია-ალისფერი შეხსენებით გამალებულად გაქაჩული რეპერ-სეფარდის
მუსიკალური ინდუსტრიის შესახებ:
AIPAC SHAKUR III RULES THE WORLD!
და დამთავრებული მრავალსიტყვიანი გამოძახილით რაღაც სასაცილო გოგონური წყენის გამო, წარმოდგენილი ქაღალდის ფურცელზე, სხვადასხვა ფერის უხამსობებსა და ღვთის მგმობელობების ზემოდან დაწებებულზე.
ნება მიბოძეთ, ამ დაძიბაოთი ბატონ კუპრიანოვს შევთავაზო, ჩაიცვას ვარდისფერი ტრიკო, კედელზე დახატოს ჩემი მეოთხე ხელი და ლოკოს, ენაზე სისხლიანი წყლულების გაჩენამდე. ნატაშა.
რამდენიც ადამიანია, იმდენიც განწყობაა.
კეშასთვის, აქაც კი, წარწერები დასანახი ხდებოდა ლოკალიზაციის გათვალისწინებით – თუ რუსული ენის სიუხვით ვიმსჯელებდით. და მათ უნდათ, ჩვენ გვჯეროდეს, რომ არ გვითვალთვალებენ…
როგორც კი ამ აზრმა გაიელვა კეშას ტვინში, მაშინვე მიიღო დადასტურება, წონადი, როგორც დარტყმა გულის კოვზთან. მან პასუხი დაინახა თავისი ადრინდელი fuck the system-ის ქვეშ. ეს იყო გულდასმით წარწერილი ღია ცისფერი საღებავით:
შენ კი არ ხმაროობ სისტემას, ბრო.
სისტემა აქეთ გხმაროობს. უბრალოდ, შენ ვერ გაიგე, ვინ ზემოდანაა და ვინ – ქვემოდან. შენი კეთილისმოსურნე ბატუ.
ის, რომ მის წინაშე პასუხი იყო, ამ «ბრო»-დან ხდებოდა

ნათელი. ყველაზე შემაძრწუნებელი იყო ენა – რუსული, თუმცა კეშა აქ ყოველთვის ინგლისურად წერდა. ალბათ, ეს ნიშნავდა, რომ მოპასუხისთვის ცნობილია ენობრივი ლოკალიზაცია. შეიძლება, წვდომაც კი აქვს მეტათარიღზე: საიდანღაც იცოდა, რომ სულ ახლახან კეშა უყურებდა პროგრამას ბატუ კარაევზე. მეორე მხრივ, იმასაც უშვებდა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითობა ყოფილიყო. შეიძლებოდა უცნობი რუსულენოვანი მომხმარებელი მიეზიდა დაძიბაოს ბატონ კუპრიანოვზე (ნეტაი, ერთი, მოგცლიათ რა, პირქუშად გაიფიქრა კეშამ), კარაევი კიდევ იმდენად ცნობილი ტერორისტი იყო, რომ, ალბათ, ყოველი მეორე თახვი კედელზე თავის შესიტყვებას მისი სახელით აწერს ხელს.
ასე იყო თუ ისე, სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინა და თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. იმიტომ, რომ სინამდვილეში, ჯერ მართლა არაფერი მომხდარა...
მაგრამ გასასვლელისკენ მიმავალმა კეშამ თავი ვერ შეიკავა გადახვეული (და, უნდოდა ერწმუნა, სისტემისთვის უხილავი) განსჯისგან:
«რაღაცაში მართალია ეს კეთილის მოსურნე. სისტემა ხომ მართლა მხმარობს სწორედ ახლა. პირიქით რომ ყოფილიყო, ეგრე ხომ არ ამაცახცახებდა? განათუ დამალვა დამჭირდებოდა?»
კეშა მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, მოედანზე რომ გავიდა – და გადაწყვიტა, მომხდარი უბრალო დამთხვევად ჩაეთვალა. სინამდვილეში თავად არის დამნაშავე – ვეფხვი ულვაშებით არ უნდა მოექაჩა, საერთოდ, რად უნდა ეს ნდობის კედელი? საკითხავია, რა დაუჯდება საკუთარი სიმარჯვით დატკბობა, თუკი ნებისმიერ წუთში მას შიში შეცვლის?
გეგონება, გაიგონაო, შიში დაბრუნდა – და ისევ უთავაზა კეშას გულის კოვზთან თავისი ყინულოვანი მუშტი. ბრბოდან Little Sister-ი უყურებდა.
მარცხენა ქუთუთოს ქვეშ მუქად მოუჩანდა ჩალურჯება, თვალებში კი ახალი წყენის ცრემლი უბრწყინავდა. ისეთი კოსტიუმი ეცვა, ადრე კეშას არ ენახა – რაღაც ელფური ჯავშნის მსგავსი, ღიას რომ ტოვებდა ხელებს და გრძელ, წვრილ ფეხებს – და ეს, კეშას ამის აღუნიშნაობა არ შეეძლო, უხდებოდა. მისი თმა რბილად იყო გადავარცხნილი უკან. ახალი ვარცხნილობა.

კეშა უცებ მიხვდა, რომ დაიკო ახლა მიუახლოვდება სამ ბებერ წავს – და ყურში უჩურჩულებს სულ ყველაფერს. და აქვე აიყვანენ. არ იცოდა, ეს როგორი სანახავი იქნება, მაგრამ სმენოდა – ჩააგდებენ ციხის სიზმარში, რომლიდანაც გამოიღვიძებს იმავე ციხის სიზმარში... და ვერავითარი იან გუზკა ვეღარ უშველის, იმიტომ, რომ კეშას არასაკმარისად შავ-შავი მატყლი აქვს, რათა დიად ჰუმანისტში ემპათია და თანაგრძნობა გამოიწვიოს. კეშას მოუნდა გასასვლელისკენ გაქცეულიყო ჯგუფური სიზმრიდან – მაგრამ ხვდებოდა, რომ ეგეთი რეაქცია საბოლოოდ გაყიდდა. რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, თვალები მოატარა მოედანს და ისევ შეხედა დაიკოს.
გამქრალიყო.
წასვლას ვერ მოასწრებდა. ვერც ბრბოში დაკარგვას – ირგვლივ ბევრი ხალხი არ იყო, მის მახლობლად ერთდროულად გამოჩეკილი ინდოელი მსუქნები სეირნობდნენ, ჭრელ სარეებში. კეშას ისევ მოუნდა გასასვლელისკენ გაქცევა – და მხოლოდ ნებისყოფის არაჩვეულებრივი დაძაბვით დაიჭირა საკუთარი თავი ადგილზე.
«ისინი მითვალთვალებენ, – იფიქრა მან, – ისინი მიჭერენ. პროვოცირებას მიკეთებენ. ჯერ ეს გალერეა, ახლა კიდევ დაიკოც... ყველაფერი ერთი ერთშია... თუ მე გადავდივარ ჭკუიდან?»
ეგეთი ვარიანტი დასაშვები იყო. კოლექტიურ სიზმარს შეიძლებოდა დადებოდა პირადი ხილვები, განსაკუთრებით აწეწილი ნერვიული სისტემისას. დასკვნებისთვის სიჩქარე საჭირო არ იყო. და, რაც მთავარია, თავი ხელში უნდა აეყვანა. ხსომებოდა, სულ ხსომებოდა ძველი სიბრძნე – ადამიანს ისე არავინ გაყიდის, როგორც საკუთარი თავი.
კეშა შებრუნდა და გასასვლელისკენ წავიდა, ცდილობდა, ნელა და მოდუნებულად ევლო. სარკეებიან კორიდორში რომ გადაებიჯებინა, დიდი ძალისხმევა დასჭირდა საკუთარ თავზე. სარკეებმა გაუშვა.
წამით იფეთქა ნარინჯისფერმა ვარსკვლავმა, სამყარო სიბნელეში ჩაძირა – და ჩაქრა. LUCID-ის ფაზა დამთავრდა. სულის მოთქმით კეშამ სიზმრიდან სიცხადეში დაიწყო ამოყვინთვა – ზემოთ, დაბინდულად მთრთოლარე ფეისტოპის

შუქზე. დიდი ხანია, ასეთი კოშმარი არ ახსოვდა.
ხვალ არანაირი დაიკო არ იქნება.
კეთილსინდისიერი ოჯახური სექსი მერილინთან.
მერე კიდევ რომელიმე თამაში. რამე ტრადიციული. ტანკები, ჰო.
მთავარია – რაც შეიძლება მეტი კურდღლის მარყუჟი მეტათარიღში.

მეტათარიღი 2

გული მერილინის თავზე, როგორც ყოველთვის, დილიდანვე ენთო. ხოლო «ლავბუკმა» გამოაცხადა თემატური მასკარადული დღე – «აბსენტის ეპოქა». არჩევანი უბრალო იყო.
როგორც სერპენტინულად საზეიმოდ მსროლელმა პოპ-აპ-ებმა ახსნეს, მერილინს დღეს სისტემის ხარჯზე ნადეჟდა კრუპსკაიად გამოაწყობენ, თავად კი ვლადიმირ ულიანოვი იქნებოდა. ნეტავი, იცოდეს მაინც, ესენი ვინღა არიან. ალბათ, რომელიღაც ძველი მხატვრები. აბსენტი. ვან გოგოლი...
თავიანთი ინტიმური გამოცდილების გამაშეარებელი წყვილები «ლავბუკის» ფანჯრებში მოძრაობდნენ – თხისწვერა, ერთგვაროვანი ბატონები ხდიდნენ და ხელებს უფათურებდნენ გრძელკაბებიან, დაძაბულ ქალბატონებს. ყველა საძინებლის საერთო ელემენტი გაბერილი ბოთლი იყო მწვანე სითხით, მაგიდაზე რომ იდგა, საწოლის წინ. როგორც ყოველთვის, მასკარადულ დღეებში, კეშამ იგრძნო სულის მსუბუქი ამაღლება.
საძინებელში შესულმა ირონიულად დაუქნია თავი ყველას, ვისაც ამწამს მისი დანახვა შეეძლო. თუკი ისინი იყვნენ, საერთოდ, რაშიც ეჭვი ეპარებოდა დაბალი პირადი რეიტინგის გამო.
გრძელ, მუქ ქვედაბოლოსა და მაქმანიან ბლუზაში გამოწყობილი მერილინი საწოლზე იწვა, კუთხეში იყურებოდა. მოჩანდა მისი ნამძინარევი პროფილი – და ეს პროფილი ერთი წვეთითაც არ აღაგზნებდა კეშას.
«გასაგებია, რატომაა სპირტიანი სასმელი», – ფილოსოფიურად გაიფიქრა კეშამ, საწოლის მახლობლად რომ შენიშნა გაბერილი ბოთლი. უცნაურია, რომ ალკოჰოლური სასმელი აირჩიეს მთელი ეპოქის სიმბოლოდ. ეტყობა, კუშტი დრო იყო. მტვრიანი და უსიხარულო.
მერილინის საწოლი უცებ გაიწელა ბურუსიან კვადრატულ პოპ-

აპ-ად. მასში გამოჩნდა მტვრიანი და უსიხარულო – აი, ზუსტად ისე, როგორც ახლახან გაიფიქრა! – ისტორიამდელი სამხარეო ქალაქის ქუჩა, შავ-თეთრ ფერებში. სახლებიდან ერთ-ერთის ფანჯრებში კრთებოდა ოთახი, შეღებილი სეპიით
საწერ მაგიდასთან, საკანცელარიო საქაღალდეებს შორის იჯდა ჩეხოვის მსგავსი რუსი ინტელიგენტი, ხელში ბოკალით. ბოკალში სითხე იყო ღია მწვანე – ერთადერთი ფერადი ლაქა კადრში.
სადღაც საათმა დაჰკრა – მისი ხმა კეშას გამოუთქმელად დარდიანი ეჩვენა.
ინტელიგენტმა თითქოს გადაწყვეტილება მიიღო. უცებ გადაჰკრა მწვანე სითხე, რამდენიმე საქაღალდე იატაკზე დააგდო და ფეხზე წამოხტა – მაგრამ კეშამ მაინც ვერ გაიგო, იმას რისი გაკეთება უნდოდა: მოძრაობა შეჩერდა, სურათი კი აყვავდა ათასობით სამოთხის ყვავილად, მაგიდიდან წამოწეული რაღაც დაუჯერებლად ცისარტყელასებური ბუჩქი გადაღება, ნაცრისფერ-მოყავისფრო სეპიიდან რომ ამოსულიყო. მშვენიერი წამი იდგა – და ის გაჩერდა.
ABSINTH
УПЕЙ СИБЯ ГОЛОВОЙ АПСЕНТУ
ისევ ლოკაციზაციაში ჩაისვარეს, იფიქრა კეშამ ზარმაცი ზიზღით. გაუგებარია, რის თქმა უნდოდათ, საერთოდ.
პოპ-აპ-მა ქრობა დაიწყო. გამოჩნდა ფასები ერთჯერად ადმინისტრირებაზე და კვირეული ციკლისათვის – უნდა ითქვას, რომ სასტიკი. მერე მათ შორის ისევ გამოჩნდა მერილინი – და იქვე მდგარი მაგიდა, გაბერილი ბოთლითა და მრგვალი ბოკალით. კეშამ დაისხა სქელი, მწვანე სითხე ბოკალში და დაყნოსა. სუნის მიხედვით, აბსენტი იყო, სუსტი ლიქიორი. ახლა მთავარია, თავი არ დაუქნიოს, სანამ ფასები საბოლოოდ არ ჩამქრალა – თუმცა დღეს ფასდაკლება აბსენტზე იყო ხუთი-ათი პროცენტი.
«კარგი, ეს სუნი, – იფიქრა კეშამ, – კიდევ გასაგები ამბავია. ნიღბიდან. მაგრამ როგორ აკეთებენ სირჩას და ბოთლს – როცა თვალებს ვხუჭავ? ტრეკპედით? მე ხომ მაგას სულ ვგრძნობ თითებით... თუ არა?»
თვალები დახუჭა. და მაშინვე გაუგებარი გახდა, უჭირავს ხელში რამე თუ არა. ისევ გაახილა თვალები. ბოთლი და ბოკალი ისევ

ეკავა. ახლა სრულიად ზუსტად გრძნობდა მათ თითებით.
«გასაგებია, – იფიქრა კეშამ, – ტრეკპედი ჩართეს მხედველობითი არხიდან... ანდა, პირიქით...»
უცებ მიიტანა ბოკალი პირთან და დიდი ყლუპი მოსვა. მერე კიდევ ერთი. მერე კი გაიაზრა, რომ ეს არ იყო გაცნობიერებული გადაწყვეტილება, არამედ სპონტანური საქციელი. ძალიან სპონტანურიც კი, მისი ჩადენილი რომ ყოფილიყო. მაგრამ, რაკიღა დღეს აბსენტზე ფასდაკლება იყო, ამას შეიძლებოდა შერიგებოდა.
აბსენტი მაგარი სასმელი აღმოჩნდა, შორეული ნათესავი ყოველგვარი პასტისების და პერნოებისა – ცხადი მეზალიანსით
გენეტიკური მემკვიდრეობითობის ხაზში. და, როგორც ჩანს, შიგ ერია რაღაც ნარკოტიკი – მერილინის საწოლი აყვავდა კვამლოვანი ცისარტყელებით, თავად სოციალური პარტნიორი ქალი კი თავისკენ ეძახდა მასზე ამოზრდილი ათეულობით გამჭვირვალე ხელით.
«აჰა, – იფიქრა კეშამ, მისკენ დაიხარა, – ახლა გასაგებია, რატომაა ეგეთი ფასები. საინტერესოა, სხვები თუ სვამენ?»
ლავბუკზე ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ დარწმუნებულიყო – სვამენ და მერე როგორ. რეიტინგში ნომერ პირველი იყო სხვადასხვა ფერის ხე, რომელსაც უშველებელი ასოთი ჭრიდა რკინის მხიარული ხისმჭრელი. ნომერი ორი – ვარსკვლავიანი ღამე სხვადასხვა ფერის ვარსკვლავების ძაბრებით. შორს, ზეცის შავ მორევში ვარდებოდა წითელი კრამიტის სახურავი და უცებვე ბრუნდებოდა – და მერე ზემოთ ავარდებოდა ისევ. მესამე ადგილზე იყო ორი ერთიმეორეზე მხოხავი, მოჭრილი ყური: დიდი, თმიანი და ყვითელი – და პატარა, შეფაკლული და ვარდისფერი. მეოთხეზე – საფლავის ფსკერზე დაკლაკნილი ვამპირი შავ ფრაკში, რამდენიმე ადგილზე უკვე გახვრეტილი ზემოდან ჩამოვარდნილი ვერხვის მარგილისგან.
ჰო, იფიქრა კეშამ, ამათ ვეღარ დაეწევი. თუმცა...
შენიშნა, რომ მისი ხელები ორ შოლტად იქცეოდა, და მიხვდა – მერილინი ცოტა დასჯის წინააღმდეგი სულაც არ იქნებოდა. თუკი სამჯერ ან ოთხჯერ გაუტყლაშუნებდა... ანდა უფრო ხუთჯერ-ექვსჯერაც.

მაგრამ მერილინი არ რეაგირებდა შოლტის გადაკვრაზე. ეტყობა, უნდოდა, რომ კეშას აეყვანა უმოძრაო და მორჩილი. კარგი, ეგეც შეიძლება. მაგრამ აი, როგორ გამოუვა ქალისთვის ქვედაბოლოს შემოხევა ორი შოლტით?
გამოუვიდა.
რამდენიმე წუთის შემდეგ დაკმაყოფილებულ პარტნიორს მოწყვეტილმა (მაინც არაფერი თქვა, უბრალოდ, წითელი გული, ბოლოს და ბოლოს, ჩაქრა) კეშამ აბსენტის ჰალუცინაციის ნარჩენები ჩამოიფერთხა და მეტათარიღი გაიხსენა. ჯერჯეროობით ყველაფერი გეგმით მიდის. სოციალურად საპასუხისმგებლო სექსი უკვე იყო. ახლა კი ტანკებში.
კეშამ საძინებლის ფანჯრიდან თავის ფეისტოპზე გაიხედა – და თავი დაუქნია მოთამაშეს, ოდნავ გადახარა თავი მარცხნივ. ეს დამუშავებული მოძრაობა მაშინვე უშვებდა ტანკოსფეროს, საქაღალდის გვერდის ავლით.
მოთამაშე მორჩილად გადაიქცა მიხაელ ვიტმანად – მამაც ესესელად, ტანკისტის შავ მუნდირში. გაორმაგებული ელვები მის მუნდირზე დაფარული იყო სოციალური ცენზურის შავი, ბრძნული ზოლებით, რისგანაც გეჩვენებოდა, რომ რუნებზე ამოვიდა პატარა, კვადრატული ულვაშები.
ვიტმანმა ქუსლები მიარტყა ერთმანეთს. რკინის ჯვარმა მის მკერდზე ზრდა დაიწყო, გადაიქცა გაღებულ, ჟანგიან კარიბჭედ – და რამდენიმე წამის შემდეგ კეშა უკვე თავის საბრძოლო ანგარში აღმოჩნდა.
აქ ყველაფერი ძველებურად იყო. იატაკის ქვის ფილები, კედლების უხეში აგურები, თაროები სხვადასხვა მექანიკური საჭიროებებით, ჭურვების მძიმე ყუთები. ზეთისა და დიზელის, დამწვარი წამლის და რკინის სუნი იდგა.
ამბობდნენ, რომ დამატება «ტანკები» რეკონსტრუქციისას აღადგინეს თითქმის იმავე სახით, როგორითაც ისინი არსებობდა ბრტყელ ეკრანზე ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში – ოღონდ 2D ფორმატიდან 5S-ში გადაიყვანეს, ჩატვირთვაც სრული გამოვიდა. იმ დროში, როცა თამაში მოიგონეს, რკინის საბრძოლო მანქანები კიდევ გვხვდებოდა რეალობაში. ამის გამო დამატება განსაკუთრებით ავთენტურად გამოიყურებოდა.
იმასაც ამბობდნენ, რომ თითქოსდა ეს თამაში არყოფნიდან

ააღორძინეს პოლიტიკური მიზეზებით – რათა ნათლად განესაზღვრათ რუსულენოვანი მომხმარებლების კოლექტიური კარმა, აჩვენეს, რომ ჰომოფობია რუსული ნაციონალური იდენტურობის ერთადერთი კულტურული საფუძველი არ ყოფილა (იქ კიდევ არსებობდა მექანიზებული ძალადობა, ხუმრობდა მოთამაშე). როგორც ანონიმუსი ირწმუნებოდა, ამავე მოსაზრებებით გადაიღეს უახლესი სერიალი «კრეისერი «ჩაიკოვსკი». ასე იყო თუ ისე, თამაშის ყოველი სეანსის წინ უხდებოდა კულტუროლოგიური კომენტარების მოსმენა კედელზე დამაჯერებლად შექმნილი, გაბერილი 2D ტელევიზორიდან. კეშა ცდილობდა, კომენტარები ერთი ყურიდან მეორეში გაეტარებინა, მაგრამ ინფორმაციული ნაფლეთები მაინც წკარუნობდა ჯავშანზე.
აი, ახლაც, ტელევიზორში გამოჩნდა ცეცხლმოდებული ტანკი – და დაუკრა მუსიკამ. მამაკაცურმა ხმებმა გაწელა მწუხარე და ჟღერადი «უ-უ-უუუ». ამის კვალდაკვალ ეკრანზე გამოჩნდა სახელგანთქმული იან გუზკა. კეშამ მაშინვე იცნო მისი სახე, თუმცა დღეს ოდნავ მასხრულად გამოიყურებოდა – ფილოსოფოსის შუბლზე ცერად იყო მიწებებული ტანკის ქვემეხი.
– თქვენ ახლახან მოისმინეთ მუსიკა, – თქვა გუზკამ, – რომლსაც წარსულში ატრიალებდნენ ტანკისტების გუნდის დამარცხების შემდეგ. ავტორების ჩანაფიქრით, გულში უნდა გამოეწვია ნაციონალისტური ემოციის გრიგალი. მაგრამ ეს ჯერ რა არის? რუსი ვირტუალური ტანკისტები თავიანთ საბრძოლო მეგობრებს დაიტირებენ იმისთანა ამბივალენტური ინტონაციებით, რომ დაუყოვნებლივ ხვდები ტანკებისადმი მათი ინტერესის მთელ სიღრმეს – მდებარეს, რასაკვირველია, ამ აგრეგატის უკიდურეს მასკულინურობაში და ფალოცენტრულობაში, მოთამაშეებს რომ საშუალებას აძლევს, თუნდაც მიპარვით, თუნდაც ირიბად, სულაც საკუთარი თავისგან ნამალევად, თავიანთი დათრგუნვილი ჰომოსექსუალურობის რეალიზება მოახდინონ სიმბოლურ გრუპენსექსში, როგორღაც რომაა კამუფლირებული რკინის ვირტუალურ ღრჭიალში. ამასთან დაკავშირებით, აღარ დავიწყოთ მოციმციმე «რუსული ევროპა»-ს საბოლოოდ უარყოფა კულტურისა და სულის სივრცეში. შესაძლოა, მართლები არიან ისინი, ვინც ამბობს – არ

შეიძლება ხელაღებით დავადანაშაულოთ ჰომოფობიაში ერი, სამყაროს რომ ჩაიკოვსკი და ანდაზა – «ჩვენ გვხმარობენ, ჩვენ კიდევ უფრო ვმაგრდებით» – აჩუქა.
გუზკა მაშინვე დახურა სერიალ «კრეისერ «ჩაიკოვსკის» პოპ-აპ-მა. ეს იყო საპნის საგა ოცდამეერთე საუკუნის რუსეთზე: ევროპის საბჭო ბოლოჯერ ითხოვს დაუშვან გეები არმიულ სამსახურში, და რუსეთი აკეთებს დათვურ პიარმანევრს – შეკრებს ფლოტის ყველა გეის ახალ სტრატეგიულ კრეისერზე, რომელიც მოწოდებულია, იმსახუროს ვიტრინად თითქოსდა ქვეყანაში უკვე მიღწეული ტოლერანტულობით. მაგრამ მყვინთავ-გეებს ბევრი მტერი ჰყავთ ფლოტის შტაბში, ატომური ომის დაწყების მსურველ ნაციონალისტ-ჰარდლაინერებს შორის, და არანაკლები – მართლმადიდებელი სიბნელის დამქაშებს შორის, აკვალანგებში გამოწყობილნი ილუმინატორების მახლობლად რომ ფუთფუთებენ, რეზინის თითებზე აბუსური
პატარა პლაკატებით...
თუმცა პოპ-აპ-ი გამოჩნდა ტელევიზორის ეკრანზე კი არა, პირდაპირ ჰაერში – რის გამოც, ნაწილობრივ დაირღვა სატანკო ანგარის ისტორიული დამაჯერებლობა.
კეშამ კიდევ ერთხელ გაიოცა, კულტურის პროფესიონალებს როგორ ნარნარად და უშუალოდ მიჰყავთ საუბრები კონტექსტური დამუშავების წერტილებამდე. მაგრამ ამიტომაც არიან ისინი, კერძოდ, ინტელექტუალები... თუ ეს გუზკა კი არა, თავადაა? ის ხომ ახლახან იხსენებდა «ჩაიკოვსკიზე»...
დაიწყო სერიალის ფრაგმენტი: შტორმი ზღვაზე. შიდა გემბანი ფერად-ფერადი წყალქვეშა ნავისა, სარაკეტო განაკვეთის ვაჟკაცური ჭრილი, მსგავსი უშველებელი გენიტალიის ჯავშანსაცავისა... ტიხართან ფეხებგაჩაჩხული ბოცმანი საბოლოოდ გაიწია სიგარეტისკენ, სახის განიავებული ქვაფენილი შეიჭმუხნა და უხილავ პატრნიორს ზუგს უკან მკაცრად გადაულაპარაკა:
– ჰოდა, მიყვარს, მიყვარს...
მოსიყვარულე ბარიტონმა იქვე იმღერა ავთენტური ძველი შლაგერი «ჩაიკოვსკიდან»:
«შენი ჩაშვების სიღრმით მე შენს სიყვარულს ვზომავ...»
როგორც ამტკიცებდნენ, სერიალი დაყენებული იყო რუსული

გეიფოლკლორის გადარჩენილ ოქროს მარცვლებზე – და ეპოქის ყოფას უკიდურესი სიზუსტით გადმოსცემდა. მაგრამ იმ მომენტისთვის, როცა კამერას დაჰკრა სიმბოლურმა ქაფმა, კეშამ უკვე გამოთიშა გაცნობიერებულის ზონიდან გუზკაც და პრომორგოლიც. მან გაიარა ანგარში, ბოქსებში მდგომი ტანკების წინ, მომავალ გასვლაზე ფიქრობდა.
მსუბუქი ტანკები, რომლებსაც კეშა ოდესღაც აგროვებდა, სულ დამტვრეული და დაბუგული იყო: ბოქსებში შავად მოჩანდა მათი დამწვარი კარკასები, ოდნავ რომ უდიოდათ დიზელისა და დამწვრის სუნი. სარემონტოდ დახარჯვა არ უნდოდა, ხოლო შიდათამაშური ვალუტა, გამომუშავებული ბრძოლებში, კეშას ბოლო ხანებში მხოლოდ ჭურვებზე ჰყოფნიდა. და ისიც ერთ ჩვეულებრივ გოლდაში, ყველგან რომ ატანდა, უნდა მიეცა ერთი შერინგ-პოინტსი.
ორი მანქანა იყო გამართული – ტიუნინგის «პანტერა» გრძელი, სწრაფმსროლელი ქვემეხით და მძიმე «იაგდტიგერი» სქელი წინა ჯავშნით. ეს ორი აგრეგატი, კერძოდ, უკვე საკმარისი იყო: «იაგდტიგერით» კეშა დასაბომბად მიდიოდა, «პანტერათი» კიდევ სულის სალხენად სეირნობდა. «პანტერაში» მომარაგებული იყო რამდენიმე ყველგან გამტანი გოლდის ჭურვები – იმ შემთხვევებისთვის, თუკი გული მოითხოვდა.
ჯგუფურში შეძვრომა კეშას დღეს არ უნდოდა – შესაძლოა, გუზკას კომენტარების მერე. სურდა რაღაც ინტიმური, კამერული და იაფი.
კეშა «პანტერაში» ჩაძვრა (უყვარდა კუნთოვანი ზამბაროვნება, მის სხეულს რომ უჩნდებოდა, როცა ჯავშანზე მიბობღავდა). მართვის ბერკეტებს მოეჭიდა, ერთი-ორჯერ თავი დაუკრა სათამაშო მენიუების გამშვებ სიებს – და ველზე გავიდა პროხოროვკასთან.
არცთუ მაღალ გორაკზე გაჩერებულმა, საიდანაც გარემომცველი გორების კარგი ხედი იშლებოდა, ცდა დაიწყო, ვინმე ხომ არ შემოივლიდა მის ინდივიდუალურ სამყაროში ჭურვების გასაცვლელად. როგორც წესი, მსურველები ათ წუთში ჩნდებოდნენ. მთელი თხუთმეტი გავიდა, მაგრამ არავინაც არ დახატვია.
კეშამ თავი ამოყო ლიუკიდან და მიმოიხედა.
თრთოლამდე ლამაზი იყი ივლისის საღამო. გამთბარ ჰაერს

ათასობით უცნობი ბალახის სურნელი მოჰქონდა. ჩასავალთან მიღწეული, წითელი მზე ისე ნაზად და ალერსიანად ათბობდა, როგორც ეს ხნიერ ვარსკვლავებს შეუძლია (მზე, უცებ მიხვდა კეშა, ყოველ საღამოს ხდება დიდი და წითელი, თითქოსდა მომავალი სიბერისა და სიკვდილის რეპეტიციას ატარებს). სამყაროს ცოცხალი ხმები, მოფრენილი კეშას ყურებამდე, უცნაური ეჩვენებოდა – კეშამ არც კი იცოდა, ეს მწერები არიან თუ ფრინველები.
ვეღარ მოითმინა, ტანკიდან ამოძვრა, ბალახზე ისკუპა და მინდორზე გაიარა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა ირგვლივ – მხოლოდ პატარა ჩიტები ხაზავდნენ მაღალ წრეებს ცაში. სროლა აღარ უნდოდა.
საღამო იყო გრანდიოზული, მშვენიერი – თითქოსდა კეშა აღმოჩნდა ძველი ტაძრის მეწამული და ყვითელი ვიტრაჟების წინ, იმავდროულად მთელი სამყარო რომ იყო. არ სჯეროდა, რომ სილამაზე, გულს რომ შეუძრავდა ამისთანა სიმებზე, რომელზეც კეშამ არც კი იცოდა, წარმოიქმნა უბრალოდ, როგორც შემთხვევითი სატანკო ბრძოლის ფონი.
აქ რაღაცა ხრიკი იყო. და კეშა, უკვე რომ ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე, პირდაპირ მზის ჩასვლისკენ გაემართა. იცოდა, ახლა რაც მოხდებოდა – და არ ცდილობდა ბრძოლას.
დროდადრო, ცუკერბრინები აშუქებენ ყოველ სულს. დამალვას აზრი არა აქვს. აჯობებს, ნდობით გაეშურო შესახვედრად. ჰორიზონტის ზემოთ განათდა, და კეშას მოეჩვენა, რომ მისკენ მობრუნდა სამი დამაბრმავებებლი სახე. მათ ცეცხლოვან თვალებში ჩახედვა შეიძლებოდა – მაგრამ კეშას ასეთი სურვილი არ გასჩენია. კარგად და მსუბუქად იგრძნო თავი. ყველა ტვირთი, ჯვარი და უღელი, ბედისწერას რომ ესროლა მისთვის, უცებ უწონადი გახდა.
სინამდვილეში, არაფერსაც არ მიათრევს თავისი კუზით, მიხვდა – მერამდენედ მიხვდა! მთელი სამყარო მოგონილია საგანგებოდ მისთვის. მაგრამ ადამიანები ისე არიან მოწყობილი, რომ სულის მათებური მეტაბოლიზმისთვის უნდა დაიმალოს და კანკალებდეს, როგორც ამას აკეთებდნენ მილიონწლობით, ბნელ მღვიმეებში რომ ჭამდნენ ლეშს. ადამიანის ცხოვრება არ უნდა იყოს მეტისმეტად მსუბუქი, იმიტომ, რომ ის ისწავლის, ნებისმიერ კომფორტში იპოვოს

კარმისგან ჩადებული ტანჯვა, და რაც უფრო მსუბუქი იქნება ბუმბული, უფრო ძლიერად ჩააფრინდება გვერდში მის ქვეშ ჩამავალ ცერცვის მარცვალს.
ყველაზე გახარებულ ბედს უნდა ჰქონდეს ტკივილი და სიბნელე – სწორედ ისევე, როგორც უმშვენიერეს ქალს შიგნით უნდა ჰქონდეს ნაწლავები. და სულერთია, არსებობა – ესაა ბედნიერება, შეუფასებელი საჩუქარი, მარადიული გაზაფხულის კოცნა. ახლა კი თავად ბედნიერების წყარო, თვალმოუშორებლად უყურებდა სულში სამი წყვილი თვალით. კეშა გრძნობდა მის ამავსებელ სიყვარულს. იცოდა, რომ არაფრის, სულ არაფრის დამალვა არ შეიძლებოდა ამ სინათლისგან. არც უნდოდა დამალვა. სინათლემ იცოდა – ის დამნაშავე არ იყო: უბრალოდ, აღასრულებს მის თავში გაჟღერებულ ბრძანებებს, ხოლო მათ უკან ვინ დგას, არ იცის, რამეთუ პატარაა და სუსტი. ვინ არის იმ ძალებთან შედარებით, მის გონებას რომ ამრუდებენ? როგორ შეუძლია მათ დაუპირისპირდეს, თუკი თავად – მხოლოდ და მხოლოდ მათი თამაშია?
და სინათლე ეთანხმებოდა. სინათლემ ყველაფერი იცოდა. სინათლე არაფერს საყვედურობდა. მაგრამ კეშა გრძნობდა, რომ არსებითად, შესაძლოდან ყველაზე საშინელება ხდებოდა. სამწუხაროდ, იმ გვირილებს, ვარდებსა და შროშანებს შორის, რომლებზეც ეცემოდა სამმაგი სხივი, ის არ იყო ყველაზე ლამაზი ყვავილი. ისე ვერ ახარებდა ამ სინათლეს, როგორც სხვები, მართლა მშვენიერი მცენარეები. სინათლეს მრავალძარღვად ანდა ოროვანდად ეჩვენებოდა... და ეს აუტანელი იყო. მაგრამ, სულერთია, სინათლეს მაინც უყვარდა. კეშა სადღაც ჩაიჩეხა, სადაც არ იყო არც სივრცე, არც დრო, არამედ მხოლოდ ბედნიერება... მერე ლოყებზე ცრემლები იგრძნო – და გაიხსენა, რომ მას აქვს ფიზიკური სხეული. ჩამავალმა მზემ, თითქოს ჰორიზონტის მიღმა გადამალული ბორბლები აანთო – და ცეცხლმა მოიცვა ნახევარი სამყარო. კეშას ახსოვდა, რით დამთავრდა შეხვედრა. სინათლე, როგორც ყოველთვის, დამამშვიდებელსა და სასიამოვნოს დაჰპირდა: რომ საკუთარ თავში მიიღებს მის სულს, როცა ჟამი ჩამორეკს, და იქცევა იმ საბოლოო რამედ, რასაც კეშა დაინახავს ცხოვრებაში... მაგრამ ეს მალე არ იქნება, მანამდე კი სინათლე

კვლავ დაბრუნდება – და კეშა ისევ განიცდის იმავეს. მასზე გადმოღვრილი სიყვარული, რომლის ღირსიც არ არის. თანაგრძნობა შენ მიმართ, რომლისგანაც შეუძლებელია, არ აქვითინდე.
და კიდევ – გაწბილება და აგონია, ორივე იმდენად ტკბილი, რომ სული უსირცხვილოდ მიიწევს ამ ნეტარებისკენ, არ ერიდება დამაბრმავებელ, ყოვლისმიმტევებელ სინათლეს, რათა აჩვენოს თავისი წკვარამი...
მერე ყველაფერი მორჩა.
რამდენიმე გრძელი წამი კეშას გონება დუმდა, თითქოსდა პირდაპირი მოხვედრით ამომწვარიყო. მასში ერთადერთი აზრი დარჩა, სულის შლამიან ფსკერს რომ მიჰკვროდა და ვერ მოესწრო მის მომტან სინათლესთან ერთად გაფრენა: «ცხოვრება – შეუფასებელი საჩუქარია...».
ჰო, აბა რა, იფიქრა კეშამ მოულოდნელი ცივი სიფხიზლით. საჩუქარი. ოღონდ – ვის და ვისგან? მე ხომ ვცხოვრობ და არ ვარსებობ საჩუქრისგან დამოუკიდებლად. მე თავად ვარ კიდეც ცხოვრება. როგორც ამბობს ბებრუხანა კსიუ, ადამიანი ობიექტი არაა და არც სუბიექტი, არამედ პროცესი. ესე იგი, საჩუქარი – თავად ვარ. ეს მე მიმაჩუქეს ვიღაცას, როგორც კნუტი ანდა მწევრის ლეკვი. თანაც ისიც, ვინც მიმაჩუქა, და ისიც, ვისაც მაჩუქეს, არჩევენ, რომ უხილავები დარჩნენ. აი, როგორი დიდი ნატურებით არის დასახლებული კოსმოსი...
მაგრამ ბოროტი აზრი, მისი სული რომ დააბნელა წამით, მაშინვე შეერწყა ჩამავალი რუსული ზეცის წითელ და ყვითელ ნათებებს. განცდილი ბედნიერება იყო ძალიან ძლიერი – მისი გავარვარებული ანაბეჭდი ანათებდა და წვავდა ნებისმიერ აზრობრივ ნაგავს, რომლებითაც თავის დაცვას ცდილობდა გულგახეთქილი გონება.
ცუკერბრინები უკვე წავიდნენ. კეშა დიდხანს გასცქეროდა მათ კვალს – იმ წერტილში, სადაც ახლახან გაქრა მათი შუქები. მერე კვლავ დაიწყო მთელი დანარჩენი რეალობის მიღება.
იქ კი უკვე მომხდარიყო საკმაოდ უსიამო ცვლილებები. მინდორში იწვოდა მისი «პანტერა». მეწამულ ჰორიზონტზე შავად მოჩანდა მტრის მრისხანე სილუეტი (T-10 ამოიცნო კეშამ). მტრის მანქანა უკვე ტრიალდებოდა – საბოლოოდ დაანახვა კოშკურის პროფილი, გრძელი, მტაცებლური ქვემეხით (კეშამ

ზიზღით გაიფიქრა გუზკაზე) და გორაკის ფერდობს მიეფარა. კეშა არც კი გაბრაზებულა – T-10-ის წინააღმდეგ შანსები მაინც არ ჰქონდა. მისი ყოფნა «პანტერას» კოშკურაში ვერაფერს შეცვლიდა.
ბოქსში დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ «პანტერას» შეკეთება შეუძლებელია. შერინგ-პოინტსების ნულოვანი ბალანსი ჰქონდა.
ცხოვრება ნელ-ნელა უფრო სასტიკი ხდება, ამოიოხრა კეშამ. ადრე ერთი სამუშაო ცვლა ჰყოფნიდა მთელ კვირას. ახლა კიდევ სამსახურში გასვლა უწევს თითოეული ხუთი დღე. ანდა ოთხიც. ინფლაცია, როგორც ამბობს ანონიმუსი, არის ხერხი, დრო აიძულო, იდინოს უფრო სწრაფად, ჩვენ კიდევ გვაიძულოს, ხშირად ვიმუშაოთ. აი, ოღონდ სამსახურში დრო სულ უფრო და უფრო ნელა გადის. გამოდის, რომ ჩვენ ახლა ვმუშაობთ არა, უბრალოდ, ხშირად, არამედ გრძლადაც. მაგრამ ამაზე პანდიტები სდუმან...
მოკლედ, ხვალ სამუშაოზე მივდივარ.

სამუშაო

როგორც ცნობილია, სამუშაო მგელი არაა, იმ მხრივ, რომ ტყეში გაიქცეს. მაგრამ სავსებით მგელია იმ აზრით, რომ იკბინება. თანაც არ იცი, როდის უფრო ძლიერად – როცა დადიხარ თუ როცა – არ დადიხარ...
როგორც ყოველთვის, სამუშაო ცვლის წინ კეშას ისეთი განწყობა ჰქონდა, იმაზე უარესი რომ აღარ იქნებოდა. დაიკო თითქოს გრძნობდა, რომ აჯობებდა, არ გაებრაზებინა – ისე წყნარად და თავაზიანად იქცეოდა. ერთი-ორჯერ გაუღიმა კიდეც, ეგეთი რამე კი იშვიათად ხდებოდა.
კეშა, რასაკვირველია, არ შეეკითხა, თუ რას აკეთებდა უთანხმოების მოედანზე. ეგრე სულელურად, დარტყმის მოლოდინში დადგომა შეეძლო მხოლოდ სრულიად გამოუცდელ კონსპირატორს. უწინარეს ყოვლისა, მისი გამოჩენა იყო სიზმარი სიზმარში, REM-შუალედში ფაზა LUCID-ის შიგნით, როცა გაცნობიერებული კოლექტიური სიზმარი რამდენიმე წამით გახდა გაუცნობიერებელი პირადი. ნევრასთენია სჭირს, ვისაც ეს არა აქვს. შეიძლებოდა, არ გვშინებოდა სპეცსამსახურების შეთქმულებისა. მის წინააღმდეგ, ალბათ, არ მოუწყვიათ შეთქმულება – უბრალოდ,

ტერმინალური ელექტრომუხტით მიუკეტავდნენ ფეისტოპს... თუმცა, მეორე მხრივ, ხალხშიც ხომ ამბობენ, რომ პარანოიკებსაც კი ჰყავთ მტრები, თანაც ეს მტრები – არცთუ იშვიათად არიან შიზოფრენიკები.
კეშამ გადაწყვიტა, ოპერატიული ბუფერი განეახლებინა დაიკოსთვის, რათა იმისგან განიავებულიყო ყველა ამასწინანდელი კუკი-ები
. ეს იოლი იყო – უნდა იძულებული გაეხადა, რაიმე სამუშაო შეესრულებინა ფეისტოპზე. რაიმე, ფუნქციების მეხსიერებიდან. სხვათა შორის, ეს სასარგებლოა მეტათარიღისთვისაც.
მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად არაფრის გამოგონება არ იყო საჭირო.
სამუშაოზე გასვლის წინ კეშა ყოველთვის როგორღაც საჭიროებდა შინაგანი კბილანების შეზეთვას, მოკლე სულიერ დარიგებას, რაც საშუალებას აძლევდა, გადაეტანა მოახლოებული საშინელება. ადრე ამას უმკლავდებოდა ბებრუხანა კსიუ – მაგრამ ამ ბოლო ხანებში ძალიან უგზო-უკვლოდ უბერავდა პურგაში. უფრო იმიტომ, რომ კეშა არასოდეს უხდიდა მომსახურებისთვის, არადა იკვებებოდა იმისი სამანგადასული სიბრძნეებით: მხოლოდ იდიოტები ხარჯავენ შერინგ-პოინტსებს უცხო ყბედობაზე. ბებრუხანა კსიუმ, ეტყობა, საპასუხოდ დამცველი ბაგი ჩართო – ამიტომ ფეისტოპზე ცვლილებები მომწიფდა.
დაიკოს ჩაუკრა თვალი.
– მისმინე, ცუნცულ, – თქვა მან, – იცი ეგეთი ვინმე, იან გუზკა? მოდი რა, ბებრუხანა კსიუს ადგილას დავაყენოთ.
– და კსიუ? – შეეკითხა დაიკო.
– განვაინსტალირებთ. და მალე, საყვარელო, მალე. მამიკო სამსახურში მიდის.
დაიკომ თავი დაუქნია და, სერიოზული და მოღუშული გამომეტყველება მიიღო. ყოველთვის გულისშემძვრელი მედიდურობით ატარებდა ფეისტოპზე ოპერაციებს, ყველა წყენას ივიწყებდა. იმის მაცქერალი კეშა, თითქოსდა სინდისის დაბინძურებასავით, რაღაცას გრძნობდა ხოლმე.
დაიკომ ბებრუხანა კსიუსთან მიირბინა და ნახტომშივე მოარტყა წიხლი მშრალ, ბებრულ ტრაკზე. კეშამ ეგეთი

დეინსტალაციური ანიმაცია აირჩია სამხიარულოდ, მაგრამ სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე.
ბებრუხანა კსიუმ უნდო და ტკივილიანი თვალებით შეხედა კეშას.
კეშა ვერ იტანდა ამ გამომშვიდობების სცენებს. დეინსტალაციისას დამატებები შებრალებაზე აწვებოდნენ, მომაკვდავ ტამაგოჩებივით იკატუნებდნენ თავებს, და სენტიმენტალურ მომხმარებელზე ეს მოქმედებდა: ბევრი წლობით ვერ იღებდა თავიანთ ძველ აიკონებს. სხვა ფეისტოპებზე ბრბოდ იდგნენ, ფეხისწვერებზე იწეოდნენ, რათა მომხმარებელს დაენახა ისინი – მათ შორის კი დაძრწოდა ოცი-ოცდაათი ელექტრონული კატა (ზოგიერთმა დედაბერმა კატის შარდის სინთეტური სუნიც კი დააინსტალირა – «უკანასკნელი საშუალება მარტოობის წინააღმდეგ», როგორც ირწმუნებოდა რეკლამა).
მაგრამ დაიკო იყო მთლად დაუნდობელი და უგულო. იმის ცდაც კი არ ღირდა, რომ მსგავსი მიწოლით აგეფორიაქებინა.
სანამ ბებრუხანა კსიუ აწყობდა საიდანღაც გამოჩენილ ჩემოდანს (გაიძვერულად ისროდა შიგ ხელებში გაჩენილ ბროლის ბურთულებს, მენორებს
, ჯვარცმებს და სხვა ნაგავს), დაიკო აფხიზლებდა ენერგიული შეძახილით, ხოლო როცა კსიუ ზედმიწევნითი ლოლიავით, ნელ-ნელა შეუდგა უცნობი სანსკრიტული წარწერის გორგლად დახვევას, მსუბუქად უთავაზა პანღური მეორედ. მთელი ეს დრო კსიუ ცდილობდა, კეშას გამოხედვა დაეჭირა, მაგრამ კეშა შეუდრეკელი იყო.
ჩემოდანი რომ ჩალაგდა, დაიკომ მიათრია მისი სიმძიმით წელში მოხრილი ბებრუხანა კსიუ მოედნიდან გამავალ ერთ-ერთ ქუჩაზე.
კსიუ წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ მთელი ეს დრო საწყლად უყურებდა კეშას – თითქოს იმედოვნებდა, რომ გაიხსენებდა მასთან ერთად გადატანილ სულიერი ექსტაზის წუთებს. ბოლო მომენტში კეშა კინაღამ შეირხა – მაგრამ იმან შეაკავა, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იქნება ბებრუხანა კსიუს თავიდან დაინსტალირება.
და კიდევ, წუთის შემდეგ დაიკო ისევ გამოჩნდა მოედანზე – უკვე მეორე მხრიდან, თითქოსდა ამ დროის განმავლობაში

მოგზაურობდა კეშას პატარა პლანეტის ირგვლივ. ხელკავით იან გუზკა მოჰყავდა, თხის ტყავის ნაჭრებისგან შეკერილ მოსასხამში. კეშამ გაიგონა ზანზალაკის ნაცნობი წკარუნი და ნეხვის ოდნავი სუნი იგრძნო – რომლის გამორთვაც, უნდოდა ერწმუნა, ოპციებიდან იქნებოდა შესაძლებელი.
დაიკომ ბებრუხანა კსიუს გათავისუფლებულ ადგილზე მიუთითა გუზკას. კეშა მოელოდა, რომ ფილოსოფოსი იქ დადგებოდა, მაგრამ ის ჩაცუცქდა, თითქოს საჭიროება უნდა დაეკმაყოფილებინა – და ამ პოზაში გაქვავდა. მაშ, კარგი, იფიქრა კეშამ. ფილოსოფოსია, ორიგინალი – გაუშვი, იჯდეს.
იან გუზკა ჰგავდა კრომანიონელს
ისტორიული ფილმიდან, რაც პრინციპში, პასუხობდა მის ფილოსოფიურ მოტტოს – Truly down to earth
თუმცა, თუკი დავუკვირდებით, ხუთი კილომეტრის სიმაღლეზე ეს დევიზი რეალობიდან უფრო მოწყვეტილად ჟღერდა, ვიდრე ბებრუხანა კსიუს მთელი ტრანსცენდენტურობა...
კეშამ დაიცადა, სანამ დაიკო შადრევანთან გავიდოდა და განახლებას თავი დაუქნია. ელოდა, რომ გუზკა ადგებოდა, მაგრამ იმან, უბრალოდ, ასწია წვერიანი სახე, რამდენჯერმე დაახამხამა თვალები და ამოთქვა:
– დღეს ჩვენ დავილაპარაკებთ ფასეულობებზე. რა არის ფასეულობა, როგორც ჩვენგან უშუალოდ განცდილი ფენომენი? დავუფიქრდეთ. ჩვენი ფასეულობებიდან უმაღლესი ხომ არაა – ობიექტი, რომელზედაც დაფიქსირებულია ჩვენი ლიბიდო?
კეშამ გაიხსენა ბანჯგვლიანი შავი ფური უთანხმოების მოედნიდან.
– სასიყვარულო გრძნობის კულმინაციასთან მიახლოების კვალდაკვალ, ჩვენი სასიყვარულო ფეტიშის სუბიექტურად განცდილი ფასეულობა ექსპონენციურად იზრდება – და ორგაზმამდე წამით ადრე ხდება აბსოლუტური. მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რათა ერთი გაელვების შემდეგ დაეცეს ნიშნულამდე, ახლოს რომაა ნულთან...
შეიძლება, საყელური უნდა ჰქონდეს, იფიქრა კეშამ. ნამდვილადაც ეკუთვნის. ტყუილად ხომ არაა ამ პოზაში... და პირდაპირ ფეისტოპიდან ლაპარაკობს. დაიკო მეყოლება დასამალი. მაგრამ ახლა არა. როცა დაიკო ისევ გაბრაზდება. აი, ეს ბრძნული იქნება.

– თუკი ყველაზე საბაზისო და ფუნდამენტური ფასეულობა, რომლის საფუძვლეზეც ასეულობით ათასი წელი გრძელდება ადამიანური მოგდმა, ასეთი მერყევია, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ მეორე რიგის ფასეულობებზე, რომლებიც შექმნილია ცვალებადი ადამიანური კულტურითა და რელიგიით?
გუზკა დადუმდა, და კეშა მიხვდა, რომ მერე იწყება ფასიანი კონტენტი. ფილოსოფოსი, რასაკვირველია, მართალი იყო ბოლო მისხლამდე, მაგრამ შესავალი არასაკმაოდ დამაჯერებელი ეჩვენებოდა საიმისოდ, რომ გაგრძელებისთვის შერინგ-პოინტები ეხადა. რომლებიც, სულერთია, მაინც არ ჰქონდა. მით უფრო, კეშამ გამოცდილებით იცოდა – სულის მანათობლები, ჩვეულებრივ, ყველაზე საინტერესოს გასცემენ ხოლმე უფასო სატყუარად. შეგიძლია, მშვიდად გადასანსლო და შენთვის გაცურო წინ. საკმარისია სამი-ოთხი ფრაზა თავიდან – შემდეგში ახალი და რადიკალური მაინც აღარაფერი იქნება. «ორი კვირა დემო-რეჟიმში გამოვიყენებ, – ცივად გადაწყვიტა, – მერე კიდევ ისევ კსიუს დავაყენებ. და კვლავ დემო-მოდში. კსიუ იმ დროისთვის, ალბათ, აღარ გაახურებს...»
მაგრამ, როგორც ჩანს, არც გუზკა იყო სულელი – რაზეც კეშას აცნობა ყურებთან აწკრიალებულმა შემაშფოთებელმა ზუმერმა. ინსტალაცია ფასიანი იყო. კამათს ანთუ გინებას აზრი არა ჰქონდა – ამაზე, ალბათ, აფრთხილებდა რომელიღაც წვრილი შრიფტი შეთანხმებების გროვიდან, თავის დაკვრით რომ იყო ხელმოწერილი. ახლა კეშა მინუსში იყო. დაუყოვნებლივ უნდა გასულიყო სამუშაოზე.
ანუ, მალე კი არა, ახლავე.
კეშამ თავი დაუკრა «კანალო»-არმიელს – წელზემოთ შიშველ მამაკაცს უხეში ტილოს შარვალში, რომელიც უკვე მიდი-მოდიოდა მოედნის შორეულ განაკიდეზე, ხელში ნიჩბით (ჩვეულებრივ, ისე დგებოდა, რომ შადრევანს მოჰფარებოდა – მაგრამ, როცა კეშას მოუვიდოდა სამუშაოზე წასვლის დრო, დასანახად გამოჩნდებოდა, როგორც ზვიგენი, რომელმაც სისხლი იგრძნო).
კეშამ თავისი ფეისტოპიდან ეგეთი აიკონი აარჩია, რადგან ის ყველაზე უხეირო გამოსახულებად მოეჩვენა შრომის ვიზუალურ სიმბოლოთა კატალოგში. ეს იყო პერსონაჟი ძველი საბჭოთა ხანის პლაკატიდან – შეგნებული პატიმარი ერთ-ერთი

იმ გენეტიკურად გაქრობადი სახეებისა, რომლებითაც ძალიან უყვარდათ პროლეტარული ხელოვნების წინ წაწევა. პლაკატზე კიდევ იყო დევიზი – ეს კეშამ გადააკეთა პატიმრის მუცელზე, ნაცვლად «კანალო-არმიელო, მხურვალე მუშაობის შედეგად დაილევა შენი ვადა» დაწერა: «ანალო-კარმიელო, მხურვალე მუშაობის შედეგად დაილევა შენი ტრაკი». რაც უფრო სულელურია შურისძიება, მით უფრო ტკბილია, ხოლო პირად ფაილში ცოტაოდენი ჰომოფობია არაფერს დააშავებს. მეტი არეულობაა.
«კანალო-არმიელმა» შეკითხვით მიანიშნა საკუთარ თავზე დიდი თითით, და კეშამ კიდევ დაუქნია თავი.
ჰო, ჰო, გნებდები, დამპალო.
არავითარი სხივები, არავითარი გარდამავალი ანიმაცია. ირგვლივ დაბნელდა და აცივდა. კეშა დაეკიდა ცივი გამჭოლი ქარებით მსტვენავ სიცარიელეში ლოკალიზებული სამუშაო რუკების წინ. სია გაფორმებული იყო, როგორც რესტორნის მენიუ, დახატული გრიფელის შავ დაფაზე ფერადი ცარცით:
აუზი «მალსტრიმი»
იაკობის კიბე
სტადიონი LOCO-MOTIF-ი
იურული საფარი
ИЩДЩЕТФНФ
პერედელკინო
დღეს არჩევანს არა უშავდა. ბოლო ორი რუკა კეშას არ უყვარდა სულის დამჩაგვრელი შიზოფრენიის გამო, ხოლო პირველი ორის ეშინოდა მთელი სხეულით, რეფლექსურ დონეზე. იურული საფარი საკმაოდ პროგნოზირებადი თავგადასავალი იყო, რომლისგანაც გაქცევა უნდოდა აგრეთვე. სტადიონი რჩებოდა. კეშამაც იმას დაუქნია თავი.
გამოჩნდა სპორტული დისციპლინის არჩევანის მენიუ. კეშა შეჩერდა წინაღობებით სირბილზე. წარწერები გაქრა, და დაფაზე გამოჩნდა შეკითხვა:
ДФЗЫ?
LAPS, მიხვდა კეშა, ეს წინა ჯერზე გააკეთეს ლოკალიზაცია, რომ ჩვენთვის მოხერხებული ყოფილიყო. სამი дфзы ხუთ დღეზე ეყოფა. ნაკლები მაინც არ შეიძლება.
დაფა გადაიქცა შავ ფარდად, შრიალით გაატარა თავისში, და

კეშამ დაინახა კუშტი დღე, წვიმის წვრილი წვეთები და ნისლში მიმავალი, სველი წიდის ნამწვის ბილიკი.
«კანალო-არმიელი» უკვე აქ იყო – და ახლა სულ სხვანაირად გამოუყურებოდა. ყომრალ ცხენზე იჯდა. მისი შარვალი გადადიოდა აბრეშუმის მოხატულობაში, ხოლო ნიჩაბი იმის ხელში სიკვდილის მომტან შუბად მოჩანდა. მოკლედ, მოზეიმე მონგოლსა ჰგავდა – და, არსებითად, იყო კიდევაც.
– სტარტზე! – დაიყვირა «კანალო-არმიელმა», საშინლად ააღრიალა ხმა.
კეშა დაბალ სტარტზე დადგა, ხელები სველ წიდის ნამწვს დააყრდნო, მაგრამ საკუთარ თავს სიამოვნება არ მოაკლო და მტანჯველის ტატუირებული მუცელი შეათვალიერა.
– ყურადღება!
მე სულ ყურადღება ვარ, იფიქრა კეშამ.
– წინ!
კეშა გაიქცა. სველი ნამწვი ათასი წვრილი კბილით ესობოდა შიშველ ფეხებში, მაგრამ კეშა არც კი იჯღანებოდა, გამოცდილებით იცოდა, ეს მხოლოდ ვარჯიშია ცვლის წინ. სტადიონი იმით იყო კარგი, რომ ფსიქიკას არ ტვირთავდა: მოსალოდნელი ვარჯიშები ყველა ერთად კი არ ხდებოდა დასანახი და გასაგები, როგორც «მალსტრიმში», არამედ ჯერ-ჯერით.
ხანდახან დამიზნება – საუკეთესო თავდაცვაა. პირველი წრის ნახევარი კეშამ თითქმის ყოჩაღად გაიარა, ყურადღებას არ აქცევდა ტერფებში ზრდად წვას და ფლოქვების თქარათქურს ზურგს უკან. მერე კი წინ გამოჩნდა პირველი შირმა.
ეს იყო ყველაზე ნატურალური შირმა. სველი ნაცრისფერი ტილო ზედ მიხატული კითხვის ნიშნით, გაჭიმული ორ საყრდენს შორის. კეშას დამუხრუჭება არ დაუწყია, და ტილო ტკაცანით გაწყდა, ოდნავ შეეხო მის მკერდს.
კეშამ პირველი წინაღობა დაინახა.
ეს იყო ცეცხლმოდებული ქოხი, ბილიკზე რომ იდგა – მის გამოღებულ კარში ისე მოჩანდა გავარვარებული შიგთავსი, როგორც საბერველიან ქურასთან. შიგ უნდა გაერბინა, გამჭოლად.
კეშა უკვე მიხვდა, საიდან გაჩნდა ქოხი. როგორც ყოველთვის, პირადი არქივიდან.

ამას წინათ მან მთელ მსოფლიოს გაუშეარა თავისი ზიზღი მემორიალურ ტატუებზე გენდერული შოვინიზმის LUCID-მუზეუმში. ძველი ინიციაციური პრაქტიკების ნიმუშები შეუთავსა კიდევაც ქაქის გროვას – თანაც სწორედ ასე მოიქცა თავისი გამუდმებული შიშის გამო. ახლა კი ეს სპექტაკლი დაუბრუნდა მოულოდნელ ბუმერანგად. სისტემამ, უბრალოდ, იპოვა მის ინფორმაციულ გამოხდომაში რაღაც, მისთვის არასასიამოვნო – და დაუნიშნა კიდევაც სამუშაო განცდად.
რამეთუ სამუშაო, რისთვისაც ირიცხება შერინგ-პოინტსები, უნდა იყოს სწორედაც რომ უსიამოვნო. სატანჯავი. უფრო მეტიც, საზიზღარი და საშინელი.
როგორც ფილოსოფოსები და პანდიტები ხსნიდნენ, ეს იმიტომ კი არა ხდებოდა, რომ ცუკერბრინებს ადამიანებისთვის ბოროტება უნდოდათ, არამედ სწორედ იმიტომ, რომ სიკეთე უნდოდათ. ხოლოთუ სიკეთე, სიამტკბილობა და ბედნიერება გამოჩნდებოდა მხოლოდ კონტრასტში ტანჯვასთან და ტკივილთან, ეგრე იყო მოწყობილი ადამიანის წყეული გონება. ამ საკერებლებდადებული ბიოკომპიუტერის, ადამიანებს მემკვიდრეობად რომ დარჩათ ტარაკნების, ხვლიკებისა და სხვა ჰორმონული რობოტებისგან, გადაკეთება არ შეიძლებოდა. შეუძლებელი იყო გამოგვეთვალა კეშას ბიორეესტრიდან დავიწყებული პროგრამების ნარჩენები, ოდესღაც ძველ მაიმუნებს რომ ეხმარებოდნენ გადარჩენაში.
შესაძლო იყო, მხოლოდ ოპტიმიზებული გაგვეხადა სიხარულებისა და ტკივილების ციკლები, რაც დიდი ხანია დაამტკიცეს მკვლევარებმა, მოიფიქრეს და გაზომეს მინუს მეათე ხარისხამდე სიზუსტით. და ახლა დგებოდა გარდაუვალი ტკივილის ციკლი. ის უნდა მიგეღო. გადაგეყლაპა მისი ის რაოდენობა, რაც შესაძლებელს გახდიდა მომდევნო ბედნიერების ციკლს...
სხვათა შორის, იფიქრა კეშამ, ცეცხლმოდებულ კართან რომ მირბოდა, ამაზე იან გუზკას უნდა ვკითხო. საინტერესოა, თანამედროვე ფილო…
ქოხმა ისეთი საშინელი ცხოლიერებით დაწვა, რომ გუზკაზე აზრი ტვინის ზედაპირზევე აორთქლდა წამიერად.
ტკივილი იყო დამაბრმავებლად თეთრი, აბსოლუტური, კაშკაშა და უბრალო. პულსირებდა. მის გავარვარებულ ბლოკებს შორის

ჩნდებოდა გრძელი, იკლიკანტური ჩიხები, სადაც ყველაფერი რთული იყო, არეულ-დარეული – და ასევე აუტანლად მტკივნეული. კეშა გარბოდა ცეცხლში სულ ორი თუ სამი წამი, მაგრამ მის გადატანილ ტანჯვაში იმდენი ნიუანსი იყო, რომ ხაზობრივ დროში მთელი კვირა მოუნდებოდა.
«მაიმუნობენ, – იფიქრა, დამწვარ სივრცეში რომ აღმოჩნდა, – ნამდვილად მაიმუნობენ პროპორციაში. ისიც საკითხავია, რომ აბა, სად ვნახე მე ამდენი ბედნიერება წინა კვირას? თუკი ეს დაიკოს გამო... მაგრამ იმათ ხომ არ იციან... თუ ვინმემ ავტომატურად... და იმას, სხვათა შორის, მოაქვს ჩემთვის ბედნიერება? იქ ხომ მხოლოდ შიშია. ჰო, კარგი, და აღგზნებაც. ეგეც საკმაოდ უსიამოვნო რამეა, თუკი დავუკვირდებით. დაიკოს გულისთვის, პირიქით, შერინგ-პოინტსები უნდა დამინიშნონ...».
მაგრამ აზრის ეს მიმართულება უპერსპექტივო იყო: ინტუიცია კარნახობდა კეშას, რომ, ალბათ, არ განისჯება რეალობასთან მოცემულ საკითხში.
მეორე წრე, როგორც ყოველთვის, უფრო რთული იყო – ფეხებქვეშ დამტვრეული მინა გაჩნდა. კეშა არ იყურებოდა დაბლა, რადგან სისხლის დანახვისა ეშინოდა. როგორღაც მიღწეულმა მეორე კითხვისნიშნიან შირმამდე, იგი მკერდით გაიტანა. მაგრამ იმის უკან, მისდა გასაკვირად, არაფერიც არ აღმოჩნდა. ის იყო, გადაწყვიტა, რომ წრე ცარიელია – ხომ შეიძლება ადამიანს გაუმართლოს? – რომ გადაასწრო ველურად მოღრიალე «კანალო-არმიელმა», უნაგირის თავზე გამობმული თოკი სტყორცნა, და კეშა მიხვდა.
ცხენის ჭენებაში გაჩერება არ გამოუვიდა – რაც, როგორც ჩანს, მოეთხოვებოდა დაემტკიცებინა. სანამ თოკი გაუსხლტებოდა ხელიდან, «კანალო-არმიელმა» ასი მეტრი ათრია წიდის ნამწვავზე, და თუკი წუთის წინ კეშა ფიქრობდა, რომ ცეცხლმოდებულ ქოხზე საშინელება დღეს აღარ იქნებოდა, ახლა უკვე დრო ჰქონდა – ძალიან დიდი ეშმაკური და მიმოხვეული სამუშაო დრო, – რათა თავის შეცდომას მიხვედრილიყო…
რომ წამოდგა, საერთოდ, აღარ დარჩენოდა აზრები, არამედ მხოლოდ ტკივილი. ბარბაცით მიირბინა ბოლო дфзы-მდე – და სულაც აღარ აინტერესებდა, რა იქნებოდა მომდევნო შირმის იქით.

შეკითხვისნიშნიანი ტილო რომ გაარღვია, რაღაც უცნაურ მექანიკურ ცეხში აღმოჩნდა.
იქ მიდიოდა, კონვეიერის ლენტზე იდგა, რადაც გადაიქცა წიდისნამწვიანი ბილიკი. გვერდებზე მუშაობდა უცნაური დგუშები, კრთებოდა ბერკეტები და სამაგრები, და მთლიანობაში ყველაფერი მიაგავდა ძველ კინოს მომავალზე. კეშა თითქმის იხსენებდა, რომელსაც – მაგრამ ამ დროს ერთმა ბერკეტმა საშინლად დასცხო ზურგში და მოცელა. თუმცა ლენტზე დავარდნის საშუალება არ მოუციათ: სხვა ბერკეტებმა ჰაერშივე დაიჭირეს, მოზიდეს, მოაბრუნეს, მოკეცეს – და ენით აუწერელმა ტკივილმა უცებ გამსჭვალა მისი სათესლე პარკუჭი.
– გამიშვით, გველებო! – იბღავლა კეშამ.
მაგრამ დააგვიანა თავის ყვირილიანად, რადგან საზარელმა ფაბრიკამ უკვე ისროლა წიდისნამწვიან ბილიკზე. ტკივილისგან აყვირებული კეშა როგორღაც მიჩანჩალებდა წინ. ამას სირბილს ძნელად თუ დაარქმევდი. როცა დასასრულამდე წრის მეოთხედზე ნაკლები რჩებოდა, ვეღარ გაუძლო და მოცელილივით დაეცა ძირს – და თავისი ჭუჭყისგან შავი და სისხლიანი მუცლის ქვეშ დაინახა კლიტის მსგავსი გირი, რომლის რკალი გატარებული იყო მის ყველაზე ინტიმურ ადგილში. უფრო მეტიც, მუცელში გაჩნდა ნახვრეტი, საიდანაც გადმოეშვირა ნაწლავის მტრედისფერი მარყუჟი.
კეშამ ერთ მუშტად შეკრა მთელი ნებისყოფა. წრის ბოლომდე უკვე ცოტაღა რჩებოდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ძალები ტოვებდა, და ბოლო ნაბიჯები გაიწელა ჯერ მეტრებად, მერე კილომეტრებად, ბოლოს კი სულაც იმ რაღაც კოსმოსურ პარსეკებად.
ბოლოს კეშამდე მოფრინდა ფინიშის სასტვენის ხმა. ბილიკზე დავარდა და ზემოთ დაინახა ცხენით მოჭენებული «კანალო-არმიელი». როგორც ყოველთვის, სეანსის დამთავრებას ახლაც აგვიანებდა. მაგრამ კეშასგან ერთ წვეთ ტკივილს ვეღარ გამოწურავდა. უფრო სწორად, ტკივილმა თავი დაანება ტკივილობას და რაღაც სხვად გადაიქცა, ინდიფერენტულად და უთვისებოდ. და როცა ეს საბოლოოდ ნათელი გახდა, «კანალო-არმიელმა» აიღო, ბოლოს და ბოლოს, თავისი შუბი-ნიჩაბი და გულკეთილად ჩასცა ბასრი პირი კეშას ცხვირის ფუძეში.

დაბნელდა.
ხოლოთუ როცა სიბნელეში დაიხატა ფეისტოპი, ტკივილი კი არა, ტკივილის ხსოვნაც აღარ იყო. კეშამ დიდი ხანია, იცოდა, რომ ყველაზე გამაოგნებელი ამ განცდებში – სიჩქარეა, რომლითაც ის გავიწყდება.
«კანალო-არმიელი» უკვე მიემართებოდა თავისი ადგილისკენ. შადრევნის მიღმა შეუხვია, მიაღწია მოედნის კიდემდე და ძველბიჭური ღირსების გარეშე ჩაიცუცქა, მხედველობიდან დაიკარგა მომდევნო ცვლამდე. ფეისტოპზე მისი გამოხედვის დაჭერა სრულიად შეუძლებელი იყო. ან რად უნდოდა?
«ახლა უკვე ორნი არიან ჩაცუცქულები, – დამუნათებით იფიქრა კეშამ, – ფეისტოპი კი არა, რაღაცა პარაშაა უკვე».
დაძინება შეიძლებოდა.
ხვალ, სხვათა შორის, დღესასწაულია – ოჯახის დღე.
ალბათ, უთანხმოების მოედანზე სეირნობა და კონცერტები იქნება. ერთი კაი გავლა-გამოვლაც შეიძლება.
მაგრამ, ჯერ, რასაკვირველია – ოჯახი.

ოჯახის დღე

იმის ლოდინში, სანამ ახალი დღე ჩაიტვირთებოდა, კეშამ ფეისტოპი დაათვალიერა. დამატებები გაჭიმული იდგნენ პოსტებზე, მისკენ მომლოდინე თვალებით იყურებოდნენ. მერილინის ზემოთ გული – უეჭველი ამბავი იყო – უკვე სრულად ანათებდა, და მის ირგვლივ მტრედები დაფრინავდნენ. მეუღლე რომანტიკულ განწყობაზე დადგა დილიდან. პრინციპში, მისი მონახულება სრულიად დასაშვები იყო. «კარგი, მთლად ისიც არა», – იფიქრა კეშამ. ცერად იყურებოდა შადრევნისკენ.
დღეს დაიკოს ჩააცვა ჯინსის ცისფერი შორტები და ნარინჯისფერი მაისური კითხვის ნიშნით – რათა სისტემაზე ეძია შური გუშინდლისთვის. შორტი ისე ბრწყინვალედ შემოეკვალთა იმის პატარა ტაკუნებს, რომ კეშამ ნერწყვი გადაყლაპა. მაგრამ დაიკოს არც კი შეუხედავს მისთვის. სამაგიეროდ, ყველა დანარჩენი დამატება თვალებით ჭამდა, თითქოს ადმირალი ყოფილიყო საფლაგმანო ხომალდის გემბანზე. განსაკუთრებით მაძიებლურად გამოიყურებოდა ბიბლიოთეკარი ბორხესი.
იყო ბორხესთან შეკითხვები. წუხელ კეშამ კვლავაც გაიარა ფაზა LUCID-ის საკონტროლო სარკეები. და იმდენად

ანერვიულდა, რომ ვერ გადაწყვიტა, მისულიყო ნდობის კედლამდე – იდგა და ორი საათი უსმენდა მუსიკას ჩაიკოვსკის ძეგლთან, რომელიც აღმართეს ჭეშმარიტების ჭასთან. როგორ მუშაობენ სარკეები? სახელდობრ, რას ითვლიან? ხომ არ შეუძლიათ მის შესახებ ბევრი რამის გაგება? ეს უნდა გარკვეულიყო ერთხელ და სამუდამოდ.
ბორხესს საშუალება მისცა, დაეჭირა მისი გამოხედვა და კეშამ თავი დაუქნია. ანიმაციის გამოსატოვებლად თვალებდახუჭულმა მაშინღა გამოიხედა, როცა ირგვლივ უკვე გაჩენილიყო ნაცნობი ბიბლიოთეკა მტვრიანი კარადებითა და ხვლიკების მინის სათავსებით კედლებზე.
როგორც ყოველთვის, ბორხესი სავარძელში ჩაჯდა და კეშას იქვე მდგომზე მიუთითა. თუმცა, კეშა განწყობილი არ იყო გრძელი საუბრისთვის – და სავარძლის საიდაყვეზე ჩამოჯდა. როცა ბორხესის თავს ზემოთ ოპციები აენთო, მან აირჩია SILENT MODE და აზრობრივად გააშეარა შეკითხვა: როგორ მუშაობენ სარკეები LUCID-ფაზის შესასვლელში? რანაირად გვიცავენ ისინი ტერორისტებისგან? კითხულობენ თუ არა ყველა აზრს – და ჩვენს მეხსიერებას?
ბერიკაცი ჩაფიქრდა და მუხლებზე გაშალა ტყავის ფოლიანტი. არაფერი უთქვამს, მაგრამ კეშას თავში მაშინვე გაკრთა პირქუში მიხვედრა, როგორ ფუნქციონირებს კონტროლი.
რა თქმა უნდა. შეიძლებოდა, თავადაც მიმხვდარიყო. კოლექტიური სიზმარი, როგორც სხვა დანარჩენი ჰიპნორეალობა, იქმნება მანქანური კოდით. უბრალოდ, ამ სივრცეში ტერაქტი გადაიქცევა დაპროგრამებულ მოვლენად, რაღაც მავნე ალგორითმივით რამედ, რომელიც ინერგება ჯანმრთელ პროგრამულ ქსოვილში. და დაცვის არსი მიდის იქამდე, რომ კოდის განსაზღვრული ელემენტები (სიგნატურების ბაზას გამუდმებით განაახლებენ ხოლმე) არ დაიშვება კოლექტიური სიზმრის სივრცეში.
ბერიკაცმა ხელისგული ასწია და ჰაერში გაიქნია, რომ თითქოს ფენებად დაეშალა თავისი აზრი და უფრო გასაგები გაეხადა. არის გარკვეული კოდური თანამიმდევრობები, რომლებიც ბატუ კარაევის მსგავს ტერორისტებს საშუალებას აძლევს, სიზმარი შიგნიდან ჩაკეტონ – უამისოდ ტერაქტი შეუძლებელი ხდება. სწორედ ამ ელემენტებს უთვალთვალებენ სარკეებიდან.

ადამიანიც ხომ მოდის LUCID-ფაზაში, როგორც ინფორმაციული ნაძერწი, ესე იგი, კოდის ორმხრივი ნაკადი, რომელიც...
არ გინდა, – სიგნალი მისცა კეშამ და მეორე შეკითხვა დაუსვა, მთავარი.
არა, – მიუგო ბორხესმა, სარკეებს არ შეუძლიათ სულში ჩახედვა. მათ შეუძლიათ მხოლოდ გაარკვიონ, ხომ არ შეიცავს მისი ინფორმაციული ნაძერწი ტერორისტული კოდის ფრაგმენტებს. ბომბი, ტექნიკურად რომ ვთქვათ, – ესაა შემსრულებელი ოპერატორი. შეიძლება შენიღბული იყოს, რასთანაც გინდა: რაიმე რთული თავსარქველი, იკლიკანტური სამშვენისი ანდა ახლა მოდაში შემოსული რეტრო-სმარტფონებიდან რომელიმე. მაგრამ LUCID-ის ფაზაში შესვლისას ეს უბრალო კოდია, და უნდა გაშუქდეს საკონტროლო საცერში.
კეშამ იფიქრა, რომ ბოლო შეკითხვა გაუფრთხილებელი იყო – მაგრამ, რაკიღა SILENT MODE აირჩია, ალბათ, უფრო მოსალოდნელია, რომ სესიის ჩანაწერი არ შეინახება დიდხანს.
არსებობდა თუ არა რაიმე სხვაობა სრულ და არასრულ არტიკულაციას შორის. წლების განმავლობაში ბევრ ფანდს გაიგებ... თუმცა ამ ფანდებს ხომ არ იგონებს სწორედ ის დატაპოლი, რომელსაც მათი მეშვეობით ცდილობენ, მოატყუონ? რათა ყველა მატყუარა, ასე ვთქვათ, თავად დაეწყობოდეს ორრიგიან კოლონად?
მაგრამ ეს კეშას არ უკითხავს.
ამის მაგიერ სწრაფად გამოემშვიდობა. ბორხესი უკან წავიდა, თან ჩაითრია ბინდისეული გორგლები, კარადასთან და ხვლიკებთან ერთად, და კეშა კვლავ აღმოჩნდა თავის იტალიურ მოედანზე – მასზე მიჩერებული დამატებების მწყობრის წინაშე.
როგორც ყოველთვის, ბიბლიოთეკაში ვიზიტიდან დარჩა ძნელად მოსახელთებელი უსიამოვნო გრძნობა – თითქოს კედლების შესაგლესში ამოისვარა და დაიფარა ძველი ქსელის ნაბურჯღლებით. ეს, ეტყობა, საგანგებო ბაგი იყო, რომ იძულებული გაეხადა, ხელი მოეწერა ფასიან სველ საფენებზე.
ინტერიერი ხვლიკების ჩონჩხებით უფასო იყო – მაგრამ, როგორც რეგულარულად შეახსენებდა პოპ-აპ-ი, შეიძლებოდა ხელახალი აპგრეიდი გაკეთებოდა «სტილის მქონე ბაბილონის ბიბლიოთეკა 5S»-ში. ოღონდ საამისოდ კეშა სულაც არ

აპირებდა სტადიონზე გამოსვლას და რამდენიმე ზედმეტი წრის დარტყმას ყვერებში გაყრილი გირებით.
მეორე მხრივ, შეიძლებოდა, ბიბლიოთეკარი გაეცვალა ვინმე ახალგაზრდაზე და მხიარულზე. ანდა, არა, სარისკოა... ახალგაზრდები და მხიარულები ჩვენ უკვე გვყავს. პირიქით, პირადი ფაილის ოპტიმიზაციისათვის სასარგებლო იქნებოდა, ბორხესის მაგივრად დაესვა აქოთებული ბებერი ფური გადმოვარდნილი სწორი ნაწლავით... სხვათა შორის, «გუზკა» – ეს შემთხვევით ქათმის ტრაკი ხომ არაა? ბევრ რამეს ახსნიდა... ჰო, დასვას ხნიერი ფური, რათა ყველამ დაინახოს, რომ წესიერი და სოციალურად პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეა...
ისე კი, ვინ უყურებს? ვის რაში სჭირდება? თუმცა, რასაკვირველია, პარანოიკებზეც მიმდინარეობს თვალთვალი – შიზოფრენიკები არა თვლემენ. ჩვენ ყველაფერს ვიტოვებთ მეტა-თარიღის ქაფიან კვალად…
აი, ჯანდაბა შენ.
ჯობდა, არ ეფიქრა ეგრე დაღვლარჭნილად. ანდა არტიკულაცია მაინც არ ჰქონოდა – თუმცა შამპანურით ეს ყოველთვის შეუმჩნევლად გამოდიოდა... ეგება და, ქვეცნობიერია? თვალების წინ გაჩნდა კვადრატული პოპ-აპ-ი.
კეშამ თავის წინ დაინახა დიდი ბოკალი, რომელშიც ირეკლებოდა არფასთან მჯდარი გოგონა უმსუბუქეს თეთრ კაბაში, ამაღელვებლად ახალგაზრდა და სუფთა. ბოკალი გაქრა, და დარჩა მარტო სარკის გოგონა – ბედნიერი ღიმილით ეხებოდა სიმებს, და მათგან მოფრინავდა ოქროს პატარა ჩიტები. ისინი სულ უფრო და უფრო მატულობდნენ, მერე კი იმდენი მოგროვდა, რომ მთელი სივრცე აავსეს – და გადაიქცნენ შამპანურის ოქროს ბუშტულებად.
კეშამ ისევ დაინახა ბოკალი – ახლა უკვე სავსე შამპანურით. გოგონა გაქრა, მის ადგილას გამოჩნდა წარწერა:
შამპანური VERA
დუღს და გადმოდის!
ქაფდება, ურტყამს და ციმციმებს!
«ამჯერად მაინც გაეკეთებინათ ნორმალური ლოკალიზაცია», – გაიფიქრა კეშამ.
პოპ-აპ-მა ნელ-ნელა დაიწყო სივრცეში გაქრობა. ისევ

გამოჩნდა ფეისტოპი. კეშამ სახის კუნთები დაძაბა, შემთხვევით რომ არ დაეკრა თავი ვინმესთვის, და უცებ დაიჭირა დაიკოს მზერა.
მოეჩვენა, თითქოს ქალის თვალის ქვეშ გაჩნდა ლილისფერი ჩალურჯება. მაშინვე მიხვდა, რომ ეს, უბრალოდ, ელფერია – მაგრამ წყენა, შეყინული მის კეთილ სახეზე, სამწუხაროდ, ნამდვილი იყო.
დაბორიალებულმა კეშამ ყბა ჩამოაგდო, და მაშინვე იგრძნო პირში მომჟავო-ტკბილი შუშხუნი.
დაიკომ მაშინვე ჩაიფხუკუნა. უეჭველად, იცოდა, რაც მოხდა – და რა როლი ითამაშა თავად. სევდიანი ელფერები მალევე გაქრა მისი სახიდან, და კეშამ, კეთილი რომ გაეხადა, შამპანურის კიდევ ერთ დოზას ჩაუტარა ადმინისტრირება.
მაგრამ, როგორც ჩანს, დაიკო უკვე გამოერკვა – და გადაწყვიტა, რომ კეშას მეტისმეტად დიდი ავანსი მისცა. ქალი ისევ მოიღუშა და სახეზე შეურაცხყოფილი სისუფთავე გამოეხატა.
მაგრამ კეშას აღარ ეშინოდა.
ბედნიერი იყო – და თავის ბედნიერებას ურტყამდა ტკბილი შუშხუნის დოზით. აი, ამ დაბინდულში განათებისთვის ორჯერ მეტი sharing points-ების დახარჯვაც კი არ ენანებოდა... იქ რამდენია? ციფრებს შეხედა და შეხტა. ეტყობა, სირბილი მოუწევს ხუთი კი არა, ორი დღის მერე. VERA ძვირი ღირდა, ძაან ძვირი...
დაიკომ ისევ ჩაიფხუკუნა. ჩაქნეული ხელით კეშამ საბოლოოდ მოიშორა განსჯის დასკვნები, პოპ-აპ-ის მოციმციმე ნარჩენებს დაუქნია თავი – და მკერდზე მიიღო მესამე დოზა.
«თუმცა, – იფიქრა მან, – დილიდან შამპანური...»
რამდენიმე წუთის შემდეგ ეს არც ისე უხეირო იდეად ეჩვენებოდა. დიდი ხანია სულში ეგრე მსუბუქად და ბუშტოვნად არ ყოფილა.
დაიკომ თავი გაყიდა.
სინამდვილეში, არ ბრაზობდა. მხოლოდ თავს იკატუნებდა.
და, საერთოდ, ეტყობა, კარგ განწყობაზე იყო. ზურგიდან უვლიდა დამატებებს და იან გუზკასაც კი რამდენჯერმე დაეჯღანა ზურგს უკნიდან.
ეგება და, ეს მისი მსუბუქი თრობა პროექტირდებოდა ქალზე? ალბათ, უფრო სწორად ეგრე... ანუ, უფრო სწორად კი არა,

მხოლოდ ეგრე – და სხვანაირად არც მოსულა... კეშას უცებ მოუვიდა საძაგელი და წარმტაცი იდეა... რაკი დღეს ოჯახის დღეა... რატომაც არა? ყოჩაღად უნდა იცხოვრო. აბა, ისე, რაღა ცხოვრებაა?
– დაიკო, – დაუძახა კეშამ.
Little Sister-ი მოვალე იყო, გამოპასუხებოდა ხმოვან ბრძანებებზე. ისიც დაუყოვნებლივ გამოვიდა შადრევნის უკნიდან. მაგრამ მისი სახე მოიღრუბლა – სერიოზულად მოიღრუბლა. და სახეზე, როგორც ჩანდა, ისევ გამოუჩნდა ჩალურჯება. «ჰოდა, მოიღუშოს და იყოს, – იფიქრა კეშამ, – ეგ არაფერი»...
– მისმინე, დაიკო... მე აქ ვიფიქრე – ჩემს სქელოსთან ერთად ხომ არ გავისეირნო? ამდენი წელია ერთად ვცხოვრობთ, ის კიდევ ერთხელაც არ ყოფილა ჩემს ფეისტოპზე...
დაიკომ მხრები აიჩეჩა – იმ კუთხით, რომ მისთვის სულერთია.
– შენ კიდევ ისა... შენ შადრევანს ამოეფარე, კარგი? ისე, რომ ვერ დაგინახოს. თუ არა და, იეჭვიანებს...
დაიკომ თვალები მოაშორა და შადრევნის უკან განარნარდა, მთელი თავისი შესახედაობით შვებას ადემონსტრირებდა – მაგრამ არ ავიწყდებოდა, პატარა ტაკუნა გაეთამაშებინა ცისფერ შორტში. მარადიული ქალურობა... რამე ცუდი არ ისწავლოს იქ, «კანალო-არმიელთან»... თუმცა, რას მივედ-მოვედები.
კეშა მოუბრუნდა მერილინს და თავი დაუქნია მის თავს ზემოთ მოფარფატე მტრედებს. მოედანი სხივებითა და ვარსკვლავებით შეიღება, და კეშა აღმოჩნდა თავის ცოლქმრულ საძინებელში.
მერილინი უკვე ელოდა ოჯახურ საწოლში. დახატული იყო, შეპუდრული – და სრულიად შიშველი. რაღაც ისეთი ჰქონდა კლეოპატრასგან, მთელი იმისი გველები რომ მოინელა. ეტყობა, იმდენად გაზარმაცდა, რომ სამოსის არჩევაც აღარ უნდოდა. მართალია, დახატული და შეპუდრულია, მაგრამ კეშა ხვდებოდა: თავად რომ გაეკეთებინა კოსმეტიკური პროცედურები, ეგეთი შესახედაობა არ ექნებოდა.
კეშამ სცადა ყურის უკან ეჩქმიტა. მერილინმა არ შეხედა – მხოლოდ წყნარად დაიკვნესა. კეშამ წყენა იგრძნო. სულ ჩაეშვა, იფიქრა, რა არის, აბსენტს ურტყამს ერთი გადაკვრით?

თუმცა, დღეს თავადაც მიბარებული იყო გამჩენს.
კეშამ მეუღლეს ხელზე მოქაჩა – გაეთრიე საძინებლიდან. მოელოდა, რომ მერილინი მაშინვე არ წავიდოდა, და უკვე მოემზადა, ოჯახის დღე მოეშველიებინა. ოღონდ, მერილინი წინააღმდეგი არ იყო. მერე ფეისტოპზე გადავიდა იმავე ზარმაცი სულერთიაობით, რომლითაც მიიღო მისი მოფერება. გეგონება, რომელიღაც ზღვის ძროხაა, მართლა და მართლა, რა.
მაგრამ კეშას განსაკუთრებით ის თრგუნავდა, რომ ქალმა არ ისურვა, ბოლო მომენტში ჩაეცვა – და ეგრევე შეერია იმის ფეისტოპს, დედიშობილა.
აქ სიტყვა «შეერიაც» არ მიესადაგებოდა. კეშამ წარმოიდგინა, რომ ის, საერთოდ, არ მონაწილეობს მომხდარში – მოძრაობების შესახედაობა, რომელსაც ასრულებდა მეუღლის დიდი, სქელი სხეული, იმისგან ჩნდებოდა, რომ თან მიიტაცებდა კეშას ყურადღებას, ეს კი ვიზუალურად ტრანსფორმირდებოდა ნაბიჯებში. მერილინი არ უყურებდა შადრევანს და დამატებების საპატიო ყარაულს. თვლემდა და ცოტას ხვრინავდა კიდეც.
დამატებები გამოხედვით მიაცილებდნენ კეშას და მერილინს. კეშამ იცოდა, რომ მათთვის სულერთია – მაგრამ მათ თვალებში მსუბუქი ზიზღი ელანდებოდა. იან გუზკამ, ეტყობა, წარბიც ზეასწია. «ჰო, მიდი, შე ზოოპიდარასტო, მიდი, თქვი რამე ინტელექტუალური, – იფიქრა კეშამ, – ყველანი ძაან გელოდებით».
დაიკომ შადრევნის უკნიდან გამოიხედა და მაშინვე მიიმალა. კეშა დაიფიცებდა, რომ შიშველი მერილინის დანახვისას დაიკოს სახეზე გაკრთა დაცინვა – ბოლოს და ბოლოს, დაიკო ასახავდა მის ემოციებს, ხოლო ზიზღი არის კიდევაც სირცხვილის გადაბრუნებული გამოსახულება.
მერილინს ყველაფერი ეკიდა. ალბათ, ასევე მიათრევდნენ ოდესღაც გამოსაფხიზლებლად, ძმებ კენედებთან მომდევნო შეხვედრის შემდეგ – აი, ოღონდ, გრიმი მის სახეზე უფრო გადღაბნილი იქნებოდა, თანაც მაშინ ეგრე მტკიცედ არ ივლიდა, როგორც ახლა.
სიმთვრალეშიც კი გრძნობდა კეშა თავის სირცხვილს. დამატებები ახლა ამ გამოცდილებას შეიტანენ რეესტრში და

თავის ქცევას დაატრანსფორმირებენ პატრონის ახალი თავისებურების მიხედვით. რასაკვირველია, მაინც ასე მონურად დაუწყებენ მზერას, მაგრამ მათი თვალების ფსკერზე გამოჩნდება ძლივს შესამჩნევი დაცინვა... არა უშავს, გადავაჩვევთ. სულ ჯოხით გამოვუბერტყავთ. მტვერთან ერთად. ხოლოთუ მეტათარიღისთვის, დიახაც, რომ ეგრე ჯობს.
კეშამ დაინახა დასაპატიჟებლად გაღებული პიცერიის კარი – და მერილინი შეათრია პატარა, ცარიელ დარბაზში. სიცარიელიდან მისკენ გადმოაბიჯა ოფიციანტმა და მენიუ გაუწოდა. მაგრამ კეშამ დაბალი ხმით თქვა:
– გაეთრიე. დაიმალე, რომ სულ ვეღარ დაგინახო, ჯუზეპე. და არ გამოხვიდე, სანამ არ დაგიძახებ.
ოფიციანტი სასწრაფოდ გაქრა კარს მიღმა. ეტყობა, გადაწყვიტა, არ ეკამათა მთვრალ კლიენტთან. კეშამ გულგრილი მერილინი კედლის მაგიდასთან მიიყვანა და ზედ დასვა. მერე კი ზურგზე დააგდო, საერთოდ.
მერილინი გულგრილად იყურებოდა ჭერში. თუმცა წითელი გული მის თავს ზემოთ მაინც ენთო ძველებურად – და კეშამ უკვე იცოდა, ახლა რასაც იზამდა. სულის სიღრმეში სულ თავიდანვე იცოდა ეს, უბრალოდ, არ უნდოდა, საკუთარი თავი დროზე ადრე დაეფრთხო წვრილმანებით.
– დაიკო! – ნაზად დაიძახა, ხელი კი მეუღლეს მოუთათუნა ლოყაზე.
მერილინმა გამოსცა მთლად რაღაც რომანტიკული ბგერა – ან ამოიღრუტუნა, ანდა ამოიხვრინა. კეშა არ განაწყენდა. იმას ხომ არც ელაპარაკებოდა.
კარის ღიობში გამოჩნდა თავი შავი კუდით.
მეორე მხარეს კი – სარკული სინქრონიზმით – დაილანდა კლოუნის თეთრ-ყვითელი სიფათი, რომლის თავზე ცოდვის წითელ ნიშნად ენთო სამკუთხედი, ძახილის ნიშნით.
კეშას კლოუნისთვის არ დაუძახია. ეს ზუსტად ახსოვდა.
მისი მკერდი ნაცნობი შიშით გატყლაშუნდა – მაგრამ იქვე გაიხსენა, რომ ფეისტოპს შეეძლო, თავადვე დაეჯგუფებინა მუდამ ერთად გამოყენებული დამატებები. მერე გაიელვა სრულიად ბრიყვულმა და ამიტომ, განსაკუთრებით საზიზღარმა ეჭვმა, რომ კლოუნი ჩაუშვებს ხოლმე…
კეშამ უცებ ამოაბოყინა შამპანურის ნახშირმჟავა – და გულში

ახალგაზრდული სიმსუბუქე და ძალა იგრძნო.
– სიფილისის გეშინოდეს – დედალ მგლებთან არ იარო! – ხმამაღლა თქვა.
კურტუაზიულმა ანდაზამ რატომღაც დააწყნარა. დანაწევრებულად დაუკრა თავი სიცარიელეში, კლოუნის ირგვლივ, ანთებულ ოპციებს. კეშამ თავის ერთი ძნელად მისახვედრი მოძრაობით გადაათრია დაიკო მაგიდაზე და უკვე გადათრეულს მერილინი შეუთავსა.
გაუგებარი იყო, სქელი მერილინი როგორ ეტეოდა დაიკოს ანგელოზურად თხელ სხეულში. კეშას გამუდმებით მოსდიოდა თავში, რომ ეს ისეთი რამეა, როგორც რომ დიდი «მატრიოშკა» დაემალათ პატარაში... მაგრამ ამაზე ფიქრი არ უნდოდა. კეშამ ჩაიხედა თავისი საიდუმლოს შეშინებულ – თუ უბრალოდ, ეშმაკურ? – თვალებში, ჯინსის ცისფერ შორტს ღილები გაუხსნა და ჩამოსწია წვრილ, წეროსავით ფეხებზე.
– ნუ მიყურებ ეგრე, ნუ მიყურებ, – ხრინწიანად წაიდუდუნა მან, დაიკოს სხეულზე ხელს მიმოატარებდა, – ვისთვის ჩაიცვი, თუ ჩემთვის არა? აქ სხვა არავინაა. მარტო მე – და მე თვითონ. ასე რომ, მოდი დიდ ძმასთან... კარგი. აი, ეგრე, გოგონი, აი, ეგრე...
დაიკო დუმდა. კუშტად იყურებოდა განზე, და კეშა განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდა მომხდარის ცოდვიანობას, ამის გამო უფრო მეტად იღგზნებოდა. დაიკოს შიგნით დამალული მერილინი ხანგამოშვებით ხვრინავდა – და სურვილის შემთხვევაში ეს ხმები შეიძლებოდა მიგეღო ვნებიან ამოოხვრებად, ახალგაზრდა სხეულში რომ ცოცხლდებოდა.
კეშა გრძნობდა, რომ ახლოვდება მისი ერთ-ერთი საუკეთესო სასიყვარულო მომენტი, რომელსაც ნახავს REM-ფაზის სიზმარში და უნდა ეცადოს, რეალობაშიც გაიმეოროს ისევ და ისევ.
და უცებ, როცა სიამტკბილობის პიკამდე რჩებოდა რამდენიმე ნაბიჯი, რაღაც უცნაური მოხდა.
გაისმა დახეული ნაჭრის ფხრაწანი.
დაიკოს ირგვლივ, თითქოსდა რომ ცდილობდა დაფარულიყო მისგან წვრილი ფეხებით, გამოჩნდა წვრილი, ნარინჯისფერი შრიფტის სვეტები – კოდის გაუგებარი სტრიქონები, სადაც ხშირად მეორდებოდა mutabor, module და failure, და კიდევ იყო ციფრები, მრავალი გადახაზული ნულებით. მერე ეს სტროფები

გაქრა დაიკოსთან ერთად, და კეშამ მაგიდაზე დაინახა შიშველი მერილინი. დაიკოს პოზა, ახლახან რომ მასში თავბრუდამხვევ აღტაცებას იწვევდა, მეუღლის შესრულებით უშვერი და საზიზღარი მოეჩვენა.
მერე კი რაღაც წარმოუდგენელი მოხდა. მერილინი რამდენჯერმე გაიწია – და როგორღაც განუდგა თავის ხილვად გარსს.
კეშა ვერ ხვდებოდა, ეგეთი რამე როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო. ქალი წინანდებურად იწვა მის წინაშე, განზე გაშვერილი ფეხები მაღლა აეპლაკა. მაგრამ გრძნობდა: მუცელში მიებჯინა რაღაც უხილავი და წვეტიანი, მსგავსი წინ გამოშვერილი იდაყვისა. მერილინი ისევ უხილავი კოშტი გახდა, არაფრით ემთხვეოდა თავის გამოხატულ სხეულს.
– მერილინ, – დაუძახა კეშამ.
ცოლმა არ უპასუხა. თავიც კი არ დაუქნევია. კეშას თავში მოუვიდა, რომ ქალმა სცადა, შეეწყვიტა კონტაქტი – და მოკვდა, ვერ მოასწრო პროცედურის დასრულება. კეშამ ცერად გახედა პიცერიის შემოსასვლელს. კლოუნი მუტაბორი და დაიკო (ის უკვე ხელახლა გაჩნდა ფეისტოპზე) ინტერესით უყურებდნენ კარის ღიობიდან. სამზარეულოს მხარეს გამოხსნილი კარიდან კეშას უყურებდა ოფიციანტი ჯუზეპე. ადამიანები ყოველთვის, სულ ყოველთვის მიფრინდებიან სხვის უბედურებაზე, როგორც ბუზები. თუნდაც ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ მათი ელექტრონული ფიტულები.
«ფეისტოპზე უნდა დავბრუნდე, – იფიქრა კეშამ, – და ვნახო – შესაძლოა, მერილინი უკვე იქაა».
მერლინი
მართლა ფეისტოპზე იდგა. უფრო მეტიც, მის თავს ზემოთ კვლავ ენთო ლალის გული. იმის გარშემო კი მტრედები ფრენდნენ. თუკი აიკონით ვიმსჯელებთ, მეუღლე კარგად იყო. და კიდევ უნდოდა სიყვარული.
«აი, ჯანდაბა, – იფიქრა კეშამ, – რაღაც ვერ არი აქ ყოჩაღად. ხომ არ შეუძლია, ერთდროულად უნდოდეს და არც უნდოდეს. და გადმოდიოდეს თავისი სხეულიდან. თუ ცუდად არის?»
მაშინვე უარყო ეს აზრი. მერილინს ტრაკი რომ ასტკივებოდა, სისტემა დაიჭერდა სასიცოცხლო მაჩვენებლების შეცვლას – პულსის, ტემპერატურის, ტვინის რიტმების და, საერთოდ,

ყველაფერი დანარჩენისა, რაც კი აქვს ადამიანს. უკვე კაი ხანი იქნებოდა, აუცილებელ მედიკამენტებს შეუყვანდნენ, და თუკი საქმე გასერიოზულდებოდა – დააძინებდნენ და სამედიცინო მოდულში გაუშვებდნენ. კეშას ადრინდელ დაქალებს მოსვლიათ ეგრე.
ამ დროის განმავლობაში მეუღლის აიკონს ფეისტოპზე ფარავდა შერეული სამშენებლო ტყეები წარწერით «სარემონტო სამუშაოები!» გასაგებია, რბილი სოციალური იუმორი – მეუღლემ რომ ტყუილად არ ინერვიულოს. პარტნიორზე ღელვა, მართლაც, არ ღირდა. მერილინი რომ წაეყვანათ, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ სისტემა აურჩევდა ახალ გენეტიკურ პარტნიორს. კანონი კანონია.
თავად კეშაც რამდენჯერმე მოუწყვეტიათ მოდულს სამედიცინო აუცილებლობის გამო – რის შესახებაც, არავითარი მოგონება არ დარჩენია, საერთოდ: გონს მოდიოდა ადრინდელ ადგილზე, შერინგ-პოინტსები ნულზე იყო, და აღარაფერი სტკიოდა. სხვათა შორის, ადგილის თაობაზე გაურკვევლობა არსებობდა – ისევ ის იყო თუ არა. მოდულები არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ასე რომ, შეკითხვას, ეტყობა, განსაკუთრებული აზრი არც ჰქონდა.
მაგრამ ახლა რაღაც უცნაური ხდებოდა. «შეიძლება, – იფიქრა კეშამ, – პროგრამამ აურია?» სისტემა თვლის, რომ ყველაფერი წესრიგშია, სინამდვილეში კი... ამისთანა რამე ადრე არ მომხდარა. ალბათ, ამაზე კომპენსაციაც ერგება – და შეეძლება ერთი-ორი კვირა არ იაროს სამუშაოზე…
მთავარია, რომ სისტემის მთელი ფხიზელი გამჭრიახობა უცებ სადღაც გაქრა... კეშას შიში, სასოწარკვეთა და გაწბილება, სისტემას განგაშის მიზეზად არ მიაჩნდა. ალბათ, მიზეზი ის იყო, რომ კეშა არ მოიხმარდა არავითარ კონტენტს, და სისტემას არ შეეძლო, მისი სასიცოცხლო მონაცემები შეედარებინა ნორმატიულისათვის. «მაგრამ სისტემას ხომ შეუძლია აზრის წაკითხვა, – იფიქრა კეშამ, – თუ ეს მხოლოდ კონტექსტურ რეკლამაზე მუშაობს?»
– ვაჰ, რა სულელი ვარ! – ამოიკვნესა კეშამ.
დაიკოს ხომ აქვს სერვისული არხი «მელაპარაკე». კეშას ის არასოდეს გამოუყენებია – რადგან ნორმალური ადამიანი სისტემას თავად არ ჩაუძვრება ხახაში.

– მელაპარაკე, – თქვა მან.
– ყოველთვის მოხარული ვიქნები, – მიუგო დაიკომ და მოკლე კნიქსენი გააკეთა. კეშა მიხვდა – სერვისული არხი ჩაირთო.
– დახმარება მჭირდება, – თქვა მან.
– მე აქ იმიტომ ვარ, რომ მოგეხმარო, – უპასუხა დაიკომ და ისე დამაიმედებლად გაუღიმა, რომ კეშა თითქმის დამშვიდდა.
– დახმარება მე კი არა, ჩემს პარტნიორ ქალს სჭირდება.
– მე აქ იმიტომ ვარ, რომ მოგეხმარო, – გაიმეორა დაიკომ, – რა სახის პრობლემებს განიცდით? თავი დამიქნიეთ, როცათუ გამოვიცნობ. ფეისტოპზე ოპერაციებთან გაქვს პრობლემები? პრობლემები LifeBEat-სისტემასთან? გუნება-განწყობილების პრობლემა? თქვენ თავი არ დაგიქნევიათ. თავი დამიქნიეთ, როცა გამოვიცნობ. ფეისტოპზე ოპერაციებთან გაქვს პრობლემები? პრობლემები...
კეშამ სამედიცინო პრობლემებზე დაუქნია თავი. დაიკო წამით ფიქრობდა.
– თქვენი სასიცოცხლო მაჩვენებლები ნორმაშია. მღელვარებისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს.
– არა, – თქვა კეშამ, – შენ ვერ გაიგე, მეზობელია ცუდად. დაქალი. ჩემი სოციალური პარტნიორი საფრთხეშია. თქვენ ცოტათი იცნობთ... სასწრაფოდ დახმარება სჭირდება.
– მე აქ იმიტომ ვარ, რომ მოგეხმარო, – გაიმეორა დაიკომ, – რა სახის პრობლემებს განიცდით? თავი დამიქნიეთ, როცათუ გამოვიცნობ. ფეისტოპზე ოპერაციებთან გაქვს პრობლემები? პრობლემები სისტემა...
– მოკეტე, სულელო, – ამოიგმინა კეშამ, – მეზობელია ცუდად. გესმის?
დაიკო მოიღრუბლა – როგორც ჩანს, კეშას მთელი ნათქვამიდან მხოლოდ სიტყვა «სულელი» გაიგო. გაუგონარი იყო, როგორ შეიძლებოდა, ყოვლისმხედველი ცერბერი წამში გადაქცეულიყო უტვინო ავტომოპასუხედ. ეტყობა, კეშას მომსახურე პროგრამულ ხეს ამ მხარეს ეზრდებოდა ერთი დაჩიავებული ტოტი. რაც, არსებითად, გასაკვირი არც იყო – სისტემას უნდა გადაეწყვიტა სამედიცინო პრობლემები თავად მის ბიოთარიღზე დაყრდნობით.
მაგრამ ეს, რატომღაც, არ კეთდებოდა.
«არა, ეს შეუძლებელია, – გაიფიქრა კეშამ, – ჯანდაბა, როგორც

უნდა ავხსნათ? ეგებ უნდა გავაშეარო აზრი?»
ყურადღება მოიკრიბა და წარმოიდგინა ავადმყოფი ქალი. პატარა და რბილ პანელში რომ იკრუნჩხება. დაფარული წყლულებითა და ფუფხებით. მძიმედ რომ სუნთქავს. დაიკომ ხელი ასწია და კეშას თითით დაემუქრა – ხელის განსაკუთრებული მოძრაობით. «გასაგებია», – იფიქრა კეშამ. ჟესტი კარგად იყო ნაცნობი. «თქვენმა აზრებმა შეიძინა ასოციალური თვისება». ანდა, უფრო უბრალოდ: «ესეთ კონტენტს ჩვენ არ ვაშეარებთ».
– მე გაშეარება არ მინდა, სულელო, – თქვა მან, – დასახმარებლად გეძახი. ნუთუ გაუგებარია?
დაიკო ისევ მოიღუშა. როგორც ჩანს, ისევ მხოლოდ სიტყვა «სულელი» გაიგო. კეშამ იგრძნო ისეთი სასოწარკვეთა, როგორიც დიდი ხანია, არა ჰქონია. შეიძლება, არც არასოდეს.
SED A CIDER
არაქართული-გაუშვი!
კეშამ მორჩილად დაუკრა თავი, და ყელში დაუბუშტულდა დამამშვიდებელი სიდრი – საშუალება ნომერი ერთი სტრესის მოსახსნელად: organic, natural, instant. კეშა ვარაუდობდა, რომ ამ მიქსტურის პოპულარობა არცთუ მსუბუქ კავშირში იყო ალკოჰოლის მაღალ პროცენტთან. რას აღარ გააკეთებ ჯანმრთელობისთვის...
თუმცა სიდრი ღირდა მთელი მისი sharingpoints-ებად, სულ უკანასკნელამდე. სასოწარკვეთა სადღაც გაქრა – კეშას ცნობიერება აავსო შუშხუნა, ბუყბუყა და ჩხვლეტია სიმშვიდემ. ის, თუ როგორც ბუყბუყებდა, იყო სასიამოვნო. მაგრამ აი, ჩხვლეტა ეჩვენებოდა მეტისმეტად მწვავე და დისკომფორტული. ასე რომ, საერთოდ, ყველაფერი ერთად გამოდიოდა – არც არაფერი. საკვირველიც არ არის – სასიამოვნო რომ ყოფილიყო, იმდენი ეღირებოდა, რამდენიც აბსენტი.
აი, ეგრე უნდა მუშაობდეს ყველაფერი. სასოწარკვეთა, რომელმაც ის მოიცვა, აისახა ბიოთარიღში, და სისტემამ რეაგირება მოახდინა. მაგრამ რატომ, რატომ ვერ ამჩნევს მერილინის პრობლემებს?
ფიქრი გაიოლდა. და კეშას უცებ ახალი აზრი მოუვიდა თავში, სრულიად მოულოდნელი. თუკი პრობლემის გადაწყვეტა

შეუძლებელია ფეისტოპზე, ეგებ, მისი გვერდის ავლით მოხერხდეს?
კეშამ ყურადღება მოიკრიბა და ფოკუსიდან გამოიყვანა თვალები – ისე, რომ დაენახა დაბინდული, ნაცრისფერ-მომწვანო ფონი, იტალიური მოედნის მიღმა რომ ანათებდა. მაგრამ რეალობის უდაბნოს, რომელშიც სულ ახლახან ყვინთავდა, არაფრით სურდა, გამოჩენილიყო. ალბათ, სიდრში თუ იყო საქმე.
ბოლოს, თითქმის საათიანი დაძაბულობის მერე, როცა კეშამ უკვე სცადა ყველა შესაძლო მეთოდი თვალების გამრუდებისა, არაქართულმა ცოტა მართლა გაუშვა – და ნაცრისფერ-მწვანე სიბნელეში გაკრთა საკუთარი ნარინჯისფერი სახელო. მერე კი, ერთ საძაგელ წამში, კეშა ჩამოეფერთხა საბაზისო დონეზე…
არა
არა
არა
კეშას თვალწინ გაშლილი სანახაობა ისეთი სასწაული იყო, რომ არც კი შეშინებია.
მისი სხეული თავისით შეხტა, გეგონება, შიგ დენი გაუშვესო, პირში კი ისევ აქაფქაფდა დამამშვიდებელი სიდრი.
ეს ჰგავდა კადრს საშინელებათა ფილმიდან. და რაც უფრო დიდხანს უყურებდა კეშა, მით მეტად უნდებოდა ფილმის უკან გადახვევა, იქით, სადაც ჯერ კიდევ ვერაფერს ხედავდა.
ადრე ასეთ კონსერვებს უშვებდნენ – წაგრძელებული ყუთის სახით, მომრგვალებული კუთხეებით. ბევრჯერ უნახავს ფილმებში. მათ ხსნიდნენ სპეციალური გასაღებით, თითქოსდა ზედ ახვევდნენ თუნუქის სახურავს, ისე რომ, პროცედურის ბოლოს მბრწყინავ რულონად იქცეოდა.
ის, რაც თავის წინ დაინახა, ყველაზე მეტად მიაგავდა ამნაირ კონსერვის ქილას, უკვე გახსნილს – და სარდინი, უნდა ითქვას, საშინელი შინაარსისა იყო.
მის ცენტრში მკვდარი დაცურავდა.
ჭუჭყიან ხალათში იყო – სტანდარტულში, მაგრამ ისე ძველში, რომ მისი ნარინჯისფერი უკვე გახუნებულ-ყვითლად ქცეულიყო. ხალათის ქვეშ ჩანდა სტანდარტულივე პამპერსები გამომავალი მილებითა და შლანგებით – როგორც კეშაზე. მაგრამ მკვდრის სახეზე არ იყო LifeBEat-ის ნიღბები.

პირი, შავ-ყვითელი გაღუნული კბილებით, ღია ჰქონდა. ნიკაპზე მისწებებოდა ნერწყვის მუქი კოტოში. ფეისტოპის ნაცრისფერი ზოლის მაგივრად მის შუბლზე ამობურცულიყო რაღაც შავი ელექტრონული სიმსივნე, დაჩხვლეტილი გამომთვლელი მიკრომოდულებითა და გველისებური შემაერთებელი ლენტებით – «რაღაც მსგავსი, – იფიქრა კეშამ, – რასაც აწყობენ ტექნიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ხელგარჯილობის გაკვეთილებზე, აი, ოღონდ მერე შუბლზე არ იწებებენ».
მკვდრის ღია თვალები ახლაც გამოხატავდა ზიზღიან მოწყენილობას. მისთვის გულისამრევი იყო ცხოვრება და ასეთივე – სიკვდილი, – მიხვდა კეშა. მკვდარი მოხუცი იყო.
მერე კეშამ დაიწყო დანარჩენი რამეების შემჩნევაც.
ჯერ ერთი, მოხუცს მკერდზე ეკიდა დაფა დიდი წარწერით:
READ ME
დაბლა რაღაც ჰქონდა მიწერილი, წვრილად, მაგრამ კეშას ჯერ ის არ ამოუკითხავს.
კეშა დაზაფრა პერსონალური აითემების სიმრავლემ. ასეთი რაოდენობა პირადი ფიზიკური ობიექტებისა გახლდათ არა უბრალოდ არალეგალური – ის იყო მოუხერხებელი. კეშას განსაკუთრებით საზიზღრად მოეჩვენა ტექნიკური სახეობის დანა – მოკლე, სამკუთხა პირით.
მიცვალებულს ირგვლივ რამდენიმე ჩანთა ერტყა, მრავალი ჯიბითა და ჯიბაკით. ორი მოდულის კედლებზე იყო მიმაგრებული, დანარჩენები კი სივრცეში დაცურავდა.
«აი, რაზე ვურტყამდი მუხლებს, – მელანქოლიურად გაიფიქრა კეშამ, – არადა მეშინოდა, მემბრანა არ მომეშალა...»
სიცოცხლის უზრუნველყოფის ნიღაბი სიცარიელეში ეკიდა, მკვდრის სახის სიახლოვეს, და მისი მილებიდან ყველაზე მსხვილზე შემშრალიყო საჭმლის გულმიუსვლელი ნაკვალევი.
მერე კეშამ დაინახა სივრცეში მცურავი ფეისტოპის ზოლი და იქიდან გამოშვერილი ვერცხლისფერი ხის უნაზესი ტოტები – და გაოცდა ეფემერული, თმაზე უთხელესი ელექტროდებით.
ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სწორედ ასეთივე ფესვი იზრდებოდა მის საკუთარ ტვინშიც.
სინამდვილის ფესვი, დიახ.
მკვდრის თავს ზემოთ ენთო ელექტრონული მოწყობილობა, შექმნილი სკოტჩგადაკრული ორი კომპიუტერ-პლანშეტის,

მუდმივი ბატარეისა და კიდევ რაღაც პლატისგან, უამრავი სხვადასხვა ფერის მართკუთხედით. აი, ეგეთ რამეებს, მძარცველებზე ძველ ფილმებში, უერთებდნენ რთულ ელექტრონულ სისტემას, რათა რომელიმე დიდი სეიფის კარი გაეღოთ.
ამ უცნაური მოწყობილობიდან გამოდიოდა სამი კაბელი. პირველი უერთდებოდა სიცოცხლის უზრუნველყოფის ინფორმაციულ შლანგს. მეორე – ფართო და პრიალა, უკონტაქტო კავშირის შავი შესაერთებლით – ფეისტოპის ზოლს. ტვინის სიგნალების იმიტაცია, მიხვდა კეშა. მესამე შლანგი...
კეშამ თვალი გააყოლა – და ძლივს შეიკავა გულისრევის სპაზმი. სადენი მკვდრის ფეხებშუა მთავრდებოდა. იქ კიდევ... მიცვალებულის ფეხებშუა კი სკოტჩით მიმაგრებული იყო ცილინდრი ვარდისფერი ნახვრეტით. კეშამ იცოდა, ეს რაც იყო. მან ნახა ტრანსგენდერული მოდული Google Pussy – ანდა, უბრალოდ, GooP-ი – ფირმა Google-ზე გადაცემაში, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველთვის არ იყო დაკავებული გენიტალიების პროთეზირებით, არამედ ოდესღაც იწყებდა თვალთვალისა და ზედამხედველობის ტექნოლოგიით.
მეორე გადაცემიდან – გენდეროსვინგერებზე, პროგრესის დაუშოშმინებელ აქტივისტებზე, აქეთ-იქით რომ იცვლიდნენ სქესს არანაკლებ ათჯერ მაინც, – კეშამ იცოდა კიდეც, რომ Google Pussy-ის ხმოვანი აქტივაცია, განსხვავებით Google Dick-ისგან, ლოკალიზებული იყო რუსულად – მართალია, ისიც დაღვლარჭნილად: საშოს პროთეზი გაიშვებოდა ფრაზით: «ოკეი, პუსი საჯაროობა ნომერ ერთი».
როგორც ჩანს, მხედველობაში ჰქონდათ «მზადყოფნა». ფრაზა უნდა გამოგეთქვა მეტად განსაკუთრებული აქცენტით, თუმცაღა, იოლად არ ემორჩილებოდა იმიტაციას ენის მატარებლების მხრიდან.
რუსულენოვანი გენდეროსვინგერები გადაცემაში თავშეკავებულად ჩიოდნენ ზეზეურად ჩამოხმობაზე და ჰკვირობდნენ ტექნოლოგიის შეუჩერებელ განვითარებას, ასე რომ, აზრთა სპექტრი წარმოდგენილი იყო ბალანსირებულად (თავიანთ მთავარ პრობლემად გენდეროსვინგერები თვლიდნენ არა Google Pussy-ის პრობლემებს, არამედ სხვას: ცხოვრების

თანამედროვე წყობაში ძალიან ძნელი იყო გარანტიის მიცემა, რომ თქვენი სქესის ცვლილების თაობაზე ვინმე შეიტყობდა, და ეს მაშინვე მოისროდა გენდერონავტიკას ეგზისტენციური დავიწყების უკაცრიელ სიცარიელეში).
სამაგიეროდ, განსვენებულის ელექტრონული მკითხველი, ჩართული Google Pussy-ში, ეტყობა, უსაყვედუროდ იმიტირებდა ხმოვან ბრძანებას – კეშას არ ახსოვდა არანაირი პრობლემა ტრაკთან სასიყვარულო სეკრეციის გამომუშავებისას...
ტრაკო... აი, თურმე, როგორი ხარ...
საკუთარი თავი ამ თითქმის უემოციო და შეფასების გარეშე აზრში დაიჭირა, და კეშა გააოგნა საკუთარმა უგრძნობელობამ.
«არაფერ ადამიანურს არ ვგრძნობ, – იფიქრა, – არანაირად. მხოლოდ ცოტა გული მერევა. ეგებ, მართლა სულების ნაცვლად პროთეზები გვაქვს, როგორც ბებრუხანა კსიუ ამბობს?»
და აქ კი სავსებით გადაფარა დიდხანს ნალოდინარმა ადამიანურმა ემოციამ. ეს საშინელება იყო – ისეთი ძლიერი სპაზმი დაეწყო, რომ კინაღამ დაიხრჩო.
კეშამ იცნო მკვდარი. ის აღმოჩნდა ბატუ კარაევი.
იგი ძალზე განსხვავდებოდა სავარაუდო ხასიათისგან, რომელიც ნაჩვენებია პროგრამაში «ქურდის ქურდი», ამიტომ წაიღო ამოცნობამ ამდენი დრო.
ჯერ ერთი, მიცვალებულს არანაირი წვერი არა ჰქონია, არამედ მხოლოდ ორი ან სამდღიანი ჭაღარა ჯაგარი (კეშა მსუბუქად შეხტა, როცა გაიხსენა, რომ წვერი ერთხანს გვამსაც ეზრდება). მეორეც, მის ცხვირზე არ შეიმჩნეოდა არანაირი შეხორცებული მოტეხილობა. ჩვეულებრივი კეხიანი ცხვირი იყო – დიდი, მაგრამ საკმაოდ თხელი. მესამე, მიცვალებული გაცილებით უფროსად გამოიყურებოდა, ვიდრე თავისივე რეკონსტრუქცია.
კეშამ თვალებით იცნო – წაბლისფრით, სხვადასხვა ფორმის, სწორედ ისეთებით, როგორიც გადაცემაში. სიკვდილს რომ არ დაეხუჭა ეს თვალები, კეშა ვერც ვერასოდეს შეიტყობდა, ვინ იყო მის წინაშე. აქამდე ამას როგორ არ ეჭვობდა ელექტრონული მკითხველით მოტყუებული სისტემა, დარწმუნებული, რომ მისი მეზობელი (კა) ცოცხალია და არც ჯანმრთელობას უჩივის?...
კეშამ შიში და ზიზღი გადალახა და ლამის დაბრმავებული თვალები მიუახლოვა დაფას მოხუცის მკერდზე – და READ ME

სიტყვების ქვეშ წაიკითხა დაწერილი.
«თუკი შენ კითხულობ ამას, უკვე იცი ნახევარი სიმართლე. თუ გინდა, მთლიანად გაიგო – აიღე ფლეშ-პინკი და მიუერთე შენს ფეისტოპს. მეორე შანსი აღარ იქნება!»
ძახილის ნიშნის მაგივრად მუყაოზე სკოტჩის ზოლით მიწებებული იყო ფლეშ-პინკი სქელი შლაპით – ოქროს ქინძისთავით, სათამაშო ლურსმანს რომ მიაგავდა, ბედნიერი გნომების სამყაროდან. კეშა მიხვდა, რომ ნახვრეტი მის ფეისტოპზე გაკეთებულია სწორედ ამისთანა ლურსმნებისთვის. რაღაც ნანო-ფროიდიზმია, უბოროტოდ გაიფიქრა და ცერად გახედა Google Pussy-ს, მკვდრის პამპერსებზე რომ იყო მიბმული სკოტჩით.
საიდან ჰქონდა მას სკოტჩი? ჰო, ამ ჩანთებიდან...
კეშა მიხვდა, თავისით რას ამბობდა კბილები – საქმე ის კი არ იყო, თუ საიდან აქვს მკვდარს სამედიცინო სკოტჩი, არამედ – ის, უნდა თუ არა, გაიგოს მთელი სიმართლე.
«და ვაითუ, Little Sister-მა რაღაც იყნოსა? – იფიქრა მან, – ის ხომ დამატებებით მუშაობს. ეს კიდევ, ფლეშზე, დამატებაა თუ არა?»
დაიკო არ ჩანდა – ესე იგი, ვერც ის ხედავდა. ახლა ის, უბრალოდ, არ არის. და რაკი ეგრეა, საიდან უნდა იცოდეს, რა ესიზმრება?
რამდენიმე წამი უყურებდა ფლეშ-პინკს. მერე მკვდარს შეხედა, მის თვალებს მზერას არიდებდა და მიხვდა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ეს რთული არ იყო – თითქოს მის მაგივრად სხვამ გადაწყვიტა ყველაფერი.
კეშამ დაფისკენ გასწია ხელი, ქინძისთავი მოხსნა. მერე მიტრიალდა თავზემოთა სარკისკენ – და საკუთარ თავს ყოყმანის დრო აღარ დაუტოვა, ქინძისთავი შუბლთან მიიტანა და შეურჭო პორტის ნახვრეტს პლასტიკურ ზოლში.
Needles and pins
კეშამ არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო. ეგებ, რაღაც დრამატული – თავში შუქის აფეთქება, მეხის გავარდნა ყურებში, მოულოდნელი გაკაშკაშება... მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.
საერთოდაც, არაფერი მომხდარა.
ხუთიოდე წუთი კიდევ დაიცადა. მერე კი გაიაზრა, რომ ფეისტოპზე უნდა დაბრუნებულიყო:

ინფორმაცია ოქროს ქინძისთავიდან მხოლოდ იქ აისახებოდა. თუმცა, ყურადღების გადატანა ფეისტოპზე საშინელი იყო. ამისთვის სჭირდებოდა, თვალის მოწყვეტა მკვდრისთვის, საკუთარი მკერდისა და ყელის პირისპირ მისი დატოვება. იქნება და, მთლად მკვდარი არც იყო? ანდა... კეშამ გაიხსენა ზომბი-სერიალების უსასრულო მონაცვლეობა, რომლებსაც თავის დროზე მის თავში გაუვლია. რასაკვირველია, ამისთანა რამ არ შეიძლებოდა სინამდვილეში მომხდარიყო. მაგრამ სულერთია, მაინც ეშინოდა.
თუმცა არჩევანი აღარ რჩებოდა, და კეშამ გადაწყვიტა. ფეისტოპი, წამიერი დაძაბვის შემდეგ რომ ამოცურდა ბაცი მწვანე ბურუსიდან, თითქოს გაიბერა საფრთხისგან, რაღაც უბედურების მრისხანე დაპირებისგან... ისე ჩანდა, კარაევის ცივ ხელს მოსტოვაიას უცებ აფეთქება შეეძლო – და ყელში სწვდებოდა... «სხვათა შორის, – ფიქრობდა კეშა და თანდათან მშვიდდებოდა, – იმას რომ ნდომებოდა, უკვე კარგა ხნის გაკეთებული ექნებოდა ყველაფერი... რამე წვეტიანს უჩხვლეტდა მემბრანას... რამდენ ხანს იმალებოდა მოპირდაპირედ».
ფეისტოპზე ყველაფერი ძველებურად იყო – მხოლოდ მოედნის შორეულ კუთხეში, სადაც ჩვეულებისამებრ იკრიბებოდნენ ახალი დემო-დამატებები, გამოჩნდა ახალი აიკონი. იქ გაჩნდა... ცხვარი.
და ერთობ საყვარელი, თუმცა კი ძალიან მიახლოებული – თითქოსდა სამგანზომილებიანი ანიმაციური ფიგურა, გამოჭრილი ფენოსპლასტისგან. ასეთ ცხვრებს ადრე სკოლის მოსწავლე გოგონები ხატავდნენ, როცა რაღაც ცოცხლის მიხატვა სურდათ უკვე დახატული პრინცესის გვერდით – კეშას მსგავსი ენახა გადაცემაში ბავშვთა ხელოვნების შესახებ. საწყენია, რომ პრინცესა არაა. მაგრამ იოლას გავალთ... «ისე, საინტერესოა, – იფიქრა კეშამ, – ამას Little Sister-ი ხედავს? ეს ხო ფეისტოპზეა... მოკლედ, ნეტა, არ მივქარავდე რა...»
მტკიცედ დაუქნია თავი ცხვარს და დამატება ჩაირთო. ფეისტოპი მაშინვე გაქრა, თითქოს კეშასა და ჩვეულებრივ ვირტუალურ სამყაროს შორის ვიღაცამ თეთრი ქაღალდის ფურცელი ჩასვა.
«გასაგებია, – იფიქრა კეშამ, – სკრინავს და თან დაშიფრულია...»

თეთრ ფონზე გამოჩნდა ცხვარი – სწორედ ისეთი, როგორიც ფეისტოპზე, – და მარჯვნივ წავიდა. კარგა ხანს მიდიოდა თეთრ უდაბნოში და ბოლოს მიეჯახა წითელი აგურების მთას. ერთი აგური აიღო კბილებით და წაიღო თეთრი მინდვრის მარცხენა განაკიდეზე – უფრო სწორად, უბრალოდ მარცხნივ, რადგან არანაირი კიდეები და საზღვრები თეთრ სიბრტყეს არ ჰქონდა. კეშა ისევ დიდხანს ელოდა, რა მოხდებოდა. მოხდა კიდეც: ცხვარი გაჩერდა და აგური დაუშვა თეთრ ზედაპირზე. პირველი ცხვრის უკან უკვე მოდიოდა მეორე, ასევე აგურით კბილებში. მეორე აგური წესიერად დადო პირველის გვერდით, მერე მესამე, მერე მეოთხე. ცხვრები, ეტყობა, რაღაც ლამაზ, რიგიან კედელს აშენებდნენ. კეშამდე მოაღწია მელოდიურმა ბღავილმა:
– მიმიმი! მიმიმი!
«საყვარლობაა, – იფიქრა მან, – ძაან საყვარლობა... და რაო? ახალი ყდები დამიტოვა ფეისტოპისთვის? და მორჩა?»
– გამარჯობა, კეშა, – გაისმა დაბალი, მამაკაცური ხმა. ზემოდან მოფრინდა.
კეშამ თვალები ასწია. მაღლა ცაში, ცხვრების ზემოთ ეკიდა ამპირის მოოქრული სავარძელი.
სავარძელში კი ბატუ კარაევი იჯდა.
უფრო სწორად, სავარძელი ტერორისტით არ ეკიდა ცაში. ცა აქ არ იყო. სავარძლის უკან იყო იგივე თეთრი ფონი – როცა კეშამ ზემოთ აიხედა, ის მის პირდაპირ აღმოჩნდა, ნორმალურ პერსპექტივაში, სამაგიეროდ, ცხვრებმა მოინაცვლეს ადგილი მხედველობის არიდან სადღაც შორს, დაბლა. კეშამ გაიაზრა, რომ ადრე, ცხვრები ყურადღებას თავიანთ მხარეს მიმართავდნენ და კარაევს შეუმჩნეველს ხდიდნენ, თითქოსდა მალავდნენ ხელოვნურად შექმნილ ზენიტში. ჭეშმარიტად, ეგრე დამალვა თეთრ ფონზე შეეძლო მხოლოდ კამუფლიაჟის გენიას. კარაევს ერთ სტილში ეცვა – შესანიღბი ფრენჩი უდაბნოს ფერებში და მწვანე სამხედრო კეპი, შავი არაბული ნაკერით, უკან მიბრუნებული კარტუზით. ჰქონდა გადმოშვებული შავი წვერი, ჭაღარის კეთილშობილური ჩანართებით. არცთუ ძალიან ჰგავდა მკვდარ მოხუცს, რომელიც კეშამ ახლახან ნახა საკუთარი თვალით – მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთად წარმოედგინა ტერორისტს თავი საკუთარ ოცნებებში.

– აი, თურმე, როგორი ყოფილხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, – თქვა კარაევმა ღიმილით, – გამარჯობა, კე.
კეშას ახსოვდა, რომ ხედავს მკვდარს და გამარჯობაზე პასუხი არ არის საჭირო. მაგრამ კარაევი უყურებდა და ელოდებოდა. სიჩუმე გაიწელა და დამძიმდა – მერე კი კეშამ შენიშნა ოპციები, ტერორისტის ფეხებქვეშ რომ გამოჩნდა. ისინი გამოიყურებოდა, როგორც სიტყვები, დაბეჭდილი თეთრ ქაღალდზე.
ოპცია ორი იყო:
1) გამარჯობა, ბატუ
2) გამარჯობა, ბუ
არჩევანის თავისუფლება, – კეშამ სკოლის მანტრა გაიხსენა, – სხვა არაფერია, თუ არა გაცნობიერებული აუცილებლობა, რომ სწორად აირჩიო. საბედნიეროდ, თანამედროვე ცხოვრება იშვიათად გვიგზავნის სერიოზულ დილემებს.
– გამარჯობა, ბატუ, – თქვა მან.
– შენ ისმენ ჩემს წერილს, – თქვა კარაევმა, – ესე იგი, მე უკვე მკვდარი ვარ. მაგრამ სისტემა ამას ვერ ხედავს – მასში შედის ყალბი სიგნალი. სისტემამ არ იცის, რომ ტრეკ-მემბრანა გავჭერი. საინფორმაციო და მკვებავი ბმულები მრთელია – ისინი დაბლაა, სადაც ქსოვილი არ დაზიანებულა. ჩვენ შეგვიძლია ორნი დავრჩეთ სამუდამოდ, კეშა. მაგრამ შენ, ალბათ, ძალიან არ გინდა, ერთ მოდულში იცხოვრო მკვდართან. თუ მაინც გინდა?
კარაევი გაჩუმდა, ყურადღებით უყურებდა. უნდა ეპასუხა. ოპციები ისევ ორი იყო:
1) არა
2) არცთუ ისე
და რა იქნება, იფიქრა კეშამ, რომ ავდგე და თავი დავუქნიო? მაგრამ გარისკვა არ უნდოდა. ტერორისტებთან, თუნდაც მკვდრებთან, არ ხუმრობენ – სერიოზული ხალხია. კეშამ თქვა:
– არცთუ ისე.
– ასეც ვვარაუდობდი, – მიუგო კარაევმა, – მე აგიხსნი, როგორ დაეღწიო ამ მეზობლობას. მაგრამ ჯერ მინდა გიამბო შენ, ჩემთვის ყველაზე ახლობელ – ეგრე გამოვიდა – ადამიანს, ჩემი ამბავი.
კეშამ ოპციებს შეხედა და კვლავ გააკეთა არცთუ რთული

არჩევანი:
– ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნება.
კარაევმა თავი დაუქნია, თითქოს ამას წამითაც არა ეჭვობდა.
– ჩემი ნამდვილი სახელია – სემიონ პალამაჩუკი. ბატუ კარაევი, – ეს, უბრალოდ, შემოქმედებითი ფსევდონიმია. ოდესღაც, ადრე მე ვმუშაობდი ოფიცერ-პროგრამისტად დატაპოლში და ვიმსახურე უფროსი ინსპექტორის თანამდებობამდე სიმბოლური ბავშვობის წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებაში. ქსელურ პედოფილებს ვიჭერდით. როგორც გესმის, ჩვენ ვებრძოდით აზრითდანაშაულობებს, რადგან სხვა ამ სფეროში მრავალი წელია, აღარ არის. დღევანდელი გარყვნილი, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ მიაღწევს ინკუბატორებამდე და ბოქსებამდე, სადაც იზრდება კაცობრიობის განთიადი. ჩვენ ვიჭერდით საკუთარი აზრის დანაშაულებრივ გამრყვნელებს, რომლებიც ცდილობდნენ, მიეცათ მისთვის გარკვეული გარეგნული ფორმა და საყრდენი... ხვდები, რას ვამბობ?
კარაევი შეიჭმუხნა, და კეშამ იგრძნო, რომ მისი სახე და ლოყები იბერება ცხელი სისხლით.
– მეტ-ნაკლებად, – მიუგო და ცერად გახედა ოპციის ფანჯარას.
– მე სისტემის ჭანჭიკად ვმუშაობდი, კე. როგორც ხშირად ემართებათ ადამიანებს ახალგაზრდობაში, მეც იდეალისტი ვიყავი – და მჯეროდა, რომ ვეხმარები საზოგადოებას, დარჩეს ჯანმრთელი. თუმცა, მქონდა წვდომა ფართოზოლიანი სკანირების მონაცემებზე, მაინც ძალიან ძნელი იყო დამეჯერებინა მისი ჯანმრთელობა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის შედგება პათოლოგი გარყვნილებისგან, მხოლოდ როგორღაც რომ იცავენ გარეგნული ქცევის ნორმებს... და ჩვენ არ გავმხდარვართ მასეთები ბოლო წლებში, კე, ჩვენ სულ ეგეთები ვიყავით. არა გჯერა?
ამჯერად ორივე ოპცია უარყოფითი იყო.
– არა, – მიუგო კეშამ.
– სულ ტყუილად. მე დატაპოლის არქივებში ვმუშაობდი და ვიცი, რაზეც ვლაპარაკობ. ჯერ კიდევ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დატაპოლმა – მაშინ სხვანაირად ერქვა, მაგრამ მთავარი ეს არაა, – პირველად შეადგინა ყველა სექსგადახრილის სრული ბაზა. ონლაინთვალთვალის

ტექნოლოგია მაშინ იდგამდა ფეხს. მის საფუძველში იმხანად იდო უბრალო, მაგრამ ბრძნული პრინციპი. შენ იცინებ, კე, მაგრამ ყველა პროფესიონალმა იცის, რომ თქვენ, გარყვნილები, რეაგირებთ არა იმდენად სურათზე, რამდენადაც წარწერაზე მის ქვემოთ...
«თქვენ, გარყვნილები» კეშამ ულაპარაკოდ გადაყლაპა. ბუზღუნს აზრი არ ჰქონდა მრავალთა მიზეზთა გამო.
– სურათზე შეიძლება იყოს ხნიერი ზანგი ქალი, საზამთროს რომ ჭრის, ხოლო წარწერა ექნება «თინეიჯერები, დაჭერილები სააბაზანოში» – და კლიენტი, სულერთია, მაინც დააწკაპებს ბმულზე. ადამიანის ტვინი ისეა ნაკერი, რომ კოდირების სიტყვიერი დონე ჯაბნის ვიზუალურს. ასობით წელია, ადამიანები ყვირიან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ვიზუალური ხასიათების სამეფოში. ეს, რა თქმა უნდა, ასეა – მაგრამ ვიზუალური მრავალფეროვნების კლასიფიკაცია მხოლოდ სიტყვით არის შესაძლებელი. ამიტომ ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოს მთავარი პორნოსაიტები ადრე დატაპოლის ფილიალები იყო. პორნორგოლები, შესაძლოა, გულანთებული ენთუზიასტების მიერ კეთდებოდა, მაგრამ მათ დასახელებას იგონებდნენ პოლიციის ოფიცრები სპეციალური ალგორითმით, რომელიც საშუალებას იძლეოდა, შეედგინათ, ასე ვთქვათ, სრული მენიუ ყველა შესაძლო გადახრისა. და მაუსის პირველსავე წკაპზე ეს დიაგნოზები სამუდამოდ თავსდებოდა პირად მეტათარიღში... დაგღალე?
ორი ოპციიდან კეშამ ამოირჩია «არა, სულაც არა», რადგან «ერთი ბეწოთიც კი არა» მეტისმეტად სექსუალური პასუხის ფორმად მოეჩვენა.
– უკვე იმ წლებში სპეცსამსახურების ოფიცერს შეეძლო ენახა მსგავსი სექსდოსიე ნებისმიერ მოქალაქეზე, რომელსაც ჰქონდა პირად აკაუნტთან მიბმული დევაისები – არადა, ყველა დევაისი, კე, შუქდებოდა საკრედიტო ბარათის ან ელექტრონული ფოსტის პირველივე გამოყენებისთანავე... უფრო მეტიც, გაჯეტებზე უკვე მაშინვე იდგა დისტანციური მართული კამერა, ხოლო მომხმარებლებს ალალად სჯეროდათ, რომ ის მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა ანთია სპირტის პორციის მწვანე ნათურა, ჰე-ჰე-ჰე... და თითოეული რატომღაც თავს მოვალედ თვლიდა, რომ ჯიბით ეტარებინა, ეგრეთ

წოდებული, სმარტფონი – ერთბაშად რამდენიმე სპეცსამსახურის მიკროფონი და თვალი. ეს იყო, როგორც ადამიანებს უხსნიდნენ მედიაში, თანამედროვე და პრესტიჟული... შენთვის, სხვათა შორის, ეს ყველაფერი საინტერესო არაა...
კარაევს, როგორც ჩანს, სურდა, რომ კეშა შეწინააღმდეგებოდა – მისი სავარძლის ქვეშ გამოჩნდა საპასუხო რეპლიკის ოპციები. «რატომ, საინტერესოა»-სა და «რატომ, მე ძალიან მაინტერესებს» შორის კეშამ მეორე ვარიანტი აირჩია, მაგრამ კარაევმა ჯიუტად გადააქნია თავი.
– დრო არ არის... – თქვა, – მას შემდეგ თვალთვალის ტექნოლოგიები განუზომლად დაიხვეწა. ხოლო შიდატვინის ჩართვების გამოჩენის შემდეგ ლაპარაკი სკანირებისთვის რაღაც წინააღმდეგობის გაწევაზე, უბრალოდ, სასაცილოა. შენ ვერ გაიგებ ამ ოლიმპიურ ძალმოსილებას, ამ ღვთიურ ყოვლისმცოდნეობას, რომლითაც თქვენს სულებში იყურება სპეცსამსახურის ნებისმიერი ოფიცერი სრული წვდომით... რაც უფრო მაღლა ავდივართ სამსახურებრივ კიბეზე, მით მეტს ვიგებთ სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, კე, რომ თვალები მანამდე ამეხილა, სანამ უმაღლეს წვდომას მომცემდნენ. მე ვფიქრობდი, რომ თავად ჩავწვდი მთავარ საიდუმლოს.
კეშა ოპციებს მიაჩერდა და ზემოთა აირჩია.
– კერძოდ, რომელი? – იკითხა.
– ყურადღებით მომისმინე. შენთვის ცნობილია, რომ შეიძლება გავაშეაროთ ნებისმიერი აზრი. მაგრამ ამისათვის შენ ის უნდა მოიფიქრო სრულიად განსაკუთრებული ხერხით. თითქოსდა ილაპარაკო შენზე. უნდა მიიყვანო ის ინტენსიურობის განსაზღვრულ გრადუსამდე, გახადო ნელი და პროარტიკულირებული. შენი შინაგანი ცხოვრების დანარჩენი ტერიტორია – ჩრდილოვანი ზონაა, რომელსაც სისტემა ბოლომდე ვერ აავადებს, ჯერ ვერ ისწავლა ამის გაკეთება. ეს ის ბოლო კუთხეა, სადაც შეგვიძლია ვიყოთ ისინი, ვინც ვართ სინამდვილეში. მაგრამ ძალიან ცოტა ხნით, მსუბუქად და საიდუმლოდ. იქ ვერავინ გვხედავს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარუდობენ ადამიანები. და სწორედ ასევე ვთვლიდი მეც ოდესღაც.

კეშამ მსუბუქი გულისრევა იგრძნო. ეშინოდა იმის, საითაც უხვევდა ლაპარაკი.
– ახლა კი, აი, რაზე იფიქრე, – განაგრძო კარაევმა, – ყოველდღე შენგან ქაჩავენ კონტექსტურ რეკლამას. ზოგჯერ საათში რამდენჯერმე. ეს ხდება უცვლელად. შენ რაღაცაზე ფიქრობ, გიჩნდება შემთხვევითი აზრი, რაიმე სწრაფი და გაქცეული ასოციაცია – და სისტემა მაშინვე სვამს შენში სარეკლამო რგოლს იმ მოტივებზე, რაც თავში გიტრიალებს. ძვირფასია და არა თავს მოხვეული, არა?
ოპციებში მრავალფეროვნება გაჩნდა – «დიახ» და «თავის დაქნევა». კეშამ თავი დაუქნია.
– შენ არ დაფიქრებულხარ, როგორ ირჩევს სისტემა პოპ-აპ-ებს. შენ ხომ არ აშეარებ იმ აზრს, რომელზეც რეკლამას ჰკიდებენ. შენ ვერც კი ასწრებ, ნათლად მოიფიქრო ბოლომდე.
კეშამ იცოდა, რომ ეს სიმართლე იყო. მისი საკუთარი გამოცდილება – თუნდაც შამპანურზე – ამას ამტკიცებდა ყოველ კვირას. მაგრამ, რატომღაც, მომხდარს მნიშვნელობას არ ანიჭებდა.
კეშამ თავი დაუქნია, თუმცა დიალოგის არანაირი ოპცია არ გამომხტარა.
– ეს რომ გავიგე, – განაგრძობდა კარაევი, – ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ორიდან ერთი ხდება. ან სისტემას შეუძლია, ჩვენი ყველა აზრი წაიკითხოს, გამონაკლისის გარეშე, და არ დაგვიტოვოს თუნდაც ვიწრო ზოლი ჩრდილისა, სადაც შეგვიძლია საკუთარი თავი ვიყოთ. ანდა... ანდა ადრევე იცის, რასაც ვიფიქრებთ, სახელდობრ.
– ჰო, – თქვა კეშამ, – ზუსტად.
მიხვდა, რომ გვამს ისე ელაპარაკება, როგორც ცოცხალს. მოკლედ, ეს მნიშვნელოვანი არ იყო. სულერთია, კარაევი მაინც არ უსმენდა.
– პირველი ვარიანტი მაშინვე უარვყავი, – განაგრძობდა კარაევი, – პრინციპში, ჩვენი ყველაზე მსუბუქი და სწრაფი აზრები შეუძლებელია წაკითხული იქნას გაუფორმებლობის გამო. ისინი არ ემორჩილება მკვეთრ ლოკალიზაციას. ხვდები, რატომ?
სიტყვა «ლოკალიზაცია» ამ კონტექსტში, ალბათ, რუსულად თარმნას კი არ ნიშნავდა, არამედ რაღაც სპეციალურს. კეშამ

მხრები აიჩეჩა.
– მენტალური ელემენტები, საერთოდ, არ არსებობს იმ სახით, როგორითაც გვახსენდება, როცა მათ დაბრუნებას ვცდილობთ. როცა ვფიქრობთ, როგორღაც ვცდილობთ, გავიხსენოთ რომელიღაც აზრი, რომელიც სინამდვილეში ჯერ არ ყოფილა. ამაშია შემოქმედების ბუნება. ჩვენ საიდანღაც ვიცით ბგერის ექო, რომლის მოსმენაც გვინდა. ხოლო სისტემას შეუძლია წაიკითხოს ნამდვილად გაჟღერებული სიტყვა. და – მხოლოდ მაშინ, როცა საკმაოდ ხმამაღლა და გრძლად ითქვა. მენდე სიტყვაზე – გამჭოლად შენი გაშუქება ცუკერბრინებს არ შეუძლიათ. და საეჭვოა, ოდესმე თუ შეძლებენ. სანამ საკუთარ თავს თავად არ გახდი გამჭვირვალეს, შენში არაფერია, რისი დანახვაც შესაძლებელი იქნებოდა.
ეს ძალიან დამაიმედებლად ჟღერდა. კეშამ აირჩია ოპცია «თავის დაქნევა».
– მაშ, ასე, – განაგრძობდა კარაევი, – დარჩა მეორე ვარიანტი. სისტემა არასოდეს ცდება კონკრეტულ რეკლამასთან, რადგან წინდაწინ იცის, რას ვიფიქრებთ. დიდხანს ვფიქრობდი, როგორ შეიძლება, ასეთი რამ ხდებოდეს. ყველა შესაძლებლობა ავწონ-დავწინე და მივხვდი.
კარაევი კეშასკენ დაიხარა, და მისი თვალები სულ იქვე აღმოჩნდა – გაცილებით ახლოს, ვიდრე ამას ვარაუდობდა ფიზიკური მოძრაობა.
– შენ ვარაუდობ, რომ სისტემა კითხულობს აზრებს, მერე კი მათ შორის სვამს კონტექსტურ რეკლამებს? – დაიჩურჩულა მან, – ეშმაკსაც წაუღია! იმას არაფრის წაკითხვა არ უნდა. ჩვენ ვფიქრობთ აზრებს, რომლებსაც სვამენ რეკლამებში, იმიტომ, რომ ჩვენ გვაიძულებენ, ისინი ვიფიქროთ. იმით დაგვიან ხოლმე ჩვენს თავებს... აი, ამ მძღნერიანი ცოცხით...
კარაევმა წინ გამოსწია თავისი მარწუხები, და კეშამ დღეს მეორედ დაინახა უმსუბუქესი ვერცხლის ცოცხი. კარაევის უხეშ, წითელ თითებში ფეისტოპის ტვინის იმპლანტი განსაკუთრებით ნაზი და უწონო ჩანდა.
– ჩვენ დაბადებიდან მიერთებული ვართ საინფორმაციო ნაკადს, რომელიც გვირეცხავს ტვინებს ისეთი ძლიერი ნაკადით, რომ იქ შეუძლებელია გაჩნდეს რაიმე შემთხვევითი აზრი. სისტემას არაფერში სჭირდება აზრების კითხვა. მისთვის

გაცილებით იოლია, შენს თავში გადატვირთოს აზრი, რომელსაც შენ მიიღებ, როგორც საკუთარს – მერე კი, თითქოს მასზე პასუხად, გადატვირთოს რეკლამა, გასაოცარი თავისი თავსებადობით. თუკი ცუკერბრინები არეკლამებენ კარტოფილის პიურეს, ისინი გაიძულებენ, იფიქრო რაიმე მრგვალზე. მერე გადაგიტვირთავენ აზრს, რომ ეს ჰგავს კარტოფილს. მერეღა ჩართავენ პიურეს რეკლამას... მიხვდი? კარაევი უკან გადაიხარა და ერთხანს ყურადღებით სწავლობდა კეშას – ისე დიდხანს, რომ იმან უხერხულად იგრძნო თავი. სხვათა შორის, გრძნობამ გაიარა, როცა კეშამ გაიხსენა, რომ კარაევი უკვე საერთოდ ვეღარსაით იყურება. მაგრამ განსვენებული ტერორისტი ურიგო მსახიობი არ იყო – კეშასთვის მოასწრო ცოცხალ თანამოსაუბრედ გადაქცევა. კეშამ ოპციებს შეხედა. იქ იყო «თავის დაქნევა» და «გაჩუმება». მეორე ვარიანტი აირჩია.
– მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი საშინელება, – განაგრძო კარაევმა, – უფრო სერიოზული სხვა რამეა. შენ რომ გადაწყვეტ, შეჭამო ასი გრამი პიურე, ესეც არ არის შენი გადაწყვეტილება. იმასაც ისევე ჩაგიჭედავენ, როგორც აზრს კონკრეტულ რეკლამაზე. უფრო მეტიც, როცა შენ, მაგალითად, ბრაზობ, რომ გაიძულებენ, გადაიხადო შემთხვევითი თავის დაქნევისთვის, ესეც გადმოტვირთვაა. გესმის? მთელი შენი შინაგანი ცხოვრება – ეგეთი გადმოტვირთვაა. მთელი. ეს, უბრალოდ, გრძელი საპროგრამო მარყუჟია, სისტემა რომ კვანძავს შენს ცნობიერებაში.
კარაევმა ისევ აჩვენა კეშას იმპლანტი.
– ყველა შენი დაფარული მანკი, ყველა შენი სამარცხვინო მუქი ლაქა და შენი დაფარული სიძულვილი სისტემისადმი – ასევე ნაწილია გადმოტვირთული კონტენტისა. ჩვენ, ყველა, დიდი ხანია, გამოგვცვალეს. ჩვენ კი ეს ვერ შევამჩნიეთ. იცი, რატომ?
– რატომ? – მორჩილად ჰკითხა კეშამ, ცერად გახედა ოპციებს.
– სწორედ იმიტომ, – მიუგო კარაევმა, – რომ ჩვენგან ისინი, ვისაც ამის შემჩნევა შეეძლო, გამოცვალეს. მე გითხარი, სისტემა კინოს გაჩვენებს – მაგრამ ეს სიმართლე არ არის. შენ კი არ გაჩვენებს, არამედ გაუგებარია – ვის. შენ თავად, კე, ხარ კიდევაც კინო. იმ შენ საყვარელ ბებრუხანა კსიუს უყვარს ინდური მანტრის გამეორება «შენ ხარ ის». ალალი სიმართლეა,

კე. შენ ხარ ის, რასაც შენში ტვირთავენ ცუკერბრინები. და არანაირი სხვა «შენ» არ არსებობს. ესაა ჩვენი ცხოვრების რეალობა. ეს ერთადერთი რეალობაა! დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ჩემით გავიგე – ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სისტემა დაშვებას მომცემდა. მხოლოდ მერე დავიდა ჩემამდე სიტუაციის მთელი სარკაზმი. თავად გაგება, რომელსაც მე ვთვლიდი საკუთარ საიდუმლო გაცისკროვნებად, სწორედაც დაშვება იყო! დაშვება, ამ ჩემს გოგრაში გადმოტვირთული სადენებით...
– მერე რა მოხდა? – ოპციების გადამოწმების შემდეგ იკითხა კეშამ.
– მე შევეცადე, გამეგო, როდის დაიწყო ეს ყველაფერი და როგორ. კვალი თითქმის არ დარჩენილა. ყველა გამომთვლელი საგანი – კომპიუტერები, ჩიპები, პროგრამები – ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა მეოცე საუკუნის ბოლოს. ეს ისე გამოიყურებოდა, როგორც კაცობრიობის ბუნებრივი პროგრესი. მოიფიქრეს ნახევრადგამტარი pn-გადართვა, მერე დიოდი, მერე ტრანზისტორი, მერე ლოგიკური ელემენტი, მიკროპროცესორი და ასე შემდეგ. ადამიანები თითქოსდა თავადვე იგონებდნენ ყველაფერს, ტექნიკური რევოლუცია ყველას თვალწინ ხდებოდა – ამიტომ არავის ეპარებოდა ეჭვი. არავის, გარდა ერთი ადამიანისა...
– რომლისა? – მორჩილად შეეკითხა კეშა.
– მას ჯონ ლილი ერქვა. თანამედროვე კულტურაში მისი ხსოვნა არ დარჩენილა, ხოლო მისი წიგნები ამოიღეს მონაცემთა ბაზებიდან. კომპიუტერის სპეციალისტი კი არ იყო, არამედ, როგორც მაშინ ამბობდნენ, სწავლული-ფსიქონავტი. ის იკვლევდა სხვადასხვა ნივთიერების ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერებაზე. ერთხელ, იმ ნივთიერებაზე რომ ატარებდა ექსპერიმენტს, რომელსაც თავის წიგნში უწოდებს K-ს, ჭეშმარიტებას ჩასწვდა. ლილიმ დაინახა, რომ დედამიწის კოლონიალიზაციას ეწევა სილიციუმ-ორგანული, იგივე კაჟ-ორგანული ცივილიზაცია. მაგრამ ამას ისე კი არ აკეთებს, როგორც ჰერბერტ უელსი ვარაუდობდა. არავითარი ომი. არანაირი სხივები, არავითარი სისხლი. ვარსკვლავები არ ცვივა ზეციდან, სამფეხები არ გადმოსხდებიან ქალაქებში. ადამიანები თავად ქმნიან თავდამსხმელ ჯარს იმ ნახაზებით,

მათთან გამუდმებით რომ მიდის. ხოლო ჩამოსულები დედამიწაზე მოდიან ტექნოლოგიისა და კოდის სახით. კალკულატორებითა და ელექტრონული საათებით დაიწყო, ხოლო დამთავრდა...
კარაევმა ისევ შეანჯღრია ობიექტივის წინ ფეისტოპის ვერცხლის ცოცხი – თითქოსდა რომელიღაც უხილავი გნომის ოთახს გვიდა.
– კაცობრიობას ჰქონდა შანსი, – განაგრძობდა, – ჯონ ლილი ცდილობდა, დაჰკავშირებოდა აშშ-ის პრეზიდენტს და სიმართლე მოეყოლა. მაგრამ სასაცილოდ აიგდეს, წამალზე შემჯდარი ჰიპი დაუძახეს. ბევრჯერ ცდილობდა მიეკაკუნებინა ადამიანებამდე, მაგრამ მისი განჭვრეტა გამოაცხადეს ჭკუიდან გადასული ნარკომანის ბოდვად. მისი გამუდმებული ნათქვამები ერთიანად აიღეს ღია წვდომიდან... და მთელი ეს დრო ჰოლივუდი ადამიანებს ტვინს უწამლავდა თავისი ვარსკვლავთშორისი საპნის ოპერებით, კოსმოსურ რვაფეხებსა და არადედამიწელ ქერათმიანებს ხატავდა. ადამიანებს მაინც ვერ დაარწმუნებდნენ. მათ ხომ თავადვე შექმნეს მომავალი. ისინი პროგრესს საკუთარი ხელებით ეწეოდნენ – მათ ეჩვენებოდათ, რომ ესმით მისი ბუნება და მიზანი. ჩვენ დაუცველები ვართ, კე. ჩვენ ძალიან შორს ვართ სამყაროს ნაგებობის იმ ფენებიდან, სადაც ჩვენი ბედი წყდება. ჯონ ლილის გარდა, ორფეხა ცხოველებიდან ვერავინ შეამჩნია კოსმოსური მტაცებლების შემოჭრა. დღეისთვის კი ყველა მტკიცებულება განადგურებულია.
– რისთვის მოვიდნენ? – მორჩილად ჰკითხა კეშამ, ოპციებს რომ შეხედა.
– მე ვფიქრობ, ისინი ითვისებენ ჩვენს სექსუალურ ენერგიას, – თქვა კარაევმა, – ჩვენს აღმწარმოებელ ძალას. ეს საბოლოო იყო, რისი წართმევაც შეიძლებოდა ადამიანებისთვის. შენ ხომ იცი, კე, რას აკეთებ დღიდან დღემდე...
კეშამ კარაევის ფეხსაცმლის ქვეშ დაინახა ოპციები «დააელმო თვალები» და «დახარო თვალები». მეორე ვარიანტი აირჩია.
– მაგრამ ზუსტად იგივე, – განაგრძო კარაევმა, – ემართება სხვებსაც. მხოლოდ დეტალებია განსხვავებული. ჯერ კიდევ ოცდამეერთე საუკუნეში სექსკონტენტმა დაიკავა ქსელური ტრაფიკის დიდი ნაწილი. იმ დროიდან მისი მოცულობა

მხოლოდ იზრდებოდა. დაუფიქრდი – პორნოგრაფიის მილიონობით მომხმარებელს მთელი დღეები საკუთარი თავი ადუღებამდე მიჰყავს იმ გახურებულ ელექტროღუმელზე, რომელსაც თავადვე რთავს საკუთარ ტრაკქვეშ. ისინი ატყუებენ თავიანთ ტვინს, ცდუნების ცხოლიერებით ეძლევიან მათკენ მიმართულ ელექტრონულ მიმღებებსა და ანტენებს. სილიციუმს, იმავე კაჟს თანაეყოფიან. სწორედ იმ ჩვენს სამყაროში შემოჭრილ მტერს, რომელიც თვალის კუთხით შენიშნა ჯონ ლილიმ... ისინი ქაჩავენ საკუთარი ცხოვრების ვიბრაციებს უფსკერო შავ ხვრელში. და ვერც კი ხედავენ მათ, ვინც მათთან გადახლართულა ვნების გარყვნილ საწოლზე... ისინი მხოლოდ ცუკერბრინების სინათლეს ხედავენ.
– ცუკერბრინები ვინ არიან? – შეეკითხა კეშა, როცა ტერორისტის სავარძელქვეშ ახალი ოპციები გამოჩნდა.
– დიდი სურვილის მიუხედავად, მათზე ვერაფერს მოგიყვები. შეიძლება, ეს მხოლოდ იარაღია. ანდა რომელიღაც სამსახურის ძაღლების მაგვარი, ადამიანთა მოდგმის მტრებისგან დაგეშილები რომ არიან ჩვენზე.
– ვინ არიან ეს მტრები?
– არ ვიცი. არაფერი ვიცი, იმის გარდა, რომ გაუგებარია, საიდან მოვიდნენ და ჩვენ კი ზომბებად გვაქციეს. ეს თანდათანობით ხდებოდა, და არა მხოლოდ პორნოგრაფიის მეშვეობით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირველი სამი ცუკერბრინი დასვეს დოპამინის ტვინის ნარჩენზე Candy Crush-ში – ძველად იყო ასეთი თამაში, სადაც უნდა შეგედგინა სამმაგი... მოკლედ, ისტორიის დრო არ არის, თან შენ ვერც გაიგებ. ჩაიარა... მოკლედ, მათ სხვანაირი ბუნება აქვთ, ვიდრე ჩვენ. ისინი უსასრულოდ ატირაჟებენ საკუთარ თავს და არსებობენ იმდენჯერ, რამდენი ჭკუის დასნებოვნებაც შეუძლიათ საკუთარი თავით. სილიციუმის სტრუქტურები, უბრალოდ, კარი იყო ჩვენს ტვინებში, კედლის სანგრევი მანქანა, საკუთარი ნებით აშენებული ადამიანების მიერ. ცუკერბრინები – ეს სამმაგი ვირუსივითაა. მისი განადგურება შეიძლება მხოლოდ მათთან ერთად, ვინც მათით დაავადებულია. ყოველთვის, როცა შევძლებ იმქვეყნად გავისტუმრო თუნდაც ერთი პორნოზომბი, მასთან ერთად მოუსავლეთში მიდის ცუკერბრინების სამეულიც, რომელიც არაფრით განსხვავდება იმ

ცუკერბრინებისგან, ვინც მართავს ჩვენს სამყაროს. გამოდის, რომ ისინი ერთდროულად ძალიან ბევრნიც არიან – სამჯერ მეტი, ვიდრე მათგან დაავადებული ადამიანები – და სულ სამი. და ვერ იტყვი, რომ ერთგან ასლია, მეორეგან – ორიგინალი... ეს საიდუმლო აღემატება ჩვენს განსჯას.
– მაგრამ რატომ დაგვემართა ეს ამბავი? – წაიკითხა კეშამ ზედა ოპცია, როცა კარაევი გაჩუმდა.
– ამაშია ჩვენი ბედისწერა. ჩვენ, უბრალოდ, ცხვრები ვართ, კე, უტვინო ცხვრები. ვიღაც მატყლს გვპარსავს, ვიღაც ჩვენს ხორცს ჭამს, ვიღაც კიდევ ჩვენს ძვლებს აგროვებს... მაგრამ არც ვიმსახურებთ სხვა რამეს. იმის შემდეგ, რაც ზურგი ვაქციეთ ალაჰს, ამ სამყაროში აღარავინ დარჩა, პასუხს რომ აგებს ჩვენს ტანჯვაზე ანდა სიმახინჯეზე. ჩვენ – სტატისტიკა ვართ, აწყობილი შემთხვევითი რიცხვების გენერატორებით. სტატისტიკა, რომელიც შიშით ცახცახებს და იმედოვნებს, რომ სისტემამ არაფერი იცის მასზე. მაგრამ სისტემას არ სჭირდება, რამე იცოდეს შენზე, კე. ის თავად გქმნის იმით, რაც ხარ. არ არის არავითარი ბოროტი გენია, ვინც შენი სული შეაჩვენა.
– და მე კი მაქვს სული? – გამომხტარი ოპციებიდან ზემოთა წაიკითხა კეშამ.
გადაწყვიტონ, თუ კიდევ შემორჩნენ სადმე. მაგრამ თავად ვფიქრობ, რომ ქიაფირების
სულმა დაკარგა ღვთიური ნაპერწკალი. ყველაფერი მარტივია. შენ იბადები სუფთა ფლეშად – და შენზე შემთხვევითი თანამიმდევრობით იწერება კულტურული კოდის ფრაგმენტები, მოფრენილი ინფორმაციული სივრციდან. მათში აღარ დარჩა არც ყოვლადმაღალი უფლის სიტყვა, არც მისი გაგება. მსოფლიო ვენტილატორიდან ქაქის ნაგლეჯები ხდება შენი მმართველი პროგრამა – და იწყებენ შენი საქციელის განსაზღვრას. მერე კი ან შეგიწყალებენ, ანთუ დაგსჯიან. სამყარო შენში ასხამს აყროლებულ, ათასწლოვან შხამს, შენ რომ დამნაშავედ გაქცევს თავად იმ სამყაროს წინაშე, ვინც შენ ჩაგისხა. და თუკი დამნაშავე ხარ, რა შეგიძლია, მოითხოვო? ანდა ვინ უნდა მოითხოვოს, თუკი დღეს თავად ჩაგტვირთავენ შენსავე თავში სადენებით, კონტექსტურ რეკლამასთან ერთად? არ არიან არც ბოროტმოქმედები, არც გარყვნილები, არის მხოლოდ სკრიპტები, მორჩილად რომ დაამუშავებს კოდის ერთ

სტრიქონს მეორის მიყოლებით. შენ გახდი მხოლოდ შემსრულებელი ოპერატორი, კე. და ყველა ადამიანი, ასევე. როცა გავიგე, ერთმა შეძლო ციხიდან გაღწევა, ჩემი დანიშნულება კრისტალურად ნათელი გახდა ჩემთვის. სავარძლის ქვეშ ისევ გამოჩნდა ოპციები. კეშას სულ უფრო აღიზიანებდა ტერორისტის ამოცნობადი შეკითხვები – უნდოდა, ამდგარიყო და სხვა რამე ეკითხა. მაგრამ ეშინოდა.
– რაში მდგომარეობს შენი დანიშნულება? – ქვედა შეკითხვა აირჩია კეშამ.
– მე ძირისძიროობამდე ვიცოდი, როგორ მუშაობს სისტემა. მას სჭირდებოდა ადამიანი-ადმინისტრატორები, რადან სხვანაირად სხვების მართვა შეუძლებელია. ადამიანი დაუცველია – მაგრამ თავად სისტემა ასევე დაუცველი იყო ჩემს, მისი ერთ-ერთი რწმუნებული პირის წინაშე. ცუკერბრინებისთვის ჩვენ, ყველა, უბრალოდ, ერთობლიობა ვართ სიგნალებისა და მეტათარიღისა. მე მრავალი წელი საიდუმლოდ ვსწავლობდი, როგორ გამეყალბებინა ეს ელექტრონული ნაძერწი და ყალბ პიროვნებებს ვქმნიდი. მე ვისწავლე, შემელოცა სისტემისთვის მისსავე საიდუმლო ენაზე – და იმავდროულად ვეძებდი ჩრდილის ზონას, სადაც მის მზერას შემოღწევა არ შეუძლია. მომიწია, კოდის რამდენიმე უნიკალური ტოტის დაწერამ, მაგრამ მთლიანობაში ცუკერბრინებისგან დამალვა არც ისე რთული აღმოჩნდა.
– სად? – შეეკითხა კეშა და ცოტა დაიძაბა, უცნობ შურისძიებას მოელოდა.
ამისთანა შეკითხვის ოპცია არ იყო – კეშა შეცდა. იყო ოპცია «როგორ?» მაგრამ არაფერი საშინელება არ მომხდარა.
– სისტემისთვის რომ უხილავი გახდე, – მიუგო კარაევმა, – შენგან უნდა ამოიგლიჯო მისი ნერვული დაბოლოებები. ადრე საკმარისი იყო, დაგეხურა ყველა აკაუნტი და სმარტფონი ტყეში დაგემარხა. დღეს ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვს დაშვება ტვინის მედიცინაზე. ფეისტოპის ამოღების აუცილებლობა წარმოიქმნება ზოგჯერ, ტვინის ავადმყოფობების დროს – მერე კი მის ფესვს ახლიდან ზრდიან. ასეთ ოპერაციებს აკეთებენ სამედიცინო ავტომატები – და მისი მოწყობა შეიძლება, თუკი სისტემას გაუგზავნი მარჯვედ გაყალბებულ ბიომეტრიულ ტვიფრს. ეს გავაკეთე კიდევაც.

როცა ნორმალური ადამიანური განსჯა დამიბრუნდა, მე გავარჩიე ალაჰის წყნარი ხმა, რომელიც მირჩევდა, რა გამეკეთებინა შემდეგში... დანარჩენი, უბრალოდ, მართალი არ იყო.
კარაევის სავარძლის ქვეშ ისევ ენთო ორი ოპცია (სთავაზობდნენ, ეკითხა, მერე რა გააკეთა). მაგრამ კეშა არ დაემორჩილა. მან უკვე ჩამოიფერთხა საკუთარი თავიდან ცრუმორწმუნეობრივი შიში და დარწმუნებული იყო – ანიმაციურ კარაევს მისი არ ესმის. უპირველეს ყოვლისა, პროგრამა რეაგირებდა, უბრალოდ, მის ბიოთარიღზე, აღნიშნავდა მიმიკური კუნთებისა და ხმოვანი კვანძების მოძრაობას. ამის შემოწმება ძნელი არ იყო. პასუხის მაგივრად, ჩაახველა. კარაევმა სკრიპტიდან გადახრის ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნა. უფრო მეტიც, მან პასუხის გაცემა დაიწყო შეკითხვაზე, რომელიც კეშას არ დაუსვამს:
– რას აკეთებს ყოვლადმაღალი ალაჰის მსახური, როცა ხედავს, რომ მისი მეგობარი გადაიქცა უბოროტეს გველად, რომლის ტვინს განაგებენ ჭიაყელები, თვალებში და ყურებში რომ შეუძვრნენ? თვალებში მოწოლილი ცრემლით ესვრის საფანტიან თოფს თავში! და კლავს მის ტვინში მოფუთფუთე ცუკერბრინებს! მე ვიცი, რომ ცუკერბრინები ოდესმე გამომიჭერენ და მეც დამღუპავენ – მაგრამ მე ეს უკვე გავაკეთე ხუთასზე მეტთან. და ყოველთვის, კე, ისინი ყოველთვის ნამდვილად კვდებიან. განა ეს ბედნიერების მიზეზი არ არის? მათ იციან სიკვდილის შიში. და სიკვდილის წინ ისინი იტანჯებიან, ო, დიახ, იტანჯებიან...
კეშას ჯერ კიდევ ეშინოდა, მაგრამ ახლა ცხადად ხვდებოდა, რომ შეშლილის ლაპარაკი ესმის. და მისი ცნობიერების რომელიღაც თადარიგიანმა კუთხემ, მკვდარი ტერორისტის ჰიპნოზისთვის მიუწვდომელმა, მომხდარში უცებ დაინახა პრაქტიკული ცხოვრებისეული პერსპექტივის ჩრდილი. ეს საშინელება ოდესმე ხომ დამთავრდება, მიხვდა კეშა. აუცილებლად დაიწყება რაღაც სხვა. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა იფიქროს მომავალზე ზუსტად ახლა...
და კეშას ცნობიერებაში განათდა გეგმა.
გეგმა
ეს იყო შანსი, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ხოლო

ცხოვრებათა უმეტესობაში – საერთოდ, არც ერთხელ... სიტუაციიდან, შესაძლოა, უბრალოდ კი არ გამოვიდეს. თავისი იძულებითი მონაწილეობა შეიძლება მომგებიანად გაყიდოს. ანდა, ვცადოთ მაინც...
კეშა ჯერ ვერ ხვდებოდა დეტალებს, მაგრამ ინტუიციამ უკვე უჩვენა გზა: მან თითქოს დაინახა მსუბუქი კონტურით დახატული მარშრუტი – და გადადგა პირველი აზრობრივი ნაბიჯი.
«ის, რომ უგუნური უკვე მკვდარია, სულაც არ აქცევს ნაკლებად უგუნურად...»
კეშამ ეს აზრი ნელა და ნათლად იფიქრა, გამოკვეთილი არტიკულაციით, რათა სისტემასთან გაეშეარებინა. ყოველი შემთხვევისთვის, შიგ გაურია თავისუფალი მოქალაქის ცოტაოდენი შელახული ღირსება, რომელიც შეეჯახა ცხოველს ადამიანის გარსში: ღირსება დაფრენდა მთავარი აზრის ირგვლივ, როგორც მტრედები განსვენებული მერილინის გულთან.
თანამოსუბრემ, როგორც ვარაუდობდა, ვერაფერი შეამჩნია.
– ვინ იყო ოდესღაც ადამიანი?! – განაგრძობდა კარაევი, – ის ეშვებოდა ზღვათა სიღრმეებში, დაფრინავდა კოსმოსში... დღეს კი ჩვენ გადავიქეცით ქილაში ჩაწყობილ სარდინებად ელექტრული ნარკოზის ზემოქმედების ქვეშ. ამბობენ, რომ ეს კაცობრიობის არჩევანია, მაგრამ შეიძლება თუ არა, ქმედუნარიანებად ჩავთვალოთ ადამიანები, რომელთა თავის ქალებიც დიდზე დიდი ხნის წინ არის გახსნილი ელექტრული სატეხით? ჩვენი სურვილები, იმედები და შიშები ჩვენად მხოლოდ გვეჩვენება. ადრე, ოდესღაც, ინფორმაციულ სათქვლეფს ტვირთავდნენ ადამიანების სულებში, და ადამიანები ჩიოდნენ, რომ მათ სხვები აკონტროლებენ. მაგრამ დღეს ჩვენში ქაჩავენ სულებს, უკვე რომ გამძღარან ინფორმაციული სათქვლეფით. ერთი ხერხი დარჩა, რომ ადამიანებს მათი ღირსება დაუბრუნო – უნდა დაეხმარო მათ სიკვდილში…
«ამ უგუნურის ლაპარაკმა დამღალა, – ცხადად გაიფიქრა კეშამ, – ამას ნორმალური ადამიანი ვერ გაუგებს – ისევე, როგორც არ შეიძლება გაუგო გველს ან მორიელს. უფრო სწორად, ადამიანს მათი ესმის, და ძალიან კარგადაც – იმ მომენტში, როცა ისინი

კბენენ. მათ კი მაშინ ესმით ადამიანის, როცა ის მათ სრესს. და არავითარი სხვა გაგება მათ შორის არ არსებობს...»
საკუთარი სიმამაცისგან კეშას გული გაუსკდა, მაგრამ მოაგონა საკუთარ თავს, რომ კარაევი უკვე მკვდარია. თუმცა, იმის თვალებში ყურება საზიზღრობა იყო. სჯობს, თეთრ სიცარიელეს უცქიროს, ვიდრე ამ სხვადასხვა ფორმის უგუნურ ხვრელებს. გულზე მოეშვა. მაგრამ კარაევის სიტყვები მაინც მოფრინავდა მის ყურებამდე.
– ასე დაიწყო ჩემი ჯიჰადი, – აგრძელებდა ტერორისტი, – ჰო, ჯიჰადი, რამეთუ მანამდე, ვიდრე ბრძოლაში შევიდოდი, ისლამი მივიღე და საკუთარი თავი ისლამის მეომრად გამოვაცხადე – რათა შთაგონებული ვყოფილიყავი იმ გმირთა მაგალითებით, ჩემამდე რომ გაევლოთ ეს გზა. ჩემი სახელი ავიღე ერთ-ერთი უძველესი შაჰიდიდან, რომელშიც ჩაქსოვილი იყო მრავალი საოცარი და მშვენიერი აზრი. სისტემური არქიტექტურის ცოდნით ვსარგებლობდი და იოლად დავიკარგე კონსერვის ქილების ასხმულებში, სადაც ცხოვრობენ დღევანდელი ლუმპენ-კონსუმერები. მე მქონდა ორი პორტატიული გრაფიკული სადგური, საკმაო სიმძლავრის, რათა გამეყალბებინა მონაცემთა ნებისმიერი ნაკადი. მე ვიცოდი, შეუმჩნევლად როგორ შემეერთებინა ისინი სისტემაზე. ყალბ პირადობებში ჩაქცეული ვმოგზაურობდი ბოქსიდან ბოქსში, პარტნიორებს ვიცვლიდი, როგორც კი მათ ეჭვები გაუჩნდებოდათ... შაჰიდისთვის ნებადართულია ნებისმიერი ეშმაკობა, რათა მტერი მოატყუოს. მე ვიცოდი, როგორი ალგორითმებით დამიწყებს სისტემა ძებნას, ამიტომ მივიღე ყალბი ქალური იდენტურობა. ჰო, ეს ამაზრზენი იყო, მაგრამ დიად მსხვერპლზე წავედი ჩემი ბრძოლისთვის. ამან მთლად უხილავად მაქცია – ჩემმა ბიოლოგიურმა თანამცხოვრებლებმა არ იცოდნენ, ვინ იმალება მათგან ნახევარ მეტრში. შენც ხომ ვერ ხვდებოდი, კე?
კეშას არც კი შეუხედავს ოპციებისთვის – მხოლოდ მძიმედ ამოიოხრა.
– პოლიციის მონაცემთა ბაზის წვდომით ვსარგებლობდი და ჩემთვის ვირჩევდი ვნების ფარულ მონებს, რომლებსაც სხვებზე ეჭვის მისატანად, მეტისმეტად ეშინიათ საკუთარი გამოაშკარავების. იმისთვის, რომ სისტემას ჩემს ბიოთარიღში

ვერ შეემჩნია უცნაურობები, ხნიერი, ნიმფომანი ქალის იმპერსონირება მოვახდინე, რომელსაც ყოველ ორ საათში სჭირდება სექსი. სიგნატურების ამისთანა კომპლექტი ძალიან დამახასიათებელი და გავრცელებულია თანამედროვე სამყაროში, და მისი გაყალბება ყველაზე იოლია. ეს საშუალებას იძლევა, სრულიად შეეხამო ფონს. მაგრამ მინდა, რომ შენ იცოდე – ყოველთვის, როცა შენი ბინძური ხელები ცელქობდნენ ჩემს წარმოსახვით სხეულზე, მე მძულვარების ცრემლებს ვყლაპავდი, ვჩურჩულებდი «ალლაჰუ აქბარ» და განვმტკიცდებოდი ჩემს გადაწყვეტილებაში, გამენადგურებინა ეს დაცემული სამყარო!
«ახლა ეს, საერთოდ, – გამოკვეთილად და ნელა ფიქრობდა კეშა, – ნაკლებად დამაჯერებლად მაუწყებლობს, ვიდრე კინოსერიალების ტერორისტები. ასევე ანგრევს ცივილიზაციას მისი ჩვევები და ზნეობა, ოქროს საუკუნის დიდებულებაზე რომ მიგვითითებს. ასე ეძახიან მისი კოლეგები მუსლიმანური დაპყრობების ეპოქას... ამისი მოსმენა საინტერესო არაა – ახალს არაფერს ამბობს. თანამედროვეობის უფრო მწვავე კრიტიკა შეიძლება იპოვო, მაგალითად, იან გუზკას ლექციებში. სხვაობა ისაა, რომ გუზკა არ ხოცავს ბავშვებს».
კეშამ ეს აზრი სქლად შეანელა ზიზღით, როგორც მაიონეზით, და მიხვდა, რომ თეთრი სიცარიელის ცქერა მოსწონდა კიდეც. თითქოს მარტოობაში იდგა თოვლიანი მინდვრის წინ, რომლის თავზეც ახლახან ჩაცხრა ქარბუქი. დაიკო ნამქერმა წაიღო – ეტყობა, უკვე სამუდამოდ... დამატებამ, როგორც ჩანს, შეამჩნია, რომ კეშა არ უყურებს კარაევს – და სავარძელი ტერორისტიანად დააბრუნა მხედველობის არის შუაგულში. მზერით რაიმე სხვას უნდა ჩასჭიდებოდა.
კეშამ დაბლა დაიხედა, და თავისი საფლავური პროპაგანდის მობუბუნე კარაევი ისევ გაქრა. რაკურსი თავბრუდამხვევად შეიცვალა, და კეშამ ისევ დაინახა სასაცილო, დახატული ცხვრები, ერთნაირ წითელ აგურებს რომ მიათრევდნენ. მათ მოასწრეს იმ აგურებისგან მეტად სიმპათიური, მრგვალი სახლის აშენება, რომელიც ჰგავდა კუნძსა თუ კოშკის პირველ სართულს. თუკი სულ ცხვრებს უყურებ, მიხვდა კეშა, კარაევი არ გამოჩნდება…
«არადა, კარაევმა მოიგონა და დახატა ეს ცხვრები, –

დააარტიკულირა ახალი აზრი, – და ყველა აგური, სახლიც, ცხვრები რომ აშენებენ... ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ ეს ცხვრები მომწონს კიდეც... ესე იგი, ჩემთვის მახლობელია მკვლელის სულის რაღაც ნაწილი. და მე – დაე, თუნდაც სულ უმნიშვნელოდ – მოწყობილი ვარ ისევე, როგოც ტერორისტი...»
კეშამ ყურადღება მოიკრიბა და, – განიცადა სინანული და მწარე სირცხვილი.
აზრი ლამაზი და გრძელი იყო, მდიდარი არქიტექტურით – მაგრამ მისი market value იმით ჩამორჩებოდა, რომ შიგ სიახლე არ იყო. პირადი აღსარების ამგვარი ტიპი ყველასთვის კარგადაა ცნობილი ისტორიული პროგრამებიდან, და ძალიან გამოდევნებაც არ ღირდა.
კარაევიანმა სავარძელმა ისევ გადაინაცვლა მხედველობის არის ცენტრში, ცხვრები შეავიწროვა – ეტყობა, ტერორისტული დამატება კეშას თვალების მოძრაობას პატარა დაიკოზე არანაკლებ უთვალთვალებდა.
– რამდენიმე სიტყვა შენზეც, კე, – განაგრძობდა კარაევი, – როგორც უკვე გითხარი, მრავალი ტკივილი მომაყენე შენი თავაშვებული ზნეობით. თავად არც კი იცოდი, ისე გადააქციე ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად. საქმე ისაა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ინსულტი დამემართა, და ჩემი სხეულის ნახევარი პარალიზებული დარჩა. ამის შემდეგ შენი მოფერებები განსაკუთრებით საზიზღარი იყო. ისინი ფიზიკურად გადასატანის ზღვარს გადასცდა და ყოველდღიურ ტანჯვად მექცა – მაგრამ მე არ შემეძლო ალგორითმის შეცვლა, ჩემს თავზე ანთებული წითელი გულისა, რათა სისტემის ეჭვები არ გამომეწვია. დაიწყებოდა ბიოლოგიური ტესტები მენო-პაუზაზე და ჩემი პლანშეტების მოძველებული სოფტი ვერ აუვიდოდა შეკვეთების ნაკადს. მოთმენა მიწევდა. შემეძლო მხოლოდ ერთი ხერხით მემოქმედა. მე გავტეხე შენი ფეისტოპი, კე, და დავიწყე ჩემი ზიზღისა და ტკივილის ნიშნების შენთვის გამოგზავნა. ვუტევდი სამარცხვინო ფეტიშს, რომელსაც შენ მაცმევდი ძალით, ჩემი სოციალური ნიღბის ზევიდან. ჩალურჯებებითა და ნაკაწრებით ავავსე, მე ვაიძულებდი, აგდებულად შეჭმუხნილიყო შენს მოფერებაზე, შენს თავს ვაჩვენებდი კოშმარებში – მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ აღვივებდა შენს ავხორცობას…

კეშამ სცადა, ფრთხილად აერიდებინა მზერა კარაევისთვის – ისე, რომ თვალების მოძრაობა ყოფილიყო რბილი და შენელებული.
გამოუვიდა. ისევ დაინახა ცხვრები. უკვე დაემთავრებინათ თავიანთი მრგვალი სახლი – და ახლა ირგვლივ შემოკრებილები, კბილებში ფუნჯებით ღებავდნენ ვერცხლისფერ მეტალიკად. «ეგეთი სახლები, – სევდიანად გაიფიქრა კეშამ, – სინამდვილეში არასოდეს აგებულა. ისინი მხოლოდ ბავშვების ნახატებში არსებობს... ეტყობა, კარაევი ძალიან მარტოხელა ადამიანი იყო...»
მაგრამ აქ თავი იმაში დაიჭირა, რომ კინაღამ ჩაიჭრა სიმპათიის გამოხატვისას ტერორისტის მიმართ – ეგეთი გრძნობა კი არ შეიძლება გააშეარო არავითარ შემთხვევაში. ყოველთვის მოიძებნება ვინმე კლიმაქტერიალური კლიზმა, რომელიც კივილს ატეხს დრიმშოუზე. ყველაზე მართებული იქნებოდა, მწუხარე ღირსებით დალოდებოდა თავისი ბედის გადაწყვეტას და ტერორისტისთვის ეცქირა ზიზღითა და მღელვარე მრისხანებით...
კეშამ შიშით გადაყლაპა ნერწყვი – და იფიქრა, რომ მეტისმეტად თავდაჯერებული გახდა: ჯერ არ იცის, რით დასრულდება ეს ამბავი, არადა უკვე აშეარებს, ასე ვთქვათ, ჯერ არმოკლული დათვის ტყავს. ნეტავი, თავად არ გაშეარებულიყო ნაფლეთებად...
მაგრამ შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა.
– ჩემთვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა შენი მზარდი ავხორცობის დაკმაყოფილება, – განაგრძობდა კარაევი, – ბოლო წვეთად იქცა ის დღე კინოდარბაზში, როცა შენ გამწირე მორიგი შებილწვისათვის, იმ ყალბი სამთავრობო ფილმის ფონზე, ჩემს მუშაობას რომ შეეხებოდა და იძულებული ვიყავი, შენთან ერთად მეყურებინა. ასეთი double penetration-ის ატანა არ შემეძლო. მე ცხადად გავაცნობიერე იმწამს, – მინდა, წავიდე ამ ცხოვრებიდან, დიდი ხანია, სატანჯველად რომ მექცა. შესაძლოა, დისციპლინა და ნებისყოფა დამეხმარა, რომ კრიზისი დამეძლია, როგორც არაერთხელ მომხდარა. მაგრამ იმ დღეს თითქოსდა ჩამოიმსხვრა შავი საღებავით შეფერილი რომელიღაც მინა – და ჩემი გონება სინათლეზე გამოვარდა.
კეშამ ოპციებს შეხედა – «რა მოხდა?» და «რა შეგემთხვა?»

მაგრამ ამის მაგივრად თქვა:
– მე ისევ გისმენ, ჯალათო. თუმცა ეს იოლი არ არის ჩემთვის.
– შენ ყოველთვის წერ ნდობის კედელზე FUCK THE SYSTEM, – განაგრძობდა კარაევი, – და ფიქრობ, სულელო, რომ ვერავინ გხედავს. ერთხელ ვეღარ მოვითმინე და ვეცადე, გონზე მომეყვანე, მიუხედავად რისკისა. მინდოდა, ამეხსნა შენთვის, რომ სისტემა აქეთ გხმარობს, და არა პირიქით. ხოლო შედეგად... შედეგად, კე, მე თავად მივხვდი ჩემთვის სრულიად მოულოდნელ და საშინელ რაღაცას.
კეშამ თვალები ასწია ოპციებზე – ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დამატება უთვალთვალებდა მის თვალებს. მაგრამ ორ ვარიანტად შემოთავაზებული შეკითხვის «რა რაღაცას?» მაგივრად მან გამოზომილი ღირსებით თქვა:
– მე ციხის ფსიქიატრი არა ვარ, მკვლელის აზრებში რომ ვიქექო...
– მე მივხვდი, რომ არაფრით განვსხვავდები შენგან, – განაგრძობდა კარაევი, – მთელი ჩემი ტერორისტული კარიერის განმავლობაში საკუთარ თავს იმ ერთადერთად ვთვლიდი, ვინც მოახერხა და სისტემა გაჟიმა. მისი სადენები ამოიღო საკუთარი თავიდან. როგორია, გახდე თავისუფალი ცოცხალი ადამიანი ტოტალურ არყოფნაში... მაგრამ მას შემდეგ, რაც დაგიწერე პასუხი ნდობის კედელზე, ერთი გასაოცარი სიზმარი ვნახე.
ოპციებში გამოჩნდა შეკითხვის «რა სიზმარი?» ორი ვერსია, მაგრამ კეშამ ამის მაგიერ თქვა:
– გამაოგნებელია, რომ მკვლელს ძილი შეუძლია, საერთოდ.
– სიზმარში ბრძენ ულემს შევხვდი, – განაგრძო კარაევმა, – მან მკითხა: «როგორ ცხოვრობ, ბატუ?» მე ავუხსენი, რომ აქამდე ვერ დავუჭერივარ, მაგრამ დღეში ორჯერ სამარცხვინო დამცირებას განვიცდი, იაპონელი მოწაფე გოგონასავით გამოწყობილი. ულემმა ამოიხვნეშა და თქვა: «მე მეჩვენება, ბატუ, რომ სადღაც, სიტუაციის ანალიზში შეცდომა დაუშვი». «რატომ?» – ვკითხე მე. «აი, წარმოიდგინე, როგორი ეპიტაფია გექნება: «სამყარო მიჭერდა, მაგრამ ვერ დამიჭირა. თუმცა, სულერთია, მაინც მხმარობდა დღეში ორჯერ». მე წყენა ვიგრძენი და ასე მივუგე: «მთელი პატივისცემის მიუხედავად, ბრძენო ულემო, ჩემთვის მნიშვნელოვანი არაა, როგორი

ეპიტაფია მექნება თქვენს თავში. ჩემი პრობლემებიც მყოფნის...» მაგრამ ჩემს სულში რაღაც მოიშალა.
– სახელდობრ, რა? – შეეკითხა კეშა.
ამჯერად არ შეუცვლია ოპციებში გამომხტარი შეკითხვა.
– ჩემამდე დავიდა, რომ მე და შენ არაფრით განვსხვავდებით ერთმანეთისგან. მე არ გავმხდარვარ ალაჰის მეომარი განჭვრეტის შემდეგ, კე. ეს სისტემამ მოისურვა, ჩემგან ტერორისტი შეექმნა. ტერორისტები და უთანხმოება ჰაერივით აუცილებელია მისთვის. სწორედ მათზე განისვენებს არსებული წესრიგი – რამეთუ ტერორი მას ამართლებს, ხოლოთუ პროტესტი – ხვეწს. სისტემას არ უნდა იმის ცოდნა, სად ვიმალები და როგორი იქნება ჩემი შემდგომი დარტყმა. მას არ სჭირდება ჩემი მუდმივი კონტროლი. სისტემისთვის საკმარისია გადამიყენოს ტვინი ერთადერთხელ, რათა გადამაქციოს თავის მსახურად, რომელსაც ჰგონია, რომ გმირი-მეამბოხეა... იცი რა, სისტემას სულ არ აინტერესებს, ვინ ვის ჟიმავს, შენ მას თუ ის შენ. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ შენ მასთან ეძლევი სიყვარულს, თუნდაც ეს სიყვარული მინუს ნიშნით იყოს. და მას სურს, რომ ამას აკეთებდე ყოველთვის... გაიგე?
– არა, – აუჯანყდა კეშა, როცა ოპციას შეხედა (იქ იყო «გავიგე» და «დიახ»).
კარაევმა ისევ გადაინაცვლა მისი ხედვის ცენტრში. და მაშინვე სადღაც, კეშას გონების უკანა პლანზე მიეშხეფა სწრაფი და გამჭვირვალე ნახევარაზრი იმის თაობაზე, რომ საჭიროა დაამთავროს შეხვედრა ტერორისტთან. პირდაპირი კონტაქტის ბოლო გაელვებას რომ იჭერდა მკვლელის თვალებში, კეშა გამოკვეთილი და მოზომილი სიძულვილით ფიქრობდა, რომ კარაევი თავისი მოყოლილით მიაგავს მომაბეზრებლად გადაკიდებულს, რომელიც ვერ ხვდება, რომ არ უნდათ, – და რომ ის საზიზღარია და მხოლოდ სიძულვილის ჟრიალს იწვევს.
– ჩემს გულში არ არის სიძულვილი შენ მიმართ, კე, – თქვა კარაევმა, – არის მხოლოდ სიბრალული. შე საცოდავო, როგორ კანკალებ შენი ნაივური სოფლური მირაჟის გამო, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან სასაცილოდ მოჩანს გარე პროექციიდან. შენ – გაბოროტებული, მაგრამ ზუსტი კარიკატურა ხარ ჩემი. შენ ფიქრობ, რომ სისტემა გიჭერს და

ვერ დაუჭერიხარ. ბრიყვო. იმან ჩვენ ყველა დაგვიჭირა თავიდანვე. ის არც კი გვიჭერდა, არა – ჩვენი ემბრიონები გაიზარდნენ იმის ჩაკიდულ ანკესებზე. მაგრამ თუ ეს აქამდე ვერ გაიგე, ალბათ, ვერც ჩემი სიტყვების მერე მიხვდები... გვეყოფა ყბედობა. დღეს მე წავალ ამ ცხოვრებიდან, შხამს მივიღებ. სიკვდილამდე წამით ადრე სისტემას პატარა ხარაკირის გავუკეთებ. მე დავფხრეწ მემბრანას ჩვენ შორის, და გარყვნილება შეწყდება სამუდამოდ. ყველაფერს თავადვე ნახავ. უფრო სწორად, უკვე ნახე...
კარაევმა სახეზე ხელი მოისვა და გაჩუმდა. ეტყობა, ცდილობდა, ყურადღება მოეკრიბა და ბოლო სიტყვები გულის მთელი შავბნელი ცეცხლით დაემუხტა.
– მე, ბატუ კარაევი, გიცხადებ შენ: ეს სამყარო არ ღირს იმად, რომ იბრძოლო მისი ღირსებისა და სისუფთავისთვის. ამის მერე აღარ გამოვგვი თქვენს ნაგავს. ამიერიდან – არავითარი ტერაქტები თქვენს პატივსაცემად. სვით სიყვარულის ილუზია, შამპანურის ილუზიის დაყოლებით და წყეულიმც იყავით, მუცლის აყროლებულ ჰაერში ჩამოკიდებულები... არა, მუცლების ილუზიაში...
«და რა არის, რომ სულ ამ ილუზიაზე უბერავენ, – იფიქრა კეშამ გამოზომილი ზიზღით, – რაღა ეს და რაღა ბებრუხანა კსიუ. განა სულერთი არაა, რას დავარქმევთ მომხდარს? ის ხომ, როგორც ხდებოდა, ისევე მოხდება... როგორც თქვა იან გუზკამ... ჯანდაბა, დამავიწყდა... სხვათა შორის, საჭიროა ამ ზოოპიდარასტის დეინსტალაცია. ისეთი სუნი უდის, გეგონება, ფეისტოპზე ვიღაცამ მოისაქმაო. კსიუ დავაბრუნოთ. ის მაგარია. იყბედოს ილუზიაზე, რა უჭირს. ახლა აღარ გააჩმახებს, ალბათ, უკვე ყველაფერს მიხვდა...»
კეშამ ამოიოხრა, მიხვდა, რომ უნებურად, მომწიფებული და მართებული აზრის მაგივრად ისევ დამატებითი გააშეარა, დაავადებული ფუროფობიით. მაგრამ იქვე წარმოიდგინა – სტრესის სიტუაციაში ეს, ალბათ, საპატიებელია და მისი აზრების ნაკადს არაპოლიტკორექტული სიმართლის ხასიათს აძლევს.
საჭირო იყო, ყურადღება მოეკრიბა. გამოცდა ბოლოსკენ მიდიოდა – მნიშვნელოვანი იყო, ბოლო მეტრებზე (კეშა უკვე დიდი ხანი ფიქრობდა სამყაროზე, როგორც დიდ სტადიონზე)

არ წაეხდინა დაწყებული ამბავი.
კეშამ გადაწყვიტა, ცხვრებზე გადაეტანა ყურადღება. რამდენიმე წამი ცდილობდა მათ პოვნას, მაგრამ ეს არაფრით გამოსდიოდა. თავბრუ დაესხა. მერე გამოაღწია თავბრუსხვევიდან – და მიხვდა, ბოლოს და ბოლოს, დამატების შინაგან გეომეტრიას. მაყურებელი – ანუ თვითონ – იმყოფებოდა თითქოსდა თეთრი სფეროს ცენტრში. მის ერთ-ერთ კედელზე იდგა სავარძელი კარაევით. ხოლოთუ სარკულად საპირისპირო წერტილში, გადიოდა მულტფილმი ცხვრებზე. ჯერ საჭირო იყო მკაცრად მაღლა მისჩერებოდი – ანთუ მკაცრად დაბლა. მერე კი უნდა გადაგეტანა მზერა უფრო შორს, უკვე არანაირ ორიენტირს არ უნდა დაყრდნობოდი. ალბათ, ეს დასაბალანსებლად გაკეთდა – კარაევს უნდოდა, კეშასა და კაცობრიობის წინაშე წარმდგარიყო სამ განზომილებაში, ხოლოთუ სრული სფერული რეალობის აგების დრო არ ჰქონდა, და ყველაზე უხეში გეომეტრიული გამაწონასწორებლით გავიდა იოლას.
სახლი, რომელსაც ცხვრები აშენებდნენ, მზად იყო – ის მიაგავდა დიდ ქვაბს. არქიტექტორი ნამდვილად არ იყო კარაევი.
საყვარელი და საწყალი ბღავილით ცხვრები ერთიმეორის მიყოლებით შედიოდნენ იმ ქვაბის კარში. როცა ბოლო «მიმიმი» ჩაჩუმდა, კარი შიგნიდან დაიხურა, სახლის კედელზე კიდევ ვარდისფერი ლენტი გამოჩნდა დიდ სასაჩუქრე ბაფთად. კარაევი განსაზღვრულად სენტიმენტალური იყო. როგორც ბევრი სხვა მკვლელი...
კეშა საბოლოო ნელ და გამოკვეთილ აზრს მიეძალა: როგორც უნდა ჰგავდეს ტერორისტი ადამიანს, მაინც არ არის იგი. ამიტომ არ შეიძლება, მოვტყუვდეთ მისი იმ გამოვლენებით, გასაგები და ახლობელი რომ გვეჩვენება. ჩვენ მას ვერაფერს გავუგებთ... როცა მორიელი მიცოცავს პირსაბანისკენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სურს, უფრო სუფთა გახდეს...
როგორც გამოხატავდა იან გუზკა, თანამედროვე მედიაკულტურა ყველაზე მეტად აფასებს ადამიანის სულის სპონტანურ და თავისუფალ გამოვლენას, სრულად რომ ემთხვევა მიმდინარე გეშტალტ-ნორმატივების ნაკრებს... მაგრამ ამ აზრის გაშეარება საჭირო აღარ იყო.

კარაევი ისევ გამოხტა კეშას თვალთახედვის ცენტრში, რუსული თოჯინა «ვანკა-ვსტანკასავით» გადაატრიალა თეთრი სფერო.
– სულ ეს იყო, – თქვა მან, მზერა კეშას მიაშტერა, – ახლა კი მე გეტყვი შენ, როგორ მოიშორო ჩემს გვამთან მეზობლობა. ეს ადვილია. იმდენად ადვილი, რომ არც კი დაიჯერებ. ხომ იცი, რომ დაიკოს აქვს ავარიული არხი «დამელაპარაკე»?
კეშამ თავი დაუქნია.
– შედი მთავარ მენიუში, – თქვა კარაევმა, – როცა დაიკო დაიწყებს შეკითხვებს შენს პრობლემებზე, ამოირჩიე სისტემა LifeBEat-ი. როცა ის მენიუს კითხვას შეუდგება, თქვი «კოდი ცამეტი ზუ». გაიგე? «კოდი ცამეტი ზუ». ეს ავარიული ტექნიკური შორტკატია კომუნალური და სამედიცინო სამსახურებისთვის. მერე შენს თარიღს გადატვირთავენ, და ყველაფერი იქნება კარგად. მშვიდობით, კე. გმადლობ ადამიანური სითბოსათვის – თუმცა ზოგჯერ მეტისმეტი იყო. მაგრამ შენ გარდა ამ სამყაროში, საერთოდ, არავინ მყოლია... ნება შენია, ალაჰ აქბარ.
კეშამ მზრუნველობით გააშეარა თავისი გაუგებრობა, თუ რაზე იყო ტერორისტის ბოლო სიტყვები – ყვითელი სარკაზმით ანდა სენტიმენტალური ამოსლუკუნებით მისი შავ-ბნელი გულიდან. «ძნელი სათქმელიც კია, – ფხიზლად და ნელა ფიქრობდა, – ამ ორი ვარიანტიდან რომელი უფრო საზიზღარია...»
ყოველი შემთხვევისთვის, კეშამ ნელა გაუშვა ეს აზრი თავისი ცნობიერებიდან კიდევ ორჯერ, პირველად ცოტა სტოიციზმი დაურთო, მერე კიდევ, სულ ოდნავ – გახურებული მრისხანება. ვნახოთ, რომელს აიღებენ.
კარაევი გაჩუმდა და ჩაკვდა, როგორც ელექტროკვებიდან გამორთული მანეკენი. მისი თვალები დაიხუჭა. მერე კი უკან წავიდა, და კეშა მიხვდა, რომ ფეისტოპზე ბრუნდება. თეთრი სფერო მკვდრის სავარძლით გაკრთა თოვლის მანტიის ირგვლივ, თავისიდან გამოუშვა იგი და ტკაცუნით გაქრა, ფეისტოპზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია. დამატება, როგორც ჩანს, თვითგამწმენდი იყო.
კარგია, რომ კეშამ მოასწრო ყველაფრის გაშეარება.
Little Sister-ი უყურებდა კეშას. მის თვალქვეშ ჩალურჯება მოჩანდა მუქად – ძლივს შესამჩნევად, თითქოს გადაშლილად ტონალური კრემით. ხელზე, იდაყვთან ნაკაწრი ჰქონდა. მაგრამ

ეს სულაც არ აღელვებდა ახლა.
– მაპატიე, საყვარელო, მაპატიე ყველაფერი, – ჩაიბურტყუნა კეშამ, – შენი დახმარება მჭირდება. გესმის? დახმარება მჭირდება...
– მე აქ იმიტომ ვარ, რომ დაგეხმარო, – მიუგო დაიკომ და გაიღიმა.
კეშა მიხვდა, რომ უკვე ავარიული არხის მთავარ მენიუშია.
– რა სახის პრობლემებს განიცდით? – შეეკითხა დაიკო, – თავი დამიქნიეთ, როცა გამოვიცნობ. პრობლემები ოპერაციებთან ფეისტოპზე? პრობლემები სისტემა LifeBEat-თან?
კეშამ თავი დაუქნია.
– რომელმა აურია სისტემა LifeBEat-ში? თავი დამიქნიეთ, როცა გამოვიცნობ. ჰაერის გაწმენდის სისტემამ? წყლის მოყვანის სისტემამ? საჭმლის მოწოდების სისტემამ? სტომატოლოგიურმა მოდულმა? საერთო ჰიგიენის მოდულმა? ეპილაციურმა მოდულმა?
– კოდი ცამეტი ზუ, – გაიმეორა კეშამ.
– ყველა სისტემის სრული გათიშვა, – უპასუხა დაიკომ, – იგზავნება სარემონტო მოდული. ადმინისტრირდება საერთო ნარკოზი. ათი... ოცი... ოცდაათი...
მერე, ალბათ, «ორმოცი» უნდა ყოფილიყო – მაგრამ კეშას აღარ გაუგონია.
სიბნელეში ნამჯის სუნი იდგა და ქარი უბერავდა. კეშამ იცოდა, რომ სადმე სხვა ადგილზე გაეღვიძება. მაგრამ უკვე აღარაფრის ეშინოდა.

გამოღვიძება

გააღვიძა აშმორებული ნამჯის სუნმა, მოულოდნელად მოსულმა გამჭოლმა ქარმა და ნაცნობმა ბუბუნა ხმამ.
კეშამ თვალები გაახილა.
ნამჯის ლეიბზე იწვა ანონიმუსის კამერაში. ამოტრიალებული ხელი სტკიოდა. კეშას ჯერ შეეშინდა – მაგრამ მიხვდა, რომ ეს ტრავმა არაა. უბრალოდ, უხერხულ პოზაში ეძინა.
ანონიმუსი კედელთან იდგა ჩვეულებრივ პოზაში და ლაპარაკობდა, თანაც თითქოსდა რიტმსაც აძლევდა თავისი ძეწკვების წკარუნით:
– ებრაელთა მსოფლიო შეთქმულების მტკიცებულებები აურაცხელია – და ცხადია, ყველასთვის, ვისაც არ ეშინია

სიმართლისა. თუმცა, პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ამის არ გვეშინია – ჩვენს ცნობიერებას პოლიტკორექტულ ცენზურას ვუმორჩილებთ. აუტანელი ჭეშმარიტების უცხადეს მტკიცებულებებს ჩვენ ვხსნით უბრალო დამთხვევებით, შემთხვევითობებით, ტექნიკური აუცილებლობით – და კიდევ რითაც გნებავთ. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან, იმის დამამტკიცებლად, რომ ჩვენი brave new world-ი თავიდანვე იგება სამყაროული კაგალის
ნახაზებით. მათ, ვინც რეალობის საბაზო დონეს იცნობს – ხოლოთუ ჩემი ხელის მომწერები, როგორც ვვარაუდობ, ამას კარგად იცნობენ, – იციან, როგორ არის მოწყობილი პარტნიორების განმაცალკევებელი მემბრანა სტანდარტულ ორადგილიან მოდულში. ეს, ფაქტობრივად, მათ შორის გაჭიმული ზეწარია პატარა ნახვრეტით, რომლიდანაც წარმოებს ინტიმური კონტაქტი. ნებისმიერმა, ვინც კი გასცნობია ებრაელი ერის კულტურას, კარგად იცის, რომ სწორედ ამგვარად უნდა იყოს თან-თანაყოფა ორთოდოქსული ებრაული კანონებით. კაცობრიობას თავს მოახვიო შენი ჩვეულებები, დაანგრიო სხვისი ცხოვრება იმისთვის, რათა ზედმიწევნით აღასრულო საკუთარი რელიგიური დანაწესები – დამახასიათებელი ხელწერა გახლავთ ამ პატარა, მაგრამ მეტად გავლენიანი ტომისა...
კეშამ დაამთქნარა, ადგა და კამერის გასასვლელისკენ წავიდა. აშმორებული ნამჯისა და აგურის სუნი ისეთი ნამდვილის მსგავსი იყო, რომ წამით მოეჩვენა, თითქოს მართლა იმყოფება ამ ქვის ტომარაში – და იგრძნო დიდი შვება, როცა ანონიმუსის სენაკი აიკონამდე დავიდა, გადახტა თავის ჩვეულ ადგილას, და მან დაინახა, ბოლოს და ბოლოს, მშობლიური ფეისტოპის კონტურები.
იტალიური მოედანი ისეთივე იყო, როგორიც ყოველთვის – და სხვანაირიც, ახალი და მორეცხილი, გეგონება, ფეისტოპზე გამასუფთავებელ წვიმას გადაევლო.
დაიკო უკვე აქ იყო. თავისთავად.
არ საჭიროებდა თავიდან შექმნას.
და კიდევ – გამაოგნებელი იყო მის თავს მომხდარი ცვლილება. ეცვა თეთრი, საზეიმო კიმონო, ვარდისფერი და წითელი ყვავილებით. და ის უღიმოდა კეშას, ჰო, უღიმოდა – მისი სახე

ბრწყინავდა გულითადი სიმპათიით.
– ბევრი სიახლეა, – თქვა ქალმა.
კეშა ოდნავ მოიბღუნძა.
– კარგი თუ ცუდი? – იკითხა.
– სისტემის სრული აპგრეიდი. ახლა აღარავითარი დილის გადატვირთვები, არავითარი სულელური მულტფილმები. შეგიძლია, პირდაპირ დასაძინებლად დაწვე დამატებებში. თუ გენდომება, მე ყოველთვის გვერდით ვიქნები, ყოველგვარი კლოუნ მუტაბორების გარეშე. და კიდევ – ჩვენ გადავედით დროებით. მერე უკეთეს საცხოვრებელს შეგვირჩევენ...
კეშა ისე აღაფრთოვანა ამ «ჩვენ»-მა, რომ არც ერთი შეკითხვა აღარ დაუსვამს.
– მე ვიცი, – განაგრძობდა დაიკო, – შენ არ დაწყნარდები, სანამ ყველაფერს თავად არ ნახავ. ასე რომ, შეიხედე საბაზო დონეზე.
ოღონდ ჩქარა. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაქვს.
კეშამ თავი დაუქნია. თავადაც ვერ ითმენდა, შეემოწმებინა, მოაშორეს კარაევი თუ არა. ნაცნობი დაძაბულობა გააკეთა და რამდენიმე წამში დაინახა მომწვანო ნისლში თავისი ხელები, ზედ შემოხვეული ახალი ბიოდოლბანდებით.
ახალი პიჟამა ეცვა და ახალი პამპერსები ჰქონდა. კედლებიც ახლად და სუფთად გამოიყურებოდა. სხვა მოდულია. ახალი. ჰიგიენური მემბრანა ბრწყინვალე და ახალი იყო – სრულიად ქალწულებრივი, მოულოდნელი მღელვარებით იფიქრა კეშამ.
შეიძლება, ამის იქით არც არავინაა ცოცხალი – მხოლოდ ჩამკეტი და love dummy. ეს ნებადართულია იმათთვის, ვინც მზადაა, გადაიხადოს მაღალი გადასახადები... ნახვრეტი დახურული იყო ნაცრისფერი პლასტმასის დიაფრაგმით. კეშამ დაიკო გაიხსენა და ნერწყვი გადაყლაპა. ყველაფერს თავისი დრო აქვს.
რბილ კედლებზე ეკიდა საშინაო სურათები – ერთი მხრივ, შავი კვადრატი, მეორეზე – კვადრატს მიჩერებული ჯოკონდა, ყველაფერი უახლესი რეტრომოდის მიხედვით.
ელექტრულ ილუმინატორში გაიხედა – და დაინახა მეტისმეტად რეალისტური სატურნი, თავისი რგოლების მთელი დიდებულებით, გაბრწყინებული მზითა და ყინულით. ამ ხედის მიხედვით, მოდული მიცურავდა კოსმოსში, სადღაც ბოლო რგოლის სიახლოვეს, და, თუმცა კეშას ესმოდა, რომ მის

წინაშეა, უბრალოდ, სურათი და მისი სენაკის ფანჯარა სულაც არ გადის ღია კოსმოსში, მაგრამ სიმბოლური ევაკუაცია ძველი სივრცეებიდან მაინც შთამბეჭდავი იყო.
თავი ასწია და სარკეში ჩაიხედა. სახე და თავი სუფთად იყო ეპილირებული. კანი ცოცხალი და მოვლილი ჩანდა, თითქოს ძვირფასი მასაჟი გაუკეთეს გაწმენდით. ნიღაბი LifeBEat სახეზე სხვა ფერის იყო – და ასევე სულ ახალი. ფეისტოპის ზოლიც კი სხვა გამოდგა. უფრო განიერი და ცოტა მოკლე.
თავი მოაბრუნა, თავისი პერსონალური აითემები რომ ენახა. პლასტმასის მეზღვაური ზოლიან მაისურში და ცისფერ-ყვითელი მანქანა ადგილზე დარჩა, ხაოიანი პლუშის დათუნია კი გაქრა.
ახლა მის მაგივრად ბადეში იწვა ლომი, ყავისფერი ფაფრით. ერთობ მონდომებითა და ხარისხიანად გაკეთებული ლომი. და ესეც სულ ახალი. და თუმცა ყავისფერი დათუნია თავიდან ყელში ბურთის გაჩხერამდე დაენანა, კეშა მიხვდა, რომ ეს გადასვლის შეცდომა კი არა, სოციალური ავანსია. და მისი ცხოვრების სერიოზული მოსახვევი. პრაქტიკული გადასვლა სხვა კასტაში. უმაღლეს კასტაში – აქ არანაირი ეჭვი არ იყო, თუმცა სულელისთვისაც კი ცხადია, რომ ამ თემის განხილვას არავინ და არასოდეს დაიწყებს ფეისტოპზე. ორუელი მართალი იყო – არის საგნები, რომლებზეც თავისუფალ საზოგადოებაში ლაპარაკი მიღებული არაა, რადგან ისინი ისედაც გასაგებია, და თუკი ადგები და ამაზე ხმამაღლა ილაპარაკებ, თავისუფალი საზოგადოების თავზე მაშინვე შეიყრება პირქუში ღრუბელი…
მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი კარგად მისდიოდა. ძალიან კარგად. არც კი სჭირდებოდა, ბოლომდე უარეყო თავისი ადრინდელი იდენტურობა. მეზღვაური ხომ დარჩა! იმავე მაისურში! ეს ნიშნავს, რომ შეუძლია, ძველებურად დარჩეს საკუთარ თავად...
ფეისტოპზე დაბრუნდა. დაიკომ გაუღიმა და ხელი დაუქნია. მისი ღიმილის შეჩვევა შეუძლებელი იყო. ნამდვილად გახარებული ჩანდა მისი ხილვით.
– შეხვედრაზე წასვლის დროა, – თქვა ქალმა, – გელოდებიან.
– ვის ვხვდები? – ჰკითხა დამფრთხალმა კეშამ.
დაიკომ უბოძა ვერცხლისფერი და ბედნიერი სიცილი.
– სიამოვნებას არ წაგიხდენ. თავად ნახავ. ყველაფერი კარგად

იქნება, კე. შენ ზემოთ მიიწევ, როგორც რაკეტა. ჩვენი გეგმა ამუშავდა.
«ჩვენი». რა ჯადოსნურად ჟღერს ეს სიტყვა. ადრე დაიკო, მგონი, არასოდეს მიმართავდა სახელით. ყოველ შემთხვევაში, კეშას ეგეთი რამ არ ახსოვდა.
– შენ თქვი, სხვა საცხოვრებელს აგვირჩევენო. და სად?
– შეიძლება, ევრაიხზე. შენ ნამდვილი ოთახი გექნება. მე კიდევ – სხეული, როგორც შენ. შენ შეგეძლება შემეხო სინამდვილეში... ოღონდ, ჩუუ... მერე, ყველაფერი მერე.
კეშა მიხვდა, რომ ამაზე ლაპარაკი არ ღირს. დაე, სასწაული რბილად შემოვიდეს მის ცხოვრებაში, დაე, მზე ამოვიდეს დადგენილ საათს, არაფრის ხელის ხლება არაა საჭირო... მით უფრო, რომ წინ რაღაც შეხვედრაა... უკვე ხვდებოდა, ვისთანაც – მაგრამ საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა.
– სად უნდა წავიდე?
დაიკო მივიდა შადრევანთან და მოაბრუნა ნიჟარა, რომელშიც საყვირზე უკრავდა ერთ-ერთი მარმარილოს ამური. წყლის გამჭვირვალე ნაკადები მაშინვე ამოიწურა. მერე კი შადრევანმა, თითქოს ტანკის ლუკმა, უკან გადაიწია – და გადაიქცა მოსტოვაიაზე მოლივლივე დისკოდ. კეშამ დაინახა ქვაფენილზე დადებული რამდენიმე მონეტა – და თეთრი, უმზეო ბალახის რამდენიმე კოლბოხიც. ამისთანა ყურადღება დეტალებისადმი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ იმის მაგიერ, რომ სასიამოვნოდ გაჰკვირვებოდა, კეშამ უცებ სევდა იგრძნო. ეჩვენებოდა, რომ თავადაც ეგეთი ბალახი-ალბინოსია. შადრევნის ბნელი ფსკერი ახლა პირდაპირ უყურებდა. შიგ აღმოჩნდა ფრესკა – თვალი დიდი გუგით. თვალი მეტისმეტად მრგვალი იყო, რომ თუნდაც რამე მაინც გამოეხატა: შავი ძაბრი, თავის თავში რომ ითრევს სულ ყველაფერს. სამყაროში რომ ღმერთი არსებულიყო და ღმერთს ჰქონოდა მხედველობის ორგანო, ის, ალბათ, სწორედ ასეთი იქნებოდა... კეშას არასოდეს ენახა მსგავსი ფრესკები ადრე, მაგრამ უკვე ეჩვენებოდა, რომ ის ყოველთვის ეკიდა მოედნის თავზე სწორედ ამ ადგილზე, შადრევნის დამფარავად. უბრალოდ, ადრე ღმერთის თვალი დახუჭული იყო – ახლა კი გაიხილა, და ღმერთმა, ბოლოს და ბოლოს, დაინახა კეშა...
კითხვით გახედა დაიკოს და იმანაც, ცხადად გაღიმებულმა,

თავი დაუქნია.
კეშამ მზერა გადაიტანა ღვთიურ თვალზე და ოდნავ შესამჩნევად ჩაუკრა თვალი.
თვალმა უპასუხა. გაზრდა დაიწყო, მიუახლოვდა კეშას – და გადაყლაპა.
კეშა იდგა წრიულ, შავ გვირაბში, მოპრიალებულ და სრიალაკედლებიანში – თითქოსდა შავი ყინულის მილში მოხვდა. ცდილობდა, ფეხი არ ასხლტომოდა და ისე წავიდა წინ. იატაკის ღარში გაჩნდა საფეხურები. ჯერ სულ დაბალი, მერე უფრო და უფრო მაღალი. იმავდროულად გვირაბმა ზევით აუხვია – და მალე კეშა უკვე ადიოდა შავ კიბეზე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფეხების გადაადგილება საჭირო აღარ იყო – კიბემ თავად გასწია მაღლა.
თავიდან გვირაბის ირგვლივეთი ასკეტურ-შიშველი იყო. მაგრამ რაც უფრო ზემოდ ადიოდა კეშა, მით უფრო მეტი დეტალი და სამშვენისი ჩნდებოდა ირგვლივ. ისე ჩანდა, თითქოს ზემოთ მოძრაობს ძველი მეტროპოლიტენის ესკალატორით, რომლის ხედებს ხშირად შეხვედრია ისტორიულ დამატებებში. აი, ოღონდ ის სადგური, სადაც კეშა აღმოჩნდა, ნამდვილად არ ჩანდა ჩვეულებრივი მგზავრებისათვის. იქ იყო მხოლოდ ერთი ესკალატორი და ზედ მხოლოდ ერთი კაცი იდგა – თვითონ.
შავ ჭერზე ახლა დამაბრმავებლად ენთო ლამპების დისკოები. უკან მიდიოდნენ შავ ნიშებში მდგარი სტატუეტები, შეფერილი სხეულის ფერებში და მსგავსი გაყინული მიმებისა. ესენი ჯერ მეომრები იყვნენ ჯავშნებში, წვერიანი გმირები, ნაყოფიერების ფუმფულა ღმერთქალები და მოღუშული ჰერაკლეები ტყავებში – მაგრამ რაც უფრო მაღლა ადიოდა კეშა, მით ახალგაზრდა, თავაზიანი და მაცდუნებელი ხდებოდნენ მისი აფრენის უმოძრაო მოწმენი.
ჰაერი სულ უფრო ცინცხალი და სუფთა იყო, სინათლე – უფრო კაშკაშა. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო არა გარემომცველი სივრცის ცვლილებები, არამედ ის, რაც ხდებოდა კეშას სულში. უკვე იცოდა, საითაც მიდიოდა. სამი ცუკერბრინი ელოდა.
და როგორც კი ამას მიხვდა საბოლოოდ, დაინახა კიდეც ისინი. შორს, გვირაბის ზედა წერტილში აენთო სამი უსასრულოდ კაშკაშა სინათლე. კეშამ, დიდი ხანია, იცოდა, რომ სინათლე შეიძლება იყოს კეთილიცა და ბრძენიც, მაგრამ როცა

ცუკერბრინების სხივები გადაიკვეთა მის გულში, ყველაფერი ისე იყო, როგორც პირველად.
კიბე ფეხქვეშ ისევ ზემოთ მიდიოდა, მაგრამ კეშამ იცოდა, რომ უკვე მისულია. მოძრაობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო კიდევ მილიონ წელს, მაგრამ მაინც ვერ მიუახლოვდებოდა მის წყაროს მილიმეტრითაც კი. ეს არც იყო საჭირო – სინათლე იქვე იყო. ის ანათებდა თვითონ კეშაში და მეტად ვეღარ მიუახლოვდებოდა. კეშა იმყოფებოდა რეალობის საზღვარზე, იქ, სადაც სივრცე და დრო ერთდებოდა, ერთმანეთში ირეოდა და იქცეოდა მარადიულ სინათლედ.
სინათლემ ყველაფერი იცოდა მასზე. ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს ხედავდა და არაფერში ადანაშაულებდა, რამეთუ კეშას ცოდვებს გარეგნული მიზეზი ჰქონდა. თავად კეშა არასდროს, არასდროს ყოფილა ბოროტების წყარო. სინათლეს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.
სინათლე მისი საუკეთესო მეგობარი იყო – უბრალოდ, საუკეთესო კი არა, საერთოდ, ერთადერთი. სინათლე არასდროს სჯიდა. დასჯა იმაში მდგომარეობდა, რომ ხანდახან ქრებოდა. ხოლო როცა წინ ისევ აინთებოდა, ეს იყო უმაღლესი შესაძლებელი ბედნიერება.
კეშამ ამოისლუკუნა – და ერთ წამში, გადმოღვრილი აზრის ქედზე მდგომი მიხვდა, რომ სწორედ ეს სინათლე უყვარდა დაიკოში. უბრალოდ, სულის მრუდე ოპტიკა ისე იყო მოწყობილი, რომ მისი დანახვა მხოლოდ განსაკუთრებულ სტერეომილში შეეძლო – მაღლა აპლაკული თეთრწინდიანი ფეხებიდან... მაგრამ არავითარი დაიკო სინამდვილეში არ იყო – უფრო სწორად, დაიკო სამი ცუკერბრინი იყო ყოველთვის, ყოველთვის... ეს მათ ეფერებოდა უიმედო სინაზით. მაგრამ საიდუმლო ძალიან მაღალი ჩანდა სუსტი ადამიანური ჭკუისთვის. და სულაც არ იყო მისი დამახსოვრება აუცილებელი, რომ გეცხოვრა ბედნიერად, ხოლოთუ ადამიანი ხომ სწორედ ბედნიერებისთვის იბადება, განა არა?
სინათლემ ხელი სტაცა კეშას, მიიღო საკუთარ თავში და გულში აკოცა. და კეშამ განიცადა ისეთი აღფრთოვანება, რომ დაკარგა – არა, კი არ დაკარგა გონება, არამედ მოისროლა, როგორც გამოუსადეგარი ნაჭუჭი, რომელიც ვეღარ შეითავსებდა იმას, რადაც კეშა გადაიქცა.

კეშა გონს რომ მოვიდა, ესკალატორი უკვე ქვემოთ ეშვებოდა – მაგრამ ისევ პირისახით სინათლისკენ იდგა. სულში ამოვარდნილი ქარიშხალი თანდათან წყნარდებოდა, და ცრემლების სველი ზოლები სასიამოვნოდ უგრილებდა ლოყებს. ზემოთ სამმა სინათლემ უკანასკნელად გაიელვა – ნაზად-ნაზად და ოდნავ დამცინავად, ისევე, როგორც ახლა დაიკო უყურებდა, – და ჩაქრა.
კეშას არ ახსოვდა არანაირი ინფორმაციის გაცვლა. თითქოსდა არავისთან არაფერზე უმსჯელია. მაგრამ იცოდა, როგორ დალაგდა მისი მომავალი ბედი – და, სანამ ესკალატორს ქვემოთ მიჰყავდა (ეგრევე მიდიოდა, ზურგშექცეული, ვერ გადაეწყვიტა შეტრიალება), იმის ხსოვნა, რაც გამოუჩინა სინათლემ, თანდათან იკვეთებოდა მის ტვინში, როგორც გამოსახულება – გამამჟღავნებელში ჩაგდებულ ფოტოფირზე.
კაცობრიობას გმირები სჭირდებოდა. ისინი კი ახალ ეპოქაში სულ აღარ დარჩნენ, რადგან ამჟამინდელი ცხოვრება ძალიანაც არ საჭიროებდა ჰეროიზმს. შეიძლებოდა, გმირობა გამოგევლინა აზრებში და გაგეშეარებინა მოწმეების ნებისმიერი რაოდენობისთვის. მაგრამ ნამდვილი ფიზიკური გმირობა – ისეთი, როცა ადამიანი, როგორც საუკუნის წინ, სიცოცხლეს რისკავდა მიუღებელ მტერთან ბრძოლაში – პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.
სწორედ ამიტომ კეშას შემთხვევა უნიკალური იყო. საზოგადოება თავს უფლებას ვერ მისცემდა, ამ ამბისთვის გვერდი აევლო. მაგრამ კაცობრიობისთვის რომ სარგებლობა მოეტანა, საჭირო იყო ისტორიის ცოტაოდენი მოდიფიცირება. რათა უფრო ნათლად გამოეხატა ის ფასეული, რასაც შეიცავდა. იმიტომ, რომ ინსულტით პარალიზებული მტრის სიკვდილამდე მიყვანა, შესაძლოა, სასაცილოც კი იყო – მაგრამ არცთუ ჰეროიკული. ხოლოთუ მისი დამარცხება ხელჩართულ ბრძოლაში, მოქნეულ დანაზე რომ უტაცებ ხელს... შიშველი ხელებით რომ მოგუდავ... აი, ეს იყო სამაგისო და ძაან მაგარი.
სამმა ცუკერბრინმა ახლახან უბოძა ახალი ბედი – შეუძლებელი, დაუჯერებელი, დაუმსახურებელი: ფეისტოპის ერთ-ერთი აიკონი ხდებოდა, კაცობრიობის სამსახურისთვის თავდადებული გმირი, რომელთანაც მოვიდოდნენ ეჭვებისა და სულიერი დაცემის წუთებში... აი, როგორ მაგრად იცვლება

ცხოვრება. ჯერ კიდევ გუშინ განიცდიდა, რომ მსუქან მერილინს წაართმევენ და ვეღარავის მოახვევს თავს იდუმალ ოცნებას. დღეს კიდევ თავად იდგება ფეისტოპზე – ბებრუხანა კსიუსა და ანონიმუსს შორის, noless.
კეშას ესმოდა, რომ ეგეთ რამეზე უარს არ ამბობენ. არც აპირებდა. უბრალოდ, ეჭვობდა, შეძლებდა თუ არა, ამისთანა რთულ მისიას გამკლავებოდა. მაგრამ ცუკერბრინები აქაც დაეხმარებოდნენ.
საქმე ისაა, რომ ამგვარ მისიას ვერც ვერავინ გაუმკლავდებოდა. მხოლოდ თავად სისტემა თუ შეძლებდა ამას. ამიერიდან კეშა მთლად კეშა აღარ იქნება.
უფრო სწორად, თვითონ სულაც აღარ. მისგან საჭიროა საბაზისო ყოფნა, სულის გამეორებადი კალმის მოსმა, ეგრეთ წოდებული ემოგენომის
ანაბეჭდი. გაშეარდება არა მისი შემთხვევითი აზრები და გრძნობები, არამედ საგანგებოდ მომზადებული პირველი კლასის კონტენტი – ისეთი, რომელიც სრულიად ზუსტად მოუტანს სარგებელს სხვებს. და კაცობრიობის დანარჩენი აიკონები, ფეისტოპზე მდგარი, მუშაობენ სწორედ ასე, ეს კეშამ უკვე იცოდა. DNA-ის
წვეთი ინფორმაციულ კოქტეილში, რომელსაც შეურევენ მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალები.
ხოლო სამაგიეროდ... სამაგიეროდ, ყველაფერს მიიღებს. ყველაფერს, რაზეც ოცნებობდა – და იმასაც კი, რაზეც ვერ ბედავდა ოცნებას. და ბედნიერება – თვალთუხილავი დაიწყება სწორედ ახლა.
ესკალატორი გაჩერდა.
კეშა იდგა შავი, მბრწყინავი მილის ფსკერზე – უსასრულო სიმაღლეებისკენ ამავალი კიბის პირველ საფეხურზე, ახლახან რომ დააბრუნა ზეციდან მიწაზე. შემოტრიალდა, ნაბიჯი გადადგა, მეორეც – და აღმოჩნდა ფეისტოპზე. მერე კი ვიღაცამ ხელზე მოქაჩა, და ფეისტოპი ისევ გაქრა.
წინ ზღვა დაინახა და დილის ცარიელი პლაჟი. მზე დასთამაშებდა ტალღების პატარა ჭავლებს, თავად კიდევ პალმის ფოთლებით გაკეთებული ფარდულის ქვეშ იდგა. სულაც არ გაჰკვირვებია, გვერდით დაიკო რომ დაინახა, მოკლე, თეთრ კაბაში – და ეს კაბა უკვე აღარ იყო მისი გამოგონება.

ქალმა ის თავად შეარჩია.
დაიკომ მისკენ გადააბიჯა და მისი მხედველობის არის მთელი ცენტრალური ნაწილი დაიკავა. კეშამ იფიქრა, რომ ქალი აპირებს რაიმე ახალი განცხადების თქმას, ანთუ რომელიმე საიდუმლო აიკონის გახსნას. იმან კიდევ კეშასკენ გადააბიჯა, პირდაპირ მის პერსონალურ სივრცეში, სადაც წვდომა არ ჰქონდა ფეისტოპის არც ერთ აიკონს.
გარდა...
გარდა სოციალური პარტნიორისა. კეშამ ურწმუნოდ ასწია თვალები.
– იტს ოქეი, – თქვა დაიკომ და გაიღიმა, – უკვე თვრამეტის ვარ. უბრალოდ, უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები – კარგი გენების ბრალია. ადრე ცოტას ვხუმრობდი შენთან, ბოდიში... ჩვენ, ქალები, ყველანი ცოტ-ცოტა ანჩხლები ვართ. იმიტომ კი არა, რომ ბოროტები ვართ. ჩვენ სუსტები ვართ.
კეშა გრძნობდა შეუძლებელ, დაუჯერებელ შვებას – თითქოს, ბოლოს და ბოლოს, ამოკვეთეს მახინჯი კუზი. მისი სულის ყველა ბინძური და ცოდვილი აპენდიქსი, რომლებსაც ასე მარჯვედ მალავდა სხვათა ინტერესის სხივებისგან, უცებ გაქრა. ახლა უკვე შეეძლო, როგორც უნდოდა, ისე შემოტრიალებულიყო საყოველთაო ყურადღების კაშკაშა შუქზე, და არაფრის შიში არა ჰქონოდა. არაფრის დამალვა აღარ სჭირდებოდა. და არც არაფერი უნდა დაემალა ადრეც – არასოდეს. ტომარა, შავი და სამარცხვინო ნაგვით, გასკდა და აღმოჩნდა, რომ ეს იყო საჰაერო ბურთი. გაუგებრობები დასრულდა – და მერე როგორ! ბრალდებები არ მოხსნია. ბრალდებები, როგორც აღმოჩნდა, არც არსებულა ოდესმე.
– ეს სისასტიკე იყო, – თქვა კეშამ, – დიდი.
– ალბათ, – სუსტად გაუღიმა დაიკომ, – ალბათ, ცოტა სიმკაცრე. მაგრამ შენ ახლა შეგიძლია, შური იძიო...
მოუხელთებელი მოძრაობა გააკეთა, და კაბა ჩამოუვარდა მხრებიდან. კეშამ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე დაინახა ის ყველაფერი, რასაც ადრე დიდის ტანჯვით უხატავდა წარმოსახვა. რეალობა წარმოუდგენლად მაცდური იყო. და უსასრულოდ უსირცხვილო.
დაიკომ დამნაშავესავით გაუღიმა, ზურგს უკნიდან ხელი გამოიღო და კეშას გაუწოდა შავი ტყავის მათრახი.

– ყველაფერი უცებ მორჩება, – თქვა ქალმა, – Real fast. დამსაჯე. დამსაჯე, ძვირფასო, მთელი ძალით. მე მეტკინება, და შენ მაპატიებ. ორივე შვებას ვიგრძნობთ.
კიდევ გადმოაბიჯა მისკენ, და კეშამ იგრძნო მისი სხეულის სუსტი სითბო. კეშამ ნერწყვი გადაყლაპა და გაიხედა სადღაც სიცისფრეში, ქალის თმის განაყოფის ზემოთ – და მოეჩვენა, რომ იქიდან ძლივს შესამჩნევად აუციმციმდა სამი ყოვლისმხედველი სხივი. ცუკერბრინებმა ყველაფერი იცოდნენ. დასამალი არაფერი იყო. ეს ყველაფერი მისი არჩევანი არაა. ის მხოლოდ ცხოვრებისა და ბედისწერის აღმასრულებელი ოპერატორია. უბრალოდ, კოდის ხვიარა.
აღმასრულებელი ოპერატორი
დაიკო არ ცდებოდა – მართლა მალე უხორცდებოდა. სულ რაღაც საათი გავიდა, ხოლოთუ ქალის ზურგსა და მხრებზე მათრახის ნაკვალევი უკვე გაქრა. დარჩა მხოლოდ მსუბუქი ვარდისფერი ჩრდილები, თანდათან რომ ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა – თითქოსდა, არადამაჯერებლობით რომ არ გაენაწყენებინათ კეშას დაფერფლილი ტვინი.
დაიკოს შეეძლო ჩაეცვა თავისი კაბა, არ შეშინებოდა მისი სისხლით დასვრის, მაგრამ ისევ კეშას გვერდით იწვა შიშველი, ფეხებს ათამაშებდა. ეტყობა, აჯავრებდა. მაგრამ კეშა არ ბრაზობდა – ღვთიური რამ განიცადა, უფრო დაბრძენდა და თითქოს გველს მიუახლოვდა. ახლა უკვე ხვდებოდა: და აბათუ, კერძოდ, რა შეუძლია, რომ გააკეთოს ქალმა? მხოლოდ გამოაჯავროს, აცდუნოს და შეაშფოთოს. ქალი ყველაფერს სწორად აკეთებს, ყველაფერს და ყოველთვის – უბრალოდ, ჩვენ, მამაკაცები, ძალიან მალე ვიღლებით... რას ვიზამთ, ასეთი ფიზიოლოგია გვაქვს.
დაიკოს სახეზე ცრემლები უკვე შეაშრა, და ღიმილი დაუბრუნდა. კეშა გრძნობდა, რომ აპატია თითქმის ნახევრად. ანდა, ერთ მესამედზე. კიდევ რამდენიმე გამოსასყიდი პროცედურა, და საბოლოოდ აპატიებს. მაგრამ იმ დროისთვის, ალბათ, კიდევ მოასწრებს რამის დაშავებას... მოკლედ, ცხოვრებაში ყოველთვის იქნება ბევრი სინათლე და მზე. პლაჟზე დილა იყო – და ირგვლივ არავინ, სრულიად არავინ. მხოლოდ მზე, ჩრდილი, თბილი ქვიშა, ნიავი და წყლის ტყლაშუნი. სერიოზული სხვაობაა საოჯახო საძინებელთან,

ფანჯრებით ფეისტოპზე რომ გადის.
შეეძლო, რაზეც სურდა, იმაზე ეფიქრა, არ შეშინებოდა კონტექსტური რეკლამისა, რადგან თავში აღარაფერს უტენიდნენ... ანუ ახლა მისთვის დასაშვებია ცნობიერების ნაკადი კონტექსტური კლიპების გარეშე, იმავე ხერხებით რომ უტენიდნენ თავში?
ჰო, თუნდაც ასე. თუნდაც კარაევი მართალი იყოს და ცარიელი და ნელი, მზის მთრთოლარე განცხრომით სავსე აზრები თავისით არ ჩნდებოდეს თავში, არამედ სადენებით მოდიოდეს, – რა განსხვავებაა?
«რა მნიშვნელობა აქვს, – ფიქრობდა კეშა, – რა ბუნებისაა ჩემში გაგრძელებული ეს ჭავლი, ეს უნაზესი ტვინის ღიტინი? მთავარია, ტკბილი იყოს, მთავარია, რომ არასოდეს მორჩეს – თუნდაც, უბრალოდ, მისხამდნენ, როგორც ზიროუქულს ვირტუალურ, უძირო ბოთლში. ოღონდ გადმოესხათ და გადმოესხათ – და არასოდეს გაჩერებულიყვნენ. სამაგიეროდ, მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც სამყაროს მოუნდება, გავაკეთებ უყოყმანოდ და თავდადებით. იმიტომ, რომ არჩევანი არ მაქვს. არც არავის აქვს. და არც ყოფილა ოდესმე. ზღვა, მზე და გვერდით გოგონა – ესენი უნდა დაიმსახურო. ჰა-ჰა... როგორ იყო ბებრუხანა კსიუსთან – «სამყაროში არაა სიმართლე და ტყუილი, არის მხოლოდ განცდების ნაკადი, რომელიც არაფრით მთავრდება...» და რაკი ყველაფერი სწორედ ეგრეა მოწყობილი, აჯობებს, ეს ნაკადი იყოს სასიამოვნო. როცა დამთავრდება, სხვაობა აღარ იქნება. მაგრამ სანამ გრძელდება, განსხვავება არის. და მერე როგორი...
კეშამ თეძოზე დაადო დაიკოს ხელი.
დაიკომ ცერად დახედა ხელს და თითები დაჭკრა ტკაცანით. კეშამ, ყოველი შემთხვევისთვის, აიღო ხელი. მაინც ეშინოდა ქალისა, როგორც დაჩვეული იყო. ხოლოთუ ჩვეულება – მეორე ხასიათია.
– საქმეზე ვილაპარაკოთ, – თქვა დაიკომ, – ამაღამ პირველი მედიაგამოსვლა გაქვს, ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ყველაფერს მოვამზადებთ შენ მაგივრად, მაგრამ თავად შენი დასწრება აუცილებელია სინამდვილის მისაღწევად. შენ არ უნდა გამოიყურებოდე მეტისმეტად უმწიკვლოდ. ერთგვარ მსუბუქ გამოუცნობლობას, მღელვარებასა და აცდენილ

აზროვნებას მივესალმებით კიდევაც. შენ ცოცხალი უნდა იყო. სერიოზულად მაინც ვერ შეცდები – გაგისწორებენ.
– მე რა უნდა გავაკეთო? – შეეკითხა კეშა, ისევ დაადო ხელი დაიკოს თეძოზე, ამჯერად უფრო სერიოზული გამომეტყველებით.
თუმცა დაიკომ ამჯერადაც თითები დაუტკაცუნა, უფრო ბოროტად და მაგრად. კეშას ისიც კი მოეჩვენა, თითქოს მისი თითების მიკარებას ზედ დაერთო დენის მსუბუქი დარტყმა.
– ჯერ ორი საათის ძილი გჭირდება, რომ დაისვენო და მოეშვა. მერე ჩაგრთავენ მსოფლიო ინფოქსელში. შენ დაესწრები ძეგლის გახსნას.
– ვისი? – შეეკითხა კეშა.
– შენი, – გაუღიმა დაიკომ, – თავად შენი, კე.
– ჩემი ძეგლი?
– შენი, – თქვა დაიკომ, – და შენი გმირობისა.
დაიკომ ხელი ასწია და საჩვენებელი თითი რამდენჯერმე მიმოატარა ჰაერში, თითქოს რაღაცას ხატავდა დაორთქლილ მინაზე. იმასა და კეშას შორის არავითარი მინა არ იყო – მაგრამ იქ მაშინვე გამოჩნდა უთანხმოების მოედნის სამგანზომილებიანი გამოსახულება დიდი სიმაღლიდან. კეშას მოეჩვენა, რომ ეს მოედანი – საბაზისო ბოქსის ელასტიკური მემბრანის მეტად გაზრდილი ელემენტია, ექვსწახნაგიანი ფიჭაა ძლიერი გადიდებით, და თუკი მოედნიდან მაღლა დაიწყებ სვლას, გამოჩნდება ისეთივე მოედნები გვერდით, რაღაც დროის მერე კი გამოჩნდება უშველებელი კოსმოსური ტრეკპედ-მემბრანა...
– რომელიც აერთებს სოციალურ პარტნიორებს სახელებით: მიწა და ზეცა, – უცებ დაამთავრა მის თავში კარგად დაყენებულმა ხმამ.
მისმა, საკუთარმა.
კარნახი ჩართეს, გაიფიქრა კეშამ ისე ჩვეულებრივად, რომ თავადვე გაუკვირდა. უკვე იცოდა, რომ ასეთი დამატება აქვს ყველა ვარსკვლავს, მძინარეთა ფართო მასებთან რომ მუშაობენ. მხოლოდ სიტყვამ «აერთებს» გააკვირვა. თავად იტყოდა «ჰყოფს». სწორედ ამისთვის იყო საჭირო კარნახი – შეცდომებისგან შეაკავებინა არასაკმარისად მომწიფებული ტვინი, რომლის შემადგენლობა შეარდება დიდ ადამიანურ

მასასთან.
დაიკომ ჰაერში მოატარა თითი, და დედამიწა წამოვიდა მისკენ. უთანხმოების მოედანი იმდენად მოახლოვდა, რომ გასარჩევი გახდა ბროლის სათლი ჭეშმარიტების ჭის კიდეზე. დაიკომ თითის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით შეცვალა ხედვის წერტილი, და კეშამ დაინახა მოედანი იმ ადგილიდან, სადაც ჩვეულებრივ იდგა, როცა აქ შემოეხეტა LUCID-ის ფაზაში.
მერე კი ჭეშმარიტების ჭის თავზე ახალი ქანდაკება აღმართეს. ეს იყო ორი შიშველი სხეული, სასიკვდილო ორთაბრძოლაში რომ ჩაბმულიყო ერთმანეთთან. მარცხნივ ეკიდა მძლავრი და საშინელი მოხუცი, ჩამოშლილ ჩალმაში, სამკუთხა დანით გამოწეულ ხელში. კეშამ იცნო დანა – სწორედ ის ტექნიკური კატერი
, რომლითაც კარაევმა მემბრანა გადახსნა. მარჯვნივ მისი მეტოქე ჩანდა.
შიშს მინამსგავსი გრძნობით კეშამ საკუთარი თავი ამოიცნო. ოღონდ აქ გაცილებით მიმზიდველად გამოიყურებოდა, ვიდრე პერსონალურ სარკეში, ბოქსის საფარობელზე. არავითარი საპირე და პამპერსები – ისევე ჰეროიკულად შიშველი იყო, როგორც მოწინააღმდეგე, და უფრო დაკუნთულიც.
ერთი ხელით ბრინჯაოს კე დანიან ხელს იჭერდა, მეორით კი ურჩხულისებურ მოხუცს ახრჩობდა. მოხუცი უკვე დამარცხებული იყო, თითქმის მკვდარი: მისი თვალები მოჭუტულიყო, ხოლოთუ გაღებული პირიდან გამოცოცებულიყო ხვლიკის მსგავსი ენა.
ბრინჯაოს კე კარგი იყო – აღტკინებისგან ერთიანად დაძაბული, სიმივით დაჭიმული. მაგრამ მოქანდაკეს განსაკუთრებით გამოუვიდა კარაევის ჩამოშლილი ჩალმა – გაყინულ ორთაბრძოლას საოცარ სინამდვილეს, დინამიზმსა და ექსპრესიას მატებდა. მომდევნო წამში ძეგლი გაქრა ნაცრისფერი უფორმო ტილოს ქვეშ, სრულად რომ დაფარა მისი მოხაზულობა.
– გახსნა დღეს ღამითაა, – თქვა დაიკომ, – და შენ თავად გახსნი... ლენტი უნდა გადაჭრა და ტილო ჩამოაგდო. შენ უნდა ღელავდე, მაგრამ ძალიანაც არა. უნდა დაირცხვინო, მაგრამ ცოტათი. და, რაც მთავარია, გიყვარდეს ყველა ის, ვინც შენ დაიცავი – და ვინც შენს სანახავად მოვა.

არადა, ბევრნი მოვლენ. ინფორეიტინგი უმაღლესია.
– მერე რა უნდა გავაკეთო?
– სიტყვა უნდა თქვა, – მიუგო დაიკომ, – მაგრამ შენ ამაზე არ იდარდო. იმ დროისთვის გამოგრთავენ. შენ მარტო დასაწყისში ხარ საჭირო, რათა ყველამ გიგრძნოს შიგნიდან... საკუთარი თავის ნუ გერიდება, კეშა. შენი შეყვარება შეიძლება, მართლა. და ხალხმა კიდევ ყველაფერი რომ იცოდეს, აუცილებელი არაა.
კეშამ თვალები ასწია. დაიკო უღიმოდა. ნაჭდევები მის კანზე სრულიად გაქრა.
მით მეტი ადგილი იქნება ახლებისთვის.
– ეგ მერე, – ჩაიხითხითა დაიკომ, მისი მზერა რომ შენიშნა, – ახლა კი ძილის დროა. ადმინისტრირებაში მაქვს ორმოცი წუთი NREM SWS.
კეშას არ ესმოდა სიტყვების NREM SWS აზრი – მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს არის სამკურნალო ძილის რომელიღაც ქვესახეობა, რომელშიც უნდა ჩაიძიროს.
კეშამ დაინახა უკუთვლის ციფრები – ხუთი, ოთხი, სამი... ვიდრე სიზმარში ჩაიჩეხებოდა, მოასწრო აზრობრივად შეეხედა სულში და იქ არაფერი დაუნახავს, რისიც შერცხვებოდა.
იქ მხოლოდ სინათლე დარჩენილიყო. მშვიდი, საკუთარ თავში დარწმუნებული, პოზიტიური და ყველა გადასახადგასტუმრებული სინათლე. რასაკვირველია, ჩრდილებიც ბოგინობდნენ ცნობიერების ფსკერზე – მსურველს შეეძლო იმათამდე მიწვდომაც. მაგრამ ეს იყო სრულიად ლეგალური ჩრდილები. და თავისებურად ლამაზებიც კი. შავები კი არა, სხვადასხვა ფერისა. ჯანსაღი ჩრდილები. ეგეთები არავის უნდა დაუმალო, რადგან ცისარტყელას არც ერთი ფერი არაფერს უშლის მეორეს. ეს სული შეიძლებოდა ყველგან გაშეარებულიყო – ფართოდ და უკანმოუხედავად, თუნდაც მთელ პლანეტაზე...
მერე სიზმარმა დაუწყო დასიზმრება – თუმცა ბგერა N, როგორც ჩანს, rapid eye movements-ის არყოფნას ჰპირდებოდა, ეს კი ნიშნავდა, რომ – ხილვებსაც. მაგრამ, შესაძლოა, ეს ერთ-ერთი იმ ღვთიურ სიზმართაგანი იყო, რომელიც არ გაიდევნება თვალების მოძრაობით და მხოლოდ რჩეულებს სტუმრობს? კეს დღემდე ახსოვდა ბავშვობაში ნანახი გადაცემა, სადაც მრგვალ მაგიდასთან შეკრებილი სწავლულები დასცინოდნენ ჭორებს

ამისთანა რამის არსებობაზე – საიდანაც მაშინვე დაასკვნა, რომ ეს სიმართლეა.
ასეც აღმოჩნდა. კეს აქამდე მსგავსი არაფერი დასიზმრებია. რაღაც მაღალი შენობის ტერასაზე იდგა, და გარშემო, ყოველი მხრიდან კლდეები იყო – მრისხანე ნაცრისფერი სიბრტყეები, მიმავალი გაწეწილ ღრუბლებში.
მის წინ იყო გრძელი, ფართო მაგიდა, იმის მსგავსი, სამხედრო მეთაურები თავიანთ რუკებს რომ გაშლიდნენ ხოლმე – რათა გარშემო ადგილი ყველა გენერალს ჰყოფნოდა. მაგრამ რუკის მაგივრად მაგიდაზე ეწყო მინის დისკები, დიდ ყინულებს რომ მიაგავდა.
ამ დისკების შიგნით სხვადასხვა ფერის სინათლეებით ციმციმებდა უცნაური ნიშნები, კეშას რომ ფრინველების ბრჭყალების ნაკვალევს აგონებდა. თითქმის ესმოდა მათი აზრი – დაწერილობა დაკავშირებული იყო ემოციებთან. ზოგიერთი მათგანი კეშასთვის კარგად იყო ნაცნობი (შიში, სიხარული, მრისხანება), მაგრამ სხვები არ მიესადაგებოდა მისგან ადრე განცდილს: თითქოს სპექტრის დაფარული ნაწილი დაინახა, ანდა ინფრაბგერა გაიგონა.
ეს ახალი ემოციები უბრალოები გამოდგა, შეიძლებოდა, ისიც კი თქმულიყო, რომ – ელემენტარულები, მაგრამ მიანიშნებდა ისეთ ღრმა და ურჩხულურ გონებაზე, სამყაროსთან ისეთ საბედისწერო ქმედებაზე, რომ კე მიხვდა: ამის გვერდით ადამიანი უბრალოდ პეპელაა, ერთხელაც რომ არ გამოფრენილა სინათლის ლაქიდან. ეს იყო ღმერთების ენა, და ის საშინელი იყო. ღმერთები იყვნენ ღმერთები, რამეთუ შეეძლოთ შეეთავსებინათ ჭეშმარიტად ღვთიური საშინელება. მხოლოდ მისი ჩრდილი იგრძნო და კე მიხვდა – ამისთანა ტვირთი საიმისო არაა.
ამ დროს შეამჩნია, რომ მარტო არ იყო.
მაგიდის მეორე მხარეს იდგა ფრინველი, ძალიან ჩამოჰგავდა მის ფეისტოპზე აღმართული ძველი სტელის ბარელიეფს. ეცვა მოკლე ლაბადა უცნაური ქსოვილისგან – ნაცრისფერი, მაგრამ თითქოსდა ნაოჭებში დამალული მოციმციმე სინათლით. თავდაპირველად კემ იფიქრა, რომ ფრინველი განზე იყურება: თავი პროფილში მიებრუნებინა. მერე კი მისი თვალი დაინახა. ეს სწორედ ის თვალი იყო, შადრევნის ფსკერზე არსებული

ფრესკიდან – მრგვალი, დიდი, შავი გუგით. კე მიხვდა, რომ ფრინველი სწორედაც რომ მას უყურებს, უბრალოდ, ასე უფრო კარგად ხედავს, ხოლოთუ მეორე თვალით უცქერს რაღაცას, კესთვის უხილავს, რითაც შეუსაბამებს მის არსებობას სამყაროს, და ეს გაორებული მზერა – თითქოსდა სასწორია, რომელზეც კეა აზიდული, და ახლა მისთვის მთავარია, რომ მეტისმეტად მსუბუქი არ გამოდგეს.
ფრინველი რაღაცას ელოდა. კემ თვალები დახარა და თავის ხელში იმის მსგავსი ნიჩაბი დაინახა, როგორითაც კრუპიე დააცოცებს ჟეტონებს მწვანე მაუდზე. და მისთვის ნათელი შეიქნა: რაც ემართება – ეს სერიოზული გამოცდაა. რაღაცა უნდა ექნა ამ ნიშნებისთვის. ამ უცნაური სიმბოლოებიდან რაღაც თანამიმდევრობა უნდა შეედგინა.
კეშა საშინელებას გრძნობდა. სრულიად ვერ წარმოედგინა, რა და როგორ უნდა გააკეთოს, მაგრამ ფრინველი მაინც არ არიდებდა მრგვალ, შავ თვალს. გარინდებულმა კეშამ ხელი ასწია – და თავისკენ მისწია ერთი სიმბოლო. მერე, რაღაც უცნაური აღმოჩენით, მეორეც. შემდეგ – მესამე.
როგორც კი მისი შერჩეული სამი მინის რგოლი ერთმანეთს შეეხო, გაისმა წკარუნი, ტკბილად რომ გახმაურდა მის სხეულში, და სამი დისკი, წამით რომ აენთო ნათელი, სამმაგი სხივით, ჰაერში განქარდა, მიკროსკოპული სხვადასხვა ფერის ვარსკვლავები დატოვა თავის ადგილებზე, სიცარიელეში რომ ანათებდა.
კეშას ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მანათობელი დისკები გაქრა და გადაიქცა ფიზიკურ გატაცებად, მისი არსება რომ აავსეს. თავისკენ მიიჩოჩა სამი სხვა დისკი. (ისევ თვითონაც რომ არ იცოდა, ისე აირჩია), შეაერთა ისინი, და ისევე შიშინით გაქრა შუქის სამმაგ აფეთქებაში, მას კი არარსებული, არაფრის მსგავსი ნეტარება დაუტოვა. კეშა მიხვდა და გაეცინა. და მის საპასუხოდ თითქოს ფრინველმაც გაიცინა, ნისკარტი დაიქნია რამდენჯერმე.
კეშამ გამოცდა გაიარა. სწორედ იმ მომენტში, როცა მიხვდა. ვინ არის იმისთანა, რომ ამოირჩიოს? უკეთესი არ იქნება, ეს სარისკო საქმე მათ დაუტოვოს, ვინც საამისოდ ნიჭიერია? ადამიანებს ხომ, არსებითად, არავითარი მონაცემები არა აქვთ ამ კოსმოსური სპორტისთვის... მას, როგორც სხვებს, მხოლოდ

ბედნიერება სჭირდება. და თავად ვერც ვერასოდეს იპოვიდა მისკენ გზას, სამი ცუკერბრინი რომ არა, კეთილშობილურად რომ გამოავლინეს თავი მის ნებისმიერ არჩევანში – ისეთშიც კი, როგორსაც კეშა, თავისი მწერული შეზღუდულობის კვალობაზე ვერასოდეს გააკეთებდა მართებულად. რა ბედნიერებაა, რომ მასში ცხოვრობს ძალა, დახმარება რომ შეუძლია... რა ბედნიერებაა…
ფრინველმა მისკენ გადმოაბიჯა, პირდაპირ გამოიარა თავისით გაწეული მაგიდის ადგილზე, და ასწია საშინელი, ბრჭყალებიანი ფეხი. კეს შეეშინდა – მაგრამ მან მხოლოდ ბრჭყალები მოუთათუნა ლოყაზე. შეხება ძალიან მსუბუქი იყო, ლამის ნაზი. კემ გაიღიმა.
ტერასა, მთები, მაგიდა, უცნობი ანბანის ასოებით ქრებოდა. კე მიხვდა, რომ იღვიძებს. მაგრამ გაკვეთილი უკვე ათვისებული და გაგებული იყო. ფრინველი ისევ შეეხო, კემ თვალები გაახილა – და დაინახა დაიკო, ხელისგულით რომ ეფერებოდა ლოყაზე.
აჰ, როგორი გარეგნობა ჰქონდა! ფეხებზე ენთო პატარა ფეხსაცმელი. ორი უთხელესი ტყავის ზოლი ერტყა თეძოებსა და მკერდზე, თითქოს აჩვენებდა, სად უნდა ჰქონოდა ტრუსები და ბიუსტჰალტერი. კისერზე შავად უჩანდა მაღალი საყელური, ოქროს ეკლების რამდენიმე რიგით. თავზე კიდევ თეთრად მოუჩანდა ქუდი იახტკლუბის ემბლემით. და თუმცა კეშა არ იცნობდა იმ იახტკლუბს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ უკვე იყო მისი წევრი.
– წავედით, – თქვა დაიკომ, – მე გაგაცილებ.
ქალმა მისკენ გადმოაბიჯა, მტკიცედ და მხიარულად შემოიჭრა მის პირად სივრცეში – კეშა ვერაფრით ეგუებოდა ამ შეუძლებელ სიახლოვეს, – ხელი მოჰკიდა ხელზე და შადრევნისკენ წაიყვანა.
თვალის დახამხამებაში აღმოჩნდნენ კეშასთვის უკვე ნაცნობ, პირდაპირი წვდომის გვირაბში – ყოველგვარი შუალედური ანიმაციის გარეშე.
კეშა მიხვდა, ესეც მისი ახალი რანგის ნიშანია: უკვე აღარაა სპეცეფექტების მომხმარებელი, არამედ მათი შემქმნელი და მაკონტროლებელი, უმაღლესი კასტაა... დღეს გვირაბს ზემოთ კი აღარ, წინ მიჰყავდა. დაიკო წინ მიდიოდა, გემრიელად

ადგამდა თავის დახვეწილ ფეხებს ალისფერ მაღალქუსლიანებში. რატომ აცვია ალისფერი ფეხსაცმელი? მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის სარჭები ხმამაღლა წკარუნობდა შავ იატაკზე, და კეშა წამით შეშინდა, რომ ქალი წაიფორხილებს ანდა ფეხს დაიშავებს... შესაძლოა, ძალიანაც კი დაიზიანოს, რამე ძვალი გადაუტყდება – და კანს გამოხვრეტს... შაქარა-თეთრი ძვალი, გარუჯული კანი, სისხლის წვეთები... დაიკომ, მოუბრუნებლად, უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.
– მერე წავითამაშოთ, ლომო, – თქვა, – ჯერ ვმუშაობთ. ადმინისტრირებას ვუკეთებ ფაზა LUCID-ს.
იელვა ნაცნობმა ნარინჯისფერმა სხივმა, და სიბნელემ გვერდებზე გაიწია. კეშამ დაინახა, რომ დგას ვიწრო კორიდორში, ორ სარკეს შორის. ფაზა LUCID-ში შესასვლელი საკონტროლო ჩარჩო ახლა არ მუშაობდა – სარკეებში არ იყო შუქი. ისინი ერთიმეორესაც არ ირეკლავდა, თუმცა ფიზიკის კანონებით, ასე უნდა ყოფილიყო.
სამაგიეროდ, ერთი სარკე კეშას ირეკლავდა. უფრო სწორად, კეშას კი არა – ახალ კეშას.
მისი სახე ახალი და ლამაზი იყო, გამჭვირვალე ახალი წვერით, ნიკაპსა და ლოყებზე რომ დახვეოდა. მხრებზე შავი კულულები ეცემოდა, ოდნავ რომ ელავდა უხილავ მზეზე. ცისფერი თვალები ფიქრიანი და დარდიანი ჰქონდა, ტუჩები ძლიერი ნიკაპის ზემოთ – მომრგვალებული და განცხრომით სავსე. ის მიაგავდა ძველ კომანდანტე ჩეს, მაგრამ ბერეტი არ ეხურა. ვარსკვლავი, მახვილად და ამაყად რომ იყურებოდა ზემოთ ორი სხივით, პირდაპირ შუბლზე ჰქონდა ტატუირებული.
საფეთქელზე კიდევ მეორე ტატუ გამოუჩნდა, ცოტა უცნაური – სამი ცხვარი, ზუსტად ისეთი, როგორებიც ართობდნენ კარაევთან ლაპარაკისას. შეიძლება, სისტემამ კეშას სახეში შეიტანა, როგორც საბრძოლო იარა. ფეხებზე შემორტყმოდა ცისფერი ტრიკო, ხოლოთუ მხრებიდან გადმოშვებოდა გმირის ცისფერი ლაბადა, ზურგს რომ უფარავდა წელამდე. ლაბადაზე შეიძლებოდა გაგვერჩია გამეორებადი ინციალები MC – Meister Che, კაცობრიობის ახალი მცველის სახელი, რომლის ინფორმაციული გამოსახულება არ უნდა დავჩეხოთ ატომებად უსაფრთხოების სარკულ კორიდორში…
მუქი სარკეები გაქრა, მაგრამ კემ უკვე იცოდა, როგორს

დაინახავენ ადამიანები. ახლა წინ და ქვემოთ იყო უთანხმოების მოედანი. ის მთლიანად გადაჭედილი იყო ხალხით. ჭეშმარიტების ჭის თავზე ლივლივებდა მრგვალი, ნაცრისფერი ღრუბელი – ასე გამოიყურებოდა ტილოთი დაფარული ძეგლი.
– მათთვის შენ გამოჩნდები პირდაპირ სივრციდან, – თქვა დაიკომ, – შენ ბევრი არაფერი გევალება. აფორიაქებული და ამაყი, ბილიკით უნდა მიხვიდე ქანდაკებამდე. მღელვარებითა და სიამაყით უნდა შემოხსნა ტილო. ამ მომენტამდე ყველაფერი გაშეარდება ლაივში. მერე შეგიძლია, მოეშვა, წავა ფანერი. ნაწილი იქიდან, რაც შენ გააშეარე, როცა იმ მკვდარ გველს ელაპარაკებოდი, ინტერვიუები მსოფლიოს ასებთან და სხვადასხვა ამისთანები. როცა მორჩები, შეგხვდები.
– და რომელ ბილიკს გავუყვე? – შეეკითხა კეშა, აქეთ-იქით იყურებოდა.
მაგრამ დაიკო იქ აღარ იყო.
მოედანზე უცებ დაიხატა განათებული, მსუბუქი ხიდი მისი ფეხებიდან პირდაპირ ქსოვილშემოხვეულ ძეგლამდე. მოედანმა ამოისუნთქა, და კემ იგრძნო, ათასობით თვალი მისკენ იყურება.
არა, ათასობით კი არა, – მილიონობით. მიხვდა ამას, რაკი დაინახა, პერსპექტივის ყველა კანონის დარღვევით წამოიწია ჰორიზონტის კიდეები, შექმნა უშველებელი მსოფლიო სტადიონი, – ფინჯანი, სავსე მასზე მიჩერებული კაცობრიობით. ყურადღების მეგატონები ლამის ფიზიკურ ტვირთად დაეკიდა – მაგრამ კემ უკვე იცოდა, რომ გაუძლებდა ამ წონას.
ხელი დაუქნია უსასრულო ადამიანურ ზღვას და საპასუხო აღფრთოვანების ღრიანცელის მოსმენით გასწია უკვდავების წამისკენ. უნდა ეფიქრა სწორად და შეუცდომლად – მაგრამ, იმავდროულად, ძალდაუტანებლად, კეშა არც კი ელოდა, რომ ეს ასე იოლად გამოუვიდოდა. შესაძლოა, ისევ კარნახმა უშველა. რატომღაც გაიხსენა წარსულის მემაშხალეები, ცეცხლი რომ მიჰქონდათ ოლიმპიურ თასებამდე. და თუმცა ხელში მაშხალა არ ჰქონდა, თავს ერთ-ერთ მათგანად გრძნობდა – მარადიულ გმირად, გმირობის ალი რომ მოჰქონდა საუკუნეებისა და ეპოქების გამოვლით. მაგრამ ამაში განსაკუთრებული არაფერი იყო. არ განირჩეოდა ნებისმიერი მისი მაყურებელი ადამიანისგან – ბედისწერამ ალალბედზე ამოირჩია.

თითოეულს შეეძლო შეეგრძნო მისი სული, გამოეცადა იგი მთლიანად და გაეგო, რომ კე არც უკეთესია და არც უარესი. მაგრამ ამაში იყო ყველაზე მთავარი.
«ადამიანი, – ფიქრობდა კე, თან გრძნობდა, მისი უსასრულოდ გაძლიერებული აზრი როგორ ეფინება მილიონობით გონებას, – ჩვეულებრივი ადამიანი, მთელი თავისი მოთხოვნილებით, ეჭვებითა და ნაკლოვანებებით, – მშვენიერი და დიადია. მას შეუძლია, გმირი გახდეს, თუკი ბედი საშუალებას მისცემს. და ესაა ჩემი ყველაზე მთავარი გაკვეთილი, მომხდარიდან რომ გამოვიტანე. ვინც უნდა იყო, ჩემში ჩამომხედავო ძვირფასო მეგობარო, იცოდე – გმირი მე კი არა ვარ. გმირი – შენ ხარ...»
კეშა არც კი ეჭვობდა, რომ შეძლებდა, გადმოეცა ასეთი დავარცხნილი აზროტექსტი მოუმზადებლად. და თუნდაც ეს მთლად თვითონ არ ყოფილიყო, აზრი, რომელსაც ის უშეარებდა კაცობრიობას, არ პატარავდებოდა ამისგან არაფრით. გმირი – ნებისმიერი ჩვენგანია. დღეს ისაა, მაისტერი კე, ფეისტოპზე ამოდის მოკაშკაშე ახალ ვარსკვლავად, მაგრამ მის ადგილზე შეიძლება იყოს, ვინც გინდა. ყველა ჩვენგანში ანთია ერთი და იგივე ცეცხლი – უფრო სწორად, სამი თანაბრად ნათელი ცეცხლი. და თუკი სიბნელე კიდევ ცოცხლობს რომელიმე სულში – განათუ რომელ ფსკერს არ გააჩნია ყლარტი? – სამი ერთიმეორესთან შეერთებული მზის სინათლე საკმარისი იქნება, რათა ოდესმე მთლიანად გავასუფთაოთ იგი...
ტილოში დამალული ქანდაკება უკვე ახლოს იყო. კე თანაბრად და ამაყად მიაბიჯებდა, მაგრამ მაინც ღელავდა. მსუბუქი ჰალუცინაციაც კი გადახდა თავს – მოეჩვენა, თითქოს ბილიკზე მის წინ გაირბინა რამდენიმე ცხვარმა, სწორედ მათ, მის ყურადღებას რომ იქცევდნენ მკვდარ ტერორისტთან ლაპარაკისას. მაგრამ როცა მათკენ მიაბრუნა მზერა, რასაკვირველია, იქ არავითარი ცხვრები არ აღმოჩნდა.
კემ ნაბიჯი შეანელა და ასე მიუახლოვდა ტილოს გორას. ნაჭერი იმეორებდა ქანდაკების კონტურებს, მაგრამ ჩანდა, რა დიდი იყო. და თუმცა ეს მატერიალურობა მეტად საეჭვოდ წარმოედგინა, იქვე დგომა მაინც საშიში იყო. თუმცაღა, ტილო სრულიად რეალურად გამოიყურებოდა და ახალიც კი არ იყო, თითქოს უკვე გამოეყენებინათ სულ სხვა, უკვე დადგმული

ქანდაკებების გახსნისას – სულ სხვა, უკვე გამკრთალ სიზმრებში.
სადღაც ტილოს სიმაღლეებიდან ეშვებოდა თხლად დაგრეხილი თოკი – კემ იცოდა, რომ უნდა ჩამოსწიოს დაბლა, და ძეგლიც გაიხსნება. ჩამოქაჩა და ტილო ტალღებად ჩამოცურდა ძირს. კე არ უყურებდა ძეგლს. დაბლა იყურებოდა, უსასრულო ადამიანური ზღვისკენ. ხელებს უქნევდნენ – და მისკენ ისროდნენ ყვავილებს, მის ტერფებთან რომ იყრებოდა. გაისმა დაბალი და მძლავრი გუგუნი, რომელშიც შეერთდა ბრბოს აპლოდისმენტები და ღრიანცელი. მაგრამ როგორღაც ძალიან მალე ჩაცხრა. გულისამრევი სიჩუმის რამდენიმე წამმა გაიარა. და ამის კვალდაკვალ ადამიანური ზღვის თავზე გაისმა ისეთივე მქუხარე და ერთობლივი შიშის ამოსუნთქვა.
კემ თვალები ასწია ძეგლისკენ.
სასიკვდილო ორთაბრძოლაში გადაჯაჭვული ორი ბრინჯაოს მტრის ნაცვლად მან დაინახა ქვაბი. უშველებელი მოციმციმე ქვაბი – თითქოსდა ძველი კომედიიდან ტარაკნების ზომებამდე დაპატარავებული ადამიანების შესახებ, რომელთათვისაც მაგიდაზე გადაადგილებული სამზარეულოს ჯამ-ჭურჭელი ცათამბჯენებად გადაიქცა. მგონი, ძველად ასეთ მოკვერცხილ ცილინდრებს ეძახდნენ სწრაფმადუღარას – ერთი-ორჯერ ენახა ტერორზე ისტორიულ ფილმებში.
კე მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა. მიხვდა ყველა.
შეცდომა შეუძლებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ქვაბის გვერდზე ყვითლად მოჩანდა რადიაციული საშიშროების დიდი ნიშანი. იქვე მიკრული იყო სადენებით გარშემორტყმული ინდიკატორების ყუთი, რომელშიც წითელი ციფრები ციმციმებდა. და ინდიკატორიც და ციფრებიც კომიკურად დიდები იყო – რომ ყველას დაენახა.
00:13:88
ბოლო ორი ნიშანი ისეთი სიჩქარით ციმციმებდა, რომ მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო – ისინი ორ რვიანად ერთდებოდა. მაგრამ შუა რიგის ციფრები ტკაცუნობდა ნელ-ნელა, თითქოს ვიღაც დიდი აუჩქარებლად ადიოდა კიბეზე – და აი, უკვე შემოტრიალდა მოედანზე, ბოლო თანრიგის საფეხურებზე შედგა.
00:09:88

მოედანმა დაძაბული ბგერა გამოსცა, დაბალი და საშიში. ალბათ, ასე ხმაურობდა ზღვა შტორმისას, საშინელებას რომ მოეცვა.
კეშა ხვდებოდა: ამ სიზმრის მნახველებიდან თითოეულს იგივე ემართება, რაც თავად მას. მთელი ძალით ცდილობდა გაღვიძებას და ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ, თუკი ძალიან შეეშინდება, შეიძლება ეშველოს. მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა შიში, მით უფრო მჭიდროდ ეკვროდა ყურადღება ატომურ სწრაფმადუღარას, თავიდან ქმნიდა, თავიდან, თავიდან – და ყველაზე რეალურ საგნად აქცევდა მსოფლიოში.
00:07:88
სიტყვას «გამოღვიძება» არავითარი აზრი არ ჰქონდა. სიზმარი, ცხადი – ეს ყველაფერი უსაქმური ტვინის აბსტრაქციები იყო. რეალობა მდგომარეობდა უმართავ განცდებში, მის ტვინს რომ ანამცეცებდა, გამოფატრულს ელექტრონულ გამყოფ მაგიდაზე. «გამოღვიძება» მხოლოდ ჰიპოთეზა იყო. რომელიც ვარაუდობდა, რომ მომხდარს შეიძლება და კიდეც უნდა ჰქონდეს ბედნიერი დასასრული, რომელიც აუცილებლად გახდება კიდევ რაღაცის დასაწყისი.
ადრე, სხვათა შორის, ყველაფერი ასეც ხდებოდა.
00:04:88
კე მიხვდა, რომ შიში ვერ გადაარჩენს. და ეს, როგორც ჩანდა, გაიგო უსასრულო ადამიანურმა ზღვამაც, რომლის ზემოთაც იდგა – ბრბოს ხმაური წყნარი და ყრუ გახდა. «ღირსეულად უნდა მიიღო გარდაუვალი», – იფიქრა კემ. ის ხომ ახლა გმირია... ალბათ, უნდა დაეკრიფა გულხელი და გაეხსენებინა რაღაც, ყველაზე მთავარი მისი ცხოვრებიდან.
00:02:88
ეს, რასაკვირველია, სულაც არ იყო დაიკო.
ეს იყო სინათლე. თბილი და მოალერსე სინათლე. მას დაჰპირდნენ – სინათლე იქნებოდა მასთან ბოლომდე და გახდება უკანასკნელი, რასაც კე დაინახავს სიცოცხლეში. მაგრამ სადაა ახლა სინათლე?
კემ იფიქრა, რომ თვალებით ვეღარ შეხვდება. ხოლოთუ მერე მოკლე – და ყველაზე უკანასკნელ – წამს იცნო მასზე გადაკვეთილი ცუკერბრინების გამოხედვები.

მაგრამ ახლა მათში აღარ იყო არც უსასრულო ცოდნა, არც სიბრძნე, არც სიყვარული – არამედ მხოლოდ რაღაც მსგავსი შეუძლებლობის. და თუკი კეშას სურდა გამოეხატა სიტყვებში, ისინი ასე გაიჟღერებდა:
«ეტყობა, ახლა გაქრება არა მხოლოდ სიზმარი, არამედ ისიც, ვინც მას ხედავს. მაგრამ თუკი თავად უკვე აღარ იქნება, მაშინ ვისთვის დამთავრდება ყველაფერი? ჰა?!»
00:00:00

ნაწილი 5. კიკლოპი

კიკლოპის სიტყვა (მცირე აღსარება 00:00:00 GMT)

კეშას მომავალს ჩვენ კიდევ დავუბრუნებით – ჯერჯერობით კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს ექვსი ნულიც ჩვენი დროიდან გაიყოლა.
პირდაპირ მისი მაგიდის საპირისპიროდ ეკიდა ძალიან რეალისტური პლაკატი სამთავიანი ძაღლის, ჯოჯოხეთის დარაჯ ცერბერისა, რომლის სამივე თავი ყურადღებით უყურებდა ოფისში მსხდომ თანამშრომლებს. ძაღლის გადმოკარკლული თვალები მართლაც მოგვაგონებდა განულებულ წითელ ინდიკატორს.
კედლის სამთავიანი ძაღლი, როგორც ჩანს, ფლობდა არასახუმარო ჰიპნოზურ ძალას და შეეძლო, როგორც საჭიროა, ისე დაემახსოვრებინა თავი. მე აღმოვაჩინე მისი კიდევ ერთი გამოსახულება მომავალში, გაცილებით შორეულში – სადაც ის ფიზიკურად გაცოცხლდა და შეიძინა სამმაგი სული. მაგრამ ამაზე მერე მოვყვები.
გამაოგნებელი იყო, რამდენი სუვენირი, ექვსი წითელი თვალის გარდა, წაიღო კეშამ სამახსოვროდ. და სერიოზულად დამაინტერესა შეკითხვამ: რატომ ხდება, რომ მომავალ ცხოვრებებში თან გვდევს იგივე ჩვევები, იგივე შიშები? იგივე სახელები (თუნდაც სხვა ეტიმოლოგიით)? იგივე უბედურებები? თავიდან ვფიქრობდი, რომ მომავალი ამოიზრდება აწმყოდან, როგორც ხე ნერგიდან. თუკი ცხოვრების ადრეულ სტადიაზე ნერგს გავამრუდებთ, მისგან გაზრდილი ხეც მრუდე აღმოჩნდება, და ეს სიმრუდე ყოველ წელს, უბრალოდ, რგოლებს დააგროვებს... მაგრამ მერე ასეთი ახსნა არადამაჯერებელი მომეჩვენა – ცხოვრებიდან ცხოვრებაში შენარჩუნებული ფესვი ხომ მოხსენებულიც კი არაა. საუკეთესო

შემთხვევაში არის თესლი. ხოლოთუ მრუდე ხის თესლისგან სრულიად სწორი ხეები იზრდება.
მერე წარმოვიდგინე, რომ თავად საკითხის დაყენებაა მცდარი. «ჩვენ» კი არ დაგვდევენ იგივე სახელები, ჩვევები და შიშები. ეს «ჩვენ» ხელახლა ავეწყობით მათით. ჩვენი წინანდელი ინდივიდუალობის ყველა ელემენტი თავის თავს აგრძელებს, როგორც ამას აკეთებს ნებისმიერი ვირუსი, ბაქტერია ანდა ლიქენი.
ახალი კე – ცოცხალი თაბაშირია, ჩასხმული ძველი კეშასგან დარჩენილ ინფორმაციულ სიცარიელეში. ფაზა მცირე არსების სიმრავლეში, ოდესღაც რომ შეადგენდა ადრინდელ კეშას – ახლა კი ახალ კეშას. ჩვეულებების ამ ნაკრების მსგავსი კონფიგურაცია დაკავშირებულია თანაარსებობის ჩვეულებებთან. მდინარე, რომელიც ინარჩუნებს კალაპოტს. ადრინდელ ადგილას მცხოვრები მაიმუნების ჯოგი. არა რაღაც კეშას გულისგული, დაცული დროში (ის არ არსებობს), არამედ, პირიქით, სინათლის, ჩრდილისა და გამოსახულების ახალი კომბინაცია, ოდესღაც რომ ქმნიდა ასეთი გულისგულის ილუზიას – და მიწებებული ახალ სატყუარას.
მაშ, რაღა იბადება თავიდან? გასაგებია, რომ კეშას სული არა: იგი, როგორც აგვიხსნა ჰეგელმა, გააჩნია მხოლოდ სამყაროს და პრუსიის მონარქს. კეშა კვდება და იბადება ყოველ წამში – სად აღადგენენ სიკვდილიდან სამასი წლის შემდეგ, თუკი სიცოცხლეში ერთხელაც კი ვერ შეძლო ამის გაკეთება?..
ყველა მაიმუნი ერთმანეთისგან შედგება. გენები აქვს არა მხოლოდ ჩვენს სხეულებს, არამედ ჩვენს ტვინებს. ჩვენ ყველა მივაგავართ იმათ, ვინც აქ ცხოვრობდა ადრე... მაგრამ აქვს კი აზრი, ვილაპარაკოთ, რომ ჩვენ ისინი ვიყავით, ხოლოთუ ისინი გახდნენ «ჩვენ»?
ეს იმდენად ბუნდოვანი სფეროა, რომ აქ ყველა აზრი – მხოლოდ გემოვნების საკითხია. ტიბეტური ბუდიზმის ზოგიერთ ადეპტებს სჯერათ, რომ თითოეულ ლამას აქვს თავისი «სუფთა მიწა», სადაც მის შემდეგ წავლენ მოწაფეები. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი უფრო იოლია: ნებისმიერი გონება ქმნის საკუთარ სუფთა (ანდა არცთუ ისე) მიწას – და მიდის სწორედ იქ. გონება არის კიდეც ეს «მიწა». კაუჩუკის ბურთს აგდებენ იატაკზე, და ის იწყებს ხტუნვას ზევით-ქვევით, ზევით-

ქვევით... მასში ყველა ნაწილაკი შეიცვალა, ხოლოთუ ბურთი კიდევ დახტის.
ჩვენ, უბრალოდ, სახელების, ჩვეულებებისა და შიშების ჯამი ვართ. ჩვენ ვტოვებთ ანაბეჭდს რეალობაზე, სანამ ცოცხლები ვართ, ხოლო როცა ვკვდებით, სიცოცხლე კვლავ აწარმოებს საკუთარ თავს (სწორედ საკუთარ თავს და არა ჩვენ) ამ ანაბეჭდის მიხედვით. ზღვა ავსებს ნაკვალევს ქვიშაზე და საკუთარ თავს იღებს ფეხად. ფეხი დგამს ნაბიჯს, ისევ ტოვებს ღრმულს ზღვის ქვიშაზე, ქრება – და ზღვა ავსებს მის კვალს…
მისტიკოსები მართალს ამბობენ – ჩვენ არასდროს ვყოფილვართ ფეხი, ჩვენ ყოველთვის ვიყავით ზღვა, მაგრამ თუკი ჩვენ გამრუდებული ნეკა თითი გვაქვს და არ ვმკურნალობთ, მაშინ ეს დიდი ხნითაა, მაღალი სულიერი გარემოებების გათვალისწინებითაც. და თუნდაც ჩვენ გავგრძელდეთ არა აქ (არ შეიძლება, ორჯერ შეხვიდე ერთ მდინარეში, ხოლოთუ ერთ სამყაროში – მით უფრო) – სულერთია, ნეკის სიმრუდე ამისგან არ შემცირდება.
ყველაზე სევდიანი ისაა, რომ ჩვენ არ ვცდილობთ, ასე ვთქვათ, გავისწოროთ ნეკი, ვვარაუდობთ, რომ ეს არანაირად არ იმოქმედებს ჩვენთვის დანიშნულ მიწიერ მარშრუტზე. და გარკვეული აზრით, ეს ასეცაა. საუბედუროდ, ჩვენ არ გვესმის, როგორ, როდის და რატომ ვმოგზაურობთ სამყაროებს შორის. ეს კი მაშინ ხდება, როცა ვცვლით ჩვენს ჩვეულებებს და მიდრეკილებებს. ანუ, უფრო სწორად, როცა შეგნებულად ვცდილობთ მათ შეცვლას. ძლივს შესამჩნევი, ძნელად მისახვედრი და გაუგებარიც კი, რა დროსაა გაწეული ძალისხმევა – არის სწორედ ის კოსმოსური ძრავა, რომელსაც გადავყავართ ერთი სამყაროდან მეორეში.
საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. ძველი ჩვევები და მათგან შედგენილი პიროვნება არსად ქრება. ყველა ჩრდილოვანი ვაგონი უკვე არის, შესაძლებლის კრისტალური კედელი აბსოლუტურად შევსებულია – სიცარიელეში, როგორ დახვეწილადაც გამოხატა ერთმა ბერმა, არ არის ცარიელი ადგილი. ამიტომ, როცა შეგნებულად რამეს ვცვლით ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენ გარდავქმნით არა საკუთარ თავსა და საკუთარ სამყაროს, როგორც ვარაუდობდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, არამედ

უბრალოდ, ბედისწერის სხვა მატარებელში გადავდივართ, რომელიც მიქრის სულ სხვა სამყაროში.
და მიჰყავს სხვა მგზავრი.
თუკი გვეცოდინება, როგორ გადავხტეთ მატარებლიდან მატარებელში, განვახორციელებთ რეალობის რადიკალურ ცვლილებებს, რომლებიც არც კი მოლანდებიათ ყველა ამ ბებლებსა და დინოზავრებზე მონადირეებს. და ეგეთი ექსტრემალური მოხტუნავეები სამყაროში მართლა არიან, თუნდაც გავიხსენოთ ჯუანგ ძი. მაგრამ აქ მოქმედებს ერთი კანონზომიერება. ადრინდელი საკუთარი თავისგან საკმაოდ შორს რომ მივდივართ, გარდაუვალად ვივიწყებთ, ვინ ვიყავით ოდესღაც – იმიტომ, რომ ჩვენი სამყაროები ერთმანეთისგან განსხვავებას იწყებს საკმაოდ ძლიერად. მაშ, ეს ჩვენ არ ვყოფილვართ. ამიერიდან წარსული მხოლოდღა ჩვენს სიზმრებში თუ შეიძლება მოხვდეს.
ახლა გვახსოვს მხოლოდ საკუთარი ახალი სამყარო. მეხსიერება ასეთ შემთხვევებში სულაც არ გვატყუებს. სინამდვილეში მართლა ვიყავით ის, რაც გავხდით წამის წინ. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს ეს. მაგრამ მე უკვე ვილაპარაკე, რომ ეს ხდება სამყაროსთან მიმართებით, და არა – «ჩვენთან». მეჩვენება, რომ ამაშია კიდეც ბედნიერება. შეგვიძლია უკან დავტოვოთ ჩვენი მეხსიერება, მთელი მისი მწარე სიმართლით – და შევიძინოთ ახალი. თუკი გაღუნული თითების სამყაროდან საკმაოდ შორს მივემგზავრებით, ჩვენ ჩავდივართ სამყაროში, სადაც ჩვენი ნეკა თითი ყოველთვის სწორი იყო. ჩვენ თითქოს გვეხსნება ნასამართლობა – განსასჯელის მეხსიერებასთან ერთად. თითოეულმა იცის, როგორი გამოუცნობია ჩვენი მომავალი, მაგრამ ყოველმა არ იცის, რომ ასევე გამოუცნობია ჩვენი წარსული.
სამყაროებში ჩვენი მოძრაობის მექანიზმი – ეს, უბრალოდ, ჩვენი ყოველწამიერი არჩევანია: კარგსა და ცუდს, თანაგრძნობასა და სიძულვილს, ველოსიპედსა და ფეისბუკს, ყვითელსა და მწვანეს, ცისფერსა და ნარინჯისფერს შორის, და ასე შემდეგ. ამ არჩევანს ჩვენ თავად ვაკეთებთ, თუ რაღაც ძალა სჩადის ამას ჩვენ მაგიერ – მაგრამ სწორედ მათი მეოხებით ვმოძრაობთ მულტივერსში.
და ესეც თქვენ კიკლოპის რჩევა: თუკი ირგვლივ შენიშნეთ

სამყარო, რომელიც სულაც არ მოგწონთ, გაიხსენეთ, რა გააკეთეთ, რომ მასში მოხვედრილიყავით. შესაძლოა, თქვენ არც კი ხართ სამხედრო დამნაშავე, არამედ მეტისმეტად ხშირად უყურებთ ნიუსფიდს ანდა ტელევიზორს. მაშინ ყველა ჩვეულებიდან საკმარისია მხოლოდ ამის შეცვლა.
მე, კერძოდ, არ გთავაზობთ არანაირ ექსტრავაგანტურ მეთოდებს აწმყოდან მომავალში სამოგზაუროდ. მსურველებისთვის არსებობს უამრავი საგანგებო სწავლება, რომელიც შეიცავს ყველაზე რადიკალურ ტრიუკებსა და ტექნიკას. მაგრამ მე არ განვიცდი ამ ტექნოლოგიების მიმართ განსაკუთრებულ ნდობას – ისინი საიმედო არაა, სარისკო და ძნელია. და ისინი ყველასთვის არაა. მსუქანმა ლოთმა შეიძლება წაიკითხოს სახელმძღვანელოში აკრობატული სალტოს აღწერილობა, მაგრამ ამ საიდუმლო მავრიტანული ცოდნით სარგებლობის ცდა ძნელად თუ მიიყვანს რაიმემდე, გარდა ჩალურჯებების და მოტეხილობებისა.
სამაგიეროდ, არის ერთი უბრალო და გამოცდილი ტექნიკა, ყოველთვის რომ მუშაობს. ნელი, მაგრამ ყველაზე საიმედო მეთოდი ბედნიერ სამყაროებში გადაადგილებისა აღწერილია ყველა ძველ წიგნში – მათ იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება, სორრი ბანალურობისთვის, მცნებებს. ისინი ყველგან ერთი და იგივეა, ესაა სწორი ცხოვრების ტექნიკა. და მცნებების მიხედვით ცხოვრება ძალიან რთულია («არა იცრუო», «არა კაც ჰკლა», «არა იპარო» და ასე შემდეგ – ხომ განეკუთვნება არა მხოლოდ ფიზიკურ გამოვლინებებს, არამედ გონების მდგომარეობებს). მაგრამ ჩვენ, განათლებულმა თანამედროვე ადამიანებმა, ვიცით, რომ მცნებები ჩვენთვის არ დაწერილა. ჩვენ – მაღალგანვითარებული არსებები ვართ, მცხოვრებნი განსაკუთრებული წესებით წინ წასულებისთვის.
აჰ, ნეტამც.
მიზიდულობის ძალა ყველასთვის ერთია. და დაე, იყოს ერთი ყველასთვის, ყოველგვარი გამყოფი ზოლის გარეშე, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერები სპეცსიგნალებით გაივლიან. ეგეთები არსად უყვართ.
«არა იცრუო», «არა კაც ჰკლა», «არა იპარო» – ეს მისტიკური მსხვერპლი კი არაა, რომელიც მოითხოვს ჩვენგან, ბატონებისგან თავისი მიუღწეველი სუბიექტურობის ძალას, და

არც კლასობრივად და სოციალურად განპირობებული ფერტილურობის
და სოციალური ეტიკეტის რეგულატორი, არამედ უბრალოდ, ინსტრუქციაა მარადიულობაში საცურაოდ. შეგიძლია, გაცურო ბრასით, ანდა კროლით, ძაღლურადაც მოსულა – სწავლულები სამყაროში საკმაოდაა. მაგრამ თუკი მართლა მივცურავთ, ჩვენ გადავნაცვლდებით სხვა სამყაროში, თანაც მაშინვე. ჩვენ ვერ ვგრძნობთ და არ გვახსოვს ეს გადასვლები, იმიტომ, რომ თითოეულ ახალ სამყაროში, სადაც ჩავდივართ, ჩვენ აღმოვჩნდებით მის შემადგენელ ნაწილად – ნაწილად, რომელიც იქ მუდამ იყო. აი, ეგეთი პარადოქსია.
ასეც ხდება, – რაღაც სიბრიყვეს ჩავიდენთ, მერე კი, თითქოსდა ამის პასუხად, უცებ იცვლება მთელი ჩვენი სამყარო. ხდება მნიშვნელოვანი და ძალზე უსიამოვნო მოვლენები, მილიონობით ადამიანს რომ შეეხება, იმდენად დიდი, რომ ჩვენ ვხვდებით – ეს არანაირად, ჰო, არანაირად არ შეიძლებოდა, გამოწვეული ყოფილიყო ჩვენი მიკროსკოპული ცოდვით. და მიუხედავად ამისა, არ გვეშვება რწმენა, რომ სწორად გავიგეთ საქმის არსი – და სამყარო რაღაცნაირი ხერხით ანგარიშს ასწორებს ჩვენთან. ადამიანებს, ვინც ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, სოლიპსისტებს უწოდებენ, ანდა უფრო მარტივად – შიზოფრენიკებს. მიუხედავად ამისა, მათ ინტუიცია არ ატყუებთ. სამყაროს ტრანსგრესიის მიზეზი სწორედ მათშია – ისინი, უბრალოდ, ვერ ხედავენ მექანიზმს, ბედნიერი სამყაროდან იმ სამყაროში რომ გადაისროლა, რომელშიც ადრე ყველაფერი კარგად იყო, მერე კი უცებ ყველაფერი გაფუჭდა.
მე რომ საკუთარ თავში ვგრძნობდე წინასწარმეტყველის მონაცემებს და მჯეროდეს, ადამიანები შეიძლება დაარწმუნო, ცუდი სამყაროდან კარგში გადახტნენ, შესანიღბ ბალაკლავას დავიხურავდი (უამისოდ არ მომისმენდნენ), ავძვრებოდი ჯავშანტრანსპორტიორზე და რაღაც ამისთანას დავიყვირებდი: –ადამიანო, არ მოგწონს, რაც ირგვლივაა? გინდა, ნორმალურ ადამიანებში იცხოვრო? გახდი ისეთი, როგორიც სხვები გინდა დაინახო. ოღონდ მარტო ხუთი წუთით ნუ მოიკატუნებ თავს, არ იეშმაკო – არამედ მართლა გახდი. სამყაროს აღარაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ შენ მოგბაძოს. სწორედ ესაა

მაგია...
მაგრამ მე, რასაკვირველია, არავითარ ჯავშანტრანსპორტიორზე არ ავძვრები. იმიტომ, რომ ამისთანა ქადაგებების გარეშეც ჩვენ, ყველა – მარჯვე და გამოცდილი ჯადოქრები ვართ. ძალზე პირქუში ყოველდღიური რიტუალების მეშვეობით ჩვენ გადავედინებით ერთი უშვერი სამყაროდან მეორეში, გამწმენდი რევოლუციის ლოდინში, რომელიც დაანგრევს ყველა ციხესიმაგრეს, გამოაღებს ყველა კარს და გადაჩეხს ყველა თავის ქალას.
თანაც მხოლოდ ცალკეული გონებები კი არ მოგზაურობენ. მოგზაურობენ მთელი ქვეყნები და მთელი სამყაროები – ყოველი შემთხვევისთვის, ასე ჩანს დამკვირვებლისათვის. ერთ ამისთანა ძველ მოგზაურობაზე მინდა კიდეც მოგიყვეთ (ძალიან მოკლედ, იმიტომ, რომ იმ მისტერიის ჩრდილი ნამდვილად თვალის კუთხით დავინახე).
მაგრამ დაწყება ამჯერადაც შორიდან მომიწევს.
მაიმუნების კუნძული
იმაზე დავას არავინ დაიწყებს, რომ ადამიანური გონებები ცხოვრობენ ტყავისა და ხორცის გახვრეტილ ტომრებში. და ჩვენს კულტურას აქვს ერთი უცნაური თავისებურება, რომელსაც იმდენად მივეჩვიეთ, რომ არც კი განვიხილავთ. ყველაზე უკეთ ამის ახსნა კინემატოგრაფიდან მოყვანილი მაგალითით შეიძლება.
ნებისმიერი თანამედროვე ბლოკბასტერი (მათგან, რომლებიც ერთდროულად გამოდგება ქვედა საცვლის კატალოგად, კარგი მანერების სკოლად და დასაშვები პოლიტიკური შეხედულებების რეესტრად) არსობრივად შთაგვაგონებს, რომ ეკრანზე მორბენალი გმირები მოკლებული არიან ყველა უსიამოვნო პრობლემას, რომელიც თან სდევს ადამიანური სხეულის ცხოველ მატერიალურობას. აქტიორები დევნიდან და სროლებიდან წამში გადადიან სანთლებით განათებულ დახვეწილ ვახშამზე, ისინი ნებისმიერ დროს მზად არიან სასიყვარულო ორგიისთვის ანდა პარაშუტით გადმოსახტომად. ისინი ჩხუბობენ, როგორც განრისხებული ღმერთები, რომელთა სხეულები დარტყმისგან მხოლოდ და მხოლოდ მაგრდება.
მერე კი გაზეთები აცხადებენ, რომ რომელიღაც მათგანი

ტრაგიკულად დაიღუპა გადაღებების დროს, საპირფარეშოში ფეხი აუსხლტა.
ყველამ იცის, რომ ზეადამიანური ვიდეორიგი იქმნება დუბლების უამრავი რაოდენობისგან, ხოლო შუალედებში ზეადამიანები სხედან უნიტაზებზე, ეომებიან სახეზე ამოსულ მღიერებს, მკურნალობენ ეგზემას და გრიპიც სჭირთ ხოლმე. მაგრამ მაყურებელს, ეკრანულ საოცრებებს რომ ნახავს, მაინც საკუთარი თავი ეჩვენება ქაქის ტომრად – და ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამაშია თანამედროვე კინემატოგრაფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.
მაგრამ ეს ყველაფერი დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ასეთია ადამიანური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი თვისება. და იგი ვლინდება ძალიან მრავალფეროვნად.
თითოეულმა იცის, როგორია, შეინაჩუნო საკუთარი სხეულის ფუნქციონირება და გარეგნობა «საკადრისისა» და «სათანადოს» ჩარჩოებში – ამის გამო წარმოიქმნება კაი ნახევარი მაინც ყველა ადამიანური სტრესისა. სხეული ცხოვრობს ძველი ცხოვრებით, მისი საჭიროებები სრულიად არაა სინქრონიზებული სოციალურ განწყობასთან, იოფლება, აკუებს, ხვრინავს, ახველებს, მოსაფსმელად მიდის მილიარდი წლის წინათ მიღებული წესით. მას პრიორიტეტებისა და ფასეულობების სხვა სკალა აქვს, ვიდრე ჩვენ. მღიერი ცხვირზე მისთვის სულაც არაა ტრაგედია, და არაფრად უღირს, ერთი დამპალი ყურძნის მარცვლის გამო მწარედ ჩაისვაროს დანიის მეფის პატივსაცემად გამართულ საზეიმო ფურშეტზე. თანაც ეს ამბავი თავად დანიის მეფესაც შეიძლება იოლად დაემართოს.
მას შემდეგ, რაც ადამიანები გახდნენ ადამიანები, ისინი ცხოვრობენ კულტურაში, რომელიც მათ ცენტრალური და ყოველდღიური გამოცდილების შინაარსს კლოზეტის სიბნელეში დევნის. დღევანდელი ლიბერალური და განათლებული საუკუნეც კი გვაგულიანებს, ყველას დასანახად გამოვიტანოთ იქიდან თუნდაც ჩვენი ჰომოსექსუალურობა – მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნებაზე მიშვებული მესამე სტადიის ჰემოროი, რომლითაც, სხვათა შორის, გაცილებით მეტი რაოდენობის ადამიანი იტანჯება (Партія «Удар», – უკრაინულად შეთხზავდა კეშა – Ми розповимо, про що інші мовчать
საკუთარი ფიზიოლოგიის ეს ზღვარს გადასული ჩაგვრა

განსაკუთრებით ძლიერია პროფესიონალი ლამაზმანების წრესა (ისინი არასდროს ქაქავენ და ოფლის სუნი არ უდით, მხოლოდ თვალების ცისფერი ყინულები უბრწყინავთ) და არისტოკრატების წრეში (წარმოუდგენელი სირცხვილი ნაბოკოვისთვის – ჰაერი გააფუჭა სასტუმროში, ხოლოთუ ერთი გენერალი, როგორც ამბობენ, შარდის ბუშტის გასკდომით გარდაიცვალა).
და ჩვენ, აქოთებულმა ტაკიმასხარა მაიმუნებმა, გამუდმებით მკვრინავი მუცლებით, რატომ მოვაწყვეთ ჩვენთვის ასერიგად მოუხერხებელი რეპრესიული კულტურა, დაფუძნებული ჩვენი ბუნების სრულ უარყოფაზე?
სოციალური კრიტიკანობისკენ მიდრეკილი ადამიანები ამბობენ, რომ მიზანი იყო დეპილატორების, დეზოდორანტების და, საერთოდ, ყოველგვარი კოსმეტიკური მომსახურების ბაზრის შექმნა. ეს, რასაკვირველია, ანტიბურჟუაზიულად და კონტრკულტურულად ჟღერს – მაგრამ ეგრე ფიქრი ნიშნავს მიზეზისა და შედეგის აღრევას.
იმის ცდა, რომ თავი საკუთარ ფიზიკურ საწყისზე უფრო ლამაზად აქციო და შენი ცხოველური ფიზიოლოგია გაასაიდუმლოო – სწორედ ესაა თავდაპირველი ფუნდამენტი, რომელზეც დაშენებულია ცივილიზაცია ჩვენთვის ნაცნობ ფორმაში.
მიზეზი ისაა, რომ შესაძლებლის უსასრულო რეესტრში ნამდვილად არის ბედნიერი სამყაროები (ზოგადად ბედნიერები კი არა, არამედ მხოლოდ ჩვენთან შედარებით), რომელთა მცხოვრებნიც ძალიან გვგვანან გარეგნული ფორმებით, – მაგრამ მოკლებული არიან ჩვენი მაიმუნური ბუნების დამამცირებელ თავისებურებებს. ამ სამყაროებს სხვა მატერიალურობა გააჩნია.
იქ სხეული არ ბერდება (ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც ჩვენი), საკვების შეთვისება სხვანაირადაა, ავადმყოფობები უფრო მიაგავს განწყობილებების ვარდნებს. მათი ბინადარნი უფრო ლამაზები არიან ჩვენზე, თუნდაც სრულ სცენურ გრიმში ვიყოთ. მათი ომები მიაგავს ჩვენი კინოგმირების ბრძოლებს. მათი სიყვარული შედგება სუფთა სიამტკბილობისგან, და არა ფარული ტანჯვისგან მეტეორიზმების, რძიანების, ცხიმის ნაკეცების და ცუდი ერექციის მიზეზებით. სწორედ ამ ბედნიერი

განზომილებების გამოსახვას ლამობს აზიური იკონოგრაფია და ჰოლივუდი.
ერთ-ერთი ამისთანა სამყარო თავის დროზე დაამხვეს ჩვენთვის ნაცნობი კანონების სივრცეში. უფრო სწორად, ის განადგურდა – სწორედ იმ ფრინველებით, რომლებიც ჩვენს მოდგმას დღესაც უთვალთვალებენ. მაგრამ მისმა მცხოვრებლებმა, ყოფიერების უფრო დაბალ ფენას თითქოსდა ჩაჭიდებულებმა, იპოვეს შესაძლებლობა, შენარჩუნებულიყვნენ ცხოველურ სხეულებში და გარეგნულად სწრაფად დაამსგავსეს თავიანთი კულტურა ადრინდელს. ამ ძველი კატასტროფის გამო ცხოვრების ახალი მარშრუტების უმეტესობა დაიხაზა – ისე, როგორც ჩაძირული ხომალდის მგზავრებს რომ გაეცურათ მაიმუნებიან კუნძულზე და, მერე, გადარჩენილები, თავადაც მაიმუნები გამხდარიყვნენ, მაგრამ შეენარჩუნებინათ სამოსი, ჩვეულებები და ენა, ოღონდ სიფათების გაპარსვა დაეწყოთ და თიხისგან კიდევ კოსმეტიკა ეკეთებინათ.
და იმ დროიდან მაიმუნები თავს გვაჩვენებენ, რომ ძველებურად ადამიანები არიან – იმათ იმიტირებენ, ვინც ოდესღაც მათი წინაპარი იყო. თავიანთი ცხოველური ბიოლოგიის შეცვლა, რასაკვირველია, არ შეუძლიათ – ამისთვის მილიარდობით წელი სჭირდებათ. მაგრამ მაიმუნებმა ისწავლეს ცხოვრება მუდმივ მასკარადში, თავს იკატუნებენ, რომ გააჩნიათ სხვა ბუნება, ვიდრე მათ სხეულებს.
უბრალო ცდასაც კი, წარმოიდგინო, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება საკუთარი ბუნების მუდმივი შევიწროების გარეშე, შეუძლია მოგვცეს საინტერესო მხატვრული ეფექტები – ავიღოთ თუნდაც ბუნუელის «ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი», სადაც მაღალი საზოგადოების დარბაზობის მონაწილეები შარვალჩახდილები სხედან მაგიდის ირგვლივ მოდურ უნიტაზებზე, ხოლოთუ საჭმელად მიდიან საიდუმლო კაბინეტებში. აბსურდი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამ ფანტაზიას არ ჩამორჩება – უბრალოდ, სხვა ენა აქვს.
აი, ეს ძველი მასკარადი არის კიდევაც ჩვენი კულტურა. თავშესაქცევი ისაა, რომ მაიმუნების კუნძულსა და იმ ადგილს შორის, საიდანაც მოცურავდა ჩაძირული ხომალდი, რეგულარულად დაცურავენ ბორნები. თითოეულ მაიმუნთაგანს, პირადი ინიციატივის განრიგით, შეუძლია, დაბრუნდეს იმ

სივრცეში, საიდანაც ოდესღაც გააძევეს ადამიანთა მოდგმა: არის უამრავი მარშრუტი, და მათზე უხსოვარი დროიდან მოგზაურობენ ზემოთ და ქვემოთ.
მაგრამ მაიმუნების უმეტესობას სულაც არ უნდა ისევ ადამიანად გადაქცევა. მათ სურთ, გამოიყურებოდნენ, როგორც ადამიანები, სანამ გრიალებენ მაიმუნების კუნძულზე. სამწუხაროდ, მაიმუნების კუნძულის მომავალი ბედი სევდიანია. მე ვხედავ მომავლის ისეთ სიმებს – და ეს უმეტესობაა, – რომელთა ბოლოშიც ჩვენს გზაკვალარეულ მოდგმას წამოფერთხავენ ახლანდელი ტომრებიდან, სიბინძურეებთან ერთად (მაისტერ კე იმყოფება ყოფიერების ახალი მოდუსის გზის დასაწყისში – ის ჯერ კიდევ ნამდვილი მაიმუნია, უბრალოდ, ცოტას მოძრაობს).
მერე ჩვენ ვვარდებით უფრო ქვემოთ, გაცილებით ქვემოთ – სივრცეში, ძნელად რომ ემორჩილება აღწერას. თუკი მეტაფორას გავაგრძელებთ, ესაა რაღაც ტანჯული მცენარეების სამყაროს მსგავსი, სადაც მკვდარ მაიმუნებს ჰბაძავენ. ესეც იგივე არსებათა უფრო მაღალი კლასის კუთვნილების იმიტაციაა: მცენარეები, რაც ძალი და ღონე აქვთ, ისეთ სახეს იღებენ, თითქოს მაიმუნები არიან, ქარის ბერვას იყენებენ სხეულებრივი მოძრაობის იმიტაციისთვის. უამრავი კოსმეტიკური ეშმაკობის მეშვეობით თავს იკატუნებენ, რომ აკუებენ, ოფლიანდებიან და აბოყინებენ – და ამ ძვირად ღირებული ილუზიის აგებაში მიდის ლამის მთელი მათი მოკრძალებული რესურსები.
ბევრი აღმოჩნდება იქ და მიმიკრიის ხელოვნება მიაღწევს სიმაღლეებს, რასთან შედარებითაც გაფერმკრთალდება მთელი დედამიწის მომხიბვლელობა და სილამაზის ინდუსტრია.
ამ სამყაროში იქნება საკუთარი ხელოვნებაც კი – გამჭოლი, მწარე, ალალი, თითქოსდა დამთვრალი შეკითხვებით «რატომ?» და «რისთვის?». და მრავალი დიდი მხატვარი საუკუნეებით დახვეწს იქ ქარის ჟესტის ხელოვნებას.

ზემოთ მხტუნავები

მესმის, რომ შესაძლოა, გზა-კვალი ავურიო მკითხველს – მაგრამ თავად ფრინველები – ასეთივე ძველი ტრაგედიის მსხვერპლნი არიან. ისინი სინამდვილეში ფრინველები არ

არიან. მათი სხეული გაშიშვლებული სახით უფრო მოგვაგონებს ჭიაყელებსა და მოქნილ გველებს. ძალიან პატარები არიან. ხოლოთუ ფრინველების შებუმბვლა, ფეხები და ნისკარტები – ეს რაღაც აბჯრის მსგავსია, რომელსაც ისინი ატარებენ მოუხსნელად. მანქანა, რომელიც მათი სხეულის შემცვლელია. ოდესღაც ისინი მართლა ფრინველები იყვნენ, მაგრამ იგივე რეგრესია დაემართათ, რაც ჩვენ, ოღონდ უფრო ღრმა. მათგან ზოგიერთს, განსაკუთრებული კულტებისა და პრაქტიკების მეოხებით, აქვს უნარი, დაბრუნდეს ნამდვილი ფრინველების სამყაროში. მაგრამ ყველა ეს სივრცე ჩვენგან ისე შორსაა (ტრანფორმაციის მოცულობის თვალსაზრისით, რაც იქ მოხვედრის საშუალებას იძლევა) და ისე არა ჰგავს ჩვენს სამყაროს, რომ დამაჯერებელს მეტს ვეღარაფერს ვიტყვი ფრინველებზე.
და გვეყო სიპირქუშეზე. რაკი ქვედა უფსკრულზე ვილაპარაკე, საჭიროა, ზედა უფსკრულიც მოვიხსენიო. ეს უფსკრულები, იოლი მისახვედრია, იმით განსხვავდება, რომ ქვედაში შეიძლება ჩავარდე, ხოლოთუ ზემოთასკენ დიდხანს და ჯიუტად უნდა იცოცო. არავითარი მორალური რელატივიზმი – უბრალოდ, გრავიტაციის ამბავია.
რა გვემართება, როცა ბედისწერის მატარებლებს ისე მაღლა ავყავართ, რამდენადაც ეს შესაძლებელია? აქვე გამოგიტყდებით, რომ ამ გზის დასასრულს მე ვერ ვხედავ – და სრულიადაც არ მრცხვენია: გრძნობათა ორგანოები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ადეკვატურად აღვიქვათ შესაძლებლის შორეული წერტილები, გვეძლევა მხოლოდ აღმავალ კიბეზე მრავალჯერ გაფრენის შემდეგ.
თუმცა ბევრჯერ შემინიშნავს ჩვენს სამყაროში ვიზიტორები ფარული სივრცეებიდან. უფრო მეტიც, ისინი შეუმჩნევია ლამის ყველა ადამიანს – უბრალოდ, არ იცოდა, სახელდობრ, რას გრძნობდა.
ჩვენში ხანდახან ისეთი რამე იელვებს, ბევრად რომ აღემატება ჩვენს ყოფასა და ბედისწერას. მიუხედავად დიდი სურვილისა, არ შეგვიძლია ჩავტენოთ ეს ჩვენს დღიურში ანდა სოციალურ ქსელში, რადგან არ ვიცით, როგორ გამოვხატოთ და გადავიღოთ. თითოეულ ჩვენგანს ახსოვს, ალბათ, რაიმე გასაოცარი განცდა, გონებისა და სულის რაღაც იშვიათი და

ლამაზი მდგომარეობა, რომლის გაზიარებაც გვინდოდა ვინმესთან, ვინც გაგვიგებდა. ჩვენ თითქოს ანგელოზებს მოვუხმობთ, ვეუბნებით: «მიყურეთ, მე მიყურეთ – განა ეს მშვენიერი არაა?»
და ანგელოზები მოდიან. ჩვენ კიდევ, გაქანქულები, ვხვდებით, რომ ვიღაც მაღალი, ჩვენზე გაცილებით მაღალი, ხედავს და იმავეს გრძნობს, რასაც ჩვენ – თითქოს ჩვენი სულის აივანზე ეშვება ჩვენივე აღფრთოვანების გასაზიარებლად.
ჩვენ მრავალი სხვადასხვა ფუნქცია გვაქვს სამყაროში. ერთ-ერთი ისაა, რომ სადამკვირვებლო მოედანი ვიყოთ უმაღლესი არსებებისთვის. ჩვენ გაუცნობიერებლად ვიწვევთ მათ, როცა ვგრძნობთ, რომ მომხდარი ამად ღირს – ეს ჩვენში ჩამონტაჟებული მაჩვენებელივითაა, რომელიც ავტომატურად ირთვება. ხოლო როცა გვეჩვენება, რომ ცხოვრება შევიდა ჩიხში და გვაკლია რაიმე ახალი და ნათელი, მოგზაურობა, თავგადასავლები და ასე შემდეგ – ეს, უბრალოდ, მინიშნებაა, რომ ჩვენგან იშლება არცთუ საინტერესო ხედი და უნდა გავაუმჯობესოთ სერვისი.
ფეისბუკი და ინსტაგრამი, არსებითად, არის იმის გამარტივება და პროფანაცია, რაზეც მე ვლაპარაკობ: შენი კატის ფოტოსურათის გამოდება, გაშეარება ცხვრის ფარასთან ერთად შენი «მი-მი-მი»-სი... ეს ისევეა, როგორც თოჯინა თამაშობდეს თოჯინობანას, ხოლო ჯარისკაცი – ომობანას. ჩვენ თავადვე ვართ ფეისბუკი და ინსტაგრამი, ჩვენ აკრძალული ჭალები ვართ, ბნელი ხეივნები, ტრეკები და სწრაფდაშვების ფერდობები – განზომილებები, სადაც მოგზაურობენ უმაღლესი და ჩვენთვის მიუწვდომელი არსებები.
ვინ არიან ისინი?
მე არ ვიცი, საიდან მოდიან და სად მიდიან. მე არასოდეს მინახავს ისინი (ერთი გამონაკლისის გარდა, რომელსაც მოვყვები). ალბათ, უფრო, მათ არა აქვთ არავითარი საკუთარი მუდმივი ფორმა. მაგრამ მე ვიცი, ისინი როგორ გამოიყენებენ ჩვენს გამოცდილებას.
წარმოიდგინეთ კალეიდოსკოპური ადამიანი, თავისებური ვირტუალური ფრანკენშტაინი: არა აქვს საკუთარი სხეული, მაგრამ თითქოსდა ქირაობს სხეულებს ადამიანებისგან, როცა მათ რაიმე საინტერესო მოუვათ. განთიადს აზიაში ხვდება – და

რამდენიმე წუთში მოცურავეა, აღსავლის ვარდისფერ წრეში რომ ცურავს. მერე გადადის ჩინეთის მთებში – და კიდევ ხუთი წუთით ის მოხუცია, სამკურნალო ბალახებს რომ აგროვებს... მომდევნო ხუთ წუთს სამხრეთ ამერიკაში ატარებს ტყის კოცონის მახლობლად, იმ ინდიელის სხეულში, აიაჰუასკა რომ მიუღია; ამის შემდეგ გადაინაცვლებს ნიუ-იორკში, რათა იგრძნოს ენდორფინული აღტაცება, ბროკერს რომ აღავსებს, საბირჟო კრახიდან ათი წუთით ადრე რომ მოუსწრია აქციების მოშორება. მერე უდაბნოში მიდის აქლემით, ავტომატს ბღუჯავს და დამაბრმავებელ ცას უყურებს ცერად – მერე კი უმზერს ყოფილ საკუთარ თავს ცაში მოლივლივე დრონის ობიექტივიდან... და ასე დაუსრულებლად.
ესეც თავისებური ხელოვნებაა, მაღალი და რთული, მაგრამ მისი ფორმა ნაწილობრივ არის ჩვენი შესაძლებლობისთვის. მე რაღაც საშუალოდ მეჩვენება კინოს, იკებანასა და მუსიკას შორის.
უჩინარი არსებები თითქოსდა თაიგულებს ადგენენ სხვადასხვა ცხოვრებიდან, რომლებსაც ერთიმეორეს უხამებენ იმ კანონებით, ჩვენს მუსიკალურ წესებს რომ ჰგავს. სამი ინდიელი აიაჰუასკაზე – მინორული აკორდია, დრონის პილოტი – კონტრაპუნქტი უდაბნოში მიმავალ არაბ შაჰიდთან, და ასე შემდეგ. კინომონტაჟს ემგვანებოდა, მაგრამ სხვაობა ისაა, რომ ყველა ცნობიერება, ამგვარად ჩაწნული იკებანაში, განიცდება ერთიმეორესთან შეთავსებით (როგორც ეს ხდება ყვავილების თაიგულთან, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ), და შეკითხვა, დასმული ერთ გონებაში, მაშინვე შეეფარდება მეორე ცნობიერებაში აციმციმებულ პასუხს – თუმცა თავად შეკითხვამ და პასუხმა არაფერი იციან ერთიმეორეზე.
შეუძლებლის ამგვარი შეერთება ხსნის თანახმიანობას და აზრებს, რასაკვირველია, ადამიანთაგან ვერავისთვის დასანახს. მაგრამ ეს ხელოვნება ბევრად აჭარბებს ჩვენი წვდომის შესაძლებლობებს – და შეიძლება სრული მნიშვნელობით ზეადამიანური ვუწოდოთ, თუნდაც საფუძვლად უბრალო ადამიანური გამოცდილება ედოს.
უმაღლესი არსებებისთვის ჩვენ – საფეხურები ვართ, რომლებზეც ისინი ხტებიან. მაგრამ, მიღებული აზრით, ჩვენ ყველა – ეგეთი მოხტუნავეები ვართ. როგორც იტყოდა ენდი

უორჰოლი, თითოეული იქნება მოხტუნავე თხუთმეტი წუთით. ის თხუთმეტი წუთი, როცა მოხტუნავე იქნება თითოეული. ბედისწერის კიბე მიდის ზემოთ და ზემოთ, განუზომლად მაღლა. იქ არის სართულები, საიდანაც იხსნება წარსულის ლაბირინთი და ძველ გონებებში მოგზაურობის შესაძლებლობები. და, რასაკვირველია, სამყარო შემოსაზღვრული არაა ადამიანებითა და მათი სამყაროთი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ ავიდეთ აზრმიუწვდენელი შესაძლებლობებისა და თავისუფლების უმაღლეს სივრცეებში. ჩვენ შეგვიძლია იქიდან გადმოვვარდეთ, თანაც მალევე. ოღონდ ჩვენ არ გვახსოვს ეს ვარდნები და აფრენები. ჩვენ მხოლოდ ვხედავთ, როგორც პოეტმა გამოხატა, სიზმრებს რაღაც უფრო მეტზე. ზემოთ რომ ავდივართ, გვავიწყდება, რომ ადამიანები ვიყავით, ხოლო ჩვენს განზომილებაში ჩამოვარდნილებს, უკვე ვეღარ გაგვიგია, ვინ ვიყავით ადრე.
მართალია, არის ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია, დაანგრიოს ეს კანონი – თანაგრძნობა. მაგრამ ამ ძალას, საერთოდ, ყველაფერი შეუძლია.
იმედი
ჩემი მოყოლილიდან შეიძლება შეიქმნას აზრი, რომ ჩვენი სამყარო მოძრაობს ცუდიდან ძალიან ცუდისკენ, მასში ცხოვრობენ ვიღაც ხეიბრები და მახინჯები – და არავითარი იმედი არ არის.
ეს ასე არაა. მე მსგავსს არაფერს ვამტკიცებ. კიკლოპისთვის, საერთოდ, არ არსებობს «სამყარო» – სამყაროები ბევრია, და სულაც არაა დასახლებული ხეიბრებითა და მახინჯებით. სამყაროები შედგება განცდებისგან, აღქმებისგან და ჭკუის მდგომარეობებისგან, რომელთაც შეუძლია გაჩნდეს და გაქრეს ნებისმიერ, პროგრამულად მათთან თავსებად თავის ქალაში. ჩვენ გვსტუმრობენ აზრები, რომლებიც დროებითად გვაქცევს გაიძვერებად, და აზრები, ცოტა ხნით რომ გადაგვაქცევს წმინდანებად. ეს ყველაფერი, დიდი ანგარიშით, სტატისტიკის საკითხია.
მაგრამ საშუალო-სტატისტიკური სამყარო ადამიანის თავის შიგნით შეიძლება დასახელდეს, როგორც ტანჯვის სამყარო. მთავრი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს გონებაში

მოქმედებს «ჩაის კოვზის უარყოფითობის კანონი». იგი ასე ჟღერს – «თუკი ერთ სათლ მურაბას დავამატებთ ერთ კოვზ ქაქს, მივიღებთ ქაქს». სხვა სიტყვებით, გაცილებით ადვილია ჩვენი გადაქცევა უბედურებად, ვიდრე ბედნიერებად.
მაგრამ არსებობენ ისეთი სამყაროებიც, სადაც მოქმედებს «ჩაის კოვზის ნეიტრალური კანონი» – ანუ, ერთ სათლ მურაბაზე ზემოთ ნახსენები ერთი ჩაის კოვზი სუბსტანციის დამატება არ ცვლის სათლში მურაბის ბუნებას (ჩვენ არ შეგვიძლია, გავიგოთ, ეგეთი რამე რანაირად შეიძლება, სწორედ იმის გამო, რომ ჩვენს ცნობიერებაში ისევ მოქმედებს «ჩაის კოვზის უარყოფითობის კანონი», სწრაფად რომ გადააქცევს ნებისმიერ თავს ერთ სათლ ქაქად).
კიდევ არსებობს «ჩაის კოვზის დადებითობის კანონი» – სადაც ერთი ჩაის კოვზი მურაბის დამატება ერთ სათლ ქაქზე გვაძლევს ერთ სათლ მურაბას. რაც უფრო მაღლაა ამნაირ იერარქიაში სამყარო, მით უფრო შორსაა ჩვენგან – თუმცა ფიზიკური თვალსაზრისით, ამ განზომილების არსებობა შესაძლებელია მეტროში მოპირდაპირედ მჯდომი, გარეგნულად ჩვენი მსგავსი ადამიანის თავში. ვფიქრობ, გასაგებია, რომ ბედნიერ სივრცეთა მცხოვრებთათვის სიხარული და სიმშვიდე ისეთივე ბუნებრივია, როგორიც ჩვენთვის ყოყმანი და შიში.
ასეთი ადამიანები დედამიწაზე ძალიან ცოტა ვნახე. და ირგვლივ მყოფნი მათ, ჩვეულებრივ, დაცენტრილებად თვლიდნენ. მაგრამ ერთი ეგეთი ბედნიერი არსება გარემოებათა უცნაური დამთხვევით, კეშასთან მუშაობდა ერთ ოფისში.
ეს სწორედ ის გოგონაა, სახელად ნადია. მე რამდენჯერმე მოვიხსენიე, ახლა კი დაწვრილებით გიამბობთ.
ნადია «კანტორაში» აკეთებდა კარმული კუთხით შედარებით უსაფრთხო საქმეს – ალაგებდა, ბუფეტში იდგა და საყიდლებზე დადიოდა. არ ჰქონდა მკაფიოდ გაფორმებული თანამდებობრივი ფუნქციები (ცნობებში მას ეძახდნენ «ექსპედიტორს»). ეფექტური მენეჯმენტის შემთხვევაში, უმისოდ სავსებით შესაძლებელი იყო იოლას გასვლა. მაგრამ ის, რაც უნდა უცნაური იყოს, დიდხანს არ ხვდებოდა მრავალრიცხოვან შემცირებათა და განყოფილებათა დაშლის

სიებში.
ნადია უყვარდათ სამსახურში.
ქალები ნორმალურად ექცეოდნენ, იმიტომ, რომ მაინცდამაინც კარგი ვერ იყო თავისთავად და მასში არავინ ხედავდა მეტოქეს. მამაკაცები კი იმავე მიზეზით არ აქცევდნენ ნადიას თავიანთ, როგორც ამბობენ ხნიერი ლესბოსელები, ფალო-პატრიარქალური კომპლექსების ობიექტად.
მაგრამ ნადიას აფასებდნენ, – გასაგებია, რომ ამიტომ არა.
უკვე ვამბობდი, რომ სამუშაო სივრცე, რომელშიც იღწვოდა კეშა, ძალზე მყუდრო გახლდათ.
საქმე ულტრათანამედროვე დიზაინში არ იყო. დიზაინი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე მოსკოვში, ისწრაფოდა, ისე შორს გაესწრო ეპოქისთვის, რომ სულ უბრალო, კულტურის ციკლურობის ძალით იწყებდა წარსულის კვლავწარმოებას. გამოვიდა რაღაც მსგავსი სამაგალითო ფაბრიკა-სამზარეულოსი, ტროცკიზმის განადგურების ხანიდან.
ეს უშველებელი ოთახი მართლაც მოგაგონებდა დეკორაციებს ოცდაათიან წლებში გადაღებული ფანტასტიკური ფილმისათვის კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე, – მცენარეების დიდი რაოდენობის გამო, რომლებიც ამ ოთახს ორანჟერეად აქცევდნენ. სიმწვანის მეტისმეტობა ატრანსფორმირებდა ტროცკისტულ ფაბრიკა-სამზარეულოს უზრუნველ და ცოტა სიზმრისეულ სივრცედ: ყველა ფსიქიკური მიაზმები
, გამოყოფილი მღელვარე თავებიდან, ამ ცოცხალი ვენტილაციით გაიწოვებოდა შორს.
«ვენტილაცია» ნადიამ მოაწყო – თავისი ინიციატივით, სამუშაოდან თავისუფალ დროს და ნახევრად საკუთარი ხარჯით. სხვათა შორის, მისი პატარა ბინა იყო ზუსტად ასეთივე ქალაქური ორანჟერეა (იმის გარდა იქ ცხოვრობდა დიდი თეთრი კაკადუ, სრულყოფილად რომ იგინებოდა დედას).
საქმე მარტოოდენ მცენარეებში კი არ იყო, არამედ მათ განლაგებაში. ნადიამ ისეთი ზუსტი ხერხით განათავსა ისინი, რომ მათი მწვანე გონებები თითქოსდა მიჯროდა ერთმანეთს, ქმნიდა დუმილის უწყვეტ ველს, რომლის საფარქვეშ ეგრე დიდებულად ისვენებს გატანჯული ადამიანური სული – თითქოს წყნარდება, მუხრუჭდება და ცოტაოდენი ისიც კი ესმის, რომ

ევოლუციაში სერიოზული შეცდომებია დაშვებული.
ეს საუცხოო ატმოსფერო იყო კიდეც ექსპედიტორ ნადიას მთავარი შენატანი საწარმოო პროცესში. მას პატიობდნენ რამდენადმე გაურკვეველ როლს კოლექტივში – და უხდიდნენ მცირე ხელფასს.
მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო მისი შინაგანი მდგომარეობა. ამისთანა რამის ნახვას, უბრალოდ, არც მოველოდი. წარმოიდგინეთ, რომ სტუმრად მიხვედით ჩვეულებრივ მოსკოვურ სახლში, დარეკეთ კარზე, ეს კარი გაიხსნა, წინ გადადგით ნაბიჯი – და ბეტონის ვიწრო მისაღების ნაცვლად უცებ ტყეში ამოყავით თავი. ანდა ტბის ნაპირზე.
აი, დაახლოებით ეგეთივე შოკი განვიცადე მეც.
ნადიამ არ იცოდა არავითარი ეზოთერიკული საიდუმლოებები. უბრალოდ, მასში შემოინახა რაღაც თავდაპირველი და ადამიანებისგან დავიწყებული სიმშვიდე, მხიარულება და უშიშარი სიჩუმე. მეჩვენებოდა, რომ მის გონებაში პრაქტიკულად არ არის გარემომცველი სამყაროს პროგრამები და ინსტალაციები, რომელთაგან ასი პროცენტით აგებული იყო მისი კოლეგების სულები ოფისიდან. სწორედ ამიტომ, ის ხელს არ ჰკიდებდა ექსპედიტორზე რთულ სამუშაოს – ყველა დანარჩენი მოითხოვს ემოციურ ჩართვას მატრიცასთან. უფრო მეტიც, მის სახლში რომ შევიხედე, აღმოვაჩინე ერთი საინტერესო და უცნაური, როგორც პუშკინი ამბობდა, «დაახლოება».
კიბის იმავე თანრიგზე ნადიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვისთვის სრულიად ტიპური მისტიკოსი – იდუმალ ტიბეტურ სწავლებათა პრაქტიკოსი. მას თან სდევდა პრობლემები, ჩვეულებრივი ამ წრის ადამიანებისთვის: იმ წარუმატებელი ცდის შემდეგ, რომ ნაგვები დაეფრთხო მანგალ რინჩოპეს ვიზუალიზაციით (რაც ყოველთვის დიდებულად მუშაობდა ეშმაკებთან დისასოციაციური ტრიპებისას, მაგრამ სამაიმუნეთში რატომღაც ვეღარ უშველა), მან დაკარგა მართვის უფლება სიმთვრალეში ტარებისათვის, დიდ ფულში გადავარდა – და მას შემდეგ რეგულარულად მიმართავდა ტიბეტელ ორაკულს შეკითხვით, დრო ხომ არაა, რომ ანტიალკოჰოლური კაფსულა ჩაიკეროს. წინააღმდეგობრივი პასუხები მოდიოდა, რის გამოც იმ საწყალს ბევრი სმა უწევდა.

სიფხიზლის იშვიათ წუთებში ლოტოსის პოზაში ჯდებოდა და იწყებდა გონების დამშვიდებას, თითქოსდა საკუთარ თავს აყენებდა დარტყმებს უხილავი მათრახით ნებისმიერი გაჩენილი აზრისას – ანუ, ყოველ ორ-სამ წამში. ხოლოთუ თავის სამზარეულოში მყოფი, ზუსტად რამდენიმე მეტრის იქით მჯდარი ნადია, ყოველგვარი სულიერი ვარჯიშების გარეშე იმყოფებოდა იმ მშვიდ უშფოთველობაში, რომლის მიღწევას ასე თავდადებით ცდილობდა მისი მეზობელი: აზრები არ აფორიაქებდა, რადგან ისინი ვერაფერს ჩასჭიდებოდნენ ნადიაში. ქალი მათთვის არ იხრებოდა – განსხვავებით პრაქტიკოსისგან, რომელიც ჯერ მოიხრებოდა, მერე ამისთვის საკუთარ თავს წარმოსახვით მათრახს ურტყამდა, მერე კი ისევ მოიხრებოდა – და ცდილობდა, ამგვარად მოეპოვებინა სიმშვიდე.
ნადიას ეჭვადაც არ ჰქონია, რომ ვიღაც ამას «მედიტაციას» უწოდებს – ის, საერთოდ, არაფერს აკეთებდა. მისი მეზობელი კიდევ სწორედ ამ «არაფრის» კეთებას ცდილობდა. განსხვავება საკვირველი იყო.
ამ კონტრასტზე, სრულიად დასაშვები იყო, აგებულიყო ერთ-ერთი ის ცოცხალი იკებანა, რომელზეც მე ვლაპარაკობდი – უბრალო, მაგრამ გამომსახველი. შეიძლება, ვინმემ ეს გააკეთა კიდევაც.
ნადია თვალს არ ადევნებდა სიახლეებს. ის იყო, როგორც გაი ფოქსი იტყოდა, facebook free, და ძალიანაც არ წარმოედგინა «კონტრას» იდეოლოგიური მიმართულება, სადაც მუშაობდა. პოლიტიკური შეხედულებები სულ არ ჰქონდა: ვარაუდობდა, რომ სამყაროში არსებობს ნაცრისფრის ორმოცდაათი ელფერი, ერთიმეორეს ხელიდან რომ სტაცებდნენ ძალაუფლებას, და არც ერთი მათგანი არ მოსწონდა. კინოში მხოლოდ ზღაპრებზე დადიოდა. მუსიკიდან მის ბინაში ყველაზე ხშირად უკრავდნენ ძველი ფრანგები: კლოდ ფრანსუა, პოლ-ნარეფი და სერჟ გენსბური, წვრილბურჟუაზიული პერიოდისა. შეიძლება მისთვის დაგვეძახა ცოტა ინფანტილური – და, მის თავში მედიის მარილწყლის ორი-სამი მილი რომ გაგვეტარებინა, დროთა განმავლობაში შევძლებდით მისი შინაგანი სივრცის შევიწროებას საშუალომდე სიდიდის ბიზნესკუთხით.

მაგრამ ამისთანა რამ რატომღაც არ ხდებოდა. ნადიაში თითქოს იყო შინაგანი ეკრანი, უხილავი, მაგრამ ძალიან მყარი – და მასში სრულებით ვერ აღწევდა მსოფლიო ქსელი და მტვერი. საამისოდ არანაირ ძალისხმევას არ მიმართავდა. მან, უბრალოდ, არ იცოდა, რომ შეიძლება, სხვანაირადაც იყოს.
და კიდევ, ნადია აქამდე თამაშობდა, ოღონდ კომპიუტერზე არა. გარეგნულად ეს შეუმჩნეველი იყო. მაგალითად, ქოთნებში მცენარეებს პატარა პლასტიკურ მხეცებს შემოუწყობდა – ცისფრებს, წითლებს, ყვითლებს. მზერის გადასატანად მათ ჰქონდათ სერიოზული სადიდო ფუნქცია: ან ბრძოლა ქოთანში ობთან, ანდა ნიადაგის გამოკვება, ანდა რაღაც ამის მაგვარი. მაგრამ თავად ნადიასთვის თითოეული დაშტამპული ცხოველი იყო პატარა ცოცხალი არსება, ხოლო მწვანე საფარი, რომელთა ქვეშ მათ უშვებდა, მის ცნობიერებაში გადაიქცეოდა რომელიღაც არააქაურ ტყედ, რომელშიც მართლა არიან ამნაირი ცხოველები.
სანამ კოლექტივი ტრენდებით იკვებებოდა და საინფორმაციო სივრცეში მიერეკებოდა მომდევნო ტალღას, ნადია ელაპარაკებოდა კიდეც ხანდახან თავის პატარა, სხვადასხვა ფერის მეგობრებს. ეს არავინ იცოდა, ჩემ გარდა.
მოკლედ, გასაგებია, რომ ნორმალური გოგოებიდან ცოტა ვინმე თუ მოინდომებს, ნადიას ჰგავდეს – ყოველ შემთხვევაში, რეპროდუქციული პერიოდის აქტიური ფაზის დროს.
მე ვერ შევძელი ამ უცნაური გონების კვალის აღმოჩენა მომავალში. არ იყო დროის მახლობელ კვანძებში, სადაც მკვეთრად არსებობდა კეშა და მისი კოლეგების უმეტესობა. და ყველაზე შორეულებშიც, სადაც მე უკვე აღარაფრის გარჩევა აღარ შემეძლო, იქაც არ იყო. მერე კი მაინც ვიპოვე – ყველა ჩვეულებრივი მარშრუტის საზღვრებს გარეთ. ისე გამოვიჭირე, როგორც ასტრონომი ამჩნევს ზეახალი ვარსკვლავის ანთებას, როცა ნებისმიერი სხვა ვარსკვლავის ამ მანძილზე გარჩევა უკვე შეუძლებელია.
ის გახდა... არც კი ვიცოდი, ამისთვის რა დამერქმია. დიადი კოსმოსური არსება, ანგელოზი. ჩემი ნებისმიერი ცდა, შევარჩიო შესაფერისი ტერმინი, არაადეკვატური იქნება – ლაპარაკი არ არის რაღაც პომპეზურსა და ამაღლებულზე. ის არ ამაღლებულა კოსმოსურ იერარქიაში (დარწმუნებული არ ვარ,

რომ ამისთანა რამ საერთოდ არსებობს), არამედ ისევე დარჩა თავისუფალ «ექსპედიტორად». ძალიან დაჭკვიანდა და გაიზარდა – ჩვენი სამწუხარო თვლათახედვით არა, რასაკვირველია. მაგრამ მისი ცნობა შეიძლებოდა.
მე ვლაპარაკობდი სამყაროს მხარეებზე, რომლებიც დამალული იყო ჩემი თვალთახედვიდან, და ეს იყო ერთ-ერთი მათგანი: მე ვერასოდეს შევძლებდი გამერჩია გაქრობამდე შორეული განზომილება, დღევანდელი ნადია რომ არ მენახა – მისი წყარო და იქით მიმავალი ძაფი.
მისი სამყარო ისე არ იყო მოწყობილი, როგორც ჩვენი. მასში თანაარსებობდა მრავალი სხვადასხვა სივრცე, და კოსმოსის კანონები სულ სხვა იყო. მასში მოგზაურობა ძნელი არ გახლდათ. ეს ბედნიერი განზომილება ჰგავდა არა მაიმუნების კუნძულს, არამედ იმ მიწას, საიდანაც მოცურავდა ხომალდი, მერე რომ ჩაიძირა. მაგრამ ჩვენი სამყაროდან იქით მაინც დადიოდნენ ბედისწერის იშვიათი მატარებლები – და ერთ-ერთი იმათგანი თავად ნადია იყო.
ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მასაც დარჩა თავისი ადრინდელი სახელი. მაგრამ თუკი კეშას შეუნარჩუნდა მხოლოდ ბგერა იქიდან, ნადიას – მხოლოდ აზრი. იმას ისევ ეძახდნენ «იმედს». მის სახელს არ ჰქონდა არავითარი ბგერითი საფუძველი, ამიტომ მე დავუძახებ Spero-ს – ლათინური ზმნიდან «დაიმედება» (ამ სიტყვას ხუმრობით იყენებდა თავად ნადიაც).
მის სამყაროში არ იყო პლანეტები და ვარსკვლავები, ერთმანეთისგან დაშორებული შორი მანძილებით – ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გაგებით. ჩვენი «სიცარიელე», რომლითაც სინათლე დიდხანს უნდა მიდიოდეს ერთი გაყინულებული პატარა სადგურიდან მეორემდე – ეს ხომ რაღაც დამოუკიდებელი არსი არაა, არამედ უბრალოდ, ჩვენს გზაზე დაკეტილი შლაგბაუმია, აკრძალვა სწრაფ გადაადგილებაზე A პუნქტიდან B პუნქტამდე. ჩვენი ფიზიკური კოსმოსი მიაგავს გადასახლებას. ხოლოთუ მისი შორეული განზომილება მე წარმომიდგებოდა, როგორც ყოფიერების ფენების უსასრულო რაოდენობა, რომელთა შორის გადაადგილება შეიძლებოდა ისევე ადვილად, როგორც ტელეარხები რომ გადართო ტელევიზორში. სივრცე და დრო ჩვენი გაგებით იქ არ არსებობდა. უფრო სწორად, იქ იყო ფორმა და ის ფორმა

შეიძლებოდა, ნებისმიერი ყოფილიყო. უფრო გასაგებად ახსნა აღარ შემიძლია.
მაგრამ მე ძალიან გავერთე ნადიას ამბით, არადა ჯერ უნდა გავერკვე ჩემი თხრობის სხვა ძაფებში. ძალიან ცოტაღა დამრჩა მოსაყოლი: ბოლო დღეებზე, აფეთქებამდე – და იმაზე, რაც მერე მოხდა.

მშვიდობით, «კონტრა»

ჩემმა სამსახურებრივმა მხედველობამ შეძლო დაენახა ჭიანჭველა დედამიწის მეორე ბოლოში – და მიმხვდარიყო, საით გაცოცდება. მაგრამ მე არ შემეძლო, აღმეკვეთა ფრინველების თავდასხმა მაშინაც კი, როცა ის ჩემ ცხვირწინ მზადდებოდა. თუმცა, ადრე ყოველთვის ვგრძნობდი მათ წინაშე ბუნდოვან შიშს, თავისებურ აუხსნელ დეპრესიას, რამაც ორმაგად ფრთხილი გამხადა – და რამდენჯერმე იხსნა კიდეც ჩემი სიცოცხლე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გრძნობამ ვერ მიშველა აფეთქების წინ. შესაძლოა, საქმე ის იყო, რომ სევდასა და დეპრესიას იმ დღეებში შეისწავლიდა მთელი Contra. ru – და ისეთი ინტენსიურობით, რომ ამ ფონზე შევძელი, არ შემემჩნია ჩემი სასიგნალო რეაქციები.
იმ ოფისის ზემოთ, სადაც შრომობდნენ კეშა და ნადია, ღრუბლები შეიყარა. ისინი დიდხანს გროვდებოდა – აფეთქება რომ არა, «კონტრა» მაინც დაიხურებოდა რამდენიმე თვეში. მიზეზს მეც კი ვხვდებოდი, საინფორმაციო ბიზნესისგან ძალიან შორს მდგომი ადამიანი.
საბრალო «კონტრას» მიმართ სამყარო გაცივდა და მტრული გახდა. რეკლამიდან შემოსავლები ეცემოდა, ტროცკისტ-ფინანსისტები კვეცდნენ ფინანსირებას, მოითხოვდნენ შემცირებებს – და, თუმცა თავისუფალ სიტყვას არ გუდავდნენ ღიად, არ სურდათ პრობლემები არც ღმერთთან, არც კეისართან. კრაუდფანდინგი
არ კმაროდა დაუნშიფტინგზეც
კი. საბოლოოდ, Contra ჩაჯდა საკუთარი ვოთერ-ლაინის დაბლა: მყიფე ბალანსი მეოთხედ გამოსყიდვადობასა და ნახევრადგავლენიანობას შორის დაირღვა ყველაზე არასახარბიელო კუთხით.
ამ ფინანსურ-ეგზისტენციალური ჩიხის მოკლე და ზუსტი შედეგი გამოიხატა ხელნაწერ პლაკატში, რამდენიმე დღე რომ

ეკიდა ოფისის კედელზე:
იყავით რეალისტები – წადით თქვენი...!
პლაკატი მოათავსეს წითელთვალებიან და სამთავიან ძაღლსა და მერილინ მონროს ცნობილ ფოტოს შორის, სადაც მას ქვენა ქარი კაბას უფრიალებს. როცა ეს წარწერა თვალში ხვდებოდა ექსპედიტორ ნადიას, ყოველთვის ფიქრობდა, რომ, კარგი იქნებოდა, ეს წარწერა გადაეფარა რაიმე მაღალი ყვავილით, მაგრამ ამ ადგილზე ქოთანს არ დაადგმევინებდნენ.
კეშა უყურებდა ცხოვრებისა და ბედისწერის ფორმულას, ჩვეულებრივ, რამდენიმე წამი დარდობდა მისი გამოუვალი სიზუსტის გამო, მერე კი მისი მზერა გადაცოცდებოდა მერილინის ფოტოსურათზე, და კიდევ ერთხელ განიცდიდა უხერხულობას, რომ ვიღაცას შეეძლო, სიამოვნებით გაეჟიმა ეს სქელი ჩერჩეტი დედაკაცი. მერე, ჩვეულებრივ, მონიტორისკენ ტრიალდებოდა – და როცა დარწმუნდებოდა, რომ ზურგს უკან არავინ იდგა, იწყებდა თავისი ცუკერბრინების კვებას. კარგი და ზუსტი სიტყვაა კვება – რასაკვირველია, არა «ჭამიდან», არამედ «კარმიდან».
ეს სათაკილო პლაკატი ადმინისტრაციამ ჩამოხსნა. მალე იმის ადგილზე გამოჩნდა ცნობა გუგინთან შეხვედრაზე – «აპოკალიფსის ბეჰემოთის» ფოტოსურათითა და სიტყვებით: ?გოლემ ილელეემ!
მე შევნიშნე, სხვათა შორის, – საკმარისია, ერთხელ წარმოთქვა ეს უცნაური სიტყვათშეთანხმება, რომ მერე ძნელად თუ ამოიგდებ თავიდან. უფრო მეტიც, გამუდმებით გიღიტინებს, რომ ისევ თქვა – თითქოს ნამდვილი პატარა გოლემია, თავხედურად რომ აუღია არტიკულაციური ცენტრები. გუგინი, რაც უნდა ილაპარაკონ მასზე, ნიჭიერი შემლოცველი გახლდათ. გოლემის გამოჩენის შემდეგ მოსალოდნელი იყო მრგვალი მაგიდა სამი ჟურნალისტით, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი მკივანა სამოქალაქო პოზიციებით. Contra გადარჩენას ცდილობდა და ახალ როლებს ირგებდა. სევდიანი იყო ამ აგონიისთვის თვალის დევნება – საიტი კვდებოდა, როგორც წყლის გარეშე დარჩენილი მცენარე.
დანარჩენი თქვენ იცით.
მე არ დავშავებულვარ აფეთქებისას – თითქმის. პირდაპირ ჩემ ქვემოთ იფეთქა, ერთი სართულით დაბლა. იატაკმა გაუძლო, და

მე, უბრალოდ, მისროლა სკამიდან იატაკზე. სინამდვილეში, დარტყმა ძალიან ძლიერი იყო – და წამით გულიც წამივიდა რყევისგან. მეჩვენება, რომ ამგვარი აფეთქებებისას რაღაც შემზარავი ხდება და მთლად სამეცნიეროც არა – წამით იხსნება კარი ჯოჯოხეთის განზომილებაში და იქიდან გამოყოფილი თათი თავის გავარვარებულ ბრჭყალებს დაატარებს უცხო სამყაროს რეალობაზე.
«კონტრას» ოფისში თითქმის ყველა დაიხოცა. ოფიციალურ ვერსიად დასახელდა ტერაქტი სიძულვილის ნიადაგზე – «კონტრამ», როგორც გაირკვა, დაბეჭდა რაღაც, რომელსაც შეეძლო, გაენაწყებენინა მგრძნობიარე ისლამისტი რადიკალები.
ბატუ ტერაქტისთვის დიდხანს ემზადებოდა, ყოველგვარი კავშირის გარეშე ამ ამბავთან. ის ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში, «კონტრას» ოფისის შორიახლოს – და ჩხრეკისას მის ბინძურ ბუდრუგანაში იპოვეს ვაჰაბისტური ლიტერატურის მთელი დასტა. ფრინველებმა, ეტყობა, გამოიყენეს ხელში მოხვედრილი ცოცხალი ჭურვი, რომელიც ფეთქებადი აღმოჩნდა.
მე საკუთარ თავს ვუმეორებდი, რომ მომხდარში დამნაშავე არ ვარ. ბატუს რომ თავისი ბომბი «კონტრას» ოფისში კი არა, მეტროს გადაჭედილ ვაგონში აეფეთქებინა, გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდა. მაგრამ მაინც მტანჯავდა აუტანელი გრძნობა, რომ ჩემ გამო გაიწირა ამდენი უდანაშაულო ადამიანი.
ძალიან მეცოდებოდა ყველა, განსაკუთრებით კი ნადია. მეც სასწაულით გადავრჩი – შეტევის დროს სამყაროს ვუყურებდი კეშას თავიდან, და ფრინველები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბატუს ჩემ წინააღმდეგ მომართავდნენ. მე რომ იმ დროს, უბრალოდ, ჩაი მესვა ჩემს კაბინეტში, ბატუ კარზე მომიკაკუნებდა.
ადრე ფრინველები ვარაუდით მიჭერდნენ – ახლა კი, ეტყობა, ნათლად დამინახეს. ეს ნიშნავდა, რომ კიკლოპის სახით საცხოვრებლად დიდი დრო აღარ დამრჩენოდა. ნებისმიერ მანქანას შეიძლებოდა გავეტანე. შეიძლებოდა პირველივე შემხვედრს ხელი ეკრა მეტროს მატარებლის ქვეშ ჩასაგდებად. მოკლედ, მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო.

ამალამ უკვე ყველაფერი იცოდა, და რამდენიმე წუთში მას შემდეგ, რაც გონს მოვედი, დაიწყო, ასე ვთქვათ, ჩემი თანამდებობიდან ჩამოგდების რიტუალი. მე წინააღმდეგი არ ვიყავი. პირიქით. ეს იყო ჩემი ერთადერთი შანსი, სიცოცხლე შემენარჩუნებინა.
დავინახე ჩემი ასლი ცვილისგან, მჯდომარე ქვის ტახტზე – უფრო სწორად, მივხვდი, რომ ეს ისაა: თოჯინა დაფარული იყო დიდი ტილოთი. მასთან მივიდა ორი მსახური, სახეებს ნიღბებში მალავდნენ (მე უკვე ვიცოდი – ნიღბებს იმისთვის ატარებენ, რომ ფრინველები, თუნდაც კიკლოპის ცნობიერებაში შეაღწიონ, ვერავინ იცნოს), და მოხსნეს ტილო.
მე ისევ დავინახე უცნაური გადახრები ანატომიური ნორმიდან, რომლებითაც ჩემი სხეული იყო შემკული – თვალი შუბლზე, ტუჩები კისრის ძირში, ყური მზის წნულის ადგილას. ისინი ძალიან რეალისტურად გამოიყურებოდნენ, და მე, როგორც ადრე, მეშინოდა ამნაირი საკუთარი თავის ყურება.
ერთ-ერთი მსახურის ხელში გამოჩნდა დიდი, მრუდე ნემსი, ოქროს ძაფით – და მან უხეში გვირისტით გაკერა თვალი ჩემს შუბლზე.
მე ვიგრძენი მფეთქავი ტკივილი თავის ქალაში, როგორც ხდება ხოლმე ხანდახან, შაკიკის დაწყებისას. რამდენიმე წამში ის გაძლიერდა, აუტანელი გახდა – და უცებ გაიარა.
ჩემი ორეული ისევ დახურეს საფარველით. მერე თოჯინა მოხსნეს ტახტიდან, ჩადეს რაღაც სამედიცინო ურიკის მსგავსში (არ ვიცი, როგორ ჰქვია ამ მაღალ და ბორბლებიან მაგიდას, რომლითაც ავადმყოფები გადაჰყავთ) და კორიდორში გააგორეს. გრძელი, უსასრულოდ წაგრძელებული, დანომრილი ნიშების კედელი დავინახე – ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო საფოსტო ყუთების ბლოკი სახლში, სადაც გოლიათები იცხოვრებდნენ. ურიკა ერთ ნიშასთან მიაგორეს, ასწიეს კარი ციფრით 1156 და ჩემი ორეული გადადგეს შავ სიცარიელეში. კარი შიგნიდან სარკისა იყო, და ნიშას დანარჩენი სიბრტყეებიც – ასევე. არ ვიცი, შეიცავს თუ არა ციფრები რაიმე აზრს. ალბათ, ისეთივეს, როგორსაც მეზობელი ციფრები 1155 და 1157.
საბოლოოდ, რაც დავინახე – ის იყო, თუ როგორ დაიხურა კარი. უკვე ვიცოდი, რაც მოხდა. გადამარჩინეს, ფრინველებისთვის უხილავი გამხადეს. მაგრამ არც მე შემეძლო იმათი დანახვა,

ვისაც ასე თავდაჯერებულად ვუწოდებდი ამალას. მე აღარ ვიყავი კიკლოპი.
უნდა ვთქვა, რომ ოთხნიშნა ნომრებით შედგენილმა კედელმა მაშინვე როგორღაც ამოატრიალა ჩემს ცნობიერებაში ყველა ადრინდელი იერარქიული წარმოდგენა – მე ვიფიქრე, ამალის მიერ საჩვენებელი პატივისცემით ჩატარებული რიტუალები და პროცედურები თავისთავად არაფერს ნიშნავს. კოსმოსში გაშვებული მაიმუნიც შეიძლება ერთხანს დარწმუნებული იყოს, რომ დედამიწის სფეროს იმპერატორი გახდა. კიკლოპები მრავლად იყო, მრავლად. ერთმა თავისი უკვე გამოიმუშავა, და – სამყაროში, სადღაც, ვახტაზე დადგა მეორე.
სად, მე არ ვიცი – ახლა ეს ჩემგან დაფარული იყო. ამალაზე კიდევ, თუნდაც ყველაზე საშინელი წამებისას, შემეძლო მომეყოლა მხოლოდ ერთი რამ: ყველაფერი დაიწყო და დასრულდა სარკეებით. და, თუმცა ნათელხილვის ნარჩენები ადრინდელივით მძიმე ტვირთად მეკიდა, უკვე აღარ შემეძლო, ჩემი ნებით გავლენა მომეხდინა სამყაროს ბედზე. მე უკვე აღარ ვიყავი წინააღმდეგობა ფრინველებისთვის – და იმ წუთიდან მათთვის უინტერესო გავხდი. ისინი არ მთვლიდნენ მტრად და არ აპირებდნენ შურისძიებას. მათში, საბედნიეროდ, არაფერი იყო ადამიანური.
ყვავილებსა და გვირგვინებში ჩაფლული «კონტრას» ოფისი თანდათან მოჰყავდათ წესრიგში. კედლიდან ჩამოხსნეს ნამსხვრევებით დაცხრილული მერილინი, დამწვარი სამთავიანი ძაღლი და მათთან მიჯრილი კიმ ჩენ ინი. მერე წაიღეს დამტვრეული კომპიუტერები, გატეხილი მაგიდები და ქოთნები ნადიას მცენარეებით, რომელთაგან მრავალი კიდევ ცოცხალი იყო – თითქოსდა ვიღაცამ ტყე გაკაფა, სადაც ადამიანებისთვის უცხო სიცოცხლე ყვაოდა... სინამდვილეში, ასეც იყო ყველაფერი – მაგრამ, რაკი უკვე ვიცოდი, როგორ საოცრად აისახება და გაიზრდება ეს ტყე მომავალში, ძალიანაც არ მიდარდია.
მაშ, რაში მდგომარეობდა ჩემი მუშაობის აზრი? რატომ უნდა შემენარჩუნებინა სამყარო, სადაც ასეთი რამეები ხდება, თუკი სხვა სამყაროები უსასრულოდ ბევრია და არავინ, საერთოდ, არავინ ჩერდება აქ დიდხანს? ზუსტად არ ვიცი. მხოლოდ ვარაუდები მაქვს.

ამ სამყაროდან ყოველ წამს გადის უამრავი უხილავი მატარებელი, ყოველ წამს გონებები მიდიან აქედან და გადადიან სხვაში, თავიდან ლამის განურჩეველ სამყაროებში. არსობრივად, სანამ მე ვიცავდი უსასრულობის ერთ-ერთ კვანძს, ადგილზე ვიყავი მხოლოდ მე, ხოლოთუ ყველა დანარჩენი მოდიოდა და მიდიოდა. ეს სამყარო უბრალოდ საფეხური იყო სხვათა ცხოვრებებში.
მაგრამ რაც უფრო დიდხანს რჩებოდა დიდი კიბის ეს საფეხური ადგილზე, მით მეტი შესაძლებლობა და მარშრუტი უჩნდებოდა აქ ჩამოვლილ არსებებს. ჰო, სამყარო დაიღუპება და დასრულდება – და მერე მაგით რა? ნებისმიერი «ტიტანიკი» ოდესმე იძირება, ეგეთია მისი ბედისწერა. მთავარია, რომ ამ წუთამდე მისგან, რაც შეიძლება, ბევრმა ნავმა მოასწროს გამოსვლა.
ვიცოდი, რომ ჩემი ბრძოლა წაგებულია – იმ სამყაროში, სადაც კეშა მიემართებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, მე ის მოვიგე იქ, სადაც მიდიოდა ნადია. უფრო მართებული იქნება, ალბათ, ვილაპარაკო ამ განზომილებებზე მომავალ დროში, მაგრამ ვსარგებლობ წარსული დროით, რადგან ვყვები იმას, რაც უკვე ვნახე.
მე უკვე ვამბობდი, რომ ნადია გადაიქცა რაღაც ანგელოზის მსგავსად. ანდა მცველად. ისიც ჩემსავით წესრიგს იცავდა. და ყოფიერების მრავალრიცხოვან სფეროთა შორის, რომლებზეც ის პასუხს აგებდა, მე გავარჩიე გარეგნული შესახედაობით ერთი ძალიან მახლობელი ჩვენს სამყაროსთან.
მსგავსება შემთხვევითი იყო – ეს აღმოჩნდა თავისებური, გაცოცხლებულ გაქვავებათა კოლონია ადამიანური წარსულიდან. ფორმების მთელი ბიბლიოთეკა, ხორცშესხმული ახალ გარემოში და თითქოსდა «მატერიიდან» გადაქცეული გასულიერებულ მულტფილმებად მატერიის შესახებ.
ამ განზომილებაზე ლაპარაკისას, შედარებების შერჩევა საჭირო არაა – აქ ყველა სიტყვა სწორედ იმას ნიშნავს, რასაც ისინი აღნიშნავენ. გარეგნულად ეს სივრცე – პრაქტიკულად ჩვენი სამყაროა. მაგრამ თავისი ბუნებით, იგი უფრო მეტად მიაგავს ანიმაციას, რომელშიც შეიძლება შეხვიდე და გმირებს ელაპარაკო. იქ არ არის რკინის აუცილებლობები, ჩვენს არსებობას რომ ასე აუტანელს ხდის. და იქ ცხოვრება,

გამოგიტყდებით, გაცილებით უკეთესია – თუმცა არცთუ უპრობლემო.
ეს სამყარო მე, პირადად, მეჩვენება საკმაოდ უცნაურად. მაგრამ ის არის. თუნდაც თავად არ მენახა – არადა, ვნახე – ის იარსებებდა იმ მიზეზით, რომ ყველაფერი, ჩვენგან აღწერილი თუნდაც ერთხელ, აუცილებლად მოიძებნება სადმე მულტივერსში. თუნდაც, როგორც სიმულაცია, მასში არსებული ვირტუალური რეალობის უსასრულო რიცხვის გენერატორებიდან ერთ-ერთში, რომელიც აბსოლუტურად შეუძლებელია განასხვაო და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ფიზიკოსებმა კაი ხანია ყველაფერი ახსნეს.
მერე კიდევ, ნადია ხომ უცნაური გოგონა იყო – განა გასაკვირი იქნება, რომ მისი გავლით ცოტა უცნაური სამყარო წამოიზარდა?
მიზეზი, რომლის გამოც მინდა დასასრულს გიამბოთ ეს ამბავი, უბრალოა. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ მომავლის ელფერში, ჩემი მზერისათვის მისაწვდომ საზღვარზე, მე შევამჩნიე კეშას ბოლო ექო და კიდევ რამდენიმე მასთან ერთად გარდაცვლილი იმ საშინელ დღეს. თავიდან არ შემეძლო დაჯერება, რომ ყველა ისინი კვლავაც ერთად აღმოჩნდნენ. მაგრამ მერე მივხვდი, რატომაც.
ნაწილი 6. Dum spero spiro
ანგელოზი სპერო თავისი პასუხისმგებლობის სექტორს ათვალიერებდა სწორედ ისე, როგორც ამას მოითხოვდა მისი თანამდებობა – პასუხისმგებლობით.
მისი ყურადღების სხივის შესახვედრად ბნელი განუსაზღვრელობიდან გამოფრინდებოდა ხოლმე სხვადასხვა ფერის შუქების ზოლები – მოვლენათა აღნაბეჭდები, დისციპლინირებულად რომ აცხადებდა საკუთარ თავზე ყველაფერ აუცილებელს. განცხადებები მოკლე იყო და გამოხატავდა მომხდარის არსს, მაგრამ სპერო მაინც არ აძლევდა სინათლეებს გაწყვეტის საშუალებას, ყურადღება იქით და იქით გადაჰქონდა. მოვლენა ძალიან ბევრი ხდებოდა, და, თითოეულში ჩაწვდომისას, შეიძლებოდა მათ ნაკადს ჩამორჩენოდა.
მეტისმეტი ჩაწვდომის აუცილებლობა, სხვათა შორის, არც იყო. ყველაფერი ნათელი ხდებოდა ფერთა და მათთან

დაკავშირებულ აზრთა შეხამებისგან. ყვითელი და მწვანე სინათლეები აღნიშნავდა სიმშვიდეს და სიხარულს. ცისფრები – დროში გაწელილობას, ლურჯები – მოწყენილობას. იისფრები – ძალისხმევას. მეწამულები, წითლები და ნარინჯისფრები – ხიფათისა და არაკეთილდღეობის გრადაციებს. ისინი ყველაზე ნაკლები იყო, და იქაც კი, სადაც ჩნდებდა, წითელი ტონები შეერეოდა ყვითლებს ანდა ცისფრებს. ეს ნიშნავდა, რომ საქმეები რეალობის სხვადასხვა ფენაში მიდის არცთუ სირთულეების გარეშე, მაგრამ მთლიანობაში – ნორმალურად. მხოლოდ ერთ ადგილზე გაკრთა ერთგვაროვანი ზოლი ნარინჯისფერი სინათლეებისა, გრძელი და ამაფორიაქებელი, მაგრამ მკვეთრი არ იყო. სინათლეები ბაცად მოჩანდა. ისინი დაცურავდა და ციმციმებდა – ეს ნიშნავდა, რომ ცუდი ჯერ არაფერი მომხდარა და რაღაც უხერხული მუქარა მხოლოდ მოცურავს მომავლიდან.
სპერომ ყურადღება შეაჩერა ნარინჯისფერ ზოლზე და დააკვირდა, ფერად ლაქებს საწყისი აზრი დაუბრუნა. ფრინველები ცდილობდნენ, შეეღწიათ ერთი თხევადი მეტალის სამყაროდან მოსულ ალქიმიკოსის სიზმარში და დაეინტერესებინათ იგი თავიანთი სილიციუმიანი ფოკუსებით. ღელვად არ ღირდა – ფრინველების შესასვლელი პორტალის აწყობა თხევადი მეტალის სამყაროში მაინც არ გამოვიდოდა: იქ სილიციუმი ნახევრადგამტარი არ იყო. ფრინველებმა არ იცოდნენ, რომ შანსი არ ჰქონდათ – და ჯიუტად აგრძელებდნენ მრავალსაუკუნოვან ალყას, რომელსაც ამდენი სხვადასხვა სამყარო დაეღუპა. ჰოდა, დადგნენ და თხარონ თავიანთი საძრომიალო, გინდაც მარადიულობის სიგრძისა. მთავარია, რომ საქმეში იყვნენ და მოულოდნელი მუხანათობები არ გამოიგონონ...
სპერომ საშუალება მისცა ანგარიშს, კვლავაც ბუნდოვან-ნარინჯისფერი სინათლეების ძეწკვად აცმულიყო, და ისინიც, წერტილებამდე დაპატარავებული, სიბნელეში გაცურდნენ. ყველაფერი კარგად იყო. ყველაფერი და ყველგან.
და უცებ მისი ყურადღების არეში შემოიჭრა წითელი ლაქა, მსგავსი მელნის გრძელი ნაღვენთისა. თვალისმომჭრელად კაშკაშა იყო – და ჩამოჰგავდა ახლახან დაღვრილ სისხლს. რაც სავსებით დასაშვები იყო სინამდვილეში.

რაღაც ცუდი დატრიალდა უბედურებისთვის სრულიად შეუფერებელ ადგილას – ედემის სივრცეში. ალბათ, ის იყო ყველაზე ბედნიერი და უზრუნველი, – სპეროსთვის ნაცნობი განზომილებებიდან. ყოველ შემთხვევაში, მისი საყვარელი. იქ არასოდეს ხდებოდა რამე ურიგო. ადრე არასოდეს...
სპერომ სცადა, გაეშალა წითელი ნაღვენთი რეალობის ანგარიშში, მაგრამ ეს, რატომღაც, არ გამოვიდა. ჩანდა მხოლოდ მომხდარის სხვადასხვა ასპექტი, რომელთაც არ სურდათ დაწყობილიყვნენ ერთ საერთო სურათად.
სიბნელე.
სიცოცხლის საფრთხე – ძალიან რეალური საფრთხე, დამალული ამ სიბნელეში.
სიკვდილის შიში.
დაშავებული რამდენიმე იყო, და ჯერჯერობით ცუდი არაფერი მოსვლოდათ. მაგრამ მათი საშინელება გაუყალბებელი ჩანდა და ყოველწუთიერად ძლიერდებოდა.
ზოზინი არ შეიძლებოდა – სიტუაცია ჩარევას მოითხოვდა, და სპერომ დაიწყო სხეულის ჩაცმა, აღარ დაელოდა, ვიდრე მომხდარი საბოლოოდ გამჟღავნდებოდა.
ჯერ თავი გაუჩნდა, და მასში ლოკალიზდა ცნობიერება და აზრები, მერე ტანი, ხელები და ფეხები, – და მან ნება დართო სიმძიმეს, მასში შესულიყო. მერე გაჩნდა ტანსაცმელი – უბრალო, თეთრი ტუნიკა. ოქროს სანდლები. მსუბუქი კომბალი ხელში. ამ კომბალს შეეძლო იარაღად გადაქცეულიყო, მაგრამ სავსებით მშვიდობიანად გამოიყურებოდა.
სპერო სრულად გამომჟღავნდა. ის უკვე ედემზე იყო.
იდგა თავის ტაძარში – დიდ, ცარიელ ოთახში, რომლის ერთი კედელი სარკე იყო. სარკის მოპირდაპირედ კარი მოჩანდა, და ეგ იყო სულ.
მისი ტაძრები შიგნიდან ერთნაირად გამოიყურებოდა ყველა სამყაროში, სადაც კი ისინი აუშენებიათ. და ყველგან ცარიელი და სარკიანი ოთახის აზრს ერთნაირად ხსნიდნენ: მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს. თუმცა, ამ ხუმრობაში არსებობდა ხუმრობის მარცვალი, – რაც სპერომ დაამტკიცა კიდევაც თავისი განსხეულებით.
ტაძრის შეხსნილი კარიდან შემოდიოდა მზის სინათლის ირიბი ნაკადი. მთელი ტაძარი კარისკენ ერთადერთი ნაბიჯისთვის

გჭირდებოდა. მაგრამ სპერო, რუდიმენტული ქალური ჩვევით, თითოეულ ჯერზე ასწრებდა, რომ სარკეში საკუთარი თავისთვის მიმოეტარებინა მზერა. ამის საჭიროება არ იდგა – განსახიერებისას ის ჯერ არასდროს შემცდარა თავის არც ერთ ხაზში. მაგრამ ამ რიტუალის გარეშე ჩავლაც არ შეეძლო. სარკიდან შეტრიალებულმა სპერომ სინათლის სხივში გადააბიჯა.
იმედის ტაძარი – მზით ავსებული პატარა, თეთრი ქვის შენობა – იდგა ზუსტად მდინარესა და ტყეს შორის. მის კედელზე ოქროს ასოებით ეფინა ძველი ლათინური დევიზი:
DUM SPERO SPIRO
სპერომ გაიღიმა. სინამდვილეში ეს ლათინური გამონათქვამი სხვანაირად ჟღერდა – dum spiro spero – «სანამ ვსუნთქავ, იმედი მაქვს». მაგრამ შეცვლილ თანამიმდევრობაში სიტყვებს ჰქონდა თავისი აზრი, რაც მხოლოდ მან იცოდა...
ტაძრის შორიახლოს მდინარეს ასევე ერქვა – «მდინარე». ხოლო ტყეს, უბრალოდ, «ტყე» ერქვა.
კერძო სახელების საჭიროება არ არსებობდა – სხვა მდინარეები და ტყეები აქ არ იყო, მხოლოდ ნაკადულები და ბუჩქები გხვდებოდა.
ედემი დიდ კუნძულს წარმოადგენდა – მაგრამ მთლად ჩვეულებრივს არა. მდინარე ყოველი მხრიდან ერტყა. არც დასაწყისი ჰქონდა და არც დასასრული. ჩვეულებრივი მდინარეების თვისებებიდან გააჩნდა საკმაოდ სწრაფი დინება და შთამბეჭდავი სიგანე. იმის შორეულ ნაპირზე დაბინდულად მოჩანდა რაღაც მოლურჯო მთები, მაგრამ ისინი მხოლოდ ნათელ დღეებში ჩანდა, და არ ღირდა, მეტისმეტად სერიოზულად მიგეღო. როგორც თავად მდინარე: ის, უბრალოდ, ამ სამყაროს საზღვარი იყო.
ტაძარს გრუნტიანი გზა ჩაუდოდა – იდეალურად სწორი, სწრაფად შრებოდა ნებისმიერი წვიმის შემდეგ. გზის იქით კი ტყე იწყებოდა, საითკენაც გაემართა სპერო.
გარედან ტყე მიაგავდა გოთიკური ტაძრის უსასრულოდ გრძელ ფასადს, ერთი ჰორიზონტიდან მეორემდე რომ გადაჭიმულიყო: ისეთი, ჩინელებს რომ აეშენებინათ თავიანთი დიდი კედელი ერთიმეორეზე მიდგმული ნოტრ-დამის ტაძრებით. მსგავსება არ იყო შემთხვევითი – ამ ტყის ხეებმა ზეპირად იცოდნენ

ადამიანური არქიტექტურა და სრულიად შეგნებულად, არა ზუსტი საინჟინრო თვალთახედვით, არამედ თავისებურად, ნელ-ნელა და მეოცნებეობით, კვლავ აღადგენდნენ მას ერთიმეორესთან შეთანხმებით.
მისალმების ნიშნად თავის დახრის შემდეგ სპერომ გადააბიჯა ისრისმაგვარ შესასვლელში, ერთიმეორეში შეზრდილი ზროებით რომ იყო შექმნილი. ყოველთვის, როცა ტყეში შედიოდა, ეჩვენებოდა, რომ ხვდება ძველ სამლოცველოში, უკვე დავიწყებულში, სადაც ღმერთებს ნახევრად სიბნელეში უყრიდნენ მუხლს.
ტყე შედგებოდა მრავალი მაღალი მწვანე დარბაზისგან, რომლებიც შექმნილი იყო ურთიერთგადახლართული ზროებითა და ტოტებით. ყოველი ეგეთი დარბაზი მიაგავდა წმინდა სიცარიელის ბუშტს, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აღმართული გუმბათებით, რომლის სულ ცენტრში ტოტები ერთმანეთს შორდებოდა, მრგვალ ფანჯარას ტოვებდა – და ხეების კოლონებს შორის წარმოიქმნებოდა თაღები, საიდანაც იღვრებოდა ზეციური შუქი, ოდნავ შეფერილი ფოთლების სიმწვანითა და ყვავილთა სხვადასხვა ფერის ლაქებით.
ზემოთ ფრინველები კრთებოდნენ, ისმოდა მათი კრინი – ხოლოთუ ქვემოთ, ნახევრად სიბნელეში, რომელშიც სპერო მიდიოდა, მეფობდა ცივი სიმშვიდე, და ფრინველების ხმა კი არ არღვევდა მას, არამედ მხოლოდ ხაზს უსვამდა.
ყველა ეს მწვანე დარბაზი თანაბარი იყო – მაგრამ ნებისმიერი იამაყებდა იმით, რომ აქ რომელიმე დედამიწელი იმპერატორი დაეგვირგვინებინა. აი, ოღონდ დედამიწელი იმპერატორები არცთუ გამოდგებოდნენ ტყისთვის – ვერც ერთმა მათგანმა, რამდენადაც სპეროს ახსოვდა, აქამდე ვერ ამოაღწია.
აქ სულ სხვანაირი არსებები ცხოვრობდნენ. და იყო ძალიან უცნაური, რომ ისინი ამნაირად გახსენებდნენ თავს.
სპერო მიდიოდა პირდაპირ საშინელების წყაროსთან. ის თითქოს გრძნობდა ცივი ქარის შემოტევას, ტყის სიღრმიდან რომ მოდიოდა. უკვე იცოდა, სად უნდა მისულიყო: უცხო ბოროტი ნება ელოდა მას და მისცა მარშრუტი, რომელსაც უნდა მიჰყოლოდა. გზა მონიშნული იყო მისთვის დატოვებული ნიშნებით – და მალე პირველი მათგანი დაინახა.
გადღაბნილი მზის ლაქის ცენტრში ტყის ველობზე იდგა დაფა –

მთელი პლაკატიც კი, გაკეთებული გამომშრალი ქერქის დიდი ნაჭრისგან, ლიანით რომ იყო მიმაგრებული მიწაში ჩასობილ ტოტზე. ქერქზე თეთრი თიხით გამოეყვანათ:
საშინელება მოხდება დიდი,
გადაწითლდება ეს მიწა სისხლით!
ასოები იყო დიდი და დაბრეცილი, თითქოს ბავშვი წერდაო – ანდა მანიაკი. ანთუ ვიღაც, ვინც კარგად ვერ შესჩვეოდა თიხის ასოების დაპატარავებას.
სპერო ეჭვით მიაჩერდა მისთვის დატოვებულ ნიშანს. უბრალოდ, ვერ ერწმუნა, რომ ამ მშვიდ ტყეში შეიძლებოდა მომხდარიყო უბედურება. მაგრამ მუქარის გრძნობა არსად გამქრალა. ის ნამდვილი იყო.
გზა განაგრძო. მომდევნო ნიშანი წინ იყო. სპერო გრძნობდა მას – და მალეც დაინახა.
ამჯერად ის გაცილებით სერიოზულად გამოიყურებოდა.
ეს გახლდათ დაბალ ტოტზე ჩამოკიდებული მიმხრჩვალი ყვავი – ქერქის დაფით, რომელიც თათზე ება. წარწერა ღაღადებდა:
ჩვენ არ დავიწყებთ უკან დახევას,
სულ არ ვაპირებთ თამაშს ნახევრად!
ყვავი ბებერი იყო და კარგად შეეჭამათ წვრილფეხებს, – ეტყობა, ტყეში იპოვეს. მაგრამ თავად ნიშნის შერჩევა ბევრ რამეს ამბობდა.
ედემშიც კი არსებობდა სიკვდილი – იმიტომ, რომ სიცოცხლის ის ტიპი, რომელიც კვლავ აღადგენდა ამ სივრცეს, მომართული იყო პირდაპირ მასზე და მასში მიდიოდა ფესვებით. თუ დავუკვირდებით, «სიცოცხლის» ნებისმიერი ჰიმნი, იმავდროულად სიკვდილისაცაა... კარგია, რომ აქ არავინ მღეროდა არანაირ ჰიმნებს – და ამისთანა რამეებზე დაფიქრება არც იყო საჭირო.
სპერომ თვალები დახუჭა და თავის გრძნობებს მიაყურადა. ახლა ის მომხდარს უფრო ნათლად აღიქვამდა, ვიდრე ადრე. სადღაც შორიახლოს რამდენიმე ახალგაზრდა არსება საშინელებას განიცდიდა. ეს საშინელება ნამდვილი იყო – მათ ეშინოდათ ტკივილისა და სიკვდილის. ამას ვერც ერთი მსახიობი ვერ მიჰბაძავდა. და ასეთივე რეალური ჩანდა მათ თავზე დაკიდებული საფრთხე.
უბედურება მართლა შეიძლებოდა მომხდარიყო. რაღაც

საშინელს, სიბნელეში რომ იმალებოდა, შეეძლო გამოსულიყო და დაენესტრა ნებისმიერ მომენტში. სპერო მეტს ვერაფერს ხედავდა – მხოლოდ გრძნობდა სიბნელეში მფეთქავ შიშს. ყველაფერი მართლა სერიოზულად იყო. ქერქზე წარწერა არ იტყუებოდა.
სპერომ გზა განაგრძო.
მომდევნო ველობზე კიდევ ერთი ნიშანი ელოდა.
მიწაზე სამი თავის ქალა იდო. ქალები ძველი იყო, უკვე დაწერტილებული წყლისგან – ეტყობა, ტყის ნაკადულში იპოვეს. ერთი იყო, ალბათ, ძაღლის ან მგლისა. მეორე – ცხვრის, მოღუნული რქებით. მესამე, რომლისგანაც მხოლოდ ზედა ნახევარი გადარჩენილიყო, გაოცებისგან გადმოცვენილი თვალებით, ეკუთვნოდა ოდესღაც დიდ და ადამიანთან მეტად ახლოს მდგომ მაიმუნს. თავის ქალები ეწყო დიდი, მრგვალი ფოთლების ქვეშაგებზე, ხოლოთუ მათ წინ იდო ზედ ქვებდადებული ქერქის ნაჭერი წარწერით:
თუ ვერ მივიღებთ პასუხს ამჯერად,
მათ სიკვდილამდე ვუწყებთ წამებას.
ვინ იყვნენ ესენი? და ვის «მათ» უპირებდნენ წამებას?
სპერომ არ იცოდა. მაგრამ ცნობიერებები, გამოკეტილი სიბნელეში და ძალზე მოშიშარნი სიკვდილისა, ახლა სულ ახლოს იყვნენ. თუმცა საჭირო იყო, მოეკრიბა ყურადღება, რათა დარწმუნებულიყო ამაში – განგაში პულსირებდა ჰაერში, და მისი კაშკაშა-წითელი ექო, ასხლეტილი ჭვრეტაში ჩაძირული ხეებიდან, ყველა მხარეს მიფრინავდა.
სპერო გრძნობდა, რომ დაშინების მარშრუტი, უცხოების მიერ მისთვის მომზადებული, დასასრულს მიუახლოვდა. ველობზე ბოლო ნიშანი ელოდა.
ეს ველობი შესამჩნევად განსხვავდებოდა წინებისგან. მთელ მის პერიმეტრზე იზრდებოდა ხშირი ბუჩქნარი, ასე რომ, თავისებური ჩიხი გამოდიოდა – უკან, ტყეში გასვლა მხოლოდ შესასვლელი თაღიდან შეიძლებოდა.
ველობი ჩამოჰგავდა დიდ, მწვანე ამფითეატრს, ცენტრში გაბნეული მზის სინათლის ლაქებით. მაგრამ მაყურებელი (ის აქ ნამდვილად იყო) არ იჯდა სკამებზე, არამედ ბუჩქებსა და ტოტებში იმალებოდა. ის ხედავდა სპეროს, ეს კი – ვერავის.
ველობის ცენტრში ქერქის ნაჭრებისგან შეკრული იყო რაღაც

პატარა ტრიბუნის მსგავსი – პაროდია იმ ელეგანტური ლეკტერნებისა, რომლებითაც პრეზიდენტები და მეფეები მიმართავენ წინ შეკრებილ ჟურნალისტებს. სპერომ გადაწყვიტა, რომ უნდა მივიდეს ამ მრუდე ტრიბუნასთან და დადგეს. როცა მიუახლოვდა, მისი ფიქრი დადასტურდა: ლეკტერნის წინ ქერქის ნაჭერზე კიდევ ერთი გზავნილი იდო, მიწაზე ორი ქვით დამაგრებული.
ჩვენთან აქედან ილაპარაკე,
თუმც ტყუილები მოგცემს არაფერს.
სპერომ წამით დახუჭა თვალები.
დიდი ხანი იყო, იმ იუმორისტულ გზავნილებსა, რომელთაც უცნობი ბოროტგანმზრახველები უტოვებდნენ, და ჰაერში გამოკიდებულ საშინელებას შორის საზარელ დისონანსს გრძნობდა. იფიქრებდა, რომ ვიღაც მასხარები ეთამაშებიან – მაგრამ საშინელება ნამდვილი იყო და უკანასკნელ რამდენიმე წუთში მხოლოდ გაძლიერდა. ვიღაცას სულაც არ ეხუმრებოდა. და ამ წინა სასიკვდილო სევდის ფონზე, ქერქზე წარწერები უკვე აღარ მოჩანდა ხუმრობად, არამედ ჰგავდა განსაკუთრებულად გაწაფული მანიაკის წერილებს, რომლისგანაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი.
ქერქისგან გაკეთებულ ლეკტერნთან რომ მივიდა, სპერო შეჩერდა და მწვანე სფერო მოათვალიერა.
მზის სხივში, მის წინ გამოჩნდა პატარა ფრინველი, გრძელი, მოღუნული ნისკარტით. მისი ფრთები ისეთი სიჩქარით მუშაობდა, რომ არ უჩანდა. წამით უძრავად ეკიდა ჰაერში, მერე კი ბოროტად დაიწრიპინა და მაღლა აუყვა მზის სხივს – იქ, სადაც თავბრუდამხვევ სიმაღლეზე წითლად, ლურჯად და ყვითლად მოჩანდა ნექტრით სავსე ყვავილები.
მეტს ვეღარავის ხედავდა სპერო წინ. მაგრამ გრძნობდა, რომ ტოტებისა და ფოთლების მიღმიდან მრავალი თვალი უთვალთვალებდა. ეტყობა, თავად უნდა დაეწყო ლაპარაკი.
– არის აქ ვინმე, ვისაც ლაპარაკი შეუძლია? მე მინდოდა გამეგო, რა ხდება.
გაიარა სიჩუმის რამდენიმე წამმა. მერე კი უცებ ფოთლების შრიალი გაისმა. მწვანე ფოთლების კედლიდან გამოხტა თეთრი ბურთი, მასთან ერთად მოცეკვავე ცეცხლით – და სპეროსკენ გაფრინდა. სპერო პასუხს კი ელოდა, მაგრამ ყველაფერი ისე

მოულოდნელად მოხდა, რომ შეხტა.
ეს ბურთი კი არ იყო, როგორც თავიდან მოეჩვენა, არამედ თეთრი ფრინველი წითელი ქოჩრით. ის ახლოს მოფრინდა და დაჯდა გრძელ, შიშველ ტოტზე, ველობის ზემოთ რომ ეკიდა, პირდაპირ სპეროს წინ.
სპერო შეიშმუშნა და გაიცინა. გავიდა მხოლოდ რამდენიმე წამი, მან კი ამ თეთრ ფრინველზე უკვე თითქმის ყველაფერი იცოდა. მის წინაშე იყო თავის აღზრდილთაგან ერთ-ერთი.
ჭკვიანი მხეცები, გაზრდილნი ტყეში, ელოდნენ გაგზავნას მემორიალურ სივრცეებში, რომლებიც დაკავშირებული იყო დიდი ხნის წინათ გამქრალ დედამიწასთან.
მოკლედ, აქ ძალიან უჩვეულო არსებები ცხოვრობდნენ. ამიტომ მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.
ტოტზე იჯდა მუსიკალური კაკადუ სერჟი. მისი სხეული თოვლივით თეთრი იყო, ხოლოთუ წითელი ქოჩორი თავზე მიაგავდა რომაული მუზარადის შებუმბვლას. მკერდზე წითლად მოუჩანდა პატარა ლაქები – ზუსტად ისეთი, საპატიო ლეგიონის როზეტი.
ამ ჩაცმულობაში გასაოცარი ნაკლებად იყო. სერჟი სპეციალიზდებოდა ძველ ფრანგულ შანსონზე, და ჰიპნოგამომსხივებელი ქოჩრის წყალობით შეეძლო, მიეღო სხვადასხვა ფორმა – ედიტ პიაფიდან პოლნარეფამდე. სერჟი დიდი მომღერალი გახლდათ – და ისევე, როგორც ყველა გენიოსი, ჭირვეული და ნერვიული არსება იყო.
– მე მქვია სერჟი, – თქვა სერჟმა, – მე მაქვს რწმუნებულება მოლაპარაკების საწარმოებლად. შენ ვინა ხარ, ჯოხიანო ქალო?
სპერო ცოტა განაწყენდა კიდეც.
– მე მქვია სპერო, – მიუგო მან, – შენ კიდევ რაღაც დედის მაგვარადაც კი გერგები, სერჟ.
– სპერო? – თვალები მოჭუტა სერჟმა, – არასოდეს მსმენია ასეთ დედაზე. რას ნიშნავს ეს სიტყვა?
– ერთ-ერთ დედამიწურ ენაზე იგი აღნიშნავს «იმედს». და ეს სწორედ ისაა, რადაც მე მომწონს ყოფნა. მაგრამ თუკი ცოტა სხვანაირად წარმოვთქვამთ სიტყვას, მაშინ მეორე ენაზე იგი აღნიშნავს შუბს.
და სპერომ მაღლა ასწია კომბალი.
– აი, ოღონდ სულაც არ არის საჭირო ჩვენი შეშინება, – თქვა

სერჟმა და მისკენ შემოტრიალდა თავისი კეხიანი პროფილით, – აუცილებლობის შემთხვევაში ჩემი ნისკარტი იოლად გადაკორტნის შენს კბილის საჩიჩქნს. ჯობს, იქამდე არ მიიყვანო საქმე, ჯოხიანო ქალო.
სერჟი, სხვათა შორის, არც ისე აზვიადებდა. ალბათ, ვერ გადაკორტნიდა შუბს, – მაგრამ თითს კი ნამდვილად.
– კარგი, მაესტრო, – თავაზიანად თქვა სპერომ, – შემიძლია, გკითხო, სახელდობრ, ვინ მოგცა რწმუნებულება, რომ მოლაპარაკება გეწარმოებინა?
– გულთა ჯგუფმა, შეურაცხყოფილმა ბედის თვითნებობით, – მიუგო სერჟმა, თან ისევ ისე უყურებდა სპეროს ცალი თვალით, – და მე, რომ იცოდე, მათ რიცხვში ვარ.
– აი, როგორ ყოფილა, – ფიქრიანად თქვა სპერომ, – შეურაცხყოფილებმა ბედის თვითნებობით...
სერჟმა დიდმნიშვნელოვნად დაუქნია თავი.
– და ჩვენ შევძლებთ დაწყებულის დასრულებას. შენ ხომ გრძნობ ჰაერში გადმოღვრილ საშინელებას?
– სწორედ მაგ მიზეზით ვარ აქ, – მიუგო სპერომ.
– ჩვენ ვიცით, რომ მენეჯმენტი ამისთანა რამეებზე დაგეშილია, – თქვა სერჟმა, – სხვა ხერხი, რომ ჩვენთვის მოესმინათ, არ გვქონდა.
– რა დააშავეთ? – შეეკითხა სპერო.
– აჰა, – კმაყოფილებით თქვა სპერომ, – შენ გრძნობ, მაგრამ ვერ ხედავ! ასე რომ არა, შენ უკვე, დიდი ხანია...
სერჟი შუა სიტყვაზე გაჩუმდა, თითქოს დაფრთხა, რომ კინაღამ ზედმეტი წამოაყრანტალა. ქოჩორი ნერვიულად წამოეფოფრა, და სპეროს უცებ მოეჩვენა, რომ სერჟი გაიბერა, წამოიზარდა შავი სმოკინგითა და ბაფთით, მისი ფრთები ხელებად იქცა – და ერთ-ერთში გაჩნდა სადენიანი მიკროფონი. მერე ამ წყალდიდობამ, საერთოდ, ჩაიარა. სპერო უცდიდა, რომ სერჟი განაგრძობდა, მაგრამ ის დუმდა – ეტყობა, მოახერხა საკუთარი თავის დაშინება, თანაც ძალიან. მან რამდენჯერმე დაახამხამა ცალი თვალი და სპეროსკენ მეორე თვალით მოტრიალდა.
– შენ უფლებამოსილი ხარ, მოლაპარაკება აწარმოო, – მოთმინებით თქვა სპერომ, – ჰოდა, დაიწყე. რა ჩაიდინეთ?
– მძევლები ავიყვანეთ! – მიუგო სერჟმა, – ეს მათმა საშინელებამ მოგიყვანა აქ. ნურც ეცდები, გაიგო, სად არიან

დამალულები და ვინ არიან, თუ არა და, ისინი დაიხოცებიან! და კიდევ – შენ უნდა იცოდე, რომ ისინი მაშინაც დაიხოცებიან, თუკი ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება!
ნათელი იყო, რომ სერჟი გარკვეულწილად ნერვიულობდა. ის გრძნობდა – რაღაც ცუდში ჩაითრიეს. და ნამდვილად არ მოსწონდა სიტყვები, რომელთა წარმოთქმას აიძულებდა საკუთარ თავზე აღებული როლი. მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იყო.
– მოთხოვნები? – დაეკითხა სპერო, – და კერძოდ, ვისი მოთხოვნები? ვინ შედის განაწყენებულ გულთა კავშირში? თუ ესეც საიდუმლოა?
– არა, – უპასუხა სერჟმა, – ეს არაა საიდუმლო. ჩვენ ვიცით, ჯოხიანო ქალო, რომ დიდხანს ვერ დაგემალებით. თანამებრძოლებო, გამოდით!
თანამებრძოლები, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდნენ ბუჩქებიდან.
პირველად ველობზე გამოვარდა სამთავიანი ძაღლი. გიგანტურ ლაიკა-ჰასკის ჰგავდა (ამ ჯიშს ასეც ერქვა – «არჰასკა») – ის ფხიზლად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა, თითქოსდა ძაღლისთვის იმაზე ბუნებრივი არაფერი იყო, რომ სამი თავი ჰქონოდა. მარცხენა კისერზე ება თეთრი საყელური, მარჯვენაზე – ლურჯი, ხოლოთუ ცენტრალურზე – შავი. მარცხენა და შუა თავები აკვირდებოდნენ სპეროს, მარჯვენა კიდევ ცაში იყურებოდა.
სპერომ გაიღიმა.
ეს იყო ძუკნა აგენდა, რომელიც მალე უნდა წასულიყო საქანელაზე – მხიარულ ფსიქოდელიურ სივრცეში გრავიტაციული ანომალიებით, სადაც მუდმივი რევოლუცია მიმდინარეობდა, მსგავსი კარნავალისა, ანდა კარნავალი, მსგავსი რევოლუციისა. საქანელას ჰქონდა სამი მთვარე: თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა, რომლებიც ამ სამყაროზე გადიოდნენ რიგრიგობით, და იწვევდნენ სხვადასხვა მიმართულების მოქცევებს, ასევე ბედნიერ – ისეთივე სხვადასხვამხრივ – დაბნელებებს თავებში. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ მთვარეებს უწოდებდნენ «თეთრს», «შავს» და «ლურჯს» – მათგან გამოწვეული თრობადობის ტიპის მიხედვით. თითოეულ მათგანს,

ერთგვარად, ცნობიერება გამოჰყავდა ნაბახუსევიდან, წინა ფაზიდან რომ მოჰყვებოდა, ამიტომაც ამ სივრცეს უწოდეს საქანელები. ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებოდნენ, რომ ეგეთი მთვარეების პირობებში არ სჭირდებოდათ გაჩხერა და დაბოლება, მაგრამ საქანელებზე ნივთიერებებსაც ჰქონდათ დაბანგული ნეტარყუჩობა.
ეს მღელვარე, მაგრამ ძალიან პოპულარული სამყარო აგებული იყო ძნელსაცნაური ბარიკადებით, სადაც იმალებოდა დასაბოლებლები, ყავახანები, უგულო სიყვარულის სააღებმიცემო ბუნაგები და სხვა დაწესებულებები. მთვარის ფაზების მიხედვით, ერთ თვეს საქანელები საკუთარ თავს ებრძოდა თავისუფლებისათვის, მომდევნო თვეს – სამართლიანობისათვის, მერე კი თანასწოროობისათვის, იმიტომ, რომ ყველა ეს ცნება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საერთო ჯამში, ურთიერთგამომრიცხავი გამოდიოდა, ხოლოთუ საზოგადოებრივი განწყობა განსაკუთრებულად დამოკიდებული იყო მთვარის ცვლილებაზე.
საქანელებზე ცხოვრობდნენ სამთავიანი ძაღლები – ისეთები, როგორიც აგენდა იყო, როცა მთვარე მთელი ძალით ზემოქმედებდა, ერთი თავი შეუდგებოდა ყმუილს გაბატონებული მთვარის მიმართულებით, ხოლოთუ დანარჩენი ორი, დორბლების ყრას იწყებდა და გარემომცველთ საყვედურობდა, რომ ხმას არ აყოლებენ, რითაც ღალატობენ ყველაფერ თავისუფალს (სამართლიანს, ანდა თანასწორს). აგენდა იკბინებოდა, მაგრამ ძალიან არა – რათა შესძლებოდა ყველა ასაკობრივი ჯგუფის გართობა, კბილები არ ჰქონდა. სქესიც არ გააჩნდა, და ძუკნას პირობითად ეძახდნენ, მამრობითი საწყისის შესამჩნევი ნაკლულოვნების გამო. მოლაპარაკე სამთავიანი ძაღლები საქანელებზე ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ატრაქციონად – მათ სანახავად საგანგებოდ მოდიოდნენ, განსაკუთრებით მთვარის ფაზების ცვლილების დროს. ამის წინ მარიხუანას მოწევა დაშვებული არ იყო, რადგან სიცილის პაროქსიზმები შეიძლება ჯანმრთელობას დამუქრებოდა.
აგენდა რთული არსება გახლდათ, დაბადებიდან მომართული მისი მომავალი სამყაროს მთვარეებზე – და მის სხვადასხვა ფერის საყელურებში ჩაკერებული იყო მაგნიტური

კომპენსატორები. ახლა ისინი მესამედი ძალით მუშაობდნენ, რათა აგენდა ჭკუიდან არ გადასულიყო. ამ რეჟიმში ის არც ყმუოდა და არც არავის კიცხავდა. მაგრამ მისი ორი თავი სპეროს უყურებდა უკიდურესი უნდობლობით, ხოლო მესამე – ცას აჰყურებდა და ხანდახან მაინც წვრილი ხმით უყეფდა. საყელურის ფერით თუ ვიმსჯელებდით, მოცემულ მომენტში აგენდა შეწუხებული იყო თანასწორობით.
– გამარჯობა, აგენდა, – თქვა სპერომ, – მოგესალმები, როგორც თანასწორი თანასწორს... ანუ, უკაცრავად, თანასწორი.
აგენდამ საკუთარი ღირსების შეგრძნებით დაუკრა რევოლუციური საქმიანობისგან თავისუფალი თავები, მაგრამ არაფერი უპასუხია.
– მომდევნო ვინაა?
აშარიშურდა ტოტები, და ველობზე გამოცოცდა, როგორც სპეროს მოეჩვენა, მოზრდილი სველი ტანკი უკოშკოდ. ეს იყო ლილისფერი ჰიპო არაპროპორციულად დიდი წარბებით, რომელთა ქვემოდან იყურებოდა ჭკვიანი, კეთილი და ტკივილით აღსავსე თვალები. ისინი ძალიან დიდი და მეტყველი იყო – და ასხივებდა იმდენ რთულ, საწინააღმდეგო გრძნობას, რომ ორ ტელევიზორს ჰგავდა, მელოდრამებს რომ გადმოსცემენ.
ჰუგო, როგორც ჩანს, ყველაზე გავრცელებული სახელია ჰიპოპოტამებში, გაიფიქრა სპერომ, ნეტავ რატომ? გაუგებარია.
ჰუგოზეც ყველაფერი იცოდა. ის მალე გაფრინდებოდა «დილაზე» – სივრცე, რომელიც მხოლოდ ბავშვებისთვისაა. როგორც ყველა ცხოველი «დილაზე», ჰუგო მეტად სასარგებლო არსება იყო, რაღაც მასწავლებლის მსგავსი. მას ზრდიდნენ ახალი აკვაპარკისთვის, სადაც უნდა ეცურა ბავშვებისთვის ლექსების წერის სწავლებისას. ამ მიზეზით, მხოლოდ ლექსად შეეძლო ლაპარაკი – და ისინიც ისე მსუბუქად და ბუნებრივად იღვრებოდა მისგან, როგორც ყმუილი აგენდადან.
– როგორ გიკითხო, მსუქანო ჰუგო? – შეეკითხა სპერო, ცდილობდა, რიტმულად ელაპარაკა, რათა ჰუგოს მარცვალთა რაოდენობა და რიტმი დაეჭირა და ისე ეპასუხა, როგორც ეს მოუწევდა ბავშვებთან აკვაპარკში.
– ტანჯულ ცხოვრებას რა უნდა ვუყო, – ხავერდოვანი ბარიტონით გამოეპასუხა ჰუგო, და მის დიდ, სველ თვალებ-

ტელევიზორებში გაკრთა ენით აუწერელი ტანჯვა.
სპერომ მაშინვე ინანა, მსუქანი რომ დაუძახა, თუმცა დარწმუნებული იყო – ჰიპოპოტამისთვის ამაში გასაკვირი არაფერი იყო.
ახლა მან იცოდა, ვინ დაუწერა ქერქებზე. უფრო სწორად, შეუთხზა. აი, დაწერას კი თავისი ტუმბოსავით კიდურებით, ჰუგო, რასაკვირველია, ვერ შეძლებდა. კაკადუ სერჟიც არ ერგებოდა ამისთანა როლს – მისი ნისკარტი კაკლების საღრღნელად თუ გამოდგებოდა. ესე იგი, ვიღაც სხვამ გააკეთა ეს...
და ის, როგორც ჩანდა, უკვე მოცოცავდა ველობზე.
შეუძლებელი იყო, მასზე გვეთქვა, რომ «გამოცოცდა» – პროცესი მაინც ვერ მივიდა ბოლომდე. თანდათან ჩერდებოდა და შედგა დაახლოებით შუაში.
სპერომ დაინახა სქელი და მეტისმეტად გრძელი გველი, რომელშიც იყო რაღაც საბრძოლო: მისი კანის ექვსკუთხა, შესანიღბავი ზოლებით დაფარული ქერცლი ულტრაგამძლე ჯავშნად გეჩვენებოდა. რომელიღაც ძველისძველი ჩვეულებით, გველი ატარებდა უდაბნოს კამუფლაჟს. მისი სხეულის ნახევარი ბუჩქებში დარჩა – ეტყობა, იმისთვის, რომ ერთი მკვეთრი მოძრაობით დამალულიყო, თუკი ველობზე საქმე არცთუ კარგად წავიდოდა. უბრალოდ, ბოროტების განსახიერებაა.
სპერო შეიჭმუხნა.
ეს იყო არსება არსებობის ცოტა სხვა ციკლიდან – მისი ყოფნა ტყეში უცნაურად და უადგილოდაც ეჩვენა. მაგრამ სპერო მაშინვე მიხვდა, ვინ იყო მის წინაშე, და ამოისუნთქა.
ჰიპნოპითონი ბატუ შემთხვევით არ მოსჩვენებია სპეროს ბოროტების განსხეულებად – იყო კიდევაც. თანაც ის იყო ბოროტება გრძელი და დახლართული წინაისტორიით, როგორც დაძველებული ღვინის ბოთლი, მრავალჯერ გადასული ერთი კოლექციიდან მეორეში. ბატუს ტყეში ყოფნა იოლად აიხსნებოდა – მას ამზადებდნენ შურისძიების სივრცისათვის, სადაც ყველა ყველაზე ნადირობს. ბატუს მომავალი სამუშაო იმაში მდგომარეობდა, რომ იქაური მცხოვრებნი მაქსიმალურად გაეუბედურებინა. მას უნდა სცოდნოდა, როგორ გამოიყურება ბედნიერი სამყაროები, რათა ისინი დაეტანჯა სამოთხეების აღწერით. ეს იყო ყველაზე

საზიზღარი სპეროსთვის ცნობილი განზომილებებიდან – მისი ნება რომ ყოფილიყო, საერთოდ, გამორიცხავდა დასაშვების სფეროდან. მაგრამ მას ძალიან აფასებდნენ დიადი მეომრები – ისინი იქ ხვეწდნენ ექსტრემალური ნადირობის წესებს. ადვილი დასაშვები იყო, ბატუ მათი მსხვერპლი გამხდარიყო.
ის ტყეში იზრდებოდა, ვინაიდან ისიც მიეკუთვნებოდა ჭკვიან ცხოველთა რიცხვს. მაგრამ ეს იყო ჭკუა განსაკუთრებული თვისებებით, იმათი არამსგავსი, რომელთაც ფლობდნენ ჰუგო ანდა სერჟი. შესაძლოა, ბატუ რაღაცით ჰგავდა აგენდას – იმას შეეძლო ამისთანა გამხდარიყო, თუკი მისი სამი თავი ერთში შეერთდებოდა, განიმსჭვალებოდა განსაკუთრებულად მოღუშული მთვარის გავლენით, თავს დაანებებდა ყმუილს და საქმეს მიხედავდა. მაგრამ ჯერჯერობით ბატუს ბავშვობა არ დამთავრებულიყო. მისი საშინელი სული თვლემდა, და მას შეეძლო ეცხოვრა ედემში – ყველამ იცოდა, რომ აქაც უნდა ჰყავდეთ თავიანთი გველები.
ბატუ პატარაობიდანვე მუხანათი იყო. შეეძლო, შეექმნა ხაფანგები და შიგ შეეთრია მსხვერპლი. თავადაც ერთი გრძელი ხაფანგი იყო. და ერთ-ერთი ველობზე მყოფი შიგ გაება კიდეც, მიხვდა სპერო.
ბატუს სხეული ისევე რჩებოდა ბუჩქებში, მაგრამ მისი თავის შორიახლოს, ბუჩქებიდან კუდის ბოლო გამოჩნდა, თითქოს ბატუ ისეთ სახეს იღებდა, რომ ისინი ორნი არიან (მონადირეს, სხვათა შორის, იოლად დაარწმუნებდა ამაში). სპერომ კუდზე თიხით შეღებილი ფუნჯი დაინახა – ეს ანატომიური დეტალი ბატუს საშუალებას აძლევდა, კვალი წაეშალა.
ახლა კი ყველაფერი გასაგები შეიქნა. ანთუ, თითქმის ყველაფერი.
– რატომ? – შეეკითხა სპერო, ბატუს თვალებში უყურებდა.
– და რატომ გამარჯობას არ მეუბნები, ჯოხიანო ქალო? – შეეკითხა ბატუ ყრუ, წყნარი ხმით, – შეიძლება, არ გინდა, რომ გამარჯვებული ვიყო? მაშინ ვაშლები არ მთხოვო, ხო-ხო...
– არავითარი ვაშლები შენ არ გაქვს, – თქვა სპერომ, – შენ მარტო შავი აზრები გაქვს, ბატუ. აი, მაგ აზრების გამო შენი ტყავი მალე რომელიმე შენსავით ნადირობის მოყვარულის აბაჟურში წავა.
– შეიძლება, ჩვენ თავად მოვასწროთ ვინმეს გაშვება

აბაჟურისთვის, – თქვა ბატუმ.
– უჰ, – ამოიოხრა სპერომ, – როგორც ვხედავ, უკვე დაიწყე ეგ საქმე. ტყის ამ სექტორში შენ რა გინდა? ნადირობ?
– არა, – თქვა ბატუმ, არჩევდა სიტყვებს, – არა, არ ვნადირობ. ჩემს მეგობრებთან ვატარებ დროს. ხომ შეიძლება მეგობრები მყავდეს, სანამ ჩემს ტყავს აბაჟურში გაუშვებდნენ?
სპერომ თვალებში შეხედა, და ბატუ შეიჭმუხნა, თითქოს ტკივილისგან.
– მე უნდა მქონდეს შესაძლებლობა, დავიცვა ჩემი გონება, – თქვა მან, – სხვანაირად ძალიან მუხანათურად გამოდის. აბაჟურები ძალიან იაფად გვეძლევა... ამაში დიადი არაფერია, არავითარი სილამაზე…
სერჟი, ჰუგო და აგენდა ამ საუბარს დაძაბული მიუხვედრელობით უსმენდნენ – ისინი, ეტყობა, ვერ ხვდებოდნენ, რომელ აბაჟურებზე იყო ლაპარაკი.
სპერო იმათ მიუბრუნდა.
– მე უკვე ვიცი, აქ რაც მოხდა, – თქვა მან, – ვიცი ყველაფერი, ანთუ თითქმის ყველაფერი. ახლა მე ამას მოგიყვებით, და თუკი შემეშალა, თქვენ შეგიძლიათ, შემისწოროთ. დანარჩენს თავად ამიხსნით. ოღონდ არ მომატყუოთ და არ იცქმუტოთ. კარგი?
ჰუგოს შეხედა.
– ჩვენ არასოდეს ვტყუით და ვცქმუტავთ, – ღირსეულად უპასუხა მან, – მხოლოდ სიმართლეს წვეთიწვეთ ვწურავთ.
– მშვენიერია, – თავი დაუქნია სპერომ, – მაშ, ასე. ჩვენს მეგობარ ჰუგოს დაეწყო ეგზისტენციალური კრიზისი. აღარ ესმოდა, რატომ ცხოვრობს და როგორღა იცხოვროს შემდეგში. ეჩვენებოდა, რომ მისი ცხოვრება – სასტიკი და უაზრო ხუმრობაა. მისი მწარე ლექსები რომ მოისმინა, იგივე იგრძნო სერჟმაც და რევოლუციური მუშაობისგან დროებით თავისუფალმა აგენდას თავებმაც კი. და ვერავინ შეძლო ამხელა ტყეში თქვენი გადარწმუნება. ასე იყო?
– ჰო, ასე, – დასტური დასცა სერჟმა.
– მერე ტყიდან გამოსრიალდა ბატუ. მან ერთი რამ აგიხსნათ, რაც იცის, როგორც პროფესიონალმა მონადირემ. ამ სამყაროს მეთვალყურეობის სისტემა სივრცულ საზღვრებსა და მატერიალურ მოვლენებს კი არ აკონტროლებს. ის უთვალთვალებს ემოციების ამოფრქვევებს, პირველ რიგში

ტანჯვასა და ტკივილს ამჩნევს. ამიტომო, თქვა თქვენმა მეგობარმა ბატუმ, თუ თქვენ გსურთ, რომ უმაღლესმა ზეციურმა ხელისუფლებამ მოგაქციოთ ყურადღება, მოგისმინოთ და შეასრულოს თქვენი მოთხოვნები, თქვენ უნდა შექმნათ ძლიერი შიშის შადრევანი. ეს იქნებაო, ასე თქვა, როგორც კოცონის კვამლი, მთაზე აშენებული ციხესიმაგრიდან რომ გამოჩნდებაო. სწორია?
– სწორია, – მიუგო სერჟმა, – გვითხრა, რომ ძველი დიადი მმართველები ეგრე აკეთებდნენ ყოველთვის, და მაშინ ღმერთები ჩამოდიოდნენ მათთან სალაპარაკოდო. მაგრამ დაგვპირდა, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს იქნებოდა ბოლი უცეცხლოდ. შიში, უბრალოდ, შიში იქნება. შიგ არ იქნება ტკივილი... და ჩვენ არავითარ დანაშაულს არ ჩავიდენთო. სპერომ თავი დაუქნია.
– ბატუ ჭკვიანია, – თქვა მან, – იცის, როგორ დააგოს მახეები და პასუხისმგებლობას როგორ გაექცეს. მან შეძლო დაერწმუნებინა რამდენიმე ოქროსსაწმისოვანი ცხვარი, რომელიც შეყვარებული იყო ჰუგოზე მისი ლექსების გამო, რომ სატყუარა გამხდარიყო. გააფრთხილა ისინი, რომ მოუწევთ ძლიერი შიშის განცდა, და ისინიც დაეთანხმნენ ჰუგოს გულისთვის. მაშინ ბატუმ ისინი გამოქვაბულში გამოკეტა და უბრძანა, არ ეცქმუტათ. იმიტომ, რომ, თქვა მან, გამოქვაბულში ცხოვრობს გველგესლა, რომელსაც მართლა შეუძლია კბენა...
– მაგან გვითხრა, რომ გველგესლები არ იქნებოდნენ, – უპასუხა აგენდას ერთმა თავმა, – უბრალოდ, უნდა შეგვეშინებინა...
– ვიცი, – თქვა სპერომ, – გამოქვაბულში ცხოვრობს გველხოკერა. მაგრამ ცხვრები ფიქრობენ, რომ იქ არის გველგესლა. და ის რომ გასრიალდება ცხვრების გვერდით, იმათ კიდევ შიშისგან აცახცახებთ, შარიშური რომ ესმით მშრალ ბალახში... გველხოკერას არავისი შეშინება არ უნდა, თავადაც შიშს შეუპყრია. ვერ გაუგია, რა ხდება, და, უბრალოდ, შიშისგან თავის გამოქვაბულში აქეთ-იქით აწყდება. და ყველანი ერთად ქმნიან საშინელების ისეთ ამორტყოცნას, რომ შორიდან მისი ვერ დანახვა შეუძლებელია. მე სხვა რამ ვერ გამიგია... სპერომ მხეცებს მოატარა მზერა.
– ეს რატომ გააკეთეთ?
– ჩვენ, ყველანი, სიბედკრულეში ვართ, – თქვა სერჟმა, – მეც,

აგენდაც, და ჰუგოც. ბატუსაც იგივე პრობლემა აქვს. გაგვიჩნდა შეკითხვა ჩვენი არსებობის მიზანზე. ამნაირ შეკითხვაზე მხოლოდ ღმერთს შეუძლია გიპასუხოს. ყველამ იცის, რომ ის სადღაც აქ არის, სულ აქვე – იმიტომ, რომ ეს ედემია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორ მივიქციოთ მისი ყურადღება. ბატუ ამტკიცებდა, რომ მძევლების აყვანა – ერთადერთი ხერხია. და, როგორც ჩანს, მართალი იყო.
– რატომ გგონია ეგრე?
– ანგელოზმა უკვე შეგვამჩნია, – თქვა აგენდას ერთ-ერთმა თავმა, – ადრე, საერთოდ, არავინ გვამჩნევდა. თუკი შენ მოისურვებ, სპერო, ღმერთიც შეგვნიშნავს. შესაძლოა, ჩვენ არ მოგვისმინოს, მისთვის ძალიან პატარები ვართ. მაგრამ აი, მის საკუთარ ანგელოზს ნამდვილად შეამჩნევს. და თუკი ისურვებ, უპასუხებს ჩვენს შეკითხვას.
– მე არ შემიძლია, მითითებები მივცე ღმერთს, – თქვა სპერომ.
– მაგრამ შენ შეგიძლია მისთვის ილოცო, – მიუგო ბატუმ, – სუფთა გულით. შენს ლოცვას გამოეხმაურება აუცილებლად. თუ არა და, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ედემს ზურგი შეაქცია.
– კარგად აზროვნებ, – თქვა სპერომ, – და ძალიან გაცნობიერებული ხარ. მაგრამ ღმერთი არ პასუხობს იმათ, ვინც ბოროტებას სჩადის, თუნდაც ისინი ლოცულობდნენ. და არ ეჩვენება მათ.
– არავის ჩაუდენია ბოროტება, – უპასუხა ბატუმ, – დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, ანგელოზო.
– შიში ბოროტებაა.
– მაგრამ ამ ბოროტებამ თავად ჩაიდინა ბოროტება, – თქვა ბატუმ, – ჩვენ კი არა.
– ჰო, – თავი დაუქნია სპერომ, – შენ კიდევ, ბატუ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ უდანაშაულოდ ემსახურები ამ პროცესს. შენ დიდი გამოცდილება გაქვს, მე ვიცი...
– ილოცებ ჩვენთვის? – შეეკითხა სერჟი, – შენ ხომ ცუდი არაფერი ჩაგიდენია, ჯოხიანო ქალო. შენთვის შეიძლება. სპერო ცოტა დაფიქრდა.
–კარგი, – თქვა, – მაგრამ ჯერ ბატუმ უნდა გამოუშვას მძევლები. არავითარი ლოცვა არ შეისმინება, თუკი შიშის ამ შადრევნიდან ამოვა.
ცხოველები ბატუსკენ მიბრუნდნენ. მან ღიმილით დაიქნია თავი

და ბუჩქებში გაქრა. გავიდა სიჩუმის რამდენიმე წუთი.
– აქვეა, – თქვა სერჟმა, – მალე მოვა.
– ვიცი, – მიუგო სპერომ, – და რაზე უნდა ვილოცო?
– დაე, ღმერთმა გვაჩვენოს, რომ ნამდვილად არის, – თქვა აგენდას მარცხენა თავმა.
– და ჰუგოს კიდევ თავის შეკითხვაზე უპასუხოს, – დაამატა ცენტრალურმა.
– რომელ შეკითხვაზე? – შეეკითხა სპერო.
– ჰუგო თავად ჰკითხავს.
სპერომ იგრძნო, რომ ჰაერში მიმოღვრილი შიში ქრება – საფეხურებად, თითქოს გამორთო უხილავი ხელის რამდენიმე მოტრიალებამ. ეტყობა, ბატუ რიგრიგობით უშვებდა ცხვრებს გამოქვაბულიდან, და სინათლეზე გამოსულებს უკვე აღარ ეშინოდათ. მაინც გასაოცარი უბრალო და ჯანმრთელი არსებები არიან.
– კარგი, – თქვა სპერომ, – მე ვცდი.
თვალები დახუჭა, სახე ცას მიუშვირა და, ცდილობდა, არ გაღიმებოდა, უსიტყვოდ უთხრა მის თავში მფეთქავ ლურჯ სინათლეს:
«და რატომაც არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ისინი ითხოვენ?»
ვერ მოასწრო თვალების გახელა, რომ სპერომ გაიგონა სამთავიანი აგენდას ყმუილი – შეიძლებოდა, გეფიქრა, რომ ცაზე ერთდროულად გამოხტა მისი მომავალი სამყაროს ყველა მთვარე. საგანგაშოდ დაიყაშყაშა სერჟმა. ჰუგომაც კი, სულ რომ გადაავიწყდა თავისი ეგზისტენციალური მწუხარება, შეშინებული და სრულიად გაურითმავი ღრუტუნი გამოცა.
მიწა ფეხებქვეშ თითქოსდა უცებ გადაიქცა შტორმში მოყოლილი ხომალდის გემბანად – მძიმედ გადაიხარა ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. მერე კი ველობზე მდგართა ზემოთ ცა გაიხსნა.
სინამდვილეში ზემოთ არც არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ყველას მოეჩვენა, რომ ცა გამჭვირვალე გახდა – და საიდანღაც შორიდან, განუზომლად მაღალი ღრუბელსიქითა მთებიდან, ველობზე ვიღაცამ გადმოიხედა. ყურადღების სხივი მხოლოდ წამით იყო მიმართული შეკრებილებზე – მაგრამ ამ დროში თითოეულმა მოასწრო გაეხსენებინა საკუთარ თავზე ყველაზე

კარგიც და ყველაზე ცუდიც.
მერე კი ყველამ შენიშნა, რომ ველობზე უფრო განათდა. აღმოჩნდა, რომ ტყე წინ გადაიხსნა. ფართო ნატყევარში გამოჩნდა მისი გარშემომრტყმელი გზა – და, მაშინვე იმის იქით, მდინარის ზოლი. გზა შორს იყო, მაგრამ რაღაცნაირად კარგად გამოჩნდა, გეგონება, ჰაერი ლინზად შედედდა. გზაზე არავითარი მოძრაობა არ შეინიშნებოდა. მაგრამ ველობზე მდგარებმა იგრძნეს, რომ იქ ვიღაც იყო.
– დაუსვი შენი შეკითხა, ჰუგო, – თქვა სპერომ, – სწრაფად.
ჰუგომ თვალები დახუჭა და თავისი დიდი თავი გადააქნია, თითქოსდა ცდილობდა, შეეკრიბა თავის ქალაში გაბნეული ბურთულები. ეტყობა, ეს გამოუვიდა. თვალები რომ გაახილა, მტკიცედ გამოვიდა წინ და ისეთ ადგილას დადგა, რომ მასა და ნატყევარზე გამოჩენილ გზას შორის არავინ ყოფილიყო. რამდენიმე წამი სველად იყურებოდა შორს – და სპერომ შენიშნა დიდი ცრემლი, მის ლილისფერ კანზე რომ ჩამოგორდა.
მერე ხახა დააღო და საყვირივით დაიძახა:
მითხარი, უკვდავო ელოხიმ:
რატომ ვარ სქელი ფეხებით...
რად ვლაპარაკობ ლექსებით?
რატომ შემქმენი ეგეთი?
შეკითხვამ ისე ხმამაღლა გაიჟღერა, რომ ერთი ყურიდან მეორეში ვერ გაატარებდი – და მიუწვდომელმა იქმყოფობამ ნამდვილად გაიგონა.
რაღაც მოხდა. წინამდებარე გზის მონაკვეთმა კიდევ ახლოს მოიწია, გეგონება, უხილავმა საჰაერო ლინზამ გამრუდება შეიცვალაო. მერე ველობზე მდგომებმა გაიგონეს წყნარი წკარუნი.
ის გაჩნდა შორს და თანდათან ახლოვდებოდა, თითქოს ვიღაცა მიდიოდა ველობზე და მონეტებიან ტომარას მიიქნევდა. მალე წკარუნი გამოკვეთილი და ხმამაღალი გახდა, და ველობზე მდგარმა ცხოველებმა იგრძნეს ღვთიური შიშის ტალღა – ნათელი შეიქნა, რომ ხმის წყარო სადაცაა გამოჩნდება თვალით დასანახად.
მერე კი ის მართლა მოევლინათ.
გზაზე მოდიოდა ხნიერი, ჭაღარაწვერიანი სქელო, უცნაური

ჩაცმულობით, შორეულად რომ მოგვაგონებდა ტოგას – მაგრამ კიდევ უფრო მეტად ჰგავდა ჩვეულებრივ ზეწარს, რომელშიც უცნობი გახვეულიყო განსაკუთრებული ეშმაკობების გარეშე. თავზე ეხურა რაღაც, მსგავსი ოქროს სამეფო გვირგვინისა, მაგრამ მისი ფოთლები ქარზე ირხეოდა, და მაშინვე ცხადი გახდა: თუ ეს მართლა გვირგვინია, მაშინ სრულიად შემსუბუქებულია, ფოლგისგანაა – სიცხეშიც რომ ატაროს. სქელოს ხელში ზანზალაკებიანი რგოლი ეჭირა და ყოველ ნაბიჯზე აჟღარუნებდა.
მის კვალდაკვალ მოდიოდნენ პატარა, ტურტლიანი და ფეთხუმი გოგონები ბინძურ თეთრ კაბებში – ისინი მოცეკვავდნენ და გამოცდილი ტანმოვარჯიშის სიმარჯვით ხან სალტოს აკეთებდნენ, ხან ბორბალს, ხანაც რაღაც წარმოუდგენელ ილეთებს, გზაზე ხელისგულებითა და სპორტული ფეხსაცმლით მოდიოდნენ, რომელიც ასევე თეთრი და ჭუჭყიანი იყო. მათ უკან მოგორავდა მეტალის ორი გვერგვი, და, როცა გოგონები ჩამორჩებოდნენ ზანზალაკების ამაწკარუნებელ სქელოს, გვერგვებიც ცოტას დაამუხრუჭებდნენ – მერე კიდევ ისევ გაქანდებოდნენ ხოლმე.
სქელომ არც კი გაიხედა ჰუგოს მხარეს – მივიდა ტყისპირამდე და იმის იქით გაქრა. მერე ტყისპირს იქით გაქრა პირველი გოგონა. მეორე კიდევ, ველობისკენ შემოტრიალდა, ხელით რაღაც გააკეთა, მის თითებში გაიბრწყინა პატარა, მრგვალმა სარკემ, და ველობზე მდგომნი უცებ დააბრმავა კაშკაშა შუქით – და გააყრუა ოქროს მზიური რეკვით, რის შედეგადაც ყველა აზრი გაიფანტა პატარ-პატარა ბედნიერ ნაგურჯლებად.
როცა ველობზე მდგომნი გონს მოვიდნენ, წინ განათებული აღარ იყო. ტყე ისევ შემჭიდროვდა ყოველი მხრიდან, და ყველაფერი ძველებურად გახდა.
მერე კი ბუჩქებიდან გაისმა ჰიპნო-პითონ ბატუს ხმა:
– ყველაფერი გავაკეთე! ყველა გამოვუშვი! მაგრამ აქ მოსვლა არ უნდათ, ახლა ეშინიათ, რომ დაისჯებიან... შენ შეგიძლია ლოცვა დაიწყო, სპერო…
მაგრამ ველობზე დაკიდული სიჩუმეზე მიხვდა, რომ აქ რაღაც მოხდა – და გაიქანქა.
მერე სერჟმა დაარღვია სიჩუმე.
– რა იყო ეს, სპერო, ჰა?

სპერომ მხრები აიჩეჩა.
– ალბათ, პასუხი ჰუგოს შეკითხვაზე. ჰუგო, გაიგე, რა გიპასუხეს?
– მე გავიგე, მაგრამ უკვე ძაფს ვკარგავ, – გამოეხმაურა ჰუგო, – თავიდან ხომ ვერ ამიხსნიდი?
სპერომ თავი დაუქნია.
– ჩემთვის რთულია, სრული დარწმუნებულობით ვილაპარაკო, – თქვა მან, – რადგან ეს იყო პასუხი ჩემს შეკითხვაზე, და არა შენზე. მაგრამ მე ვფიქრობ, საერთო აზრი ისაა... როგორ უნდა ვთქვა... ისაა, რომ სამყაროში ყველა თავისი მარშრუტით დაიარება და თავის ფუნქციას ასრულებს. მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა, ღმერთს შეუძლია გამოჩნდეს იქ, როგორც ერთი სტუმარი. ხოლოთუ ყველა სტუმარი ცხოვრობს ერთი და იმავე კანონებით, ჰუგო. და ყველას აქვს პრობლემები. ხომ ხედავ, ღმერთიც მსუქანია. და იმასაც სცხელა. მაგრამ შენი პრობლემები მალე მოგვარდება.
– რანაირად? – შეეკითხა ჰუგო.
– შენ გამძიმებს სქელი სხეული, – თქვა სპერომ, – ის მძიმეა და შენ ულამაზო გეჩვენება. მაგრამ როცა აღმოჩნდები იმ ადგილზე, რომელიც ბედისწერით გაქვს განსაზღვრული, აღარ შეგიშლის ხელს. სულ იცურებ. და წყალზე მხოლოდ შენი თვალები გამოჩნდება. თვალები კიდევ – ძალიან ლამაზი გაქვს.
სპერო სერჟსა და აგენდას მიუბრუნდა.
– თქვენი პრობლემები ასევე გაქრება, – თქვა მან, – თქვენ ცუდად ხართ, იმიტომ, რომ თქვენი ბავშვობა მთავრდება. მაგრამ როცა აღმოჩნდებით თქვენს ადგილებზე, გაბედნიერდებით. განსაკუთრებით შენ, აგენდა. შენი ერთი თავი სულ იყმუვლებს, სამაგიეროდ, სხვა ორი ისეთ ექსტაზში იქნება, როცა მშრალზე გამოიყვან ბრძოლიდან გაპარულებს, რომ უბრალო ერთთავიანი არსება ვერც კი წარმოიდგენს, რა კარგად იქნები. შენ კიდევ, სერჟ... შენ დიდი არტისტი ხარ. გენიოსი, შეიძლება, ამას იშვიათად გეუბნებიან, და კრიზისი გაქვს. მაგრამ მალე ამისთანებს მოისმენ სულ. შენ კიდევ სხვა არც არაფერი გინდა…
სერჟმა დაირცხვინა და თვალები დახარა.
– და მე? – იკითხა ბატუმ, – ჩემზე რატომ არაფერს ამბობ?
– შენ ბევრი პრობლემა გაქვს, ბატუ, – მწუხარედ თქვა სპერომ, – ძალიან ბევრი. ამიტომაც ვერ შეძელი დაგენახა, როგორ

ოსტატურად დაეხმარე ორგანიზებაში.
– პრობლემები? – შეეკითხა ბატუ, – რომლები? საიდან არიან ისინი?
– წარსული ცხოვრებებიდან.
– მე ანგელოზი არა ვარ და ვერ ვხედავ წარსულ ცხოვრებებს, – თქვა ბატუმ, – მაგრამ ვფიქრობ, რომ ედემში ვერ მოვხვდებოდი, ბევრი სისულელე რომ ჩამედინა.
– ბევრი სისულელე ჩაიდინე, – მიუგო სპერომ, – მაგრამ მთელი გულით გჯეროდა, რომ ამისთვის სამოთხეში მოხვდებოდი. და მოხვდი კიდეც. ოღონდ იმ ხარისხში არა, რომელშიც გეგონა. გველები აქაც საჭიროა.
– იცი, ჩვენ ვინ ვიყავით? – შეეკითხა აგენდას შუა თავი.
სპერომ თავი დაუქნია.
– მაგრამ ეს სინამდვილეში თქვენ კი არ იყავით, – თქვა მან, – ასე ლაპარაკი არასწორია. იყო სხვა, საიდანაც თქვენ გაჩნდით.
– მე ვინ ვიყავი? – იკითხა აგენდას მარცხენა თავმა.
– შენ... ანუ თქვენ, სამნი... თქვენ მსახურობდით ჯადოქარ-ინფორმანსერებად. ჟურნალისტებად, როგორც ამბობენ თქვენს სამყაროში. და ერთ მთლიანობად გადაიქეცით, რადგან გარკვეულმა მოვლენამ – ძალიან უსიამოვნო მოვლენამ თქვენი ექოები შეადუღა. თუმცა თქვენ მანამდეც, გასაგები აზრით, ერთი მთლიანობა იყავით... ყველა სამთავიანი ძაღლი საქანელებზე რაღაცით თქვენ გგავთ.
– მეც ხომ ვიღაც ვიყავი? – იკითხა ჰუგომ, – მეც ვცხოვრობდი, ვიცინოდი და მიყვარდა?
– შენ, ჰუგო, პრაქტიკულად იგივე დარჩი, – მიუგო სპერომ, – შეიძლება ითქვას, საერთოდ არ შეცვლილხარ.
– და მე? – ჩუმად წაიბუტბუტა ბატუმ.
– შენ ვერაფერს გაიგებ, ბატუ. ასეთია შენი ბედი. მე შემიძლია, მხოლოდ ეს გითხრა – ედემში მოხვდი, რათა შენი რწმენაც აღსრულებულიყო. მაგრამ სერიოზული გამოცდა მოგელის...
– ეს სამყარო საბავშვო ბაღს ჰგავს, – თქვა სერჟმა, – აქ შეუძლებელია, მოზრდილი იყო.
სპეროს გაეცინა.
– მართალი ხარ. სამოთხე, რომლისაც ადამიანებს სჯერათ – ხეხილის ბაღივითაა. იქ ცხოვრობს ღმერთი. ადამიანებს იმედი აქვთ იქ მოხვედრის, მაგრამ არ იციან, ის რა არის. ისინი

თავიანთ ცნობიერებაში ბაღის ბუნდოვან სურათს ხატავენ – და აქ მცხოვრები ღმერთისაც. მერე კი, როცა სხეულებისგან თავისუფლდებიან, ცნობიერება იწყებს მსგავსი ადგილის ძებნას. ანთუ თავადვე ქმნის მასში დარჩენილი ნახაზებით. მაშინ მჟღავნდება ლოგიკური შეუსაბამობანი, რომლებსაც ადამიანები ვერ ამჩნევდნენ სიცოცხლეში. ადამიანი ხომ – ყველას ახსოვს – გააძევეს სამოთხიდან. ამიტომ ყველაზე ხშირად ედემში ცხოველები ხდებიან. ყოველ შემთხვევაში, ამ ედემში...
– შენც გჯეროდა სამოთხის? – შეეკითხა სერჟი.
სპერომ თავი დაუქნია.
– აქ ბედნიერი ხარ?
– ყველაფერი ბედნიერებისგან არის შექმნილი, სერჟ. ჩვენი ტკივილიც კი.
– ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ყველაფერი შექმნილია ტკივილისგან, – მიუგო სერჟმა, – ჩვენი ბედნიერებაც კი. მე ამაზე არანაკლებ ათი სიმღერა მაინც ვიცი.
სპერომ გაიცინა, მაგრამ აღარაფერი თქვა.
მზე გამოვიდა მის წინ აფარებული ღრუბლიდან, და ველობის ცენტრში ისევ გაჩნდა მზის შუქის სვეტი. მასში მაშინვე გამოჩნდა რამდენიმე პატარა ჭრელი ფრინველი, როგორც ჩანდა, უკვე გაყინვაც რომ მოესწრო ჩრდილში.
«ფრინველები აქ იმდენია, – იფიქრა სპერომ, – მათი სიცოცხლე კი ასე მოკლეა... ედემში ყველას ეყოფა ადგილი. ყველა ბედნიერი იქნება ერთხანს. ბატუც კი».
– ჩემი წასვლის დროა, ცხოველებო, – თქვა მან, – ძალიან ცოტაღა დაგრჩათ აქ ყოფნის დრო. ეცადეთ, უბრალოდ, გაიხაროთ სიცოცხლით. იმითაც კი, რაც გაგანაწყენებთ ხოლმე. მალე ისიც აღარ გაგაბრაზებთ. და მაშინ შეამჩნევთ, როგორ გაკლიათ ისიც...
ცხოველები დუმდნენ.
სპერო შემოტრიალდა და მწვანე თაღისკენ წავიდა. კიდევ ბევრი რამის თქმა შეეძლო მის ზურგს მიჩერებული ცხოველებისთვის.
რომ ღმერთი, რომელიც მან ცხოველებს ანახა, ისეთივე თაღლითობა იყო, როგორიც ჰიპნო-პითონ ბატუსგან გამოგონილი გველხოკერა.

რომ ამ სამყაროს თავად ქმნის – როგორც ერთ თავშესაფარს, სადაც მოჰყავთ გზაარეული, ჩამქრალი გონებები მათ საბოლოო მიწიერ იმედში.
რომ ედემი – უბრალოდ, მისი პატარა პირადი საყვავილეა, რომელთანაც მთელ სამყაროში არავის საქმე არა აქვს. და ეს, ზოგადად, ისეთივე სენტიმენტალური სისულელეა, როგორიც დედამიწურ ტყეში დაკიდებული ჩიტების გამოსაკვები. სამყარო, შექმნილი ყოველგვარი მიზნის გარეშე. უბრალოდ, იმ სიყვარულისგან, მასაც რომ ეძღვნება, რაც სინამდვილეში არ არსებობს.
და ყველაფერი, რაც მას შეუძლია, მოიფიქროს უსასრულობის ჭაობში ჩაცვენილი ჩრდილებისათვის, რომელთაც ასე ძალიან აკლდათ სიყვარული სიცოცხლისა – ეს საშუალებას მისცემს, დაბრუნდნენ და ცოტა კიდევ დარჩნენ იმ სასაცილოს, უგნურისა და უსასრულოდ შემძვრელის გაგრძელებად, რადაც ოდესღაც იყვნენ. საშუალებას მისცემს, კვლავ იქცნენ საკუთარ ექოებად, ამ ექოს გააჟღერებინებს საგანგებოდ მათთვის შექმნილ რეზონანსში – და აისახება სხვა სამყაროებში, სათამაშოებით, სიკეთით და სიყვარულით სავსეებში, უსასრულობაში გაჩენილი სხვადასხვა ფერის საპნის ბუშტებით.
ექოს არ უნდა სცოდნოდა, რომ ის, უბრალოდ, ექოა. სხვანაირად ჯადოსნური სამყარო დაკარგავდა თავის აზრს. მასში მცხოვრებ სულებს გაუქრებოდათ სიძველის ბოლო ანაბეჭდი... მაგრამ ცხოველები მართლები არიან, ეს სამყარო ძალიან ჰგავს საბავშვო ბაღს...
სპერო უკვე შუა გზაზე იყო და ტყიდან გამოდიოდა. შეიძლებოდა, ტაძარშიც კი არ დაბრუნებულიყო – არამედ თვალები დაეხუჭა და სხეულისთვის გაქრობის საშუალება მიეცა. მაგრამ დაუკმაყოფილებლობას გრძნობდა. რაღაც დაუმთავრებელი რჩებოდა.
ჰუგო და აგენდა – ჩრდილები არიან მისი შორეული წარსულიდან... მაგრამ იქ, მათ გვერდით, იყო, როგორც ჩანს, ვიღაც... ვიღაცა, რომელსაც არ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ცხოვრებისას – და ამიტომ სრულიად დაივიწყა. სპერო შეჩერდა, თვალები დახუჭა და გონების მთელი ძალა მიმართა ამ გახუნებული მოგონებისკენ.
მალე გაიხსენა.

ყველაფერი ადვილი გამოსასწორებელი იყო. მაგრამ ეს აქვე უნდა გაეკეთებინა – სანამ ისევ დაავიწყდებოდა...
ტყის პირს რომ მიუახლოვდა, ერთ-ერთი შემავალი თაღის სიახლოვეს უკვე მიმდინარეობდა ჩამოსვლის რიტუალი. იმის მიხედვით, თუ სახელდობრ რომელი ცხოველი მოვიდა ახალჩამოსულის ცნობიერების შესახვედრად ედემში, შეიძლებოდა მიხვედრა, საიდან იყო მგზავრი.
შეხვედრის ადგილი სწორედ ისეთი იყო, როგორის დანახვასაც ელოდა სამოთხის მომძებნელი ნახშირწყალბადის ეპოქის მისტიკოსი. ეს იყო მინდორი დიდად ნაზარდი ყვავილებით, რომლის ცენტრში ვარჯებს შორისი სიცარიელეებიდან ეცემოდა მზის ფართო სხივი. სხივში სამი ცხოველი იდგა: ინით შეღებილი და მთვრალი ჩერჩილის მსგავსი ლომი; მუქლურჯი ხარი, ნაოჭებისგან მოჭუტული თვალებით; და დიდი, ადამიანის სიმაღლე, ოქროს არწივი, მილიციელის მკაცრი გამოხედვით. გაიარა წამმა, და ბალახზე მის წინ ბამბის ქულასავით გაჩნდა პატარა, თეთრი ზაზუნა ვარდისფერი ყურებით და შუბლზე შავი ვარსკვლავით. თავზემოთ გადმოკიდებული ცხოველები რომ დაინახა, მერე კი მოშორებით მდგარი სპერო, ზაზუნამ ჰაერი დაყნოსა, ნერვიულად ააქიცინა კუდი – და ბალახში გაქრა.

ეპილოგი

მთელი ჩემი შემდგომი ამბავი სულ რამდენიმე აბზაცში ჩაეტევა.
მე აღმოვჩნდი წარდგენილი საკუთარ თავთან – და აღარავის ვჭირდებოდი ამ სამყაროში. როგორც გაირკვა, ხელს მაძლევდა საქმის ასეთი მდგომარეობა.
აღარ დავლოდებივარ, როდის დაინტერესდებოდა «ოგიპროს უფროსი ინსპექტორით» რომელიმე დედამიწური ინსტანცია (ჰორიზონტზე უკვე იყრებოდა ღრუბელი – მაგრამ ჯერ ინტერესი მე კი არა, განსაკუთრებულად დაკავებულ ფართობს შეეხებოდა, რომლის არენდის ხელშეკრულებაც არაფრით იძებნებოდა), კარს ჩამოვხსენი დაფა და მოსკოვის ბინდბუნდში გავქრი, უცნობ მემკვიდრეებს დავუტოვე მთელი საოფისე ტექნიკა და ყავის მანქანაც კი. მდივანს გამოუცხადდა, რომ მეორე ინსპექტორის თანამდებობის გადარჩენა ვერ მოხერხდა – და მანაც ქალურად მიიღო ეს დარტყმა.
იმდენი ცხოვრება ვნახე, იმდენი ამბავი, იმდენი ბედისწერა – და

დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი შემექმნა მათგან რაღაც დიადი და სამახსოვრო. მაგრამ სინამდვილეში, სამწუხაროდ, მთელი ჩემი ნანადირევი ჩაეტია მომცრო საქაღალდეში, სიტყვებით «სამი ცუკერბრინის სიყვარული». ამბავი ფრინველებზე, კეშას ამბავი, ნადიას ელფერი.
ბოლო სამსახურებრივი განჭვრეტა, პოსტზე რომ მეწვია, იყო დამაბრმავებელი მიხვედრა ძუკნა აგენდასა და სამი ჭაღარა ლესბოსელის პრეზიდიუმის იგივეობის, მაისტერმა კემ რომ ნახა ჯგუფურ სიზმრისხილვაში. მე შემეძლო დამესაბუთებინა ეს უამრავი დამაჯერებელი მსგავსებით (მაგალითად, სამივე ლესბოსელს ჰქონდა ისეთივე გოგოლისებური ცხვირი, როგორიც იმ ჟურნალისტ ქალს, ვინც გააჩინა ფრაზა «ლიბერალურ იდეაზე, ჩამოსხმული გრანატაში»), მაგრამ მკითხველს ვთხოვ, უბრალოდ, მენდოს სიტყვაზე.
მერე ყველაზე საინტერესო დაიწყო – და აქ პირველად მეშინია, რომ ჩემი სიტყვები ყალბი აღმოჩნდება.
მე დავიწყე ბედისწერის ერთი მატარებლიდან მეორეზე გადახტომა.
ჩემს ცხოვრებაში მეტი არაფერი ყოფილა შესანიშნავი. ყოველ შემთხვევაში, გარე დამკვირვებლისთვის. ერთი მარშრუტიდან მეორეზე გადაჯდომა არანაირად არ გამოიყურება, და მათი ზუსტი მომენტის განსაზღვრაც ყოველთვის შეუძლებელია, თუმცა უფრო ხშირად მე ეს გამომდის.
და მე მოვასწარი იმ სამყაროს მოვშორებოდი, რომელსაც ოდესღაც ვემსახურებოდი, – უკვე ძალიან, ძალიან შორს. რათა გაიგოთ, რამდენად, მხოლოდ ერთ გარემოებაზე გიამბობთ. ცნობილ რედაქციაში აფეთქების მომენტიდან არც ისე დიდი დრო გავიდა. მაგრამ ამ მოვლენას ისეთი დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ მან, რასაკვირველია, დავიწყება ვერ მოასწრო. ავხსნი, თქვენ რატომ არაფერი იცით ამაზე.
ამ დილას საიტზე Contra. ru (დიახ-დიახ) მე დავინახე ერთი გულბოროტი ჟურნალუკას სტატია, გამელოტებულ ბაბუაწვერას რომ ჰგავდა. სტატიას ერქვა «ყველგან შპენგლერი» და ეძღვნებოდა არც მეტი, არც ნაკლები – რუსული კულტურის მატარებელი კონსტრუქციების დახერხვისა და გადაყიდვის ანალიზს. მთავარი გმირი – პოეტი გუგინი, ავტორი პროექტისა «გოლემ ილელეემი», სტატიაში მოხსენიებული «რუსული

ლექსის კოხ-ჩუბაისად»
(აი, ეგრე).
საქმე ისაა, რომ ამ სამყაროში მე არასდროს ვყოფილვარ კიკლოპი. და არავითარი აფეთქება «კონტრაში» არ ყოფილა. ყველა ცოცხალია. კეშა დადის კანტორაში, ნადია ყვავილებს რწყავს, ხოლოთუ გუგინი ლექსებს თხზავს.
მე ჩავიხედე მის «გოლემში» – და აღმოვაჩინე, რომ სამახსოვრო ოთხტაეპედი ამ განზომილებაში ცოტა სხვანაირად გამოიყურება:
«აჰ, შენი დედაც, «შანოვნი პანე».ფაშისტს მიუგო ცისფერმა ოდეს…
ჩვენი არწივი კუსავით დგება,რომ მომავალი ნათელი გვქონდეს
რას აღარ ნახავ, სამყაროებს შორის რომ მოგზაურობ.
ამ სამყაროში გუგინი კიდევ უფრო უგუნურად განალაგებს მარკეტებს, და სამი გაუტეხელი ჟურნალისტი აღტკინებული ბღავილით თავქუდმოგლეჯილი გარბის იმის სქელ ტრაკში ნაწილ-ნაწილ, იმავდროულად საკუთარ უკანალებს იფარავს «გულბოროტად კბილებალესილი დიქტატურის სისხლიანი ეშვებისაგან». სამივე ცოცხალია და თავის საქმეს აკეთებს – სულის საქანელებს ემსახურება: არამიწიერი ბიოლოგი იტყოდა, რომ ძუკნა აგენდა იმყოფება დროებით დისოცირებულ მდგომარეობაში. ყველაფერი კარგადაა. მხოლოდ Contra. ru, სამწუხაროდ, მალე დაიხურება. ბაზრის უხილავი, მაგრამ ბანჯგვლიანი ხელი...
სხვათა შორის, «კონტრაში» ამას წინათ იყო სტატია იმაზე, რომ სიტყვა «ბაზარს» ხელისუფლება უწოდებს საკუთარ თავს, როცა არ უნდა, რომ ნახანძრალზე მისი ყურები იყოს მიმოყრილი ყოვლად უწესრიგოდ.
ეგებ, ეგებ.
ბატუც ცოცხალია. ბაზრობაზე ვაჭრობს და არავითარ აფეთქებებს არ გეგმავს: მეჩეთის წინ გამოკრული განცხადება წაიკითხა, რომ დაკრძალვის წინ ტერორისტების გვამებს გაახვევენ ახალგაძრობილ ღორის ტყავში, და ამან ძალიან იმოქმედა მის გეგმებზე სულიერი რეალიზაციის კუთხით. მან შეიძინა ნოუთბუკი, და მისი ლიბიდო, როგორც ჩანს, უკვე გადაძვრა ჰურიებზე ოცნებიდან სტანდარტულ ელექტრონულ გოგონებთან (არსებითად, ეს ელ.-გოგონები კეშას ამხანაგები

არიან უბედურებაში: მოსკოვში ნორმალური ცხვრის პოვნა უფრო რთულია, ვიდრე სკოლის მოსწავლე იაპონელი გოგონასი).
ჰო, და კიდევ საინტერესო წვრილმანი – ამ სამყაროში კიევური კამათი პეტლიურაზე დასრულდა ქოლგის დარტყმის გარეშე და სოტნიკი გავრილო მშვიდობიანად გადავიდა ქუჩაზე. დანარჩენი თქვენ თავად იცით, ალბათ.
ვმგზავრობ მეტროთი და ვხედავ, როგორ სხედან გრძელ სკამებზე თანაბარ რიგებად ადამიანები, კარგი და კეთილი ადამიანები – და საკუთარი სმარტფონების ეკრანებს მიჩერებულები კვებავენ დაზარალებულ ცუკერბრინებს. საკუთარ თავს უმასპინძლდებიან ტამაგოჩები, რომლებიც სიკვდილს არ აპირებენ, არამედ მხოლოდ გაზრდას – და თავიანთთვის სულ უფრო და უფრო მეტ საკვებს ითხოვენ.
ეს კეთილი ადამიანები სრული სერიოზულობით თვლიან, რომ თითქოს კოსმოსური საშინელება – ის კი არაა, რაც მათ ემართებათ დღითი დღე, არამედ ის, რასაც ისინი კინოში ხედავენ, როცა ეკრანზე დაძრწიან თავდაპირველი წკვარამის გულბოროტი მცხოვრებნი, ბნელი ელფები, რომელთა შორის, მეტი დამაჯერებლობისათვის, არამიწიერი ზანგების წყვილიც კი არის.
რა მოუვა კეშას სამასი წლის შემდეგ რეალობის ამ ფენაში, მე არ ვიცი. მაგრამ ვფიქრობ, ხარისხობრივი ცვლილებები არ მოხდება – ეგება, სხვა გენდერსვინგერს მოეხვიოს და გმირადაც აღარ ჩაუვარდება არავის. ნადიას გამო კი მშვიდად გახლავართ. დარწმუნებული ვარ, იმავეს იზამს – შექმნის შორეულ, შეუძლებელ სამოთხეს და შიგ შეუშვებს ყველას, ვისაც კი გაიხსენებს.
მე?
ამ სამყაროში მეც დიდხანს ვიჯექი სარკესთან, ვარჯიშს ვაკეთებდი, «ციკლოპს». მაგრამ ამას საინტერესო არაფერი მოჰყოლია.
მე არაფრით განვსხვავდები სხვა ნებისმიერი მჯღაბნელისგან, რომელმაც ჩამოყარა წიგნი უცნაური შინაარსით – და ირწმუნება, რომ მის მიღმა დგას რაღაც «რეალური გამოცდილება». უფრო მეტიც, თავადვე მივუძღვენი რამდენიმე გვერდი იმის ახსნას, რატომაა ჩვენს სამყაროში ეს

გამოცდილება სრულიად არარეალური და არაფრით განირჩევა ჩვეულებრივი სიზმრისაგან.
იყოს სიზმარი. სამეცნიერო თვალთახედვით, ალბათ, ეგრეც არის – სხვანაირად არ შეერთდება ეს ბუღალტრული პასეანსები, რომლებიც არც ერთ რეალობაში არ შეიძლება დაანგრიო. რა განსხვავებაა. სიზმრები – ერთადერთი შფოთიანი ხსოვნაა ჩვენი სინამდვილისა ამ ცხოვრებაში. მე კარგად დავიმახსოვრე ჩემი სიზმარი და მასზე წიგნი დავწერე. ვიღაცამ ეგებ ივარაუდოს, რომ ეს ჩემი საბოლოო სამსახურებრივი ცდაა, ვიმოქმედო რეალობაზე და გავასწორო მისი გამრუდება. აქ რაღას იტყვი? ამაზე ოცნებობს თითოეული მწერალი – მაგრამ ამისთანა რამ მხოლოდ კიკლოპებს გამოსდით. და ისიც, ყოველთვის ვერა.
პროფესიულ პრეტენზიებს მე არ ვიღებ. ცნობილი მოვლენები ჩემი ცვლისას არ დაწყებულა, და ზუსტად ვერც კი ვიტყვი, ამის დროს დაირღვა თუ არა დროთა კავშირი. შესაძლოა, რომ არა. ამ სამყაროში სხვა კიკლოპია – და გთხოვთ, ყველა შეკითხვა იმასთან გადაამისამართოთ. იმას ბევრი საზრუნავი აქვს (შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ კიდეც), პრობლემები ადამიანებთან და ფრინველებთან – და მე მინდა, წარმატება ვუსურვო.
მოხარული ვარ, რომ ჩემი ძველი ნაცნობები ცოცხლები არიან, მაგრამ მალე მომიწევს კვლავაც გამოვეთხოვო მათ.
მე წავალ ბედისწერის მატარებლებით უფრო და უფრო შორს. ამისთვის არანაირი ბილეთი არ მჭირდება, თითქმის არაფერი მაქვს გასაკეთებელი – საკმარისია, უბრალოდ, გავიღვიძო დილაობით. და, ადრე თუ გვიან, ნამდვილად მივალ იმ განზომილებაში, სადაც არასდროს ყოფილა არც გოლემ ილელეემი, არც ძუკნა აგენდა, არც სამი ცუკერბრინი, არც ომები მშვიდობისათვის, არც საპროტესტო სიმღერები, არც შულერები, მჭიდროდ რომ შემოწებებიათ თითოეული ადამიანური სიტყვა.
უცნაურია – მე ზუსტად ვიცი, რა არ იქნება იქ. ხოლოთუ როგორი აღმოჩნდება ეს სამყარო, ჯერ ჩემთვისაც გაუგებარია.